

იოსებ ომაძე

მაგიდის რომანი

რომანი-ნოსტალგია

თბილისი, 2009 წ.

Copyright: იოსებ ომაძე, 2009 წ.
ISBN 978-9941-0-1544-1

სარჩევი

კარი I. შესავალი. ვაწრიპინებ კალამს... ..	1
კარი II. ვინ ვარ? როგორ დაიბადა ჩემი წინაპარი	3
კარი III. ვაჭარმა მოჭრილი ხე ქალაქს წამოიღო და ორი მაგიდა გააკეთებინა	9
კარი IV. დიდი ომი. რევოლუცია. შიში ქალაქში (1914-1921 წლები)	12
კარი V. გასაბჭოების შემდეგ (1921-1930 წლები)	16
კარი VI. ომისწინა დრო (1930-1941 წლები)	20
კარი VII. მეორე დიდი ომი (1941-1945 წლები)	24
კარი VIII. ომის შემდგომი დროება (1946-1953 წლები)	26
კარი IX. დიდი ბ(ნ)ელადი სამუდამოდ დაგვემშვიდობა. ხრუშჩოვის აღზევება (1953-1964 წლები)	33
კარი X. იწყება ბრეჟნევის განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის ეპოქა, ვაშა! (1964 წლიდან)	49
კარი XI. “თანამედროვეობა” ჯიქურ შემოიტრა ოჯახში, მე კი გარეთ, ქუჩაში გამიძახეს... ..	61
კარი XII. ქუჩაში მოვეწონე ერთ მხატვარს	68
კარი XIII. ერთხელაც ბოჩიამ გამყიდა... ..	79
კარი XIV. აჰა, დადგა “დიადი გარდაქმნის” დროება: “მეტი საჯაროობა, მეტი დემოკრატია!”	88
კარი XV. უკიდურესი გაჭირვება	97
კარი XVI. სიცივისგან შეწუსებულმა შიომ ნაჯახი დამცხო... ..	110

კარი I. შესავალი. ვაწრიპინებ კალამს...

დიდი ხანია, ცნობილია: ფრიად უმაღური საქმეა წინასიტყვაობის, წინათქმის, პროლოგის თუ სხვა სახის შესავალის წერა – მოსარჯულებელ ხარს თავიდანვე უნდა ეცხრებში ჩაავლო ხელი და, თუ ძალ-ღონე გერჩის, წამოაქციო ანუ, მწერლის შემთხვევაში, ბევრი იწილო-ბიწილოს გარეშე შეუდგე ამბის მოყოლას და, თუ ამის თავი გაქვს, ბოლოში გახვიდე კიდევც... მაგრამ ამ ბოლო დროს რატომღაც ამ ბრძნულ რჩევას ზურგი ვაქციე.

როგორა ხარო, რომ მეკითხებიან, ვპასუხობ: “ვარ რა, ვჭრიჭინებ-მეთქი”. ამ პასუხს ორმაგი აზრი გააჩნია: ერთი ის, რომ სიბერეში – სიქაჩლეო, ნათქვამია, და სიქაჩლის სიკეთის გარდა, როცა კი ოდნავ გავეინძრევი, ყველა სახსარში ძვლების ჭრიჭინი გამიღის – ხელი, ფეხი, კისერი, ხერხემალი უბოდიშოდ მახსენებს თავს; მეორეც – აბეზარ ჭრიჭინობელასავით სიმღერას ვუმბტე: წელიწადში თითო რომანს ვაცხობ – მეტი აღარაფერი შემიძლია! ჰოდა, ვაწრიპინებ და ვაწრიპინებ კალამს... უფრო სწორედ – ვუკაკუნებ და ვუკაკუნებ კომპიუტერის კლავიატურის კლავიშებს... ერთი ასეთი “ნაკაკუნარი” – რომანი “ჭადარდიდი” – ჩაფიქრებული მქონდა, როგორც სოფლური წუთისოფლის ამსახველი (თავდაპირველად ასეც ერქვა: “წუთისოფელი”), ახლა ქალაქური “წუთისოფლის” შექმნა განვიზრახე, ვნახოთ, რა გამოვივა...

სკულპტურული ნამუშევრების ავტორებს შორის, როგორც ცნობილია, ორი ყაიდის შემოქმედნი არიან: მოქანდაკენი და მძერწავები. მოქანდაკე ნაწარმოებს ჯერ გონებაში “აკეთებს” – ბოლომდე გაიზრებს, მთლიანობაში ხედავს დასრულებულს და შემდეგ შეუდგება მარმარილოს ან სხვა მასალის ლოდის დამუშავებას: აცლის სატეხით “ზედმეტ” ნაწილს და იღებს დასრულებულ ქანდაკებას (მოცარტი, ფიროსმანაშვილი და ამ ყაიდის სხვა შემოქმედნი, სანამ ჩანაფიქრის მატერიალურ რეალიზაციას მოახდენდნენ, მანამდე მათ გონებაში წარმოდგენით “ეძებდნენ” და “პოულობდნენ” კიდევც – უკვე ნაწარმოების “დასრულებული”, სრულყოფილი ხატი იყო აღბეჭდილი, მთლიანად “ჩამოსხმული”. ამიტომ არის მათი ნამუშევრები ესოდენ არქიტექტონიკურად სრულყოფილი – ფორმას ვერაფერს შეუცვლი: ვერც მოუმატებ და ვერც მოაკლებ. ამითვე აიხსნება მათი მუშაობის ფანტაზიურად სწრაფი ტემპიც). მძერწავი, პირიქით – ნაწარმოებს ჰქმნის იმპროვიზაციულად, მუშაობის დაწყებისას მხოლოდ ზოგადად აქვს წარმოდგენილი მომავალი ნაწარმოების ფორმა და ხშირად – შინაარსიც; თავიდან არ იცის, ბოლოს რას მიაღწევს – პლასტიკური თიხისგან ნელ-ნელა ძერწავს ფიგურას, მუშაობის მსვლელობაში ეძებს უფრო გამომსახველ ფორმას, მრავალგზის ცვლის: აქ მოაკლებს, იქ მოუმატებს, ვარიანტებს ჰქმნის და რაღაც ეტაპზე დასრულებულ სახეს აძლევს ნაწარმოებს. მე სწორედ მეორე ყაიდის იმპროვიზატორი შემქმნელი – “მძერწავი” – ვარ, თხზვის პროცესში “ვეძებ” და “ვპოულობ” და ხშირად არ ვიცი, საით წავალ და რა შედეგს მივიღებ... ამიტომ, ზემოხსენებული მიზეზის გამო, ჩემი რომანები კომპოზიციურად ერთგვარად ამორფულია, “ნედლი”, ბოლომდე თითქოს დაუმუშავებელი, რადგან მე შემიძლია, უსასრულოდ ვცვალო, ვასწორო, ახალი ეპიზოდებით “გავამდიდრო” ნაწარმოები და ამას ბოლო არ უჩანს; ხშირად ჩემთვისაც მოულოდნელად სიუჟეტი სადღაც “გაუხვევს” და გულის ფანცქალით ველი, ბოლოში სად გავალ... რომანის “კარკასი” ვერ არის მტკიცედ შეკრული, ეპიზოდები კოლაჟური პრინციპით არიან “დამონტაჟებული”...

კალეიდოსკოპური აჯაფსანდალი, სულ სხვადასხვაგვარი ნაწილებისგან შეკოწიწებული აბდაუბდა, კოლაჟი – რაც გენებოთ, ის დაარქვით ამ ჩემს ნაჯახირევს; მე კი ვფიქრობ, რომ კონტრასტი ამახვილებს, ამძაფრებს აღქმას – და კაცმა რომ სთქვას, ცხოვრებაც ხომ კოლაჟურად ჭრელია: დღეთა მდინარება, დღე-ღამე, წელიწადის დრონი – ხომ ერთმანეთს ენაცვლებიან და ადამიანების ერთი შეხედვით მდოვრე ყოველდღიურობაც ხშირად სავესეა მოულოდნელობებით: ხან – სიამტებილობით, ხან – დაჯახება-შეპირისპირებით... დიახ, ამგვარი მიდგომა დიდ ნაკლადაც შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ რა გქნა – ასეთი ბუნება მაქვს და, ძალიანაც მინდა, მაგრამ მას ვერსად გავექცევი! თანაც, ამგვარი მუშაობის სტილს თავისი ხიბლიც ახლავს!

კიდევ ერთი მოსაზრებაც – იქნებ სადაო – მინდა, გაგიზიაროთ.

ჩემს მეგობარ მხატვარს გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილს ერთხელ ასეთი კითხვა დაეუსვი:

– პარიზში რა მოგეწონა ყველაზე მეტად? რამ გაგაოცა?

მან მიპასუხა:

– ზეპირად იცი, დიდი ხნის ნაცნობია ყველაფერი... თითქოს უკვე ვიცოდი, რომ აი, ასეთი დამხვდებოდა. შენა კითხვაზე ძალიან მიჭირს პასუხის გაცემა... რას მივაქციე ყურადღება, იცი? ტანსაცმელს ხომ ვიცვამთ ჩვენ, ვიცვამთ ჩვეულებრივად, ისინი ისე ჩაიცვამენ, რომ ნაკერები ზემოდან მოჩანს. ასეთია პომპიდუს ცენტრი. წყალგაყვანილობის, კანალიზაციის და სხვა მილები გარეთ არის გამოტანილი – ამას ყველაფერს დიზაინში სვამენ...

– პომპიდუს ცენტრის უჩვეულობამ თავიდან მძაფრი პროტესტი გამოიწვია. მე რომ მეითხო, სიმახინჯეა...

- შენ უნდა ნახო: ლუფრის წინ გააკეთეს შუშის პირამიდა და ასეთ რამეებს აკეთებენ ისინი... თუ დაუპირდები, ჯდება გარემოს აღქმაში. სულ საწინააღმდეგოს აკეთებენ, ჩვეული აღქმიდან და რიტმიდან ამოვარდნილს. სხვანაირი გემოვნება აქვთ...

- აი, ეიფელის კოშკი რომ დადგეს, მაგაზე ერთი ამბავი ატყდა...

- ახლა კი პარიზი ამ კოშკის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია. მუზეუმები რომ დავიარე, ვიფიქრე: “რა მაძღრები არიან შედევრებით!”. ყველაფრით გამაძღარები არიან, მოყირჭდათ ყველაფერი...

- ერთი დირექტორი გეყავდა, მოყვა: რამდენიმე დღიანი გადაბმული ქორწილი იყო, ერთი, მეორე... მოკლედ - ვხეთქეთ და ვსვით, ვსვით და ვხეთქეთო და, ბოლოს, წამოვიძახეო: “აღარ მინდა ამდენი ტორტი, სკორე მომიტანეთო!”. ასევეა ფრანგების ამბავიც.

- ზოგჯერ უყურებ მხატვარს: აკეთებს, აკეთებს, კაი რაღაცაა და მერე უცებ შლის... მივარდები, აჩერებ: “რას აკეთებ, ბიჭო? გაჩერდი, ძალიან კარგია!”... ის კი სხვანაირად ხედავს. მეც ასე ვმუშაობდი, სულ უკმაყოფილო ვიყავი, გადავწერდი, გადმოვწერდი... ერთი ბალტიისპირელი მეგობარი მხატვარი მყავდა, ჭკვიანი ბიჭი იყო და მითხრა: “გოგი, როგორც დაიწყე, ისე უნდა დაამთავრო!”. არ უნდა ჩაუიკრიტდე მაინცდამაინც, ბოლომდე არ უნდა მისდიო, სადღაც უნდა გაჩერდე.

- გოგი, ერთი რამ უნდა ვთქვა... ტორტი ძალიან გემრიელია, მაგრამ პური ყველაფერს ჯობს!

- ყველა სასმელი კარგია, მაგრამ წყალი ყველაფერს ჯობს! - მეთანხმება გოგი.

- თანაც წყაროს წყალი - ცივი და გემრიელი! მხატვრობაშიც ეგრეა! დღესასწაული არ შეიძლება ყოველ დღეს იყოს - ის ფერმკრთალდება, უგემურდება, ხომ სწორია?! უბრალო ჩანახატებიც არ დაიწუნება, თავისი გემო აქვს - ნატურიდან შესრულებულსაც და ფანტაზიით შექმნილსაც.

აი, ასეთი საუბარი გექონდა და, მე მგონი, მკითხველი მიხვდა, რისი თქმაც მსურდა - ნაწერის მეტისმეტ გალამაზება-გასალაშინებაზე დიდად არ მიზრუნია.

პირველი ჩანაწერი ამ ჩემი მეთორმეტე რომანის ჩანაფიქრის შესახებ უპ, რა დიდი ხნის წინ გამიკეთებია, - 1976 წლის 9 სექტემბერს, - 32 წლის წინათ! მას რომანი-ნოსტალგია ვუწოდებ: ბევრი, ძალიან ბევრი რამ იმ, XX საუკუნის, წასვლასთან ერთად, დრომ თან წაიყოლია და მათი გახსენება, თუნდაც გაჭირვებისა და შიმშილისა, უამრავ ყავლგასულ ყოფით რეალობათან ერთად, დღეს მე და მრავალ ჩემი ხნის ადამიანს ტკივილნარეგ სიამესაც გვაგრძნობინებს... კარგი რამ არის გახსენება, რამდენიმე ხნით ახალგაზრდად და მომავლის იმედებით დამუხტულად იქცევი - ბედნიერად... წინდაწინ დიდ ბოდიშს მოვიხდი და შემდგომ კი მკითხველს მოგახსენებ, რომ რამდენადაც ქვემოთ მოთხრობილი თითქმის მთლიანად ავტორის წარმოსახვის ნაყოფია, არ იქნებოდა მართებული მხატვრულ ნაწარმოებში - რომანში - რაღაც კონკრეტული რეალობის ძიება. მე ისტორიკოსი არ ვახლავარ, მაგრამ, ცხადია, დიდი სურვილი მქონდა, ეპოქის “სული”, “ატმოსფერო” არ დამემახინჯებინა.

”ჰეი, სულ გააფრინე? - შესაძლოა, შემიძახებს მკითხველი, - ვის რაში დააინტერესებს შენი ბებრული ჯიჯღინი? ისიც გეყოფა, რომ რომანი “დღეს ფეხბურთია!” მაწანწალა ძაღლს დააწერინე, ახლა კი ერთ საწყალ, საუკუნის ხნის მაგიდას მიაღექი, ვითომ მასთან ჯდომა არ გეყოფოდა, თვითონ ის აალაპარაკე და გინდა, მისი მოგონებები რომანად გაასაღო! ამგვარი თავხედობა (ზრდილობა მაკავებს, თორემ უფრო მაგარი სიტყვაც გეკადრება!) სად გავგონილა? და საინტერესოა, სადამდე მიხვალ?”. სადამდე მივალ და რას მოვიმოქმედებ მომავალში, თვითონაც არ ვიცი, ჩემო მკითხველო: ჩემისთანა ყოველად თავისუფლად საკუთარ წარმოსახვას მინდობილი ადამიანისგან ყველაფერი მოსალოდნელია! და თუკი მაგიდის მოგონებები არ დაგაინტერესებს, რა დაგიშლის - წიგნი გაღებულ ფანჯარაში გააფრინე (თუ თბილა და დარია) ან ლუმელის გაღებულ ხახაში შეჩურთე (თუ ცივა) - ამაღ მაინც ივარგებს!

მართალი მოგახსენო, ამ მოხუცებულობის ჟამს მართლაც სულ გაფრენაზე მიჭირავს თვალი, ამის დასტურია თუნდაც ის, რომ, რამდენიმე რომანის - “კოსმოსური რომანის”, “გაქცეული თითების” და სხვათა - ჩანაფიქრიც არ მასვენებს... ისინი ერთმანეთს ეჭიდავებოდა და მიჭირდა გადაწყვეტა, ჯერ რომელს ჩავჯდომოდი - კოსმოსში “გაფრენაც” მსურდა ჩემს გმირებთან ერთად და მიწაზე დარჩენაც, მათ შორის მრავალჭირნახადი მაგიდის მონათხრობიც მიტაცებდა. მერე ვიფიქრე: “აღბათ ჯობს, ჯერ მიწაზე მოსათავებელ საქმეს მივხედო”...

ni nower i eqvsi Tvi s Semdeg: ამ რომანის წერას ჩავუჯექი 2008 წლის 1 ივლისს და 2009 წლის 1 იანვრის საახალწლო სუფრას, მიუხედავად ათასგვარი სიძნელეებისა ქვეყნის ცხოვრებაში (მე არაფერი მიჭირს: ჩვენი მცირე პენსია შიმშილით სიკვდილისგან გვიცავს, სხვა მხრივ კი პირადად ჩემთვის ბევრი არაფერი მინდა - ჭამა-სმაზე და დროსტარებაზე არც ადრე ვიყავი გაგიჟებული და, მით უმეტეს, ახლა სულ მცირედიც მყოფნის...) წელგამართული შეგხვდი: “მაგიდის რომანი” შავად დაგამთავრე! აწი იწყება ტექსტის გასალაშინება, პარალელურად ვიწყებ შემდეგი რომანის “გაქცეული თითები” წერას... რა გამოვიდა პირველიდან და როგორი იქნება მეორე რომანი (თუ მისი დაწერა შეეძლება) - იმედი მაქვს, დროთა განმავლობაში გაირკვევა და თუნდაც ამოდ დავშვრი, ფუჭი შრომა მაინც არ გამიწვია: წერა - აღბათ ეს ჩემთვის წამალია,

სიცოცხლის სტიმულის მომცემი... დიახ, რა გამომივა, თვითონაც არ ვიცი, მაგრამ მიმზიდველია თვით შეთხზვის პროცესი – ეს არის საოცარი მოგზაურობა ჯერაც შეუცნობელ სივრცესა და დროში, ახალ ხალხთან, მოგონილ პერსონაჟებთან შეხვედრა; რომანის დაწერა – ეს არის მომხიბლავი ავანტიურა!

კარი II. ვინ ვარ? როგორ დაიბადა ჩემი წინაპარი

ვინ ვარ მე? გთხოვთ მიცნობეთ: მე გახლავარ ერთი ძველი, თითქმის საუკუნეს მიტანებული მაგიდა, დიახ, არ გაგიკვირდეთ, შეიძლება ითქვას, საკმაოზე მეტადაც ხანდაზმული მაგიდა – ჩვეულებრივი თუ არაჩვეულებრივი, ამაში შემდგომ თვით დარწმუნდებით, როცა ჩემს ნაამბობს წაიკითხავთ. ჩავლილმა დრომ და ნაირგვარმა გარემოებებმა წუთისოფლის გრძელ გზაზე სად არ მატარა, ავიც ბევრი მაგემა და კარგიც მრავლად მანახა, ალაგ – ფერი გამიხუნა და შემიცვალა, ალაგ – კუთხე-წახნაგები გამიცვითა, ალაგ – ზედაპირიც კი მაქვს დამწვარი... ზურგზეც დამაშრია ნაჭდევეები, ნაჩხაპნები, ნაირგვარი ლაქები, რამდენიმე ადგილას – დანისპირის გასერირებისას დანატოვარი ნაჭრილობევი ღრმა კვალიც... საკმაოდ შეფერთხილ ფეხებსაც ნიკრისის ქარები მოქადა... დრო-ჟამისგან მორყეული მაგიდა გახლავარ, სულ ჭრიჭინ-ჭრიალი გამიდის. ამდენი ხანია, ვარსებობ ამქვეყნად და ახლა გადავწყვიტე, დამერღვია მღუმარება: არ გაგიკვირდეთ – განვიზრახე, მოგონებათა წიგნი დავწერო... რა გამომივა, ღმერთმა უწყის, მე კი მინდა, გავიხსენო ზოგი რამ; რაც მინახავს და მომისმენია, ცხადია, ყველაფერს ვერ მოვყვები, მხოლოდ ნაწილს მოგახსენებთ, რაც ჩემს ბებრულ მახსოვრობას შემორჩენია... დიახ, იმდენი ჭკვიანი აზრი მოვისმინე, იმდენი ბრძნული გამოხატვაში, რომ მეც ძალუნებურად სულ აფორიზმებით ლაპარაკი მსურს (ზოგი საკუთრივ ჩემი გრძელი ცხოვრებით გამოტანილი დასკვნაა, მეტი წილი კი – სხვისი ნააზრევი), რასაც, შეძლებისდაგვარად, თავს ავარიდებ; თუმცა ამ, ჩემი შეხედულებით, ჭირს სავსებით მაინც ვერ გავექეცი და თუ თავი მაინც ვერ შევიკავე შეგონება-დარიგებისგან, ჩემს გმირებს ვათქმევინებ, უპირატესად – სადღეგრძელოების წარმოთქმისას... დიდი გამოცდილება დამიგროვდა და პატარა უწყინარი ეშმაკობებიც ვისწავლე!

მკითხველი თავიდანვე დაინტერესდება: მართალია, ამ ძველ მაგიდის ზურგზე რამდენი რამ დაწერილა, ტყუილად კი არ არის დალაქავებული ნაირფერი მელნის ლაქებით, თვითონ ის კი რა წერის ჟინმა აიტანა? რატომ შეიწუნა თავი გარდასულ დროთა გახსენებით? რა ვიცი... ალბათ იმიტომ, რომ მინდოდა, ჩემგან რაღაც დარჩენილიყო, მაწვალებდა და მაწვალებს (ბევრს, ბევრს სხვასაც!) ფიქრი: როგორ შეიძლება, მე უკვალოდ გავექრე? მე ამქვეყნად აღარ ვიყო? და მრავალ სხვათა მსგავსად, მეც მომინდა, ჩემი გაქრობის შემდგომ, ჩემგან მაინც დარჩენილიყო რაღაცა – ჩემი სულის ნაწილი, ჩემი ნაგრძნობ-ნაფიქრალის ნაწილი მაინც... ვინძლო წამკითხველმა კეთილად მომიგონოს და თუკი რაიმე შეეცოდე, გულმოდგინედ შემიდლოს... ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება, ვთქვა: ერთ ტყუილ სიტყვასაც კი არ ვიტყვი, შემძლია, დავიფიცო!

მართალი მოგახსენოთ, ჯერ არც კი ვიცი, ჩემი ჯახირ-ცოდვილობისგან რა გამომივა; მართალია, ჩემს ზურგზე დადებულ ქაღალდზე რა არ დაწერილა და ვის არ დაუწერია, მაგრამ თვით მე ამ საქმეში სრულიად გამოუცდელი გახლავარ და მაწვალებს ფიქრი: როგორ და რანაირად მოვახერხო ჩემი ჩანაფიქრის ხორცშესხმა?... სხვადასხვაგვარად მოვსინჯავ; წინდაწინვე მინდა, გაგიმხილოთ, როგორ მოვეძებნი ამ გზას თუ ხერხს, ჩემი ნაფიქრალ-გახსენებული რომ მოგიტხროთ... ჯერ ალბათ ჩამოვწერ, რათა არ დამავიწყდეს, რაზე მინდა, რომ ვისაუბრო, ისე, როგორც გამახსენდება, არეულ-დარეულად... თავიდან და ალბათ შემდეგაც, ბოლომდე, ერთგვარად აუწყობელი, დაულაგებელი გამომივა (როგორი დომხალიც სუფრაზეა ლხინის დასრულების შემდეგ!) – ნაუცბათევეად, აცბაცად შეკერილი ნაჭრის საბანივით, მაგრამ უნდა მაპატიოთ: ერთი ძველი მაგიდისგან, მართალია, კარგი ოსტატის მიერ გაკეთებულისგან, მაგრამ მაინც მაგიდისგან, თანაც – ძალიან ძველისგან, ბევრს რას უნდა მოელოდეთ...

წიგნის სათაურმა არ გაფიქრებინოთ, რომ ვიდაცასთან მე პირადული რომანი მქონდა გაბმული; მართალი მოგახსენოთ, ახლომახლო ჩემი ტრფობის შესაფერად ადრე ვერაგინ მივიჩნე და ამჟამადაც ვერაგის ვხედავ. ახლა ოთახის კუთხეში ერთი ციდა, დაგვაჯული მაგიდუკა კი დგას, მასზე ტელევიზორი ამხედრებულა და ამით დიდად ამაყობს, – ბედაურია რაღა, – ყველა ჩემსკენ იყურებო, მეტი სიბრიყვე გაგიგონიათ?!. წესით ჩემგან ერთი გემრიელი ჭიტლაყი ეკუთვნის, მაგრამ – ვაგლას! ოთხი ნატიფი ფეხი კი მაქვს, მაგრამ რად გინდა – ოთხივე უძრავია!

შესაძლოა, ამ ნაჯახირვეის ბოლოში გასულმა (თუკი არ დაგეზარათ ჩემი ნაჩხირკედელავის წაკითხვა), მისაყვედუროთ: რა სულ წვრილ-წვრილ ამბებს ჰყვები, ერთი დიდი, გადაბმული რამ გეამბა, არ სჯობდაო? რა ვიცი... ყველას და, რასაკვირველია, მეც, თავ-თავისი, სხვათაგან განსხვავებული ხასიათი აქვს და ჩემგან რატომ უნდა უკვირდეს ვინმეს, რას და როგორ მოვყვები? ლაქი მაქვს გადასმული და ალბათ ბევრი ვერ შეამჩნევს: მე ხომ ალაგ-ალაგ ნუჟრები მაქვს! ეს მინიშნებაა იმ ოდესდაც არსებულ ტოტებზე, რომლებიც კაკლის ხის ტანიდან გამოიზრდებოდნენ ხოლმე; შემდეგ ამ ტოტების დიდი ნაწილი, ხის ზრდის კვალობაზე, გახმა. ეს ხმელი ტოტები მოტყდა ან მოახერხეს, მაგრამ ხის ტანზე კი დარჩა ნუჟრები თუ კორძები – სამარადუკამოდ!

აი, ასეთი “ნუჟრები” ჩემს მონათხრობში გარდასულ დროთა წვრილ-წვრილი მოვლენებიც, რომლებიც, მართალია, წარსულს ჩაბარდნენ, მაგრამ მათი ანარეკლი ჩემს სულში მაინც უკვალოდ არ გამქრალა. აქვე მინდა, იმ კირკიტა მკითხველსაც წინდაწინ ვუპასუხო, რომელიც ალბათ იკითხავს: სად მაგიდა და სად ამბის მოყოლაო... ჰოდა, სწორედ ზოგიერთი ეს ნუჟრი მიიჩნეთ ჩემს თვალებად, ზოგიც – ყურებად...

იქნებ ისიც არ მოეწონოს მაგანს, რომ სულ სხვადასხვაგვარ ამბებს მოგიტხრობთ, მათ შორის, უმეტესად – მხიარულსაც... იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ ორი ქართველი თუ ერთმანეთს შეხვდა, თუნდაც კარგი ნაცნობები არც იყვნენ, წესისამებრ ხუმრობაგარეულ საუბარს შეპყვებიან და, მით უმეტეს, მაგიდასთან შეკრებილნი სწორედ რომ უმეტესწილად ხუმრობის ხასიათზე არიან და ამ დროს თუ არ მოყვები რაიმეს საღალღობოს, მაშ, როდის ნახავ უკეთეს დროს? კარგი გუნება-განწყობილება რომ საჭმელს უფრო გემრიელს ხდის და მირთმეულის უკეთ მონღლებასაც ხელს დიდად უწყობს, ყველა სიამოვნებით დამეთანხმება!

ღიას, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე შემბაკეთეს, ლაქითაც რამდენჯერმე თავიდან დამფარეს, ახლა მაინც ფერგადასული ვარ, ერთობ დანჯღრეულიც და არ გამიკვირდება, თუკი ჩემი ბებრული ლაქლაქი დიდად არ მოგეწონებათ: ვრიფრიფებ-გჭრიალებ, ხანაც ამოვიხენეშებ, ხმაც დამიყრუვდა – წლებს თავისი მიაქვს და რა უნდა იღონო... ადრე კი – ოჰ, დრონი, დრონი! – სულ მხიარული ბრწყინვა-კრიალი გამიდიოდა, ძალიან ლამაზი ვიყავი! მაინც როგორც, იკითხავს ცნობისმოყვარე მკითხველი. ამას თავის დროზე წვრილად მოგახსენებთ, ახლა კი თამამად შემიძლია ვთქვა: ვინც კი დამინახავდა, მაშინვე პკითხავდა პატრონს – საიდან ვიყავი, რომელი ოსტატის ნახელავი ვარ? არაერთხელ მოუყოლიათ და მეც მომისმენია და კარგადაც დავიმახსოვრე თაობიდან თაობაზე გადმოსული ამბავი – ვინ, როგორ და როგორი გამაკეთა... სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგას, მინდა, სხვებსაც გაგაგებინო ჩემი წარმომავლობა – იმედი მაქვს, ტყუილად არ გაგატარე ეს წუთისოფელი და ბევრი საინტერესო ამბავი უამბობთ ჩემს გარშემო მსხდომთ...

თავიდან მოკლედ მოყვები, ხის დარგვიდან მოყოლებული, თუ რა გადაიტანა საქართველომ, მისმა სოფელმა, სანამ იმ კაკლის ხეს მოჭრიდნენ, რომლისგანაც ვარ გაკეთებული. წელიწადის დრონი ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ, თითქოს ერთი და იგივე მეორდებოდა, მაგრამ ცვლილებებიც მეტ-ნაკლებად იყო და ერთი წელი მეორეს არ ჰგავდა...

მინდა თავიდანვე მოგახსენოთ, რომ ჩემს მონათხრობში რამდენიმე გამჭოლი თემა მაქვს ამოჩემებული, უმეტესწილად – შინაური, საოჯახო:

- ლხინი,
- რძალდედამთილიანი,
- სიყვარული,
- ბავშვები...

რძალდედამთილიანი ცოტა მძიმე თემაა (ათასჯერ და მეტჯერაც გადაღეჭილ-გადმოღეჭილი მრავალ მთხრობელ-მწერალთა მიერ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამოუწურავი)... რძალდედამთილიანი – ასე შეიძლება ეწოდოს მრავალწლიან კომედია-დრამას, რომელიც უამრავ ოჯახში თამაშდება მრავალი წლის მანძილზე და დასასრული არ უჩანს. კომედიაა გარეშე მყურებელთათვის, რომელთაც სასაცილოდ მიაჩნიათ ორი კაპასი პერსონაჟის მიერ ურთიერთის ხარჯზე გულის მოფხანა, მაგრამ ახლა თვით მოქმედ გმირებს ჰკითხეთ – სასაცილოდ სულაც არ მიაჩნიათ! შეიძლება თამამად ითქვას, სამკვდრო-სასიცოცხლო, შეურიგებელი ბრძოლაა ორ ამბიციურ, შეურიგებელ ქალბატონს შორის, რომელშიც ორივე დამარცხებულია! მათ რომ უთხრა, ცოტა შემწყნარებლები იყავით, დაუთმეთ ერთმანეთს – “ვინც მოითმენს, ის მოიგებსო”, დააწყნარო, დაუყვავო, აუხსნა, რომ ამგვარი დაპირისპირება უხსოვარი დროიდან მოდის და სხვადასხვა ვარიაციებით განუწყვეტლივ მეორდება, ამას კი დაგიდასტურებენ, მაგრამ თვითონ რომ სასაცილო და არაფრის მომტან “ბრძოლაში” არიან ჩართულნი, რომელშიც გამარჯვებული არ არსებობს და არც შეიძლება იყოს – ამას კი ცხარედ უარყოფენ და აუცილებლად ყოველი დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ის ცამდე მართალია და “მოწინააღმდეგეს” კი ათასგვარ სიავეს მიაწერს: “არა, ღმერთი და კაცია მოწმე, ასეთ, ყოველად აუტანელ ადამიანთან შერიგება, ნორმალური ურთიერთობა სრულიად შეუძლებელია! წარმოუდგენელია ამის გაფიქრებაც კი!”.

გამორჩეულად რომელი თემა მიყვარს, იცით? ბავშვები! განსაკუთრებით, ბავშვები ერთიდან – ხუთი-ექვსი წლის ასაკამდე! რამდენი თაობის მომსწრე ვარ და ყველანი რა საყვარლები არიან! მათაც გუყვარდი! შეძებდოდნენ ჩემს ქვეშ და იყვნენ ერთ ამბავში! დაფორთხავდნენ, თამაშობდნენ, ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ, მღეროდნენ! ჩამოაფარებდნენ რაიმე ყუთებს, ფარდებს ან სხვა რაიმეს, რაც იმ დროს ხელში მოხვდებოდათ და გამოადგებოდათ, შეიტანდნენ ასე შექმნილ “ბუდრუგანაში” სათამაშოებს და თამაშობდნენ “სახლობანას”. ხშირად ხდებოდა: რაღაც საეჭვო სიჩუმეა, რაღაცას ხომ არ მამამაძღობენ ბავშვები? ეძებენ, ეძებენ, მათ კი თურმე მაგიდის ქვეშ დაუძინიათ თავიანთ მოწყობილ “ბინაში”, გვერდიგვერდ ტკბილად სძინავთ, ძლივს გააღვიძებდნენ... მაღლობა ღმერთს, ახლა ელექტრული ფანრები აქვთ, ადრე, მახსოვს, მაგიდის ქვეშ შემძვრალნი ანთებდნენ ასანთს, სანთლებს, ლამფას და ნავთქურასაც კი და რამდენჯერმე კინაღამ ხანძარი გააჩინეს, რისი ცხადი ნაკვალევი ახლაც მაჩჩნევია რამდენიმე ადგილას, განსაკუთრე-

ბით – ფსკერზე და ფეხებზე, იატაკიც ალაგ-ალაგ ისე ამომწვარი, რომ, დიდი მცდელობის მიუხედავად, სიშავე ვერაფრით მოაცილეს... ბევრჯერ გადავურჩი ხიფათს!

ლხინიც ძალიან მიყვარს! თუმცა, ვის არ უყვარს! ვის არ უხარია კარგი ხალხის სტუმრობა! ძნელი წუთისოფელი დამებედა, – სულ ომი და გაჭირვება, – მაგრამ ჩემს მონათხრობში მაინც ალბათ ხშირად იქნება სადღეგრძელოები! ძირითადად – მხიარული ამბები და სადღეგრძელოები იქნება! და ალბათ კიდევ უფრო მეტად – ოჯახში გამართული დიალოგები! სულ სხვადასხვაგვარი საუბრები: ადგზნებულები, ზოგჯერ – ჩხუბამდე და ტირილამდე მისული; ჩვეულებრივიც – ყოველდღიური ბანალური, ათასგზის გამეორებული; არცთუ იშვიათად – სიცილ-ხუმრობაში ჩატარებულიც...

მინდა, რომ, როგორც შევძლებ, მაგიდის გარშემო მსხდომთა საუბრებში ერთი ოჯახის, ჩვენი ქვეყნის, მთელი XX საუკუნის მსოფლიო ისტორია ნაწილობრივ მაინც აირეკლოს! რასაკვირველია, იმ ფრიად მოკრძალებული გარემოს გათვალისწინებით, რომელშიც მე მომიხდა ყოფნა, უბრალო ადამიანების გვერდით და ვერაგის დავაჯერებ, რომ ინგლისის ლორდთა პალატაში მომისმენია მსოფლიო ამბების შესახებ ბჭობა ან ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სხდომა ჩემი თანდასწრებით ჩატარებულა!

ისიც გავიფიქრე: ორი მაგიდის პალელური მოგონებები ხომ არ გიამბოთ? (რატომ – ორის? ამას მერე მოგახსენებთ) – სოფელი და ქალაქი! ამ შესაძლებლობასაც ავწონ-დავწონი, თუკი ეს შევძელი და თხრობა არ გამიგრძელდა, ამბებით არ გადაიტვირთა...

შევეცდები მოგიყვებ – სხვადასხვა დროს:

რაზე ვოცნებობდი?

რა სიზმრებს ვნახულობდი?

რა მახარებდა ყველაზე მეტად?

იცვლებოდა ჩემს სადგომში ინტერიერი, სულ სხვადასხვა ადამიანები ისხდნენ ჩემს გარშემო, – ერთნი ხუცდებოდნენ და იმ ქვეყანას სამუდამოდ მიდიოდნენ, მეორენი იბადებოდნენ და იზრდებოდნენ, იცვლებოდა საგნებიც და იცვლებოდა ჩემი დამოკიდებულებაც ოთახში მყოფ საგნებთანაც: ჭადთან, წიგნის კარადასთან, სკამებთან...

ღიახ, როგორც მოგახსენეთ, მრავალ ადგილას იქნება სუფრის აღწერა – ნაირ-ნაირი სადღეგრძელოები! ისინიც იცვლება დროებისა და გარემოებების მიხედვით. თამადებიც სულ სხვადასხვა ყაიდისა იქნება, წესისამებრ – სუფრაზე ყველაზე მჭერმეტყველი ის გახლავთ. სანამ მორიგ სადღეგრძელოს წარმოთქვამდეს, კარგი იქნება, თუ რაიმე არაკს, იგავს ან ამბავს მოჰყვება, შესაძლოა, ლექსსაც დაურთავს, რომელსაც რაიმე კავშირი ექნება სადღეგრძელოს თემასთან, ერთგვარ პრელიუდს, შესავალს გაუკეთებს ან გემრიელ დასკვნას. სხვები, სხვადასხვა პროფესიის, ასაკის, გამოცდილების, ნიჭის და ასე შემდეგ ადამიანები, სადღეგრძელოს თემასთან დაკავშირებით გააფართოებენ, გააღრმავებენ ან ირონიულად სხვაგვარად გააშუქებენ, სხვა ელფერს, განსხვავებულ ტონებს შემატებენ ან სულ სხვაგვარ, კონტრასტულ ამბავს მოყვებიან... ეს იძლევა საშუალებას, სხვადასხვა პიროვნების პორტრეტი დავხატო – რას, როგორ ლაპარაკობს, წარმოიდგინოთ მისი გარეგნობაც კი, როგორ იქცევა, რა ურთიერთობა აქვს სხვებთან, ამ ოჯახთან, რეპლიკები, ხუმრობები და სხვა და სხვა. თუ მეხსიერებამ არ მიღალატა, კაი აჯაფსანდალი იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა! ბევრს უყვარს აჯაფსანდალი, ჩემს ზურგზეც ხშირად დაუდგამთ და გემრიელადაც მიურთმევიანთ!.. თქვენ რა თვალთ უყურებთ, მოგწონთ?

სადღეგრძელოთა თემები, წესისამებრ, მრავალფეროვანია (რა თქმა უნდა, თუკი მხოლოდ არაყით არ ილაცებინ) და არც ჩემს გარშემო მსხდომნი დალატობდნენ ძველებურ ადათ-წესებს: ოჯახი, დედ-მამა, შვილები, შვილიშვილები, სამშობლო ქვეყანა, მისი ისტორია, მთელი მსოფლიოც კი, მშვიდობის სადღეგრძელო, წინაპრები, ქართული ენა, მეზობლები, მეგობრები და მეგობრობა, სიკეთე და კეთილის მსურველები, სწავლა-განათლება, წარსული, დღევანდელი, მომავალი, შრომა, დასვენება, ლხინი, სიმღერა (ყველა დროებას საკუთარი სიმღერა უხდება!)... – ეს ოჯახი, ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიო, დანახული ქართული სუფრის თვალთ!

სადღეგრძელოების თანმიმდევრობა, ჩემი ფიქრით, განპირობებული იქნება იმით, თუ ზოგადად რას ეძღვნება სუფრა: 1. ბავშვის დაბადებას (ერთ-ერთ კარში ბავშვის დაბადება აღინიშნება საზეიმო სუფრით ახალგააკეთებულ მაგიდასთან); 2. დღეობას (როცა მაგანს 18, 20, 25, 50, 60, 70, 75, 80 და, ღმერთმა ინებოს, 85, 90, 95, 100 და მეტი წელი შეუსრულდება! მაინტერესებს, ხომ იცი, მე კი რამდენ წელს გავძლებ? წესით და რიგით, არ გამოჭირდება, რომ 200, 300 წლის და ბევრად მეტისაც გავხდე! არ დაგაგიწყდეთ, ძვირფასი ჯიშის, კაკლის ხისაგან ვარ გაკეთებული!); 3. ქორწილს (ოჯახის უფროსის კი არა, მისი შვილის ქორწილი! ან – მისი შვილიშვილისა!); 4. რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენას (სკოლის დამთავრება, დისერტაციის დაცვა, ჯარიდან მშვიდობით დაბრუნება... (მართალი თუ გინდათ, ყველაფერში ჩემი წვლილიც ძევს!); 5. ქელებს (რა უნდა ჰქნა, სამწუხაროდ, ამგვარი მოვლენაც ხდება...), ორმოცს, წლისთავს (შესაძლოა, ბოლო წლისთავი აღინიშნოს ბოლო თავში...)... ჰო, არ დამავიწყდეს: ახალი წლის მობრძანება ლხინისა და სადღეგრძელოების გარეშე როგორ იქნება?

შესაძლოა, ჩემი მონათხრობის სხვადასხვა ნაწილში იყოს რამდენიმე სხვადასხვა პირთა ძეობის სუფრა: ჯერ შვილის დაბადების აღსანიშნავი, რომელიმე მომდევნო კარში – უკვე შვილიშ-

ვილისა, შემდეგ – შვილთაშვილისა... და ასე შემდეგ: რამდენიმე იუბილე, რამდენიმე ქელები, რამდენიმე ქორწილი...

ვნახოთ, ვნახოთ, როგორ გავართმევ თავს დასახულ ამოცანას... ბევრი რამ მახსოვს, უამრავი... ვინ არ მჯდარა ჩემთან, რამდენი ადამიანის მონათხრობი მომისმენია, რამდენი სუფრა გაშლილა, რამდენი ფრთიანი სადღეგრძელო წარმოუთქვამთ, უამრავჯერ ცხარე შელაპარაკებისა და ჩხუბის მომსწრეც გახლავარ და ნაზად დაფრქვეული სააღერსო სიტყვებისგანაც ლამის დაგმდნარვარ... რამდენი ღვინო დაქცეულა ჩემს ზურგზე, ცრემლიც დაღვრილა და სისხლიც, ასევე – მეღვინეც... უამრავი ნაირგვარი თეფში, საინი, მათლაფა, ქვაბი, გობი, ტაფა, ტაშტი დაუღვამთ... დაუმშვენებიათ ჩემი ზურგი ყვავილებიანი ლარნაკით, შემოუღვამთ ნავთის ლამპა, სანთლიანი შანდალი, დროდადრო – აკვანიც... რამდენი წერილი დაწერილა, გაკეთილი მომზადებულა, წიგნი გადაშლილა, ჭადრაკის ფიგურები დაულაგებიათ, ბანქოს ქაღალდი უტყაპუნებიათ და უტყაპუნებიათ; ნარდის ჭახუნიც მომისმენია, რომელსაც შემდგომ ცოტა ხანში სადღეგრძელოები, ჭიქების ჭახუნი და ყელში ღვინის რაკრაკი მოჰყოლია...

რამდენი წლისა ვარ? აუჰ, ნუ გამახსენებთ!.. არც კი ვიცი, ჩემს ხნოვანებას საიდან დაეუწყო ანათვალნი... რაც მაგიდად გამააკეთეს, ადრეც ვთქვი, თითქმის ერთი საუკუნე გავიდა, მაგრამ მე ხომ კაკლის მასალისაგან ვარ გაკეთებული და უპრიაანია, ისიც გავითვალისწინოთ, თვითონ კაკლის ხეც მოჭრამდე რა ხნისა მოიყარა?

მირჩვენია, ძალიან შორიდან დავიწყო, უეჭველია, ჩემი საგვარეულო ფესვები საუკუნეების წინათ არის საფუძვლები.

ამბობენ (შემდგომ ამ სიტყვის ხმარება მრავალჯერ მომიწევს), დიდი ხნის წინათ, ალბათ XVIII საუკუნის დასაწყისში, კახეთის ერთ-ერთ სოფელში, კაკლანში, რომელიც ციციგომბორის დამრეც ფერდობზე იყო შეფენილი და თვალწარმტაც ალაზნის ველს გადაჰყურებდა, ერთმა გამრჯე და თადარიგიანმა მოხუცმა გლეხმა, გიორგი კაკალაძემ, შემოდგომის მიწურულს კაკლის ნაყოფი დათესა – ძალიან მოეწონა ალბათ ზომითაც და გემოთიც, უეჭველად თხელნაჭუჭაც იქნებოდა! უფრო სწორედ, მოწიფული შვილიშვილი ჰყოლია, სეხნია – გიორგი, ის წაუყვანია, ორმოც იმისთვის ამოუთხრევენება; იქვე იდგა პატარა შვილთაშვილი – ისიც გიორგი! ეს ერთი ცალი კაკალი ეზოს შუაში, გლეხური ერთსართულიანი სახლისგან ოცდაათი წყრთის მოშორებით ამოღებულ პატარა ორმოში დაფლა და შავი, ნარჩევი მიწაც მიყარა – ამგვარად “გაუპატიოსნებია”. შვილიშვილს უთქვამს: “პაპა, პირში სული ძლივ გიდგა, ამის თავი გაქვს? რა კაკლის დათესვა ამოვიჩემებია, როგორც იტყვიან, კოჭზე თოხლი გყავ გამობმული – დღეს-ხვალ მიქელგაბრიელი გესტუმრება! რაღა დროს შენი ჩირთიფრთია, დაისვენე, დაჯე აიგანზე, ათამაშე კრიალოსანი, შვილთაშვილებს ეთამაშე და ზღაპრები უამბე! შენ შენი კალო უკვე დიდი ხანია, გაღეწე, ახლა სხვებმა გამოიღონ ხელი, შენ მაინც ვერ მოესწრები ამ კაკლის დავაუკაცებას!”. დიდ პაპას შვილიშვილისთვის უთქვამს: “შვილო, იცოდე: ეს კაკალი ზუსტად იმ ადგილას დაფთესე, სადაც ორ საუკუნეზე მეტ ხანს უზარმაზარი კაკალი იდგა და ახლა კი მისი კვალიც აღარ ჩანს... ამ ორმოცდაათი წლის წინათ, როცა მამაშენი უკვე ათი-თორმეტი წლისა იყო, (ანუ XVII საუკუნის შუა წლებში) თათრებმა რომ ჩვენი სოფელი გადაწვეს და გადაბუგეს, ეს კაკალიც ცეცხლს მისცეს. რამდენი წელია, სულ ვაპირებდი აქ სანაცვლო კაკლის ნერგი დამერგო; რამდენჯერმე დავრგე კიდეცა, მაგრამ არცერთმა იხარა; მოთარეშე ლეკებისგან ხშირად გვიხდებოდა გახიზვნა და რომ ვბრუნდებოდით, ან გამხმარი იყო მოუფლელობით ან საქონლისგან თუ ავი კაცის ხელთაგან გადამტვრეული და გაუბედურებული. ახლა იქნებ თესლიდან ამოსულმა ივარგოს...

მერე შვილთაშვილისთვის მიუმართავს:

– აბა, სეხნია, ჩემო პატარა გიორგი, შენს სახელზე დავთესე, კარგი ხელი მაქვს და იქნებ ახლა მაინც არ გამიცრუვდეს იმედი. შენ გაბარებ მის მოვლა-პატრონობასა, არც მოფერება და აღერსი დააკლო, ვინძლო ღონიერი ხე გაიზარდოს და შენ და სხვებიც გაახაროს! კეთილ საქმეზე გავისარჯლოთ, ეს ერთი ხე გავახაროთ და გავაღაღოთ, რომ მხიარულად შრიალებდეს და ყველა ჩვენგანის თვალსაც ახარებდეს და გულშიც სიხარულს ჰფენდეს...

გაზაფხულზე დათესილი კაკლიდან ძლიერი, საღი ნორჩი ნაზარდი მუქ მწვანედ ამოიწვერა და სწრაფად იწყო ზრდა. ბერიკაცი შვილთაშვილთან ერთად ყოველ საღამოს საგულდაგულოდ რწყავდა, ონავრებისა და საქონლისგან დასაცავად არც წნელის ღობის შემოვლებას დაზარდა...

კაკლის ბაყილო უფასებდა ამაგს: სწრაფად, ხარბად მიიღტვოდა მალლა-მალლა – ცისკენ!

პაპა ხშირად ჩერდებოდა მის ძირთან, შვილთაშვილს, გიორგის, დაუძახებდა და დაატოლებდა...

– დახე, როგორ აფასებს შენს ზრუნვა-აღერსსა, რა ცოცხლად, რა ღონიერად იზრდება და ტანთ ივსება! მის ამ დავაუკაცებას რომ თვალს ადევნებ – გიხარია, ჩემო გიორგი, და შენც იზრდები მასთან ერთად! ჰოდა, როგორ ფიქრობ – მასაც უხარია, მაშა! ფოთლებს აშრიალებს, გესაუბრება, მადლობასაც გეუბნება!

პირველ წელს ნორჩმა კაკალმა მუხლამდე უწია “პატარა” გიორგის, შემდეგ წელს ჭიპამდე, მერე და მერე – მხრამდე... წელი წელს მისდევდა და თანდათან კაკალი პატარა გიორგისთან

ერთად იზრდებოდა, მაგრამ მალე გადაასწრო სიმაღლეში: მის თავსაც ასცდა, აწეულ ხელსაც – ჰეი!..

კაკალი ათი წლისა შესრულდა, როცა პირველი ნიშანი გამოიღო – ორი ცალი ნაყოფი სულ წვეროკინაზე! შვილთაშვილი გიორგი უკვე წვერაბიბინებული გაჟაკი იყო!

როგორ გაახარა დამრგველი პაპა და მისი შვილიშვილი და შვილთაშვილებიც!

დიდი პაპა ახლაც ხშირ-ხშირად მივიღოდა კაკლის ნორჩ ხესთან, თვალმოჭუტვით სიყვარულით ახედავდა:

– არა, არ მეგონა, თუ მოვესწრებოდი!

შემდეგ წელს მეტი დაისხა, მერე – მეტი და მეტი!

იმასაც ამბობენ, რომ პაპამ ას წლამდეც მიაღწია და კაკლის ნაყოფით ბარაქიანად დასხმასაც მოესწრო.

კაკალიმ განა მხოლოდ სიმაღლეში იზარდა, ნელ-ნელა ვარჯი განზეც გაზიდა, თითქოს გაფუფუნა, ბურთივით დამრგვალდა.

წელი წელს მისდევდა, კაკლის ცხოვრებაში კი, ერთი შეხედვით, არაფერი იცვლებოდა. გაზაფხულსა და ზაფხულში ეზოში საამო ჩრდილს აფენდა “დიდი გიორგი პაპას კაკალი”, შემოდგომის პირს კი ტოტებს ჯერ ქვევიდან ესროდა დიდ-პატარა ქვებსა თუ ჯოხებს, რათა ნელდი ნიგეზით პირი ჩაეკოკლოზინებინა; ერთ-ორ კვირაში კი, ქარიანი ამინდის შემდეგ, დილაადრიან ერთმანეთს ადგომას ასწრებდნენ გოგო-ბიჭები, რომ ჩამოცვენილი კაკალი აეკრიფათ; მერე კი, ერთ მიზანს, წყნარ დღეს ყვითელ და ჟანფისფერმოკიდებულ მის რტოებს გამეტებით ურტყამდა ხალას და შემორჩენილ ნაყოფს ბერტყავდა საგანგებოდ მოწვეული, ხეებზე ძრომილაში დახელოვნებული, გრძელხელება ჯეელი...

რთვლობის დაწყების შემდეგ ეზოში ავარდებოდა ლურჯი, მცხუნვარე ალი, მოკლე ხანში ცეცხლზე შემოდგმულ დიდ ქვებს ასლიოდა მოჩიფჩიფე თათარას საოცრად სასიამოვნო სურნელი, გარშემო შემოჯარულ ბაღლობას დიდება უწყებოდა, ფრთხილად იყავით, ნუ სულსწრაფობთ, ყველას ამოგავლებინებთ ჩურჩხელებსო...

რამდენი ღხინის გრძელი სუფრა გაშლილა კაკლის დალოცვილ ჩრდილში, ბევრიც უფრო მოკრძალებული – კაკლის ძირში დაფენილ ფარდაზე, ფეხმორთხმით რომ შემოუსხდებოდა რამდენიმე კაცი, ზოგი კი მხარ-თეძოზე წამოწოლას ამჯობინებდა ძველი რომაელი პარტიციპივით... (ნუ გიკვირთ ჩემი ასეთი “განათლებულობა”; როგორც მოგახსენეთ, ასი წლისა გახლავარ და რაღა არ მომისმენია ჩემი სტუმრებისგან!).

საინტერესოა ხომ, როგორი ოჯახია? ერთ დროს გადმოსახლებულია ამ სოფელში თუ ძირძველია? როგორია კაკალაძეთა გვარის წარმოშობა? ალბათ კაკალაძეები მათ იმიტომ ეწოდათ, რომ ამ ოჯახის მამაკაცებს ჩვეულებად ჰქონდათ პატარა კაკლის სანერგე მოეწყობთ და ყოველ შემოდგომას ან გაზაფხულს ახლობელ-მეგობრებსაც, სხვა სოფლებიდან მოსულ მსურველებსაც უსასყიდლოდ აძლევდნენ კაკლის ორ-სამ ნერგს – ეზოში თუ ვენახის კიდეზე დასარგავად...

კაკალაძეთა სოფლურ ეზოში მთელი დღე ჟრიაშული ისმის...

კაკლის მეფურად გაშლილ-გაფუებული ვარჯის ქვეშ ერთმანეთს ენაცვლება:

დღისით: ბავშვთა თამაში და ჟივილ-ხივილი, ნარდის კამათლების გაგორება და ქვების ეშხინი ჭახუნის დაფაზე...

საღამოს: უფრო ხშირად – საუბარი, ზოგჯერ – სიმღერა-თამაშობა, ღხინი, ქორწილი...

ღამით კი: შეყვარებულთა პაემანი (ციცინათელები რომ გარშემო დაფრენენ, ცნობისმოყვარე მთვარე კი ცდილობს, კაკლის ხშირ ფოთლებში სხივი ჩამოაპაროს...), იშვიათად, როცა მტრის შემოსევის გამო გახიზნულია სოფელი, ყაჩაღთა შეხვედრა...

ათასგვარი ამბავი მოუსმენია და უამრავი მოვლენის უშუალო მომსწრეა, ბევრი რამის გახსენება შეიძლება...

რა თქმა უნდა, იმ წარსულ ათწლეულებსა და საუკუნეებს არ მოვსწრებივარ, თვითონ არ მინახავს, მაგრამ შემიძლია, წარმოვიდგინო, როგორ ცხოვრობდა კაკალი, რას ხედავდა, რას გრძნობდა...

გაზაფხულზე საკმაოდ გვიან შლიდა კვირტებს, დაჩეკავდა შიშველ ტოტებზე სურნელოვან წებოვან მწვანე ფოთლებს; თანდათან ის ტოტები მხოლოდ აქა-იქ თუ ჩანს, ისეთი ხშირი ზურმუხტითაა შეპურვილი მთელი ხე – ერთი დიდი, უზარმაზარი მწვანე ბურთია! საამოდ აშრიალებს ნიაგი მის რტოებს, რტოთა ბოლოებზე – მცირე მწვანე ბურთულებს მომავალი ნაყოფებისა; დაფრთხილობენ და დაჟღურტულებენ ათასგვარი უხილაგი ჩიტები, მხოლოდ მათი ხმებით გამომცნობი თუ მიხედება – რომელი... ყველაზე ცხელ დღესაც კი გრილა კაკლის ჩრდილში, ღოცავენ მის გამხრებელ-გამზრდელს დაბალ ბალახზე ჩამომსხდარნი, ზოგიერთნი – ნებიერად გაშხლართულნი კიდევ, ხან კი – გვერდულად წამოწოლილნი... გასცქერიან შუადღის თაკარით თითქოსდა წადღანნილ ნახატს სახლებისა, დობე-ყორეებისა, ბაღებისა... ხანაც – ზურგზე დაწოლილნი, თავქვეშ ხელებამოწყობილნი, ხედავენ ნაირგვარ მწვანედ ატოკებულ ფოთლების მოთიმთიმე ზღვას, ალაგ – მზის სხივებით აელვარებულს, ალაგ – ცის კაშკაშა ლურჯ ნაფლეთს... დაედლებათ მზერა, მიღუღავენ თვალს და ახლა ნიაგი ნაზი ხელებით ელაპუნებათ სახეზე, მო-

აქვს სოფლის ხმები: ქალთა გაურკვეველი ლაპარაკი, კაცთა ბუბუნი, ბავშვთა მხიარული ჟრია-მუხლი – ყველაფერი კი ეწვნება ჩიტთა უზრუნველ ჭიკჭიკ-გადაძახილს...

ღიახ, ორას წელს აშრიალებდა ტოტებს კაკალი, შემოდგომაზე ყვითელი ფოთლების ხალი-ჩით ალამაზებდა მის ქვეშ მიწას, ზამთარში ცივი ქარი დაშლივინობდა შიშველ ტოტებში, გაზაფხულზე კი კვლავ ხასხასა ზურმუხტისფრად ამწვანდებოდა, უზარმაზარი მწვანე ბურთი საამო ჩრდილს ჰფენდა...

ფრინველები აკითხავენ კაკლის ტოტებს – მაღლიდან შორეთი კარგად ჩანს!..

მერე კი ბერ კაკალს ნელ-ნელა სიბერე შეეპარა, ალაგ-ალაგ ტოტები გაუხმა...

ერთ წელიწადს კი შერჩენილ, ჯერ კიდევ ცოცხალ ტოტებზე, თითქოს გამოსამშვიდობებლად, უჩვეულოდ ბევრი მოისხა, შემდეგ წელს კი სიბერემ და არნახულმა გვაღვამ თავისი ჰქნეს – ბებერი, მრავალ ჭირგამოვლილი, უზარმაზარი კაკლის ხე საბოლოოდ გახმა!

XX საუკუნის დასაწყისი იყო, 1905 წლის გაზაფხული, როცა კაკალმა დაამთავრა სიცოცხლისთან ყოველგვარი კავშირი და მცირე ყლორტიც კი აღარ აუმწვანებია – მხოლოდ შიშველ, ხმელ ტოტებს იშვერდა ცისკენ...

კარგა ხანს იდგა ასე გამხმარი, გაშაგებული, სამუდამოდ დადუმებული... მხოლოდ ქარი წუოდდა მის შიშველ ტოტებში.

ოჯახის უფროსი, გიორგი კაკალაძე, რამდენჯერაც შეხედავდა გამხმარი კაკლის ხეს, ხეშეშ ხელისგულს მოუსვამდა მის გლუვ ტანს და ერთგვარი სინულით იტყოდა: “მომავალ კვირას კი შეჭველად მოვჭრი!”... მაგრამ წელიწადი წელს მისდევდა და ასე, დღეხვევალიობაში, გამხმარი კაკლის მოჭრას საშველი არ დაადგა. ასე გავიდა თითქმის ათი წელიწადი.

ერთი ზამთრის დამდეგს კი საშინელი ყინვები დაიჭრა. იმ წელს შეშის მომარაგება ვეღარ მოახერხეს – ვინც კი ჯეელი იყო ოჯახში, ყველანი სამხედრო სამსახურს იხდიდნენ და ჩვეული სურათი უცებ შეიცვალა: ერთ დილას მეზობლების დახმარებით, ცულების რაკარუკში, კაკლის ხე წამოაქციეს... მთელი დღე კი მოუნდნენ – ხე კარგად კი იყო გამომშრალი, მაგრამ ძლიერ მსხვილი და მაგარი ტანი კარგა ხანს არ ეპუებოდა რიგრიგობით მომუშავე სამ ნაჯახიან ჯანიან მამაკაცს. გამიგონია: მცენარეები გრძნობენ, როცა ხესთან მიდიან მოსაჭრელად, იგი ცახცახებს, ეშინია და მეზობელი ხეც კი განიცდის და უთანაუგრძნობს... გვერდზე ხე მეზობლად კაკალს არასდროს ჰყოლია (მხოლოდ მოშორებით, ღობის გასწვრივ, იყო ჩარიგებული ალუჩები და ტყემლები) და თვით კაკლის ”ხორცი” კი იყო დარჩენილი, მაგრამ გამხმარ-გამომშრალის ”სულს” რაღა უნდა განეცადა...

თუმცა, უკვე დიდი ხანია, მიეჩვივნენ გარდაუვალ მოვლენას (ღიახ, კაკლის საბოლოოდ გაქრობა მისი ორსაუკუნოვანი “მარადი” სამყოფელიდან მართლაც მოვლენა იყო!) – წამოქცეული ხის ზორბა ტანის მიწაზე დაცემის ბრავგანმა და ტოტების ლაწალუწმა, უცებ ეზოში დასადგურებულმა უჩვეულო სიცარიელემ კაკალაძეთა ოჯახის წევრთა სულებშიც სიცარიელე და ტკივილი წარმოშვა...

გაყინულ მიწაზე წამოქცეული კაკლის ხის ჯერ წვრილ-წვრილ ტოტებს ხმარობდნენ ღუმელის გასაჩაღებლად, შემდეგ მათი მიმყოლი საშუალო ზომისანიც უკვე ცეცხლის ლუკმა გამხდარიყვნენ და სადაცაა, ტანსაც დაჩეხვა ელოდა, რომ ბედად ქალაქელმა სირაჯმა, მიხუა ნემსიყუნწაძემ, ჩამოიარა. ისიც ამ სოფლიდან იყო, კარგა ხნის წინათ ქალაქს წასულიყო ბედის საძებრად, იქ ღვინით ვაჭრობას მოჰკიდა ხელი და გვარიანადაც გამართულიყო წელში. ყოველ წელს ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისში გამოჩნდებოდა სოფელში, ჩამოიტანდა გასაყიდად ან გადასაცვლელად ქალაქურ საქონელს, სოფლელებისგან ღვინოს ყიდულობდა და ურმებზე დადებული რუმბებით ქალაქს მიჰქონდა ხოლმე. გიორგის მისი ვალი ჰქონდა; ვალის ნაწილი ღვინით გაისტუმრა, დანარჩენს კი აღარ იცოდა, რა ეშველებოდა. ვაჭარმა რომ ოჯახში ვერაფერი ღირებული ნახა, გიორგის შესთავაზა ვალის დარჩენილი ნაწილის ანგარიშში მისი უმცროსი ბიჭის, თექვსმეტი წლის სიმონის (რომელსაც შინაურობაში სოსოს ეძახდნენ), ერთი წლით მოჯამაგირედ წაყვანა და კაკლის მორის მისთვის დათმობა. ეტყობა, კაკლის ხის მასალის ფასი კარგად უწყოდა; ბიჭიც მოეწონა, კალმახივით ყმაწვილი: მკვირცხლი, ცოცხალი, მოძრავი, მოუსვენარი! გიორგის უთხრა: “სოფლის მღოვრე ცხოვრებაში რა უნდა, ქალაქს წავიყვან, იქ ყოველდღიურ ცინცხალ, სწრაფ ღინებაში უკეთ იგრძნობს თავს”...

კარი III. vaVAr na mo Wil i xe qal aqs wano iRo da o ri nagi da gaakeTebi na

ამრიგად, კაკლის მორი დაუდეს ურემზე და, ღვინის რუმბებთან და ახალ მოსამსახურე ბიჭთან, სოსოსთან ერთად, ქალაქის გზას გაუყენეს...

ორ წელიწადს კაკლის მხვილი მორი მიხუა ნემსიყუნწაძის ღვინის გრილ სარდაფში ინახებოდა და იქ ერთხანს მომღვინეთათვის სკამის მაგივრობასაც სწევდა.

ღვინის სარდაფის სტუმართაგან ერთი ჩუმი, მორიდებული კაცი ყველასგან გამოირჩეოდა. მაღალი, გამხდარი მხატვარი სირაჯის შეკვეთას ასრულებდა – დიდ ფირნიშს: “კახური ღვინო. მი-

ხუა ნემსიყუნწაძე”. თუ მიიპატივებდნენ, სხვებთან ერთად მაგიდას არასდროს მიუჯდებოდა, თავისთვის მიიყუებოდა სარდაფის კუთხეში და იქვე პატარა სუფრაზე თავისთვის მოილხენდა, – შინაგანად გულჩაკეთილი, საკუთარ ფიქრებში ჩაფლული, – თითქოს ამ სარდაფში იყო კიდევ და არც იყო...

მიხუამ შემდეგ, არცთუ უსაფუძვლოდ, იფიქრა: აქ, სარდაფში, მორი სინესტიგან არ დამიღპესო და ეზოში, მშრალ ფარდულში გადაიტანა, სადაც ცარიელ კასრებს, ათასგვარ ძველმანს და ზამთრისთვის ნაყიდ შეშას ინახავდა.

სირაჯს ბევრი საქმე ჰქონდა, მორისთვის სად ეცალა, გადაავიწყდა კიდევ მისი არსებობა; ერთხელ, ფარდულში შესულმა, თვალი შეაგლო და ძველი განზრახვა გაახსენდა, გადაწყვიტა: “ორი შვილი მყავს და მათთვის ორ მაგიდას გავაკეთებინებ!”.

კაკლის მორი მიხუამ დაახერხინა, ფიცრები კარგი გამომშრალი გამოვიდა; შემდეგ ისინი ავეჯის ცნობილ ოსტატს მიუტანა და ხელოსანმა მშვენიერი ორი კაკლის მაგიდა გააკეთა.

როგორც იტყვა, მიხუა სირაჯს ორი შვილი ჰყავდა: გოგო, მაკრინე, და ბიჭი, ომან – და მათ ეს ორი მაგიდა აჩუქა: “მარცხენა ხელი ჩემი ბიჭისაა, მარჯვენა ხელი გოგოსია!”.

მაგიდები – მე და ჩემი ტყუპისცალი – თითქმის ერთნაირები გამოვედით, ოღონდ ოსტატმა მომავალი პატრონების სურვილი და გემოვნება გაითვალისწინა: მაკრინესთვის დახუჭუჭებულ-მოჩუქურთმებული გააკეთა, მეორე – უფრო სადა და ერთგვარად თავშეკავებულად დახვეწილი (ომანმა უთხრა ხელოსანს: “ბიძაჩემო, შენს გემოვნებას ვენდობი და როგორსაც შენთვის ინდომებდი, ჩემთვისაც ისეთი გააკეთე!”).

ომან ნემსიყუნწადისთვის განკუთვნილი მაგიდა განსაკუთრებით ლამაზი და დახვეწილი გამოვიდა – სწორედ ის (ანუ მე) ჰყვება ახლა ამ ამბავს!

ღიახ, მე ომან ნემსიყუნწაძე მერგო პატრონად. მაკრინე მალე გათხოვდა, სოსო კაკლაძემ ითხოვა და მეორე მაგიდა, პატარძალთან ერთად, კაკლაძეში მოხვდა... კაკლის მორის ერთი ნაწილი, უკვე გამშვენიერებული სახით, კაკლაძეში დაბრუნდა!

ამრიგად, კაკლის ხისგან დარჩა ორი მაგიდა და კიდევ მოგონება: სოფელში, კაკლაძანთ ხსოვნაში – როგორი იყო დიდებულად ვარჯგადაფენილი ორსაუკუნოვანი კაკალი! დასანანი, რომ ეს კაკლის ხე მხატვრის ფუნჯით არ უკვდავყოფილა, მისი ფოტოსურათიც კი არ არის დარჩენილი...

როგორ მოხდა მაკრინესა და სიმონის, იგივე – სოსოს – ქორწინება? ვისგანაც სირაჯმა კაკლის მორი წამოიღო, იმ გლეხის, გიორგი კაკლაძის ბიჭი, სიმონ, იგივე – სოსო, შეთანხმების თანახმად, ერთი წლით უფასო ხელის ბიჭად იღვა მიხუასთან, მერე კი, ისევე ურთიერთ შეთანხმებით, სოსომ განაგრძო მოჯამაგირეობა უკვე მისთვის ჯამაგირის მიცემით... გავიდა რამდენიმე წელი; სოსოს მიხუას ქალიშვილი, მაკრინე, შეუყვარდა, ქალიშვილმა უთანაგრძნო და მისგან დაფეხმძიდა...

ადვილი წარმოსადგენია, მიხუა როგორ ძალიან გაწყრა, როცა მისი მოსამსახურე ბიჭი, რომელსაც დღეში ხუთჯერ წამოარტყამდა ქეჩოში და შვიდჯერ მაინც დაუყვირებდა, ერთ მშვენიერ დღეს მისი ქალიშვილის ხელის სათხოვნელად ეახლა! როგორც იტყვიან ხოლმე, ქოში სულ უკუღმა ჰყარა! თავდაპირველად ოჯახის შემარცხენელი ქალიშვილის შინიდან გაგდება და სოსოს ერთი გემრიელად ცემა და კინწისკერით გაგდება უნდოდა, მაგრამ ცოლმა, ფეფომ, რომელიც ქალიშვილს თანაუგრძნობდა, მიხუას უთხრა:

– მიხო, სოსო მშრომელი და პატიოსანი ბიჭი ჩანს...

ქმარმა ამ სიტყვებზე შეუღრინა:

– პატიოსანი, როგორ არა, მაგის თავის გახეთქვამ, კაიკაცობა თავზეც გადასდის! ჩემს ხელში გაიზარდა, დავაჟკაცდა, ასე გადამიხდა ამავი?

– შეუყვარდათ, კაცო, ერთმანეთი!.. დაფიქრდი: ჩვენს ქალიშვილს სხვა ვინდა ითხოვს? თანაც ბიჭი შენი სოფლელია, მის ოჯახს კარგად იცნობ, უნდა სამტროდ გადაიკიდო? დიდებულ დვინოს სულ იაფად გაძლევენ ხოლმე, ამ დვინით იწონებ თავს გამორჩეული მუშტრების წინაშე... რად გინდა, ხათაბალაში გაეხვიო და თან ზარალიც ნახო?

მიხუას ცოლის რჩევა ჭკუაში დაუჯდა და გადაწყვიტა, მაკრინე ცოლად მიეცა სოსოსთვის, ოღონდ სიძე დაითხოვა სახლიდან, ქალიშვილს კი უთხრა:

– ხომ გინდოდა გლეხუჭას გაჰყოლოდი, აგისრულდა ოცნება! წაბრძანდი ახლა სოფელში და კაკლაძეში იცხოვრე მიწისბანიან სახლში, კუთხეში რომ შემოკავებულში ზამთრობით საქონელიცა ჰყავთ – ძროხების ფშვინვა და ფუნის სურნელი დაგატკობს...

მიხუამ ქალიშვილის არც ქორწილის გადასახდელად, არც შესაფერისი მზითვისთვის თავი არ შეიწუხა, მხოლოდ ადრევე ნაჩუქარი ის მეორე მაგიდა სოფელში, კაკლაძეში, გაატანა. მას შემდეგ ჩემი ტყუპისცალი აღარ მინახავს, არც ის ვიცი, ცოცხალი თუა და რა დღეში იმყოფება...

როგორც მოგახსენეთ, მეორე მაგიდა მას შემდეგ აღარ მინახავს და არც მისი ამბავი მსმენია, მე კი ამდენი ხნის შემდეგაც, ამ ბოლო დრომდე, მკვიდრად ვიდექი ოთხივე ფეხზე – კარგად შემკრეს! არც ვჭრიჭინებდი, არც დაგბრეცილვარ – კარგმა ოსტატმა გამაკეთა მშვენიერი მასალისგან – ბოლომდე გამომშრალი კაკლის ხისგან!

მიხუა სირაჯს თვითონაც მალე მოუწია ქალაქის დატოვება მის ვაჟთან ერთად...

რატომ და რისთვის, ამას მოგვიანებით ჩაგიკაკლავთ, მანამდე კი მინდა, ცოტა ხანს განყენებულ საგნებზე ვილაყბო... მოუთმენელ მკითხველს ვურჩევ, მომდევნო თავს ახლავე მიაკითხოს!

“მაგიდა” – როცა ამ სიტყვას ვხმარობთ, ყველას თავისებურად ესმის საკუთარი გამოცდილების, გემოვნების, წარმოდგენის და ასე შემდეგ კვალობაზე. მხოლოდ გრამატიკის სახელმძღვანელოებში და ლექსიკონებშია ეს სიტყვა უფერული და უსუნო, უზომო და უსახო, ლაპარაკში კი სულ სხვადასხვანაირია – ერთი პირის საუბარშიც კი – ქვეტექსტის მიხედვით; განყენებულად თითქმის არ ვხმარობთ, როგორც მცნებას.

უკვე ვთქვი, თავიდანვე ყველას მოვწონდი, მაგრამ ჩემს საკმაოდ დასახასიათებლად განსაკუთრებულია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ კაკლის ძვირფასი მასალისგან ვიყავი გაკეთებული და არ ვიყავი არც დაბრეცილი და არც ვჭრიჭინებდი? მე მგონია, ღირსი ვარ, რომ მკითხველმა უფრო ახლოს გამიცნოს, ბოლოს და ბოლოს, მთელი წიგნის დამწერი სხვა მაგიდა თუ გინახავთ?

შემძლო, თავიდანვე შემომეთავაზებინა პაროდიული ტრაქტატი თუ “დისერტაცია” – როგორი ზურგი და ფეხები უნდა ჰქონდეს მაგიდას? რომელი უფრო მოუხდება? შესაძლოა, კამათი თუ კონსულტაციები – “სპეციალისტთან”, ხელოსანთან, ხელოვნებათმცოდნესთან...

ჰო, თითქმის ყოველივე – სულდგმულიც და უსულოც – ფეხებზე დგას და უპრინია, ფეხებით დავიწყო, როგორი ჯობს?

ლომის თათების ფორმისა? კარგია!

არწივის ფეხებისა, კლანჭებიანი? ამასაც არა უშავს!

ცხენის ფლოქებისა?

უბრალო, სადა – ხერხით მოჭრილი?

ბალერინასი? არ ივარგებს... თუმცა, რატომაც არა?

ფეხებით ჩანს მაგიდის ხასიათი! უფრო – მისი გამკეთებლისა!

ოთხი ფეხი მაქვს და ერთი ზურგი – ერთი შეხედვით სულ ესა ვარ! ზურგი მრგვალია დედა-მიწასავით, უფრო სწორედ – მზესავით ან სავსე მთვარესავით; შედგენილია ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმული ორი ნაწილისგან და როცა საჭიროება მოითხოვს, შეიძლება მისი გაშლა და შუაში ჩადებული ოთხკუთხა, ორად მოკეცილი ფიცრის გაშლა და ჩადგმა – დიდად ვიზრდები სიგრძეში! ორჯერ მეტი კაცი ეტევა და სტუმრიანობის დროს მშლიან ხოლმე! ფეხები მაქვს მოღუნული, ფიგურული, ჩუქურთმებით შემკული... დიახ, ოთხი ფეხი კი მაქვს, მაგრამ სიარულის სიამოვნებას მოკლებული ვარ: რა თქმა უნდა, სულიერ არსებათა მსგავსად, დამოუკიდებლად, გუნებისად, წასვლა-წამოსვლას თუ გასეირნებას ვგულისხმობ... ამის მუხედავად, ბევრი ვიმოგზაურე და უამრავი რამ მაქვს ნახული და გაგონილ-მოსმენილი.

ჩემი მოგზაურობები უცნაურად წარიმართებოდა ხოლმე! ერთ ადგილას კარგა ხანს, მრავალ წელს, ყოფნის შემდეგ, უცებ დამძრავდნენ და სხვაგან გადამიტანდნენ – სხვა ოთახში, ან სხვა ბინაში... თუკი იმავე ბინაში სხვა ოთახში გადამიტანდნენ – დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად, ამას მოგზაურობად არ ვთვლი; ან ჩემს მცირე გადაადგილებას ბინის შეკეთების ან დახვეტის თუ იატაკის მორეცხვის დროს. კი, ძველთაძველი მაგიდა ვარ უკვე, დანჯღრეული, მოდიდან გასული, მაგრამ ვერ მეღვეიან: გადასვლის დროს ყოველთვის თან გადამიტანენ ხოლმე.

ოჯახის წევრებს უყვარდათ ჩემს გარშემო შეკრება და საუბარი.

ბევრი რამ მახსოვს, ძალიან ბევრი...

ვიწყებ თხრობას იმ დროიდან, როცა მე ერთმა ხელოსანმა გამაკეთა პაპის დაკვეთით.

ნუ დამძრახავთ, თუ დაწყობილი, თანმიმდევრული არ იქნება ჩემი საუბარი – როგორც მოგახსენეთ, სიცოცხლის მიწურულს მივალწივ და როგორც გამახსენდება, ისე მოვეყვები...

შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები... – მათი გაჩენა, ზრდა, დაფრთიანება, გზის მოძებნა ცხოვრებაში – ყველა მოვლენის მომსწრე და, შეძლებისდაგვარად, მონაწილეც ვარ.

მთელი ოჯახის ისტორია გაივლის ჩემს “თვალწინ” – ყველაფერს ვუსმენდი, რასაც ლაპარაკობდნენ, რაზეც ბჭობდნენ...

ოჯახის ისტორიაში, ნაწილობრივ მაინც, აირეკლება ქვეყნის ისტორიაც.

ვიხსენებ:

დროდადრო ძალიან დამცხებოდა – ჩვილის საფენებს აუთოვებდნენ ჩემს ზურგზე...

როგორ სწავლობდა ბავშვი ხელში კოვზის დაჭერას...

როგორ წერდნენ ბავშვები პირველ ასოებს ქათქათა რვეულებში...

მახსოვს ლექსების კითხვა...

მძაფრი საოჯახო კამათები სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ “ფილოსოფიურ” საკითხებზე...

მეგობრების სტუმრობა, საუბრები...

ფინალი: ძველები წავიდნენ, საშუალო თაობა აქეთ-იქით დაიფანტა, ახალგაზრდებს კი მაგიდა აღარ მოსწონთ – ახალ ბინას არ უხდებათ, “თანამედროვე სტილის” ავეჯი უნდათ...

გამომცვლიან, სხვას ამჯობინებენ – თანამედროვეობას უფრო შეესაბამებაო...

მე კი მიხარია კიდევ მათი დატოვება: რა ხანია, ჩემს გარშემო არც ტკბილი ოჯახური საუბარი იმართება, აღარც მუსიკას თუ სიმღერას უსმენენ, არც ლექსებს კითხულობენ, არც მეგობრული ღვინო იმართება – მხოლოდ ფულზეა ლაპარაკი, მოდებზე.

მახსოვს: მთვარის სხივების მაქმანი მაგიდაზე.

მახსოვს: ყველა არა, მაგრამ უამრავი გაწყობილი სუფრა, მისი მხიარული სტუმრები...

მახსოვს: რამდენიმენაირ ლარნაკში – ყვავილების თაიგული, ყველა განსხვავებული და ყველა მშვენიერი...

მახსოვს: უამრავი ადამიანი, ჩემთან მჯდარი, ბევრსაც ვეღარ ვიხსენებ... რის შესახებ არ ტრიალებდა საუბრის ძაფი და, ზოგჯერ, კამათის შუბებიც: პოეზიაზე, პოეტებზე, ჰუმორზე, გარსკვლავებზე, მოწყენილობაზე, ხალხზე, სამართლიანობაზე, თავისუფლებაზე, სიყვარულზე, მიწაზე, ქალებზე, კაცისა და ქალის ურთიერთობაზე, წიგნებზე, მთვარესა და მზეზე, ღრუბლებზე, ზამთარსა და ზაფხულზე, ბავშვებსა და მოხუცებზე, ზღვასა და მთებზე, ჩიტებსა და ყვავილებზე, გამრიფელ კერძებსა და ღვინოზე, თეატრსა და მსახიობებზე, ფეხბურთსა და ომზე, მეცნიერებასა და პოლიტიკაზე, ძაღლებსა და კატებზე... რა გაიხსენებს ყველაფერს!

ზოგჯერ დალაგდება ძველი ფოტოები მაგიდაზე – თითო ფოტო მთელი ამბავია!

უამრავი ღვინო: სადღეგრძელოები – ტრადიციული ზოგადი თემები (სამშობლო, ოჯახი, წინაპრები, დედ-მამა, დედმამიშვილები, შვილები და შვილიშვილები, ბავშვები, მშვიდობა, მეგობრობა, სიყვარული, სიკეთე და კაიკაცობა, ხელოვნება...), პერსონალური პორტრეტები: ირონიულ-შესხმითი დახასიათება, სხვადასხვა მხიარული ამბები...

მოგეხსენებათ, ყოველ ოჯახს (ასევე – ერს, სახელმწიფოს...) აქვს საკუთარი სტილი ცხოვრებისა; ყოველ სამზარეულოში საკუთარი, სპეციფიკური სუნი ტრიალებს, რომელიც შეიძლება, მისაღები ან მიუღებელი იყოს ამ ოჯახში დროებით თუ მუდმივად მოხვედრილი ადამიანისთვის...

ეს განსხვავება ძალიან კარგად ვიცი და მოწმე ვარ მაგიდის გარშემო გამართული ტკბილი საუბრებისა და გაანჩხლებული ყვირილისაც.

განსაკუთრებით რთულდება მდგომარეობა, როცა ოჯახს ახალი წევრი დაემატება – რძალი ან სიძე... ურთიერთ შეგუება სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს – ორივე მხარე ან ერთმანეთს ეჩვევა, ან მათი ურთიერთობა მუდმივ დაპირისპირებაში, მუდმივ დაძაბულობაში და, არცთუ იშვიათად, სიძულვილში გადაიზრდება.

ისევ და ისევ მაგონდება: რა ლაგდებოდა ჩემს “ზურგზე”?

მოწაფეთა რგეულები და წიგნები, სამელნე... სამელნე ერთია, (მეორე და მესამე დაკარგეს) და ბავშვებს ხშირად აქვთ ძიძგილაობა მის დასაუფლებლად, ამასობაში მელანი იღვრება, გაუვა სუფრას და კიდევ უფრო მიჭრელებს ისედაც დალაქავებულ ზურგს...

ბანქო;

საჭმელ-სასმელი: ჩვეულებრივი – დღეში რამდენჯერმე, გამორჩეულად მდიდარი და მრავალფეროვანი – განსაკუთრებული შემთხვევების დროს: სტუმრობა, დღეობა, დღესასწაული და სხვა მსგავსი;

საკერავი მანქანა (ხანდახან) – მისი ტიკტიკი...

უთო (საკმაოდ ხშირად);

ყვავილების ლარნაკი (ვგონებ, ყვავილების ლარნაკი აღრეც ვახსენე; მიყვარს ყვავილები! მავანის დაბადების დღის დროს და შემდეგ რამდენიმე დღეც, სანამ ყვავილები არ დაჭკნება – გაზაფხულზე ჩამოეფინება ჩემს ზურგს ჩამოცვენილი ფურცლები ვარდისა...);

ლაშა, სანთელი (როცა ელექტროდენი არ არის).

საკმაოდ ხშირად კატუნია ამოხტებოდა ჩემს ზურგზე, კუდს შემოიგორგლავდა და თვლემდა.

ტკაც! – რამდენი ჩემს ზურგზე დამჯდარი აბეზარი ბუზი გამოუსალმებიათ სიცოცხლეს ბუზის სახოციოთ, გაზეთისა თუ სხვა რამ ამისთვის მოსახერხებელი საგნით!

ზოგჯერ ჩემს ზურგზე ფეხებითაც შემდგარან, როცა ახალი ჭადი ყოფილა ჩამოსაკიდებელი ან, უფრო ხშირად, გადამწვარი ნათურის გამოცვლა გამხდარა საჭირო.

რამდენჯერმე ისეც მომხდარა, რომ შეზარხოშებულ მომღვინს მაგიდაზე ახტომა და იქ ხელგაშლით ცეკვა მოსურვებია; ამას კიდევ ავიტანდი, მაგრამ როცა მისი ამფსონიც ამოხტებოდა (ზოგჯერ – მეორე-მესამეც, ვაი ჩემი და ჭურჭლის ბრალი!) და ორივენი ერთ ამბავში იყვნენ, მაშინ ვიყავი ცოდეა! და ალბათ ყველაზე უფრო ამგვარმა დროსტარებამ მომარყია დროთა განმავლობაში და, ბოლოს, სამწუხაროდ, ჩივილ-ჭრიჭინიც დამაწყებინა... თორემ მე რას დამაკლებდა ზოგჯერ დოლის მაგივრად გამოყენებისას ჩემს ზურგზე ხელისგულების ბრაგუნი ან, მით უმეტეს, ბანქოს ქაღალდის დატყაპუნება... მართალია, ოჯახის გაბრაზებული უფროსის მუშტის დარტყმაც მიგმენია, მაგრამ ისიც არაფრად მიმიჩნევია.

ოჰ, აცაბაცა მოგონებებმა რა შორს გამიტყუეს! ხომ არ ჯობს, ასე თუ ისე დალაგებულ-დაწყობილად მოგვეყ?

კარი IV. დიდი ომი. რევოლუცია. შიში ქალაქში (1914-1921 წლები)

დადგა 1914 წელი და დაიწყო დიდი ომი, რომელიც თითქმის მთელ მსოფლიოს მოედო, რასაც მოჰყვა საშინელი ხოცვა-ჟლეტა; წამოიწყეს ის დიდმა ღლაგმა სახელმწიფოებმა, იმ იმედით, რომ კიდევ მივიტაცებთ ტერიტორიებსა და ნადავლსო და უცებ უსაშველოდ აირ-ღაირია ყველაფერი...

საშინლად გაძვირდა აუცილებელი საქონელი: ნავთი, სანთელი, შაქარი, შეშა... ბევრი რამ საერთოდ გაქრა. პურის მაგივრად შესახედავადაც კი საშინელ, რაღაც გაურკვეველი შემაღვენლობის "აგურებს" ჰყიდიან, იმასაც – ცეცხლის ფასად...

გაჭირვება უფრო და უფრო მატულობს.

სულ ამაზეა ყოველდღიური საუბარი: ტფილისის ლაზარეთები გადავსებულია დაჭრილებით, თურქეთის მორღვეული ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები დაერივნენ სამიკიტნოებს, ღვინის სარდაფებს, მაღაზიებს, საროსკიპოებს... გავეშვებულნი იტაცებენ, რასაც კი ოდნავი ფასი მაინც აქვს, ანგრევენ და ამტვრევენ ყველაფერს, რისი დანგრევა და დამტვრევაც შეიძლება, ზოგჯერ, შეზარხშებულნი, გასართობად ცეცხლსაც წაუკიდებენ... დამითაც და ღღისითაც ხშირად ისმის სროლა, საკუთარ ბუნაგებში შეყუჟული, შეშინებული მოქალაქენი ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლებად გამოჩნდნენ ქუჩაში, დამით ხომ ქუჩებში სრული უდაბურება ისაღვურებს...

რა თქმა უნდა, უზარმაზარი უმუშევრობაა, შრომის ბირჟაზე რიგები სულ უფრო იზრდება; ყოველ დღით ქუჩებს ჩამოივლის ცხენის ოთხთვალეები და მასზე შეშასავით მიჯრით ჰყრიან შიმშილისა და ავადმყოფობისგან დაღუპულთ; შემდგომ მათ მარხავენ სასაფლაოების განაპირას – საგანგებოდ გამოყოფილ უპატრონოთა და პიროვნების დაუდგენელთათვის განკუთვნილ ადგილებში.

ომის დაწყებასთან ერთად ღვინით ვაჭრობა აიკრძალა და მიხუა ნემსიყუნწაძე იძულებული გახდა, დაეკეტა ღვინის სარდაფიც, სახლიც და, უკეთესი დროების მოლოდინში, სოფელს გახიზნულიყო გაუთან ერთად. მერე კი, როცა ომი გაიწვია, მიხუა სირაჯმა ამჯობინა, ყველაფერი იაფად გაეყიდა, რაც კი ქალაქს ჰქონდა...

დრო მიდის, სისხლისღვრა გრძელდება, რუსეთის იმპერიაში ქაოსი და არეულობა ძლიერდება, რასაც შედეგად მოჰყვა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენები: ჯერ – 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუცია და ცარიზმის დამხობა, შემდეგ, იმავე წლის 7 ნოემბერს (ახალი სტილით) – ოქტომბრის გადატრიალება...

ტფილისშიც დიდი პოლიტიკური ძვრებია: შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი – 1917 წლის 15 ნოემბერს, ხოლო შემდეგ, ამიერკავკასიის სეიმი – 1918 წლის 10 თებერვალს.

საქართველო, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უფლებებისა და კოლონიური ჩაგვრის გადატანის შემდეგ, გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო – 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, შეიქმნა პირველი ეროვნული მთავრობა.

მთავრობის მოწვევით გერმანული ჯარები შემოვიდნენ საქართველოში – 1918 წლის მაისის ბოლოს – ივნისის დასაწყისში.

ნახევარ წელიწადში გერმანული ჯარები იძულებულნი იყვნენ, 1918 წლის დეკემბერში დაეტოვებინათ საქართველო: ნოემბერში გერმანიაში რევოლუციის გამო დაემხო მონარქია. მალე გერმანულ ჯარებს შეენაცვლნენ – შემოვიდა ინგლისის ჯარი.

ერთი ძველი ინტელიგენტური ოჯახის – ნარცეცხლაძეების – უფროსი ვაჟი, ნანუჩა, სადღაც რუსეთში მსახურობდა ჯარში ოფიცრად, ახლა კი, რაც რუსეთში არეულობა დაიწყო, რომელიც თებერვლის რევოლუციითა და მეფის ტახტიდან ჩამოგდებით დაგვირგვინდა, გადაწყვიტა, სამშობლოში დაბრუნებულიყო... ტფილისს ჩამოვიდა და ახალშექმნილ ქართულ ჯარში დაიწყო სამსახური; მალე ცოლიც შეერთო – თითია, ქალაქში ცნობილი ვეკილის, დიომიდე დიდმელაურის ქალიშვილი. ჩემთვის უცნობია, როგორი ქორწილი გადაიხადეს, რა სადღეგრძელოები წარმოიტქვა – იმ დროს ჯერ კიდევ მიხუა ნემსიყუნწაძის საკუთრება გახლდით.

ამ დროისთვის ნარცეცხლაძეების ოჯახს ძველი ბინის სამი ოთახი გაყიდული ჰქონდათ, რათა ომისა და გაჭირვების წლები როგორმე გადაეტანათ და მათ მფლობელობაში დარჩენილ მეოთხე, ერთ ოთახში იყვნენ შეყუჟულნი... მალე ნანუჩასა და თითიას პირველი ქალიშვილი შეეძინათ – კატო. სწორედ ამ დროს ნანუჩამ ეს მეოთხე ოთახიც გაყიდა, მიხუა ნემსიყუნწაძისგან საკმაოდ იაფად იყიდა სამოთახიანი მშენიერი ბინა და ყველანი ამ ახალ ბინაში გადავიდნენ, სადაც მე მათ დაგხვდი კიდევც...

მაშინ გაჭირვებული დრო იყო, სალხინოდ თითქმის არავის მოსდევდა წელი და არც განწყობა იყო შესაფერისი, მაგრამ ერთი ქორწილი ღვინით მაინც აღინიშნა. მრავალი ათწლეულის მანძილზე – ეჰ! – რამდენი სუფრა გაშლილა ჩემს ზურგზე! ბევრი მათგანი აღარც მახსენდება და, კაცმა რომ თქვას, არც არის გასაკვირი – თავისი განსაკუთრებულობა არაფრით გამოუმ-

ქდავნიებით, მაგრამ ჩემს ზურგზე გაშლილი ის პირველი სუფრა, – ვისი ქორწილიც იყო, შემდგომ მოგახსენებთ, – ვერაფრით დამავიწყდება: მოგესხენებათ, ცხოვრებაში მომხდარი ყველაფერი პირველი გამორჩეულია. ის იყო, ასევე, იმ ახალ ბინაში გადახდილი პირველი ქორწილი, აქ შემდეგ მე გაგატარე თითქმის მთელი ცხოვრება და ამიტომ ჩემი მონათხრობი უმეტესად სწორედ ნარცეცხლაძეების ოჯახის ისტორიაა იქნება... ეს ორი მიზეზიც საკმარისია, რომ ის პირველი ქორწილი განსაკუთრებით გავიხსენო.

ნანუჩას მიერ სირაჯ მიხუა ნემსიყუნწაძისგან ბინის ყიდვის დრისთვის მისი ოჯახის შემადგენლობა ამგვარი გახლდათ: თვით ნანუჩა, მისი მეუღლე – თითია დიდმელაური და პატარა ქალიშვილი – კატო, ნანუჩას დედა – იტიტინე და გასათხოვარი დაი – ბაბო.

ინგლისელი ოფიცრები, ზრდილობით და ქცევის ნატიფი მანერებით მთელ მსოფლიოში გამოჩეული ჯენტლმენები, რა თქმა უნდა, მთავარ ქუჩებზე განლაგებულ ბინებში მათ მფლობელებს დროებით ჩაუსახლეს; ინგლისელი ოფიცრები, ამაყად გაჯგიმულნი, ჯგუფ-ჯგუფად დასერილობენ გოლოვინის პროსპექტზე, სტიკით – ერთგვარი ჯოხით – განზე სწევენ შემხვედრ ადგილობრივ მცხოვრებთ – “ველურებს”...

ყველაფერი ჩალის ფასად იყიდება და გაედინება საზღვარგარეთ, უფრო – ანტიკვარიატი... თურმე ინგლისელებს კაკლის ხეები განსაკუთრებით უყვართ, მშვენივრად მოეხსენებათ მისი ფასი; დიდი ბრიტანეთიდან ჩამობრძანებული საქმოსნები მთელ ქვეყანას მოედვენ, დიდად მოწოდინებულნი არიან კაკლისა და მუხის მორების შესყიდვითა და საზღვარგარეთ გატანით, თუმცა, რა თქმა უნდა, ნამდვილი ღირებულებების მეთაფს თუ იხდიან.

– არიქა, გვეშველა! – ამბობს ოჯახის უფროსი ნანუჩა ნარცეცხლაძე, – აწი ველარავინ დაგვჩაგრავეს! ინგლისელი ოფიცრები ნამდვილი ჯენტლმენებია, ეს რა ღვთისნიერი ხალხი ყოფილა! სულ ძველი თავადების კეთილშობილ ოჯახებში ჩამორიგდნენ საცხოვრებლად, ამ გაუსაძლისი შიმშილობის ჟამს მათ საკუთარი ოჯახის წევრებივით პატრონობენ, საკუთარ ულუფას უყოფენ და ფულსაც აძლევენ, აბა!

– ამბობენ, რომ ამ ოჯახების ბევრი ტურფა ქალიშვილი ცოლადაც ითხოვეს, ოჯახის ნამდვილი წევრები გახდნენ... – ამბობს ნანუჩას დედა, ქალბატონი იტიტინე. – კირხეში, ლუთერანულ ეკლესიაში, ჯვრის დასაწერად თურმე რიგი დგას. რა იქნებოდა, ჩვენც გვწვეოდა მასეთი ბედნიერება, რით არის ჩვენი ბაბო დასაწერი? ჩემს ქალიშვილს ასარჩევადაც კი გაუხდებოდა საქმე!

ასარჩევად არა, მაგრამ სულ მალე, შობის სადღესაწაულო მეჯლისზე, რომელიც დიდი ზარზეიმით ჩატარდა ოფიცერთა სასახლეში, იტიტინეს ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი, მშვენიერი ბაბო, გაუმიჯნურდა ასეთსავე მშვენიერ ახალგაზრდა ოფიცერს, ინგლისერთა ჯარის შტაბში მომუშავე დევიდ კრაუნს... და სულ რამდენიმე დღეში დედამისს, ქალბატონ იტიტინეს, ოცნებაც აუსრულა: ახალი წლისთვის ინგლისელ ოფიცერზე გათხოვდა – ფაეტონების კორტეჟი მიადგა მიხეილის პროსპექტზე მდგარ ლუთერანულ ეკლესიას, თუმცა სირ დევიდ კრაუნი ანგლიკანური რწმენისა გახლდათ, ხოლო ბაბო ნარცეცხლაძე – მართლმადიდებელი!

როგორ გაჩაღდა ბაბო ნარცეცხლაძისა და სირ დევიდ კრაუნის სამიჯნურო ურთიერთობა და შემდეგ მისი ქორწილში გადაზრდა, ვერაფერს მოგახსენებთ; მომდევნო მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, რაიმე რომანტიკულ გრძნობებზე საუბარი ზედმეტი იყო...

ნანუჩა თავმომწონე ახალგაზრდა ოფიცერი გახლდათ და დას გვარნიანი ქორწილიც გადაუნდა; ამის გამო ოჯახი საკმაო ვალებშიც ჩავარდა! თუმცა დიდი სუფრა არ იყო: ახალგაღმოსულელები იყვნენ ამ ბინაში და მეზობლებს ხეირიანად ჯერ არ იცნობდნენ; მოიწვიეს მხოლოდ რამდენიმე ახლო ნათესავი და სიძის სამი მეგობარი ოფიცერი. რაც ხდებოდა იმ საქორწილო სუფრზე, იმის აღწერით ძალიან სასაცილო კომედიის შექმნა შეიძლებოდა – ოთხმა ინგლისელმა ერთი ღერი ქართული არ იცოდა და სუფრის დანარჩენმა წევრებმა კი – ჩინური უკეთ გაეგებოდათ, ვიდრე ინგლისური! ვინ უსხდნენ სუფრას ამ ჩემი პირველი ღვინის დროს სიძისა და დედოფლის მხრიდან და მათ დახასიათებას აქ ახლა არ შევუდგები – დიდი დრო გავიდა და მეშინია, რამე არ შემეშალოს, ის კი კარგად მახსოვს: ინგლისელი სიძე ბატონი და მისი თანამემამულე ოფიცრები ფრიად გააკვირვა ნანუჩას ნათესავების ჟინმა, “მეტოქეებისთვის”, – დევიდ კრაუნის მეგობრებისთვის, – ღვინის სმაში ეჯობათ... თავის მხრივ, მასპინძლები კიდევ უფრო გაოცდნენ ბრიტანელთა ქცევით: დროდადრო რომელიმე მათგანი წამოდგებოდა სუფრიდან, ეზოს მხარეს არსებულ ფართო და გრძელ აივანზე გადიოდა და ეზოში მოურიდებლად შარდავდა... როცა ბატონი ოფიცრები სერობის დასრულების შემდგომ სუფრიდან წამოიშალნენ, ახლა ოთხივენი ჩამწკრივდნენ აივანზე და, ხორხოცით, ხუმრობითა და ნაძლევის დადებით, ყველამ ერთად შეჯიბრი გამართეს – ვინ უფრო შორს მოახერხებდა ჭავლის გატყორცნას...

ჩვენი სახლის მაცხოვრებლებს რანაირი შეჯიბრი არ უნახავთ, – ტფილისელები აზარტიანი და თვალის სერიის მოყვარული ხალხია, – კრივითა და ჭიდაობით დაწყებული და მამლების კინკლაობითა და ყოჩების ჭიდილით დამთავრებული, მაგრამ მსგავსი სახანაობის მომსწრენი ჯერ არ ყოფილან! შორეული ქვეყნიდან ჩამობრძანებულმა სტუმრებმა კარგად კი გააცნეს ყველას თავი!

ღიას, ჩემს ცხოვრებაში ეს იყო პირველი ქორწილი, საერთოდ – პირველი ლხინიც, რომელსაც მოვემსახურე, ეს დღე გამორჩეული იყო ამ მხრივაც და ამიტომ არასდროს დამავიწყდება!

დროებით სირ დევიდ კრაუნი ნარცეცხლაძეებთან დაბინავდა, მას და ბაბოს ერთი ოთახი დაუთმეს, ყველაზე უკეთესი, მზიანი. მაღლე ნანუჩამ გადაჭრით მოსთხოვა სიძე ბატონს მისი ბინის დატოვება და საქმე ამ ორ ოფიცერს შორის კინაღამ დუელამდე მივიდა... მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ნარცეცხლაძეთა სიძე ყოველ დღით, ადგებოდა თუ არა, გავიდოდა ქუჩის მხარეს რკინის აივანზე (ახალდაქორწინებულთა ოთახი იმ მხარეს მდებარეობდა) და ნიფხვის ამარა შარდის ბუშტს სცლიდა, იმავდროულად, ქუჩაში გამგლეულთა თავებსაც აგრილებდა... სხვათა შორის, ამ დიდი ეზოს საკმაოდ მრავალრიცხოვან მოსახლეობას სახლის პირველ სართულზე ეზოს კუთხეში არსებული ერთადერთი, მარად აქოთებული საპირფარეშო ემსახურებოდა და მის წინ თითქმის ყოველთვის დანინახავდით მოუთმენლობით აღსავსე აქეთ-იქით ნერვიულად მოსიარულე თუ ადგილზე მცქმუტავ საკუთარი რიგის მომლოდინეთ... მხოლოდ მეორე სართულის ორ ბინას ჰქონდა საკუთარი წყლის ონკანი, საპირფარეშო და სააბაზანოც კი, ერთ-ერთი მათგანი ნარცეცხლაძეებისა იყო, მაგრამ, ეტყობა, სირ დევიდს დილის სუფთა ჰაერზე გასვლა ეხალისებოდა, თანაც გვარიანად ერთობოდა – ამ მიძინარე, ტილიან ქალაქში ისე მცირე იყო გართობის საშუალება!

სირ დევიდ კრაუნს ფრიად გაუკვირდა ნანუჩას გაფიცება, – მისი კოლეგებიც ხომ, თითქმის ყველანი, დილით მოსაშარდავად პირდაპირ აივნებზე გამოდიან და “აგრილებენ” აბორიგენებს – გაუნათლებელ, ცივილიზაციის ჩქარ ნაბიჯებს შორს ჩამორჩენილ ფეხით მოსიარულეთ; ამ ღვთის მიერ დავიწყებულ კუთხეში გართობა მეტად იშვიათი ხილია, ჰი-ჰი-ჰი..

ასე იყო თუ ისე, სირ დევიდ კრაუნმა გაცხარებულ ნანუჩასთან დუელს წინდახედულად აარიდა თავი და ურთიერთობის გამწვავებისთანავე დატოვა ნარცეცხლაძეთა ბინა; მოკლე ხანში ბაბოც ინგლისელი არისტოკრატის მიერ ნაქირავებ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად. სირ დევიდი გახლდათ ბარონეტი, ამიტომ შესაბამისი განათლებისა და სანაქებო ზრდილობის გარდა, ახასიათებდა ნატიფი გემოვნებაც; მას განსაკუთრებით მოეწონე და (სხვა მრავალრიცხოვან ნივთებთან ერთად – საპატარძლოს ოჯახი პირს ხომ არ შეირცხვენდა!) ჩემი მზითვეში გატანება მოითხოვა. თითქოს ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და ადრე თუ გვიან ნისლიან ალბიონში მომიხდებოდა გამგზავრება, როცა სირ დევიდ კრაუნი შინ დაბრუნდებოდა მშვენიერ ქართველ მეუღლესთან ერთად (თუ, რასაკვირველია, ინდოეთში, აფრიკის რომელიმე კოლონიაში ან სხვაგან არ გადაიყვანდნენ სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად), მაგრამ აქ საქმეში მოულოდნელად ჩაერია ნანუჩას ცოლი – თითია! სხვათა შორის, თითია და ბაბო თავიდანვე ვერ შეეწევნენ ერთმანეთს; ასევე, თითია გარეგნულად ცდილობდა არ გამოემჟღავნებინა თავისი ათვალწუნება დედამთილის მიმართ, მაგრამ იტიტინეს რას მოატყუებდა – კარგად გრძნობდა რძლის გულცივობას... ამ სამი ქალბატონის ურთიერთობის ამსახველი ამბები დიდად სამწუხაროც არის და, ამავე დროს, თავშესაქცევიც – ცხადია, გარეშე მაყურებლისთვის; ამჯერად მათზე არ შეეჩერდები, ბევრად უფრო მნიშვნელოვან მოვლენას დაგუთმობ ყურადღებას, რადგან ის პირადად ჩემს ბედს ეხება.

– ცოცხალი თავით არ დაგთმობ ამ მაგიდას! – გააღმასებულმა განაცხადა თითიამ. – უმაგიდოდ ხომ არ დარჩება ოჯახი! და გარდა ამისა, ეს მაგიდა ნანუჩას ეკუთვნის!.. და მეც!

სირ დევიდ კრაუნი, ბარონეტი, მისი უმაღლესობის არმიის ოფიცერი, აშარ ქალს ხომ არ აჰყვებოდა სკანდლის აგორებაში და ამიტომ, ვითარცა ნაღდმა ჯენტლმანმა, სასამართლოს მიმართა მტყუან-მართლის განსარკვევად. და მოიგო კიდევ დავა! მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესზე თითიას მამა, გამოცდილი ვექილი დიომიდე დილმელაური იცავდა ქალიშვილის ინტერესებს, სადაო ნივთი ანუ მე სასამართლოს გადაწყვეტილებით სირ დევიდ კრაუნს მიაკუთვნეს! რა თქმა უნდა, მოსამართლეთ წესითა და კანონით თითიასთვის უნდა დაეჭირათ მხარი, თუნდაც, სამართლიანობას რომ თავი დაეხანებოთ, მისი მამამისისადმი, დიდად პატივსაცემი დიომიდე დილმელაურისადმი, ძველი ნაცნობობისა, ძმაცაცობისა და ასე შემდეგ გამო, მაგრამ მთავრობისგან პირდაპირი ბრძანება მიიღეს – არ დაუშვათ ჩვენი მეგობარი ქვეყნის სამხედრო კორპუსის წარმომადგენლის ინტერესების უგულვებელყოფა, ამაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება და უფრო მეტი – ბედ-იღბალიცო. თუმცა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში კომპრომისიც დაუშვა მოპასუხის მიმართ და ისიც აღნიშნა, რომ სადაო მაგიდა დროებით დარჩეს მოპასუხის ბინაში, სანამ იგი, ესე იგი მოპასუხე, ახალ მაგიდას შეიძენს... ამრიგად, დროებით დაერჩი ძველ ბინაში – იტიტინესთან, ნანუჩასთან, თითიასა და პატარა კატოსთან. ცხადია, ახალი მაგიდის შეძენას არავინ ჩქარობდა, თუმცა ამის გაკეთება სულ იოლად შეიძლებოდა – ისეთი გაჭირვება იყო, თავის გადასარჩენად ყველანი ყველაფერს ჩალის ფასად ჰყიდდნენ...

გავიდა ორიოდე წელიწადი და ინგლისელთა საექსპედიციო კორპუსი საქართველოს საბოლოოდ დასატოვებლად გაემზადა. სირ დევიდ კრაუნმა მეუღლეს, ბაბოს, განუცხადა, რომ, თანახმად სარდლობის განკარგულებისა, ინგლისელი ოფიცრებისთვის ტფილისის რკინიგზის სადგურში ჩამოყენებულ შემადგენლობაში ოფიცერთა სამხედრო წოდების უფროს-უმცროსობისდა

მიხედვით გამოყოფილ იქნა შესაბამისი კომფორტის სამგზავრო ვაგონები, ხოლო მათი აქ შერთული ცოლებისა და ბავშვებისთვის – ცალკე განსაკუთრებული რბილი ვაგონი.

გამგზავრების დღეს სადგურში შეიკრიბა შორეულ გზაზე გასაცლილებლად მოსულ ნათესავ-მეგობართა დიდი ბრბო. ქალები და ბავშვები ცალკე ჩასხეს რბილ ვაგონში, რომელიც რატომღაც შემადგენლობის ბოლოში იყო ჩაბმული, სატვირთო ვაგონის შემდეგ, რომელშიც წამსვლელთა ბარგი ინახებოდა.

მესამედ შემოჰკრეს სადგურის ზარს, მატარებელი დაიძრა ადგილიდან და სიჩქარეს უმატა... ბოლო ვაგონი კი ადგილზე დარჩა – ის მატარებლის დაძვრის წინ წინასწარ ჩამოუხსნიათ...

ბაბოს ჩახუტებული ჰყავდა ერთი წლის ვაჟი, მამასავით ლურჯთვალეობა სტივენის, სილამაზითა და სიცვლქით ყველას ყურადღებას რომ იპყრობდა, და შეშფოთებულ-გაოგნებული იყურებოდა ვაგონის ფანჯრიდან – სხვა მოტყუებით დატოვებულებისგან განსხვავებით, მათ გასაცლილებლად სადგურში არავინ მოსულა... ერთი წლის სტივენმა ფეხი ადრე აიდგა და უკვე თამამად დაბაკუნობდა, მაგრამ შორს, უცხო ქვეყანაში ვეღარ წავიდა – მოტყუებით დატოვდა... შორეული ქვეყნების მონახულების შესაძლებლობა სტივ კრაუნს, უკვე სხვა სახელითა და გვარით, ორი ათეული წლის შემდეგ მიეცა, ამაზე მოგვიანებით გვიამბობთ...

მთელი მზითვეი კეთილშობილმა ჯენტლმანებმა საბარგო ვაგონით თან გაიყოფეს! კიდევ კარგი, ამ ორომტრიალში სირ დევიდ კრაუნმა და ბაბომ ჩემთვის ვერ მოიცალეს, ალბათ არ გაგხსენებია და წასაღებად აღარ მომაკითხეს, თუმცა ვეჭვობ, რომ ვინმე დამთმობდა – როგორც ადრეც მოგახსენეთ, ნარცეცხლაძეების ოჯახის არცერთ წევრს ახალი მაგიდის ყიდვა ფიქრადაც არ გაუვლია!

ბაბოსა და მის ვაჟს კი რა ბედი ეწიათ? როგორც გაიკვავა, სირ დევიდ კრაუნის მიერ ნაქირავებ ბინაში სადგურიდან დაბრუნებული ბაბო აღარ შეუშვეს; უფრო მეტიც, დაემუქრნენ: ნახევარი წლის ბინის ქირა არ გაქვთ გადახდილი და ერთი კვირის ვადას გაძლევთ ვალის დასაფარავად, თუ არა და სასამართლოში გიჩივლებთო...

იმავ დღეს, საღამოს, აცრემლებული ბაბო, ცალ ხელში ატატებული შვილით და და მეორეში – ბოხნაში გამოკრული წვრილმანებით, ნარცეცხლაძეების ბინის კარს მიადგა...

თითია შეუჩნდა ქმარს, აქ მე ვერაფრით გაძლევო და აიძულა, ერთ კვირაში თითია, ნანუჩა და პატარა კატო საცხოვრებლად სხვაგან გადასულიყვნენ – სწორედ იმ ბინაში, სადაც მანამდე ბაბო და სირ დევიდ კრაუნი ცხოვრობდნენ... ამჯერად ბაბომ ივაჟკაცა და აისრულა ოცნება – მე დამეპატრონა, ძმასა და რძალს არაფრით გაატანა ჩემი თავი. თითიას ისეთი მძაფრი სურვილი ჰქონდა, აქაურობას რაც შეიძლება მალე გასცლოდა და საკუთარი ბუდე მოეწყო, რომ მაგიდის დასაუფლებლად თავი მაინცდამაინც აღარ გამოუდგია.

ამ ფრიად სევდიან ამბავს მოულოდნელი გაგრძელება ჰქონდა, რასაც თავის დროზე მოგახსენებთ...

ბოდიში, ამ კარის ბოლოში ღხინის აღწერას ვერ შემოგთავაზებთ, რისი დიდი სურვილიც მქონდა; ღხინი და დროსტარება არც ახლა შემწყყდარა ქალაქში, მაგრამ არა იმ ოჯახებში, მე რომ ვიცნობ და რომლებზედაც მოგითხრობთ... შიმშილს რომ დროებით მაინც დაუძვრნენ, ამითაც დიდად ბედნიერები იყვნენ და სალხინოდ და სატაშფანდუროდ არ ჰქონდათ საქმე...

კარი V. გასაბჭოების შემდეგ (1921-1930 წლები)

წითელი ჯარების შემოსვლამ ქალაქში ჯერ არაფერი შეცვალა, არეულობა და შიმშილი ერთხანს გრძელდებოდა და გაძლიერდა კიდევ, თუკი ასეთი რამ უკვე შესაძლებელი იყო.

ჩაი და თან ჭადრაკი, შაში, ნარდი, კამათი სხვადასხვა საკითხებზე, გამოდიან პოეტები... მათ გიჟებს უწოდებენ – ფუტურისტები! ბაძაგენ რუსეთის ფუტურისტებს... ქუჩაში ან ტრამვაიში თუ დაინახავენ ჰალსტუხიან პიროვნებას, მაშინვე მივარდებიან და მაკრატლით ძირში მოაჭრენ ბურჟუაზიულობის ამ გამოვლინებას – ამისთვის განკუთვნილი მაკრატელი ყოველთვის ჯიბეში უდევთ!.. ან, რუსთაველის გამზირზე ჭადარზე ამმერალნი, ყვირილით კითხულობენ ახალ ლექსებს, ჩვეულებრივ მოქალაქეთათვის სრულიად გაუგებარს – მათი თქმით, ახალ სიტყვას ქართულ პოეზიაში!

უდიდეს უმრავლესობას ლექსებისთვის ნამდვილად არ სცხელა – დღე თუ ღუკმაპურის საძებნელად დაწანწალე, რომ შიმშილით სული არ გაგძვრეს, ღამით ქუჩაში უსაფრთხოდ ვერ გამოხვალ: თუ ჯიბეში რევოლვერი ან სხვა რამ იარაღი არ გიდევს, უსათუოდ გაგძვრცხვენ – პალტოს ხომ ნაღდად გაგხდიან და ქუდსა ან ჩანთას წაგართმევენ, შესაძლოა, შინ სულაც დღე-ღამეობა გაგისტუმრონ...

ნანუჩა ნარცეცხლაძის ოჯახში რა ხდება? ერთხელ შუალამეს შეუვარდნენ ვიდაც მაუზერიანები, ნანუჩა, ვითარცა ყოფილი მეფის არმიის ოფიცერი და შემდეგ, წითელი არმიის საქართველოში შემოჭრისას, მათთან აქტიურად მებრძოლი და ფრიად არასაიმედო პიროვნება, დააპატიმრეს და თან წაიყვანეს. ძნელი აღსაწერია მეუღლის, თითიას, მოქმედი-გოდება, თანაც მოგუდული – იმდენად შეშინებული იყო, რომ ხმამაღლა ტირილს ვერ ბედავდა... პატარა ბავშვები, კატო და

მაგდანა, შუადამეს აურზაურით გაღვიძებულნი, აჭყეტდნენ დიდრონ თვალებს და ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა... არ იცოდნენ, რომ საყვარელ მამიკოს ამის იქით ვედარ ნახავდნენ...

უქმროდ დარჩენილ თითიას არავითარი საარსებო სახსარი არ გააჩნდა და იძულებული გახდა, ძველ ბინაში ნარცეცხლაძეებთან – იტიტინესთან, ბაბოსა და პატარა სტივთან – დაბრუნებულიყო ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად... მისდა დიდად სასიხარულოდ, ბაბო რამდენიმე წლის შემდეგ გათხოვდა და ახალი ქმრის ოჯახში გადაბარგდა, თუმცა პატარა სტივი ბებიას – იტიტინესა და რძალს – თითიას დაუტოვა გასაზრდელად...

საჭიროდ მივიჩნიე, მოგახსენოთ, თუ რომელი ოჯახები ცხოვრობდნენ ძველებურ ტფილისურ ეზოში, რომელშიც მე მომიწია ყოფნა ოციან-ოცდაათიან წლებში. რომელიმე ოჯახი რომ არ დამავიწყდეს ან არ გამომჩნეს, მათ დავნიშნავ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

მაშ ასე, ვიწყებ ოჯახების ჩამოთვლას:

1. ნარცეცხლაძეები: იტიტინე (დაიბადა 1876 წელს), მისი ქალიშვილი babo (დაიბადა 1901 წელს) და შვილიშვილი, დევიდ კრაუნისა და ბაბოს შვილი, st ivi (რომელსაც დედის გვარი მისცეს და შინ და გარეთ მოიხსენიებდნენ, როგორც st ef anes, უფრო ხშირად კი, შინაურულად – f ano d; დაიბადა 1920 წელს); ასევე – ამ ოჯახში მობრუნებული იტიტინეს რძალი, TiTia (დაიბადა 1900 წელს) და შვილიშვილები: kat o (დაიბადა 1919 წელს) და magdana (დაიბადა 1921 წელს). სამოთხაიანი ბინაში აქეთ აბაზანა და ტუალეტი! ბაბო თავდაპირველად კი დაბოლოვდა, როგორ გაბედა თითია მამაძალმა ჩვენს ოჯახში დაბრუნებას, მაგრამ შემდეგ, მნიშვნელოვანწილად დედის, იტიტინეს შეგონებით, ბედს შეურიგდა... მოკლე ხანში კი არც უნანია რძლისა და ძმიშვილების დაბრუნება, რადგან მათ ბინაში რომელიმე უცხო ოჯახის მოზიარედ შესახლებას გადაურჩნენ. ამ დროს დაიწყო მასობრივი “შევიწროებები” ანუ მეფისდროინდელ შეძლებული ფენის მოქალაქეებს, ვისაც ამჟამად საკმაო ფართის მქონე ბინა ჰქონდათ, ზემდგომი ორგანოების განკარგულებით ჩამოართმევდნენ ბინის ნაწილს – ერთ ან ორ ოთახს, და მასში შეასახლებდნენ გარეუბნებში ხუხულებში მცხოვრებ ან სულაც უბინაო მუშათა, წითელ ოფიცერთა, სახელმწიფო ორგანოებში მომუშავეთა და ასე შემდეგ ოჯახებს.

რით ირჩენს ნარცეცხლაძეთა ოჯახი ამ დროს თავს? რასაკვირველია, მხოლოდ იტიტინეს, მისი ქალიშვილისა და რძლის მხრივ ღმერთისადმი ღოცვა-ვედრება ვერაფერს უშველიდათ, თვითონ უნდა ეპოვათ გამოსავალი... ბაბომ კერძო სამკერვალოში დაიწყო მუშაობა, თითიას, შეძლებისდაგვარად, მამამისი, დიომიდე დიდმელაური, ეხმარებოდა, რომელიც ადვოკატთა კოლეგიაში მუშაობდა. შემდგომში, როცა თითიას დედა მოულოდნელად გარდაიცვალა, თითია შვილებთან ერთად მამამისთან გადავიდა საცხოვრებლად; ნარცეცხლაძეების ოჯახიდან წასვლისას ჩემს დაუფლებასა და წადებაზე პრეტენზია არ განუცხადებია – იცოდა, ბაბო ცოცხალი თავით არ დამთმობდა... (შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, ბაბო ისევ გათხოვდა და მეორე ქმართან გადავიდა საცხოვრებლად, შვილი კი დედასთან, იტიტინესთან დატოვა).

2. გაგებულაძეები: ადრე – მედუქნე, გარკვეულწილად – მიხა ნემსიყუნწაძის მეტოქე, ამჟამად კი – გაურკვეველი საქმიანობის კაცი, kvawa gagebul aZe, მისი ოჯახით – ცოლით, ქალიშვილით და მცირეწლოვანი გიმნაზისტი ვაჟით (მეორე ქალიშვილი უკვე გათხოვილია და ცალკე ცხოვრობს).

ნარცეცხლაძეების ოჯახს ნანუჩას დაპატიმრების შემდეგ ქონების კონფისკაციის შიში დასჩემდა. მაგიდა (ანუ მე) დროებით გადამაღეს მეზობლის, კვაწა გაგებულაძის, სარდაფში (ეს სარდაფი თავის დროზე კვაწამ სირაჯ მიხუა ნემსიყუნწაძისგან იყიდა). რამდენიმე თვე გავიდა, ნარცეცხლაძეების ოჯახი შედარებით დამშვიდდა და ბაბომ კვაწას მათი მაგიდის დაბრუნება სთხოვა. კვაწას ეს დროებით მიზარებული მაგიდა (ანუ მე) უკვე კარგა ხანია, საკუთარ ბინაში, დიდ ზალაში ჰქონდა გადატანილი და სასტიკი უარი სტკიცა ნარცეცხლაძეებს – ეს მაგიდა ჩემია და თუ არ გჯერათ, სასამართლომ გაარკვიოს ჩვენი დავა... სასამართლოს თავი ჰქონდათ უკაცოდ დარჩენილი ოჯახის ისედაც დამფრთხლ ქალებს: დაჭერილი ნანუჩას დედას – იტიტინეს, დას – ბაბოსა და ცოლს – თითიას? (მათ არ იცოდნენ, რომ ნანუჩა ამ დროისთვის უკვე დახვრეტილი იყო...).

ცოტა ხანში თვითონ კვაწა გაგებულაძეც დაიჭირეს და მისმა ქალიშვილმა საკუთარი ხელით დაუბრუნა ნარცეცხლაძეების ოჯახს მათი მაგიდა – ახლა უკვე გაგებულაძეების ოჯახს ეშინოდა ქონების კონფისკაციისა... თუმცა კვაწა მოკლე ხანში გაანთავისუფლეს და ქალიშვილს შავი დღე დააწია, რატომ დაუბრუნე ის მაგიდა ძველ პატრონსო... ძალით ან შანტაჟით ჩემს დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ვედარ გაბედა და ვერც მოასწრო: იძულებული გახდა, საჩქაროდ სხვაგან გადასულიყო – ეზოს მაცხოვრებლებმა ერთსულოვნად მოიკეთეს ეს ოჯახი, მათ აღარავინ ელაპარაკებოდა და აღარც ესალმებოდა... მხოლოდ იმის გამო კი არა, რომ უსამართლოდ მიიტაცეს სხვისი კუთვნილი მაგიდა – არცთუ უსაფუძვლო ეჭვი ჰქონდათ, რომ კვაწა დამსმენი იყო... (შემდგომში ამ ბინისა და სარდაფის მფლობელები გახდნენ ვინმე ბუსკანტურაძეები, მეორე დიდი ომის შემდეგ კი – დები ეთერ და ცისკარა მგალობელიძეები).

3. ციხეებილაძეები. მალაქია ციხეებილაძე ერთ დროს სოფლიდან ჩამოვიდა, ზეინკლად მუშაობდა საორთქლმავლო დეპოში, ჰყავდა დედა – ალათი, ცოლი – მაგული, შვილები: ვაჟი – გერონტი და ქალიშვილი – ირმისა. გერონტი სკოლაში კარგად სწავლობდა, ცნობისმოყვარე იყო

და არც ცველქობაში ჩამორჩებოდა მეგობრებს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა...

4. ამილახვრიშვილები. ოჯახის მამა, ანდრუყაფარ ამილახვრიშვილი, ადრე, 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებამდე, ბრწყინვალე თავადი გახლდათ; ჰყავდა ცოლი, ქეთევანი, და ერთადერთი ქალიშვილი – ელენორა. გასაბჭოების შემდეგ ანდრუყაფარ მონაგარიშედ მუშაობდა ერთ-ერთ არტელში და ოჯახის რჩენა ძალიან უჭირდა (მანამდე იძულებული გახდა, რაც კი რამ შეერჩენოდა ოჯახში – ხალიჩები, ძვირფასი ავეჯი, ჭადიცი კი – გაეყიდა). როცა 30-იანი წლების შუაში ელენორა სიყვარულით ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშას, თეოფილე გულაბერიძეს, გაჰყვა ცოლად, თავადი, მისი მეუღლე და მთელი ნათესაობაც საშინლად აღშფოთდნენ, თუმცა იმ დროისთვის თეოფილეს ბევრად მეტი შემოსავალი ჰქონდა, ვიდრე ამილახვრიშვილების ოჯახს... ელენორას დედ-მამა მხოლოდ მაშინ შეურიგდა, როცა უკვე ორი შვილის დედა გახდა და სიძე ქალიშვილი და შვილიშვილები მათ ბინაში გადავიდნენ საცხოვრებლად. ამ დროისთვის ანდრუყაფარის სიძე, თეოფილე გულაბერიძე, უკვე ფაბრიკის დირექტორი გახდა! როცა თეოფილეს ჯერ სიმამრი, ანდრუყაფარ და შემდეგ, მოკლე ხანში, სიდედრი, ქეთევანი გარდაეცვალა, სიძე ბატონმა მათ სანაქებო ქელები გადაუხადა!

მთელ სახლში მხოლოდ ორ ბინას ჰქონდა ინდივიდუალური სააბაზანო და ტუალეტი, ერთ-ერთი – სწორედ ამილახვრიშვილების ბინას. შემდგომ, როცა თეოფილე გულაბერიძე მოულოდნელად სამშობლოს დაბრუნებულს დააბრუნებდა, თანამდებობიდან მოხსნა არ აკმარეს, დაიჭირეს, გაასამართლეს და გადაასახლეს, სამოთახიან ბინაში დარჩენილები “შეავიწროვეს”; აქ მათ მხოლოდ ერთი ოთახი დაუტოვეს, ორი დანარჩენი ოთახი თავის აბაზანიან-ტუალეტიანად შემოსახლებულ ჭყავაძეებს მისცეს. მალევე ამილახვრიშვილებ-გულაბერიძეების ოჯახი იმავე ეზოში სხვა, პირველი სართულის ორთახიან ბინაში გადაიყვანეს და ჭყავაძეები იმ ერთ დარჩენილ ოთახსაც დაეპატრონენ.

5. ჭყავაძეები: მამა, გალაქტიონ ჭყავაძე, ადრე – რკინიგზის ორთქლმავლის მემანქანე იყო, ახლა – ჯერ საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი გახდა, შემდეგ პარტიის რაიონულ კომიტეტში გადაიყვანეს ერთ-ერთი განყოფილების გამგედ; ჰყავს დედ-მამა, ცოლი და სამი შვილი: სოლომონიდა, ბარძიმ და ელიკო. მეზობლებს იგი მეფის ტოლა კაცად მიაჩნიათ და პარტივისცივით ეპყრობიან; უნდა ითქვას, რომ გალაქტიონი ვალში არ რჩება და მეზობლებს, თუკი რამე გაუჭირდებათ, შეძლებისდაგვარად, დახმარებას არ ამადლის, მხარში ამოუდგება.

6. ტარიჭაშვილები. ოჯახის მამა, გუგუა, ადრე და ახლაც – წიგნის მაღაზიაში გამყიდველი, ფრიად განათლებული პიროვნებაა; ადრევე უცოლოდ დარჩა: მეუღლე, საწყალი, დიდი ომის დროს ტიფით გარდაიცვალა – მოწყალეების დად მუშაობდა ლაზარეთში და იქ გადაედო ავადმყოფობა. გუგუა ცდილობს, ერთადერთ შვილს, შადვას, არაფერი მოაკლოს, უპირველესად კი – მის სწავლა-განათლებაზე ზრუნავს: ერთადერთ ოთახში, სადაც მამა-შვილი ცხოვრობს, მეტი წილი ფართისა ორ წიგნებით სავსე კარადას უკავია...

7. შუბიანიძეები. მამა, ადრიანე შუბიანიძე, სკოლაში ბიოლოგიასა და ბოტანიკას ასწავლიდა, დედა, აკვილინე, დიასახლისი იყო. მათი ქალიშვილიც, ბოლოლა (დაიბადა 1913 წელს), მასწავლებელი გახდა, ოღონდ ფრანგულს ასწავლიდა სკოლაში. აკვილინესა და ადრიანეს ჰყავდათ ტყუპი ვაჟებიც, ბოლოლაზე სამი წლით უმცროსები – ოთარ და თემურ. ბოლოლა გათხოვდა კოლეგაზე, იმავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელზე, სარდიონ ლაქაშიძეზე, და საცხოვრებლად გადავიდა ქმართან; ეყოლათ ვაჟი, კონსტანტინე – კოჭლი დაიბადა და თანდაყოლილი გულის მანკიც აღმოაჩნდა. ქმარმა ცოლ-შვილი მალევე მიატოვა, ვიღაც სხვა ქალს დაუქაავმირა თავისი ბედი, მალე ქალაქს სულ გაეცალა – სოფელში გადასახლდა. თუმცა დედამთილ-მამამთილი ბოლოლას ძალიან შეეუთვისნენ და თხოვდნენ მათთან დარჩენას, იგი შვილთან ერთად დედ-მამასთან დაბრუნდა ძველ სახლში...

8. ბიჭინაურები. მამა, ბუღია ბიჭინაური, ადრე – მეფაიტონე იყო, ახლა კი მის ხელობას მისდევს შვილი, ბოცო; ცხოვრობენ ქუჩის მხარეს, სარდაფში (შემდგომში – იქ მხატვარი ბოჩია ბოჩაღვიშვილი იცხოვრებს). მერე სარდაფიდან ბიჭინაურების ოჯახი – ბუღია, მისი ცოლი – გულქანი და ქალ-ვაჟი – გადავიდა ორთახიან ბინაში მეორე სართულზე. ამ ბინის მიღება საოცრებად აღარ შეიძლება ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბუღიას ქალიშვილი ამ ბედნიერი მოვლენიდან სულ მოკლე ხანში მისთხოვდა საქალაქო საბჭოში მომუშავე ერთ ახალგაზრდა ყმაწვილს, რომელსაც საბინაო საკითხების გადაწყვეტა ევალებოდა...

9. გაბმულაშვილები. 1915 წელს პროვიზორის ოჯახში დაბადებული ბებურ გაბმულაშვილი და მისი ცოლი, სოფლიდან ჩამოსული ჟალია, მოკლეგადიან საბუღალტრო კურსებზე შეხვდნენ ერთმანეთს 1935 წლის მაისში და ივნისში უკვე დაქორწინდნენ. მომდევნო წლის სექტემბერში დაიბადა მათი პირველი ვაჟი – ბარათა (უმცროსი ვაჟი – ბაქარ, 11 წლის შემდეგ, 1947 წელს დაიბადა).

10. აღამალოვები. მამა, აბგარ, ადრე – ვაჭარი, ქალაქში რამდენიმე მაღაზია ჰქონდა, ცოლი – ნექტარ და შვილები, ქალ-ვაჟი – არამ და სათო. ოჯახი დიდი ხნით ადრეც ცხოვრობდა ამ სახლში, ოღონდ კეთილმოწყობილ სამოთახიან ბინაში, რომელიც შემდეგ, გაკორტების გამო,

მიჰყიდეს მიხუა ნემსიყუნწაძეს, თვითონ კი მიხუას ერთოთახიან ბინაში გადავიდნენ იმავე სახლში.

11. მარმუჭიშვილები. გიორგი (რუსულ ყაიდაზე იწერებოდა – მარმუჩიშვილი; მიკვირს, რომ მარმუჩოვად არ გადაიკეთა გვარი, ბევრად სწრაფად წაიწვედა მაღლა კარიერის კიბეზე) იყო მეფის არმიის ოფიცერი, ჰყავდა რუსი ცოლი, მარუა (ქართულად – მართა; ოჯახში ქართულს ვერ გაიგონებდი: სოფლიდან ჩამოყვანილ მთავლებსაც კი, რომელმაც ერთი დერი რუსული არ იცოდა, რუსულად ელაპარაკებოდნენ, რადგან თვითონ არ იცოდნენ ქართული) და შვილი, იური; ისიც მამის კვალს გაჰყვა და მეფის არმიის ოფიცერი გახდა. შვილმაც რუსი ცოლი ითხოვა – ლილია, ეყოლა ერთი შვილი – ლიუდმილა, რომელიც შემდგომ გათხოვდა რუს ოფიცერზე, ეს მოხდა XX საუკუნის დასაწყისში... ლიუდმილასა და მის ქმარს ეყოლათ ქალ-ვაჟი, რომლებიც გიმნაზიის დამთავრების შემდეგ რუსეთს გაემგზავრნენ სწავლის გასაგრძელებლად, შემდგომ იქვე დაოჯახდნენ და საქართველოში ერთხელაც აღარ ჩამოსულან მშობლების სანახავად (ბებია და ბაბუა ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყვნენ).

12. პირლამაზაძეები. სიკო პირლამაზაძე (აღრე – პირლამაზოვი) გამყიდველად მუშაობდა მაღაზიაში, შემდეგ, როცა დროება შეიცვალა, კვლავ იგივე საქმიანობას განაგრძობდა, ოღონდ კოოპერატივში. ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ მას და მის მეუღლეს – ნინუცა, რომელსაც ფრიად ანებიერებდნენ, რის შედეგადაც კი ჰქონდათ. შემდგომ, უკვე ოცდაათიანი წლების დასაწყისში, ნინუცა უნივერსიტეტშიც კი სწავლობდა, მაგრამ სწავლა აგრეობად არ იზიდავდა და, როცა მორიგი საგამოცდო სესიის დროს ჩაუბარებელი საგნები ბლომად დაუგროვდა, საერთოდ მიატოვა უნივერსიტეტი. ნინუცა ჯერ მამას ეხმარებოდა მაღაზიაში, შემდეგ კი მალე გათხოვდა – იგი მოეწონა მაღაზიაში თამბაქოს საყიდლად შემთხვევით შესულ ერთ მაღალი თანამდებობის პირს, რომელიც სახალხო კომისრის მოადგილეს. ნინუცას თვალი მოსჭრა მისმა მაღაზიის წინ გაჩერებულმა კრიალა შავმა ლიმუზინმა და თხუთმეტი წლით უფროს კაცს სულ კუნტრუშ-კუნტრუშით გაჰყვა... ორი წლის შემდეგ კი ნინუცა მშობლებთან დაბრუნდა ერთი წლის ქალიშვილთან, ანიკოსთან ერთად – ქმარმა შემთხვევით საკუთარ შოფერთან სწორედ იმ კრიალა შავ ლიმუზინში ლადობისას წაასწრო და ღალატი არ აპატია...

13. კანტიკუნტაძეები. ბარნაბ კანტიკუნტაძე ბუღალტერი იყო საავადმყოფოში, წესიერი და დაფასებული კაცი. იმდენს ეცადა, რომ მისი ორივე შვილს – ქალ-ვაჟი ჰყავდა – უმაღლესი განათლება მიეღებინა: ვაჟი, ევდემონი, ექიმი-პედიატრი გახდა, ქალიშვილი ეგგენია კი – ფარმაცევტი.

ევდემონმა ცოლად კოლეგა – ისიც ბავშვთა ექიმი – მაშო შუმიშვილი შეირთო. კანტიკუნტაძეებს ოცდაათიანი წლების ბოლოს შეეძინათ ორი ქალიშვილი: ლამარა და ია. მშვენიერი ბავშვები ჰყავდათ, მაგრამ საშუალო სკოლაში სწავლის დაწყებიდან მოკლე ხანში, ჯერ – ერთს, შემდეგ კი – მეორესაც, ფილტვების სისუსტე დაუდგინეს. ამ დროს უკვე მეორე დიდი ომი მძვინვარებდა, ევდემონი ჯარში იყო გაწვეული და მარტოდ დარჩენილ მაშოს ლუკმაპურის შოვნა უჭირდა... ომის დამთავრების შემდეგ შინ მობრუნებული ევდემონი და მაშოც ბევრს ეცადნენ ქალიშვილების გამოჯანმრთელებას, – ყოველ ზაფხულს ხან სურამში, ხან აბასთუმანში და სხვაგანაც მიჰყავდათ, საკმარისად კვებავდნენ კიდევ, – მაგრამ მათი საბოლოოდ გამოჯანმრთელება ვერაფრით შეძლეს... ევდემონ და მაშო ერთთავად დამწუხრებული სახეებით დადიოდნენ...

14. ორჯამაძეები. შაქრო ორჯამაძე ბოცო ბიჭინაურივით მეფაიტონე იყო, ერთადერთი შვილი ჰყავდა – პანტელეიმონი. ცოცხალი, მხიარული ბიჭი იყო პანტიკო. ცეცხლივით წითური თმები ჰქონდა; თუმცა პანტიკო მშვიდი ხასიათით გამოირჩეოდა, ბავშვობაშიც იმდენად აღმატებულა და თანატოლებს აღნაგობითა და ძალ-ღონით, რომ ხუმრობას ვერ უბედავდნენ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახურის მოსახლეად გაიწვიეს. როცა პანტიკოს სამსახურის ვადა გაუთავდა, შინ დაბრუნდა, მაშინვე ცოლიც ითხოვა – აღრე მისი კლასელი და ღალმანო – და სწორედ ამ დროს მოუსწრო მეორე დიდი ომის დაწყებამ... პანტიკოს ისევ სამხედრო ფორმა ჩააცვეს, ოღონდ განსხვავებული – ამჯერად რკინიგზის მილიციის გასამხედროებულ დაცვაში მოუწია სამსახური.

15. გუგუნაშვილები. ოქრო გუგუნაშვილის მამაც და დედაც ოპერაში მსახურობდნენ გუნდის მომღერლებად, თვითონ მას ბავშვობიდანვე წკრიალა, ლამაზი ხმა ჰქონდა. ჯერ სკოლაშიც კი არ დადიოდა, როცა ოპერის სცენაზე გამოიყვანეს, მართალია, უსიტყვო როლში და, რასაკვირველია, არც სიმღერა უწევდა. შემდგომ მასობრივ სცენებში ასეთივე როლი ეკისრებოდა; როცა წამოიზარდა და ხმის ასაკობრივი გარდატეხის ხანმა გაიარა, გუნდში მიიღეს... მშობლები ცხადად ხედავდნენ: მათ ვაჟიშვილს ისეთი ვოკალური მონაცემები ჰქონდა, რომ ბევრად მეტი შეეძლო და ერთი ცნობილი მომღერალი, რომელსაც მაშინ სცენა უკვე დატოვებული ჰქონდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, უფასოდ ამეცადინებდა ნიჭიერ ყმაწვილს; შემდეგ ოქრომ კონსერვატორიის სრული კურსიც გაიარა... მთელი ამ ხნის განმავლობაში, იმავდროულად, ოპერის გუნდშიც მღეროდა – გაჭირვებული ოჯახითვის მისი მცირე ხელფასიც კი დიდი შეღავათი იყო. გავიდა რამდენიმე წელი და ოქრო ოპერის სოლისტი გახდა. მას არცთუ ძლიერი, მაგრამ ლამაზი ტემბრის ლირიკული ტენორი ჰქონდა, ძალიან მუსიკალური იყო, არტისტიზმიც არ აკლდა და მყურებელი მის გამოსვლას ყოველთვის თბილად ხვდებოდა. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი,

ოქროს სულ უფრო რთულ და საპასუხისმგებლო პარტიებს ანდობდნენ, დაოჯახდა – გუნდის ახალგაზრდა მომღერალი, მასზე ათი წლით უმცროსი მძივა თავრეჯულაძე ითხოვა. ეყოლა ორი მშვიდნიერი შვილი – ალფრედი და ვიოლეტა.

16. ზანდუკელაშვილები. თავა ზანდუკელაშვილი ადრე პოლიციელი იყო, მთაწმინდის უბანში მსახურობდა და იქვე ცხოვრობდა; მოგვიანებით, საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის შემდგომ, ძველი უბნიდან ჩვენს სახლში გადმოსახლდა და, რა თქმა უნდა, აღარც პოლიციელი იყო და აღარც მილიციელი... ეჰ, წავიდა მისთვის ის სანატრელი დრო!.. ამჯერად სადგურში სატვირთო ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე მუშაობდა შავ მუშად და იმითაც ფრიად ბედნიერი იყო, რომ მისი წარსული საქმიანობით არავინ დაინტერესებულა. მისი ვაჟიშვილი, ქვაბულა, სწავლაში ნიჭითა და მუყაითობით გამოირჩეოდა, საშუალო სკოლაც წარმატებით დაამთავრა, მაგრამ უმაღლესი განათლების მიღება საქართველოში მამამისმა არ ისურვა (რალაციის შეეშინდა, ალბათ – ჩემი ძველი საქმიანობა არ გამოიჩინებოდა). თავამ შვილი ლენინგრადში გააგზავნა და ქვაბულა ზანდუკელაშვილმა იქ უნივერსიტეტი ფრიადზე დაამთავრა (ანკეტაში გრაფაში “სოციალური მდგომარეობა” თუ “სოციალური წარმომავლობა” – ზუსტად აღარ მახსოვს – ჩაწერა “მოსამსახურე” და მისთვის არც დაზუსტება და არც საბუთი არავის მოუთხოვია). ქვაბულამ იქ რუსი ცოლიც შეირთო და შემდეგ სამშობლოში მასთან ერთად დაბრუნდა, მაგრამ ის ქალი ნახევარ წელიწადში უკანვე წავიდა – არ ვიცი, აქაური ჰავა არ მოეწონა თუ მამამთილედ დამითლი. თავას მშობლები ფრიად კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ, მეზობლებთან ურთიერთობას გაუბრუნდნენ და მათთან ნათესავების სტუმრობაც კი მეტიმეტად იშვიათი ხილი იყო... სამსახურიდან დაბრუნებულ ქვაბულასაც მერე შინიდან ფეხს ვერ გაადგმევინებდი, ახალგაზრდა რუს ქალბატონს კი გართობა-დროსტარება იზიდავდა, სადამოთბოთ ცეკვებზე და კინოში სიარული. დაადირა თავი და ისე წავიდა, უკან აღარ მოუხედავს... ერთ წელიწადში მშობლებმა ქვაბულას გაურიგეს თავას ერთი ძველი მეგობრის, ასევე, ყოფილი პოლიციელის, ქალი, ხვარამზე, – ქვაბულაზე ორი წლით უფროსი, სამაგიეროდ, ზნით ისეთი, უკეთესს რომ ვერ ინატრებდი, – სინჰუმის მოყვარული და სიწყნარის ტრფიალი...

17. დიდუანიძეები. კაცია დიდუანიძე ადრე გიმნაზიის მასწავლებელი იყო, უფროს კლასებში საბუნებისმეტყველო საგნებს ასწავლიდა. მას და ვარდოს საკმაოდ გვიან ასაკში ერთი ვაჟი შეეძინათ – დადი დაარქვეს. დადი წიგნების გარემოცვაში გაიზარდა, ხარბად ისრუტავდა უფროსთა ნალაპარაკებს – კაციას მეგობრებ-ამხანაგები ფრიად განათლებილი, მეცნიერებისა და ხელოვნების საკითხებზე გამუდმებული სჯა-ბაასის მოყვარულნი იყვნენ. დადიმ სანაქებო სწავლა-განათლება მიიღო, უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა და მაშინვე კათედრის რეკომენდაციით ერთ-ერთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ლაბორანტად მიიღეს. რამდენიმე წელიწადში დადიმ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, გახდა უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, შემდეგ უფროსი მეცნიერ-მუშაკიც, იმავდროულად, დაიწყო ლექციების კითხვაც მშობლიურ უნივერსიტეტში და მიანიჭეს დოცენტის წოდება. ამასობაში დადი ორმოცი წლის გახდა... მშობლები მარადჟამ ეჩინებოდნენ, ცოლი მოიყვანე, შვილიშვილს გვაღირსეო, მაგრამ ამოდ... ჯერ კაცია გარდაიცვალა, მალევე მას ვარდოც მიჰყვა და ორ თვეში ორმოცდასამი წლის დადიმ ვეღარ გაუძლო მარტოობას და ცოლი ითხოვა – თვრამეტი წლის თიანა თავაქასრაშვილი (თიანა ამ დროს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტის დირექტორის მდივნად სულ რამდენიმე თვის მიღებული იყო, თვითონ დადი კი დირექტორის მოადგილედ მუშაობდა სამეცნიერო დარგში)...

18. ალიმჩიტაძეები. XX საუკუნის ათიან წლებში და შემდეგაც გობრონ ალიმჩიტაძე ზეინკლად მუშაობდა არსენალში, შემდეგ გადავიდა რკინიგზის სახელოსნოებში. ჰყავდა სამი ვაჟი და ოციან წლებში ერთ-ერთი მათგანი – ალფეზ, რომელმაც სრული საშუალო განათლების მიღება ვერ შეძლო – არეულობისა და ომის დროს სანატრად იყო ლაზარეთში; შემდეგ მუშათა ფაბრიკებზე ჩარიცხეს, ვითარცა მუშის შვილი. ის ჭაპანწყვეტით დაასრულა და შემდეგ უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა – იურისტობა ისურვა. პირველ კურსზე იყო, როცა მეორე დიდი ომის დაწყების გამო ჯარში გაიწვიეს და, ამრიგად, უმაღლესი განათლების მიღება რამდენიმე წლით გადაიდო. ომის დასრულების შემდგომ ალფეზ ალიმჩიტაძე ალადგინეს უნივერსიტეტში, პირველ კურსზე დასვეს. ერთი სემესტრი კი იარა ლექციებზე, შემდეგ პირველივე გამოცდების ჩაბრება ვერ შეძლო და უნივერსიტეტს საბოლოოდ გამოემშვიდობა... მის შემდგომ მოღვაწეობას მოგვიანებით მოგახსენებთ.

19. უმიკაშვილები, ძველი ტფილისელების ოჯახი. გიორგი უმიკაშვილი – პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებული, მუშაობდა ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლად, მოღვაწეობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში; ცოლი, ნათელა სულმანათაშვილი ერთ დროს მისი მოწაფე იყო – გიორგი ამზადებდა გიმნაზიაში შესასვლელად. გიორგის მრავალმხრივი მოღვაწეობა გამოირჩეოდა მკვეთრი ეროვნული სულისკვეთებით, რის გამოც მრავალგზის განიცადა დევნა-შევიწროება მეფის ხელისუფალთაგან. შვილებიც, ორი ვაჟი, ავთანდილი და ტარიელი, და ერთი ქალი, მეზობლად მამულიშვილებად აღზარდა. ბიჭებმა ორივემ უნივერსიტეტი დაამთავრა, დაოჯახება ვერ მოასწრეს, ისე დაიღუპნენ მეორე დიდ ომში. უფროსი ქალიშვილი, ნინიკო, თხუთმეტი წლის ასაკში დაიღუპა პერიტონიტით – უხეიროდ ჩატარებული აპენდიციტის ოპერაცია გაუართულდა; მეორე ქალი, თამარი, ჭკუითა და სილამაზით ქებული, ცოლად ითხოვა ცნობილმა მხატვარმა

გრიგოლ ჯაშუაშვილმა; მათ ორი ვაჟი ეყოლათ, შემდგომ ორივე მხატვარი გახდა; თითქოს ნიჭი-
ერები იყვნენ, მაგრამ მაინც მამის ჩრდილში მოექცნენ...

20. კოტე ბეკერი – მისი არაქართული გვარი იმით აიხსნებოდა, რომ კოტეს წინაპარი საქარ-
თველოში ასი წლის წინათ ჩამოსახლებული გერმანელი კოლონისტი იყო. სწავლობდა ქართულ
გიმნაზიაში, შემდეგ დაამთავრა ვარშავის საბეითლო ინსტიტუტი, მაგრამ ჟურნალისტიკამ გაიტა-
ცა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ნაყოფიერად მოღვაწეობდა “ალგეთელის” ფსევდონიმით.
ოცინ წლებში იძულებული იყო, ჟურნალისტიკას ჩამოსცილებოდა და კორექტორად მუშაობდა
ერთ-ერთ გაზეთში. კოტესა და მის მეუღლეს, მარიკო ლელიჩაძეს, სამი ვაჟი ჰყავდათ, ოცდა-
თიან წლებში სამივე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა ბეკერაშვილის გვარით; სწავლა
წარჩინებით დაამთავრეს, სამსახურიც დაიწყეს. ერთი ბეითალი გახდა და სოფელს წავიდა, მეო-
რე – ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სკოლაში, მესამე, ინჟინერი – ჩარხმშენებელ
საწარმოში მუშაობდა, თავი გამოიჩინა და საამქროს უფროსად დანიშნეს.

ჩვენს სახლში კიდევ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ მათ გვარებს ვეღარ ვიხსენებ –
მცირე ხნით სახლობდნენ და არც რაიმე განსაკუთრებულით დამამახსოვრეს თავი.

კარი VI. ომისწინა დრო (1930-1941 წლები)

ისევ გაჭირვებაა...

ისევ შიში კარზე შუადამისას დაკაკუნებისა... გაუთავებელი დაჭერები...

ლხინზე ზედმეტია ლაპარაკი, გემრიელ სადილსაც იშვიათად გეახლებიან; ყოველდღიური
საარსებო სახსარი ძნელი მოსაპოვებელია.

ნარცეცხლაძეთა ოჯახი გაჭირვებით ირჩენდა თავს. ბაბომ მუშათა ფაკულტეტი დაამთავრა,
შემდეგ – უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტიც და სკოლაში დაიწყო მუშაობა მასწავ-
ლებლად. მცირე ხელფასი ჰქონდა, გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიათრევდა ცხოვრების ჭაპანს, პა-
ტარა სტეფანეს, იგივე – ფანოს, ზრდიდა. ზაფხულობით ბიჭი სოფელს მიდიოდა იტიტინეს იქ
გათხოვილი დის, ანახანუმის ოჯახში – მცირე, მაგრამ მაინც შეღავათი იყო.

შემოდგომის ერთ მზიან დღეს კი, საღამოსპირს, ნარცეცხლაძეებს დუშეთის მაზრის სოფლი-
დან, წალიკიანთკარიდან, სტუმრები ეწვიათ: ცოლ-ქმარი საამ და როდამ წალიკაშვილები. საამი
ანახანუმის უმცროსი შვილია. საამისთვის მამაპაპისეული სახლი ჩამოურთმევიანთ და იქ კოლმე-
ურნეობის კანტორა გაუხსნიათ... ბეგრი იჩივლეს და ირბინეს – როდის იყო, წალიკაშვილები თა-
ვადები იყვნენო, მაგრამ საამს მეგობრულად ურჩიეს: ტყუილად ფაფხურობ, ეგ საქმე გადაწყვე-
ტილია და არაფერი გამოგივა, ვეღარაფერს შეცვლი; თუ არ გინდა, უარესს მოეწიო, ჯობს,
ბელს შეეგუო და გაჩუმიდეთ. საამმა დედა და ორი მცირეწლოვანი ქალიშვილი დროებით იმავე
სოფელში გათხოვილ უფროს დასთან დატოვა და ბელისა და ბინის საძებნელად ქალაქს ჩამოვი-
და...

მოკრძალებული ვახშმის შემდეგ ცოლ-ქმარს ზალაში დივანზე საწოლი გაუშალეს. როცა
დასაძინებლად დაწვნენ, როდამ ქმარს ეუბნება:

- არ მეძინება, მიაშბე რამე კარგი ამბავი!
- გაგიჟდი, ქალო? ნერვები ისედაც აფურტკნული მაქვს, შენი ხუშტური მაკლია სწორედ! ამ-
ხელა გზა გამოვიარეთ, არ დაიდაღე?
- რა ვქნა, ვერ ვიძინებ, მითხარი რამე!
- რა ლაილია აგიტყდა ამ შუადამეს, დამაძინე, დმერთი არ გწამს?
- საინტერესო ამბავი მომიყევი და მერე დაიძინე.
- მეძინება, ნუ მომაბეზრე თავი...
- ყველას მოეწონვარ, რომ დამინახავენ, სინათლით ევსებათ თვალები, შენ რატომ არ გიყ-
ვარვარ?
- არ გამაგიჟო, ვინ გითხრა, რომ...
- აბა, სულ მეზუზღუნები...
- მე გეზუზღუნები, თუ შენ?
- ერთადერთი ადამიანი ხარ მთელ ქვეყანაზე, ვისაც ვეჯავრები.
- შენთან დავას აზრი არ აქვს, დამაძინე რა!
- გშურს ჩემი და იმიტომ!
- არ გამაცინო! არავისი არ მშურდა არასდროს და რაღა შენი უნდა მშურდეს? ან რა უნდა
მშურდეს?
- ყველას რომ ვუყვარვარ!
- ჰო, კარგი, მეც მიყვარხარ, აღარ დამაძინებ?... უ-უ-ჰ...
- თუ მართლა გიყვარვარ, მაკოცე რა!
- დამანებე თავი! – ქმარი გადაბრუნდა კედლისკენ. – ამას ვის გადავეყარე!
- ნამდვილი ქართლელი მუტრუკი ხარ, ვირი!
- მერე, ვირის კოცნა რად გინდა?

– არც მინდა! ამდენს გელაპარაკები და აბა, ერთი ტკბილი სიტყვა თუ გაიმეტე!
 – ფუი, ის დღე დაიქცა, მე რომ შენ ცოლად მოგიყვანე! – საამმა მოკრიფა თავისი ტანსაცმელი და ოთახიდან გავიდა...

შემდგომ ამ ოჯახის ბედი ასე წარიმართა.

ქვეყანაში გამოცხადდა დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის კურსი, დაიწყო ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა. საამმა უბრალო შავ მუშად დაიწყო მუშაობა მშენებლობაზე. დროებით ცოლქმარი ნარცეცხლაძეებთან დარჩნენ – მათ ერთი ოთახი დაუთმეს – და თავიანთი ბავშვებიც ჩამოიყვანეს სოფლიდან. ამით ნარცეცხლაძეები გადაურჩნენ “შევიწროებას” – სამოთახიან ბინას აუცილებლად ორად გაყოფდნენ, ნარცეცხლაძეებს ორ ან, შესაძლოა, მხოლოდ ერთ ოთახს დაუტოვებდნენ და ბინის დანარჩენ ნაწილში ვინმე გაჭირვებული ოჯახს შეასახლებდნენ...

ამ დროისთვის ბაბო დედასთან კარგა ხნის დაბრუნებული იყო: უშიშროების გამო ქმარი გაეყარა; ბაბო ერთხელ კი დაფენხმძიდა, მაგრამ დროზე ადრე მძიმედ იმშობიარა და მერე შვილი აღარ ეყოლა... რამდენიმე თვეში თითია შვილებით, კატოთი და მაგდანათი, მამამისთან, ყოფილ ვეჟილთან, დიომიდე დიდმელაურთან გადავიდა საცხოვრებლად – იტიტინესთან და, განსაკუთრებით, ბაბოსთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება გაუჭირდა, ამასთანავე – ყოფილი ვეჟილის ოჯახიც გადაარჩინა “შევიწროებას”...

ერთხელ ისე მოხდა, რომ ნარცეცხლაძეების ოჯახში დიდიდან ყველანი გაიკრიფნენ თავთავიანთ საქმეებზე და შინ მხოლოდ იტიტინე დარჩა – საამის ბავშვები სკოლაში იყვნენ, სკოლიდან უკვე დაბრუნებული ფანო კი ეზოში თამაშობდა. მარად საშინაო საქმეებით უხვად დატვირთულ იტიტინეს ამოსუნთქვის საშუალება მიეცა, მანაც დრო იხელთა და თავისი მეზობელი დაქალები ჩაიზე დაჰპატიჟა.

მოგროვდა ხუთი ქალი: თვითონ იტიტინე, ბოცო ბიჭკინაურის ცოლი გულქანი, აკვილინე შუბიანიძე, ნექტარ აღამალოვი და ვარდო დიდუანიძე – ქაქანებდნენ გემრიელად.

რასაკვირველია, უპირველესი თემა გახლდათ – რძლები, მათი გაუთავებელი ძაგება; თითოეული გულს იფხანდა, საკუთარი რძლის საშინელ ხასიათს, უცნაურ ჩვევებს ჩამოთვლიდა; თვითონ რა იობის მოთმინებით უძლებდნენ ყოველივეს – რასაკვირველია, შვილის ხათრით და შვილიშვილების სიყვარულით... შიგაშიგ მრავალფეროვნებისთვის მეზობელ თემას გადასწვდებოდნენ – სამ მათგანს სიძეებიც ჰყავდათ და მათაც არ აკლებდნენ ხელს: “რისთვის ვიწვალეთ, ვისთვის გავზარდეთ ჩვენი ანგელოზები, რომ ამ უჯიშოებს ჩაეგდოთ ხელში?”.

– გაგიგონიათ, ქა, ქალს კვერცხი არ უყვარდეს? იმ წუთში ტანზე გამომაყრისო. არც კარტოფილს ეკარება. მა რა ჯანდაბა და დოზანა უყვარს მაგ უჯიშოსა, ჰა?

– ჩემსას ხორცი აქვს ათვალწუნებული... დასანახად ეჯავრება, ვითომ დიდი მემარხულე ბრძანდებოდეს! მოგკედით ამ წყალწყალა შეჭამანდების ყოველდღე ჭამით, ყველას ღოყებში სისინათელა გასდის, მაგრამა ბიჭის ხათრით ხმა ვერ ამოგვიღია.

– ჩემი ვერანაირ მწვანილს ვერ ვეშება. გენაცვათ, რა გემო ექნება კერძსა, თუ მწვანილს არ უხამ?

– ჩემი რძალი კიდენა, კვირა კი არა, მთელი თვე გაივლის და ერთი ცოცხს ვერ დაუნახავ ხელში აღებულს... მე რომ არ ვიყო ოჯახში, მტვერში და ნაგავში ჩაიხრჩობა და ერთს არ გაატოკებს ხელს, დამბლა! აბა, ერთი უთხარი რამე, გინდა თხოვე მდაბლათა, იმ წუთში ლანძღვას დაგიწყებს, მე აქ თქვენი მონა კი არა ვარო...

– იჰ, ჩემი რძლისა ხმას ვერ გაიგონებ, ხმასა, მაგრამ ისეთი ჩუმჩუმეაა, მტრისას! ქმარს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებს, უნდა, რომა სუ ერთმანეთი დავჭამოთ, თვითონ კიდევ ჩუმად ქირქილებს... რა ვიცი, რა უნდა მოიგოს მაგითი, მაგ შტერმა მაგან, არ ჯობს, სუ სიამტკბილობით ვიყვნეთ? არადა, მაგის მობრძანებამდინ ჩვენს ოჯახში ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგონებდი.

– ნუ იტყვი, ქალო, ე თანამედროვე გოგოები სხვანაირები არიან, სხვანაირად გაზრდილები. აი, ჩვენა, არა, სუ თვალეში შევციცინებდით დედამთილ-მამამთლისა, სუ იმასა ვცდილობდით, რა ვასიამოვნო, ესენი კიდევ მარტო საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობენ.

ერთხმად ასკვნიან: “ჭირმა ერთ დღეს გაწვიტოს ყველანი!”. ის კი ავიწყდებათ, რომ ერთ დროს ისინიც იყვნენ რძლები...

* * *

ვაჰ, უკვე რამდენი ვილაქლაქე და ერთი გემრიელი ლხინის შესახებ საუბარი მომენატრა!
 თამადა საამ წალიკაშვილია: დიდი დაგვიანებით (პირველი ხელფასი აიღო!) ახალგაჯობილ მეზობლებთან ერთად მოკრძალებით აღნიშნავს ქალაქს გადმოსახლებას და დროებით – იმედიანად, დროებით! – ნარცეცხლაძეთა ოჯახში დაბინავებას!

საამ მორიგ სადღეგრძელოს მომავალ თაობას, ბავშვებს, უძღვნის:

– ახლა ერთ-ერთი ყველაზე გემრიელი სადღეგრძელო მინდა, შემოგთავაზოთ: გაუმარჯოს ბავშვებს – ჩვენი ცხოვრების ყვავილებს! ყვავილებივით სუსტებსა და ლამაზებს, ყვავილებივით უმანკოებსა და უცოდველებს, ყვავილებივით ყველას სულის დამატკობლობებსა და გულის გამხარებლებს! მართალია, ძალიან ცელქებიც არიან, მაგათ ვენაცვალე, და მარად ფხიზლადაც უნდა

ვიყოთ, რომ რაიმე ხათაბადას არ გადაეყარონ... ეხლა არდადეგებზე ჩემს დასთან და ბებოსთან ერთად არიან სოფელში, რასა იქმენ ნეტავი, როგორ მომენატრენ... ჩემი ცისკარი – წითელი ბლის კუნწულა და ჩემი დოღო – თეთრი ბლის კუნწულა! ფანოს გაუმარჯოს – ეგა კიდევა, ალუბლის კუნწულა იყოს! მაგათ ვენაცვალე ყველას! მათი თამადობით ყველა ბავშვს გაუმარჯოს!

– ამას წინათ ჩემი ნაბოლარა შვილიშვილი გეყავდა სტუმრად, ცოტა ხნით მარტო დაუტოვე ბიათ, გასულა აივანზე, რაც სასტიკად აქვს აკრძალული და მთელი ეზოს გასაგონად მორთო ყვირილი: “დედა მინდა!” – ამბობს ბოცო ბიჭინაური.

ბარნაბ კანტიკუნტაძე იღიმება:

– აუკრძალე, რამდენიც გინდა! ჩემი ორი შვილიშვილი, ლამარა და ია, ამას წინათ მეზობლის ბავშვებთან სტუმრად იყვნენ, შემძვრალან სხვებთან ერთად სააბაზანოში და გაუმართიათ იქ წუწაობა. ამოვარდა ქვევიდან გაგივებული მეზობელი...

საამის კიდევ ერთი სადღეგრძელო:

– ამ ოჯახში მე სტუმრად მოვედი და მაინც უკვე სტუმარიც აღარ მეთქმის... სანამ ფანო დავაუკაცდებო, მამაკაცი ჯერჯერობით მხოლოდ მე ვარ და რადგან დამაფასეთ და თამადობა მარგუნეთ, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი განსხვავებული სადღეგრძელო შემოგთავაზოთ... ერთმანეთს თბილ და სასიამოვნო სიტყვებს ვუძღვებით, მაგრამ საერთო მდგომარეობა რომ არასახარბიელოა, ყველამ ვიცით. მოგესვენებათ, როგორ მძიმე და გაჭირვებულ დროებაში ვცხოვრობთ, ჩვენ კი აქ პატარა, მყუდრო კუნძული შევქმენით და ამ ამ არცთუ მდიდრულ, მაგრამ გემრიელ სუფრას ვუსხედვართ, ერთმანეთს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ... სწორედ ბედნიერების სადღეგრძელო მინდა, შემოგთავაზოთ – არა ცალკეული პიროვნებისა, არამედ საზოგადოდ, ყველა ადამიანისა, ყველა ცოცხალი არსებისა, როგორც იტყვიან ხოლმე – განურჩევლად სქესისა, ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა... ადამიანი რომ დაიბადება, ბედნიერებისთვის იბადება, იგი ბედნიერი უნდა იყოს, ხომ მართალს ვამბობ? მაშ, გაუმარჯოს ქვეყნად ბედნიერებას, ყველას ბედნიერებას!... რომელ ბედნიერებასო, მკითხავთ... ყველას თავისებურად ესმის, რა არის ბედნიერება, როდის ხარ ბედნიერი, ისევე, როგორც მავანს რომ ჰკითხო, რა არის სიყვარულიო, ყოველს თავისი წარმოდგენა აქვს... ბედნიერება – ბრძოლაა! – ამბობს ერთი. თუკი სამართლიანობისთვის, სიკეთისთვის იბრძვი, მართლაც გასაგებია, მაგრამ რამდენი კაცი თუ ქალი იბრძვის ქვენა მიზნების განსახორციელებლად, გააფთრებით თავს არ ზოგავს და ხშირად თავსაც კი არ ზოგავს: ზოგი – ფულისთვის, ზოგი – ძალაუფლებისთვის...

– უფრო ხშირად – ორივესთვის ერთად!

– მარადიული კითხვაა: რაშია ბედნიერება?

– ჯანმრთელობაშია...

– დღეგრძელობაშია...

– ტკბილ ოჯახშია!

– სწორი ბრძანებაა! ბედნიერების სადღეგრძელოს ბოლომდე ვსვამ!

– თუ თამადა ნებას დამრთავს, ერთი დღის ოჯახურ იდილიაზე მიგახსენებთ... უფრო სწორედ – სადამოსი. იმ დღეს სამსახურში ძნელი დღე მქონდა, გადავიღალე და შინ გვიან დაგბრუნდი; უპირველესად ქვავს ვეცი... “დილიდან ხემსი აწ ჩასულა ჩემს პირში! – ცოლს ვეუბნები, – რა დროს ლაქლაქია, სუფრა გააწყვე”, ის კიდევ მიყვება ბაზარში ხეტიალის ამბებს, სხვა არაფერი აინტერესებს: ვინ შეხვდა, რაზე ისაუბრეს, რა იყიდა და რა დარჩა საყიდელი და რატომ ვერ იყიდა, როგორ ივაჭრა – რაში რამდენი მისცა... დამდევს კუდში, არ მასვენებს, არადა, ისეთი დაღლილი და მშვიერი ვარ, სად მაქვს მისი ქაქანის მოსმენის თავი, ლამის სული ამომხადოს... მე თვითონ მოვემსახურე საკუთარ თავს, ერთიანად ვისადილე და ვივახშმე კიდევ, ცოლს კი სალაპარაკო არა და არ გამოელია. მეჩვენე სად არ ვცადე გასვლა და მისთვის თავის არიდება... შინ სად უნდა დაიმალო. არც აივანმა მიშველა, არც ფესსალაგში ჩაკეტვამ – დუღღუნებს და დუღღუნებს... დგთის რისხვაა, თავი ვერაფრით დავისხენი! ბოლოს, მეზობლის ქალმა მიშველა – რადაციის სათხოვნელად მოვიდა – იმას შევაჩქე. ახლა იმათ გაახურეს ლაილია, მე დრო ვიხელთე, ჩუმად გავიძურწე საძინებელ ოთახში და ჩავიკეტე... მაინც უოჯახოდ არ ვარგივართ, ოჯახური ბედნიერებისას ვსვამ!

– მომწონს, მომწონს, კარგი სადღეგრძელოა! ბევრისთვის ბედნიერება შემოქმედებაშია... მართლაც, ნამდვილად ბედნიერად გრძნობს თავს, ვინც კეთილ საქმეს აკეთებს: მიწას ხნავს და შიგთესლს ჰყრის, სახლს აშენებს, ჩარხთან დგას, ორთქლმავალს მართავს, შუადამისას წამოხტება და ლექსს წერს – ყველაფერი შემოქმედებაა, რასაც ძალისხმევა, გემოვნება, ფანტაზია სჭირდება... მოკლედ რომ მოგახსენოთ, ბედნიერების ერთი, ერთიანი გაგება არ არსებობს... არც შეიძლება არსებობდეს, რადგან ერთი ადამიანი არ ჰგავს მეორეს და რომ ყველაფერში ჰგავდეს, ეს იქნებოდა ნამდვილი საშინელება – მრავალი მიზეზის გამო!

– აბსოლუტურად ბედნიერი ადამიანი? ასეთი ადამიანი არ არსებობს, ბედნიერების ცნება შეფარდებითია... ზოგჯერ ნაკლები უბედურებაც ბედნიერებაა. შეიძლება ზოგადად ითქვას, რომ ბედნიერი ხარ, როცა არ ხარ უბედური...

– სისულელეა, ნუ ანზოგადებ! როგორც ითქვა, ყველანი ერთმანეთისგან განსხვავებულები ვართ და ამიტომ ყველას საკუთარი ფორმულა გააჩნია ბედნიერებისა.

– რა ვიცი, ალბათ ბედნიერება ხანმოკლე მოვლენაა, ახლა, ამ წამს, კი ხარ ბედნიერი, როცა სუფრას მეგობრებთან ერთად უზინხარ და ხელში კახურით სავსე ჭიქა გიჭირავს, გულიც სავსე გაქვს სიამითა და სიყვარულით და მეორე წამს კი, შესაძლებელია, უცებ მიწა იძრას და ჭკერი ჩამოიქცეს, უბედურება დატრიალდეს – და არა მხოლოდ ჩვენთვის...

– რა უბედურებაა ამდენი “და”, ჰოდა, კიდევ ერთ “დას” შემოგთავაზებთ, გართულებულს: რად გინდა საშინელი კატასტროფები და უბედურებები, აგერ შენი ცოლი რომ შემოვიდეს ამ ოთახში ახლა და ლანძღვა დაგიწყოს: “შე გათახსირებულს, შინ ბავშვები მშივრები ღნავიან და შენ რა გექეიფებაო”, შენი ბედნიერება ერთ წამში აორთქლდება...

– შესაძლოა, მე არ ვიცი, რა არის ბედნიერება, ის კი ვიცი, რა არ არის ბედნიერება... ბედნიერად ვერ ჩავთვლი მხოლოდ სიმდიდრის ფლობას, ბედნიერება არ არის მხოლოდ ჯანმრთელად და ტანმრთელად ყოფნა, ვერც მხოლოდ სულიერ სიმშვიდესა და კმაყოფილებას მივიჩნევ ბედნიერებად... მხოლოდ შენ იყო ბედნიერი, მხოლოდ შენ არ გაწუხებდეს არაფერი, სულ მხოლოდ შენ იყო ბედნიერი – ეს დიდი უბედურებაა! ან – ჭკუამხიარულობის უტყუარი ნიშანი!

– შენს ბრძნულ სიტყვებს რომ ვუსმენთ, შეიძლება დაგასკვნათ, რომ ბედნიერება საერთოდ არ არსებობს!

ეტყობა, კაი მაგარი ღვინო იყო: ყველა ფილოსოფიურად განაწყო და ჭიკჭიკის ხასიათზე დააყენა...

* * *

ბაბოსა და დევიდ კრაუნის შვილი სტეფანე, იგივე – ფანო, ნარცეცხლაძე სკოლაში დიდი სიბეჯითით არ გამოირჩეოდა, თუმცა ცნობისმოყვარე კი იყო და საკმაოდ ნიჭიერიც. ტანმორჩილი იყო, მაგრამ ფიცხი და შეუპოვარი; უფროსკლასელებსაც კი, ბევრად დიდებსა და ღონიერებს, არ შეეპუბოდა; სკოლაშიც და უბანშიც ჩხუბისთავის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მეტსახელად “ყვინჩილა” დაიმსახურა.. პირველი ჩხუბი ფანოს მოუვიდა ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე – მის განწყურებულ მეგობართან პანტიკო ორჯამაძესთან. პანტიკო მისი ტოლი კი იყო წლოვანებით, მაგრამ ფანოზე ბევრად მოსული ტანისა და ღონიერიც იყო. წაძიბილაგება მეზობელი ბიჭის სამთვლიანი ველოსიპედის გამო მოუვიდათ. მართალი რომ ითქვას, სეირნობის რიგი პანტიკოსი იყო, მაგრამ ფანო გაჯიქდა, გინდა თუ არა, მე უნდა დაგვდე ველოსიპედზეო და, როცა პანტიკო შეეპასუხა, უცებ ხარივით დახარა თავი, გაქანდა, დაეძგერა მოწინააღმდეგეს მუცელში და მოულოდნელი შეტევისგან გაოგნებული პანტიკო მიწაზე გააგორა... პანტიკო მაშინვე ფეხზე წამოხტა, მაგრამ ფანოს ხმა არ გასცა – ფანო ბევრად სუსტი იყო და არ იკადრა მასთან ჩხუბი. ამ ამბავს შეესწრო იტიტინე, მივარდა და შვილიშვილს მაგრად მოსცხო საჯდომზე...

ამის შემდეგ ბიჭები დამეგობრდნენ, სულ ერთად იყვნენ, სკოლაშიც ერთ კლასში და ერთ მერხზე ისხდნენ. ფანო ხშირად ეხმარებოდა პანტიკოს გაკვეთილების მომზადებაში, განსაკუთრებით – მათემატიკურ საგნებში. კარგად მახსოვს, როგორ ისხდნენ ჩემთან და ფანო მოთმინებით უხსნიდა, როგორ უნდა გამოეყვანა ამოცანა.

ბაბოს ეშინოდა, უმამოდ გაზრდილი შვილი არ დამეჩაგროსო და სულ ჩასჩინებდა: “არავის მცირედიც არაფერი დაუთმო, თორემ ერთხელ თუ დაგიბრიყვეს, მერე ყველა დაგიწყებს თავში ჩარტყმას! ყოველთვის ეცადე, პირველმა მოასწრო დარტყმა!”. ფანოს მისი მეგობრებიც აგულიანებდნენ, შენ ჩვენი ჯილა ხარო და თითქმის დღე არ გავიდოდა, რომ ფანოს, მიზეზით თუ უმიზეზოდ, არ ეჩხუბა. ბევრად უფროს და ღონიერ ბიჭებსაც არ ეპუბოდა და ხშირად შინ ცხვირგაბუშტული ან თვალდალილაგებული ბრუნდებოდა, მაგრამ ამის გამო ბაბოს საყვედური არასდროს უთქვამს, პირიქით, აქებდა...

სტეფანე ნარცეცხლაძეს საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობაში საგნებში სულ “საშუალო” და “კარგი” ეწერა, ერთი-ორი “ფრიადიც” გამოეჩინა; ამის მიუხედავად, პანტიკოსგან განსხვავებით, ინდუსტრიულ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩაბარება არ გასჭირვებია და გააგრძელა სწავლა სამთო ფაკულტეტზე. პანტიკო პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა, შემდეგ კი მუშაობა დაიწყო რომელიღაც საწყობში მუშად – მამამისი, მეფაიტონე შაქრო ორჯამაძე, გარდაიცვალა, ოჯახს რჩენა უნდოდა, პანტიკომ კი არ ისურვა მამის ხელობის გაგრძელება. მეორედ უმაღლესში მოსაწყობად გამოცდების ჩაბარება პანტიკოს არ უცდია. თავის დროზე პანტიკო სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, რომლის მოხდის შემდეგაც მილიციაში დაიწყო სამსახური.

ფანომ “ყვინჩილობა” ინსტიტუტში სწავლის დროსაც არ მოიშალა, სულ ჩხუბობდა. “თუ გინდა, აყალმაყალი ატეხო, ფანო ნარცეცხლაძე უნდა წამოიყვანო!” – ასე ახასათებდნენ მხოლოდ თანაჯგუფელები კი არა, თანაკურსელებიც და ფაკულტეტზეც სახელი ჰქონდა გავარდნილი. კვირა არ გავიდოდა, რომ ფანოს არ ეჩხუბა. ჩაიკეტებოდნენ აუდიტორიაში ან კაცთა საპირფარეშოში და უბრაზუნებდნენ ერთმანეთს ნაძღვეზე ან სრულიად უმიზეზოდაც – მოზღვაგებული ძალ-ღონის დასახარჯავად. ფანო მაინც ყველას უყვარდა, პატივსაც სცემდნენ უშიშრობისთვის;

მისგან გაღალატებული თუ მისი გამლახველები ბოლშევიკების გულში არასდროს ჩაიდებდნენ ხოლმე და ხშირად ფანოს მეგობრებიც ხდებოდნენ. ტანმორჩილობის მიუხედავად, ფანოს კარგი მსმელის სახელიც ჰქონდა; წესისამებრ, ჩხუბის შემდეგ მეტოქეები და მათი ქომალნი ორივე მხრიდან მოსალხენად რესტორანში მიდიოდნენ ან, თუ საამისო ფული არ ჰქონდათ, – სასადილოში მაინც.

კარი VII. მეორე დიდი ომი (1941-1945 წლები)

ესეც მეორე დიდი ომისადმი მიძღვნილი სტრიქონები... მკითხველს გაუკვირდება: ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის უდიდეს მოვლენას, რომლის მსგავსიც ძნელად მოიძებნება, სულ ორიოდე გვერდი ეძღვნება? თავის გამართლება არ გამოიხრება. მკითხველი ადრეც შეამჩნევდა: მე ჩემებური აღქმა მაქვს მოვლენებისა, მაგიდის თვალით ვხედავ ყველაფერს... ანუ ჩემს გარშემო მსხდომნი რასაც ჰყვებიან, ის არის ჩემი მოგონებების მასალაც. ამიტომ ძალაუვნებურად შეზღუდული თვალსაწიერი გამაჩნია და რა ვქნა, ტყუილების მოყოლას ხომ არ დავიწყებ? გარდა ამისა, ეს ძალიან ძნელი დროება იყო, დიდი მოვლენები და ცვლილებები ფრონტებზე ხდებოდა და არა აქ, ამ ოთახში, სადაც მე მომიწია ყოფნა; სულ ერთსა და იმავეზე იყო საუბარი – უფულობა, სიცივე, სურსათის ნაკლებობა – და გაუთავებლად ხომ არ ვატრიალებ გაცვეთილ თემებს? კარგი, ბატონო, ქვემოთ შევეცდები, მოკლედ მაინც განვაგრძო ეს თემები, მაგრამ უზომოდ გაწეღვას კი თავს აგარიდებ... თანაც, მე უფრო მხიარული ამბების თხრობა მიყვარს, ასეთი ხასიათი დამყვა, სალხინოდ ვარ მარად მომართული და ამ სასტიკი ომის წლებში ზურგშიც ცოტა რამ თუ ხდებოდა სამხიარულო – თუმცა ეს ძნელბედობის ხანა სულ ოთხ წელიწადს გრძელდებოდა, მაგრამ იმდენად მძიმე იყო, რომ უსაშველოდ გრძელი და მტანჯველი გვერგენებოდა. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვჩქარობ, იმდროინდელი ამბები, რაც შეიძლება, ჩქარა გადავაგორო...

თავიდან დავიწყებ: ფანომ მესამე კურსის საკურსო ნამუშევარი დაასრულა და გამოცდებისთვის ფიცხელ სამზადისში იყო, რომ გერმანიის ჯარებმა საომარი მოქმედებები დაიწყეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ქვეყანა მეორე მსოფლიო ომში ჩაითრია. ფანო მაშინვე სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა.

ღიახ, მსოფლიოს მეორე დიდი ომი დაწყებდან ორი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირსაც მისწვდა და ჩვენი სახლის ახალგაზრდებიც ჯარში გაიწვიეს; მათ შორის პირველები იყვნენ: იტიტინეს შვილიშვილი – სტეფანე ნარცეცხლაძე, გერონტი ციხეებილაძე, ბოცო მეფაიჭონის ბიჭი – შევარდენა ბიჭინაური, შალიკო ტარიჭაშვილი, ოთარ და თემურ შუბიანიძეები, ტარიელ და ავთანდილ უმიკაშვილები; მერე ცოლშვილიანების რიგიც მოვიდა და გაწვევის უწყება მიუვიდათ: ექიმ ევლემონ კანტიკუნტაძეს, ალფეზ ალიმხატაძეს, ბებურ გაბმულაშვილს... რამდენიმე ახალგაზრდა თბილისში დატოვეს: ოქრო გუგუნაშვილი ოპერაში მღეროდა; პანტელეიმონ ორჯამაძე რკინიგზის მილიციაში მსახურობდა და რკინიგზის გასამხედროებულ დაცვაში გადაიყვანეს; რამდენიმე წლის წინათ რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტდამთავრებული ბარძიმ ჭყავაძე – ამიერკავკასიის რკინიგზაში მოძრაობის სამსახურის უფროსი ინჟინერი იყო და “ჯავშანი” ჰქონდა.

საამ და როდამ წალიკაშვილები სოფელს დაბრუნდნენ, თავიანთ ქალიშვილებთან ერთად, რადგან ქალაქში ძალიან გაჭირდა ცხოვრება, თითქმის ყველა მშენებლობა შეწყდა და საამმა სამუშაო დაკარგა.

ომის დაწყებიდან სულ რამდენიმე თვე იყო გასული, როცა ბეკერების ოჯახი – კოტე და მისი სამი ვაჟი – აჭყარეს და ყაზახეთში გადაასახლეს, აქ დატოვეს მხოლოდ კოტეს ცოლი მარიკო ლელიხალაძე; თუმცა ცოტა ხანში მარიკოც შორ გზას დაადგა – ქმარ-შვილთან ნებაყოფლობით გაემგზავრა...

ქუჩებში სასურსათო მალაზიებთან ბარათებით პურის, შაქრის და სხვათა ასაღებად გაიწვია საშინლად გრძელი რიგები. ნავთის სარდაფებთან წინდაწინ იჭერდნენ თადარიგს, საღამოდან იკავებდნენ რიგს: დგამდნენ ბიდონს, რომელზედაც ცარცით აწერდნენ ნომერს და საკუთარ გვარს, რათა მეორე დღეს მაინც აეღოთ ნავთი, როცა მას მოიტანდნენ ცხენის მოყავისფრო-წითელი ცისტერნით, რა თქმა უნდა, თუკი გათავებამდე მოასწრებდნენ ადგებას. მთელ დამეს რიგს ყარაულობდნენ მოხალისე მორიგეები, უფრო მეტად – მოხუცები; ანთებდნენ კოცონს და გრძელი დრო გაჰყავდათ სხვადასხვა ამბების მოყოლაში...

ქალაქი თითქოს ოცდახუთი წლის წინათ არსებულ მდგომარეობას დაუბრუნდა: სიძვირესა და სურსათ-სანოვავის უკმარისობას თან დაერთო ხშირი ქურდობა და ყაჩაღობა, განსაკუთრებით – დამ-დამობით: კაი ბიჭი იყავი, დაბნელების შემდეგ ქუჩაში გაივლიდი – გაძარცვას ვერ გადაურჩებოდი... კაცებს ჯიბეებს უსუფთავებდნენ, ზამთრის დადგომისას – პალტოს ხდიდნენ და ქუდს ართმევდნენ, ქალებს კი, ამასთანავე – ხელჩანთას. ხშირად ისმოდა ქურდებს დადევნებულ მილიციონერთა სასტვენის გაბმული ხმა და მძიმე ჩექმების ბრაგუნო... პაპიროსის გამყიდველი პატარა ბიჭები ტრამვაის გაჩერებებზე ხმამაღლა გაჰყვიროდნენ ფასს: “წყვილი – მანეთი, კოლოფი – ათი!”

აუპ, რამდენს ლაპარაკობდნენ ამ წლებში ჩემს გარშემო მსხდომნი: რა ისმოდა ჩვენი სახლის ბიჭებისგან – სხვადასხვა ფრონტზე მებრძოლთაგან, რა მდგომარეობა იყო, იყო ბჭობა და კამათი... ვეგლაფერი ზემოთქმული აისახა საუბრებში მაგიდასთან; ბევრად მეტიც ითქვა, მაგრამ ზოგს ვეღარ ვიხსენებ, ზოგიც – არ მიმაჩნია თქვენი ყურადღების ღირსად.

ჩვენი სახლის ბიჭებს სულ სხვადასხვა ფრონტზე მოუწიათ ბრძოლა.

ავთანდილ და ტარიელ უმიკაშვილები ომის დასაწყისშივე დაიღუპნენ ქერჩის კატასტროფულად წარუმატებელი სადესანტო ოპერაციის დროს, ოთარ შუბიანიძე ბაქოს ჰოსპიტალში გარდაიცვალა, მისი ტყუპიციალი თემური – ორი წლის შემდეგ მდინარე ვისლის გადალახვისას იმსხვერპლა მტრის ტყვიამ...

როცა ომი დაიწყო, სტეფანე ნარცეცხლაძე ის იყო ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე მეთხე კურსზე უნდა გადასულიყო. ფანო უწყების მოსვლას არ დალოდებია – სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა და იგი მალევე გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ჯერ ვაზიანში იყო რამდენიმე თვე, სამხედრო მომზადების კურსს გადიოდა, შემდეგ ბაქოში გადაიყვანეს წვრთნის გასაგრძელებლად, რის შემდეგაც მოქმედ არმიაში გაგზავნეს. რამდენიმე სხვა ქართველთან ერთად მოხვდა სტალინგრადის ფრონტზე, იბრძოდა XXIV არმიის 273-ე დივიზიის 969-ე პოლკის შემადგენლობაში. სტალინგრადის გმირული დაცვისას მონაწილეობდა კოტელინიკოვოსთან, 184 მეტრის უსახელო სიმაღლესთან, სტალინგრადის დამხმარე მეურნეობასთან და სხვა დასახლებულ პუნქტებთან გამართულ განსაკუთრებით სასტიკ ბრძოლებში. ფაშისტთა გააფთრებულ წინააღმდეგობის მიუხედავად, საბჭოთა ჯარების გენერალური შეტევის შემდეგ ალყა თანდათან შემჭიდროვდა და დასრულდა მტრის დაჯგუფების სრული დამარცხებით და სიკვდილს გადაჩინებულ გერმანელთა დატყვევებით. 2 თებერვალს სტალინგრადის უნივერსიტეტის სარდაფიდან ამოიყვანეს დატყვევებული ფელდმარშალი პაულიუსი... ამის შემდეგ ფანო გააგზავნეს კალუგის ოლქში, სადაც ცოცხალი ძალის დანაკარგების შედეგად ფრიად შეთხელებული ნაწილი დაბრუნდა შევსებას და დროებით იმყოფებოდა უმაღლესი მთავარსარდლის რეზერვში. იქიდან წარგზავნეს სამეთაურო კურსებზე და, ორი თვის მეცადინეობის შემდეგ, მისცეს ასეულის მეთაურის თანამდებობა და გააგზავნეს ბელორუსიის ფრონტზე. პირველად ფანო დაინიშნა მსროლელი ასეულის მეთაურად, შემდეგ კი – მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაურად III გვარდიული არმიის 197-ე ბრიანსკის წითელი დროშის ორდენოსან მსროლელთა დივიზიის 828 პოლკის მე-3 ბატალიონში. ერთ-ერთი ოპერაციის დროს, ჟლობინისა და ბობრუსიკის რაიონში, რკინიგზის გადაკვეთის დროს, ფანო მძიმედ დაჭრეს თავში და სამი თვე იწვა გომელის ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი დაბრუნდა თავის ნაწილში, რომელიც იმ დროს უკვე I უკრაინულ ფრონტზე იყო გადაყვანილი. დანიშნეს მეაგრომატეთა ასეულის მეთაურად. დიდი ბრძოლები გადაიტანა დივიზიამ კრაკოვის რაიონში მდინარე ვისლის გადალახვისას, რაც დამით განხორციელდა. ფანოს ასეული შეიპარა გერმანელთა განლაგებაში და უამრავი ფაშისტი გაანადგურა, აიღეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, რისთვისაც ოცეულის მეთაური ეგორიჩევი წარადგინეს გმირობაზე, ხოლო ასეულის მეთაური სტეფანე ნარცეცხლაძე – წითელი დროშის ორდენზე. შემდეგ მონაწილეობდა მდინარე ნოისეზე მტრის ძლიერ გამაგრებული, ღრმად ეშელონირებული დაცვის გარღვევაში, ქალაქების: კოტუსის, ლუბენის, დრეხდენის ხელში ჩაგდებაში, ბერლინის აღებაში, ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელთა დაჯგუფების ლიკვიდაციაში. ომის დამთავრებამ ფანოს მოუსწრო ქალაქ პრელაში. ორი ორდენისა და მედლების გარდა, უფროს ლეიტენანტ სტეფანე ნარცეცხლაძეს მიღებული ჰქონდა უმაღლესი მთავარსარდლის ორი მადლობა და ხუთი სიკვდილი...

ვაჟაკცურად იბრძოდნენ სხვადასხვა ფრონტებზე: გერონტი ციხეებილაძე, ვედემონ კანტიკუნტაძე, ბებურ გაბმულაშვილი, შალვა ტარიჭაშვილი და სხვები... მათი უმრავლესობა დაჭრილიც იყო, ზოგი – რამდენჯერმე, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ბრუნდებოდნენ მწყობრში.

მთელი ომი დროს მოწყენილი გახდით... აღარავინ ჰყვებოდა მხიარულ ამბებს, აღარ ისმოდა სიცილ-კისკისი და, რაღა თქმა უნდა, თქვენი მონა-მორჩილი მაგიდის სალხინოდ გაწყობაც აზრადაც არავის მოსვლია...

VIII. ომის შემდგომი დროება (1945-1953 წლები)

1945 წლის შემოდგომაზე შინ დაბრუნდა დემობილიზებული შალვა ტარიჭაშვილი – სამხედრო-სახლგაო ფლოტში მსახურობდა შავ ზღვაზე. ოდნავ მოგვიანებით ჩვენი ეზოს კიდევ რამდენიმე ოჯახში გაიშალა სალხინო სუფრა – მშვიდობით დაბრუნდნენ: სტეფანე ნარცეცხლაძე, გერონტი ციხეებილაძე, ვედემონ კანტიკუნტაძე, ბებურ გაბმულაშვილი; მათზე ორი წლით ადრე შინ ჩამოვიდა ალფეხ ალიმჩიტაძე... ჯერჯერობით არ ჩანდა შევარდენა ბიჭინაური, რომლის ასაგად-დასაგალიც უცნობი იყო, რამდენიმე ფრონტელი კი მათ ოჯახებს ჩვენს ეზოში უკვე გამოტირებული ჰყავდათ – სამშობლოსათვის ფაშისტ დამპყრობლებთან ფიცხელ ბრძოლაში მათი გმირულად დაღუპვის ცნობა ადრე ჰქონდათ მიღებული; მათ შორის იყვნენ: ავთანდილ და ტარიელ უმიკაშვილები, ტყუპი ძმები – ოთარ და თემურ შუბიანიძეები...

შალიკო ტარიჭაშვილმა ჯარიდან დაბრუნებულებს შორის ყველაზე ადრე ითხოვა ცოლი, პირმშვენიერი მარიანა ვარდლოკობაძე – სრულიად შემთხვევით ერთ-ერთ სუფრაზე გაიცნო მასზე ათი წლით უმცროსი ოცი წლის ქალიშვილი და იმდენად მოიხიბლა, რომ, როგორც მამაც მეზღვაურს შეეფერება, მაშინვე უშიშრად თავით გადაეშვა ტრფობის მორევეში და ერთ კვირაში მის ბინაში მცირე საქორწინო სუფრაც გაიშალა... შალიკოს მამა, საწყალი გუგუა, ვეღარ მოესწრო ჯარიდან შვილის მშვიდობით დაბრუნებას – ერთი წლით ადრე თირკმელების უკმარისობით გარდაიცვალა.

სტეფანე ნარცეცხლაძეს თან ჩამოჰყვა რუსი ძმაკაცი, იგორ ინოხემცევი, რომელსაც ოჯახი მთლიანად ამოუწყდა ომში (ომამდე ისინი უკრაინაში, დონბასში ცხოვრობდნენ). სამ წელიწადზე მეტნანს თითქმის სულ ერთად იყვნენ, მხარდამხარ ბრძოლით ერთად გაიარეს რამდენიმე ათასი კილომეტრი... იგორი ჯერ სტეფანეს ოჯახში ცხოვრობდა, რამდენიმე თვეში კი ჩვენს სახლში პირველ სართულზე ერთი მომცრო ოთახი მისცა ქალაქის საბჭომ და იქ გადასახლდა..

ფანოს დედა, ბაბო, შვილის შემხედვარე, სულ მოთქვამდა:

– ცარიელი ძვალი და ტყავი ხარ, შვილო! კარგი მოვლა-პატრონობა გჭირდება, მე კი უკვე ძალიან მოვხუცდი, ბევრი დარდისა და ჭირ-ვარამის გადატანა მომიწია... დროზე მიხედე თავს და ცოლი ითხოვე! შეხედე, შალიკოს ცოლი უკვე დაფენძიმდა, მალე შვილიც ეყოლება, შენ რაღას უცდი?

ფანო ნელ-ნელა მოფერიანდა, ისევ სტუდენტურ მერხს დაუბრუნდა...

ცოლის სათხოვნელად არც გერონტი ცინეკილაძეს ეცალა – რაც ფრონტზე და ჰოსპიტალში ყოფნის დროს მოაკლდა, ახლა უნდა აინაზღაუროს! გადაბმული ღვინები, სადღეგრძელოების თქმაში შეჯიბრი! და თუმცა სუფრის გარშემო შეკრებილ ნაფრონტალ მეგობართაგან სიმღერა არავის ესერხება, გერონტის ერთოთახიანი ბინიდან თითქმის ყოველდღე “პარიჰარაღე” ისმის! აქ არიან მეზობლები: ფანო ნარცეცხლაძე, პანტიკო ორჯამაძე, შალიკო ტარიჭაშვილი, აგრეთვე – იგორ ინოხემცევი და, შიგადაშიგ, სხვებიც.

მონატრებული სადღეგრძელოები ერთიმეორეს მიჰყვება:

– მოდი, უპირველესად ჩვენს თავშეყრას გაუმარჯოს, რაზედაც უთვალავჯერ გვინატრია ამ რამდენიმე წელიწადის მანძილზე, რაც ჩვენ მოშორებული ვიყავით ჩვენს ოჯახებს, ჩვენს მიწა-წყალს... და აჰა, ჩვენი ოცნება ასრულდა, უკვე თითქმის ყოველდღე გაშლილ სუფრას ვუზივრთ, ერთმანეთს ვესიყვარულებით, ერთმანეთის ყურებით ვერ გაგმძღარვართ... ვერ გაგმძღარვართ ჩვენი ქვეყნის ყურებით, ჩვენი თბილისისა, ჩვენი ქუჩისა, ჩვენი სახლისა და ეზოსის... ჩვენი დედ-მამა იქნება, და-ძმა თუ ნათესავი, მეზობელი თუ მეგობარი... და იმათი ნახვაც კი გვისიმოვნებს, ვინც წინათ, ომამდე, გულზე არ გვეხატებოდა, ახლა კი მზად ვართ, ყოველი მათგანი გულში ჩავიკრათ და მოვფეფროთ... ჩვენი სულები, ჩვენი მენსიერება დღემდე სავსეა უამრავი საშინელი, შემზარავი სურათით; ბევრი სისხლისა და ტანჯვა-წვალების ნახვა მოგვიწია ამ სასტიკ ხოცვა-ჟლეტაში და ახლა აღარ მინდა, ამაზე საუბარი გაგავრძელო, არადა, ალბათ კიდევ დიდხანს ვიქნებით ასე, დაყურსულნი მძიმე მოგონებებით... და ამის საუკეთესო წამალია ალბათ ჩვენი შეხვედრები, რათა ნელ-ნელა ცხოვრების ჩვეულ კალაპოტში ჩავდგეთ. ჩვენს მშვიდობით დაბრუნებას გაუმარჯოს, ჩვენს აგრერიგად მონატრებულ თავშეყრას და ამ ჩვენს გემრიელ პურობას გაუმარჯოს, ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს!

– ბიჭებო, ამ სუფრაზე გამარჯვების სადღეგრძელო რომ ცალკე, განსაკუთრებით არ დაილიოს – გამორიცხულია! ამ ჭიქით მე მინდა, ის დალოცვილი წამი ვადღეგრძელო, როცა გაისმა უკანასკნელი გასროლა... არა, როცა გაისმა ჩვენი გამარჯვებისადმი მიძღვნილი საარტილერიო ხალბი და წითელ მოედანზე დამარცხებული მტრის დროშები დაყარეს კრემლის კედელთან უმაღლესი მთვარსარდლის, გენერალისიმუს იოსებ სტალინის ფერხთით! ჩვენ გავიმარჯვეთ სამკედრო-სასიცოცხლო შეტაკებაში ფაშიზმის ძალებთან და აი, ამ დიად დღესასწაულს გაუმარჯოს! სიკეთის ძალების ბოროტებაზე საბოლოო გამარჯვებას გაუმარჯოს!

– ჩემო შალიკო, მაგის იმედი ნუ გექნება – კიდევ ბევრი ბოროტებაა დარჩენილი ამ ქვეყანაზე! ამერიკას არ აღმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ ბოროტებისა და სიკეთის ბრძოლა მარადიულია და მანამდე გაგრძელდება, სანამ კაცობრიობა იარსებებს. სხვას რომ თავი დავანებოთ, თითოეული ჩვენთაგანის არსში ამგვარი მუდმივი ბრძოლა არ მიმდინარეობს? მარადისობის კანონით დადგენილია, რომ სხეულზე მძიმე სატარებელია სული; ისეთი მძიმეა, რომ ერთი კაცისთვის ძნელი სათრეგია და მის ტარებაში გვეხმარება სიკეთე! სიკეთეს გაუმარჯოს! კეთილი ხალხის ერთიანობას, ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს!

– სიხარულის ცრემლის სილამაზეს გაუმარჯოს!

– შეგხვდება რამე ან ვინმე, რომელიც კარგ ხასიათზე დაგაყენებს... აი, რომ მიდიხარ, მაგალითად, ვინმე რომ შეგხვდება, გაგიღიმებს ან დაინახავ ლამაზს რასმე, – გაშლილ ვარდს, სხვა ყვავილს, რომელიც სულს ესაღბუნება, კონტად მიმავალ ტურფა ქალს – აი, ამას გაუმარჯოს!

– მე სადაც კი მივსულვარ, ყველგან კარგები დამხვდნენ, აი, ამ კაი ხალხს, კეთილ ადამიანებს გაუმარჯოს!

– ის ერთიანობის კეთილი სული არ დაიკარგოს, ობლებად არ ვიგრძნოთ თავი!

– ერთმანეთის გაგებას გაუმარჯოს!

– ე-ე-ე, ზოგჯერ ისე აეწყოთ გარემოებები, რომ ერთმანეთის გაგება ჭირს... – ამბობს ფანო. – პატარა მაგალითით მინდა, ჩემი ნათქვამი გავამყარო. ერთი ჩვენი თანამშრომელია, ბოლმა გოგიას ვეძახით, ყველა წვრილმანზე ჭიჭყინი უყვარს, ისე კი არ არის ცუდი ბიჭი; ჰოდა, დაბრუნდა ეს გოგია შინ გეოლოგიური ექსპედიციიდან ჩვეულ დროზე ადრე. შიშა მგელივით, სამზარეულოში ვერაფერი ნახა და გადაწყვიტა სახელდახელოდ კარტოფილის შეწვა. გათალა გოგიამ კარტოფილი, შედგა ნავთქურაზე ტაფა გასახურებლად, დაასხა ზეთი... უცებ მოესმა რაღაც ხმაური საწოლი ოთახიდან. თუ ცოლია შინ, რატომ არ შეეგება, როგორც ჩვეულებრივ? იქნებ ქურდი შემოიპარა? ადგა ეს ჩვენი გოგია, აიღო გახურებული ტაფა და ფენაკრფით გაეშურა საწოლი ოთახისკენ... შევიდა და რას ხედავს: საბნის ქვეშ ქალი და კაცი არიან ერთ ამბავში... გაგიჟდა გოგია, დიდხანს არ უფიქრია, ასწია საბანი და გადაასხა მათ აღუღებული ზეთი... გამოვარდა გოგია ბინიდან, ჩამორბის კიბეზე და უცებ ცოლი არ შეეჩხა? ამოდის დატვირთული, ორივე ხელში ჩანთა უჭირავს. “შენ აქ რა გინდა?” – გაოცდა გოგია. “შენი და და მისი ქმარი ჩამოვიდნენ სოფლიდან, შინ არაფერი გექონდა და ბაზარში გავიქეცი რამის საყიდლად”... აი, ასეც ხდება, როცა ვერ გაერკვევი გარემოებებში და გზას ვერ გაიგნებ სიტუაციების ბაღში... ახლა კი მინდა, გამოჩვენოთ დაგლიო მეგობრობის სადღეგრძელო! დიახ, ისეთი სადღეგრძელო მინდა, შემოვთავაზოთ, ყოველ სუფრაზე რომ ითქმის. მე და იგორი, იგორ ინოხემცევი, აგერ ხედავთ, რა ბიჭიც არის, სამი წელიწადი სულ ერთად ვიყავით, მხოლოდ ზოგჯერ ხან მე მოვხვდებოდი ჰოსპიტალში, ხან – ის... მრავალი ჭირი ერთად გამოვიარეთ, ლხინი – ნაკლებად. მე ძმა არ მყავს და ფორტზე ვიპოვე ძმა და მეგობარი, ჩემი იგორი... მეორე ძმაც მყავს, ადამ ნალოვეი, ჩემი ყაბარდოელი ძმაცაა – მინდა, ამ სუფრაზე გავისვენო, თვეში ერთხელ მაინც ერთმანეთს წერილებს ვწერთ, თუმცა რუსულში ვერ ვართ მაგრები. სამაგიეროდ, ჩვენი მეგობრობა არის მაგარი და ის გაგრძელდება მანამდე, სანამ ჩვენ ცოცხლები ვიქნებით... ერთხელ მე ვიყავი მასთან ნაღიკში, ახლა თვითონ ჩამოვა თავისი ცოლ-შვილით. ჩვენს მეგობრებს გაუმარჯოს, მეგობრობის სადღეგრძელოს ვსვამ!

ბებურ გაბმულაშვილმა გაიხსენა:

– ერთი ძალიან ცუდი ათმეთაური გეყავდა, რუსი, სულ შარის გუნებაზე იყო. ჰოდა, ყარაულად რომ იდექი, ხომ იცით, თუ ჩაგეძინებოდა, გაუსამართლებლად დაგხვრეტდნენ. ერთი თათარი გეყავდა, აბდულა, და არ დაეძინა, საწყაღს? ეტყობა, მივიდა ეს მყრალი ათმეთაური, ჩუმათ ამოაცალა საკეტი შაშხანიდან და წამოვიდა... გაეღვიძა თათარს, ხედავს, ცულადაა საქმე, გამოიქცა პოსტიდან, მოვარდა ჩემთან და მანჯდრევს... მე მიძინავს, გამადვიძა. საკეტი ამოღებული აქვსო, მომეცი საკეტი შენი თოფიდანო. გამოაძრო საჩქაროდ და თავისაში ჩადო... და საჩქაროდ პოსტზე დაბრუნდა. ცოტა ხანში რაღაცამ ბახვანი გაადინა, სროლის ხმა... თურმე გააგორა ეს მეთაური. ეტყობა, თათარმა დაუძახა: “სდექ, სდექ!”, იმას კიდევ ეგონა, ვერ მესვრისო, საკეტი ამოღებული აქვსო და არ გაჩერებულა... ის ამოღებული საკეტი მოკლულს ფარაჯის ჯიბეში ედო, ამოიღო ამ თათარმა, მამაძალი ვიდაცა იყო ეს აბდულა, და გამოცვალა. კაი ბიჭი იყო, ხომ იცი. მერე სხვები ამბობდნენ, იმ ძალიშვილს მაინც მოგკლავდითო, იმ ათმეთაურს, ადრე თუ გვიანო...

* * *

გერონტის, დემობილიზებულ ახალგაზრდა ოფიცერს, მაშინვე სამშენებლო ტრესტში სამსახური გამოუძებნეს, მოკლე ხანში ტრესტის მმართველის მოადგილე გახდა; როგორც ნაფორტალს, მალე, იმავე ეზოში, სადაც გაიზარდა, მეორე სართულზე გამოთავისუფლებული ერთოთახიანი ბინა ერგო – ჯერ ეს იკმარე, შემდგომ, შესაძლებლობის მიხედვით, უკეთესს გამოგიყოფთო.

გერონტი ადამის დაჟინებულ თხოვნას: “შვილო, დავერდი, დროზე დაქორწილდი, ერთი შენი შვილის ჩემს კალთაში ჩაგორებას მომასწრო და ჩემზე ბედნიერი ამქვეყნად არავინ იქნებაო”, დაჰყაბულდა, ან ვინ ეტყოდა ოცდაცამეტი წლის ეშხიან, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულ ვაჟკაცს უარს – უამრავი მშვენიერი ქალიშვილი ეძლეოდა! – და მისი უშუალო უფროსის, ტრესტის მმართველის, ქალიშვილი, ტუსა თავყვავილაძე, ცოლად მოიყვანა. მართალია, ტუსა არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სილამაზით და არც ისეთი ახალგაზრდა იყო – ოცდაათს უკაკუნებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჭკვიანი იყო, ნაკითხი – სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტში მუშაობდა და, როგორც ამბობდნენ, საკანდიდატო დისერტაცია თითქმის მზად ჰქონდა.

* * *

ფანო და მისი ბავშვობის მეგობარი, პანტელეიმონ ანუ პანტიკო ორჯამაძე, გერონტისა და ტუსას ქორწილში იყვნენ, რომელიც დედოფლის მამამ, ტრესტის მმართველმა, ბიძინა თავყვავილაძემ, თავის დიდებულ ბინაში დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადა.

ბატონმა ბიძინამ თურმე სახელგანთქმული თამადაც საგანგებოდ მოიწვია, – მისი დეიდაშვილის სიძე, ვეშაპივით კაცი – გერონტის სიმამრის სამხაკაცოში პირველი თამადა იყო!

ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს შესმა ბატონმა თამადამ გამორჩეული სასმისით, უზარმაზარი ლარნაკით ისურვა – ალბათ გერონტის მხრიდან მოწვეული სტუმრების შესაშინებლად. ფანომ პანტიკოს უთხრა (ამ ამბავს სიტყვასიტყვით ისე გადმოცემით, როგორც მოსმენილი მაქვს თვითმხილველისგან, ფანოსგან):

– პანტიკო, მოდი, ამ ვაზას ბოლომდე ნუ გავაგსებთ, ცოტა თავი შევიწინახო!

პანტიკო გაწყრა:

– გაჩერდი, თუ კაცი ხარ!.. შენგან არ მიკვირს? მომეცი აქ დოქი! – და პირთამდე გააპიპინა ლარნაკი.

თამადას ამათი ჩურჩული საეჭვოდ მოეჩვენა, ეგონა, ღვინოს მპარავენო და პანტიკოს გადმოსძახა:

– ბატონო ჩემო მთადგილე, მოდი, ვაზები გავცვალოთ!

– კი, ბატონო, დიდი სიამოვნებით!

ლარნაკები გაცვალეს; პანტიკომ, თამადის კვალად, ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო წარმოთქვა, თამადის მიერ გამოგზავნილი ღვინიანი ლანაკი მოიყუდა და ბოლომდე გამოსცალა.

– კიდევ ხომ არ გავიმეორებო? – მიმართა პანტიკომ თამადას. – ძვირფასი მადლობა, ძალიან, ძალიან მომეწონა ვაზით დაღვება, ღვინოც ისეთია, უკეთესს რას ისურვებ და, ბატონო თამადა, შემდეგი სადღეგრძელოც ამ ვაზით ხომ არ დავლიოთ?

თამადა შეფიქრიანდა; პანტიკოს წინადადებას დათანხმდა, მაგრამ ლარნაკის კვლავ გამოყენებას არ ჩქარობდა.

შემდეგშიც პანტიკო წვეთს არ სტოვებდა ჭიქაში, არც სადღეგრძელო გამოუტოვებია.

როცა კარგა ხანი გავიდა და თამადამ ბრძანა:

– ბატონო ჩემო მთადგილე, ერთი თხუთმეტწუთიანი შესვენება ხომ არ გამოგვეცხადებინა?

პანტიკომ უპასუხა:

– თქვენ როგორც გენებოთ, ბატონო თამადა, ჩვენ კი შესვენება არ გვჭირდება! რომელ სადღეგრძელოს შემოგვთავაზებთ? ისევ ვაზით დავლიოთ, მომწყურდა!

თამადას თურმე ფერი არ ეცვალა, რადგან ისედაც ჭარხალივით გაჟინულილებული იყო, და ორთავ ხელი მადლა ასწია:

– ვაკაკავ, ძმაო, თითს, მაჯობე, თამადობა შენთვის გადმომილოცია! მე კი გარეთ რომ არ გავიდე, წავხდები კაცი!

პანტიკომ ბრძანა:

– ნება თქვენია, მაგრამ გთხოვთ ერთ წუთს მადროვოთ – თქვენი სადღეგრძელო რომ არ დავლიო, ისე ვერ გავიშვებთ! გაუმარჯოს ჩვენს პატივცემულ თამადას, დიდებულ კაცს, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს, კიდევ მრავალჯერ შეგხვედროდეთ ღვინის სუფრაზე! – ის ლარნაკი დალია და გადმოპირქვავა: – ასე მტერი დაგეცალოს! ალაგვრდი შენთან ვარ, ფანო!

– პანტიკო, შენ ორჯამაძე კი არა, ორქვევრაძე უნდა იყო! – ფანომ თამადის სადღეგრძელო კი მიიერთვა, მაგრამ მხოლოდ ჭიქით.

თამადა ოთახიდან გაიძურწა და სუფრაზე მეტი აღარ გამოჩენილა.

* * *

წლის თავზე გერონტი ციხეებილაძეს შვილი შეეძინა, პაპის სახელი დაარქვეს – მალაქია. ცხადია, ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით სუფრაც გაიშლებოდა, შემდეგ ალბათ – ნათლობის სუფრაც, მაგრამ ვინ იყო ამ სუფრებზე თამადა, ჩემთვის უცნობია, რადგან ფანო და პანტიკო იქ აღარ მიუწვევიათ. თავიდან გერონტიმ ბავშვის ნათლიად ყოფნა ფანოს სთხოვა, მაგრამ, ეტყობა, ქალბატონ ტუსას სხვა ანგარიშები ჰქონდა და “მდაბიო” ნათლია არ სჭირდებოდა...

* * *

გერონტი ციხეებილაძის უმცროსი და – ირმისა – გათხოვდა, ფანოს ძმაც რუსს, იგორ ინოზემცევს გაჰყვა ცოლად და ჩვენს ეზოში, პირველ სართულზე, გადაბარგდა ერთოთახიან ბინაში, რომელიც იგორს მისცეს, როგორც ნაფრთხილს.. ერთ წელიწადში ირმისასაც შვილი შეეძინა, ოღონდ გოგო – ირინა, შემდეგ ვაჟებიც – დიმა და ლაშა. მალე გვერდით გამოთავისუფლებული ორთახიანი ბინა მიიერთეს...

სტეფანე, იგივე – ფანო, ნარცეცხლაძე თბილისში კარგა ხნის დაბრუნებული იყო და მაინც ჯერჯერობით ცოლის თხოვნას არ აპირებდა... რა ეჩქარებოდა: ჯერ სწავლა გააგრძელა, ორ წელიწადში სადიპლომო შრომა დაიცვა, შემდეგომ მუშაობა დაიწყო გეოლოგიურ სამმართველოში – გეოლოგიურ პარტიაში – კოლექტორად; შემდეგ, ნახევარ წელიწადში, უმცროს გეოლოგად გადაიყვანეს, კიდევ ერთ წელიწადში უფროსი გეოლოგი გახდა. ადრე გაზაფხულზე გეოლოგიური პარტია გავიდოდა საველე სამუშაოების ჩასატარებლად, გვიან შემოდგომაზე თბილისში ბრუნდებოდნენ და იწყებოდა მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავება, შემდეგ კი – გეოლო-

გიური პარტიის ანგარიშის დაცვა, ანგარიშის გაფორმება და ფონდებში ჩაბარება. ამასობაში გაზაფხულდებოდა კიდევ და ისევ საველე სამუშაოებზე უნდა გამგზავრებულიყო... ამიტომ, არ იყო გასაკვირი, რომ ფრონტიდან შინ დაბრუნებიდან მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, უკვე თითქმის ოცდაათი წლისამ, სულ მთლად ნორჩი, ცხრაშვიტი წლის გულნაზი ნაზიკაური მოიყვანა ცოლად. გეოლოგიური ხეტილისას ერთ კახურ სოფელში წყლის ონკანთან დასაღევად მისულ ფანოს რიგი დაუთმო ტანსრულმა ცქრიალა ქალიშვილმა... ფანომ ჰკითხა, გეოლოგიური პარტიის ბაზისთვის სადგომს ვეძებთ და თქვენს ოჯახს თუ აქვს შესაძლებლობა, ჩვენ შეგვიკედლოს რამდენიმე თვითო... გულნაზიმ ამოხედა ლურჯთვალა, გაღიმებულ გაუკაცს და უპასუხა: “აქვე გცხოვრობთ, მამაჩემს მოელაპარაკეთო”... გეოლოგიური პარტია შემოდგომამდე დარჩა ნაზიკაურების ოჯახში და თბილისში დაბრუნების წინ ფანო მართლაც კიდევ ერთხელ მოელაპარაკა ჯერ გულნაზისა და შემდეგ – ოჯახის უფროსსაც; ამჯერად ყველაფერი ფანოს მაშინვე დანიშნვითა და ამავე ოჯახში გაშლილი სახელდახელო, თუმცა საკმაოდ ხალხმრავალი სუფრით დაგვირგინდა...

რამდენიმე თვეში საქორწილო სუფრა თბილისშიც, ნარცეცხლაძეთა ოჯახშიც გაიშალა.

თამადად, როგორც მოსალოდნელი იყო, ფანოს ბავშვობის მეგობარი პანტიკო ორჯამაძე აირჩიეს. პანტიკოს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეთქმოდა, მაგრამ თავზე თმა სულ გასცვენოდა და წითური თმა თითქმის მხოლოდ კეფაზე შერჩენოდა. დაუღაჟა სახე სპილენძისფრად უვარვარებდა, განსაკუთრებით, რამდენიმე ჭიქის დაღვევის შემდეგ; ცისფერი თვალები თითქმის სულ ღიმილში ჰქონდა მოჭუტული. მოლხენა უყვარდა, მაგრამ რამდენიც უნდა დაეღია, მისი დათრობა თითქმის შეუძლებელი იყო.

პანტიკომ, სუფრის კურთხევის შემდეგ, უპირველესად დალოცა ნეფე-დედოფალი, ქება-დიდებათ შეამკო ორივე, უსურვა ბედნიერება, ყოველივე კეთილი, რაც კი ბუნებისა და ადამიანისგან არის შესაძლებელი: ოქრო ბიჭები და მზეთუნახავი გოგონები, ალალი შრომით მოპოვებული გემრიელი ლუკმა, დედ-მამის დღეგრძელობა, დედმამიშვილების, ნათესავ-მეგობრების, ყველა კეთილის მსურველის კარგად ყოფნა, სიმშვიდე და კეთილდღეობა შინ და გარეთ...

სამადლობელი სიტყვა ფანომ ასე დაიწყო:

– პატივცემულმა თამადამ, ჩემმა ბავშვობის ერთგულმა მეგობარმა და ძმამ, პანტიკეიმონ ბატონმა ჩემზე აქ ბევრი ზედმეტი რამ თქვა, კეთილი განზრახვით მეტისმეტად მაქო და მადიდა. სუფრის დანარჩენმა პატივცემულმა წევრებმაც მხარი აუბეს და გმირადაც კი გამომაცხადეს... მე ჯერჯერობით ისეთი არაფერი გამიკეთებია...

პანტიკომ შეაწყვეტინა:

– სამი კაცი რომ გეტყვის, დორი ხარო, ღრუტუნი უნდა დაიწყო! აქ კი ბევრად მეტმა ადნიშნა, ვინ ხარ, რა ხარ და რისი ღირსიც ხარ, ჩემო ფანო! თავმდაბლობა კარგია, მაგრამ მასაც საზღვარი უნდა ჰქონდეს!..

კიდევ მრავალი სადღეგრძელო წარმოთქვა, ცხადია, ყველაფრის გახსენება გამიჭირდება და, კაცმა რომ სთქვას, არც არის საჭირო, ფანოს მიერ წარმოთქმულ მშობლების საკმაოდ გრძელ სადღეგრძელოს კი გაგაცნობთ:

– მეგობრებო, მშობლების სადღეგრძელო ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი და გამორჩეულია და ის ნამდვილად ფეხზე ადგომით უნდა დაილიოს!.. ვინ უნდა იყოს შენტვის იმ ადამიანზე უფრო ახლო და სათაყვანებელი, რომელმაც შენ, უპირველესად, სიცოცხლე გაჩუქა! სხვას დანარჩენს აღარ ვიტყვი, ბავშვის გაზრდას და ადამიანად ჩამოყალიბებას რამდენი გულის ხეთქვა, შიში და ნერვების წყვეტა მოჰყვება, რამდენი უძილო ღამე, უსაშველო შრომა და ყოველდღიური ზრუნვა სჭირდება... მე ბედნიერი ვიყავი იმით, რომ, თუმცა უმამოდ გავიზარდე, შეიძლება ითქვას, ორი დედა მყავდა: იტიტინე და ბაბო – ბებიანემი და დედაჩემი. ორივეს უზარმაზარი, აუწონავი და გაუზომავი ამაგი აქვს გაწეული ჩემზე, ხომ იცით, რა ღროს მოგვიწია ცხოვრება... ორივეს ძალიან დიდი ჯაფა დაადგა, რომ უთვალავი სიძნელე გადაეღახათ, შვილები და შვილიშვილები გაეზარდათ... მხოლოდ მათ კი არ იგემეს მრავალი და მრავალი ტანჯვა და სიმწარე, თქვენმა დედებმაც იგივე არ გადაიტანეს? და საოცარი აღმოჩენა მოვახდინე პირადად მე – ჩემი მეგობრების ნაამბობმა მათი დედების შესახებ მომცა ამის საფუძველი: საოცრად მსგავსი ხასიათები აღმოაჩნდათ! მე, მართალი მოგახსენოთ, კარგა ხანს მაკვირვებდა დედაჩემის ხასიათი, მისი მეგუთრად გამოხატული უტეხობა, ბატონობა ოჯახში, უმციურესი კრიტიკის მიუღებლობა და მათზე მტკივნეულად რეაგირება, ჩემს პირად საქმეებში უბოდიშოდ ჩარევა... მერე ჩემი მეგობარძმაკაცებისგან ხშირად მესმოდა საჩივარი: ჩვენს დედებს ისევე პატარები გვონივართ უკვე ოცდაათ წელს მიღწეული კაცები და ისევე ისე ცდილობენ, ჩვენი ყოველი ნაბიჯი მათი ნება-სურვილის მიხედვით გადავდგათო... და მხოლოდ შემდეგ გახდა ჩემთვის ცხადი ყოველივე ამის მიზეზი. მარტოხელა ქალებს დიდი გაუკაცობა და ნებისყოფის დაძაბვა მოსთხოვა ცხოვრების მიმედგარემოებებმა. შესაძლოა, თავდაპირველად ისინი არც იყვნენ ასეთები... ისინი ერთპიროვნულად უძღვებოდნენ ოჯახს, მარტოს უხდებოდათ გამკლავება ყოველ გაჭირვებასთან, სიძნელესთან, ერთპიროვნულად უხდებოდათ გადაწყვეტილების მიღება – ბავშვები პატარები იყვნენ, უსუსურები, დამხმარე და რჩევს მომცემი არაგინ ჩანდა – თავისით უნდა გაეტანათ ლელო და მხოლოდ

საკუთარი თავის იმედად ყოფნამ ძალაუნებურად გააკაჟა მათი ხასიათი, უკიდურესად ხისტი გახდა...

– იტიტინე?

– ბებიანემი, ხომ იცით, რა შედარებით რბილი ქალია, იტიტინეს მხრივ ჩემი მუდმივი დაცვა რომ არა, რა ვიცი, იქნებ რამდენჯერმე შინიდანაც გაეპარულიყავი. ბაბო დედამისს სულ არ ჰგავს ხასიათით, ალბათ მამამისს დაემსგავსა... ამ ცხოვრებისეულმა სიძნელეებმა, როგორც ვთქვი, გამოაწროთ მარტოხელა ქალების ხასიათი, ცხოვრების რთულ საკითხებში დამოუკიდებლად გარკვევის და პრობლემების გადაჭრის ჩვევები განუვითარა. მაგრამ... მაგრამ ამ დღეებით პროცესს უარყოფითი დაჰყვა თან. ისინი თავიანთი გადაწყვეტილებების მიღებისას ვერაფერს დაეკითხებოდნენ, თვითონ უნდა გადაეწყვიტათ ყველაფერი და, ამავე დროს, მაკორექტირებელი აზრი მათთვის არ ჩანდა, არ არსებობდა... შემდგომ გარემო პირობები შეიცვალა: აღარც ძველებური გაჭირვება იყო, შეიღებოდა დაიზარდნენ, მომწიფდნენ ფიზიკურადაც და სულიერადაც, ომის ქარტეხილში ათასობით კილომეტრი გაიარეს, ბევრმა ოჯახიც შექმნა... მაგრამ დედებს უჭირთ ძველებურ სტერეოტიპზე ხელის აღება, მათთვის შეიღებები ისევ ბავშვებად დარჩნენ, ინერციით ისევ ცდილობენ რეგლამენტაცია უყონ შეიღებების ცხოვრებას, ერევიან ყოველ ცხოვრებისეულ წვრილმანში, განუწყვეტელი მეურვეობითა და რჩევა-დარიგებებით ყოველგვარ ზღვარს გადადიან... და ვერ გრძნობენ, რომ აღარაა საჭირო, ყოველ წვრილმანზე მიუთითონ შეიღებებს, უმნიშვნელო საკითხების გადაჭრისას ჩაერიონ და კატეგორიულად, უაპელაციოდ სრული მორჩილება მოსთხოვონ... ახლაც, ამ ხნის კაცს, ნახევარი ვეროპა რომ ბრძოლებით გავიარე, რა არ მინახავს და გადამიტანია, ზოგს რომ სიზმარშიც ვერ წარმოუდგენია, დედაჩემი გეოლოგიურ ექსპედიციაში საველე სამუშაოებზე ყოველი წასვლის წინ ერთსაათიან ლექციას მიკითხავს: რა უნდა წავიძლო, როგორ მოვიქცე, როგორ უნდა მოვუფრთხილდე თავს... რა ვქნათ, ჩვენ მათ ვეღარ შევცვლით, უნდა შევეგუოთ მათ ხუმტურებს, ვაპატიოთ, არ შევიმჩნიოთ გადიზიანება... ისინი მაინც ჩვენი დედები არიან, ჩვენი საყვარელი დედები... გაუმარჯოთ მათ, დიდხანს, დიდხანს გაგვახარონ კარგად ყოფნით და კიდევ მრავალი რჩევა მიგვეღოს მათგან!

– მაგი უკანასკნელი, შეგეძლო, არც გესურვა – გარანტირებული გაქვს! – გაეხუმრა პანტიკო და გააგრძელა: – ფანომ მარტოხელა ქალებზე ისაუბრა და მე მინდა, დავამატო, რაც მათ განსაკუთრებით ახასიათებთ: გამორჩეულად შრომისმოყვარენი არიან ყველანი, დაულაღავნი, დასვენება არ იციან!.. ამასთან დაკავშირებით, მე მინდა, მორიგი ძვირფასი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ: შრომას გაუმარჯოს! შრომას და კაიკაცობას ვადღეგრძელებ!.. ახლს ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ მაინც ვიტყვი: რასაც ადამიანები გარშემო ვხედავთ, მათ შორის – ამ სუფრაზე მორთმეულსაც, ყველაფერი ადამიანის ხელით არის შექმნილი... ყველაფერს ადამიანის გამრჯე ხელი სჭირდება, რომ კაცობრიობამ იარსებოს, განვითარდეს, გამრავლდეს, უკეთესი გახადოს ცხოვრებაც, გარემოც და საკუთარი თავიც! ბრძენმა კაცმა თქვა: “შრომამ შექმნა ადამიანი!” გაუმარჯოს იმ ალალ მარჯვენას, რომელმაც გამოაცხო ის პური, რომელსაც ჩვენ ახლა მივითმევთ, დაწურა ის ღვინო, რომელიც ამ ჭიქაში ახლა თვალს ახარებს და ერთ-ორ წუთში მისი სიამე მთელს ჩემს სულსა და გულს საღებუნად მოეფინება; იმ მარჯვენის ქება ვთქვათ, რომლის გამოისობითაც ამ ნათურაში სინათლე ანთია, ამ ონკანში წყალი მოჩუხჩუხებს... ადამიანი საგნების გარემოცვაში ცხოვრობს, ათასობით საგანი გვჭირდება და ყოველი მათგანი უამრავი ადამიანის შეხმატკბილებული შრომის ნაყოფია. აგერ, ამ წიგნის კარადაში ფანოს რამდენი წიგნია, უმთავრესად – გეოლოგიური და ყოველი მათგანის დაწერისას ხომ კალამი შემოქმედი ადამიანის მარჯვენას ეჭირა, გონების მადლი იღვრებოდა ქალაქზე, მერე მბუჭდავი-მემანქანე ქალი ამ ნააზრევს ნაბეჭდ ფურცლებად აქცევდა... სანამ სტამბიდან წიგნი გამოვიდოდა, რამდენი გამრჯე ადამიანის ნიჭი, ცოდნა, მონღომება, შრომა იყო საჭირო... შემდეგაც, ეს დაბეჭდილი წიგნი რომ მოხვდეს მკითხველის ხელში, რამდენი ადამიანის მეცადინეობა იქნება საჭირო, ძნელი დასათვლელია: მტკირთავის, შოფრის, გამყიდველის... წიგნი კი თუ არ იქნა, ქვის საუკუნეში აღმოჩნდებით... სამწუხაროდ, ჩემდა დიდად სამწუხაროდ, წიგნის, განთლების მადლი გვიან მიწვდა ჩემს გონებას, ცხოვრებისეულმა გარემოებებმაც ხელი არ შემიწყო... ამის შესახებ ახლა საუბარს აღარ გავაგრძელებ, შეგაწყინეთ თავი, რაც მოგახსენეთ, ისედაც მშვენივრად იცით, მაგრამ ისევ და ისევ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სახლიც, ეს ქუჩაც, ეს მაგიდაც, რომელსაც ჩვენ ახლა გუსხედვართ და ყოველი ჩვენგანიც – მე, შენ, ის, ის, ის – ყველა, ყველა, სანამ გავიზრდებოდეთ, უამრავი ადამიანის უზარმაზარ შრომას მოითხოვს – მშობლების, ბებია-ბაბუების, მასწავლებლების და კიდევ მრავალი სხვის... მაგრამ ეს ცალკე სადღეგრძელოს თემაა და ახლა ისევ და ისევ ალალი მშრომელის მარჯვენას ვადღეგრძელებ!

– ბატონო თამადავ, ღვინის დაღვევაც შრომაა! – ამჯერად პანტიკოს გაეხუმრა ფანო.

– დიახ, მაგრამ დიდად სასიამოვნო შრომა, – უპასუხა პანტიკომ, – და იგი ღმერთმა ნუ მოგიშალოს!

– თამადავ ბრძანა, – განაგრძო ფეხზე წამომდგარმა ფანომ, – რომ შრომით უკეთესს ვხდით, ვაკეთებთ შობილებით საკუთარ თავსაც – ჭეშმარიტად! ტყუილად კი არ თქვა ერთმა გენიოსმა ადამიანმა, ვგონებ, ჩარლზ დარვინმა: “შრომამ შექმნა ადამიანი!”. ვადღეგრძელებ შრომას! არსებობს სასიამოვნო შრომა და ცოტა უხალისო, მაგრამ აუცილებელი შრომაც. აი, მაგარი ბიჭობა

ის არის, რომ ის არასასიამოვნო შრომაც... მას რაღაცნაირად... მთლად სასიამოვნოდ ვერ გახდი, მაგრამ შენი გრძნობით, მოვალეობის შეგრძნებით თუ სხვა რამით ისე უნდა გააკეთო, რომ მომაბეზრებელი ან სხვა მხრივ სამიმო შრომის აუცილებლობა სიამეს გგვრიდეს... ზოგჯერ მარშრუტს რომ აკეთებ, საშიშ კლდეებზე მიცოცავ ან ნახევრად უდაბნოში ოც-ოცდაათიკლომეტრიან მარშრუტს აკეთებ აუტანელ სიციხეში, მთლად სასიამოვნო ვერ არის, მაგრამ შემდეგ, როცა შენი შრომის ნაყოფს ხედავ, სულ გაგიწყდება ის უკიდურესი დაღლა, შიმშილიც და წყურვილიც... ყოველგვარ საქმიანობაში გამოყრევა სიძნელე და კაიკაცობა ის არის, ყველაფერს გაუკაცურად გაუძლო... ვადღებრძელებ შრომისმოყვარე ადამიანს, მასზე დგას მთელი ცივილიზაცია, გამრჯე ადამიანის მოუღლე მარჯვენას დაგლოცავ!..

ფანოს მეგობარმა გეოლოგმა, ქიშვარდმა, თქვა:

– შრომა და კაიკაცობა ერთად უნდა იყვნენ, ხელიხელჩაკიდებულნი, ისე შრომას მადლი არ აქვს... მამაჩემის მონაყოლი მახსენდება, ისიც გეოლოგი იყო: ერთი ვასო პაპა იყო – ოთხთავალა ჰქონდა, მეზაფრები გადააყავდა სადგურიდან. საღამოს, როცა შინ ბრუნდებოდა, დეზერტირის ბაზრიდან მიმავალი გლეხები მიჰყავდა, ფულის მაგივრად მეზაფრობის საფასურს “ნატურით” უხდიდნენ – ყველით, ხილით, პურიტ და სხვა... რომ მივიდოდა შინ, გაჭირვებულ, მშვიერ-მწყურვალ მეზობლებს ურიგებდა სანოვავებს – ყოველ საღამოს მოუთმენლად ელოდნენ მის დაბრუნებას. ერთ პურს ყოველთვის ჩემს ოჯახსაც აძლევდა, კარგად მახსოვს, მაშინ ბავშვი ვიყავი. ვაკეში უნივერსიტეტს იქით მაშინ მინდვრები იყო, ცხვრები აძოვებდნენ. ხუთი მანეთი უნდოდა, მისცემდი და მიწას მოვიზომავდნენ. პატარა ქოხის აშენება გვინდოდა, მაგრამ სად გვქონდა მაგის თავი. “ეგერო, ტრიალ მინდორზე ოთხსართულიან სახლს აშენებენო, – უთხრეს მამაჩემს, ჰიდროლოგიური ჭაბურღილები გაიყვანეთ წყლის მისაღებად, გააკეთეთ ეს კარგი საქმე და ბინას მოგცემთ ამ ახალ სახლშიო”. ვერეს ხევის პირას ეს პირველი დიდი სახლი იყო. ელოდებიან, ყოველდღე აკვირდებიან სახლის მშენებლობას – სულ ამის შესახებაა საუბარი; ამოიყვანეს ოთხივე სართული, ბოლოს, გადახურეს კიდევ სახლი, ყველაფერი მოათავეს. წავიდეთ, ვნახოთო. ჩემს ოჯახს ორი ოთახი მისცეს და რომ შევიდნენ თურმე დერეფანში, – 1937 წელია, – “უჰ, რა გაავსებს აქაურობასო”: მხოლოდ ორი გასაშლელი საველე საწოლი გვქონდა, ორი ტაბურეტი და წიგნები; პატარა მაგიდა წინა ბინაში უნდა დაეტოვებინათ, მეპატრონის იყო. მოვიდა ოთხთავალით ვასო პაპა; წასულა, დიდი მაგიდა, სკამები, ჭურჭელი – ყველაფერი უყიდა ჩვენთვის და მოგვიტანა ამ ახალ ბინაში... აი, ასეთი კაცი იყო. ერთხელ მოვიდა ვასო პაპა: “ჩემმა ქალიშვილმა უკვე უმაღლესი დაამთავრა, სამუშაოზე მოწყობაში ხომ ვერ დამეხმარებითო”. დედაჩემმა უთხრა თურმე: “ქმარი არ არის შინ, მაგრამ უარი რომ თქვას, მე არ შემოვუშვებ სახლშიო”. მოვიდა საღამოს მამაჩემი, დაელაპარაკა დედაჩემი და მეორე დღეს წაიყვანა ის გოგო მამამ თავის სამსახურში. ვასო პაპას ქალიშვილი მეტად გონიერი და მუყაითი თანამშრომელი გამოდგა; უფროსმა ნელ-ნელა დააწინაურა, ბოლოს – განყოფილების გამგე გახდა. მერე ქალი გათხოვდა, შვილები ეყოლა, მშვენიერი ოჯახი შექმნა. დედაჩემი იტყოდა ხოლმე: “აი, რა ჰქნა ვასო პაპას ერთმა პურმაო”. კიდევ ვიტყვი: გამრჯე კაცის კეთილ გულს და მისი შრომის მადლს გაუმარჯოს!

გერონტი ციხეებილაძემ ფრიად გაამხიარულა საზოგადოება, ერთი თავშესაქცევი ამბავი მოჰყვა:

– ომი რომ დაიწყო, წამიყვანეს ჯარში... ჯერ თბილისთან ახლოს, ვაზიანში იდგა სამხედრო ნაწილი და იქ ვიყავი, სამხედრო მომზადების კურსს გავდიოდით. ჩემს უფროსს, – რუსი იყო, საშინელი ლოთი, – შევეხვეწე: ”შაბათს შინ გამიშვი-მეთქი”. “ვერა, ვერ გაგიშვებო”, – მიუბნება. “ვაჰ, რატომ? არაყს მოგიტან-მეთქი”, – დაგპირდი, მაგრამ არც ამ ნაცადმა ხერხმა გაჭრა... მაინც არ მოვეშვი: “ახალშერთული ცოლი მყავს, ცოლო არ ვარ?” – ვატყუებდი, უკვე თითქმის ოცდაათი წლის ვიყავი, მაგრამ სად მყავდა მაშინ ცოლი. “მაინც ვერ გაგიშვებ, ინსპექციას ველითო”, – ვერ დავითანხმე. “აბა, რა ვქნა?” – ვკითხები. “ჩემი ცოლი აგერაა, მიდი იმასთან, ოღონდ არ უთხრა, რომ მე მიგასწავლეთ”...

– ბიჭო, ორივეს ერთნაირი ფორმა კი გეცვათ, მაგრამ მისმა ცოლმა უღვაშით მაინც ვერ განგასხვავათ? – სიცილით ეკითხება შალვა. – ახლა მოდაში შემოვიდა ჩინური ხალათები და გხედავ, მე და შენ, ჩემო გერონტი, ერთნაირი ხალათები გვაცვია... რაშია საქმე?.. მე ვარ შენ, თუ შენ ხარ მე?

– ნუ გეშინია, ცოლებს ერთმანეთში არ შეეშლებით, – შალვას ეუბნება პანტიკო. – შენს მარიანას ჯერ იმდენი არ დაუღვია, გერონტის ცოლს კი ჩვენთან ერთად მოსალხენად სად სცალია: დროს უქმად არ ჰკარგავს – ხელში ჭიქის ნაცვლად კალამი უჭირავს! მალე დისერტაციის დაცვის შემდეგ ბანკეტზე მოგვიწვეს დიდი მეცნიერების საზოგადოებაში სადღეგრძელოების წარმოსქმა.

ფანოს სიმამრმა საქორწილოდ ისეთი კარგი ღვინო ჩამოიტანა, რომ კახურ ღვინოს შეუჩვევლი სტუმრები გვარიანად დათვრნენ, განსაკუთრებით – გერონტი ციხეებილაძე და ბებურ გაბმულაშვილი. გერონტი შალვა ტარიჭაშვილს აუხირდა (შალიკოს გვერდით ცოლი, მარიანა, ეჯდა

და ამიტომ ნაკლებ სვამდა, გერონტის ცოლმა ტუსამ კი რაღაც მოიმიზეზა და შინ დარჩა – ეს საზოგადოება არ მიაჩნდა თავის ტოლად):

– ბატონო თამადა, მიაქციეთ ყურადღება – შალიკო ღვინოს იპარავს! შალიკო, შე ძველო, ზღვის ბებერი მგელი ვარ, შავი ზღვის დაღვევა შემოდელიაო და სულ ესა ხარ?

– დამანენე რა თავი!

– რა მიბრძანე?

– ის, რომ შენი თავი არ მაქვს! თუ ღვინო დალიე, შეირგე კიდევ! შენმა მეცნიერმა ცოლმა ეს ვერ გასწავლა?

– ბატონო თამადა, ეს მოქალაქე ბრძანებს, რომ თავი არ აქვს, ესე იგი, თავი არ აბია! – აღარ გაჩერდა გერონტი. – აბა, კომბოსტოს თავი გაბია, ძამია? ძალიან საინტერესოა, საიდან წარმოიშვა ესეთი სახელწოდებები: კომბოსტოს თავი, ან – სიმინდის ტარო, ან – ყურძნის მტევანი...

– ამაზე ალბათ ჩვენი პატივცემული მეცნიერები გაგვცემენ პასუხს... – ჩაურთო შალიკომ.

– ერთი რამ კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: სახელწოდება კომბოსტოს თავი, – განაგრძო “მეცნიერული” საუბარი გერონტიმ, – ვიღაც დაკვირვებულ ადამიანს მოსვლია თავში! ხე-ღაფთ, ისევე – თავი!

– მოსვლია, რა, მოსაგლის აღების დრო ხომ არ იყო? – ენის ბორძიკით იკითხა ბებურმა.

– ესეც ადასტურებს ზემოთ მოყვანილ ჰიპოთეზას...

– მოყვანილი, რა, დათესილი იყო? – ისევე იკითხა ბებურმა.

– ვიმეორებ, ჩემი ვარაუდი არ გაუკვირდება, ვინც კი ჩვენი პატივცემული შალიკოს თავს შეხედავს – ნაღდი კომბოსტოს თავია! კომბოსტოს თავის სადღეგრძელო მინდა, დავლიო, განსხვავებული სასმისი მომაწოდეთ! – აღარ ჩერდებოდა გერონტი.

– დისერტაცია თუ მომწიფდა შენს ძვირფას გოგრაში? – უპასუხა შალვამ გერონტის, – თუ მთელი შენი ჭკუა ტუსას გადაუღოც? აჰა, ჩაცეცხლე, იქებ თავი დაგვანებო.

მთელმა ეზომ იცოდა, რომ გერონტის ცოლი, ტუსა, აპირებდა დიდი მეცნიერი გამხდარიყო და უკვე დიდი ხანია, ძვირფას თემას ამუშავებდა.

– ეგ ჯერ საკითხავია, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ სპირტის ზემოქმედების შედეგად ბატონი მეცნიერებათა კანდიდატობის მაძიებლის ქმარი ამჟამად მხოლოდ ცირკის ჟონგლერის მისიას ასრულებს: შეხედეთ, დაცლილი ღარნაკიანად რა მარჯვედ ახტა მაგიდაზე, ერთი ბოთლიც კი არ წა

უქცევია! მიდი, შაუბერე შალახო!

– სამაგიეროდ, ერთი ფეხი ფხალში ჩარგო, მეორე – ბაჟეში!

– მაგის ფეხებს კარგი გემოვნება ჰქონიათ: ორივე ძალიან გემრიელია! კიდევ კარგი, მათი გადმოღება მოვასწარი!

წონსწორებადაკარგული, წაყირავებული გერონტი ციხეებილაძე ფრთხილად ჩამოსვეს მაგიდიდან, სკამზე დააბრძანეს; დაჯდომისთანავე ბატონმა გერონტიმ თავი მაგიდაზე დადო და მაშინვე უფალმა მიიღო; თან ისეთი ბარაქიანი ხვრინვა ამოუშვა, რომ სუფრაზე მსხდომ თვალებ-მილულულტგან რამდენიმე გამოაფხიზლა კიდევ...

კარი IX. დიდი ბ(ნ)ელადი სამუდამოდ დაგვემშვიდობა. ხრუშჩოვის აღზევება (1953-1964 წლები)

1953 წლის გაზაფხული დადგა და ჩემს გარშემო სულ მოთქმა და ზარი გაისმა – საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხის საყვარელი ბელადი იოსებ ბესარიონის ძე სტალინის გარდაიცვალა! წარმოუდგენელი მწუხარება გამეფდა, მთელი ქვეყანა ძაძებში შეიმოსა.

კარგახანს აღარ ისმოდა ნარცეცხლაძეების ოჯახში ხალისიანი საუბარი და სიცილი, მერე ნელ-ნელა ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. ასე იყო სხვა ოჯახებშიც, როგორც ჩემს გარშემო სულ უფრო გახშირებული სტუმრიანობის დროს მესმოდა.

განსაკუთრებით ხშირად, რასაკვირველია, მეზობლები შემოდინდნენ დიდ ოთახში და ახლა მინდა, ავიწეროთ ჩემი ძველი თბილისური ეზოს მაცხოვრებლები, თითქმის ერთ ოჯახად რომ ცხოვრობენ – ერთმანეთისა ყველაფერი იციან, ჭირსა და ღვინის იყოფენ...

ჩემი ოჯახის დიასახლისი გულნაზი მეტად ხალისიანია და სტუმართმოყვარე; ყასიდად კი ბუზღუნებს ხოლმე ქმრის მმაკაცების მისამართით – აქ სახინკლე ხომ არ ჰგონიათო, მაგრამ დაუზარელად მაშინვე ფუსფუსს იწყებს სუფრის გასაშლელად. დიახ, როგორც მოგახსენეთ, ამ ოჯახს მომსვენელი არასდროს აკლია: ყოველდღე შემოდინან მეზობელი ქალები რაიმეს სათხოვნელად, უფრო კი – სალაქლაქოდ; საღამოობით შემოუსხდებიან მაგიდას მეზობელი კაცებიც – თამაშობენ ჭადრაკს, ლოტოს, დომინოს, ბანქოს, საუბრობენ, ჩაის სვამენ, თუ შაბათია ან კვირა, ზოგჯერ – ღვინოსაც...

ამ ხანგრძლივი ლაილას დროს რას არ გაიგონებდი, ხან ბჭობა გაიმართებოდა, ხან უთავ-
ბოლო ყაყანი იდგა და იმ არეულ-დარეულ საუბრებს ახლა ზუსტად ვეღარ ვიგონებ და ალბათ
არც არის ამის საჭიროება; რაც დასამახსოვრებელი იყო, მხოლოდ იმას მოგახსენებთ.

როგორც დაგპირდით, ალბათ საჭიროა, ჯერ გაგაცნოთ ამ დიდი ეზოს ყველა ოჯახი – თავ-
თავიანთი პატარ-პატარა ამბებით, ხან კი – ფრიად მნიშვნელოვანითაც. ბოდიშს ვიხდი, ასე ალ-
ბათ არავინ აკეთებს, მაგრამ მე დაენომრავ თითოეულ ოჯახს და ისე მოგახსენებთ მის შესახებ
– მე მაინც მაგიდა ვარ, ხის ერთი ძველი მაგიდა, ხომ იცი, და მეშინია, რაიმე არ შემეშალოს,
შეიძლება, ვინმე გამომჩრჩეს ან პირიქით, ზოგი ორჯერაც მოვიხსენიო.

1. ჩემი “პატრონი” ოჯახი, რომლის ბინაშიც მე მაქვს პატივი დგომისა და, გაგებდავ და
ვიტყვი – ვმოდგაწეობ, მეტ-ნაკლებად უკვე გაგაცნით, ახლა ერთხელ კიდევ ჩამოვთვლი მათ
წევრებს: სტეფანე, იგივე – ფანო ნარცეცხლაძე, ფანოს დედა – ბაბო, ცოლი – გულნაზი და
ბებია, ღრმად მოხუცებული იტიტინე; ფანოსა და გულნაზის შვილები – შიო და იტიტინე (ბაბომ
დედამისის, დიდი ბებიის, საპატივცემულოდ დაარქვა შვილიშვილს) და ნაბოლარა – ნანუხა (ი-
სევ ბაბომ დაარქვა, ამჯერად – მისი ძმის საპატივცემულოდ), უფროს და-ძმაზე ათზე მეტი
წლით უმცროსი! ძალიან კი ანებივრებენ ყველანი პატრონიდანვე ნანუხას და ვნახოთ, როგორი
ბიჭი დადგება...

2. ნარცეცხლაძეთა მეზობლებიდან უპირველესად უნდა გაიცნოთ ქალბატონი ელეონორა
გულაბერაძე: საშუალო ხნისაა, ერთ დროს – ჯიშინი, ახლა – ძალიან სქელი, ბავშვურად მი-
მიტი, ლურჯი თვალებით; ქშუტუნით სუნთქავს, ეწევა ასთმის საწინაღმდეგო პაპიროსებს. გოგო
და ბიჭი ჰყავს – ციცილო და გულაბერ. ძველი არისტოკრატიული ჩამომავლობისაა, მამამისი დი-
დი თავადი ამილახვრიშვილი იყო; ლენიკო “უბრალე” მუშას გაჰყვა ცოლად და მაშინ დედ-მა-
მამ მოიძულა, ამჟამადაც ბრექია ნათესავები ამრეხით უყურებენ... გულაბერყვილოა, ცხოვრებაში
გამოუცდელი, არაპრაქტიკული – ერობ-კვერცხის გაკეთებაც კი არ იცის და მეზობლებში კითხ-
ულობს, მაგრამ მარად ან მარილის გაკეთება დაავიწყდება, ან დროზე არ გადმოდგამს და დაეხ-
რუკება... სახლში მუდმივი არეულობაა (მეზობელი ქალები ჭორაობენ ამის თაობაზე). ყველაფე-
რი ძვირფასი და პრეტენზიულობის ნიშნით გამორჩეული აცვია, მაგრამ უხეირო და უზომო ხმა-
რებისგან უდროოდ გაცვეთილია და ტანზე ულაზათოდ ადგას. ამასთანავე, უყვარს მაღალფარ-
დოვანი ლაპარაკი პოეზიაზე, ხელოვნებაზე, ფილოსოფიაზე... თვითონაც ლექსებს წერს, ძალიან
უყვარს პოეზია, ხელში სულ წიგნი უჭირავს, საოჯახო საქმისთვის “ვერ იცლის”... ქმარი სასა-
ცილო ბრალდებით დაიჭირეს – მამა მენშევიკი გყავდაო – და ციმიბრში თუ იმის იქით გადა-
სახლეს, მისგან არაფერი ისმის, დაიკარგა კაცი... რით ცხოვრობს ეს ოჯახი, საოცარია, ისევ ნა-
თესავები და მეზობლები ეხმარებიან... ქალბატონ ელეონორას ძალიან უნდოდა, მისი ვაჟი პოეტი
ან, უკიდურეს შემთხვევაში – მსახიობი გამოსულიყო, მაგრამ გულაბერმა სხვა “სცენა” არჩია:
გულაბერ დედისგან უჩუმრად სავარჯიშოდ დადიოდა და შემდეგ ფეხბურთელი გახდა – მეკარე
და არცთუ ურიგო. ციცილო – თეთრყირმიზი, ტანსრული, თავანისმცემი ვაჟები რომ გუნდ-გუნ-
დად დასდევდნენ, მსახიობი არ გახდა, მაგრამ დედის სასიხარულოდ, მაინც ხელოვნების ასპა-
რეზი აირჩია; მოსკოვში დაამთავრა კინოინსტიტუტი, გახდა კინორეჟისორ-დოკუმენტალისტი... მა-
შინვე გათხოვდა შეუხედავ პოლონელ თანაკურსელზე და პოლონეთში წაყვა ქმარს. ციცილო
პირველ ქმარს მალევე გასცილდა (ეტყობა, ის “სტარტისთვის” სჭირდებოდა, რომ როგორმე საბ-
ჭოთა კავშირიდან თავი დაედწია) და სახელმისაწვდომ პოლონელ კინორეჟისორს გაჰყვა ცოლად.
საკმაო გამოხმაურება მოჰყვა მის მიერ გადაღებულ რამდენიმე დოკუმენტურ ფილმს. ციცილოს
შვილი არ ეყოლა; გაჭირვებულ დედასა და ძმას იქიდან უგზავნის ჩასაცემელ-დასახურავს და
სურსათსაც.

3. მაღალი, ძალიან გამხდარი ქალი – ბოლოლა შუბიანიძე; ვიწრო, გრძელი სახე, დიდი, მუქი
თვალები, მეღანქოლიურობისა და არაამქვეყნიურობის აჩრდილი აფენია მკრთალ სახეზე... შუახ-
ნისაა, შავ, სწორ თმებში ერთი ჭაღარა არ ურევია. ქმარმა ახალგაზრდობაშივე მიატოვა და
ღარჩა სამუდამოდ მარტო თავისი პატარა კოჭლი ვაჟით – კონსტანტინე ლაქაშიძეთი (რომელ-
საც, ამასთანავე, გულის თანდაყოლილი მანკიც აქვს) და მოხუცი დედით. ბოლოლა ძალიან გა-
ნიცდის შვილის ფიზიკურ ნაკლს, ამიტომ, შეძლებისდაგვარად, ანებივრებს, აგულიანებს შვილს,
პირველი იყოს სკოლაში, ეზოშიც არავის დაახავდინოს თავი... ბიჭი ძალიან ფიცხი ხასიათისაა,
ნიჭიერი, ცნობისმოყვარე; ოჯახში ყველაფერს რომ უსრულებენ, გაეგოსტა და თუ რამე სურ-
ვილი იმ წამსვე არ შეუსრულებს, ვერ იტანს და ერთ ამბავს დაატეხს თავს დედასა და ბებიას...
გაგიჟებით უყვარს ფეხბურთი და მთელ თავისუფალ დროს ეზოში ბურთს დასდევს (ავადმყოფი
გულის მიუხედავად), თითქმის მთელი დღე ისმის მისი გამწვიანნი ჭიჭყინი – ბიჭებს ეჯიჯდინება.
ბრექიაა: “ჩემი მამა საბჭოთა კავშირის გმირი იყო! გმირულად დაიღუპა!”. ბოლოლა ძალიან ჩუმი
ქალია, მაგრამ ათასში ერთხელ თუ წონასწორობას დაჰკარგავს, შვილს ისე უდრიალებს, მთელ
უბანში ისმის; თუ შვილი არ გაექცა, საჯდომზე ღონივრად მოსცხებს კიდევ გამხდარი ხელით...

საოცარია – შემდეგ კონსტანტინემ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და ვეტერი-
ნარი გახდა ქალაქელი კაცი!

ბებია, ბოლოლას დედა, გარდაიცვალა, ბიჭმა ცოლი ითხოვა – თანაჯგუფელი გულქანი;
ორივე სოფელად წავიდა სამუშაოდ...

დედამისი, ბოლოლა, კოტეს დაოჯახებას ძალიან განიცდიდა – შვილი მოსტაცეს! ცხრა თვე მუცლით ატარებდა, რამდენი ტანჯვა-წვალება და გულის ხეთქვა გადაიტანა, მერე – შვილის ჯანმრთელობაზე, სწავლა-განათლებაზე ზრუნვა, ზრუნვა, ზრუნვა... ბოლოს, მიიჩნია, რომ შვილი იყო მისი საკუთრება, მხოლოდ მისი და ვერაფრით ვეგუებოდა, რომ უცებ გამოჩნდა სხვა ქალი და მას მისი შვილი წაართვა! ორივენი სადღაც სოფლად გადაიკარგნენ და ამაშიც რძალს ადუნაშაულებდა. ძალიან განიცდიდა, მაგრამ დარდს გულში იმარხავდა, კიდევ უფრო გახდა და გაცირიცა...

4. მოხუცი კაცი, პენსიონერი – ბოცო ბიჭინაური: მელოტი, წმინდად გადაპარსული თავი, უზარმაზარი, ბოლოებით ზევით აპრეხილი, თეთრი უღვაშები; ზორბა ტანი, მოზრდილი ღიპი. ძველი მეფაიტონია (მამამისიც მეფაიტონი იყო!) – ნახევარ საუკუნეზე მეტხანს კოფოზე იჯდა. როცა ფაეტონები თბილისში გადაშენდა, უკვე თითქმის სამოცდაათი წლის ბოცოც ჩვეულ ხელობას დაემშვიდობა... ამჟამად თითქმის სულ აივანზე ზის ან ფანჯარიდან იცქირება ქუჩაში და თვალს წყალს ალევინებს. ზაფხულში უყვარს კარაქისფერი აბრეშუმის ხალათისა და თეთრი ტილოს შარვალის ჩაცმა. შუადღეზე დაიხურავს ძველებურ ტილოს თეთრ ქუდს, გავა სახლიდან უბანში, კუთხის მაღაზიაში ლუდის დასალევად და ძმაკაცების მოსანახულებლად – ცოლის, ბროლას, გაუთავებელ ჯიჯღინს დროებით მაინც თავს არიდებს. ბოცო ბავშვებს, განურჩევლად ასაკისა და სქესისა, ასე მიმართავს: ხან – “ხვაფილანდრე!”, ხანაც – “ხოფილანდრე!”. საიდან ამოიჩემა ეს უცნაური სახელი, კაცმა არ იცის. საღამოს უყვარს ჭადრაკის თამაში, თუ პარტნერი მოიხელთა, უფრო ხშირად – მეზობლის კოჭლ ბიჭთან – კონსტანტინესთან. დაუძახებს ხოლმე მეორე სართულის აივნიდან ეზოში ბურთს გამოკიდებულ ბიჭს: “ხვაფილანდრე, ბიჭო, ხომ არ ინებებთ ჩემთან ერთი ხელი ჭადრაკის თამაშს?”. ძალიან განიცდის თამაშში წარუმატებლობას, რაიც არცთუ იშვიათად ემართება – ძალიან სუსტი მოთამაშეა და წაგებისას ჭარხალივით წამოწითლდება ხოლმე... კონსტანტინეს თქვენობით მიმართავს: “ყმაწვილო, თქვენს სვლაზე ჩვენ ახლა აი, ასე ვითამაშებთ!”, “ყმაწვილო, ნება მომეცით, ერთი წამით მოვიფიქრო...”, “ყმაწვილო, სამწუხაროდ, ვერ არის მთლად კარგად თქვენი საქმეები...”. შიგადაშიგ უღვაშებში წაიწიდიდინებს ხოლმე: “ხოფილანდრე, ხვაფილანდრე... ნა-ნა-ნა... ხოფილანდრე, ხვაფილანდრე, ნა-ნა-ნა...”. ბოლოლა კოტეს ხშირად ეხვეწება: “შვილო, ბაბუას გულს ნუ ატკენ, ხომ იცი, როგორ განიცდის ხოლმე და ხანდახან წააგე...”, მაგრამ თამაშის ეშში შესულ კოტეს დედის შეგონება ყოველთვის ავიწყდება.

ბოცოს ცოლი, ბროლა – წელში მოხრილი, კაფანდარა; მთელი დღე სულ ფუსფუსებს, გაჩერებულს ვერ ნახავს კაცი, თუმცა სულ ჩივის, ბურტყუნებს – უამრავი საქმე მაქვს და ვერაფრით ნახევარსაც ვერ მოეუარეო... ათი წლით უფროს ქმარს უსაქმურობისთვის ლანძღავს, რამეში მაინც ხელი შემაშველეო. ბოცო მიჩვეულია მის უსაშველო წუწუნს და წაუყრუებს, მხოლოდ გაფანჯრულ თეთრ უღვაშებში ილიმება და თავისთვის რაღაცას ღიღინებს; ზოგჯერ კი, ძალზე იშვიათად, გაუწყდება მოთმინების ძაფი და მაშინ მტრისას! ისე აფეთქდება, მისმა ყვირილმა ლამის შუშაბანდის მინები იმსხვერპლოს... ო, მაშინ კი მისი ბროლა მზად არის სადმე სოროში შეძვრეს... რამდენიმე დღე ქმრის გაღიზიანებას ერიდება, მერე კი ნელ-ნელა ისევ იწყებს გაუთავებელ ბუზღუნს...

მათი ქალიშვილები სოფლებში გათხოვდნენ და დედ-მამას იშვიათად აკითხავენ, შვილიშვილები და უკვე მოზრდილი შვილთაშვილებიც არ იკლავენ თავს მაინცდამაინც პაპა-დიდედის მონახულებით, თუმცა რამდენიმე მათგანი თბილისში ცხოვრობს: ზოგი – მუშაობს, ზოგი – სწავლობს...

ბოცოსა და ბროლას ერთი ვაჟიც ჰყავდათ – ნაბოლარა შევარდენა, რომელიც მეორე დიდ ომში საბრძოლველად წაიყვანეს; მისგან რამდენიმე თვეს ხშირად მოსდიოდათ წერილები – კარგად ვარ, ჯერ სამხედრო მომზადებას გავდივარო; მერე ორი წერილი ფრონტიდანაც მიიღეს; ამის შემდეგ შვილისგან აღარაფერი ისმოდა, დაიკარგა, მისი ასავალ-დასავალის შესახებ ვერაფერი გაიგეს... იწრიალეს, სად არ მიმართეს შევარდენას ბედის გასაგებად და, კარგა ხნის შემდეგ, მიიღეს ოფიციალური პასუხი, რომ თქვენი შვილი, ლეიტენანტი შევარდენა ბოცოს ძე ბიჭინაური უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებაო...

5. ცოლ-ქმარი, ბებურ და ჟალია გაბმულაშვილები, ცხოვრობენ ოროთახიან ბინაში. ორი შვილი ჰყავთ, ბიჭები – ბარათა და ბაქარ; ბარათა უკვე ცოლშვილიანია, უმცროსი, ბევრად პატარა, ბაქარ, სკოლაში დადის (კოჭლ ბიჭთან, კონსტანტინესთან, ერთ კლასში არიან). დედ-მამას მარად უსიამოვნება აქვთ – ბებურს (თუმცა ორმოცდაათზე მეტი წლისაა, კონტაობს, მელოტს კეფიდან ნასესხები თმებით იფარავს, შერჩენილ თმასა და მოკლე უღვაშებს შავად იღებავს) ახალგაზრდა საყვარელი გაუჩენია. ეს ამბავი ასე გასკდა.

ბებურ თავის გულის სწორთან ერთად მაღლულად წავიდა თბილისის წყალსაცავის სახეიმო განხნაზე. ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი და იყო ერთი რია-რია. გაიხედა ბებურმა და საკუთარი ცოლი არ შემოეფეთა?! ასწია ჟალიამ ტყავის მძიმე ხელჩანთა და დასცხო ქმარს:

– შე გათახსირებულო, კახპებს რომ ასეირნებ აქეთ-იქით, ცოლი რომ გყავს, დაგავიწყდა?..

ამ ამბავს შეეწრო მათი მეზობელი, მილიციონერი პანტიკო თავისი ცოლით დალაღმანოთი და პატარა ქალიშვილით. პანტიკომ ჩაილაპარაკა:

– ვაჟკაცი ძვირად ფასობს!

საოცრებაა, აბა რა – ამდენი ნაცნობი რამ შეჰყარა ერთ დროს და ერთ წერტილში – ასეთი დამთხვევა გაგონილა?

ჟალია თმას იღებავს, არ იკლებს პუდრს, ხასხასა წითელ პომადას – განწირულად ცდილობს ახალგაზრდობის (და ბებუროს სიყვარულის) დაბრუნებას, საშინლად განიცდის ქმრის დალატს. დროდადრო ისმის წივილ-კივილი – ცოლ-ქმარი “არკვევენ ურთიერთობას”, როგორც მეზობლები ამბობენ; უკვე კარგა ხანია, აღარ ერიდებიან, ღიად, ყველასთვის ცხადად გამოამჟღავნონ საკუთარი ვნებანი... რძალი, კესო, ისტერიკულ სცენებს უმართავს ქმარს, ბარათას – გაღვიდეთ ცალკე სადმე, აღარ შემიძლია ამ საეიჟეთში ყოფნა...

6. ცოლ-ქმარი: იგორ და ირმისა ინოხემცევეები, მათი შვილები – ირინა, დიმა და ლაშა. შვილები, უკვე დიდები, მშობლებზე ბევრად მაღლები გაიზარდნენ, საოცრად ლამაზებია: მუქი თმები – დედისგან, ლურჯი თვალები – მამისგან. გოგო, ირინა, ყველას მოსწონს, უბნის ბიჭები სულ მასზე ლაპარაკობენ. დედა, ირმისა, გერონტი ციხეებილაძის და – ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ლამაზი, ტანსავე; სქლად ისევამს სისხლისფერ პომადას, შავი თმები ყოველთვის მოღურად აქვს დახვეული; ძალიან ჭრელი, ფერადოვანი კაბები უყვარს.

იგორი ინჟინერია, კარგი სპეციალისტი, წარმატებით მოღვაწეობს წარმოებაში: ქარხანაში ჯერ ერთ-ერთი საამქროს რიგითი ინჟინრად დაიწყო მუშაობა, მერე – სწრაფად დაწინაურდა: გახდა უფროსი ინჟინერი, საამქროს უფროსის მოადგილე, საამქროს უფროსი, ქარხნის მთავარი ინჟინერი, დირექტორის მოადგილე და, ბოლოს, – ქარხნის დირექტორიც. იგორი პარალელურად მეცნიერულ საქმიანობასაც ეწეოდა ერთ-ერთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც ლექციებს კითხულობდა... რამდენიმე წელიწადში ქართული ბრწყინვალედ აითვისა, გამართული ქართულით კითხულობდა ლექციებს, თუმცა აქცენტი შესამჩნევად ჰქონდა. როგორ ასწრებდა ყველაფერს? დაიცვა საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები... აირჩიეს დოქტორად, წარმოებიდან გადაიყვანეს სამინისტროში მინისტრის მოადგილედ... სამწუხაროდ, უცრად გარდაიცვალა – გული!

უფროსი ბიჭი – დიმა – სპორტში დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ და ერთხანს საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდულ გუნდშიც თამაშობდა, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა; უქნარაა, აღრიდანვე დაიწყო პაპიროსის წევა, საეჭვო ყოფაქცევის ბიჭების წრეში ტრიალებდა. უმცროსიც, ლაშა, სპორტმა გაიტაცა – კალათბურთელია, უფროს ძმაზე უფრო ბეჯითია და სპორტულ სარბიელზეც მეტ წარმატებას მიაღწია – გუნდის წამყვანი მოთამაშეა და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც მუდმივად იწვევენ. ირინა, ბიჭებს რომ დაცინვით ყველას არად აგდებდა, უცებ დაფეხმძიდა. ვინ იყო ბავშვის მამა? – კარგა ხანს ჰქონდათ მთელი ეზოს ჭორიკანებს ენის მოსაფხანნი... მშვენიერი ბიჭი დაიბადა. მეზობელმა, გრძელცხვირა გოჩა ჭინჭრაქაულმა ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ბავშვი ჩემია და ირინას ცოლად ვთხოვულობო... მერე ირინამ გოჩას ზედიზედ ექვსი ლამაზი შვილი აჩუქა – ყველა ბიჭები, ოღონდ უფროსი ბიჭისგან – ქერა და ცისფერთვალიანისგან – განსხვავებით, სულ მუქთმიანები და თაფლისფერთვალებიანები.

შემდგომში დიმა ინოხემცევემა ითხოვა მეზობლის, ეთერ მაგლობელაძის ქალიშვილი მზეონა. ეყოლათ ვაჟი – ქართლოსი. დიმა გალოთდა, აღრე გარდაიცვალა... მისი ძმა, ლაშა ინოხემცევე, როგორც მოგახსენეთ, შემდეგ ცნობილი კალათბურთელი გახდა, ითხოვა კალათბურთელი დალი მშვილდიანი, ჰყავს ქალ-ვაჟი...

7. გუგულა ჭინჭრაქაული – უკვე შუახნისაა, მუგუხალივით შავგვრემანი, ძალიან გამხდარი, შეუხედავი. უფლის მოხუც ავადმყოფ დედას, სანათას; ვერც სამოგზაუროდ მიდის სადმე, სამსახურშიც სულ ეკლებზე ზის – როგორ არის იქ მარტოდ დარჩენილი დედამისი? მეზობლები ყურადღებას არ აკლებენ, მაგრამ მაინც... არ იცის, რა არის თეატრი, კინოც კი. ამხანაგ-მეგობრების უმეტესობა ჩამოსცილდა. მუშაობს ძალზე კარგად – ენერგიული, მცოდნე, ალღოიანი საქმის მწარმოებელია, ამიტომ ადმინისტრაცია ყოველმხრივ ხელს უწყობს – ხანდახან შინ ატანენ სამუშაოს, აძლევენ, აგრეთვე, სხვადასხვა ქალაქებს გადასაბეჭდად, რაშიც უხდიან ფულს. საერთოდ, კარგად ბეჭდავს, ფული უჭირს (ექიმებში და წამლებში ბევრი ეხარჯება, თორემ თვითონ ძალიან სადად იცვამს, არც სხვა მხრივ არის პრეტენზიული). შუაღამს კარგა გადაცილებულია, მისი სამზარეულოდან კი ისევ ისმის საბეჭდი მანქანის კაკუნის (ერთი ოთახი აქვს და იქ ვერ ბეჭდავს – ავადმყოფი დედა უწევს).

ერთი უცნაურობა სჭირს: ყველას უყვება ხოლმე, რომ უამრავი მთხოვნილი ჰყავდა, მაგრამ სულ უკეთესს ელოდა და ახლაც კი, შეუძლია, ნებისმიერ დროს გათხოვდეს. ისე, არც ახალგაზრდობაში იყო მოსატაცი გარეგნობისა და ახლა ხომ მისი “გასაღება” თითქმის ფანტასტიკას განეკუთვნება.

გუგულა ხშირად გამოთქვამს უკმაყოფილებას, რომ ხელოვნებაში საერთოდ და კერძოდ – ლიტერატურაში, სრულიად არ ჩანს ჩვეულებრივი, რიგითი პროფესიის ადამიანები: საქმის მწარმოებელი, ბუნხალტერი, უბრალო ტექნიკოსი, რიგითი ექიმი ან თუნდაც – სპორტსმანი. თუ ვინმე არის გამოყვანილი, აუცილებლად რატომღაც მართლაც რომ გმირია: თუ სპორტსმანია – რეკორდსმანი, თუ ექიმი – გამოჩენილი, თუ კოლმეურნე, აუცილებლად – შრომის გმირი... აუცი-

ლებლად, ყველა – უღამაზესი, უჭკვიანესი, უმამაცესი, უკეთილშობილესი... რა დააშავეს დანარჩენებმა? არ არსებობენ თუ არ არიან ყურადღების ღირსი?

ეს გარემოება აწუხებს მას და მეც საგსებით მესმის მისი – სუპერმანობის ავადმყოფობა მოლად იქცა, რატომღაც მიაჩნიათ, ჩემის აზრით, სრულიად მცდარად, რომ ამგვარი გმირები, – ყოველმხრივი სრულყოფილების ნიმუშები, – თავიანთი მაგალითით მოუწოდებენ დანარჩენებს, ჩვეულებრივ ადამიანებს, კიდევ უფრო უკეთ ისწავლონ, იშრომონ, სანიმუშოდ მოიქცნენ...

ისე, სადად რომ განვსაჯოთ, ობიექტურად, ეს ქალბატონი რით არის ნაკლები რომელიმე გამოჩენილ ჩაის მკრეფაგზე, ფენბურთელზე ან მსახიობზე? მრავალი და მრავალი წლის განმავლობაში უდრტინგულად ეწეოდე წუთისოფლის საოცრად მძიმე ჭაპანს, ყოველდღე ერთი და იგივე მონოტონური მოვალეობანი მოიხადო, არ მოითხოვო და არ მოელოდე რამე ჯილდოს და წინ კი არაფერი გიჭიატებდეს საიმედო, მერმისი კიდევ უფრო უიღბლო ჩანდეს – და მაინც არ გჯეროდეს ცხოვრების უქმად ჩაგლისა, კვლავ რაღაც საცრებას ელოდე, უკეთესობას, მომავლის იმედით სულდგმულად, დღეს კი თავგადასრული აკეთებდე შენს საოცრად მძიმედ გასაკეთებელ, მომაბეზრებელ საქმეს – ესაა გმირობა!

გუგულებად დედის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში სოფლიდან ჩამოიყვანა უფროსი ძმიშვილი – გოჩა ჭინჭრაქაული (ძმას შვილი შვილი ჰყავს! მწირი სოფელია, ღარიბად ცხოვრობენ)...

წყნარი, სოფლიდან გაუთხოვარ მამიდანთან ჩამოსული ბიჭი, სოფელურად მამიტი და ბევრ რამეში უვიცია – სოფელში სკოლაში თითქმის არ დადიოდა, უფრო შინ ეხმარებოდა დედ-მამას. ქალაქს ჩამოცვლის შემდეგ თავიდან უჭირდა სწავლა და ამხანაგები ეხმარებოდნენ – მასთან მიდიოდნენ შინ, მამიდა მათ გემრიელი ხაჭაპურებით უმასპინძლებოდა.

გოჩას შეუყვარდა მეზობლის გოგო, ირინა ინოხემცევა, რომელიც ზედაც არ უყურებდა (გოჩას კი არა, ბევრად უკეთესებსაც!); შემდეგ, როცა ბუში დაბადა, ბიჭმა ცოლობა სთხოვა და ირინაც, მცირე ყოყმანის შემდეგ, დათანხმდა... ვინ იყო ირინეს პირველი შვილის მამა, ეს მხოლოდ ქალმა იცოდა, გოჩას ამის შესახებ არასდროს არაფერი უკითხავს და ეს საიდუმლო ბოლომდე ირინას საიდუმლოდ დარჩა...

გოჩამ იყოჩადა, ინსტიტუტი წარმატებით დაამთავრა, კარგი სამსახური იშოვა; მუყაითობა არასდროს აკლდა, ახლა ნიჭი და მოსაზრებულობაც გამოამჟღავნა და თანდათან დაწინაურდა; ავტომანქანა იყიდა, გვერდით გამონთავისუფლებულ ორთოახიანი ბინაც მისცეს... მაინც ვიწროდ არიან – ზედიზედ ხუთი(!) შვილი შეეძინა!

შინაბერა მამიდა ბედნიერების მწვერვალზეა – ექვსი ბავშვი ერთად! და, მგონი, გაჩერებას ჯერ არ აპირებენ – ირინა ისევე ფენმძიმედაა!

8. ცოლ-ქმარი – ბუხუტი და ფაცია კაიჩიტაძეები; პირველ სართულზე ორთოახიან ბინაში ცხოვრობენ. მანამდე იქ ერთი რუსი ოფიცერი იღვა და როდესაც ის ოჯახიანად რუსეთში გადაიყვანეს სამსახურის გასაგრძელებლად, რაიონიდან ახალჩამოსულმა ბუხუტიმ, რომელიც იმჟამად დროებით ნათესავებთან ცხოვრობდა, – ნეტა საიდან გაიგო ბინის დაცლის ამბავი! – იმავე დამით გატეხა კარი და ძალით დაიკავა ის ფართობი. წავიდა ჭიდაობა რაიონის აღმასრულებელ კომიტეტთან, რომელმაც, ბოლოს, გამოიტანა დადგენილება კაიჩიტაძეების გამოსახლების შესახებ. დადგენილება აღსრულებისთვის გადასცეს მილიციის რაიონული განყოფილების უფროსს, რომელმაც კაიჩიტაძეების ოჯახს უკანონოდ დაკავებული ბინა მაშინვე დააცვლინა კიდევ... მაგრამ მალე მოხდა წარმოუდგენელი რამ: კაიჩიტაძეები ზარ-ზეიმით ისევე დაეპატრონენ ამ ბინას... ეს საოცრება ადვილად აიხსნება: გამოსახლებიდან მეორე დღესვე ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივნის ცოლი ეუბნება თურმე ქმარს: “არ იცი, რომ კაიჩიტაძეები ჩემი ნათესავის ნათესავები არიან? როგორ გაბედეს ვიღაც ტილებმა, რომ ბინიდან გამოუყრიათ და საწყლები უსასოოდ არიან დარჩენილები? სასწრაფოდ მიხედე მაგ საქმეს!”. მაშინვე დაირეკა, სადაც საჭირო იყო და უმოკლეს დროში მაღალ დონეზე გამოცხვა ახალი დადგენილება, რომლითაც ბინა დაუკანონდა კაიჩიტაძეების ოჯახს, ხოლო რაიონის კომისის თავმჯდომარესა და რაიონული განყოფილების უფროსს გამოეცხადათ სასტიკი საყვედურები უკანასკნელი გაფრთხილებით – მშრომელთა გასაჭირისადმი უსულგულო დამოკიდებულებისთვის...

ბუხუტისა და ფაციას ჰყავთ გოგო და ბიჭი – ცუცა და მამია. უფროსი შვილი, მამია, ყოველმხრივ კარგია, – აღნაგობით ძლიერი, ლამაზი, გამორჩეულად ნიჭიერი, სკოლაში სულ ფრიადებზე სწავლობს, ძალიან კარგად ხატავს... გოგო, ცქვიტი, ცქრიალა, შავგერემანი – საოცრად ლამაზი, დაწყობილი სახე აქვს; მუსიკოსობას აპირებს, რაღაცას თხზავს კიდევ, მარად ფორტე-პიანოსთან ზის და მეზობლებს უკვე საკმაოზე მეტადაც აქვთ ნერვები მოშლილი თითქმის მთელი დღის განმავლობაში ერთი და იგივე პიესის შესწავლისას თუ საგარჯიშოს დახვეწისას კლავიშებზე თითების გაუთავებელი ტყაპუნით (მათი სმენის დასატკბობად ფაცია ფანჯარას საგანგებოდ ფართოდ გააღებს ხოლმე – ერთადერთი ოჯახია მთელს ეზოში, ვისაც პიანინო აქვს – გასკდით შურით!). ბუხუტი და ფაცია რუსულთან მწყრალად არიან, მაგრამ შვილები რუსულ სკოლაში შეიყვანეს – ცხოვრებაში უფრო გამოდგებათ რუსული განათლება!

ფაცია – აშარი, ფიცხი, შურიანი; მისი ჩახრინწული, მჩხავანა ხმა თითქმის მთელი დღე იმის, ეზოს ბავშვებს თათხავს:

– არ გაეზარდეთ თქვენს დედებს, რას იკლებთ ღრიანცველით მთელ ეზოს, პატრონი არ გყავთ? ვერ ხედავთ, ჩემი ცუცა მეცადინეობს! მომეცით აქ ეგ ბურთი!

ყველას ყურებს უჭკდავს, თუ რა გამორჩეული ნიჭის პატრონია მისი ქალიშვილი: “ყველა სპეციალისტი ერთხმად აცხადებს: ასეთი ფენომენი ჯერ არ შეგვხვედრიო, გენიოსი კომპოზიტორი გახდება!”. ფაცია დიასახლისია; მის ქმარს საშუალოც კი არ დაუმთავრებია, რომელიღაც ბაზაში მუშაობს, ფულს ბლომად შოულობს.

– ვინც ისწავლა, იმან რა დააკრიფა? – ამბობს ხოლმე ბუხუტი. – აგერ დადი დადიანიძე მეცნერებათა დოქტორია, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მერე რა? თვეში ორასი, ჰა – სამასი! – მანეთი თუ აქვს, მე რეაასს-ათასს და ზოგჯერ მეტსაც ვღუნავ! ის დღესაც ფეხით დაბრძანდება, მე კი უკვე მეოთხე ავტომანქანას ვინელებ, აბა რავა! რასაც ეგ წელიწადში ჯამაგირს იღებს, ჩემს ცოლს მარტო ყურებზე ჰკიდია; შინიდან რომ გადის, ყოველი შემთხვევისთვის ორისამი ათასი ყოველთვის უდევს ჩანთაში – რა იცი, იქნებ კარგ რამეს იაფად წააწყდეს, ხომ იცი, ზოგჯერ აქლემი აბაზად იყიდება!

ფაცია კვირაში ორ-სამჯერ ბაზარში დადის, იქ საუკეთესო ხორცს, ყველაზე ძვირ ხილს და მწვანილეულობას ყიდულობს, ეზოს შუაში დიდი თუთის ხის ქვეშ ონკანი და იქ ყველას დასანახად დიდხანს რეცხავს, რომ ყველა მეზობელმა კარგად დაინახოს და დატკბეს, თუმცა, მრავალ სხვა მეზობლისგან განსხვავებით, შინაც, სამზარეულოში აქვს გაყვანილი წყალი...

ბუხუტის ორთახიანი ბინა ეცოტავება, მეზობლის ორთახიანი ბინაც მიიერთა – სამშვილიანი ქვრივი ქალი ცხოვრობდა და შეუწინა, დამითმე ბინაო; იმ მეზობელს სამოთახიანი ბინა უყიდა სხვაგან. თვითონაც შეეძლო “უკეთეს” უბანში კარგი ბინა შეეძინა, მაგრამ ფაციამ აიჩემა – ამ ეზოს მიჩვეული ვარ, სხვაგან გამიჭირდება ცხოვრებაო; დიახ, მიჩვეული იყო და ვერ მოიკლებდა სიამოვნებას, მეზობლებისთვის რომ კიდევ უფრო არ ეგრძობებინა თავისი “უპირატესობა”: ქალიშვილს ცალკე ოთახი დაუთმო, პიანინო გაყიდა და უცხოური ძვირფასი რთილი შეუძინა – “ბესშტაინი”.

პატარა დამახასიათებელი სცენა: სკოლიდან დაბრუნებულმა ცუცამ უბოდიშოდ დაყარა ჩანთა და პალტო დივანზე, სადაც უფროსი სტუმრები ისხდნენ (იშვიათად კი სტუმრობდნენ ამ ოჯახს) და ეზოში გავარდა. ფაციამ ხუთჯერ მინც დაუძახა, სუფრა გაშლილია, გიცდითო; როგორც იქნა ცუცა გამოჩნდა, მიუჯდა მაგიდას და უგემურად დაიწყო ჭამა.

– შვილო, მალე მორჩი ჭამას, სოლფეჯიოზე დაგაგვიანდება! – უთხრა ფაციამ.

ცუცა ურჩად ატოკებდა მხარს და ჩანგლით ისევ გულისგამაწვრილებლად ნელა ირჯებოდა, თითქოს ამქვეყნად ყველაფერი მობეზრებულია.

– დაგაგვიანდება, რომ შეხვალ, ნელი მასწავლებელს ბოდიში მოუხადე...

– ბოდიში კი არა, ის არ გინდა! – უკმაყოფილოდ ბუსხავდა მარწყვისფერ ტუჩებს ცუცა...

ერთ ზაფხულს კაიჩიტაძეების ოჯახს დიდი უბედურება ეწვია: თხუთმეტი წლის მამია შემთხვევით დაიხრჩო ფოთში, სადაც ნათესავეებთან იყო ჩასული არდადეგებზე... ცუცა ძმის პანაშვილების დღეებშიც კი როიალზე უკრავდა – დიდი მუსიკოსი უნდა გახდეს და ამისთვის ყოველდღიური ვარჯიშია საჭიროო...

9. არამ და თინა აღამალოვები – ცოლ-ქმარი. არამი ავტოხელოსანია, თინა – დიასახლისი; ორი ქალიშვილი ჰყავთ: ვენერა და მასზე ათი წლით უმცროსი – მაია. ვენერა ტანსრული, ლამაზი გოგო იყო და სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდა. მაია სილამაზით არ გამოირჩეოდა, გამხდარი, გაჩხინკული გოგო იყო, ამასთანავე – გულჩათხრობილი; სკოლაში სწავლას გული ვერ დაუდო, რატომღაც ბევრად უფროს კაცს, ჯადოს დაუმეგობრდა, ქურდობა დაიწყო...

10. რკინიგზაში დიდ თანამდებობაზე მომუშავე რკინიგზელი ბარძიმ ჭყავაძე – დაბალი, ძალიან სქელი, მელოტი, დიდცხვირა, სიარულისას იხვივით დაბორჯინაობს – და მისი კოხტა ცოლი მაჩიტა; ორი შვილი ჰყავთ – ქალ-ვაჟი, ძალიან ლამაზები, დედას დაემგვანენ – საჩინო და ჩიტო (მაჩიტამ აიჩემა, ჩემს შვილებს ჩემი სახელის მსგავსი სახელები უნდა დავარქვაო). მათთან ერთად ცხოვრობს ბიძინას გაუსოვარი, კოჭლი უფროსი და ბარძიმისა, სოლომონიდა – დიდცხვირა, საოცრად უშნო, თანაც კეკლუცობს: ჭრელაჭრულა კაბები აცვია, ბუწუწა, მარად გაჩეჩილ თმებს იღებაგს – უშნოდ, უგემურად. ჩახრინწული, მჩხავანა ხმით მთელი დღე თათხავს ეზოში მოთამაშე მეზობელთა ბავშვებს; სამაგიეროდ, უზომოდ ამაყობს ძმიშვილებით და სულ მათ გადაჭარბებულ ქებაშია. ეზოს ბიჭებმა შეარქვეს “გარინჩა” – ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის სახელი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ცალი ფეხი მეორეზე მოკლე ჰქონია. ერთხელ სოლომონიდას ეზოში ეჩხუბა ფაცია კაიჩიტაძე – მისი შვილის, მამიას, გაჯორვა არ აბატია (მამიას დარტყმული ბურთი ჭყავაძეების ფანჯარას მოხვდა – ეს საკმაოდ ძვირი, თერთმეტმანეთიანი ბურთი ეზოს ბიჭებს შალიკო ტარიჭაშვილმა უყიდა); ფაციას სოლომონიდას საკმაოდ გრძელი და უცნაური სახელი დაავიწყდა და მას უთხრა: “შე ფეხბურთელო, შენა!”. სხვათა შორის, ბიძინაც ოდნავ კოჭლობს, ეტყობა ჯიშად მოდგამთ: თემოების ამოვარდნილობა აქვს მათ უმცროს დასაც – ელიკოს, ოღონდ ნაკლებ გამოსახული; იგი გათხოვილია, შვილი არ ჰყავს – სულ მოეშლებოდა ხოლმე მუცელი. ბოლოს, გოგო იშვილეს...

ბარძიმმა საჩინოს დიდი ხნის დაპირებული ველოსიპედი უყიდა. საჩინო ქუჩაში დააგელებდა თავის “ბედაურს” და ერთხელაც ავტომანქანა დაეჯახა, მაგრამ იოლად გადაარჩა. მაჩიტა ქმარს

შეუწინდა და ბარძიმმა (დიდი თანამდებობის კაცია!) მოახერხა და ეზოში ასფალტი დააგებინა. აწი ბიჭები ველოსიპედებს ამ მყუდრო თბილისურ ეზოში დააგვედგებენ, თუ, რა თქმა უნდა, არ თამაშობენ დამაღლობანას, კოჭაობას, ლახტსა და “გრძელ ვირს”, გოგონები კი – კლასობანას... აივნებზე გამოფენილი მოცლილი მეზობლები ბავშვების თამაშს სიამოვნებით ადევნებენ თვალს...

11. ლიუდმილა მარმუჭიშვილი – მარტოხელა, ღრმად მოხუცებული, კარგა ხნის წინათ დაბრმავებული ქალბატონია. ქართველია, ოღონდ სრულიად გარუსებული; ქართულის ინიბინი არ ესმის, თუმცა თბილისში დაიბადა და 80 წელზე მეტია, აქ ცხოვრობს – მამა მეფის არმიის ოფიცერი ჰყავდა, დედა – რუსი. ლიუდმილა ცოლადაც რუსს გაჰყვა, ოფიცერს, რომელიც საუკუნის დასაწყისში, რუსეთ-იაპონიის ომში დაიღუპა შორეულ აღმოსავლეთში. ორი შვილი ჰყავს – ქალგაჟი, ორივე – დიდი ხნის წინათ, სადღაც რუსეთში გადაკარგულნი, დაოჯახებულნი და ალბათ უკვე თავადაც მოზრდილი შვილიშვილები ჰყავთ; დედის ამბავს არც კითხულობენ, კარგა ხანია, არ იცის მათი ასავალ-დასავალი ლიუდმილამაც. ქალბატონ ლიუდმილას მეზობლები ყოველმხრივ ეხმარებიან, რითაც შეუძლიათ; ჰყავს უამრავი კატა და მათ მოვლას არის გადაყოლილი; სულ მათ ფერება-აღერსშია, ეტყობა, მეტი აღარაფერი შერჩენია ცხოვრებაში...

12. ლიუდმილას მეზობლად ცხოვრობს ორი და – ეთერ და ცისკარა მგალობელაძეები, ქუთაისიდან ჩამოსვლები, ცნობილი ბოზები. ორივეს მარად მდიმარი სახე და ძალიან თეთრი პირის კანი აქვს; ერთმანეთს ძალიან ჰგვანან: ლამაზი, ოდნავ გადმოკარკეული, თაფლისფერი დიდი თვალები, ხვეული წაბლისფერი თმა და კოხტა, ოდნავ კეხიანი ცხვირები ამშვენებთ...

ეთერი არასდროს გათხოვილა, უკვე მოზრდილი ქალიშვილი ჰყავს – მზეონა; დაზე ხუთი წლით უმცროსი ცისკარა ქმარგაცილებულია, უშვილო. დები არსად მუშაობენ, მაგრამ თითქმის ყოველდღე მათი ორთახიანი ბინიდან ისმის ტაშფანდურის ხმა – გაშლილი აქვთ სუფრა... იმ სუფრიდან საჭმელ-სასმელს ხშირად ლიუდმილასაც უწილადებენ ხოლმე და მის კატებსაც.

მგალობელაძეების ორთახიანი ბინას ეზოს მხარეს ჰქონდა კარი და “სტუმრების” მიღება მეზობლების დასანახად მათთვის უხერხული იყო; ამიტომ დებმა იყიდეს მათი ბინის მიმდებარე სარდაფი ქუჩის მხრიდან, გვირაბით გაათხრევეინეს და ბინა და სარდაფი ერთმანეთს დააკავშირეს – იატაკში ჰქონდათ საძრომი და “კლიენტებს” გარეთ, ქუჩაში უშვებდნენ სარდაფის გაფლით...

დიმა ინოხემცევი ხშირად აკითხავდა მგალობელაძეებს, როცა არაყის დასალევი ფული შემოაკლდებოდა; ნელ-ნელა მათ შემოეჩნია და, ბოლოს, ითხოვა ეთერის ქალიშვილი – მზეონა; ეყოლათ გაჟი – ქართლოსი. სამწუხაროდ, დიმა ადრე გარდაიცვალა: ერთხელ უგონოდ მთვრალს სატვირთო მანქანა დაეჯახა... არც ნიჭი აკლდა, არც – განათლება, მაგრამ ვაგლახ! – უზომო არაყის სმას გადააყოლა ყველაფერი და საკუთარი თავიც...

13. ნინუცა პირლამაზაძე – ქმარს კარგა ხნის წინ გაცილებულია; პირმრგვალი, მარად კარგ ხასიათზე მყოფი, ლამაზი ქალია, ტანსრული, ასაკისგან – 40 წელს უკაკუნებს – ოდნავ უკვე დამძიმებული; ჰყავს ორი გოგო: უფროსი, უკვე ქალიშვილობაში შესული, ანიკო – ყოფილი ქმრისგან და დაზე 12 წლით უმცროსი, 6 წლის სოფიკო, რომელიც ჯერ სკოლაში არ დადის – საყვარლისგან. საყვარელი, მამამზე – ორმოცდაათიოდე წლის თანამდებობის პირი, მაღალი, მელოტი, ლამაზი კაცი, – კვირაში ერთ-ორჯერ სამსახურის მანქანით აკითხავს ნინუცას, მოაქვს საჭმელ-სასმელი, ფულსაც უტოვებს...

ანიკო – მაღალი, ძალიან კოხტა გოგოა, გადასარევი სიარული აქვს, ყველა რომ თვალს აყოლებს, ძალიან ამაყი და ამპარტავანიც კია – თაყვანისმცემლებს ვითომ ვერ ამჩნევს. ერთი ესაა, რომ ცოტა მოზრდილი ცხვირი აქვს, თანაც – კეხიანი. გადაწვეიტა, ოპერაცია ჩაიტაროს გამშვენებების მიზნით. ეუბნებიან: ახლა სულ რომ ცხვირაწეული დადინარ, ოპერაციის შემდეგ ალბათ ცაში დაიწყებ ფრენას, კაცი ვეღარ დაგეგაპარაკებო...

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ანიკომ შესაბამისი მოკლევადიანი კურსები გაიარა და დაიწყო სტიუარდად მუშაობა ავიაციაში. ავიაინჟინრისგან გააჩინა ტყუილი ბიჭები; ერთი წლის შემდეგ, როცა ბიჭებმა ფეხი აიდგეს და ანიკო ისევ დაფეხმძიმდა, შვილების მამამ ანიკო ცოლად ითხოვა.

14. შალიკო და მარიანა ტარიჭაშვილები – ცოლ-ქმარი, ჰყავთ სამი ვაჟი; ცოლი ქურდულ სამყაროს დაუკავშირდა (მერე გაირკვა: მარიანას თურმე გათხოვებამდეც ჰყავდა ასეთი მეგობრები და ციხეშიც კი მჯდარა, ქმარმა ამის შესახებ არაფერი იცოდა) და დაიჭირეს – ნაქურდული ხალიჩებისა და ძვირფასეულობის გაყიდვაში ამხილეს. როგორც მრავალშვილიანი დედა და სამაგალითო ყოფაქცევის პატიმარი, მარიანა ვადაზე ადრე გაანთავისუფლეს. ქმარი მას ადრევე, სასამართლო პროცესის შემდეგ გაეყარა და ყოფილ ცოლთან შერიგების გაგონებაც არ უნდა. ქალმა ცალკე დაიწყო ცხოვრება – უფროს დასთან; დილას, როცა ყოფილი ქმარი სამსახურში წავა, მოდის ბავშვებთან, – ყველანი სკოლის მოსწავლეები არიან, – უფლის მათ, საოჯახო საქმეებს აგვარებს და შალიკოს შინ მოსვლის დროისთვის ბრუნდება თავის დასთან... ყოფილი ქმარი უტოვებს ხოლმე ფულს საოჯახო ხარჯებისთვის.

15. ექიმი ცოლ-ქმარი – ევდემონ და კატო კანტიკუნტაძეები, ძალიან წყნარი ოჯახი. ორი ქალიშვილი ჰყავთ, ლამარა და ია, ორივე – ბავშვობაში ჭლეპით დაავადდა. უმცროსი და, ია, სა-

შუალღ სკოლის დამთავრებისთანავე გარდაიცვალა; ლამარა ექიმი გახდა, გათხოვდა, ქალიშვილიც შეეძინა – ფურცელა – და 30 წლისა ისიც დაიღუპა. მშობლები კი ისევ ცოცხლები არიან... დაჰკანკალებენ ფურცელას – ცხოვრებაში ეს ერთი რამ შერჩათ, რაც ხვამიადს ოდნავ მაინც უქარგვებთ...

16. აკაკი შაბათაშვილი, ყველა კაკულის ეძახის. მამამისი, აბრამი, ქუთაისში ხელზე წვრილად მოვაჭრე იყო, ტფილისს გადმოსახლდა ოციანი წლების დასაწყისში. კაკული საქმოსანია, სადღაც საამქრო აქვს; დაიჭერენ – გამოუშვებენ, დაიჭერენ – გამოუშვებენ... ცოლი ჩუმი, წყნარი ქალი ჰყავს – ცაგო ცუგრიაშვილი, ახლაც სანდომიანი ეთქმის; ტყუილი ქალიშვილები ჰყავთ, ძალიან ლამაზები – მზისა და მთვარისა; კინომსახიობობაზე ოცნებობდნენ და რამდენიმე ფილმში ეპიზოდური როლებიც შეასრულეს, მაგრამ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ორივენი ერთდროულად გათხოვდნენ, ორივენი – თავიანთ კლასელებზე. კაკულიმ ქალიშვილების ქორწილში ისეთი სუფრა გაშალა, მის შესახებ მთელი ქალაქი ნახევარ წელიწადს ლაპარაკობდა...

17. ნაფრონტალი ყოფილი უფროსი ლეიტენანტი გერონტი ციხეებილაძე, ამჟამად – სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილე; ცხოვრობს მოხუც დედასთან, აღათისთან, ცოლთან, ტუსასთან და პატარა ბავშვთან ერთად ერთოთახიან, კეთილმოწყობულ ბინაში. უყვარს ფეხბურთის მაჩუბის სანახავად სიარული და ნადირობა. აჩუქეს ძაღლის ლეკვი – მუქი ფერის პონტერი. საერთო სარგებლობის აივანზე მისთვის ჩადგა პატარა ბუდრუგანის მსგავსი, რითაც გამოიწვია მეზობელთა უკმაყოფილება, მაგრამ “დიდი კაცია” და ღიად საყვედურს ვერავინ უბედავს. უკვე საკმაოდ მოზრდილ ლეკვს, მისი ჭკუით, წვრთნიდა:

– ზანგა, დაჯექი!

ლეკვს არაფერი ესმოდა და არ ასრულებდა ბრძანებას.

– ძაღლი კი არა, მთხლე ხარ! – ბრაზდებოდა გერონტი.

ძალიან გააწვავდა, სანამ ასწავლა ზოგიერთი მარტივი რამ, ჯილდოდ შაქრის ნატეხს აძლევდა. მერე, როცა კი გერონტის დაინახავდა, ბრძანების გარეშეც ყოველთვის ჯდებოდა და თვლებში შეაცქერებოდა – შაქარი მომეციო.

გერონტიმ სახუმარო ილეთებშიც გაწვრთნა:

– ზანგა, აბა გაიცინე! – ძაღლი კრეჭდა კბილებს.

– აბა, კუტა, კვერცხები გვაჩვენე! – და ისიც გადაკოტრიალდებოდა-გადმოკოტრიალდებოდა.

მეზობელი, ხნიერი მილიციონერი, ხუმარა პანტიკო, რომელსაც მოგვიანებით გაგაცნობთ, გერონტის ეუბნება:

– გერონტის ვენაცვალე, დროებას ფეხდაფეხ მიჰყვები, ხომ? ახლა მოდაშია: უნდა გყავდეს ერთი ძაღლი, ერთი ცოლი, ერთი ბავშვი, ერთი მანქანა!

– პანტიკო ბატონო, ჯერ ძაღლი ახსენე და მერე – ცოლი, რა წესია ეგ? – გაიცინა გერონტი. – არც ავტომანქანა მაქვს.

– რა წესია და, მაგას მერე მიხვდები. ძაღლი რომ ქალზე ერთგულია, არ გაგიგონია ჯერ?

– აბა, შენ თვითონ ცოლი გყავს, ძაღლი არ გყავს... – ეუბნება გერონტი. – პირიქით არ ჯობდა?

– მე მანქანაც მაკლია, მაგი არაფერია. შენ რათ გინდა მანქანა, ყოველ დილით ჯერ ძაღლს გაასეირნებ და მერე პერსონალური მანქანა მოგაკითხავს სამსახურში წასაყვანად... ნაღდად ძაღლის ბედი გქონია! მე კი მატარებელში ქურდებს და ავაზაკებს დავდეგ, ძაღლი მე უფრო მჭირდება! მათხოვე ეგ შენი ზანგა, სანადიროდ ეგ არ ვარგა და მისი საჭმლის ფული მაინც დაგეზოვება!

როცა ზანგა წამოიზარდა, ერთხელ შემოდგომით გერონტიმ მართლაც წაიყვანა გამოსაცდელად ჯანდარის ტბაზე – მეგობრებს გაჰყვა იხვებზე სანადიროდ. რა თქმა უნდა, იქ ზანგამ ვერაფრით გამოიჩინა თავი, პირიქით, ყველას ფეხებში ებლანდებოდა და ნადირობაში ხელს უშლიდა. გერონტიმ, თუმცა ფრონტზე კარგ მსროლელად ითვლებოდა, ერთი იხვიც კი ვერ მონადირა, რასაც ზანგას აბრალებდა – მაგის დევნას გადაეყვით. დანარჩენებს უფრო გაუღიმა ბედმა და ნადირობის ბოლოს, როგორც მეგობრებს სჩვევიათ ხოლმე, თანაბრად გაინაწილეს ნადავლი – გერონტის ორი იხვი ერგო. თოფ-იარაღში ჩამჯდარი, წელზე პატრონტაშემორტყმული გერონტი საბელით დაჭერილ ზანგასთან ერთად ამყად გაჯგვიმული შემოვიდა ეზოში, ვინც კი შეხვდა, ყველასთან გაჩერდა და ხანგრძლივი მუსაიფი გაუბა, რომ აივნებზე გამოფენილ მეზობლებს კარგად დაენახათ ქამარზე საგანგებოდ ჩამოკონწილებული ორი იხვი... სამწუხაროდ, ცოლმა ქნა დალატი – ტუსამ იხვების მოშადებაზე სასტიკი უარი განაცხადა: “მაგ იხვებს ხელს არ ვახლებ, სადაც გინდა, იქ წაიღე, მე კი თვალთ არ დამანახო!”. გერონტი იძულებული გახდა, იხვები თავისი დისთვის მიეტანა გასაკეთებლად და ადრევე დაპატიუბული ძმაკაცებიც იქ მიიწვია... დას, შროშანას, უთხრა: “ჩემო დაო, აგერ ერთი იხვი საჩუქრად მომირთმეგია, მეორე კი მე გამიკეთე”. შროშანას ეს საჩუქარი ძვირად დაუჯდა: გააკეთა ერთი ქვაბი ღომი, თვითონ იყიდა ერთი ლიტრი არაყი, ხუთი ლიტრი ღვინო, ერთი წველა ყველი, ნახევარი კილო ნიგოზი და სხვა წვრილმანს აღარ ჩამოეთვლი...

უნდა ითქვას, რომ გერონტი ციხეებილაძისთვის ქველმოქმედებაც არ იყო უცხო ხილი. როცა მისმა სოფელელმა ნათესავებმა გაიგეს, რომ გერონტია თავგასიებული ხელმწიფის ტოლა კაცი

გამხდარაო, ნათესავეებს ვინ ჩივის, სრულიად უცხოებიც ხშირად აკითხავდნენ: ზოგი, უფრო თავხედი, ფულს თხოვდა, სხვები, ვინ – ტექნიკუმში ან ინსტიტუტში შვილის ჩარიცხვაში ხელშეწყობას, სამსახურის შოვნას, ნათესავის ციხიდან გამოშვებას... გერონტი, რა თქმა უნდა, ყველას ყურადღებით უსმენდა, მურაბიან ჩაის დაალევინებდა და მათი თხოვნების მრავალფეროვნების მიუხედავად, ერთნაირი პასუხით ისტუმრებდა: “ახლა ცუდი დროა, ხომ იცი, მაგარი დაჭერები მიდის; ცოტა მოიცდე, ჩემო იმანო და ამჯერად მცირე საჩუქრით დაკმაყოფილდი...” – და მართმევედა მშენებელი მუშის სამუშაო ტანსაცმელს – დაბამბულ ქურთუკს – და ყელიან უხეშ ფეხსაცმელს. ასე რომ, როგორც გადმოცემით ვიცი, დროთა განმავლობაში ბატონ გერონტის სოფელელ ნათესავთა მამაკაცების ნახევარი მაინც სადმე მშენებლობაზე მომუშავეარი გეგონებოდათ – ზოგიერთები, განსაკუთრებით დასაჩუქრებულნი, მშენებელი მუშის პლასტმასის ჩაფხუტებითაც კი იწონებდნენ თავს...

გერონტი გახდა ტრესტის მმართველი და ცოლთან, ტუსასთან და შვილთან ერთად ახალაშენებულ ოთხსართულიანი სახლის სამოთახიან ბინაში გადავიდა საბურთალოზე. დედა, ცოლის დაჟინებული მოთხოვნის გამო, თან არ წაიყვანა (ახალ ბინაში კი ჩაწერა), აღათი დაუტოვა მრავალშვილიან ქვრივ დას, შროშანას, რომელიც დიდ სივიწროვეში ცხოვრობს იმავე სახლის ქუჩის მხარეს მდებარე ნახევრად სარდაფში, ბნელსა და ნესტიანში, ბინა კი მიჰყიდა ვიღაც ჯადოს.

ბარემ მოგახსენებთ გერონტის სახლის აშენების შესახებაც... ეს ამბავი კარგი მწერლისთვის გვარიანი რომანის ასაგებად საჭირო მასალას შეიცავს, მე კი მხოლოდ ერთი ძველი მაგიდა ვარ, სხვაც ბევრი მაქვს მოსაყოლი და მოკლედ გავიხსენებ...

საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას გამზირის ერთ-ერთ კვარტალში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით შენდებოდა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ბინების სიმადლე წესით დაშვებული იყო ორნახევარი მეტრი. როცა ორი სართული უკვე ამოყვანილი იყო, მშენებელი ინჟინერს უთხრეს “მადლიდან” – რა არის ორნახევარი მეტრი, ცოტა წაუმატე, ორი მეტრი და სამოცდაათი სანტიმეტრი მაინც გახადეო. ეს ინჟინერი მივიდა ტრესტის მმართველთან, გერონტისთან, ნებართვის ასაღებად, გერონტი გაქანდა მშენებლობის მინისტრთან და უთხრა, ასეა საქმე, დამკვეთი ჭერის სიმადლის ოცი სანტიმეტრით გაზრდას მოითხოვსო. მშენებლობის მინისტრი ტელეფონით დაუკავშირდა ვიღაც-ვიღაცებს, მიიღო დასტური და ბრძანა, მესამე სართულიდან მოყოლებული, თითო სართულისთვის ოცდახუთი სანტიმეტრი მოემატებინათ... როცა სახლი საექსპლუატაციოდ მიიღეს და ხალხმა შესახლება დაიწყო, პირველი ორი სართულის მობინადრეებმა შეიტყვეს, რომ მათი ბინების ჭერის სიმადლე დანარჩენ სართულებზე არსებულებზე საგრძობლად ნაკლები იყო და ატეხეს განგაში. დაწერეს საჩივარი და საქმე მივიდა კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტამდე... მშენებელი ინჟინერს და ტრესტის მმართველსაც – გერონტი ციხეებილაძეს – ელოდათ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე პასუხისგება და ასეთ შემთხვევაში – შენობის პროექტის დარღვევისა და თვითნებური შეცვლის გამო – პარტიიდან გარიცხვაც კი. გერონტი მაშინვე მშენებლობის მინისტრთან გაიქცა, ასე და ასეა საქმეო, იმან კი ტელეფონით დაურეკა ყოფილ სოფლის მეურნეობის მინისტრს, რომელიც ამ დროს უკვე დაწინაურებული იყო – ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივნის პოსტი ეკავა. იქიდან მშენებლობის მინისტრს უპასუხეს – ათი წუთის შემდეგ დარეკეთო. მართლაც, ზუსტად ათი წუთის შემდეგ დაზაფრულ მინისტრს (არც მას ასცდებოდა პასუხისმგებლობა) შეატყობინეს: ნუ დედავთ, ყველაფერი მოგვარებულია – სხდომა არ შედგება, საქმე ჩაფარცხულიაო... მთელი ეს დავიდარება კი იცით, რამ გამოიწვია? ამ სახლში მესამე, ყველაზე საუკეთესო სართულზე ბინა უნდა მიეღო ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრის, აწ კი ცეკას მდივნის, საყვარელს, რომელიც მშენებლობის დასათვარიელებლად მივიდა და არ მოეწონა ბინების დაბალი ჭერი...

სამოთახიანი მშენიერი ბინა აქვთ მეოთხე სართულზე, ყველაზე მაღალჭერიანი (ეს სართული მშენებლებს ეკუთვნოდათ და მათ საკუთარი ინიციატივით ბინის ჭერის სიმადლეს კიდევ ცოტა წაუმატეს – ორ მეტრსა და ოთხმოც სანტიმეტრამდე გაზარდეს!), ტუსა კი ერთ შვილზე მეტს არ აჩენს, მეცნიერობა უნდა; მოახლეც აიყვანა ბავშვის მოსაგლეჯად და ბინის დასალაგებლად. გერონტი ამასხრებს (მიხვდა, ცოლი არაფრის გამკეთებელი იყო, ბავშვსაც კი გადიას აზრდევინებდა): “ტუსა, ჭირიმე, რად გინდა დისერტაცია, მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომიანი ბედოვლათი გინდა მოკვდე? ჯერ უნდა გახდე “ხურჯინოლოგიის დოქტორი” – თემის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სამეცნიერო საბჭოს წევრებს ყურადღება არ მოაკლო და ზრუნვით მოეპყრო... ჰოდა, ისიც არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ კარგად აითვისო ჩვენს დროში ესოდენ დაფასებული შემგუებლობის, მამებლობისა და ტაშის დაკერის ნატიფი ხელოვნება... დროზე ქენი, დროზე, დაიცავი ეგ დასაწვავი დისერტაცია: ერთი სული მაქვს, როდის გააკოცებ მეცნიერებათა კანდიდატს – სხვა გემო ექნება!”.

გამოხდა ხანი და ჩემამდე მოვიდა ხმები, რომ გერონტი ციხეებილაძე მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს და უკვე აპირებდა უფრო დიდ ბინაში გადასვლას ვაკეში, რომ... მისი მფარველი ცეკას მდივანი ქრთამის აღებისა და კიდევ სხვა მრავალი “გმირული” საქციელისთვის თანამდებობიდან გამოაპანდურეს – მე უფრო იმ თვალსაზრისისა მჯერა, რომ მისი თანამდებობა

“სხვისთვის” დასჭირდათ! დასაჭერად ჰქონდა საქმე, მაგრამ არ გასწირეს, მხოლოდ მკაცრი საყვედური აკმარეს პირად საქმეში შეტანით და საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერობაც უბოძეს... გერონტი ციხეებილაძის თანამდებობაც ვიღაცას დასჭირდა და ისიც მისი მფარველის გზას გაუყენეს, ოღონდ რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი გახდა... და, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ერთ დღეში მისი მეზობლებისა და ნაცნობ-მეგობრებისთვის “ბატონი გერონტი” უცებ უბრალო “გერონტიად” გადაიქცა...

18. შრომანა ციხეებილაძეილი თავის ორ შვილთან, ქალ-გაყთან, ერთად ცხოვრობს ქუჩის მხარეს ერთი ციციქნა უფანჯრო ოთახში, რომელიც ადრე ნახშირის გასაყიდ სათავსოდ გამოიყენებოდა. ქალაქს ომის დროს ჩამოვიდა რიონის დაბლობის ერთი სოფლიდან, მას შემდეგ, რაც ქმრის ფრონტზე დაღუპვის ცნობა მიიღო; თანაც შვილები ციხით იყვნენ დაავადებულნი და იქაურობას გამოარიადა...

19. ჯადო უხალთუნაშვილი – ცალთვალაა, მარჯვენა თვალი შუშისა აქვს, დაბალ-დაბალია, მაგრამ ბეჭებგანიერი და საოცრად დაკუნთული; ისეთი შავგერმანია, მაზუთით მოთხვრილს ჰგავს: როცა გაიცინებს, არადა, ხშირად იცინის, მისი ბროლივით კბილები თეთრად აშუქებენ. გვარად კი არის უხალთუნაშვილი, მაგრამ კაცმა არ იცის, რა მოდგმის კაცია, რა ჰქვია ნამდვილად, რას საქმიანობს, მის ხნოვანებასაც ძნელად გაარკვევ; ერთს კი ყველა ხედავს – უმეტესად სულ ციხეში ზის. გამოვა ცოტა ხნით, ისევ რაღაცას დააშაგებს და კვლავ იჭერენ. ჰყავს ცოლი, მწვერა – ადრე ლამაზი ეთქმოდა, მაგრამ გაწვალებული ცხოვრებისგან ძალიან გახდა და გაიცრიცა; ჰყავთ ოთხი ქალიშვილი – გამოვა ციხიდან ჯადო, დააფენძიმებს ცოლს და ისევ ციხეში ბრუნდება... უფროსი, მანანა, უკვე თექვსმეტი წლისაა, ყველაზე უმცროსი, ციცო, – ორი წლის.

მიუხედავად ჯადოს ფრიად საეჭვო ყოფაქცევისა, მეზობლებს იგი მაინც უყვართ (ბუნებრივი კაინიტაძისა და ბარძიმ ჭყავაძისგან განსხვავებით; თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელს არასდროს და არავისთვის არაფერი დაუშაგებია): ჯადო კეთილია, თუკი ვინმეს უჭირს, დახმარებაზე არასდროს ეტყვის უარს...

ციხიდან ბოლო გამოსვლის შემდეგ ჯადო ვითომ დაშოშმინდა – სადღაც მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა, ცოტა ხანში იყიდა ახალთახალი “მოსკვირიც”. როგორ იშოვა ცალთვალა კაცმა მანქანის მართვის მოწიბობა, ესეც გამოცანად დარჩა. მანქანას ეზოში ტანზევით მიშველი რეცხავდა და მეზობლებს იშვიათი სიამოვნების მიღების საშუალება მიეცათ – ჯადოს ტანზე ამოსვირინგებულ იყო მთელი სამხატვრო გაღერვა: მარჯვენა და მარცხენა ძუძუს ზემოთ ერთმანეთს შეჰყურებდნენ ლენინისა და სტალინის პორტრეტები, ბეჭებზე თავს იწონებდა ლაღად ფრთაგაშლილი არწივი; მარჯვენა მკლავზე უკედევყოფილი იყო ფილოსოფიური შინაარსის წარწერები: “ნუ ენდობი ქალს!”, “საქმე ფულია, ძმაცა ცეფულია!”, მარცხენაზე – “აი რა გვლუპავს!” და დიდი ოსტატობით დახატული გახლდათ: ფიშტო, ჭიქა და ციხის გისოსები.

ჯადოს ჯერ კიდევ ავტომანქანის ნომრები არ ჰქონდა აღებული, რომ რკინიგზის სადგურის მოედანზე გავიდა და ვიღაც ჩამოსულს მოურიგდა, წაგიყვანო; ჩაალაგებინა ბარგი და მგზავრს ჩაჯდომა არ აცალა – მანქანა უცებ დაქოქა და გაიქცა! ეგონა, შემრჩება ნაქურალ-ნაყაჩადევი ხახვივითო, მაგრამ მილიციამ მეორე დღესვე მიაგნო და ხუთი წლით ისევ ჩააყუდეს...

20. პანტიკო ორჯამაძე – ახოვანი, ბოხხმიანი, უდროოდ სულ მთლად გაჭალარაგებული; ორ ათეულ წელზე მეტია, მილიციაში მუშაობს და სერჟანტობს ვერ ასცილდა. მისი ცოლი, დალაღმანო, – ისიც მაღალი, მაგრამ, ქმრისგან განსხვავებით, ძალიან გამხდარი, – კეთილი, მარად მდიმარი, – გამოდგა უშიგლო; ოცზე მეტი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ იშვილეს ბავშვი – გოგო, რომელსაც დალილა დაარქვეს. კაცი რკინიგზის მილიციაში მუშაობს, ცოლი გამყიდველი იყო მაღაზიაში, მაგრამ ბავშვის აყვანის შემდეგ სამუშაოს თავი დაანება. კაცი ხუშმარაა, ანეკლოტების მოყლის ოსტატი; ყველას ანუგეშებს, იმედს მისცემს; ჩხირკედელაობა უყვარს, საოჯახო ნივთების წვრილმან შეკეთებაზე მეზობლებს უარს არასდროს ეუბნება:

– ჰო, ეს კარგი სამაჯურია, რაღაცას მოვუხერხებ. თუ ისევ გატყდება, ამაზეც ნუ იღარდებ – უკეთესი სამაჯურები იყიდება!

თუ ვინმეს საჩქაროდ ცოტა ფული დასჭირდება, უპირველესად პანტიკოსთან მივა სასესხებლად (თუმცა იციან – დიდი შეძლების არ არის):

– პანტიკო, თუმანი მჭირდება შაბათამდე!

– ახლავე, გენაცვალე!

პანტიკო ჯიბეში ჩაიფოფს ხელს, ბლუჯით ამოიღებს ფულს, რამდენიც აქვს და მისცემს მთხოვნელს, არაფრით დაითვლის. იციან მისი ხასიათი და არ ეჭვიდაგებიან, ოღონდ, რა თქმა უნდა, შემდეგომ ზუსტად იმდენივეს უბრუნებენ, რამდენიც პანტიკოს ხელს ამოჰყვა...

21. ოქრო გუგუნაშვილი – ტანმორჩილი, მეტისმეტად გამხდარი, გრძელცხვირა და გრძელთმიანი კაცია; ოპერის სოლისტია, ტენორი. შედარებით პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი ტემბრის, მშვენიერი ხმა ჰქონდა; ახლა უკვე ხანშია შესული და აღარ თუ გვდარ გამოდის სცენაზე, ავადობამ შეაწუხა – ფილტვების ჭლექი... ცოლი ჰყავს სანდომიანი ქალი – მძივა; ოპერის გუნდში მღეროდა და იქ გაიცნეს ერთმანეთი; ახლა დიასახლისია. მძივა გაუნათლებელი, უბრალო ქალია, მაგრამ მეოჯახე, ძალიან კეთილი. ორი შვილი ჰყავთ: ალფრედი და ვიოლეტა – ჯუხუპე ვერდის ოპერის “ტრაგიატა” გმირთა სახელები დაარქვეს.

ვიოლეტა აღფრედზე უფროსია; ძალიან ლამაზია, მაგრამ ქარაფშუტა, რომელიც ინსტიტუტში სწავლობს უკვე ათ წელზე მეტია. რამდენჯერმე გათხოვდა: პირველად, არაოფიციალურად – ვიღაც ცნობილ ქურდზე, კოხტა, ყოველთვის ძვირფასად, იშვიათი გემოვნებით ჩაცმულ ახალგაზრდა კაცზე, რომელიც დროდადრო მოაკითხავდა ხოლმე და სადღაც წაიყვანდა რამდენიმე დღით... ის რომ კარგა ხნით დაიჭირეს, მეორედ გათხოვდა – მეზობელ ეზოში მცხოვრებ ახალგაზრდა, ნიჭიერ მეცნიერზე (საკანდიდატო დისერტაცია უკვე დაცული ჰქონდა და უნივერსიტეტში ლექციებსაც კითხულობდა), რომელსაც თურმე ბავშვობის დროიდან უყვარდა. ამ ქორწინებამ მხოლოდ ერთ წელიწადს გასტანა – ქმარი ვერ შეეგუა ცოლის ხასიათს, რომელსაც ჩაცმა-დახურვისა და დროსტარების მეტი ცხოვრებაში სხვა ინტერესი არაფერი ჰქონდა. მერე ვიოლეტა ვიღაც ცოლშვილიან ხნიერ კაცს ხვდებოდა, მაღაზიის დირექტორს, მასზე ათი წლით უფროსს... მოულოდნელად დაფხმბიძგა ამ კაცისგან, ბიჭი ეყოლა – ლომინა; კაცმა ვიოლეტას მეცადინეობით ოჯახი დატოვა, ცოლს გასცილდა და ვიოლეტა ითხოვა. ვიოლეტა ხუთი წლის შემდეგ ამ ქმარსაც გასცილდა – ღალატობდა და ქმარმა შეიტყო. რამდენიმე წელიწადში მესამედაც (უფრო ზუსტად – მეოთხედ!) გათხოვდა – თავისაზე 10 წლით უმცროს სტუდენტს გაჰყვა, იმისგან გოგო შეეძინა – ნანა. რამდენიმე წლის შემდეგ ქმარმა საყვარელი გაიჩინა და ვიოლეტა მიატოვა... ვიოლეტა იძულებული გახდა, რესტორანში ოფიციალურად დაეწყო მუშაობა; იქ “შესაფერის” კაცებს თვალებს უშუშუნებდა – ძალიან უნდოდა ისევ გათხოვება და უზრუნველი ცხოვრება...

აღფრედმა სამხატვრო აკადემია წარმატებით დაამთავრა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მისგან დიდი მხატვარი ვერ დადგებოდა და კინოსტუდიაში მოეწყო ოპერატორის ასისტენტად, მერე ოპერატორიც გახდა; საკმაოდ ნიჭიერი გამოდგა ამ საქმეში და დიდადაც აფასებენ. ჰყავს ცოლი – ტოროლა, მომღერალი, ოპერის სოლისტი – და ერთი ქალიშვილი.

22. ქვაბულა და ხვარამზე ხანდუკელაშვილები – მეტისმეტად კარჩაკეტილი ოჯახი. მეზობლებთან არ აქვთ თითქმის არავითარი ურთიერთობა, შეხვედრისას მხოლოდ გამარჯობას თუ ეტყვიან, ხაზგასმულად ზრდილობიანად. მეზობლებიდან ვერაგინ დაიკვივნის, მათი ბინის ზღურბლს გადავაბიჯეთო, არც თვითონ აწუხებენ ვინმეს – სამეზობლოდ ასანთის სათხოვნელადც კი არავისთან მისულან... ჰყავთ ბიჭი – შოშიტა, ისიც მათი მსგავსია, მშობლების ალიკვადი; ეზოში სათამაშოდ არ უშვებენ და არც აქვს მეზობელ ბიჭებში გარევის სურვილი, სულ შინ ზის და წიგნებს კითხულობს; სქელია ძალიან, სათვალისანი – ბავშვები სკოლაში დასცინიან... ცოლი დიასახლისია, კაცი სადღაც მუშაობს, არაგინ იცის – სად და არც ინტერესებთ; სულ პორტფელით დადის, სათვალისანია და სიარულისას მარად მიწას ჩასცქერის. მათი ბინიდან არასდროს ხმაური კი არა, უბრალოდ ხმამაღალი ლაპარაკიც კი არასდროს გაუგონიათ, არც მუსიკის ხმა – არაფერი, თავგებივით სოროში არიან მიყუჟუნნი.

23. დადი დიდუანიძე და თიანა თავაქასრაშვილი – საყოველთაო შეხედულებით, ერთმანეთისთვის ფრიად შეუფერებელი ცოლ-ქმარი. ქმარი 25 წლით უფროსია – სუსტი, კაფანდარა; ნიჭიერი კაცია, მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკოსი; მუშაობს ერთ-ერთ სამეცნიერო-საკვლეგ ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ. ცოლს სწორი, ოდნავ უხეში სახის ნაკეთები აქვს, მოსული ტანისაა, ჯიშინი; საკმაოდ გონებაშეზღუდული, გაუნათლებელი ახალგაზრდა ქალბატონია. თიანა ადრე მუშაობდა იმავე სამეცნიერო-საკვლეგ ინსტიტუტის დირექტორის მდივნად, ახლა, გათხოვების შემდეგ, დიასახლისობს. იბრიქება – ქმარი დიდი თანამდებობის მქონე მყავსო, საკუთარ თავს “დირექტორშას” უწოდებს... ჰყავთ ერთი ბიჭი, ბაგრატი, ძალიან ცელქი, მოუსვენარი, ძლიერი აღნაგობის – ტანად დიდი და ძვალმსხვილია დედასავით, უკვე სკოლაში დადის. ცოლ-ქმარი ხასიათებითაც ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თიანა თითქმის სულ ფასებზე ლაპარაკობს, მაგალითად, ასეთნაირად: “ეს ერთი ქილა მაწონი ვიყიდე ორმოც კაპიკად, კიდევ კარგი, არ ვიჩქარე: ადრე სხვაგანაც შემხვდა მაწონი და ორმოცდაათი კაპიკი დამიფასეს!”... კაცის ხმას იშვიათად გაიგონებ, გულჩათხრობილია, სულ რაღაც ფიქრებში ჩაფლული, მოთმინებით იტანს ცოლის გაუთავებელ მონოლოგებს. ცოლი ხშირად საყვედურობს:

- რა არის, დადი, ერთს არ დამელაპარაკები, გაბუტულივით არაფერს მპასუხობ...
- ხმა რომ გაგცე, ორჯერ მეტს ილაპარაკებ, ამას მეც კი ვერ გაგუძლებ!
- სხვებთან რომ დაიქოქები?

- ბაზრის ფასები და ჭორები მე არ მაინტერესებს და სხვა რა თემაზე უნდა გელაპარაკო?

დადის ტანსრული ცოლი ერთ წუთს ვერ ისვენებს – როხროხაა, მეზობლებში დადის, სულ გართობაზე ფიქრობს, ბავშვს დიდად არ უთმობს ყურადღებას, ქმარსაც... თიანა ტრებახობს:

- დადიმ მანქანა უნდა იყიდოს – მწიფე შინდისფერი მიყვარს, მიხდება! შინდისფერი კაბაც საგანგებოდ უნდა შევიკერო!

მწიფე შინდისფერი მანქანით სეირნობას თიანა ვერ მოესწრო, სამაგიეროდ, მოხდა მეორე სასწაული – დადიმ, მისმა “ბებერმა ქოფაკმა”, როგორც ხშირად ვითომ ხუმრობით, სინამდვილეში კი დაცინვით უწოდებდა ქმარს, სამსახურში გაიჩინა საყვარელი – თიანაზე თხუთმეტი წლით უფროსი შინაბერა ქალბატონი – სათვალისანი, შეუხედავი მეცნიერებათა კანდიდატი! თიანას ამის შესახებ ტელეფონით შეატყობინა ინკოგნიტო “კეთილის მსურველმა”, რის შემდეგაც ცოლ-ქმარს შორის ხშირად ატყდებოდა ხოლმე ხმაურიანი დაკა-დაკა. დადი გაგარდებდა ოთახი-

დან და ერთ კვირას ფეხს აღარ შემოდგამდა შინ... მერე შვილის მონატრება ისევ აბრუნებდა ოჯახში.

24. ალფეხ ალიმჩატაძე მეორე დიდი ომის დროს ჯარში გაიწვიეს, ფრონტზე გაგზავნეს, არტილერიისტი იყო. იქ პირველ ბრძოლაში ჩაბმაც კი ვერ მოასწრო, რომ ცხენმა უბინა საჯდომზე და ორი კვირით საველე ჰოსპიტალში მოათავსეს. ამასობაში მისი ნაწილი სხვაგან გადაიყვანეს. ალფეხამ მოახერხა და ზურგში გამოემგზავრა მძიმედ დაჭრილის ცნობით – ამით დამთავრდა მისთვის ომი...

სამაგიეროდ, ახლა ომის ვეტერანია, ომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, თან ფრიად ენერგიული; უყვარს ხაისფერი გალიფესა და ვიწრო, გაკრივებული ჩექმების ტარება; ნახევრად სამხედრო კიტელზე კი, რომელსაც მუდმივად ატარებს, ბარე ათამდე ჩინ-მედლების ნიშნები უკეთია. ამითაც არ დაკმაყოფილდა და რაღაც სამკერდე ნიშნებიც აქვს ჩამოკონწიალუბული – შორიდან რომ შეხედო, გმირთა გმირი გეგონება, ისე უბრჭყვიანებს მკერდი...

ბატონ ალფეხს ახასიათებს რიხიანი, უაპელაციო, თავდაჯერებულო ლაპარაკი; როცა ჩაახველებს, იმასაც დიდად მნიშვნელოვნად, გაბღენძვით... სრულიად მოკლებულია ჰუმორის გრძობას. თბილისის “დინამოს” მონაწილეობით ფეხბურთის მაჩს არ გამოაკლდება და თავი ფეხბურთის დიდ მცოდნედ მიაჩნია; მაჩებს ესწრება თანამშრომლებთან ერთად – ყოველთვის პატარ-პატარა საწარმოების დირექტორი იყო. მეორე გატაცებაც აქვს – ნადირობა და თევზაობა; ყოველთვის ჰყავდა ორი ჯიშისანი ძაღლი, ყოველთვის – სეტერები, პირადად უკეთებდა ხოლმე საჭმელს და აჭმევდა, ეფერებოდა, მათთვის საკმაოდ დიდი ბუდრუგანაც გააკეთა აივანზე, შვილებს არ აქცევდა იმდენ ყურადღებას; მეზობლები სულ ეჩხუბებოდნენ, სუნი და ყეფა გვაწუხებსო, მაგრამ ბატონი ალფეხი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა – პარტიის ძველი წევრი იყო, ნაფრთხალი, სამშობლოს დაცვისთვის დაჭრილი, ახლა კი – თანამდებობის პირი, დაფასებული და პატივსაცემი ადამიანი...

ცოლიც უფერული ჰყავს – გარეგნობითაც და ხასიათითაც – და შვილებიც უფერულები გამოვიდნენ – ქალ-ვაჟი – მისი დიდების ბრწყინვალე შარავანდში სრულებით დაკარგულები... უკვე 40 წელს გადასცილდნენ და ვერც გოგო გათხოვდა (ახალგაზრდასაც რა გაასაღებდა, ისეთი შეუსხედავია; მამის უზარმაზარი ცხვირი და მუავე ხასიათიც გამოსყვია), არც ბიჭი ფიქრობს ცოლის მოყვანას – ვიღაც მასზე ხნიერ, ორშილიან ქვრივთან დაძვრება დიდი ხანია.

კიდევ თუ რამით არის გამორჩეული ბატონი ალფეხი – გმირული ხერხებით! უცნაური ხერხება იცის – თითქოს აგტომატის ჯერი მიუშვას, მერე მცირე პაუზა და ისევ გააბამს კაკანს... მთელი დამე – დაუსრულებლად, თითქოს ბატონი ალფეხი წარმატებით ინაზღაურებს, რაც ომში სროლა არ მოუწია.

ერთხელ მეზობელ ოთახში ვაჟიშვილმა რომ ვეღარ დაიძინა, ვეღარც წრუწუნით, სტვენით, შეძახილით ვერ გააჩერა ხელჩართულ ბრძოლაში თავფეხიანად ჩართული მამამისი, ადგა და მისი საწოლი გვარიანად შეანჯღრია. ალფეხი მეორე მხარეს გადაბრუნდა და ხერხინვის მაგივრად ფშვინვა ამოუშვა. მეორე დღეს, დილით, ალფეხი ამბობს:

– გაიგეთ, დამით რა მაგარი მიწისძვრა იყო?

შვილმა უპასუხა:

– შენ თუ ხერხინვას არ მოუკელი, მასეთი მიწისძვრა ხშირად გამეორდება!

* * *

ზაფხულში ზოგჯერ გამიტანენ ხოლმე აივანზე, – ფართო აივანი გვაქვს! – გარეთ სხვა ემხი აქვს დომინოს, ლოტოს, ბანქოს და სხვათა თამაშსო. მართალი მოგახსენოთ, მიუჩვეველი ვარ და არ მიყვარს ეს სუფთა ჰაერზე გამოსვლა, მიკვირს, ზოგს ასე რამ შეაყვარა? შინ რომ ხარ, უცხოს გაუჭირდება დაუპატიჟებლად მოსვლა, აქ კი უბოდიშოდ შემოეხეტება ვიღაც ოხერი, სახეზე ეტყობა, რაც არი, იფიქრებ: “ეგ კაი ჩიტი ჩანს, ხომ იცი შენ, აი, ისეთი მურტალი ჩიტი, თუ რამე საკენკი არ დაინახა, მაგიდაზე დაჯდომას რომ არ კადრულობს, გადაგაფრინდება და – წკაპ! უსინდისოდ დაგასკინტლავს! და გაფრინდება – ვითომც არაფერი... და მსგავსი კაცისგანაც მხოლოდ საჯაყ საქმეს ელი”...

ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი ვიღაც გვესტუმრება. ამას წინათ ბავშვებმა აჩემეს, ინოზემცევეების ძაღლი გვინდაო. ფანო საგანგებოდ ჩავიდა ეზოში, როცა დიმა ძაღლს ასვირნებდა და თხოვა:

– ერთი დღით გვათხოვეთ თქვენი ცუგო, ბავშვებმა თხოვნით ამომართვეს სული!

– დედას ვეტყვი და ორი დღით იყოს თქვენთან ან მთელი კვირით!

ძაღლი ძალიან მხიარულად იყო ჩვენთან, შიო და იტიტინე ძალიან გაახარა და ბევრი არბენინა აივანზე.

მერე ბავშვებს დედამ, გულნაზიმ, დაუცაცხანა და ისინი ეზოში ჩავიდნენ ძაღლიანად; იქ კინაღამ დაეკარგათ და ისევ მაღლა ამოიყვანეს. დიმა სამჯერ მაინც მოაკითხა, ჩემი ძაღლი როგორ გრძობს თავსო, მისთვის ძალიან ძნელი იყო მასთან განშორება. ნარცეცხლაძეებს გაუ-

ჭირდათ ძაღლის ლოლიავი და იმავე დღეს, საღამოს, პატრონს დაუბრუნეს – შვებით ამოისუნთქეს.

* * *

დიდ ბებიასთან, იტიტინესთან, შემოვიდა გასაცნობად და სასაუბროდ სოფლიდან შვილთან სტუმრად ჩამოსული ბუხუტი კაიჩიტაძის დედა, დამანა, ისიც ღრმა მოხუცი.

იტიტინე, საერთოდ, ლაპარაკის მოყვარული ქალია, სრულიად უცნობ პირთანაც კი ისე გააბამს მუსაიფს, თითქოს ასი წლის უნახავი ნაცნობი იყოს და შეიძლება, თავიც კი მოაბეზროს მოსაუბრეს.

დიდი ბებია და ახალგაზრდობილი დამანა მარტონი დარჩნენ ოთახში, დანარჩენები სამზარეულოში გავიდნენ. გაისმა ორი მოხუცის გაცხოველებული საუბარი.

გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... ოთხი... ხუთი... ორჯერ დალიეს ჩაი... იტიტინეს ნამდვილად ღირსეული მოსაუბრე შეხვდა! დიდი სტაჟისა და გამოცდილების მიუხედავად, იტიტინემ ვერ გაძლო ამ შეჯიბრში და ისარგებლა რა იმით, რომ ოთახში ვიღაცა შევიდა, დაუყონებლივ გამოიპარა. სამზარეულოში შეწუხებულმა იტიტინემ დაიწყო: “გამისივა თავი ამდენი ლაქლაქით... ბაგ-შეობიდან მოყოლებული ყველაფერი დაწვრილებით მომიყვა, ახლა გათხოვებამდეა მისული და თუ მაგი ჩვენ დღეებამდე აპირებს მისვლას, მე ნამდვილად ვერ მივალწევ!”.

ბოლოს, ისევ ფაცციას გაახსენდა თავისი დედამთილის მოკითხვა, თორემ, ვინ იცის, ახლაც ილაპარაკებდა...

* * *

ოქრო გუგუნაშვილთან სანახავად მოვიდნენ მისი მეგობრები, სამი სახელგანთქმული მომღერალი – სანახლო და დამსახურებული არტისტების მაღალი წოდება აქვთ მინიჭებული! ოქროს ცოლმა, მძივამ, შვილი, ალფრედი გამოგზავნა ჩემს წასაღებად – თურმე ოჯახში ხეირიანი მაგი და არ ჰქონიათ და მე მინათხოვრეს. როცა ძვირასი სტუმრები მობრძანდნენ ოჯახში, ყველანი აივსნენ სასიამოვნო მოლოდინით: რამდენ საინტერესო ამბავს მოჰყვებიან ისინი, მათ ხომ ხშირად უწევთ საზღვარგარეთ საგასტროლოდ მოგზაურობა; ბევრი ქვეყანა უნახავთ, სახელგანთქმული მუზეუმები და გამოფენები დაუთვალიერებიათ, “მაღალ სფეროებში” ტრიალებდნენ, მრავალ გამოჩენილ ხელოვანს შეხვდნენ, მათთან საინტერესო საუბრები ჰქონდათ...

სინამდვილეში? გამოჩენილ არტისტებთან თუ გქონდა საქმე, ვერც მიხვდებოდი – გაუთავებელი ლაყობა მაღაზიებზე, სად რა უფრო იაფად შეიძლება, შეიძინო... აღმოჩნდნენ ჩვეულებრივი წვრილფეხა ვაჭრუკანები – არაფერი უთქვამთ საკუთარ შემოქმედებით მოღვაწეობაზე, მხატვრულ შთაბეჭდილებებზე...

– გახსოვს? – და მოჰყვებოდნენ რომელიღაც სასტუმროში როგორი მომსახურება იყო, რა ჭამეს და სვეს რესტორანში, რა ნახეს და იყიდეს მაღაზიებში...

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შემდეგ დისკუსია გაჩაღდა პოლიტიკის შესახებ და აღმოჩნდა: ძვირფასმა სტუმრებმა უკეთ იცოდნენ, თუ რა ხდებოდა ცხრა მთას იქითა სახელმწიფოში, ვიდრე რა საქმეები ტრიალებს, რა პრობლემებია საკუთარ ქვეყანაში ან თუნდაც საკუთარ ქალაქში... შემდგომ კიდევ უფრო წვრილმან საკითხებზე გადავიდნენ – ხელოვნებაზე საუბრისთვის ვერაფრით მოიცალეს! ერთი როხროხა სტუმრის სასიამოვნო, ხავერდოვანი ბარიტონით ნაამბობი დამამახსოვრდა:

– კბილმა შემაწუხა და სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში გავქანდი – პლენხანოვის გამზირზე, იქ ნაცნობი ექიმი – ენძელა – მეგულებოდა. კიდევ კარგი, ადგილზე დამხვდა. ენძელამ დასვა დიაგნოზი: შენს კბილს აღარაფერი ეშველება, გადაკრული ოქროს ქვეშ მარტი ანთებააო, უნდა ამოვიღოთ. ეს ოქრო მოაძრეს და უკვე გაამზადეს კბილი ამოსაღებად, რომ შემთხვევით გამოიარა განყოფილების გამგემ, ნაილიმ – სამოცდაათი წლის მაინც იქნება. ”უჰ, ამის ამოღება როგორ შეიძლებაო, – უთხრა ენძელას, – ჯერ ერთი, უპირველესად ანთებას უნდა მკურნალობა, მანამდე ამოღება არ შეიძლება; მეორეც, ამ კბილს რა სჭირს ამოსაღები, მისი გადარჩენა შეიძლება, არ არის ისე გაფუჭებულიო”. დავიბენი, აღარ ვიცოდი, ვისთვის დამეჯერებინა. დაუძახეს პოლიკლინიკის მთავარ ექიმს: “ეგ კბილი უსათუოდ ამოსაღებიაო”, – ეგ მინდოდა ახლა მე? არის ერთი რია-რია, ქალები ვერაფრით შეთანხმებულან, ყველა თავისას გაიძახის, მე კი თავზედ ვიწყევი, ფულის ჩუქება რატომ დამენანა, რა მინდოდა ნაცნობ ექიმთან-მეთქი... ბოლოს, ისევ განყოფილების გამგის რჩევა დამიჯდა ჭკუაში, თან კბილის ტკივილმაც შედარებით გამიარა და, უკვე ქირურგთან კბილის ამოსაღებად საგარძელოში გადაწოლილ-მისვენებული, წამოვხტი, კბილი აღარ ამოვადებინე. მერე კბილი განყოფილების გამგემ მიმკურნალა და საღი აღმოჩნდა, მხოლოდ ღრძილის ანთება იყო თურმე. იმ დღეს კი სტომატოლოგიური პოლიკლინიკიდან გამოვედი და პლენხანოვის გამზირზე ვიდექი ავტობუსის გაჩერებაზე, კრილოვის ქუჩის კუთხეში. ქუჩის მეორე მხარეზე, მილიციასთან, წითელი ავტომანქანა “ჟიგული” იდგა, გარშემო ეხვივნენ მამაკაცები; ასე, ჩემი ხნისა იქნებოდნენ, რაღაცაზე კამათობდნენ. მათში ერთი ნაცნობი მეჩვენა.

ახლოს მისვლა გადავწყვიტე... ყველანი ჩემი ძველი ძმაკაცები, სკოლის ამხანაგები აღმოჩნდნენ, შორიდან ვერ ვიცანი. რას ვიცნობდი, მისული მეც კი ვერ მიცნეს – ყველანი ისე ვიყავით შეცვლილნი... გაჭაღარაგებულნი, თმაგაცვენილნი, უღაბათოდ ჩასუქებულნი. უმრავლესობა უკვე შეეგუა ამ წუთისოფლის გაუტანლობას, სევდა კიდევ უფრო მოეძალა, მცირე ნაწილი ბიჭებისა – კიდევ იბრძვის, ფახურობს, კომბინაციებს აწყობს ფულის საშოვნელად... რამდენიმე დისერტაცია დაიცვა, ზოგმა იმდენი იქვემძრომა, რაღაც თანამდებობებს მიადწია... დიდი კაცი გახდა და ამხანაგებს ვეღარ ცნობს, ესამუშება ძველ მეგობართა წრეში ტრიალი. ერთი-ორი სულ წყალწაღებულია, სვამს უბედურად, ცოლ-შვილი მიატოვა, უფრო სწორედ, ისინი გაექცნენ... წავიდეთ, აგერ “გემოში” შევიდეთო, უარი ვუთხარი: კბილი მაწუხებს-მეთქი, ლაპარაკიც კი მეძნელებოდა, თან ფორმაში უნდა ვიყო. ვუთხარი, სპექტაკლი როცა მექნება, დაგირეკავთ, დაგპატივებთ-მეთქი; დიდი მადლობა, აუცილებლად მოვალთო... მე კი დაფურეკავ, მაგრამ ვიცი, არცერთი სპექტაკლზე მომსვლელი არ არის...

* * *

მოულოდნელად თბილისში ჩამოვიდა ბეკერების ოჯახი: ნათელა და მისი სამი ვაჟი; სამწუხაროდ, კოტე ბეკერი ვერ მოესწრო სამშობლოში დაბრუნების სინარულს – გადასახლებაში, ყაზახეთში, გარდაცვლილიყო...

კარგა ხანს მათ ბინაში ვიღაც რუსი სამხედრო და მისი ოჯახი ცხოვრობდა; კაცი სულ მივლინებებში იყო, თვეში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა; ოჯახი მეზობლებს არც გაცნობია, არც სალამს ეუბნებოდა, ისე წავიდნენ და ბეკერები ძველ ფუძეს დაუბრუნდნენ.

ერთხელ, შემოდგომის თბილ საღამოს, კაცებმა ბეკერების დაბრუნების აღსანიშნავად მე ეზოში ჩამიტანეს და ბებერი თუთის ქვეშ სახელდახელო სუფრა გაშალეს; სახლის თითქმის ყველა მამაკაცი შეიკრიბა; დადი დიდუანიძეც მიიპატიჟეს და მანამდე არ მოეშვნენ, სანამ არ მოიყვანეს და დასვეს მაგიდასთან – ფანოს ხათრი ვეღარ გაუტეხა.

– კაცო, დადი, დიდი მეცნიერი კი ხარ, მარა, ეს ერთხელ მაინც გვეცი პატივი, გვიკადრე და დაგვიმშვენე სუფრა! ნება შენია, თუ გინდა, სულ ნუ ამოიღებ ხმას, ან, თუ გინდა, გულს არ დაგწყვიტო, თამადად დაგნიშნავთ! – უთხრა ფანომ.

– თამადობა არ არის ჩემი საქმე! – დადი მიუჯდა მაგიდას და თავიდანვე დიდადაც გაამხიარულა ყველანი – ორი ჰალსტუხი ჰქონდა გაკეთებული ერთიმეორის ზევიდან...

– დადი ჩემო, – ისევე მიმართა ფანომ დადის. – ჰალსტუხი ამ სუფრაზე მხოლოდ შენ გამშვენებს, თანაც – ორი! მართალია, ერთიმეორეზე ლამაზი, მაგრამ ცოტა ზედმეტი ხომ არ მოგივიდა? მოდი, ერთი მე მიბოძე, დროებით მაინც, მომიხდება, როგორც ამ სუფრის სტაჟიან თამადას, ხომ იცი! ან პანტიკოს მიეცი, სიამოვნებით დაფუთობ თამადობას.

დადომ, რასაკვირველია, მაშინვე შეიხსნა ერთი ჰალსტუხი და საკუთარი ხელით გაუკეთა პანტიკოს, პანტიკომ მადლობა მოახსენა და შემდეგ გააგრძელა:

– როგორც ამ სუფრაზე მყოფთაგან უხუცესმა კი არა, – აგერ ჩვენი საყვარელი ბოცო ბატონი ჩემზე ბევრად ხნიერია, – ხომ არ ხართ წინააღმდეგი, ჩვენი ეზოს ზომიერად მსმელთა საზოგადოების მორიგი სხდომა გახსნილად გამოვაცხადო? განსახილველი გვაქვს რამდენიმე საჭირობოროტო საკითხი. პირველი, ყველასთვის სასინარულო: დადის ჩვენი საზოგადოების სრულყოფილებიან წევრად მიღება უკვე მომხდარი ფაქტია და გულით გულოცრავ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. აბა, ჩემო დადი, ამ სასვე ჭიქას მოკიდე შენი მეცნიერული შრომების წერას მიჩვეული ხელი, რის გეშინია, თოფი კი არ არის, გაგარდეს... მეორე საკითხი, ასევე ფრიად აქტუალური, გახლავთ ჩვენი ეზოს ზოგიერთი, ჯერაც ჩვენს საზოგადოებაში გაუწევრიანებელი ამხანაგისა თუ მეგობრის მოზიდვა... რამდენიმეს ჩამოვთვლი: ოქრო გუგუნაშვილი მართლა ოქრო კაცი გახლავს, დროდადრო კი დაგვაფასებს ხოლმე და თავისი ხელოვნებით დაგვატკბობს კიდევ, მაგრამ, მოგესხენებათ, სამწუხაროდ, ხშირად ავადმყოფობს... სამაგიეროდ, მისი ვაჟი, ალფრედი არის ჩვენს გვერდით, სიმღერა თუ გეხერხება, ჩემო ალფრედ? დანაჩენებს მხოლოდ ბლავილი შეგვიძლია, სიმღერასთან უკაცრავად გახლავართ; საკვირველია, ამდენი უხმო ქართველი ერთად რამ შეგვეყარა? ბარძიმ ჭყავაძე დიდი კაცია, დიდადაც არის დაკავებული: რკინიგზამ, მოგესხენებათ, შესვენება და დასვენება რა არის, არ იცის და ბატონი ბარძიმიც ჩვენ კი არა, ზოგჯერ მის ცოლ-შვილსაც ენატრება... მაგრამ თვეში ერთხელ მაინც რომ გვიკადროს და ჩვენი სუფრა გააღამაზოს მისი ბრწყინვალეობით, ჩვენ ყველას გაგვიხარდება. რა იცი, იქნებ სიმღერაც ეხერხება, თუ გვიკადრებს. ამდენი წელია, მეზობლები ვართ და კაცს წესიერად არც ვიცნობ, კარგია ეს? იგივე მინდა ვთქვა ქვაბულა ზანდუკელაშვილის მიმართ: არ ვიცი, რა დაფუშავეთ, არ გვეყარება, გადმოგვხედოს მოწყალე თვალით და მანაც დაგვიმშვენოს გვერდი! გაგვეცნოს, გაგვიცნოს – აქ, მე მგონი, კაცობაზე არ ვაჭაჭანებთ ჩვენს რიგებში და თვითონ შეუძლია დარწმუნდეს: გარდა გემრიელი დროსტარებისა, არავითარი საშიშროება არ ემუქრება...

– ოჰ, მაგი მძიმე შემთხვევაა, პანტიკო ბატონო, არაფერი გამოგვივა! – თქვა ბოცო ბიჭინაურმა და თეთრ გაფანჩულ უღვაშებზე ხელი გადაისვა. – კაცი ამ ეზოში დაგებრდი, ამდენი წელიწადია, ვითომ ვიცნობ და არც ვიცნობ... ვინმე სხვა მეზობელთან დალაპარაკებულიც კი არ

დამინახავს, მაგასთან სუფრაზე ერთად დაჯდომა ხომ სიზმარშიც ვერ წარმომიდგენია. ეგ კაცი თუ გუფურა, არ ვიცი...

– ჩვენ ჩვენი კიდევ ერთხელ ვეცადოთ... – თქვა ფანომ და განაგრძო: – ევდემონ კანტიკუნტაძეს, მართლაც სანაქებო კაცს, ყველანი დიდ პატივს ვცემთ; გასაგებია, რომ ოჯახში ორი უნუჭიერესი და უმშვენიერესი ქალიშვილი ჰყავს, ორივე მძიმე ავადმყოფი, მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა, ხანდახან, მძიმე გარემოების მიუხედავად, მაინც უნდა გაერიო საზოგადოებაში, სულ ჩხვირჩამოშვებული ხომ ვერ ივლი, ცოცხლად არ უნდა დაიმარხო თავი. მოვიწვიოთ, იქნებ ცოტა გახალისდეს.

– მაგას მე ვიკისრებ, ევდემონი ჩემი კარის მეზობელია და დავიყოლიებ, – თქვა ბებურმა. – ან ჯობს, ჩემმა ბიჭმა, ბარათამ ითავოს ეგ საქმე – ბარათა და ევდემონის ქალიშვილი, ლამარა, ერთ კლასში სწავლობდნენ. კარგი გოგოა ლამარა, ყოველმხრივ კარგი.

– აგაშენა ღმერთმა! – წამოიძახა პანტიკომ და განაგრძო: – თუმცა, აღარაა საჭირო ამდენი იწილო-ბიწილო, აგერ ჩვენი ევდემონიც გამოჩნდა! მობრძანდი, ევდემონ, ძალიან გაგვახარე! ჩაიწვიოთ, ჩემს გვერდზე უნდა დავსვა!..

დაჯდომამდე ევდემონმა სათითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა, განსაკუთრებით თბილად – ძმებ ბეკერებს და მოიკითხა კოტე ბეკერის ამბავი...

– ალფეზ ალიმჩიტაძეს ვინ მიეუგზავნოთ? – განაგრძო სუფრის გარეთ დარჩენილი მეზობლების მოწვევის მოგვარება პანტიკომ.

– გადაირიე? – გაიცინა ბოცომ, – არ გინდა ეგ საქმე, არ იცი მაგის ხასიათი? თამადაობას მონდრომებს და ჩაგვამწარებს დროსტარებას!

– მე დიდი სიამოვნებით დაგუთმობ თამადაობას ნებისმიერს, ალფეზის ჩათვლით, ოღონდ სუფრაზე სიამტკბილობა და მხიარულება სუფევდეს! – წამოიძახა პანტიკომ. – რაიკომის მდივანი კი არ ვარ ან, მით უმეტეს, უფრო მაღალი პარტიული სკამის მფლობელი, მისი დაკარგვის მეშინოდეს!

– შენ, პანტიკო, მილიციაში ვინ მიგიღო? დასაჭერი ხარ ნაღდად ასეთი ანტისაბჭოთა სიტყვებისთვის! – ეუბნება ბოცო. – იყოს, კი ბატონო, ალფეზი მარტო სუფრის წევრი კი არა, გინდაც თამადა, მაგრამ რა გაუძლებს მისი საბრძოლო გმირობების გაუთავებელ მოყოლას. მგონია, მისი ძაღლებიც ვეღარ იტანენ მის ტრაბახს!

– ჰო, რთული საკითხია, – დაეთანხმა პანტიკო. – ალფეზ ალიმჩიტაძე მაგარი ჩიტია, მაგრამ იცით, რას გეტყვით, მეგობრებო? ამდენი წელიწადია, მილიციაში ვმსახურობ და სერჟანტზე მეტი ჩინი ვერ დავიმსახურე, ჰოდა, იმასაც ავიტან, თუ ალფეზმა თამადაობა წამართვა! ოღონდ დაგვაფასოს და გვერდი დაგვიმშვენოს!.. ჩვენი ფანო მიეუგზავნოთ და, დარწმუნებული ვარ, უარს ვერ ეტყვის – ფრონტზე კი არ მიგვყავს, ჭიქების მიჭახუნების, იმედია, არ შეეშინდება!

ფანო მაშინვე ყმაწვილივით წამოხტა და ალფეზის მოსაყვანად გასწია, პანტიკომ კი განაგრძო:

– გვეყო ამდენი ფილოსოფოსობა, ყელი გამიშრა ლაპარაკით, ავწიოთ ჭიქა და პირველი სადღეგრძელოთი ჩვენი თავშეყრა დავლოცოთ!

მეორე სადღეგრძელო: ბეკერების ოჯახს სამშობლოში დაბრუნება მივულოცოთ!

მესამე სადღეგრძელო: კოტე ბეკერის მოსაგონარი... ოქრო კაცი, ყოველმხრივ მისაბაძი მამულიშვილი! ნეტა ვის გაახსენდა მისი გერმანელობა? რა ტყუილად დაღუპეს ალაღმართალი, დასაფასებელი კაცი, დიდად ნიჭიერი, ნაღდი მამულიშვილი. ქვეყანას კიდევ დიდ სამსახურს გაუწევდა...

კაკო ბეკერიშვილი ჰყვება იქაურ ამბებს, როგორი ტანჯვა-წვალება გადაიტანეს ყაზახეთში...

ამ დროს ფანოც დაბრუნდა –

ალფეზის თანხლებით, რომელიც გვერდზე მოისვა.

– ბატონო თამადა, ჩემო პანტიკო, მე მგონი, არ გეწყინება, თუ ერთ სადღეგრძელოს წაგართმევ... – წამოდგა ფანო სავსე ჭიქით ხელში. – ნება მიბოძე, ჩვენს სუფრას ახლახან შემატებული წევრის, ალფეზის, თამადაობით, ყველა იმ ცხარე ბრძოლებში მონაწილე ჩვენი ბიჭების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ; ცოცხლად ვინც დაბრუნდნენ, ჩემი ჩათვლით, დღეგრძელობა და ყოველივე სიკეთე ვუსურვოთ, დიდი წარმატება ცხოვრების ასპარეზზე, სადაც კი ისინი მოღვაწეობენ, მშვიდობა და კეთილდღეობა ოჯახში, ჯანმრთელობა და ტანმრთელობა... ვიდღეგრძელოთ, ძმებო!

ფანომ თანამეინახეებს კიდევ ერთი სადღეგრძელო შესთავაზა:

– მეგობრებო, პანტიკოს დიდი მაღლობა, რომ მე ისევ მომცა საშუალება, კიდევ ერთი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ... სანამ ცოცხლები ვიქნებით, ყოველთვის კეთილად მოვიგონოთ ის ბიჭები, ვინც ამ დღეს ვერ მოესწრნენ და ახლა ამ სუფრაზე ვერ სხედან ჩვენს გვერდით! უკვე რამდენი წელი გავიდა და მაინც მათი დედეები, ვინც ცოცხლები არიან, მათი ცოლები, და-ძმები ისევ იმ იმედით ცოცხლობენ, რომ ისინი ცოცხლები გადარჩნენ და სადღაც არიან, ჩვენ გვიგონებენ და ჩვენი სამშობლოს სიყვარულით და მონატრებით ათენ-ღამებენ... როცა კი სუფრაზე ვიქნებით, ყოველთვის წაგუქცევთ თითო ჭიქას... იმ ვაჟკაცების მოსაგონარი დაგლიოთ, რომლებსაც არ ეწერათ შინ დაბრუნება, მაგრამ რომლებიც ჩვენთვის ისეთივე ლამაზები, კეთილები,

გულლომები იქნებიან, როგორებიც გვასოვან – ისინი ჩვენს სულებში მარად ცოცხლები დარჩებიან... მათი საუკუნო ხსოვნა იყოს!

დადი დიდუანიძემ გაამხიარულა თანამეინახენი, როცა რამდენიმე ჭიქის დაღვეის შემდეგ ჩასთვლიდა, შემდეგ კი დააჭყიტა თვალები და წინადადება წამოაყენა:

– მეგობრებო, გვეყო ამდენი კონიაკ-ღვინო, მოდი, ჩაი დაგლიოთ!

– რას ამბობ, კაცო! – სიცილით არ დაეთანხმა პანტიკო. – ცხელი წყალი, ხომ იცი, ორთქმაავალს როგორ არბენინებს და ჩვენ რას გვიზამს! იქნება მთვარეზეც გაგვაფრინოს, თუ არ გჯერა, აგერ ბარძიმს ვკითხოთ!.. თუმცა სადაა ბარძიმი, დიდი საქმეები ჩვენთან ურთიერთობის საქმეს უფუჭებს, რა გქნათ! ჰო, ჩვენს შეხმატკბილებულ კოლექტივს დიდი წარმატებები აქვს ეხოს მამაკაცთა დარზმვა-შეკავშირების საქმეში და რეგულარულად, კვირაში სულ ცოტა ერთხელ მიანიც, ჩვენი მეგობრული შეხვედრები ეწყობა. აბა, ჩემო დადი, ჩვენ თამადას უკვე დიდი ხნია, აღარ ვირჩევთ, მე და ფანოს კონკურენტი ჯერჯერობით არ გამგეგნია, მორიგეობით ვენაცვლებით ერთმანეთს... იქნებ შენ მთინდომო და დიდი სიამოვნებით დაგითმობ ამ საპატიო მოვალეობას... მაგრამ დღეს ისევ ჩემს პოსტზე ვრჩები, ჯერჯერობით, სანამ შეეჩვეოდე, მერე კი ვნახოთ... სანამ ბორჯომ-ლიმონათზე გადავიდოდეთ, ეგ ჭიქა ასწიე და შენთან გადავიდვარ ალავერდს – ამ ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს!..

ერთი საათის შემდეგ კი ჭუკივით დამთვრალი დადი უკვე თავისი ახალგაზრდობის დროინდელ პიკანტურ ამბებს ჰყვებოდა.

– მოსკოვში ასპირანტად რომ ვიყავი, საერთო საცხოვრებელში ოთახში ვცხოვრობდი ერთ აზერბაიჯანელთან, აბდულასთან ერთად. კარგი ბიჭი იყო, ძალიან დამეგობრდით, თითქმის სულ ერთად ვიყავით, სამეცნიერო ხელმძღვანელიც ერთი გვყავდა. ერთხელ დავპატიჟეთ მეგობარი გოგოები და ჩვენს ოთახში ვართ, ვერთობით. აბდულამ იცოდა, რომ მისი რუსი საცოლე დედამისთან უნდა წასულიყო, სადაც ტულის ოლქში. ჰოდა, რომ ვართ ერთ ამბავში, გაიღო კარი და შემოვიდა... მისი საცოლე ნატაშა! მე კინაღამ ცუდად გავხდი, შებერტყილ აბდულას კი წარბიც არ შეუხრია: “დაბრძანდი, ძვირფასო, ხომ ყველაფერი კარგადაა? – მერე გააცნო გოგოები: – ეს ლიუდაა, ეს – მარიშა, ორივენი მბეჭდავ-მემანქანეები არიან, ერთი დადის უბეჭდავს დისერტაციას, მეორე – მეო”. ამ გოგოებს ეწყინათ, რომ ჩამოაქვეითეს, სინამდვილეში სტუდენტები იყვნენ და აბდულამ ვერაფერი უკეთესი ვერ მოიფიქრა, რაღაცით ხომ უნდა გაემართლებინა მათი ჩვენთან ყოფნა... ნატაშა წამოხტა და კინაღამ ხელი გაართყა აბდულას, აწი შენისთანა მიამუნთან საქმეს არ დავიჭერო, მარიშამ კი, მგონი, რაღაც ესროლა კიდევ; გაგარდნენ გარეთ და გაიჯახუნეს კარი... გასკდა საქმე!..

– შენ ძველი ქალთა მუსუსი ყოფილხარ, მერე, როგორ დამთავრდა ის ამბავი?

– კარგად, კარგად, ერთი კვირის შემდეგ ნატაშა შეურიგდა აბდულას. შემდეგში უფრო ფრთხილად ვიყავით და თუ გოგოებს მივიყვანდით, სხვა ოთახში ჩუმად შევიძურწებოდით...

ევდემონიც გამხიარულდა, ერთ ამბავს მოჰყვა:

– ჩვენთან ერთი ქირურგი მუშაობდა – ელიაზარ ბამბახჩიანი; მაგარი ვინმე იყო, გვარად უფრო რკინიაშვილი ან ფოლადაშვილი მოუხდებოდა. მამაძაღლობდა, მერე ერთი პაციენტიც შემოაკვდა; დაიჭირეს და ციმბირში აყურყურტეს კარგა ხანს, ერთ-ერთ ბანაკში, რომელიც ოქროს მოპოვებას აწარმოებდა. არც იქ დაიბნა: ადგილობრივ საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა ექიმად. იქ ხალხი ბუზივით იხოცებოდა, ჰოდა, ეს ჩვენი ელიაზარი გვამების გაკვეთის შემდეგ ტოვებდა შიგ ბოთლებს ოქროს ქვიშით. უმკაცრესი კონტროლი იყო დაწესებული და მხოლოდ ამ ხერხით იყო შესაძლებელი ოქროს გატანა ბანაკის ტერიტორიიდან. ელიაზარმა მოხიდა სასჯელი და დაბრუნდა თბილისში. აქ იპოვა ძველი მშაკაცები და შეადგინა “სააქციო საზოგადოება” ციმბირში ჩამარხული სიმდიდრის ექსპლოატაციისთვის. მთელი ექსპედიცია გაემგზავრა. მეც კი შემომთავაზა, სამგზავრო ხარჯების წილში შემოდი და წამოდიო...

– მერე, შე კაცო, წაყოლოდი, ახლა კაცი იქნებოდი! გოგოებს საზღვარგარეთ წაიყვანდი სამკურნალოდ! – ჩაერთო ჯადო და დანანებით გააქნია თავი (ამ სუფრიდან ერთ კვირაში მოხდა ის ამბავი, ჯადომ სადგურის მოედანზე რომ მგზავრს ბარგი მოსტაცა და გაიქცა, მეორე თუ მე სამე დღეს კი ჩვენს ჯადოს მიაკვლიეს და დააპატიმრეს).

– ჩამოსვლა ვინ აცალა, ყველა ადგილზევე დაიჭირეს! – გაიცინა ევდემონმა და მის სახეზე ღიმილი ბევრმა მისმა მეზობელმა პირველად იხილა. – ელიაზარს ამჯერად ისეთ ბანაკში მოუწია სასჯელის მოხდა, სადაც ხე-ტყეს ამზადებდნენ, ჯილდოდ ვადაც ორჯერ მეტი გამოუწერეს. სკალპელის მაგივრად ხელში ნაჯახი და ხერხი ეჭირა...

შეთვრა ბატონი ალფეზ ალიმჩიძემ. თავის სათუთად მოვლილი დიდი, “ბუდიონის” უღვაშები კიდევ უფრო გაფანჩვია და სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია! სუფრა ცოტათი აირია და ალფეზს მიეცა საშუალება, მსმენელთათვის გაეზიარებინა თავისი სადევგმირო ამბები; ყველანი მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებოდნენ და დიდი სიამოვნებით უსმენდნენ:

– ...კაცო, ვწევარ ტალახში, გერმანელები ხუთ ნაბიჯზეა – თვალები მაქ დახუჭული, ტყვია წვიმასავით მოდის! პანტიკო ბატონო, შენ აქ კი თამადაობ, ადვილია, მარა იქ გოუძლებდი? ჩეიფ-სამილი!.. აბა!.. ავწიე თავი, გვეიხედე – რაცხა “ბაკლაშკა” ეგდო, ბწყინავს მთვარის შუქზე... წვევდი, წაფვორთხდი, იქნება წყალი ან არაყია შით-მეთქი, მოვიკიდე ხელი და რომ იბუთქა!.. ამწია,

ამწია და გადამკიდა ეკალ-ბარდზე!.. გონზე რომ მოვედი, გათენებულა, რუსის სანიტარი გოგო გამოჩნდა და მეუბნება: “დიადია, ნე ბოისა!”, ნუ გეშინიაო!

– შენ თვითონ შეაშინებდი შენი უღვაშებით! – იცინის ფანო.

– წამიყვანეს საოპერაციოში, დიდი საველე კარავია გაშლილი. ზოგი წივის, ზოგი კივის... მე ჩემი სადარდებელი მაქ, განგრენა არ დამემართოს ან სისხელი არ მომეწამლოს. დამაწივინეს, ფეხი გადამიხვიეს და მაქ გაშვერილი ზარბაზანივით!

– რომელ სიზმარში ნახე, ალფეხ ჩემო, ეგ ამბები? – დაუფარავად დასცინის ბებურ გაბმულაშვილი. – შენ არტილერიისტი იყავი და ეგ ზარბაზანიც იმიტომ მოგეკლანდა!

* * *

ალფრედ გუგუნაშვილის ცოლი, ტოროლა, თავიდან გატრუნული იყო, მერე კი, როცა შვილი გააჩინა, გამოაჩინა ბრჭყალები! მარად ჩხვირჩამოშვებული იყო და მცირე საბაბიც საკმარისი ხდებოდა უკმაყოფილო ბურტყუნისთვის, მერე კი ხმამაღალი შელაპარაკებისთვის, განსაკუთრებით – დედამთილთან, მძივასთან. მამამთილმა, ოქრომ, ვერ გაუძლო ოჯახში მუდმივ აყალმყალს და სული განუტევა... აუჰ, ახლა კი დაფაცურდნენ ოპერაშიც, კულტურის სამინისტროშიც – ეს რა დიდი დანაკლისი განვიცადეთ, მასეთი ტკბილი ხმის პატრონი სანთლით საძებარია, სათანადოდ ვერ დაგაფასეთო... პანაშიდზე მოსული გამოპრანჭული “მადალი საზოგადოების” წარმომადგენლები განცვიფრებულნი დარჩნენ – საწყალი, თურმე რა საშინელ სიდატაკეში ცხოვრობდაო... მოლას ფლავი საფლავზე დააყარეს – მომღერალი დიდი პატივით დიდუბის პანთეონში დაკრძალეს...

ტოროლამ, აიჩემა, ცალკე მინდა ცხოვრებაო, დაიქირავეს ერთთახიანი ბინა და იქ გადავიდნენ; დარჩა მძივა მარტო; მალე დიდუბასთან მივიდა საცხოვრებლად ვიოლეტას უფროსი შვილი – უკვე 10 წლის თვალმერცხალა ბიჭი – I o m na...

კარი X. იწყება ბრეჟნევის განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის ეპოქა, ვაშა! (1964 წლიდან)

აჰა, დადგა ის ერთი მშვენიერი დღეც, როცა სხვათა ამოყირავებაში დიდად დახელოვნებული პატივცემული ნიკიტა სერგეევიჩი თვით კოხტად, უხმაუროდ ამოაყირავეს... დაიწყო ახალი ხონთქარის ლენინდ ილიჩის ზეობის ხანა.

ჩვენს სახლის მაცხოვრებელთათვის სულერთია, ვინც იჯდება “სულ ზევით”, მათ ყოველდღიურ ცხოვრებას უკეთესობა არ ეტყობა და გულს ხუმრობით იოხებენ:

– პენსიაზე გასული ნიკიტუშკა ალბათ ნერვიულობით სულ სიმინდს ჭამს, ვაგონებით ამარაგებენ...

– ილიჩმა ბრძანა: “ნიკიტუშკამ ბევრი გააკეთა სიმინდის კულტურის განვითარება-აყვავებისთვის ჩვენთან და არ მოაკლოთ ეგ წყალობა მაგას! მალე ღრუტუნსაც დაიწყებს!”.

* * *

როგორც მე ჩემს ირგვლივ მოსაუბრეთაგან მესმის, მაღალ სფეროებში გადატრიალება-გადმოტიალება მათ დიდად არ ანაღვლებთ, უფრო ყოველდღიურ “წვრილმან” საზრუნავს უთმობენ ყურადღებას.

ფანოს ბიჭი, შიო, მამას ეხვეწება, მიყიდე ველოსიპედიო – “სალიუტ”; მხოლოდ ერთ მის ძმა-კაცს აქვს, ხან მოვა მისი რიგი, ხანაც ტყუილად უცდის, თანაც მოსწყინდა თხოვნა-ლიჯინი – დამსვიო!

ფანო ორ ადგილას მუშაობს, მაგრამ შვილის თხოვნის შესრულება მაინც უჭირს; სულ ჰპირდება, აი, მოვაგროვებ სამაგისო ფულს და აუცილებლად გიყიდისო! თანაც ველოსიპედები მაღაზიებში იშვიათად თუ გამოჩნდება, მაშინვე დაიტაცებენ ხოლმე. ბოლოს, გადაწყვიტა, ეყიდა ფეხბურთის ლატარის ბილეთი...

და მოიგო ტელევიზორი! 300-მანეთიანი!

აი, სიხარული! საფეხბურთო მაჩიდან მაღაზიაში გაიარა და შინ ტელევიზორით დაბრუნდა!

ო, ტელევიზორი იშვიათი ხილია, კარგა ხანს მთელს ეზოში მხოლოდ ორ ოჯახს ჰქონდა – ბუხუტი კაიჩიტაძესა და კაკული შაბათაშვილს. თითქმის ყოველ საღამოს ახალი ხილის დასაგემოვნებლად – სატელევიზიო გადაცემების სანახავად – შაბათაშვილების ოჯახში იკრიბებოდა მთელი მეზობლობა. ფაცია კაიჩიტაძესთან მისვლას ერიდებოდნენ – უყვარს იმ მეზობლების გაუთავებელი ძაგება, რომლებიც იმ დროს მასთან სტუმრად არ არიან.

ახლა უკვე სადამოქმედებელი მეზობლები ნარცეცხვადკლებთანაც შემოდინ ტელევიზორის საყურებლად, სასაუბროდ, თუმცა არც ადრე აკლდა ამ ოჯახს ნარდისა თუ ჭადრაკის თამაშის მსურველი კაცები და ბანქოს ან ლოტოს თამაშის მსურველი ქალები.

ფანოს მისი ცოლი გულნაზი საყვედურობს:

– კაცო, რა ტელევიზორობა ატიტყდა? ათასი რამ გვაკლია, თანაც ჩემს ოჯახს კიდევ მეზობლების შემოსევა და რია-რია აკლია?

– ცოლო, რა ქალი ხარ, უგემური! ერთხელ დაჯდა ჩემი კოჭი ალჩუხე და ისიც გინდა, წამამწარო?

ფანომ კი ჩუმად აუწყა მეგობრებს, რომლებიც ამ გამარჯვების აღსანიშნავ ლხინზე მიიწვია, რომ მომგებიანი ლატარიის ბილეთი 100 მანეთად იყიდა სტადიონზე.

მეგობრების პურ-მარილის ხარჯი კიდევ სხვა იყო – 300 მანეთი დაუჯდა!

ფანო, როგორც კი რაიმე შეეფერხებოდა გადაცემაში, ფიცხობს:

– ჩვენი ტელევიზორი არაფრად ვარგა, მხოლოდ ნერვებს მიშლის... ვინც კი მოვიდა, ყველამ მორჯულება მოუნდომა და ჩხიკინი დაუწყო, ივარგებს რამედ? კახპაა და არა ტელევიზორი!

* * *

პატარებსაც ზოგჯერ მოსდით უსიამოვნება ურთიერთ შორის.

საბავშვო ბაღში ეკამ სთხოვა ნანუჩას, სათამაშო ჩაიდან მათხოვეო, იმან არ მისცა. ეკამ მეორედ სთხოვა, მესამედ, მერე კი, საწადელს სხვანაირად მიადწია – მოჰპარა და საკუთარ ჩანთაში ჩადო. ბავშვები მიხვდნენ, ვინც ჩაიღინა ქურდობა, ძალიან განიცდიდნენ და უთხრეს ეს ამბავი მასწავლებელს, რომელმაც ეკას სთხოვა, დაუბრუნე ნანუჩას ჩაიდანით. ბავშვები ყოველდღე კითხულობდნენ, დღესაც არ მოუტანიაო? საერთოდ, ბავშვები ძალიან განიცდიან სათამაშოს დაკარგვას, სათამაშოსადმი თავისებური სიყვარული აქვთ. ზოგს, სათამაშოს რომ აჩუქებენ, მთელი კვირა ძიღის წინ ბაღის კეშში ინახავს, დამეც კი ვერ იცილებს. მერე ეკას მშობელმა დარეკა სკოლაში, მასწავლებელს საყვედური უთხრა: “რა გახდა 65-კაპიკიანი ჩაიდან, ვინ დაემუქრა ჩემს შვილსო”; მასწავლებელმა: “მე დაემუქრეო, რადგან აქამდე არ მოუტანია, ამბობს, დივანის კეშში შემოგორდაო”. მშობელი გაბრაზდა: “როგორ გგონიათ, მე ბინას არ ვგვი?”. მასწავლებელიც გაბრაზდა, რადგან შეატყო, რომ მშობელი მას ბავშვის თანდასწრებით ელაპარაკებოდა – ტელეფონში ისმოდა ეკას ხმა და დაუკიდა ყურმილი.

ნინო მასწავლებელი ამბობს: “გაზაფხულდა და ბავშვები აფეთქებულნი არიან, ხან რას მოიმოქმედებენ, ხან – რას. საჭმელების ხარისხი გაუმჯობესდა; როცა სასადილოში შევალ, დამინახვენ – არიქა, მოდისო – და ეცემიან საჭმელს, რომ არ დაგტუქსო”. გულნაზიმ უთხრა: “ჩემმა ბიჭმა დაიხივლა: ისეთი დანჯღრეული დეიდა გვირიგებს საჭმელს, რომ ვეღარ ვჭამო”. ნინო მასწავლებელს გაეცინა: “ვენერას მე ვერ გავაღამაზებ და კვების საქმე კი ბევრად უკეთაა, რადგან მომარაგება გაუმჯობესდა. ზოგი ბავშვი რომ ჩივის, კოვზები ჭუჭყიანიაო, არ არის ასე. კოვზები ისეთი ხორკლიანი მასალისგანაა გაკეთებული, ბავშვს ჰგონია, ჭუჭყიანიაო”.

* * *

ფანო და გულნაზი დაჯდებიან მაგიდასთან, ფოტოალბომს ათვალიერებენ...

ბევრ რასმე ახსენებენ მათ ძველი ფოტოები!

– აი, შეხედე... – ოხრავს გულნაზი. – აქ მეთე კლასში ვარ, შეხედე, როგორც მთვარე, ისე ვანათებ ჩემს მეგობრებს შორის! ეჰ, რა ლამაზი ვიყავი, თავყვანისმცემლები ისე მეხვეოდნენ, როგორც ბუზი თაფლს!

– მერე, შე ქალო, რადა ათი წლით უფროს ვიდაც უცნობ გეოლოგს გაჰყვი ცოლად! – პასუხობს ფანო. – არ ჯობდა, შენი თავყვანისმცემლებიდან ამოგერჩია ვინმე? რაც თავი მახსოვს, კვირაში ორ-სამჯერ მაინც მოყვები, რამდენჯერ გიპირებდნენ მოტაცებას. რომ დავთვალე, მართლაც დიდი არჩევანი გქონდა: სამი პარიკმახერი გეტრფოდა, ხუთი თუ ექვსი – შოფერი, ორი – მილიციონერი, ორი – ხაბაზი და კიდევ ათამდე სხვადასხვა პროფესიის ჯეელი. მოკლედ, მაგარი იაღლიში მოგივიდა – რა გეჩქარებოდა, მაშინვე დამთანხმდი, დიდად არ გაპრანჭულხარ!

* * *

მოულოდნელი სასიხარულო ამბავი: ბოცო ბიჭინაურისა და ბროლას თითქმის ოცდაათი წლის წინათ დაკარგული ვაჟი – შევარდენა გამოჩნდა! მერე მარტო კი არა, ცოლით, მარია კლარა სანტუშითა და ხუთი შვილით – ორიდან რვა წლამდე ასაკის სამი ბიჭითა და ორი ქალიშვილით...

მოხუცების სიხარული ძნელი ასაწერია, ბროლა კი ნიშადურით მოსაბრუნებელი გახდა – სასწრაფო დახმარებასაც კი გამოუძახეს.

შევარდენა ბიწკინაური თურმე უკრაინის ფრონტზე იბრძოდა, მისი ასეული ალყაში მოექცა და მიიმედ დაჭრილი შევარდენა ტყვედ ჩავარდა. შემდეგ მან მოიარა ტყვეთა ბანაკები – უნგრეთში, ავსტრიაში, ბოლოს – საფრანგეთში მოხვდა. როცა ომი დამთავრდა, ამერიკელების მიერ განთავისუფლებულმა შევარდენამ, კიდევ რამდენიმე მეგობართან ერთად, გადაწყვიტა, საფრანგეთში დარჩენილიყო, რადგან შეიტყო: თუკი სამშობლოში დაბრუნდებოდა, დასჯის საშიშროება ემუქრებოდა – ციმბირში ბანაკში გადასახლება. ბანაკები აკლდა კიდევ?.. თუმცა, საფრანგეთში ფეხი ვერ მოიკიდა და ნახევარი წლის შემდეგ ბრაზილიაში გაემგზავრა ბელის საძებნელად...

უკვე კარგა ხნის წინათ გამოტირებული შვილის მოულოდნელი გამოჩენის აღსანიშნავად, – თანაც რძალისა და ხუთი შვილიშვილის თანხლებით! – ბოცოსა და ბროლას მეზობლებმა დიდი ღხინი გადაუხადეს!

ეჰ, როგორ დამსგავსებია მამამისს ორმოცდაათ წელიწადს მიტანებული შევარდენა: სულ მთლად გამელოტებულია და გაჭაღარაგებულია, მოკლედ შეკრეჭილი უღვაშიც გასთეთრებია, მუქი თვალები კი მაინც ახალგაზრდული ცეცხლით უელავს...

შევარდენასა და მარია კლარას უფროსი ვაჟი და მისი მომდევნო გოგო სკოლაში შეიყვანეს, ორივე – პირველ კლასში. ბავშვებს თავდაპირველად ქართულად სწავლა უჭირდათ, მაგრამ მალე გაიწაფნენ ლაპარაკში და წერაშიც სხვებს არ ჩამორჩებოდნენ. შევარდენას შესაფერისი სამუშაო გამოუნახეს, ერთ წელიწადში კი, ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რეპატრიანტებს ოთხთახიანი ბინა გამოუყვეს ახალაშენებულ სახლში... კვირის ბოლოს მთელი შევარდენას ოჯახი პაპასა და დიდუდას სტუმრობდნენ და მთელი ეზოს ბავშვები მათთან იყრიდნენ თავს, და ბევრი უფროსიც – შევარდენას მოსაგონარი და მოსაყოლი არ ელყოლა...

* * *

მომდევნო წელს ბიწკინაურების მრავალრიცხოვან ოჯახს ახალი წევრი შეემატა – ბიჭი, რომელსაც პაპის სახელი დაარქვეს.

პატარა ბოცო ბიწკინურის ამქვეყნად მოვლენის აღსანიშნავად მე გამიტანეს შუაგულ ეზოში და გემრიელი ღხინიც გაიმართა. რასაკვირველია, თავიდანვე აღღვრძელეს ჩვილი, მისი მშობლები, დიდუდეები და პაპები – მარია კლარასა და შევარდენას მშობლები, შემდეგ კი სადღეგრძელოების წარმოთქმა თამადას – პანტიკო ორჯამაძეს – თითქმის გადაავიწყდა; ცხარე კამათის საგანი გახდა მთავარი და თითქმის ერთადერთი თემა: გიგუშა გავარდნაძე აირჩიეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად!

– ახლა, როცა გავარდნაძემ მაღალ საგარძელოში მოკალათებისთანავე ქვეყანაში წესრიგის დამყარება დაიწყო, ბევრს გაუკრთა ღამის ტბილი ძილი... მაგანი ყოველ წუთს გრძნობს, რომ ნაღმზე ზის... მოიპარა, გაფლანგა, მრავალჯერ ქრთამი აიღო – შეიძლება, კვალს მიაგონ... მომწონს, მომწონს, არ შეიძლება, ამდენი უმსგავსოება კვლავ გაგრძელდეს!

– დიახ, სასიხარულო ამბავია: მოხდა დიდი რევოლუცია! ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვლება უკეთესობისკენ...

– ეჭვი მეპარება: ხელისუფლების სათავეში ერთი კაცის შეცვლა, ან თუნდაც რამდენიმესი, რას უშეულის?

– რატომ რამდენიმესი? ბევრი ხალხი შეიცვალა, ძალიან ბევრი – განსაკუთრებით მექრთამეებს დაერია.

– ჰო, ჭორები დადის. იმდენ ვინმეზე მითხრეს, მოხსნეს ან დაიჭრეს, რომ მთავრობაში და ცეკაში კაცი აღარ დარჩა დაუმხობელი.

– საინტერესო ამბავი გავიგე, ნეტავ თუ შეესაბამება სინამდვილეს? კარგ ანეკდოტს ჰგავს... გავარდნაძეს დანიშვნისთანავე მთელი “უმაღლესი ფენა” შინ დაუპატიჟია, ქეიფი გაუმართავს, კარგად გავიცნოთ ერთმანეთით. სამი ოთახი ჰქონია ჩვეულებრივ სახლში, უბრალოდ მოწყობილი; ნივთს ვერ ნახავდი, რომ გეფიქრა: ნეტავი ასეთი მეც მქონდესო. ცოლი თვითონ დიასახლისობდა, გამოპრანჭული კი არ იყო, წინაფარი ჰქონდა აკრული, არც მოსამსახურეები ჰყოლია, არც ვინმე დამხმარე – თვითონ ტრიალებდა სამზარეულოში, მოჰქონდა კერძები. წვეულების დამთავრებისას გავარდნაძეს უთქვამს: “ასე გცხოვრობ მე, ახლა ვნახოთ, სხვები როგორ ცხოვრობენ... ვინ არის შემდეგი, ვინ გვიწვევს შინ?”. სტუმრები ენაგადაყლაპულებივით იყვნენ თურმე, არავის გამოუთქვამს სურვილი, თავის ზიზილ-პიპილებით მორთულ უზარმაზარ ბინებში მიეწვია “პირველი”...

– “დინამოს” ფეხბურთელებისთვის უთქვამს: “ნუ ინაზებით, წესიერად ითამაშეთ, თორემ სულ დაგშლი გუნდს და ისევ სარდაფებში მოგიწევთ ცხოვრებაო”, აბა!

– თეატრში სხდომას რომ დაესწრო, ხალხმა ტაში დასცხო, მას კი თურმე სახე დაედმიჭა და უკმაყოფილოდ იქნედა ხელს – არ არის საჭიროო.

– ჯერ მხოლოდ ერთი კვირა გავიდა და უკვე საკმაო მითოსი შეიქმნა ხალხში... ნეტა რა ქრთამი წაიღო მოსკოვში, რომ ამ თანამდებობაზე დაენიშნათ?

– რა ვიცი, ჯერ აღრვა რამის თქმა; მაგარი ბიჭობა ის არის, ბოლოში რომ დაგიკრავენ ტაშს!

– თანამდებობის პირი, ზოგადად, ხალხში იწვევს ნაირგვარ დამოკიდებულებას: ზოგის – პატივისცემას, ზოგის – შიშს, ზოგის – დაცინვას... მაგანი თანამდებობის პირის “სტატუსი” იცვლება გარემოებისა და მიხედვით: თანამდებობრივად მის “ზევით” მყოფს ელაქუცება, ფეხქვეშ ეგება, ცდილობს, ყოველმხრივ ასიაშოვნოს; სრულიად განსხვავებულად იქცევა მის ხელქვეითთა თუ საერთოდ მასზე “დაბლა” მყოფთა მიმართ – მედიდურია, ზვიადი, ამპარტავნობს, უაპელაციო მითითებებს იძლევა, ხშირად – არაკანონიერსაც და ამას ასე ამართლებს: “საქმისთვის ასეა საჭირო!”... არავითარი პატივისცემა ჩვეულებრივი ადამიანის ღირსებისადმი! ალბათ ამის მიზეზი, ძირითადად, საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობაა...

– ქუჩაშიც კი ყველა მილიციონერს ძრწოლით შეჰყურებს, ეჩვენება, რომ მეტისმეტად ბევრნი არიან წესრიგის დამცველნი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხედებიან... ტელევიზორშიც ყოველდღე აჩვენებენ: ეს დაიჭირეს, ის ჩააყუდეს; კინოფილმებსაც სულ დეტექტივებს აჩვენებენ, სადაც მსგავს ამბებს ასახავენ; გაზეთებში დაწვრილებით აშუქებენ მამაძაღლოებს, მათი გამოაშკარავების ხერხებს, აჩვენებენ სასამართლო პროცესების მსვლელობას... ხალხსაც თითქოს სხვა საზრუნავი დალეოდეს, ადამიანები მხოლოდ ამის შესახებ ლაპარაკობენ: ვის დაჭერას აპირებენ, ვინ უკვე დაიჭირეს, ვის რამდენი მიუსაჯეს...

– ბუხუტი კაიჩიტაძე რა გუნებაზეა? ჩვენს სუფრაზე მობრძანება არ იკადრა – დიდი კაცია: რომელიღაც ბაზაში მუშაობს, აშენდა კაცი! მაგასაც ხომ არ დაუფრთხა ტკბილი ძილი?

ფანო:

– ბუხუტი მაგარია, ნუ გეშინია, ყველა დროებას კოხტად მოერგება. ამას წინათ ეზოში შემხვდა, ხელში ეჭირა უცხოური ფეხსაცმლის ყუთი. ამოიღო წყვილი შავი, მბრწყინავი ფეხსაცმელი, მანახვა, შემახარბა. “მშვენიერია, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს!” – ვეუბნები. “არა, კაცო, ერეკლე ეთიოპელაძესთან მივდივარ, მისთვის მიმაქვს!”. თადარიგს იჭერს: ეთიოპელაძე უმადლესი საბჭოს თავმჯდომარეა და მის მფარველობას ესწრაფვის... მოგესხენებათ, სოფლიდან ჩამოსულ ხალხს ჩამოყვება ახალი სისხლი, ახალი ძალა – განახლება; მიმწოლები არიან და ზოგიერთი უკადრებელსაც იკადრებს... დამიწყო ბუხუტიმ ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი, იბრიქება: “ამას ვიცნობ, იმ ქურდს, იმის ძმაცაი ვარ, პროკურორის, რაიკომის მდივნის...”, აქეთ – მთავრობის ხალხი, იქით – ქურდები... ვითომ “ძველი ბიჭია”, გუშინ ჩამოვიდა სოფლიდან.

– კაკულიც მაგარი დამფრთხალია! სულ წუწუნებს, დაუსრულებლად იმეორებს: “დაგვიჭერენ, ჩამოგახრჩობენ! რაღა გვეშველება?”. არ მეგონა, თუ ასეთი მშიშარა იყო! პანიკაშია ჩავარდნილი, სულ ბორგავს, ფუთფუთებს, შფოთვით ატრიალებს თვალებს, გულგახეთქილი შლის ხელებს... მართლა შეგეცოდება!

– კარგი კაცო და! დაჭერა უშველის საქმეს? თანაც – შერჩევით! აღდგომა და ხვალეო – მაგ წესრიგის დამყარების” შედეგსაც მაღე ვიხილავთ: გიგუშა სხვებს რომ ჭანჭიკებს უჭერს, აგერ ნახავ, თუ თავის ხალხს არ გააღალღებს!

* * *

წინასწარმეტყველება ახდა: სულ რამდენიმე წელიწადში წინანდელზე ბევრად გაიფურჩქნა მექრთამეობაც და დანარჩენი სიმახინჯენიც...

სხვა ცხრე კამათებიც მასსოვს.

მსჯელობენ საერთაშორისო საკითხებზე – უკვე დიდი ხნით არსებულ ან ახლად წამოჭრილ პრობლემებზე და, ბოლოს, ისე გაცხარდებიან, რომ კინაღამ ხელჩართულ ჩხუბში გადაიზრდება მათი პაექრობა.

ჟურნალ-გაზეთები, რადიო-ტელევიზია მთელი ხმით გაჰყვირიან და მოწოდებები ყველას ყურებს უჭედავენ (და ლამის მეც კი – ხის მაგიდას – ტვინს მიბურღავენ):

“სოლიდარობა – თავისუფლება ანჯელა დევისის!”.

“შეწყდეს იმპერიალისტების მიერ გაჩაღებული ომი ვიეტნამში!”

“ჰო ში მინი ჩვენი მეგობარია!”

არადა, მოპაექრეთ ვინ რას ეკითხება, ან რას ცხარობენ ცხრა მთას იქით მომხდარ ამბებზე – საკუთარი საქმეები არეულ-დარეული აქვთ... საოცარია, ადამიანებმა ხშირად უკეთ იციან, თუ რა ხდება ათასობით კილომეტრით დაშორებულ ქვეყნებში, სხვა კონტინენტებზე, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში და საკუთარ ქალაქშიც კი...

ერთხელ კი, ფეხბურთის მაჩის შემდეგ, ჩემს ირგვლივ შეკრებილმა მეზობლებმა კინაღამ ცხვირ-პირს დააღწვეს ერთმანეთს – სულ დებილსა და უტვინოს უწოდებდნენ მოწინააღმდეგეს... იქნებ სამართლიანადაც – მოაზროვნე კაცი ფეხბურთის შესახებ განსხვავებული შეხედულების გამო მეზობელს მტრად გადაეკიდება? თუნდაც, მამა რომ შვილს, ან პირიქით, შვილი მამას საკუთარი მოსაზრების სიმართლის დასამტკიცებლად ლამის მუშტებით ეძგეროს – სასაცილოა ეს თუ უფრო – სატირალი? ხალხო, ფეხბურთი სახალისოდ მოგონილი თამაშია, გასართობია, მეტი

კი არაფერი; გაგონილა, მის გამო ერთმანეთს “ღებილი” უძახონ, გაიმართოს მიწვევ-მოწვევა, აყალმაყალი?

* * *

როცა პატარა ბოცო ბიჭინაური ორი წლისა გახდა და ქართულად და პორტუგალურად და-იწყო ტიკტიკი, ბევრისთვის სრულიად მოულოდნელად, შევარდენას რვასულიანი ოჯახი აიყარა და ბრაზილიაში დაბრუნდა... მარია კლარა გერაფრით შეეჩვია აქაურ ჰავას, უფრო მეტად კი – მისთვის სრულიად უცხო ცხოვრების ნირს და უცხო ხალხს... ცოლის სურვილისთვის, დაბრუნებულები ბრაზილიაში, შევარდენას წინააღმდეგობა არ გაუწევია – როგორც აღმოჩნდა, მისთვისაც აუტანელი გახდა საბჭოური ცხოვრების მოსაწყენი მონოტონური ყოველდღიურობა, და ისიც, რომ მისი ხელფასი, მრავალშვილიანი ოჯახისთვის განკუთვნილ დახმარებასთან ერთად, თვიდან თვემდე ბავშვებისთვის ტანსაცმლის საყიდლად და პურის ფულად ძლივს ჰყოფნიდა...

* * *

ფანომ მოახერხა კონტრაქტით საზღვარგარეთ, ალჟირში, სამუშაოდ წასვლა (ოდნავ მოგვიანებით მასთან გულნაზი ჩავიდა) – ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების პესპექტივების შემსწავლელ კომპანიაში. საოცარი იყო, როგორ დათეს ნება კაცს, რომლის მამაც უცხოელი იყო, საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო! ალბათ იმან უშველა, რომ ყველა საბუთში აღნიშნული ჰქონდა, ვითომ მისი მამა იყო ბაბოს მეორე მეუღლე, გვარი კი – ნარცეცხლაძე – განქორწინების გამო დედისა აქვს...

ფანო დიდი იმედით გაემგზავრა ალჟირში: ოჯახი ოდნავ ამოისუნთქავს ეკონომიურად, იქიდან დაბრუნებული კი ოცნებასაც შეისრულებს – მსუბუქი ავტომანქანის ყიდვას შეძლებს!

მეზობლები ირონიულად საუბრობენ ამის შესახებ (ფანო ენატრებათ და ხშირადაც ახსენებენ):

- ფანოს “ბაგაჟნიკი” და უკანა ”კრილოები” ექნება უკვე – სამი თვე გავიდა!
- ფანო უზალთუნებს აჩხრიალებს ჯიბეში!
- იმდენი დაუგროვდა, შარვალს ხდის!
- თუ ტვინი გაქვს თავში, საპარის უდაბნოში რა გინდა, კაცო, აგერ კაკულიმ ლუდხანა გახსნა და არის მეფურად – იქ წასულს გულის ჯიბეში ჩაისვამს! ახლა აპირებს საკონდიტროშიც წილი ჩადოს.
- რა დაუჯდა ლუდხანის გახსნა?
- ორი ათასი მანეთი!
- მაგდენი რომ ჰქონოდა, არც ფანო წავიდოდა საპარაში! საკონდიტროს გახსნა უფრო სარფიანია, რა დაჯდება?
- ხუთი-ექვსი ათასი მანეთი ან მეტიც – საკონდიტროს სიდიდეს და განთავსების ადგილს გააჩნია. კაკულის წილი აქვს სამკერვალო საამქროშიც, მაისურებსა და ნიფხვებს კერავენ; თვითონ უბრალო მუშად არის გაფორმებული. ადრე, როცა ჩავარდა, ციხიდან წყნეთში აგარაკი აიშენა, გესმის შენ? თან შემოითვალა: მუშებს ნუ აწყენინებთ, კარგად გადაუხადეთო! აი, მესმის, კაცია და ქუდი ჰხურავს!..

* * *

ნება მიბოძეთ, რამდენიმე წელი გამოგტოვო და წინ გადავხტე, როცა ფანო გულნაზისთან ერთად ჩამოვიდა ალჟირიდან თბილისს (ამ დროში დიდად ღირსშესანიშნავი ნარცეცხლაძეების ოჯახსა და ჩვენს სახლშიც ბევრი არაფერი მოხდა, გარდა იმისა, რომ დიდი ბებია, იტიტინე, გარდაიცვალა). სამი წელიწადი ძალიან გაიწვია – ფანოს კუთვნილი შეგებულებით ერთხელაც არ უსარგებლია: თბილისს ჩამოსვლა და უკან წასვლა ძვირი ჯდება და ბებიის დაკრძალვასაც ვერ დაესწრო.

უზომო სიხარულია – ყველანი ისევ ერთად არიან!

პირველ დღეს არა, დაასვენეს, და მეორე დღეს კი რასაკვირველია, ნარცეცხლაძეთა ოჯახში გაშლილია სუფრა. ფანოსთან ჯერ მეზობლები შეიკრიბნენ, მომდევნო დღეებში – ნათესავ-მოკეთეები, მეგობრები, სამსახურის თანამშრომლები...

თამადა, რა თქმა უნდა, ფანოა, ყველაზე მეტს ლაპარაკობს, როგორც წესი და რიგია, მაგრამ მას რატომღაც არავინ უსმენს – ტელევიზორია ჩართული, პროვინციული “პოლიტიკური მიმომხილველი” ეკრანიდან რიხიანად ქადაგებს: “დაავიწყდა მისტერ რეიგანს ძველი ქართული ანდაზა: “რაც მოგივა დავითათა...”

- ეგ არის თამადა თუ მე, ყველანი რომ მაგას მისჩერებიხართ? გამორთეთ ეგ ეშმაკის მოგონილი!.. – ბრძანებს ფანო და აგრძელებს: – ქალაქკომის საორგანიზაციო-მასობრივი განყოფილების გამგესთან ვიყავით მე და ჩემი ცოლი მიღებაზე. გამგესთან შედიან-გამოდიან მისი ხელქვეით-

თები – ყველანი შეფხე დაბალი ტანისანი, თვითონაც საკმაოდ დაბალია, ჩემზეც კი. გაცეპული ვარ, საიდან შეიყარნენ აქ მთელი ქალაქის დაბლები-მეთქი და გულნაზი მეუბნება: “რა გიკვირს, შე კაცო, კადრების შერჩევის საკითხი გამგის ხელშია და...”. უფრო ცუდი ისაა, რომ მანვინი ხელმძღვანელი ამხანაგი თავის გარშემო იკრებს მასზე გაცილებით ნაკლებნიჭიერ ხალხს – სიმაღლით იმდენად არა, რამდენადაც უნარით უფრო დაბალს. როგორც ჩანს, ასეთ ადამიანებს არა მარტო ჭკვიანი და ნიჭიერი ხელქვეითის კონკურენციის ეშინია, იგი ფსიქოლოგიურადაც უკეთ გრძნობს თავს უბადრუკად მოაზროვნეთა შორის...

სხვაგვარი სადღეგრძელოებიც გამოერევა; პანტიკო ორჯამაძემ განსხვავებული სასმისი მოითხოვა:

– ავანსად ვსვამ: ვინც ჩვენს სამხაკაცოში ბოლო დარჩება ამ წუთისოფელში, იმის სადღეგრძელო იყოს!

– ეჰ, წავიდნენ უდროოდ... ახლა ჯერჯერობით იმათ ჩამოეთვლით, ვინც უდროოდ გამოგვაკლდა. ნელ-ნელა მოდის დრო, როცა უფრო ადვილი იქნება ჩვენთვის იმათი გახსენება, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია... ხუთი მარტო ჯიგარი ბიჭი არ დაბრუნებულა ფრონტიდან, ღმერთმა იქ გაანათლოს მათი სულები, საცა არიან!

– აგერ ტელევიზორში რეინკარნაციაზე რომ ტლიკინებენ, თუ მართლა არსებობს მსგავსი რამ, თუ “იქ” მართლა რაღაც არსებობს, “მეორე ცხოვრებაში” რომ მოვალთ ძაღლებად, დავესუნავთ ერთმანეთს – ნაცნობებ-მეგობრებს მოვებნით, მივესიყვარულებით!

– ჩვენ ერთმანეთის ცნობა არ გაგვიჭირდება: ერთს ღვინის სუნი ასდის, მეორეს – ძველი ფოლიანტების, მესამეს – ქალის ნატიფი სუნამოსი...

ფანო გამოცოცხლდა:

– ქალზე გამახსენდა... ერთი ამბავი უნდა გიამბოთ, კაი ოცდაათი წელი კი იქნება მას მერე გასული. გულნაზი ხომ სამზარეულოშია? არ გაიგოს... უმაღლესში ვაპირებ გამოცდების ჩაბარებას, უნივერსიტეტში, მერე – ინდუსტრიულ ინსტიტუტში ვარჩიე... მაშინ მედიკინის ქუჩაზე ტრამვაი დადიოდა და შემხვდა იქ ღმერთივით გოგო, ეთერი, ქუთაისიდან ჩამოსული, მოსამზადებელ კურსებზე დადიოდა ისიც. თანსავსე გოგო იყო, ჩათქვირებული, ფითქინა თეთრი; კეხიანი ცხვირი უხდებოდა, ოღონდ სახეზე ოდნავ ემჩნეოდა ნაყვავილარი. თხელი კაბა ეცვა, ცხელოდა. ვაგონში ბეგრი ხალხი იყო და რომ მომაწვა ცხელი ძუძუებით, სულ მთლად დავდნი კაცი, ის კი თამამად შემომამტერდა თვალებში. “შენ სად ცხოვრობ?” – ვკითხე. “გოგოლის ქუჩაზე, ნაქირაგებ ოთახში”. “მეც იქ ახლოს ვცხოვრობ, მეზობლები ვყოფილვართ, აქამდე რატომ ვერ შეგხვდით ერთმანეთს? ახლა სად წავიდეთ?” – ეგრევე დაურტყი პენალტი. “კარგი ადგილი თუ იცი, იქ წავიდეთ!” – დამთანხმდა. “ფუნიკულერზე ავიდეთ!” – გამიხარდა, მეტი არ შეიძლება. წავედით, ავედით. ეთერი ყველაფერზე თანახმაა, შევძვერით ბუჩქებში... როცა უკან უნდა გამოგბრუნებულყავით, თავზე არ დაგვადგა ვიღაც ახმახი მილიციონერი? “ჯარიმა გადაიხდეთ!”. გაფწითლდი, გაწითლდი, ამეწვა მთელი სახე სირცხვილით. “რამდენი?” – ძლივს ამოვღერდე. “შენ ხუთი მანეთი გადაიხადე, ამ ქალბატონმა კი – ოცდახუთი მანეთი!”. “რატომ?” – გამიკვირდა, ხომ იცი... “შენ პირველად გნახე, ეს გოგო კი უკვე მეხუთედ დავიჭირე აქ!” – მოკლედ და გასაგებად ამიხსნა მილიციონერმა...

– შენ, კაცო, ჩვენს ეთერ მგალობლაძეზე ხომ არ ამბობ? – კითხულობს შალიკო ტარიჭაშვილი.

– რა გიკვირს, ჩემო შალიკო! – ფანოს მაგივრად ღიმილით პასუხობს პანტიკო.

– ტრამვაიზე გამახსენდა... – ამბობს ფანო. – მიკვირს, ხომ იცი, გულნაზი ტრამვაიში რომ არ გავიცანი. უცნაური ქალია – გიჟდება ტრამვაით მგზავრობაზე! თითქმის ყოველდღე ტრამვაიში ჩაჯდება და დასეირნობს, ერთი წრე მაინც უნდა დაურტყას! კინოსაც ურჩევნია და თეატრსაც! მართლა უცნაური ქალია!

შალიკო ტარიჭაშვილი უდროოდ წასულთა მოსაგონარს ფეხზე ამდგარი სვამს, დაჯდება და მერე აგრძელებს:

– ჩვენ კი ვართ ცოცხლები, მაგრამ ვინ გვაფასებს? პირველად რომ დავიჭერი, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი მქონდა და ჰოსპიტალში თავს მეველებოდნენ: აღარ იცოდნენ, სად დავეწვინე, როგორ ეცათ პატივი... ახლა? რაც “ატსტავკაში” გავედი, ორი ორდენი მომცეს და თერთმეტი მედალი, საქმეა ეს? დამცინიან თუ რა არის? სულ დაჰკარგა ორდენმა ფასი...

* * *

დიდი მოვლენა ჩვენს ეზოში: კაკულიმ ახალთახალი ავტომანქანა შეიძინა, თანაც – “ვოლგა”!

როგორც ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მცირე სუფრაზე ფანომ ბრძანა, კაცობრიობა იყოფა ორ არათანაბარ ნაწილად: მანქანებიანად და ვისთვისაც ეს ბედნიერება მხოლოდ ოცნების სფეროს წარმოადგენს; კაკულის აუხსნა, რომ ცხოვრებისეული დიდი ნაბიჯი გადადგა წინ: მანქანიანი კაცი უკვე უფრო მაღალ “წონით კატეგორიაში” ინაცვლებს, სხვა სტატუსი აქვს, სხვა გავლენის სიდიდეს აღწევს და შედარებით მაღალ სფეროს განეკუთვნება...

კაკული ემზადება მოძრობის წესების ჩასაბარებლად, ერთი თვე იზუთხა ეს წესები და მივიდა ავტონისპექციაში...

კაკული ჰყვება:

– ვილაც ახმახი ახალგაზრდა, თმაგაჩეილი და გაუპარსავი, მეშიგედ აბარებდა საგზაო მოძრობის წესებს. მე კარგად ვიყავი მომზადებული და მაინც ჯერ მხოლოდ ნახევარ კითხვებზე მქონდა პასუხი გაცემული, იმან კი უკვე შეძლო, ჩაჭრილიყო და იჯდა თავდახრილი. “ადექი, ბროიანო, ადექი!” – უთხრა გამომცდეღმა, ეტყობა, უკვე ზეპირად ახსოვდა მისი გვარი; გამომცდეღელი ახალგაზრდა კაცი იყო, სიმპათიური, გვარად დევიძე. ერთი ყმაწვილი მივიდა, ქლესურად ილიმებოდა, რაღაცას ხმადაბლა თხოვდა. “კაცო, – უთხრა დევიძემ, – ერთხელ გითხარი და ახლა მეორენაირად ხომ არ გეტყვი? მოცილდი აქედან!”. მეორესთან მივიდა, აუხსნა: “აგერ მწვანეზე რომ მიდიოდე შენ, ვინმეს გზას დაუთმობ? არა, ხომ? აბა, რატომ გაგიჭირდა გამოსცნობა?”; მესამეს ადგილიდან უკარნახა: “რა გაგიჭირდა, ასეთი ძნელია ვითომ? რომელი სინქარით არის დასაშვები მოძრაობა? 60 კილომეტრით საათში!.. ყველანი მორჩით ახლა, ერთი წუთი დარჩა, დროზე მოასწარით, თორემ გამოირთვება მანქანები!”. მეც ჩავიჭერი – სულელურად! გამოსაცდეღ მანქანაზე შეცდომით ორჯერ დავაჭირე ღილაკს ბოლო პასუხზე...

კაკული კი იბრიქებოდა, სულ ზეპირად ვიცი მოძრობის წესებით, მაგრამ რატომღაც რამდენჯერაც მივიდა გამოსცდის დასაჭერად, იმდენჯერ ჩაფლავდა...

ბოლოს, კაკულიმ, მისივე სიტყვებით, “მიაღება კიბე” ანუ გამოძებნა ნაცნობობა “საჭირო” პირთან, ქრთამი მისცა, სადაც საჭირო იყო; იმ დევიძეს ააცდინეს, სხვამ გამოსცადა და ავტომანქანის მართვის მოწმობაც აიღო.

ახალნაყიდი მანქანის მოყვანა მაღაზიიდან კაკულიმ ციხიდან ის-ის გამოსულ ჯადოს თხოვა, რაზეღაც, რაღა თქმა უნდა, უარი არ მიუღია.

როცა ეზოს მიუხლოვდნენ, კაკულიმ ჯადოს უთხრა:

– ჯადო, გააჩერე, გააჩერე!.. ახლა მე დავჯდები საჭესთან, ვითომ მე მოვიყვანე მანქანა, კარგი?

– მანქანა შენია, გენაცვალე, და გინდა წინ დაჯექი, გინდა – უკან, საჭესთან დაჯდომაც ძალიან მოგიხდება!

კაკული საჭესთან მოკალათდა, გაასწორა შიგნითა სარკე, გაასწორა გარეთა სარკე, აუშვა ხელის მუხრუჭი, – ბეჯითი მოწაფის გულმოდგინებით ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ასწავლეს; მერე ჩართო პირველი სინქარე, ნელ-ნელა უშვებს ფენს გადაბმულობის სატერფულს და ნელ-ნელა გაზის სატერფულს აწვება, მანქანა კი ადგილიდან არ იძვრის...

ჯადომ ცერად გახედა, ამრეზით ეუბნება:

– აკაკის ვენაცვალე, ბენზინის ეკონომია გინდა? დამიჯერე, ძრავი თუ არ ჩართე, ისე თავისით ნაღდად არ წავა!

კაკული მანიპულაციებს თავიდან იწყებს: აამუშავებს ძრავს, აწვება გაზის სატერფულს... ჯადო ისევე უკმაყოფილოა:

– ე, ბიჭო, ნუ გახეთქე მოტორი! დროზე აიღე ფენი, პროტეზი ხომ არ გაქვს! სინქარეში ჩაგდება დაგავიწყდა? გოგოები სწავლობენ მანქანის ტარებას და შენ რა დაგემართა?.. ნუ გეშინია, გაბედულად!

როგორც იქნა, დაიდრნენ, შეგორდნენ ეზოში; კაკული ქვევით იყურება და კითხულობს:

– ჯადო, სად არის აქ მუხრუჭი?

ამასობაში ეზოში კაკულის ახალთახალი თეთრი ფერის “ვოლგის” სანახავად შეკრებილი ბედნიერი მეზობლები შეშინებულნი გარბიან, აწყდებიან აქეთ-იქით: ზოგი თუთაზე კატაზე უსწრავსად აძვრა, ზოგი – პირველი სართულის აივნის ხის მოაჯირს ჩიტივით გადაეგლო, სულ მთლად გაგიჟებულ მანქანას მოერიდნენ...

ბრახს!.. – კაკულიმ გამეტებით გლიჯა მანქანა კუთხეში თავისთვის პატიოსნად მდგარ ალვის ხეს...

კაკული ჯადოს ეჩხუბება:

– ბიჭო, წესიერად ვერ მასწავლევ?

– აკაკის ვენაცვალე, გიხსნი, გიხსნი, ტვინს ვიჭყლეტ, მგონია, დაგიდექე და ისე ჩაგიდე თავში, შენ კიდევ სულ გაიძახი: “გავიგე, გავიგე!”. რა ჭირი გაიგე, რომელი პედალია მუხრუჭის, ის ვერ დაიმანსოვრე! ქვევით სად ჯანდაბაში და ოხრობაში იყურები, რა დაგრჩენია იქ, გზას შეხედე! კიდევ კარგი, კაცი არ შემოგაკვდა; არ არის ეს შენი საქმე, ჯობს, მანქანა რომელიმე სიძეს აჩუქო!

– სიძეს ვაჩუქო და ზარალს ზარალი მიეუმატო?

– “ვოლგის” მაგივრად რომ “ჟიგული” გეყიდა, ნაკლებ ზარალს ნახავდი! “ზაპროლეცი” მთლად უკეთესი იქნებოდა! ჩემს ქალიშვილს, იცი, რა სიმღერა აწავლეს სკოლაში? “იპოლიტეს ვოლგა” ხეში გადაგორდა, იპოლიტე იძახოდა, “მაინც არ ვარგოდა!”. აკაკი ბატონო, დაიმანსოვრე, რაც ერთმა ბრძენმა კაცმა თქვა: “კაცი უნდა ერკვეოდეს მანქანებში, ძაღლებში, ცხენებსა და ქაღალბში!”. ბიჭო, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, დაჩუტულ “პაკრიშკას” ჰგავხარ! გულს ნუ გაიტებს, კარგ ხელოსანთან მიგიყვან და მანქანას ახალივით გაგიხდის! ატარე ერთი-ორი წელი,

მერე გაყიდე, ოღონდ ნომრები ძველი დაიტოვე, გაიგე? ახალი მანქანა იყიდე, შენ ეგ არ გაგიჭირდება, ოღონდ იგივე ფერის და წინა მანქანის ნომრები დაუყენე... ხომ იცი, მეზობლებში ყოველთვის გამოერევა შურიანი ვინმე; იმისთვის ისე გამოჩნდება, ვითომ ძველი მანქანით დადისარ, მითქმა-მოთქმას და დაბეზლებას, ანონიმურ წერილებს აიცილებ თავიდან... ამასობაში ტარებასაც ისწავლი და გემრიელად ივლი!

– ახალთახალი მანქანა სიფთაზე დაგჭეკე... – ლამის ტირის კაკული. – ამის გაკეთება ახლა ძნელია?

– ეგ მანქანა ვინ გააკეთა, კაცმა არ გააკეთა? ჩვენც გაგაკეთებთ! ისეთ ხელოსანთან მიგიყვან, ნაღდი არტისტია, ახალზე უკეთესი იქნება!

მერე დადგა ჯერი, კაკულის განეცხადებინა პრეტენზიები ჯადოს მისამართით:

– კაცო, ვისთან მიმიყვანე, ეგ ტარიელაა თუ ვიღაც მამაძაღლი, ორი კვირაა, აქეთ-იქით დამარბენინებს, ვითომ მანქანას მიკეთებს, არ დააყენა საშველი... ამდენი დრო სად მაქვს, საქმეს მოცდი!

– მაგ ლომტარიელს ჯერ კიდევ ქუთაისიდან ვიცნობ, – პასუხობს ჯადო. – რა გიყო, აკაკი ბატონო, ეგ აფერისტია, მე მაგას არც ვესალმები...

– აბა, როგორ მიმიყვანე, თუ აფერისტია და მასთან გარიგებაშიც ვითომ მესმარებოდი? მატყუებდი, შენ მაგასთან შეკრული ხარ!

ცობტი ხანში კაკული ისევ ეჩხუბება ჯადოს:

– მაგ უნამუსომ, პომპა არ გივარგაო, გამოცვალა და რაღაც ნაგავი დამიყენა; მეორე დღეს პომპამ წყალი გაუშვა, ცხრა თუმანი დამატებით ტყუილად წამგლიჯა! იძულებული გახდით, სხვა ხელოსანთან წავსულიყავი! აწი შენ კაცი გენდობა?!

კაკული და მანქანა – ეს ტრაგიკომედიური თემა! მთელი მხიარული წიგნის დაწერა შეიძლება!

– რა ქენი, აკაკის ვენაცვალე, მოარჯულე მანქანა? – კარგა ხნის გაგლის შემდეგ ჰკითხა ჯადომ ადრე დილით – ამ დროს არის მხოლოდ კაკული შინ და კიდევ – გვიან საღამოს, სულ საღდაც არის დაკარგული, საქმეებს აკვარახჭინებს.

– აბა, რა ვქენი! წინათ რომ დღეში სამ საქმეს ვერ ვაკეთებდი, ახლა ათს ვასწრებ!

– კიდევ რაიმე ხათაბალაში ხომ არ გაები?

– გუშინ მეიდანზე გამაჩერა ავტონსპექტორმა. რომ მივიღოდი მისკენ, ხელი ჯიბეში მქონდა და გაღიმებული შემეგება, კინაღამ მკითხა: “როგორ ბრძანდებით, შინ ხომ ყველანი მშვიდობით არიანო” და “რა ნომერია თქვენი მანქანაო”, ზრდილობიანად მეკითხება – ხომ იცი, ახალი “ვოლგაა”, ყოველდღე ვაკრიალებ და ბრწყინვა გაუდის! ეს ოხერი, დამაგიწყდა! დაგიბენი, ვერაფრით გავიხსენე მანქანის ნომერი, დამიჯერებ? ბედად მანქანაში ჩემი მეგობარი მეჯდა, ბენო, მან მაშინვე სხაპასხუპით უპასუხა. როცა ინსპექტორს ფული მივეცი, ეცოტავა, მოიღრუბლა და კინაღამ ჩხუბი მოგვივიდა... ამ ბენოს საოცარი უნარი აქვს, ყველაფერს ადვილად იმახსოვრებს, ტელეფონის ნომრების ჩაწერა არ სჭირდება. ყველა მისი ნაცნობის ტელეფონის ნომერი ზეპირად ახსოვს, მათი მანქანების ნომრებიც...

ჯადომ გაატრიზავა:

– კაცო, ჯიბეში რომ ასმანეთიანების დასტა გიდეგს, ყველას ნომერი ზეპირად იცი და შენი მანქანის ნომერის დამახსოვრება რა გახდა ისეთი!

– ეგ არაფერი, მეორედ კინაღამ შარში გაგები. მაინცდამაინც კვირადღეს ცოლი ამიტყდა, ბაზარში წადი, მომკლა ამდენმა წანწალმა, ერთხელ შენც მომეხმარე, აბა, მანქანა რა ჭირად გინდაო. წავედი და მანქანა ბაზრის წინ, გასაჩერებელზე დაგტოვე. ნახევარ საათში საყიდლებით დატვირთული დაგბრუნდი და რას ვხედავ: ჩემს მანქანაში ვიღაცეები სხედან! ვაჰ!.. ორი ზონზროსა ქალი ნებიერად გათხლარშულა უკანა სავარძელზე და ერთი სიგარეტსაც ეწევა. გაფრთხილი გაშტერებული, ისინი კი ქაქანებენ რაღაცას, ის მწვეველი ქალი კიდევ გამოყოფს ხელს და ფერფლს ბერტყავს, ლამის მე მაყრის ფეხსაცმელებზე – ზედაც არ მიყურებენ, არაფრად მაგდებენ!.. სისხლი აი, აქ მომაწვა, ხომ იცი, რა ფიცხიც ვარ, დაგუყვირე: “ეი, თქვენ! ვინ მოგცათ უფლება, სხვის მანქანაში რომ მოკალათებულხართ, თავხედებო!.. გადმობრძანდით ახლავე მაქედან!”. ვაჰ, შენ არ იცი, რა კაპასი ქალები აღმოჩნდნენ, “შენ გიჟი ხომ არ ხარ, მილიციონერს დაგუძახებო?“. უკვე კარიც გაგაღე და ვაპირებდი მათი ძალით გადმობრძანებას, რომ ამ დროს ვიღაც კაცი მოვიდა, მეუბნება: “გაუშვი ხელი ჩემი მანქანის კარებს, შენი მანქანა ეგერ დგასო”. თურმე ეს “ვოლგაც” ისეთივე ფერისაა, ნომერი არ მახსოვდა და ამერია.

– კაცო, მე ხომ გაგაფრთხილე, მანქანა არ არის შენი საქმე-მეთქი, არ ვიყავი მართალი? ტაქსის ფული არ გაგიჭირდება, იმით იარე! – ეუბნება ჯადო.

– მე რომ მაგას მეუბნები, შენ თვითონ სულ გყავს მანქანა...

– ჰო, ეს უკვე მეექვსეა. პირველი ჩემი მანქანა “პობელა” იყო, ქუთაისში რომ ვცხოვრობდი, ძველთაძველი “პობელით” დავდიოდი. ისეთი დანჯღრეული იყო, რომ საჭეს ხელს ვერ ვუშვებდი – მეშინოდა, არ დაშლილიყო და ქვევით არ ჩავვარდნილიყავი. ქალებში ხშირად დავდიოდი წყალტუბოში და საჭეს ხელს რომ გაგუშვებდი, მანქანა თავისით გაუხვედა ხოლმე წყალტუბოს

გზისკენ. ამ მანქანასაც სანამ ბოლომდე არ გავხედნი, მანამდე სიქა უნდა გავაცალო. როცა საბოლოოდ დაფახვანდება, გავეყიდი და ახალს ვიყიდი, ასე ქენი შენც.

ერთ თვეში კაკულის მანქანა ისევ შესაკეთებელი შეიქნა.

კაკულიმ მანქანა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის ქუჩაზე, ტელევიზიის შენობის მოპირდაპირე მხარეს, გზის კიდესთან წესიერად მიაყენა (ეზოში განცილებილი მარცხის შემდეგ ძალიან ფრთხილობდა და ზედმიწევნით ზუსტად იცაგდა მოძრაობის ყველა დაწერილ თუ დაუწერიელ წესსა და კანონს), გადმოვიდა და სამეურნეო მაღაზიაში შევიდა – მის გამგესთან რაღაც საქმე ჰქონდა. ათიოდ წუთში გამოვიდა, შეხედა მანქანას და გულზე შემოეყარა – მანქანის უკანა მხარეს მარცხენა ფრთა შესამჩნევად იყო შეჭეჭყილი... ვინ დაარტყა? აქეთ ეცა, იქით ეცა... ვიღაცამ უთხრა, მგონი, ტროლეიბუსი იყო... მილიციის ტელეფონის ნომერიც მისცა და ნახევარ საათში მოგრიალდა ოპერატიული მანქანა. “ჩვენ ამას ვერ გამოვეყიდეო, პატარა ზარალია, – აუხსნეს კაკულის, – მძიმე ავარია რომ მომხდარიყო, მაშინ სიამოვნებით!.. მაგისტვის არ გეცალია, აი, თვითონ თუ იპოვით...”. ირბინა კაკულიმ სატროლეიბუსო პარკებში, საბურთალოს პარკში დაადგა პირზე ერთ ბიჭს: “შენ დამარტყიო”. “არაო”, – იუარა მან. “აბა, შენი მანქანის საღებავი რომ ამჩნევია ჩემს მანქანასო?”. ჰაი აქეთ, ჰაი იქით, – ბოლოს ბიჭი გამოტყდა: “მე ვიცი, ვინც დაგარტყა, აი, ის ხუთი ნომერი ტროლეიბუსისია”. მივიდა კაკული, შეხედა – ტროლეიბუსი უკვე გადაღებულია. ნახა მძღოლი, იმან აღიარა: “ჰო, მე ვიყავი, დამნაშავე ვარ, ამა და ამ დროს შეგხვდეთ და მოვილაპარაკოთ ზარალის ანაზღაურებაზეო”. წავიდა კაკული მილიციაში, და იქ აცნობა, რომ მოძებნა, მისი მანქანა ვინც დააზიანა. მორიგე უთხრა: “აქ ორმოცდაათ მანეთზე ნაკლები ზარალია, საქმეს ვერ გავხსნით და შენ თვითონ მოვლაპარაკე ანაზღაურების თაობაზეო”. წამოვიდა კაკული, მოვლაპარაკა ტროლეიბუსის მძღოლს, მერე ისევ მივიდა მილიციაში. იქ მეორე მორიგე დახვდა, ახარა კაკულის: “აღმოვაჩინეთ, ვინც დაგაზარალა!”. კაკულიმ უთხრა: “დიდად მადლობელი გახლავარ, ბატონო ჩემო, ნუღარ შეწუხდებით, მე კერძოდ მოველაპარაკები იმ კაცსო”. მორიგე გაიფხორა: “აბა დამეებს რისთვის ვათევთ აქ!”.

იანგარიშა კაკულიმ და ამ აქეთ-იქით სირბილ-წოწილში ორმოცდაათ მანეთზე მეტის მხოლოდ ბენზინი დახარჯვია...

კაკულიმ ავტომანქანა შეაკეთებინა, დააყენა ეზოში და ბრეზენტი გადააფარა. კვირაში ორჯერ მაინც ჩავიდოდა ეზოში, გადახსნიდა ბრეზენტს, საგულდაგულოდ გარეცხავდა, გაასუფთავებდა მანქანას, შემდეგ ისევ გადააფარებდა ბრეზენტს...

რამდენიმე თვეში მანქანა სიძეს, უფროსი ქალიშვილის, მზისას, ქმარს, ბესას მისცა; უმცროსი ქალიშვილის, მთვარისას, განაწყნებული ქმარი, ელისე კი ანუგეშა:

– მანქანა რად გინდა, ჩემო ელისე? შენ არ იცი, რა პატივი გეცი! ბრიყვი ხარ, მერე მიხვდები, რა ხათაბალას გადაგარჩინე! მე შენ უკვე ისეთი მანქანა გაჩუქე, არც ხევში გადაგადგებს და არც ავარიაში მოგახვედრებს, შეჯექი ზედ და იხმარე გემოზე!

არ გასულა ერთი კვირა და აივანზე მჯდომ კაკულის გულზე შემოეყარა: ბესას ავტომანქანა შემოგრიალდა ეზოში საყვირის გამაყრუებელი ჭყვიტინით, ოთხივე კარი გაიღო და იქიდან დაიწყეს გადმოსვლა ლუდით გაჭყეპილმა ჯელებმა... ერთი გადმოვიდა, მეორე, მესამე, მეოთხე... კაკულიმ თვლა განაგრძო და თვალებს არ უჯერებდა: მსოფლიო რეკორდი დაამყარეს ნაღდად: ბოლო მეთორმეტე ბიჭიც გამოძვრა მხრების შლით და კისრის ზეღვით – ეტყობა, მაგრად დაიჭმუჭნა სხეების დარად! ან როგორ არ გაიგუდა შიგ რომელიმე ან მანქანა როგორ არ დაიშალა გზაში!.. ჰო, კიდევ ორი თუ სამი – სათვალავიც ავარია – უკან, გაღებულ საბარგულში იჯდა, ფეხები გარეთ ჰქონდათ გადმოყოფილი!

– როგორ მივქარე, მაგ დებილს როგორ ჩავაბარე მანქანის გასაღები! – გული კინაღამ შეუღონდა კაკულის...

– აკაკი ბატონო, რა დამჯდარი აკუმულატორით ხარ! – უთხრა ჯადომ. – ჯობდა, ჩემთვის გეჩუქნა ეგ მანქანა, ყოველდღე ნაღდ მაყუთს გავაკეთებდი და ნახევარს ან მესამედს მაინც შენ მოგცემდი!

– მომწყდი თავიდან, შენს ხასიათზე ვარ? – შეუღრინა კაკულიმ. – შენ უარეს ხათაბალაში გამხვევდი!

* * *

სერიოზული ავარია კი მაინც მოხდა. ერთხელ ბესამ გამოიყვანა ნაჩუქარი ავტომანქანა “ვოლგა”, ჩვეულებისამებრ ჩასვა ძმაკაცები და მათთან ერთად გაისიერნა. გაუარეს კიდევ ერთ მეგობარს, ბააკას. რიგრიგობით სხდებოდნენ საჭესთან, არც ერთმა არ იცოდა ხეირიანად მანქანის მართვა. როცა ბააკა იჯდა საჭესთან, ვაკეში დაეჯახნენ მეორე მანქანას, “ჟიგულის”, ორივე მანქანა გემოზე დაიმტვრა...

ბესა ტაქსით მოვარდა შინ, სთხოვა მილიციონერ პანტიკოს (კიდევ კარგი, მორიგეობისგან თავისუფალი იყო):

– პანტიკო ბიძია, ავარია შემემთხვა, წამომყევი, მიშველე! კაკულის არაფერი უთხრა!

- ხომ არავინ დაშავებულა?
 - არა...
 - აბა, ნურაფრის გეშინია, ყველაფერი მოგვარდება!
 - პანტიკო ბიძია, ფორმა ჩაიცვი რა, გეხვეწები!
- ჩაჯდნენ იმავე ტაქსში... მივიდნენ ავარიის ადგილზე, დაიწყეს მტყუნ-მართლის გარჩევა. ბესა ამბობს:
- ნეტავი ფული მქონდეს, რომ ცოტა წილში შემოვიდე!
- პანტიკომ დაუტია:
- შეილო, შენ რატომ უნდა დადო ფული, შენი მანქანა დაამტვრიეს და უნდა გაგიკეთონ – ბააკა და “ჟიგულის” პატრონი ერთმანეთში მორიდდნენ!
- დადეს ორივე მანქანა საბარგო მანქანებზე და უნდა მიეტანათ პროფილაქტორიუმში. გზაში მანქანები ავტონისპექტორმა გააჩერა:
- რა არის ეს? საბარგოები ხალტურაზე არიან! საბუთები!
- არაფრით მოეშვა, ძალიან გააჭირა საქმე; ცხადი იყო, ფული უნდოდა.
- პანტიკომ უთხრა:
- ბიჭო, შემომხედე ერთი კარგად! იმდენი ფული მაინც მაქვს, რომ ორი ბოთლი ღვინო ვიყიდო და შენს ამხანაგებს ვუთხრა, რა გაფუჭებული კაციცა ხარ! გაჭირებულებს კიდევ ფეხი უნდა დაგვაჭირო?
- ინსპექტორს შერცხვა, გაუწოდა საბუთები:
- აჰა, აიღე და წადით!
- როცა სხვისი ავტომანქანა “ჟიგული” შეაკეთეს, კაკულიმ მოსთხოვა ბააკას მამას, ჩემი მანქანაც გაარემონტე.
- ისევ პანტიკოს ჩარევა გახდა საჭირო:
- მოიცა, კაცო, დაეტე შენ ტყავში, ნამეტანს კი ნულარ მონდომე! შენი სიძე კი აღარ არის დამნაშავე, რომ ავტომანქანის საჭესთან ბააკა დასვა?

* * *

ბესა ვერაფრით დადინჯდა; შიოს კიდევ ერთი თავისი თავგადასავალი მოუყვა (შიომ კი შინ – ნანუჩას უამბო):

- მე და ბააკა მივდივართ ჩემი მანქანით, ქუჩაში გაუჩერეთ ორ გოგოს – შეხედავ და მოგეწონება: ორივე ქერაა, წერწეტა, ფითქინა თეთრი... ჩავსხით და მატარებელზე გვაგვიანდებაო, მივაჭირე გაზს ფეხი. გზაში აიკინძა საუბარი, აქეთური – იქეთური... გულში გავვიღე: “ამ გოგოების ასე მშრალად გაცილება არ ივარგებს” და შევთავაზე, ერთი კარგი სოფელი ვიცი, იქ გავისეირნოთ, კაი პური ვჭამოთ და მერე მანქანით მატარებელს სამტრედიაში დავეწიოთ-მეთქი. კაიო, სვეტა და ვალია დაგეთანხმდნენ. ვიპურმარილეთ ბააკას სოფელში, იქ ბებია-ბაბუა ჰყავს, ორი ბოთლი არაყიც გამოვსუხეთ, ეს გოგოები ჩვენზე მეტსაც კი სვამდნენ... როცა საქმეს მოფრჩით, გამოვუქანეთ სამტრედისკენ. ჩავედით და მატარებელი წასული დაგვხვდა. გადავწყვიტეთ, გამოვკიდებოდით. გზაში ორ ადგილას შევჩერდით, წავიხემსეთ, დავისვენეთ. ას ოც-ას ორმოც კილომეტრს ვაჩვენებდი დროდადრო, მაგრამ მატარებელს ვერც სოხუმში დავეწიეთ და ახლა სოჭში წასვლა გადავწყვიტეთ... როგორ, ზღვას ვხედავდეთ და არ წავიჭყუმპალავთ? მოკლედ, სოჭში ერთი კვირა დავრჩით, კაი დრო გავატარეთ. მერე დავაჭირე ფეხი და გოგოები ზაპოროჟიეში გადავქანე, ორივე პირდაპირ მათ საცხოვრებელ სახლებში ჩამოვარიგე... ერთ თვეში ფოსტით მივიღე პატარა ამანათი, შიგ მაჯის ელექტრონული საათი და სვეტას ფერადი ფოტო იღო; ფოტოს უკანა მხარეზე ეწერა: “ძვირფას ბესარიონს სიკეთის, გულხვობისა და მხიარულად გატარებული დროის კეთილად მოსაგონებლად! სვეტა”.

- მანახვე რა, ლამაზი გოგო იყო? – შეეხვეწა შიო.

- რას ამბობ, გადასარევი გოგო კი იყო, მაგრამ ის ფოტო მაშინვე დახიე და გადავყარე – ჩემს ცოლს რომ ენახა, ხომ ცოცხალს გადაწყლაპავდა! რომ ჩამოვედი, ძლივს დავარწმუნე, მოულოდნელად მივლინებით გამაგზავნეს-მეთქი და მაშინვე დაგწევი დასაძინებლად – ამ დღეებში რამდენიმე ათასი კილომეტრი მქონდა გავლილი!.. ის იყო ძილ-ბურანში გადავმევი, რომ მზისამ ხელი მომხვია და რაღაც მკითხა. მე რუსულად წავიბურდღუნე: “გვეყოფა, სვეტა, დამანებე რა თავი, დადლილი ვარ...”. ვაი შენს ბესას! რომ დამიშინა მუშტები ცოლმა, ვინ არის ეს სვეტაო, წამოვხტი და გარეთ გავვარდი, თორემ ნაღდად მომკლავდა! ერთი კვირა შინ აღარ გამოვჩენილვარ...

* * *

ბუნებრივ მიზეზების უკმაყოფილება არად ჩააგდო და უზარმაზარი გარაჟი წამოჭიმა, იმდენად უსაშველოდ დიდი, რომ მეორე მანქანაც თავისუფლად დაეტევა; ფაცია იქ ათასგვარ ხარახურას, მურაბებს, მწნილებს და ამისთანებსაც ინახავდა, თუმცა მშვენიერი სარდაფიც ჰქონდა

და იქ უკეთ ინახებოდა ყველაფერი. მისმა მეზობელმა კაკულიმ მანქანა რომ შეიძინა, ბუხუტის თხოვა, მანქანის დასაყენებელი ადგილი მინდა, ან შენს გარაჟში დამაყენებინე დროებით ან, კიდევ უკეთესს იხამ, თუ საზიაროდ მომყიდი, რასაც მეტყვი ფასს, მოგართმევო. ბუხუტიმ შორს დაიჭირა, თან კაკული გამოლანძღა კიდევ, როგორ გამიბედე ასეთი თავხედური წინადადების წამოყრანტალებო...

ეს ამბავი მთელ ეზოს მოედო.

პანტიკომ სიცილით დაიქაძნა, ნახეთ ერთი, ბატონ ბუხუტის რა ოინიც მოეუწყყო.

პანტიკომ ნაგვის მანქანის შოფერს უთხრა: “ერთი მანქანა ნაგავი მჭირდება, ჭირიმე, თუ ძმა ხარ, არ გადაყარო; ა შენ ორი თუმანი, ა შენ მისამართი; შეხვალ ეზოში და იქ დიდი გარაჟია და იმ გარაჟის კარებთან დამიყარე!”. მენაგვემ იმავე დღეს შეასრულა დავალება. დილით გამოვიდა ბუხუტი ბატონი, ხედავს: მის გარაჟის წინ ნაგვის მთა აღუმართავთ... რასაკვირველია, მანქანა ვერ გამოიყვანა და რამდენიმე დღეს ფეხით დაბრძანდებოდა.

ბარემ აქვე მოგახსენებთ, რაც მოხდა კარგა ხნის შემდეგ: ბუხუტი კაიჩიტაძე ვილაც ახალგაზრდა ქვრივ ქალს გადაეკიდა და ოჯახი მიატოვა. ცოლ-შვილი სულ დაივიწყა, მაგრამ ძველი ჩვეულება არ დავიწყებია: ახალ-ახალ საყვარლებს ვერ შევლია, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ერთმა ასეთმა ახალგაზრდა ქალბატონმა მოიყვანა ქურდები და ბუხუტი აწამეს – ფული სად გაქვს შენახულიო... თავზე ცელფონის პარკი ჰქონდა წამოცმული და გაიგუდა – ასთმა ჰქონდა... ამ ამბის შემდეგ ფაციათ კიდევ ოც წელზე მეტხანს იცოცხლა; ცუცას ყველა მთხოვნელს იწუნებდა – ქალიშვილი რომ გავათხოვო, ყურადღება და მოვლა მომაკლდებაო. ცუცაც დიდხანს არჩევდა საქმროს, მაგრამ მისი შესაფერმა ვერავინ ნახა, თან გულს იმით იმშვიდებდა, რომ შემოქმედებით წინსვლაში ოჯახი ხელს შემიშლისო...

ახლა ორმოც წელს კარგა გადაცილებული მუსიკის მასწავლებელი, გაუთხოვარი, მარტოხელა ცუცა კაიჩიტაძე ასწავლის ფორტეპიანოს დაკვრას სამუსიკო სასწავლებელში. რა თქმა უნდა, დრომ თავისი დაუნდობელი ბუჭედი დატოვა მის გარეგნობაზე – კაი ჭამა-სმა ყოველთვის უყვარდა და არც არის გასაკვირი, რომ ფრიად გასუქდა, დაბაბითაც კი დამშვენდა; სახე ძველებურად ლამაზი კი აქვს, არც ნოჭები გასჩენია ჯერ, მაგრამ სახის გამომტყვევება, – ამპარტავული და ქედმაღლურიც კი, – იგივე შერჩა, რაც ბავშვობაში ჰქონდა. მისი ღირსი ვერავინ ნახა, რომ ცოლობას დასთანხმებულიყო და ახლაც კი იმედი აქვს, გამოჩნდება მისი ოცნების “უფლისწული”, რომელსაც გააბედნიერებს – ვაგლახ, იგი მოსვლას ძალიან იგვიანებს!..

ერთხელ რაღაც საქმეზე ნარცეცხლაძეებთან შემოსული გოჩა ჭინჭრაქაულის მეუღლე ირინა ინოხეძევა (იშვიათი სტუმარია – ექვსი შვილი ჰყავს და თავის მოფხანის დროც არ აქვს!) ცუცას მისამართით ამბობდა:

– მაგას რა გაათხოვებს, კული ყავარზე აქვს გადებული! ერთ კლასში ვიყავით, რუსულ სკოლაში ვსწავლობდით. ჩემს ამხანაგებში ყველას ეტყობოდა, რომელი დარჩებოდა შინაბერა. გოგოები შესვენების დროს ეზოში დავხტოდით, ვთამაშობდით, ყირას გადავდიოდით, ისინი კი იჯდნენ მუდრობივით საკლასო ოთახში და ფანჯრიდან გვიყურებდნენ. განა იქ რამეს აკეთებდნენ, ეზარებოდით ქვევით ჩამოსვლა და მარაქაში გარევა... ცუცა ეზოს ბავშვებთანაც არასდროს თამაშობდა, სულ იჯდა ფორტეპიანოსთან და გამოთავყვანებამდე უკაკუნებდა. ახლა თვითონაა მუსიკის მასწავლებელი და კასრს დაემსგავსა, მაგას რა გაათხოვებს? მახსოვს, დედამისი, ფაცია დეიდა...

– კაი ჩიტი იყო ისიც! – შეაწყვეტინა ბაბომ.

– ჰო, ანჩხლი იყო საშინლად, მარტო მისი სიდედრობის შიშით ვინ გაიფიქრებდა ცუცას ქმრობას... ფაცია დეიდა თავს იკლაგდა, შვილი გაუთხოვარი მრჩებაო. გაგიგონიათ, ასეთი რამ – დედა ქალიშვილს ეუბნებოდეს, ბიჭთან გაიარეო!..

როგორც დიდი ხნის წინათ, ახლაც მეზობლები შეწუხებულნი არიან კაიჩიტაძეების ბინაში ფორტეპიანოზე თითების უხეირო კაკუნით (ცუცას შინ აკითხავენ კერძო მოწაფეები), მაგრამ ხმის გაცემას ვერავინ უბედავს – ნერვებმოშლილი, მყვირალა ქალია და უმიზეზოდაც ხშირად ლანძღავს მეზობლებს – ხასიათით დედას დაემგვანა (მისი მოწაფეები მეცოდებიან, მათაც უყვირის ხოლმე). უყვარს ყავა და სიგარეტი; ჰყავს მეგობარი ქალები, კოლეგები, რომლებიც ხშირად მოდიან მასთან საჭორაოდ, ერთად დადიან კინოში... მისი შემოქმედების შესახებ კი მხოლოდ ის შეიძლება აღინიშნოს, რომ ოციოდე წლის წინათ ყველაზე დიდი მოვლენა მოხდა მის ცხოვრებაში: ერთი მისი სიმღერა შეასრულა იშვამად ცნობილმა მომღერალმა ქალმა და ცუცას ჯერჯერობით სატრაბახო მხოლოდ ეს აქვს...

* * *

ფანომ ახალი მანქანა შეიძინა და ნარცეცხლაძეების ოჯახში ამის აღსანიშნავი პატარა სუფრაც გაიშალა.

– ჰო, მართლა, ჯუმბერი რასა იქმს? რატომ არ გვიმშვენებს სუფრას? – რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ დაინტერესდა პანტიკო.

მოგახსენებთ, ჯუმბერი ოჯახის დიასახლისის, გულნაზის, ძმბა. მიკვირს, ხომ იცი, რომ აქამდე უფრო ახლოს არ გავაცანი მკითხველს. ალბათ ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ იშვიათად გამოჩნდება: უაღრესად საქმიანი კაცია, სულ რაღაც საქმეებს აკვარახტინებს, რომელიღაც იატაკქვეშა საამქროებში წილი აქვს... კაპულის მეგობარი თუ არა, კარგი ნაცნობი მაინც არის, მგონი, რაღაც საქმეში ერთადაც იყვნენ ჩართულნი ერთ დროს, მაგრამ რაღაც ვერ გაიყვეს... დიახ, ბატონი ჯუმბერი დის ოჯახში მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუ ფული სჭირდება. თუ ასე ხდება – დაიკარგება კარგა ხნით და ვალის დაბრუნებაზე ფიქრი არასდროს შეაწუხებს, თუნდაც ასჯერ შეახსენო: ჩათვაღე, რომ ის ფული დაკარგულია – “შეიტყაპუნა”...

პანტიკოს თამადაძე, ფანომ, უპასუხა:

– ჯუმბერს საოცარი ყნოსვა აქვს: თუ ოჯახში ცოტა ფული გაჩნდა, მაშინვე გაიგებს! საიდან, როგორ – ჩემთვის დიდი გამოცანაა! ალბათ რაღაც მაგიის მაგვარი ბუნებაში მართლა არსებობს, აბა, რაღა სწორედ მაშინ გავახსენდებით? ამას წინათ მოცუნცულდა და ლამის ტირილი დაიწყო: “ბიჭო, რევიზია დამეცა თავს, დანაკლისი აღმომიჩინეს და თუ ახლავე არ მივეცი ათი ათასი მანეთი ქრთამი, ხუთი წლით ციხეში საკანის კედლების ხეხვა გარანტირებული მაქვს.. სამი ათასი მანეთი მქონდა, ორი ათასიც მეგობრებმა შემეგროვეს, დანარჩენი ხუთი ათასი სად ვიშოვო, აღარ ვიცი!.. დავიღუპე და ეს არის!”. ის მაინც როგორ გაიგო, რომ მანქანა ერთი კვირის წინ სწორედ ხუთი ათას მანეთად გავყიდე? ჰოდა, რა გული მოგიტოვენს, თუ ფული გაქვს, დაუჭირო? მე ვუთხარი: “ე, ბიჭო, რამდენიმე დღის წინ კი მქონდა ფული, ჩემი მანქანა გავყიდე, მაგრამ ახალი მანქანის ყიდვაში დამეხარჯა და სამი ათასი მანეთი კიდევ ვალადაც ავიღე, თორემ... ვინ ოხერია, მე ჩემს ძმასა და მეგობარს ფულს დაგიჭერდი?”. იმდენი ნამუსი კი ეყო, რომ არ მითხრა, შენი ახალი მანქანა გაყიდეო... ალბათ იცოდა, ვეტყვოდი: ”შენ ჩემსაზე უკეთესი მანქანა გაქვს და შენ რატომ არ გაყიდი-მეთქი”...

– არა, კაცო, რევიზია კი არა, ის არ გინდა? ალბათ საამქროს გადიდება გადაწყვიტა ან უკეთესი საქმის წამოწყება! – არ დაინდო ძმა გულნაზიმ.

– ჰო, – დაეთანხმა ფანო, – მასეთ ხალხს ფული ყოველთვის აქვს და ყოველთვის რაღაც საქმისთვის კიდევ აკლიათ, სულ წუწუნებენ, უფულობას უჩივიან და დაწანწალებენ ვინმესგან კიდევ სასესხებლად. გადავრჩი, ხომ იცი, ახალი მანქანის ყიდვა მოვასწარი, თორემ ახალ ვალს იმ ძველ ვალებს დაუმატებდა, რომლებიც კარგა ხნის წინ აქვს ჩემგან აღებული!

– რამ გადარია ეს კაცები ავტომობილებზე?! – ღიმილით ამბობს ბოცო. – ჩემს ყმაწვილკაცობაში თავადები ქიშპობოდნენ ასე – ჯიშინი ცხენებით, კაი ბედაურით იწონებდნენ თავს, ახლა – ერთმანეთს ეჯობებდნენ, ვის უფრო უკეთესი ავტომობილი აქვს...

– თავადები ერთმანეთს ეჯობებოდნენ ღვინის სმაშიც – ვინ უფრო დიდ ჯიხვს გამოსცლიდა, ვინ ვის დაათრობდა... ნამდვილი სიგიჟე იყო! – ამბობს ბებურ გაბმულაშვილი.

ფანო ამბობს:

– ზოგჯერ ორთქლის გამოშვებაა საჭირო, ხანდახან სიგიჟეც უნდა დაუშვა, შენებურად გააფრინო, თორემ, თუ დიდხანს იქნები ნორმის ფარგლებში, მერე შეიძლება, ძალიან დიდ უფსკრულში გადავარდე.

ბოცომ დაამატა:

– ახლა ძალიან ჩამორჩენილები ვართ, დიდი ვარჯიში დაგვჭირდება, რომ სხვებს დავეწიოთ; შეხედავ და ისეთი ჯიხვები უჭირავთ ხელში, ძლივს წევნ მალლა.

ფანომ წამოაყენა წინადადება:

– მოდით ასე ვქნათ: დღის პირველ ნახევარს ვიწყებთ ქეიფით, შემდეგ – მუშაობა, რომელიც ბევრად უფრო ხალისიანად წავა.

ბებურმა დაიჩივლა:

– წნევა მაქვს, ყოველდღე რომ დავლიოთ, ერთ კვირაში გამასვენებთ!

ფანოს გაეცინა:

– მე შენზე მაღალი წნევა მაქვს! არ იცი, რომ ღვინო სისხლძარღვებს აფართოებს? მაღალი წნევის წამალია, თუ გინდა, ექიმებს ჰკითხე, მოცდილებითაც გეუბნები!

ბებურ არ დაეთანხმა:

– ბიჭო, როცა დაღვე, ყოველმხრივ კარგია, გსიამოვნებს და სისხლძარღვებიც გაფართოვდება, მაგრამ მერე ხომ ისევ შევიწროვდება?

ფანოს ისევ გაეცინა:

– კაცო, შენც ხარ რაღა! ვინ აცლის შევიწროებას, ისევ დაგლევე!

– სხვანაირად არ შეიძლება, ალკოჰოლიზმთან ბრძოლის სოციალისტურ ვალდებულებებში ეს პუნქტიც უნდა შევიტანოთ: ყოველდღე – არაუმეტეს ერთი ლიტრისა!...

პანტიკო წინააღმდეგია:

– ჩემი ნორმაა – ორ ბოთლს დაგლევე, მერე თავისუფლად შემიძლია, სადაც მინდა, იქ წავიდე, ფეხი არ შემეშლება!..

ფანო სიცილით სთავაზობს:

– ცირკში წადი, იქ ლომებთან კოცნა მოგიწევს... ხომ იცი, ლომის კოცნა მაინც სხვაა, სხვა ფასი აქვს – სატრაბახოდ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გეყოფა!

* * *

ჩერნობილის ამბებთან დაკავშირებით ხალხი შეშინებულია, ცდილობენ, შეამოწმონ ნაყიდი სურსათი დოზიმეტრის საშუალებით. ამიტომ ყველა მიმართავს დოზიმეტრის “პატრონს” დადი დიდუანიძეს. დადი ჩივის:

– გამიწვალეს გული, დღე ერთია და არ იქნება, ათამდე კაცი არ შემოვიდეს და არ მოხვოს დოზიმეტრით პროდუქტების დასხივების ხასიათი. განსაკუთრებით ერთმა შემიკლა ხელში – გაჟამ. ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე მაკითხავს და რას აღარ მამოწმებინებს: მანდარინს, ჩაის, ხილს... რა თქმა უნდა, “პრეზენტად” თითო-ოროლა ვაშლს, მსხალს, მანდარინს და ასე შემდეგ, რას აღარ მიტოვებს ხოლმე. ოღონდ თავი დამანებს, თვითონ იქით მივცემ, რაც უნდა... ერთი გოგო მოვიდა, კაი გოგოა, მომწონს და მას ვაუწყე ეს ამბავი, თან ვაშლი შევთავაზე. “დაუსხივებელია! – სიცილით ვუთხარი, – ორჯერ გამაზომებია გაჟამ, ერთხელ გაზომილს არ ენდო!”. გოგომ გაიცინა და მადლობა გადამიხადა. ერთი კვირის შემდეგ გამომიტყდა: “გაჟამე რომ მომიყვები და ვაშლი შემომთავაზე, შემრცხვა და ვეღარ გითხარი: მეც მქონდა მოტანილი მანდარინი და რადიაციის დონის გაზომვა მინდოდა...”.

* * *

ყოველდღიურობაში ხანდახან ისეთი რამდენიმე დღეც გამოერევა, უფრო ცინცხალი რომ არის, რაიმეთი გამორჩეული. უბანში ცნობილი ბოზების, ეთერ და ცისკარა მგალობელიძეების ცხოვრებაში ასეთი დროება რამდენიმე თვეს გაიწვალა და მთელი სახლი ააღაპარაკა...

ერთხელ “საქმიანი ვიზიტის” შემდეგ წასვლის წინ ერთმა სერიოზული გარეგნობის კაცმა ეთერს უთხრა: “აი, ეს უცხოური კონიაკიანი ბოთლი რომ გაქვს კარადის თავზე, ან მაჩუქე, ან მომიყიდე! შინ კონიაკების დიდი კოლექცია მაქვს!”. დიდხანს ედიჭინებოდა, მაგრამ ეთერმა უარი უთხრა, არ მისცა – გამორჩეული მუდმივი კლიენტის მიერ იყო ნაჩუქარი და დათქმული ჰქონდათ, ერთად უნდა დაეღიათ...

ცოტა ხანში ეთერ, ცისკარა და ეთერის ქალიშვილი მზეონა ქუთაისში წავიდნენ – დებს დე და გარდაეცვალათ. როცა ერთ კვირაში შინ დაბრუნდნენ, ბინა გატეხილი და გაძარცვული დახვდათ – იატაკის საძრომიდან იყო შესული ქურდი. შეხედა ეთერმა – კარადის თავზე ბოთლები ყველა იყო, გარდა იმ ერთი უცხოური კონიაკისა...

მილიციაში შეატყობინა, ესა და ეს კაცი იქნება ჩვენი გამქურდავო, რას ვიფიქრებდი, დარბაისელი პიროვნების იერი ჰქონდაო; ან ნივთები დამიბრუნოს, ან ფული მომიცესო.

გამომძიებელი ხშირ-ხშირად აკითხავდა დებს, ჰპირდებოდა, ასე და ასე, კარგად მიდის საქმე, მალე დაგიბრუნებთ წაღებულს ყველაფერსო და თან მუქთაზე ხან ეთერს ჩაუწევებოდა ლოგინში, ხან – ცისკარას.

მერე მეორე გამოძიებელიც გამოჩნდა, მათ იგივეს ეუბნებოდა და არც ის ამბობდა უარს დების კეთილგანწყობაზე...

გავიდა ერთი თვე, მეორე – გამომძიებლები კვირაში ორ-სამჯერ ხან ერთი მოდის, ხან – მეორე; დებისგან განსხვავებით, ორივენი ფრიად კმაყოფილები ჩანან... ეთერ და ცისკარა ახლა კი მიხვდნენ, რომ გამომძიებლები ამდენ ხანს ტყუილი დაპირებებით კვებავდნენ: ისინი ქურდის დაჭერას კი არ აპირებდნენ, ალბათ მას ფულს სცინცლავდნენ... ქალები აჯანყდნენ, გამომძიებლებს უთხრეს: “ახლავე დაიჭირეთ ქურდი და გაასამართლეთ, თორემ საჩივარს ახლა თქვენზე დაგწერთ!”.

ამ დამუქრებიდან რამდენიმე დღეში მილიციიდან მანქანით მობრძანდა ვიღაც მესამე კაცი, – უფრო ხნიერი, ჩასუქებული, ფრიად სერიოზული, ეტყობა, გამომძიებლების უფროსი, – და დებს შეაძლია ორასი მანეთი საქმის ჩასაფარცხავად. დებმა მცირე თათბირის შემდეგ თანხმობა განაცხადეს და ფულიც მიითვალეს... ამ მესამემაც წინამორბედებივით მუქთაზე გართობის სურვილი გამოთქვა რომელიმე ერთ-ერთ დასთან მათი მადლიერების ნიშნად, მაგრამ მას მტკიცე უარი სტკიცეს და თან დაემუქრნენ: “ამ ორასი მანეთით ვერ გამოხვალთ ქვეშიდან, კიდევ უნდა დაამატოთ თანხა; ერთ კვირას გაძლევთ, თორემ სამივეს აუცილებლად გიჩივლებთ, სადაც საჭიროა!”... თან ისიც არ დაუმაღეს, ვისი იმედიც ჰქონდათ – ერთი მათი კარგი ნაცნობი იყო, აღმასხან კვანჭილაური, – პროკურატურაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა და არაერთხელ გამძვრალა ისიც ვირთხასავით დების ბინის იატაკის საძრომიში... სხვათა შორის, სწორედ მისი მოტანილი იყო მოპარული კონიაკის ბოთლი და ამ საქმეში ერთგვარად ისიც დაინტერესებულ პირს წარმოადგენდა!

აღმასხანის ხსენებით და უკვე დაუფარავი მუქარით დებმა ნელ-ნელა ფული საკმაოდ “ამოქაჩეს” და დანაკლისზე ბევრად მეტიც აინახლაურეს...

რამდენიმე თვეში მილიციის წარმომადგენლები ისევ ესტუმრათ, ოღონდ სხვანი იყვნენ და სხვა საქმეზე, – ამჯერად, ბევრი ლაილასი გარეშე, ეთერ და ცისკარა მგალობელიძეები კანისა და ვენეროლოგიურ დაავადებათა დისპანსერში მიაბრძანეს... გამოკვლევის შედეგად ცისკარას

გადამდები ფორმის ათაშანგი აღმოაჩნდა და იძულებითი მკურნალობისთვის დისპანსერის სტაციონარში დატოვეს – აუცილებელი გახდა მისი ჰოსპიტალიზაცია სრულ გამოჯანმრთელებამდე. მთელმა ეზომ გაიგო, გარდა ფაციასი, რომ ცისკარას თავს დამტყდარი უბედურება მოჰყვა ბუხუტი კაიჩიტაძესთან ერთად მანქანით ქალაქგარეთ გასეირნებას: ალბათ როცა ბუხუტიმ ცისკარასგან მიღებული “საჩუქარი” დაინახა, მაშინვე ანონიმურად შეატყობინა მილიციას... თვით ბუხუტი სამკურნალოდ უჩუმრად გენეროლოგ ექიმს შინ აკითხავდა; მართალია, გვარიანი თანხა დაეხარჯა, მაგრამ სახინკლეში მისი არყოფნა უფრო ძვირი დაუჯდებოდა, ხოლო ცოლს, ფაციასს, რომ გაეგო მისი კარგა ხნით გაუჩინარების მიზეზი, ამას რა შედეგიც მოჰყვებოდა, ეს კიდევ ცალკე საკითხავია...

კარი XI. თანამედროვეობა ჯიქურ შემოიჭრა ოჯახში, მე კი გარეთ, ქუჩაში გამიძახეს...

ფანო ჩამოვიდა საველე სამუშაოებიდან, – რამდენიმე დღით ან ერთი კვირით შინ დაისვენებს, – შინ არავინ დახვდა. ბაბო სულ შინ ზის, ის სადღა დაიკარგა? ალბათ მეზობლებში საჭიროად გავიდა... ფანომ ჩაისთვის წყალი შედგა ასადულებლად, ტანსაცმელი გამოიცვალა, ხელპირი დაიბანა, კერძი ქვაბიანად გააცხელა – ლობიო – და ის-ის იყო, ჭამას უნდა შედგომოდა, რომ ტელეფონმა დარეკა. აიღო ყურმილი.

– გამარჯობა! – გაისმა ყურმილში თითქოსდა ნაცნობი ხმა. – ბოდიში, ლევან სავერდაძე გაწუხებთ...

– მე ასეთს არ ვიცნობ! – მკვანედ მიახალა ფანომ და დაახეთქა სრულიად უდანაშაულო ყურმილი. ფანო ფიცხია – ოჰო-ჰო, სულ არ იფიქრებ, რომ გაწონასწორებული, დინჯი ბრიტანელის შვილიც არის – ეტყობა, მამისგან მხოლოდ თვალების ლურჯი ფერი დაჰყვა, დედის მხრიდან კი – სიცხარე. ადამიანები ხშირად არიან უსამართლონი და ცხელ გულზე თავიანთ წარუმატებლობას, გულაცრუებას და სხვა უიღბლობას სრულიად უდანაშაულო საგნებზე იყრიან ხოლმე ჯავრს, ზოგჯერ – ცხოველებზე ან ადამიანებზეც კი, თუკი დაბალ ღობედ მიიჩნევენ... ჩვენ რა დანაშაული მიგვიძღვის? ალბათ მხოლოდ ის, რომ საპასუხოდ ხმის გაცემა არ შეგვიძლია და ვერც სამაგიეროს ვუზღავთ... სამწუხაროდ, ბევრჯერ მქონია “ბედნიერება” თვითონაც საკუთრივ მეწვია, როგორც ამგვარი “მეხამრიდის” როლის შესრულების “სიამე” – მუშტის ბრაგუნის, უთოს დახეთქება... სამახსოვროდ ბევრი ნიშანიც დარჩენილა ჩემს ზედაპირზე, ზოგი – გვერდებზეც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხებზეც კი.

ოთახში შემოვიდა ბაბო, გაბრაზებული ფანო დივანზე წამოწოლილი ისვენებდა და ხმა არ გასცა – თვალები დახუჭა, თავი მოიმიძინარა.

როცა გულნაზი დაბრუნდა სამსახურიდან, თან სკოლიდან უმცროსი ბიჭი, ნანუჩაც მოიყვანა; ფანომ ბაბოს ჰკითხა, სხვა ბავშვები სად არიანო. შიო ამხანაგთან იყო წასული (მოიმიზეზა – ვითომ წიგნი არ ჰქონდა!), ერთად უნდა ემეცადინათ ინგლისურში.

ფანო აღრენილია:

– მაგის თავის გახეთქვამ, ქართული ბრწყინვალედ იცის – უბრალო განცხადებას ვერ დაგიწერს, რომ ოცი შეცდომა არ დაუშვას – და ახლა სხვა ენებს ჩააბულებულებს! გოგო სადღა დაბოდიშალობს?..

– იტიტინე ლექციებიდან ახლა უნდა მოვიდეს... – გულნაზიმ შეხედა კედლის მოწიკწიკე საათს და ოდნავ შემოფოთებულმა იკითხა: – ეს საათი სწორია? უკვე ნახევარი საათის მოსული უნდა იყოს... შიოს რას ერჩი, ცუდად არ სწავლობს, რადაცეებს წერს კიდევ თავისთვის...

ამ დროს მოვიდა შიო, ყველამ ივანშია. ფანო ხმის ამოუღებლად იჯდა, დაღლილი იყო; თან უყურებდნენ ტელევიზორს – გადასცემდნენ უკანასკნელ ცნობებს.

შიოსა და ნანუჩას ფეხბურთის ყურება უნდოდათ, გულნაზის – რაღაც გაუთავებელი მექსიკური სერიალის – ერთმანეთს არ აცლიდნენ, ატრიალებდნენ არხების გადამრთველს, უტრიალებენ ფანოს გულსაც – მათ გაბრაზებულმა უყვირა:

– გაეთრიეთ ყველანი აქედან! კაცი მივლინებიდან დაგბრუნდი, ნერვებმოშლილი, გადაღლილი და ქვეყანაზე რა ხდება, ამის გაგების უფლება აღარ მაქვს საკუთარ სახლში?

ცოლი და ბიჭები არასადაც არ წასულან, დარჩნენ, ხმას აღარ იღებდნენ, ქალიშვილი არა და არ ჩანდა...

გულნაზი:

– დღეს ბოლო ლექცია ჰქონდა არდადეგების წინ, მერე ბაკურიანში აპირებდა წასვლას...

შიომ წამოიძახა:

– მეც მინდა ბაკურიანი!

ათი წლის ნანუჩა ძმას აჰყვა:

– მეც!

ელიან, ელიან იტიტინეს... უკანასკნელი ცნობების შემდეგ ფილმი დაიწყო, იმასაც უყურეს – ქალიშვილი დაიკარგა...

დედ-მამა წრიალებენ, შფოთავენ, ბაბო სულ რაღაცას ბურტყუნებს, პირჯვარს იწერს...
 – ტელეფონით მანაც დაერეკა!.. – ამოიხვნეშა გულნაზიმ.
 ფანომ გულნაზის სიტყვებზე რაღაცა იაზრა:
 – იმ მაიმუნმა დარეკა, ჩვენი სიძეობა რომ მოიწადინა, თავხედი!
 გულნაზიმ შემოირტყა ლოყაზე ხელი – ქალი უფრო მიმხვედრია!
 – ლევანმა? უი, იმას ხომ არ გაჰყვა?
 – ქალო, შენ ხომ არ გაგიჟდი, ჩემი ხელით მოგკლავ ორივეს! – სულ მთლად გაანჩხლდა ფანო.

ღამის ორი საათი შესრულდა, ბჭობენ, რა ჰქნან?
 ფანო გაგარდა გარეთ, გულნაზიც მიჰყვა, კაცმა ქალი შინ შემოაბრუნა, მე მიხედავ მაგ საქმესო.

ფანო ჩაჯდა მანქანაში და მივიდა ქალიშვილის უახლოეს ამხანაგთან.
 – დიახ, პატივცემულო, – გამოტყდა იგი, – იტიტინე და ლევანი ერთად წავიდნენ სადღაც... მე კი აი, რა შევიტყვე სატელეფონო საუბრების მეოხებით.
 დიდი ხნის ძებნის შემდეგ ფანომ მიაგნო ლევანის მშობლებს – არც ლევანი აღმოჩნდა შინ, მისი მშობლებიც დიდად შეშფოთებულნი იყვნენ შვილის გაუჩინარებით... მოულოდნელი სტუმრებისგან გაიგეს, რომ თურმე ლევანს მათი გოგო მოსწონდა და ახლა ალბათ ერთად გაიპარნენ... შინ დაბრუნებულმა ფანომ გულნაზისთან ერთად უამრავი რამ გაიხსენა...

როგორი წინააღმდეგნი იყვნენ ლევანთან მათი ქალიშვილის მეგობრობისა: “რა შენი ტოლია, ვერ ხედავ, მშობლები ვინ ჰყავს?” (დედა საავადმყოფოში მუშაობდა ექთანად, მამა მუშა იყო ქარხანაში); აუკრძალეს ქალიშვილს ვაჟთან სიარული. მიკვირს, ხომ იცი: რას იბრძობოდა ფანო, გინდაც ინგლისელი ბარონეტის შთამომავალი ყოფილიყო? ან, მით უმეტეს, გულნაზი – რომელი თავადური მოღვაწის სისხლი უჩუხჩუხებდა მას ძარღვებში?

ფანომ გაიხსენა: ერთხელ იტიტინემ უთხრა მშობლებს: “კინოში მივდივარ, ჩვენმა მეზობელმა პაატამ დამპატიჟა, სხვებიც მოდიანო” და გარეთ გავიდა.

ფანომ გადაიხედა ფანჯრიდან და თვალი მოჰკრა, რომ მის ქალიშვილს ლევანი შეხვდა ქუჩაში და ერთად წავიდნენ.

როცა ქალიშვილი შინ დაბრუნდა, ფანო ეჩხუბა, უყვირა და კინაღამ სცემა კიდეც – მეორედ რომ დაგინახო კიდევ იმასთან გაგლილი, შინ აღარ შემოგიშვებო...

გულნაზიმ კი გაიხსენა, რომ წინა ზაფხულს, როცა ისინი მოსკოვში იყვნენ, იტიტინე გაეპარათ ერთი დღით და ახლად გამოუტყდა ქმარს – ლევანის სანახავად წავიდა მაშინ ჩვენი გოგო (ლევანი იქ ახლოს იხდიდა სამხედრო ვალდებულებას). ამაზე ფანო გულნაზის ეჩხუბა, რატომ მაშინ არ მითხარი, ახლა ამას აღარ გაბედავდაო.

გულნაზიმ უპასუხა:
 – ისე უხეშად რომ არ ეპყრობოდე, სწორედაც არ იზამდა ასეთ რამეს, არ გაიპარებოდა!..

რამდენიმე დღის ძებნის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ თურმე გოგო-ბიჭი სოჭში წასულან – იქიდან დარეკა ლევანმა მშობლებთან. ბიჭი სოჭში წასვლის წინ სადგურიდან რეკავდა ნარცეცხლაძეებთან, უნდოდა, შეეტყობინებინა ამბავი, მაგრამ “სასიამორომ” დაუგდო ყურმილი...

როცა ორი კვირის შემდეგ იტიტინე და ლევანი დაბრუნდნენ, ფანოს ჯერ არ განელებოდა გაბრაზება, იძახდა, იტიტინეს არავითარ შემთხვევაში არ ვაპატიებო, რაც მაგან მე გამამწარაო, ბაკურიანშიც კი ავედი მაგის საძებნელადო...

რამდენიმე თვე გავიდა და ფანოს გული მოუღბა; გადაწყვიტეს, ახალი მოყვრების უფრო ახლოს გასაცნობად მოკრძალებული სუფრა გაეშალათ, მხოლოდ ორი ოჯახის წევრთათვის – ქორწილის თავი ჯერჯერობით არ ჰქონდათ; თუმცა როგორი მოკრძალებული გამოვიდა ეს ღვინო, ახლავე მოგახსენებთ (ფურცელი, რომელზედაც საბოლოოდ ჩამოწერეს საჭირო ხორაგეულის და სასმელ-საჭმელის სია, ჩემს ზურგზე იყო დადებული). ხორაგეულის ის სია უკვე იმ დროების ისტორიული საბუთია და, გარდა ამისა, იქნებ ვინმეს მომავალში დაეხმაროს კიდევ ამგვარი “მოკრძალებული” სუფრისთვის მენიუს შედგენაში!

მაშ ასე, ჩამოვთველი უცვლელად, როგორც იმ ფურცელზე წერია ფანოს ხელით:

“თორმეტი კაცისთვის
 (მეორე დღეს ღვინის გაგრძელების გათვალისწინებით):

1. ერთი ბეჭი – 5 კგ.
2. ორი გოჭი – 6 კგ.
3. ხუთი ქათამი (გინდ შემწვარი, გინდ მოხარშული).
4. მწვადი სუკის – 3 კგ, ღორის.
5. კუჭმაჭი – 12 ულუფა, 3,5 კგ.
6. თევზეული: ა) სამი კილო ზუთხი, ბ) ცოცხალი – სამი კილო (კალმახი ან ხრამული), გ) ხიზილალა – 0,5 კგ წითელი და 0,5 კგ შავი.
7. ფხალეული ნიგეზით – 3 კგ.

8. ჯონჯოლი – 3 კგ.
9. წიწაკა – 1,5 კგ, ნივრის მწნილი – 1,5 კგ.
10. ვინეგრეტი – 3 კგ.
11. ყველანაირი მწვანე მწიფე მწიფე – 3 კგ.
12. პური – 6 კგ (შოთის).
13. ჭადი – 4 კგ (კეცზე გამომცხვარი).
14. ღვინო იმერული – 20 ლიტრი, კახური – 20 ლიტრი.
15. მწყერი – 12 ცალი.
16. ოსტრი სალიანკა ან სოუზი – 12 ულუფა.
17. სულგუნი – 4 კგ.
18. ყოველგვარი საწებელი.

საშლამა – 5 კგ, ბორჯომი, ტბილეულობა – ნამცხვრები, ტორტი.” (ნომრის გარეშე ქვევით მიუწერიათ სხვა ხელით).

როგორ მოილხენდნენ, ამაზე აღარაფერს ვიტყვი; ზემოთხსენებული მენიუს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეჭვიც არ მეპარება, რომ ნებისმიერი ამ წიგნის მკითხველი უარს არ იტყვოდა იმ სუფრას დასწრებოდა, თუნდაც მეორე დღეს – “ნამცხვრებაზე”...

ის კი აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ პირველ დღეს შუა ღამის მოულოდნელად გამოჩნდა გულნაზის ძმა, ბატონი ჯუმბერი.

– ოჰ, ჩვენს ძვირფას და სანახავად სანატრელ ცოლისძმას გაუმარჯოს! – გაიღიმა ფანომ და ფეხზე წამოდგა. – აბა, ეს ერთი ყანწი გამომართვი!.. კარგ დროს მოხვედი, ხომ იცი, ჰოდა, შემოსწრებულისა დალიე!

– კარგ დროს კი არა... რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი...

– რა იყო, ხომ მშვიდობაა?

– ასეთი მშვიდობა ჩემს მტერს, ჩემი ბიჭი ცუდ ამბავში გაეხვია... მანქანა დაარტყა გამველეს და, კიდევ კარგი, არ მოკლა, მაგრამ ფეხი კი აქვს მოტეხილი.

– მომილოცავს, კარგად გადაჩენილხარ!

– ე-ჰ... დაზარალებული საავადმყოფოში მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას მოითხოვს და იმის ზევით – კიდევ სამი ათასს, ფიზიკური ზარალის კომპენსაციისთვის... ორი ათას მანეთსაც შუამავალი, გამომძიებელი მქაჩავს... აქეთ კიდევ მანქანაც დამჩა გასარემონტებელი... მანქანა მერე ხესაც შეეჯახა და დაიმტვრა, ეგ არაფერი, ნელ-ნელა აღვადგენ, მაგრამ შვილი ციხეში როგორ გაეშუშა?

მართლა ქვის გული უნდა გქონდეს, რომ ამ დროს გაჭირვებულს ფული დაუჭირო...

– ზუსტად ექვსი ათასი მანეთი მქონდა: პაპისეული სახლი გაყიდეს სოფელში და წილი მერგო, მაგრამ სწორედ გუშინ ერთ ჩემს ახლო მეგობარს საჩქაროდ დასჭირდა და ნახევარი წლით ვასესხე... – ეუბნება ფანო. – ბიჭო, შენ ხომ აგარაკი გაქვს ქვემო წყნეთში, ის გაყიდე და სხვა იყიდე ზემო წყნეთში, იქ სახლები ბევრად უფრო იაფია, ფულიც დაგრჩება... ან ეგ ნაავარიები მანქანა რაღად გინდა, ცოტა შეაღამაზე და გაყიდე!

– ჰო, კარგი, ვიფიქრებ ამაზე... ბოდიში, რომ შეგაწუხე... ერთი სიგარეტი მომაწვეინეთ... – წაიდუღუნა ნირწამხდარმა ჯუმბერმა.

ფანოს მძახალმა ჯუმბერს სიგარეტი მიაწოდა (სუფრაზე მსხდომთაგან მწვეელი მხოლოდ ის იყო):

– აჰა, მშვიდობაში მოწიე – “კოსმოსი” კარგია, კიბოს არ აჩენს, ჭლექს აჩენს!

ჯუმბერმა სიგარეტი გამოართვა, იქვე მოუკიდა და მაშინვე წავიდა: საღვინო სუფრამ ვერ მოხიბლა და ერთი ჭიქაც კი არ ასწია – ზრდილობისთვის მაინც დაელოცა ახალშეუღლებულნი...

– კიდევ კარგი, – მეორე დღეს დილით უთხრა გულნაზის ფანომ, – ფულის სხვისთვის გასესხება მოვასწარი, თორემ შესაძლებელია, ჯუმბერი შემცოდებოდა და ფული დაეცინცლა... ავარია ხელდახელ მოიგონა, მასეთ რამეში დიდოსტატია, მე რას გამაცურებს. ეტყობა, რაღაც საქმეში უნდა დააბანდოს და მერე წლობით უნდა სდიო, რომ იქნებ თანხის ნაწილი მაინც დაიბრუნო... მე სხვა რამ მიკვირს: ნათესაობაშიც კი ჯერ არავისთვის მითქვამს და მან საიდან გაიგო ასე უცებ, რომ სახლი გავეყიდეთ? სულ სამი თუ ოთხი დღეა ფულის მიღებიდან გასული და სასესხებლად მომადგა, საიდან აქვს ასეთი ყნოსვა? საოცრებაა!..

შუადღეზე ფანოს ძმაკაცები მოვიდნენ, თამადად პანტიკო იყო და, როგორ ფიქრობთ, წინა დღიდან მორჩენილი ღვინო ეყოფოდათ?

* * *

ერთხელ უმცროსი ბიჭი, ნანუჩა, სკოლიდან დაბრუნდა და მაშინვე თავი ჩარგო წიგნში. ეს წიგნი იყო ახალი, განმარტებული დეტექტიური რომანი. გულნაზიმ რამდენჯერმე დაუძახა – საჭმელი მიირთვიო, მაგრამ ბიჭი ისე იყო გართული დახლართული ამბის კითხვით, დედის ერთი

სიტყვაც არ გაუგონია. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსული გულნაზი ჯიქურ მიეჭრა შვილს, ხელიდან გამოგლიჯა აგბედითი (როგორც შემდგომ გამოირკვა) დეტექტივი და ნანუჩას თავგადასავლების ბილიკიდან სამზარეულოს გზისკენ გადაახვევინა. მეგონია, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ნანუჩას ყველაზე დაძაბულ ადგილზე შეაწყვეტინეს კითხვა. ბიჭი ჩქარობდა წიგნთან დაბრუნებას და სპირიტუალური სისწრაფით გაუმკლავდა ყველაფერს, ალბათ კერძების გემო არც კი გაუგია; ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ მიიჭრა დედასთან წიგნის გამოსართმევად.

– ბოდიში, უკაცრავად!.. მაცალე! – დივანზე გემრიელად მოკალათებულ გულნაზის იმ წიგნის პირველი ათი გვერდი ჰქონდა უკვე წაკითხული და გვარიანად გაიხიარა კიდევ დეტექტიური ამბის ქსელში; შვილისთვის არ ეცალა, არც უკითხავს, რა და როგორ ჭამეო... ცხადია, ნანუჩას თხოვნას, დამიბრუნე წიგნო, ყურიც არ ათხოვია... – გამოტვინდები, შე საწყალო, ამდენი კითხვით, წადი დაისვენე და მერე გაკვეთილები მოამზადე! – ასე უპასუხა, ისე, რომ თავიც არ აუწევია წიგნიდან.

ნანუჩამ დაისვენა, მერე გაკვეთილებიც მოამზადა, მაგრამ წიგნს ისევ დედამისი გატაცებით ჩაჰკირკიტებდა და სულაც არ აპირებდა ვინმესთვის წიგნის დაბრუნებას.

იმანაც კი ვერ შეაწყვეტინა წიგნის კითხვა, რომ შინ ფანო დაბრუნდა სამსახურიდან და მეუღლეს მოუთმენლად მიმართა:

– ქალო, დადლილი მოვედი, ძალიან მშია და საჭმელი რატომ არ გაგიცხელებია?

“ქაღს” არაფერი ესმის. მეონი, ზედმეტია იმის ახსნა, რომ ის დეტექტივის დახლართული ამბების ყველაზე დრამატულ ადგილზეა და სანამ საიდუმლოს არ გაიგებს, სხვა რამისადმი ბრმა და ყრუა.

ფანო შვილივით მომთმენი არ გამოდგა, ხელიდან გამოდლიტა ცოლს წიგნი და აიძულა, დაძაბული, მოულოდნელობებით დამუხტული სიტუაციიდან ბანალურ ყოველდღიურობაში დაბრუნებულიყო.

თხუთმეტი წუთი გავიდა და გულნაზი ფანოს სამზარეულოდან მრავალჯერ უნაყოფოდ ეპატიებოდა, მაგრამ მის მეუღლეს არაფერი ესმოდა – ახლა მას აუღია ეს დეტექტიური რომანი, რომელსაც იგი ობობას ქსელივით თავფეხიანდ ჩაუთრევია...

* * *

ბებურ გაბმულაშვილის უფროს ვაჟს, ბარათას, გარდაეცვალა სიმამრი, ცოლის, კესოს მამა – პროფესორი კაცი, ჩუმი, ბუნჩულა, მშრომელი, ფუსფუსა (ბებურისა და ჟალიას გაუთავებელ ჩხუბსა და აყალმყალს ვეღარ გაუძლო მათმა რძალმა, კესომ და ერთი ხანია, კესოს დაჟინებული მოთხოვნით, ბარათა და კესო ამ უკანასკნელის მშობლებთან გადავიდნენ საცხოვრებლად).

საღამოს პანაშვიდზე მისასამძიმრებლად მივიდნენ ბებურის მეზობლები, ნახეს – მისი შვილი, ბარათა, რაღაცას საქმიანობდა ეზოში. რასაკვირველია, მიუსამძიმრეს ძვირფასი სიმამრის უდროოდ დაკარგვის გამო. ერთხანს გაჩერდნენ, ისაუბრეს.

– ვერ წარმომედგინა, თუ იგი ოდესმე მოკვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, მეგონა, ჯერ მე გამისტუმრებდა საიქიოს, – ჰყვება ბარათა. – მაგისგან ხმამაღალი ლაპარაკი არ გამოგონია. მუდამ გაწონასწორებული, პუნქტუალური... ჭამა თავის დროზე, შრომა, დასვენება, დროზე ძილი – რეჟიმის დაცვის ფანატიკოსი იყო. გერმანელივით პუნქტუალური ყველაფერში, თან ზომიერი – ამბითი ამდენი წლის სიძე ვარ და იგი მთვრალი არ მინახავს, წარმოგიდგენიათ? უჭკვიანესი კაცი... და უცებ – მიიმე ინფარქტი!

– ეგ რომ ჰკვირანი ყოფილიყო, შენ ქაღს გამოგატანდა? – ექილიკება პანტიკო.

– სულ შიშში ხარ, ხომ იცი, შინაურების გამო, რამე არ დაემართათ... – ამბობს ბარათა. – ვინდა არ წარმომიდგენია სიზმარში მკვდარი: ცოლი, შვილები, ჩემი თავიც – კუბოში რომ ვარ ჩასვენებული და მიმაცილებენ სასაფლაოზე ერთი ამბით... რამდენჯერ დამსიზმრებია და გულგახეთქილს გამდვიძებია... მაგრამ სიმამრი?

– შენ კი გაქვს თავი მოსაკლავი, – უთხრა ფანომ, – აგერ ოჯახში შვიდასი მანეთის თვეში შემომტანი კუბოში იწვეს და პენსიონერი სიდდერი ტვინს გილაცებდეს ცოცხალი...

ბარათას გაეცინა და მოსულებს შეეხვეწა:

– მე ზევით ავალ, ბინაში და თქვენ ამოდით, იქაც მომისამძიმრეთ! – უნდოდა, ცოლის ნათესავებს დაენახათ, როგორი პატივსაცემი ხალხი იყო მოსული მასთან...

რა თქმა უნდა, ხათრი აღარ გაუტენეს, მეორე სართულზე ბინაში ავიდნენ და ბარათას მეორედაც დიდის ამბით ჩამოართვეს ხელი და მიუსამძიმრეს. ფანომ ოთახიდან გამოსვლისას ბარათას ყურში ჩასჩურჩულა:

– ჩემო ბარათა, ხომ იცი, შენი დიდი დამფასებელი ვარ, არ მეზარება და თუ გინდა, ეზოში ჩავალ და ისევ ამოვალ, მესამედაც მოგისამძიმრებ...

ბარათას კინაღამ სიცილი წასკდა, სახეზე ხელი აიფარა...

ბარათა აივანზე იდგა, ოთახში შესასვლელთან და ისე იდებდა სამძიმარს. ახლა დროებით მიმსამძიმრებელთაგან არავინ ჩანდა; ბარათამ ფანო ეზოში გადაახედა და იქ შეჯგუფულ ხალ-

ხში დაანახა მაღალი, გამხდარი კაცი, რომელსაც სანახევროდ გაჭაღარაგებული ურჩი ქორთი მაღლა ჰქონდა აფშევილი:

– ფანო ბიძია, ის მაღალი ბიჭი რომ დგას, ჩემთან ერთად სწავლობდა, ერთ კლასში ვიყავით. გვარად ყოჩაძეა, ამირინდო ყოჩაძე, ახლა იქნება ჩემი ხნის, ალბათ ორმოცდაერთი, ორმოცდაორი წლისა... მისკენ რომ მიდის დაბალი ქალი – მისი ცოლია, მზია. სულ რაღაც სამი წლის შეუღლებულნი არიან, ბავშვიც შეეძინათ. მზიაც ჩემი თანაკლასელი იყო, ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ რაღაცით მაინც სიმპათიური გოგო იყო, ჭკვიანი. მზიას ამირინდო უყვარდა, ყველამ იცოდა ეს; ერთხელ თავიც კი მოიწამლა, მაგრამ გადაარჩინეს, ერთი ალიაქოთი ატყდა... ამირინდო მეტად თავისებური ყმაწვილი იყო – უსიტყვო, უთქმელი, მეტისმეტად ჩუმი. ჩვენ, მის კლასელებს, მხოლოდ გვესალმებოდა, არავითარ ცელქობაში თუ დროსტარებაში არ დებულა და მონაწილეობას, არავისთან მეგობრობდა, განდევნილს ვეძახდით. სწავლაში გულმოდგინებით არ გამოირჩეოდა, სამოსანი იყო, თუმცა ყველამ ვიცოდით მისი ნიჭიერების ამბავი, ძალიან ბევრს კითხულობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ფიზიკოსი გახდა, ხუთი თუ ექვსი უცხო ენა იცის, დისერტაციაც დაიცვა. ერთხელ მზია შემთხვევით შეხვდა ქუჩაში – სკოლის დამთავრებიდან კაი ოცი წელი იყო გასული. ამირინდომ უთხრა თურმე, წამო, კინოში წავიდეთო. მზიას თურმე გაკვირვებისგან ენა ჩაუვარდა... წაყვა და ორ კვირაში ქორწილიც გადაინადეს, მაგათი ხელისმომკიდე ვიყავი. არიან ახლა ბედნიერად...

* * *

ერთ კვირაში მოულოდნელად ბაბო გარდაიცვალა.

წინა დღით ჩვეულებრივ საქმიანობდა, მეორე დილას კი, ჩვეულებისამებრ ბაბოს მიერ ყველასთვის გამზადებული საუზმე და აღუღებული ჩაიდან მავიდაზე რომ არ დახვდათ, გაუკვირდათ; თურმე მოხუცი ძილში მშვიდად გაპარულიყო...

ჭირის სუფრაზე პანტიკო თამადაობდა.

ფანო სანამ შესანდობარს დაღევედა, საკმაოდ დიდი შესავალი გააკეთა, ნატრობდა:

– რა არის ადამიანის ცხოვრება – წამწამის ერთი დაფახულება... ნეტა მაცხოვრა იმდენ ხანს, რომ მენახა: რა იქნება ერთი ხუთასი წლის შემდეგ?

– ხუთასი წელი რა ამბავია, ასი ან ასორმოცდაათი არ გეყოფოდა? – ჰკითხა პანტიკომ.

– როგორ, ყვავმა სამასი წელი იცხოვროს, სპილემ – ხუთასი და ადამიანმა – ცხონებული დედაჩემივით – მხოლოდ სამოცდაათზე ცოტა მეტი?

– გინ გაცდის ამ სამოცდაათსაც! ჩემი ცოლისძმა ავარიაში მოხვდა, ჯერ ორმოცი წლისაც არ იყო... – თქვა ბარათამ.

– ჰო, ყველანი ცოდო ვართ, მაგრამ ყველაზე უფრო გამყიდველებია შესაბრაღისი! – მოულოდნელად ამბობს პანტიკო.

– გამყიდველი ხომ კაცი არ არის! – დაუდასტურა ფანომ.

– არა, კაცო, მე სამშობლოს გამყიდველებზე კი არა, მაღაზიის გამყიდველებზე გეუბნები, – აგრძელებს პანტიკო. – ჩემთან ერთად ფქვილს ყიდულობდა ჯადოს ცოლი – მწყერა. ეტყობა, ძალიან უჭირს, მხოლოდ ერთი კილოგრამიანი პარკი გამოართვა. მართლა მწყერივით ქალია, მანეთიანი მისცა და ხურდა ეკუთვნოდა კიდევ, ვატყობ, საშინლად შერცხვა, რომ მოეთხოვა... გამყიდველი კი ცივად არიდებდა თვალს, ვითომც აქ არაფერიო და არც აპირებდა ხურდის მიცემას. “ქალო, ქმარი ციხეში გიზის, ოთხი შეილი პირდაღებული ჭამას გთხოვს და რატომ უტოვებ ხურდას?” – თითქმის ძალით ვაიძულე, რომ ხურდა მოეთხოვა. მე კი დავუბრიალებდი თვალებს იმ გამყიდველს, მაგრამ ყოველთვის ხომ ჩემისთანა არ ეყოლებოდა გვერდით?.. რატომაა, რომ ბევრი ჩვენთაგანი უხერხულობას განიცდის, მორცხვობს და დედას კიდევ, როცა ხურდა უნდა მოითხოვოს მაღაზიაში ან სადმე სხვაგან... ასეც ხდება: თვალნათლივ ხელავ, რომ გამყიდველმა წონაში დაგაკლო, ცხვირწინ ურცხვად გატყუებს და შენ ვერაფერს ეუბნები, გრცხვენია, თვალებს ხრი... ის კი უსირცხვილოდ თვალებში გიყურებს, თან თითქოს დაგცინის კიდევ – აი, მე შენ გატყუებ და შენ კი, მშიშარო ლოკოკინავ, თამამად თვალებშიც კი ვერ შეგიხედავია ჩემთვისო”. მე შემომამქვს რამდენიმე წინადადება, ამხანაგებო, სწორედ ასეთი უხერხემლო მომხმარებლებისთვის, თქვენთვის, თორემ მე, მილიციის ფორმიან კაცს, ვერაფერს მიბედავენ და გინდაც ფორმა არ მეცვას, დედას გუტირებ. ჰო, რა წინადადებაა? როცა დაინახავ, რომ გამყიდველმა ოცი გრამი დაგაკლო, დააბრუნე უკან ნაყიდი და უთხარი: “შე კაცო, ოცი გრამი რა ჩემი ფეხები, თუ ასე გიჭირს, აიღე კიდევ ოცი-ოცდაათი გრამი, დმერთმა შეგარგოს!”; ან თუ მსხვილ ქაღალდში გაგიხვევს და იმასაც ორმაგად გაკეცილში, უნდა უთხრა: “პირფასო, ნუ მორცხვობ, გენაცვალე, ხათრი გამიწიე და კიდევ ერთი მაგდენი ამოუფინე, უკეთესი იქნება!”. იმედია, ჩემი წინადადება ყველას მოეწონება, რადგან იმის გრძნობა მაინც აღარ გექნება, რომ უსირცხვილოდ მოგატყუეს, შენ კი ვერაფერი უთხარი, თან დაგცინეს. ჩემი წინადადების მიხედვით კი ასეთი ფსიქიკური ტრავმა გამორიცხვულია და იქნებ გამყიდველებიც მორჯულდნენ, ჰა?

– პატივცემულო პანტიკო, – უთხრა ფანომ, – გეტყობა, უფრო ხშირად მაღაზიაში საყიდლებზე სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული დადინარ... არა, ამ მოვლენაში მხოლოდ გამყიდველებს

ნუ დავადანაშაულებთ. ხომ კარგად ვიცით, რომ მაღაზიის გამგემ რომ ბაზიდან საქონელი მოიტანოს, იქ ვიღაცას რაღაც თანხა უნდა ჩაუჯიბოს, ისე სხვას მისცემენ, ვინც არ იძუნწებს... მე რე, ყოველ გამყიდველს ხომ რაღაც უნდა დარჩეს, მათხოვრული ხელფასი აქვს და არცთუ იოლი სამუშაო, ასე არ არის? ვალდებულია, მაღაზიის დირექტორს თუ გამგეს მისი წილი მისცეს, გამგეს ტრესტიში მიაქვს იმათი კუთვნილი წილი, ტრესტიდან სამინისტროსაც ეკუთვნის რაღაცა, სამინისტროც, თავის მხრივ, უნაწილებს ცეკას შესაბამის განყოფილებას... აი, როგორი ჯაჭვია და შენ გინდა, საწყალ გამყიდველზე გადატეხო მხოლოდ ჯოხი? ჰო, კიდევ: მაღაზიის გამგე “ა-ფინანსებს” სანიტარულ კონტროლს, მილიციას, სახანძრო დაცვის ხალხსაც კი... მე რომ მკითხო, შენზე საწყალი გამყიდველია, სულ შიშშია, დღეში რამდენ ლანძღვა-გინებასაც უნდა გაუძლოს... აბა, სხვა რა გზა აქვს? სადამოს შინ მივა და მთელი დღე ფეხზე დგომისგან წაქცევახუა, ჭამის თავიც არ აქვს, ბრტყელტერფიანობა და ფეხებზე ვენების გაგანიერება კიდევ ცალკე ჯილდოა...

– მე ეგ სხვისგან არ მესწავლება: დალაღმანო ოც წელზე მეტხანს მუშაობდა მაღაზიაში გამყიდველად, – ამბობს პანტიკო.

– აგაშენა ღმერთმა! – აგრძელებს ფანო. – ყველას წინაშე ვგრძნობ თავს დამნაშავედ! გამყიდველის წინაშე: ხურდა მოვთხოვე, ორი კაპიკის გულისთვის ღირდა მისთვის და ჩემთვისაც ნერვების მოშლა? ექიმის წინაშე: ვიძუნწე და ფულს ვინ ჩივის, ფილა შოკოლადიც კი ვერ გავიმეტე ფეშქაშად; აღმასკომში ერთ-ერთი თანამშრომლის წინაშე: ის ერთია, ჩვენ კი, დანარჩენები, – ათასი, რამდენი ოხერი გამოერევა მათ შორის და ყველას უნდა კვერცხი უგორო, თანაც როგორი ნაზები და მგრძობიარენი გახდნენ ყველანი – აუცილებელია, პატივისცემით მოეპყრო, პასუხი მაშინვე უნდა გასცე, ხმას არ უნდა აუწიო... უყურე შენ ერთი, ყველა თავადიშვილი გამიხდა!.. ჰო... სახლმმართველობაში ერთი უბრალო ცნობის ასაღებად ათჯერ რომ მიგიყვანენ და სულს ამოგხდიან, ისევე შენი ბრალია: სამი მანეთი რა გახდა, როგორ დაგენანა, ჩაგეცურებინა მის ჯიბეში ან მაგიდაზე დაგეგდო, შერცხვებოდა ადგება თუ რა; ისიც დაწყნარდებოდა და შენც მოისვენებდი ამდენი წოწილისგან!.. სამსახურშიც ხშირად მიდიხარ ნერვებმოშლილი: დილით წყალი არ მოდიოდა, არც ცივი და არც ცხელი, ჩაიც ვერ დალიე, ტრანსპორტმაც დაიგვიანა, უგულისყუროდ მუშაობ, რაღაცას აურევ, რაღაც დაგავიწყდება, აბა რა იქნება! ვიღაცა საყვედურს გეტყვის, შენც ვალში არ დარჩები და შეუდრენ...

– საამურია ცხოვრება!.. – იღიმება პანტიკო.

– ჰო, ცხოვრება საამურია! – ეთანხმება ფანო, – სულ ტაშ-ფანდური გვაქვს გაჩაღებული! მთელი ცხოვრება – ტრაგიკომედია ანუ კომედიისა და ტრაგედიის, მწუხარებისა და სიხარულის მონაცვლეობა, ზოგჯერ – ორივე ერთდროულად, ერთად... ქართველი კაცი სიკვდილსაც კი ღვინით – ჭირის სუფრით – ხვდება. აი, ამ სუფრაზეც სევდიანი განწყობილებაა განფენილი, მაგრამ ზოგჯერ, არა, ზოგჯერ კი არა, საკმოდ ხშირად – ღიმილიც გამოკრთება, სიცილიც კი გაისმის... ასეთია ჩვენი ბუნება – მწუხარებას სიცილით, ნათელით ვებრძვი... ეს ბუნებრივია: ადამიანი სიბნელე ვერ ჰგუობს, მას ნათელით ებრძვის – პანაშვიდებზე ანეკდოტების მოყოლა ტყუილად კი არ გვიყვარს. ქართველი კაცი იბადება სიმღერით და სიმღერით ისტუმრებენ იმ ქვეყნად... ჩვენ ახლა არც ისეთი ახალგაზრდები ვართ, ყველას რაღაც გვაწუხებს, წინანდებურად სმის თავიც აღარ გვაქვს, მაგრამ ქვეყნში როცა ვართ, როგორი ავადმყოფიც უნდა ვიყოთ, მიცვალებულის მოსახსენიებელი ჭიქა აუცილებლად ბოლომდე უნდა დავლიოთ... ერთი ამბავი გამახსენდა. სტალინის დროს ერთმა კაცმა სუფრაზე არ დალია სტალინის სადღეგრძელო, მაშინ ხომ არაფერი იფარებოდა და ეს ამბავიც არ დაიმალა – კაცი მოხსნეს სამსახურიდან... წერილი გააგზავნა კრემლში, ძალიან კერკეტი კაცი იყო, უშიშარი პიროვნება – ღვიძლი მაწუხებს და იმიტომ ვერ დავლიე დიდი ბელადის სადღეგრძელო, ამის გულისთვის სრულიად უსამართლოდ გამანთავისუფლეს სამსახურიდან... რა პასუხს მიიღებდა?... არაფერი – არც დაიჭირეს, არც არაფერი, ჰოდა, პასუხი ასეთი იყო: “არ არსებობს ავადმყოფობა, რომ ერთმა ჭიქა ღვინომ ადამიანი მოკლას!”... გაიგე?

– პირიქით, ერთი ჭიქა ღვინო არის წამალი! – ამბობს პანტიკო.

– სწორია, შეუძლებელია, რომ ერთმა ჭიქა ღვინომ ადამიანს ავნოს, არამცთუ მოკლას. ჰოდა, სანამ ცოცხლები ვართ, ეს ჭიქა ავწიოთ, სამარადისოდ ჩვენგან წასულ კეთილ ადამიანს წაგუქციოთ, ალბათ ბაბოც იქიდან სიამოვნებით შემოგვცქერის – თქვენც კარგად იყავით ყველნი; სანამ ცოცხლები ხართ, სიხარული ნუ მოგაკლებოდეთ, ვაი-ვიშითა და თავში ცემით ვინ გაიხარა, ცრემლის უზომო ღვრით ვის რა შეემატა, დასიებული თვალებისა და თავის ტკივილის გარდა? შვიდი ათეული წლის განმავლობაში ცხონებულმა რა არ გადაიტანა, ბევრი ღვინიც ნახა, უფრო მეტი – გაჭირვება და გულის ხეთქვა, მაგრამ მაინც ბედნიერი ქალი იყო – შვილიშვილებსა და პირველ შვილთაშვილსაც მოესწრო... ბოდიში, ჭირის სუფრას ბევრი ლაპარაკი არ უხდება... მაშ, ღმერთმა გაანათლოს წასულის სული, საცა არის!..

* * *

შესამჩნევად შეიცვალა დროება, მომრავლდა ბულგარული ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც თითოეულ ნომერში საპატიო ადგილზე აქვეყნებენ მასალებს, რომლებითაც თვალნათლივ შეიძლება დარწმუნდეს მკითხველი, რომ რამდენიმე საუკუნის წინათ მცხოვრები ერთი განთქმული წინასწარმეტყველი, ასტროლოგი, მაგიის დოქტორი და ასე შემდეგ, – სახელად ნოსტრადამუსი, – საოცარი სიზუსტით აღწერს ჩვენს დღევანდელობას... ამ ჩვენს განათლებულ დროს წერა-კითხვის უცოდინარს ვერ მოძებნი, გაზეთებს ყველანი კითხულობთ და ახლა აღარ შეგაწყენთ თავს მაგალითების მოხმობით, ერთ მოვლენას კი გვერდს ვერ ავუვლი, რომელიც ნოსტრადამუსს არ უწინასწარმეტყველებია – “გამორჩა!” – და რომელზედაც ინფორმაციის საშუალებებს პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული: XX საუკუნის მიწურულს მსოფლიოში – და განსაკუთრებით კი მის 16-ში, საბჭოთა კავშირში, – დიდად აყვავდა ცრურწმენა, დიდი გასაგალი აქვს მრავალრიცხოვან “სამეცნიერო” საზოგადოებებს, რომლებიც სწავლობენ სხვა პლანეტებიდან დელამიწაზე ჩამობრძანებულთა ოინებს... ნოსტრადამუსმა ვერც ის განჭვრიტა, რომ – ისევ გავიმეორებ – ამ ჩვენს განათლებულ საუკუნეში რელიგიური შეუწყნარებლობა სისხლიან შეტაკებებს გამოიწვევდა “ბნელი” შუა საუკუნეების დარად, ცრურწმენანი იმდენად გაიფურჩქნებოდნენ, რომ ათეისტობა ლანძღვისა და შეურაცმყოფელი გამონათქვამების საბაბი გახდებოდა...

შიო დაქორწილდა!

და მაშინვე ცხადი გახდა, რომ ოჯახში ახალი თაობის წარმომადგენელი შეემატათ, “მოწინავე” ესთეტიკური იდეებით: ფუნქციონალიზმი, კონსტრუქტივიზმი, “მიზანშეწონილობა”, “მოხერხებულობა” – ყველაფერს თრგუნავს. ნარცეცხლაძეთა გაჩხინკული რძალი, შიოს ცოლი, მაკა, ორმოც კილოგრამს რომ ძლივს იწონიდა, ისიც ტანსაცმლიან-ფეხსაცმლიანად, ოჯახში რვეოლუციური გარდაქმნების მოთავე გახდა: ნარცეცხლაძეებმა “თანამედროვე” ავეჯი იყიდეს (ამის გამო ფანო ვალებშიც კი ჩავარდა!), ხის ნატამალიც კი რომ არ ჰქონდა – მხოლოდ ლითონი და პლასტიკატი – და მე “ჩამომამქვეითეს”, გამაგდეს სამზარეულოში: “მოძველებულია და იქ კიდევ მოგვემსახურება”; ახალგაზრდა პატარძალი გამარჯვებულის ღიმილით ამბობს: “ძლივს არ ამოვისუნთქეთ ამ ძველმანისგან!”.

დამსახურებულ წიგნის კარდასაც გაუძახეს გარეთ, აივანზე; იგი შეცვალეს რუმინული წიგნის თაროებით! ნაღდად კარგია ეს პრიალა თაროები, მაგრამ წიფლის ხის მშვენიერმა კარადამ რაღა დააშავა?

დაჰკიდეს ახალი ჭადი! დიდი, რაღაც ვითომ-ბროლის შუშებით აჭრელებულ-აჭიატებულ, თვალს რომ ვერ გაუხწორებ... კვირაში თითო ნათურა მაინც გადაიწვება ხოლმე, უზარმაზარი დენის ხარჯი კიდევ სხვაა! მაგრამ: მოდაა, გენაცვალე, ყველაფრის მოკარნახე, ცხვრის ფარასავით მიჰყვებიან მას, გაიოლდა ცხოვრება – საკუთარი ტვინის ჭყლეტას გადაურჩები, საკუთარი გემოვნებაც რაღად გინდა!

რასაკვირველია, ძველი ტელევიზორიც გადააგდეს, ახალი, უფრო დიდი იყიდეს... ძველს ვიყავი შეჩვეული, საერთოდაც ყველაფერი ძველი, ძველებური მირჩევნია და რა ვქნა, ასეთი ბუნებისა ვარ, ახალს ძნელად ვეგუები.

შესანიშნავი ძველებური, მამაპაპური ქანქარიანი საათი, რომელიც ყოველი ახალი საათის დადგომას მელოდიური ჰანგით გვამცნობდა და თან გვატკობდა, საკომისიო მაღაზიაში წაიღეს და კედელზე მრგვალი ელექტრული საათი დაამაგრეს – ბევრად ზუსტი არის, ნაკლებ ადგილსაც იჭერსო... იმას კი არად დაგიდევენ, რომ სად იატაკზე მყარად მდგომ ხის ვიწრო, მაღალ კარდაში ძველი საათის ქანქარის დინჯი, მოზომილი სვლა, რომელიც დროის მდინარების ურყევობას, ცხოვრების მდგრადობას, სიმშვიდეს უსვამს ხაზს და სად ახალი საათის ცანცარა წიკ-წიკი, წამის ისარიც რომ შემოფოთებული ციებიანივით სადღაც გარბის, გარბის... თანაც ეს მრგვალი ელექტრული “თვალი” დროისა, კაცმა არ იცის, როდის ჩამოვარდება კედლიდან და იატაკზე მოადენს ბრაგვანს!

რაღა თქმა უნდა, ჩემმა რიგმაც მოაღწია და მე აღრინდელი “ჩამოქვეითება” აღარ მაკმარეს, სამზარეულოშიც აღარ გამაჩერეს: “ძალიან დიდია, მძიმე, თან – დაძველებულიც და ფორმით მოძველებულიც, თანამედროვე სამზარეულოს ავეჯი ბევრად უფრო მოხერხებულიაო” და ერთ მშვენიერ დღეს აივანზეც კი არ მიმიჩინეს ადგილი, საერთოდ მომიცილეს თავიდან – გარეთ გამიძახეს და ქუჩაში აღმოჩნდი ნაგავთან და “განახლების” ჟინით შეპყრობილი მოსახლეობის მიერ გადაყრილ “მოძველებულ” ნივთთა შორის...

კარი XII. ქუჩაში მოვეწონე ერთ მხატვარს...

შუახნის წვეროსანი მხატვარი ბოჩია ბოჩაღეიშვილი სოლოლაკში ღამის პეიზაჟებს ხატავდა ხოლმე – შეყვარებულია ღამის თბილისზე! – და ერთხელაც, როცა გამთენიისას მორიგი სეანსიდან შინ ბრუნდებოდა, ქუჩაში, საკუთარი სახლის შორიანხლოს, მაცხოვრებლების მიერ გადაყრილ სხვა ხარახურასთან მიგდებული ერთი ძველი მაგიდაც დაინახა – ეს მე ვიყავი... ნარცეცხლაძეების ოჯახში ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ერთგული სამსახურის შემდეგ ასე დამიფასეს ამაგი!

რა თქმა უნდა, ბოჩიამ მაშინვე მიცნო: რამდენჯერ მჯდარა ჩემთან და მშვენივრადაც მოუღ-
ხენია! გარდა ამისა, მხატვრის თვალითაც მოვწონდი – აფასებდა ჩემს დახვეწილ დიზაინს, რო-
გორც თანამედროვე მოდას აყოლილი ახალთაობის წარმომადგენლები იტყოდნენ.

“ვაჰ, ასეთი ბრიყვი მეზობელი თუ მყავდა, ვერ წარმოვიდგენდი! – გაიფიქრა ბოჩიამ. – ასეთი
მაგიდის გადაგდება იქნება? უკეთესი რა უნდა იყიდო? ამ ნაგავთან მაინც რაღას მოათრევდა,
ვინმე გაჭირვებულსთვის ან ჩემთვის მაინც მიეცა?”.

კიდევ კარგი, ბოჩიას შორს წასვლა არ დასჭირვებია, მიიბრინა შინ, დატოვა იქ საეტიუდე
ყუთი და ტილოზე ამ დამით შესრულებული საშუალო ზომის სურათი და საჩქაროდ დაბრუნდა
ჩემს წამოსადებად. ამ ქუჩაზე, სანაგვე მანქანების გარდა, სხვა სატვირთო მანქანების მოძრაობა
აკრძალული იყო, ამიტომ ბოჩიამ ჩოჩიალ-ჩოჩიალით მიმართა თავის ეზოსთან; ამ დროს სამუ-
შაოდ გამოსული ნაცნობი მეზოვეც დაინახა და მისი დახმარებით სარდაფშიც ჩამიტანა... ეს
საკმაოდ დიდი სარდაფი მის სახელოსნოს წარმომადგენდა და უკვე ათ წელიწადზე მეტია, – მას
შემდეგ, რაც ცოლს გასცილდა, – აქ გადმოვიდა საცხოვრებლად. ახლა მარტო ცხოვრობს,
უყვარს მარტოობა, განდევილს ეძახიან; მჭიდრო ურთიერთობა მეზობლებთან არ აქვს, თუმცა
მასთან ხშირი სტუმრიანობაა და განსხვავებული სტუმრებიც ჰყავს – მისი ძმაცაცები უმთავრე-
სად შუახნის მხატვრებია, ვისთანაც ერთად სწავლობდა ჯერ სამხატვრო სასწავლებელში და
შემდეგ – სამხატვრო აკადემიაში.

ცოლი, ლუკრეცია ბატიკვერცხაძე, ბოჩიას ვითომ ღოთობის გამო გასცილდა, უფრო სწო-
რედ – საკმარის ყურადღებას არ მაქცევ, შენი სურათებისა და ღოთი ძმაცაცების მეტი ქვეყნიე-
რებაზე არაფერი გაინტერესებს... განქორწინების შემდეგ მალევე გათხოვდა კიდევ. არც იყო
გასაკვირი: უღამაზესი ქალი იყო, უკეთესს რომ ვერ ნახავდი, ბნედა მოგივიდოდა. გასაკვირველი
სხვა რამ იყო: სრულიად მოულოდნელად ცოლად გაჰყვა მეწურბელეს, კვაჭული კვაჭალაძეს –
შეუხედავ კაცს, ყოვლად უხასიათოს, უცხვირპიროს; ეყოლათ ორი შვილი – ბიჭები...

ბოჩიასთან დროდადრო მოდის ხოლმე მისი ქალიშვილი, – თექვსმეტი წლის ნათია, – სიფ-
რიფანა, დიდთვალება გოგო, მამას რომ ძალიან ჰყავს. ბოჩიას წარმოუდგენლად არეულ-დარეულ
ბუნაგს ცოტათი მაინც დააღაგებს, დაგვის, დაურეცხავს, სადილსაც მოუმზადებს... ნათიას ძა-
ლიან უყვარს მამის მხატვრობა, განსაკუთრებით – დამის პეიზაჟები და აგტოპორტრეტების სე-
რია, ყოფილი ცოლისა და ნათიას რამდენიმე პორტრეტიც... ბოჩია ქალიშვილს წაამეცადინებს,
რადაც-რადაცეებს ასწავლის – ნათია მომავალი მხატვარია, სამხატვრო სასწავლებელში სწავ-
ლობს, რომელიც ოცზე მეტი წლის წინათ ბოჩიამ დაამთავრა. ბოჩია თავიდანვე ფერწერაში ძა-
ლიან კარგად მუშაობდა, საყოველთაო აღიარებით, სასწავლებელში ყველას სჯობდა; შემდეგ
დაამთავრა სამხატვრო აკადემია სამრეწველო გრაფიკის სპეციალობით – ნიჭიერების მიუხედა-
ვად, ფერწერის ფაკულტეტზე ვერ მოხვდა – “პატრონი” არ ჰყავდა... მიღებული სპეციალობით
საწარმოში არასდროს უმუშავია, გრაფიკაში განაგრძო მუშაობა, უფრო წიგნებს აფორმებდა.
ფერწერას რამდენიმე წლის წინათ მიუბრუნდა და უწინდელზე დიდი გატაცებით მუშაობს, ფერ-
წერული ნამუშევრების რამდენიმე პერსონალური გამოფენაც მოაწყო. ზოგი მეგობარი გულ-
წრფელად ეუბნება: სურათები ძალიან კარგად გამოუდის, მაგრამ, მათი აზრით, სასწავლებელში
რომ მუშაობდა, იმ დონეს მაინც ვერ მიაღწია – მაშინ ფერში უფრო მაგარი იყო...

ბოჩია გადაგდებულ სხვადასხვა უკვე უვარგის ან ძველ ნივთებს აგროვებდა: გაბზარულ ქვა-
სანაყებს, ხის ნახშირის უთოებს, პირ ან სახელურმომტვრეულ ლამაზ დოქებს და ლარნაკებს,
შანდლებს, საცრებს, ყავლგასულ, ნაირ-ნაირი ფორმის ბოთლებსა და ფლაკონებს, დამტვრეულ
სათამაშოებს, ხეიბარ თოჯინებს, გახეულ ქოლგებს, გაცვეთილ ქოშებს, ქუსლმონგრეულ წა-
ღებს, გამოხუნებულ მოქარგულ ყურთბალიშებს, მუთაქებს, ასევე – ნაირ-ნაირ ძველებურ ტან-
საცმელსაც, თუ მისი ქსოვილის ნახატი, მორთულობა ან ფასონი მოეწონებოდა... ყველაფერი ეს,
მართალია, სახმარად უვარგისი იყო, მაგრამ მშვენიერი ნატურმორტების შესაქმნელად მხატ-
ვრისთვის ძვირფას მასალას წარმოადგენდა. როგორც სარდაფში კედლებზე დაკიდებულ თუ
კუთხეებში მიყუდებული მისი ნამუშევრებიდან ჩანდა (მთელი კედლები მოჭედილი იყო დიდ-პა-
ტარა სურათებით, სასუნთქს ვერ ნახავდი დატოვებულს), ბოჩია მრავალმხრივი მხატვარი იყო:
პეიზაჟებისა და ნატურმორტების გარდა, პორტრეტებსაც აკეთებდა – ზეთით, პასტელით, გუა-
შით, აკვარელით. აკვარელით გამორჩეულად განსხვავებულად მუშაობდა, მხოლოდ შავ აკვა-
რელს იყენებდა; სევდიან იერს შეესაბამებოდა მოდელთა ექსპრესიულად ოდნავ დეფორმირებუ-
ლი სახეები, რომლებიც გამოხატავდნენ შფოთს, ტკივილს, ტრაგიკულ განცდას... სხვათა შორის,
მხატვრის გაშიშვლებული სულის წვა მის მოციხფრო-შავ დამის პეიზაჟებშიც ძალუმად იგრძნო-
ბოდა და, რაც გასაკვირველია, სრულიად განსხვავებულ ფეროვან გამაში შესრულებულ ცინ-
ცხალ, ფერადოვან ნატურმორტებშიც – ეს ბევრს მოსწონდა და უამრავი მსურველი იყო მისი
ნამუშევრების შეძენისა, თუმცა ბოჩია მათ ძნელად ელეოდა...

ბოჩია ბოჩიალი შვილმა მოაწყო საკუთარი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა ხელოვნე-
ბის მუშაკთა სახლის საგამოფენი დარბაზში. რამდენიმე სურათი კარგ ფასად გაიყიდა, პრესა-
შიც მოწონების წერილები დაიბეჭდა.

გამოფენის დახურვის შემდეგ ბოჩიას სახელოსნო-ბინაში, უფრო რომ ნახევარსარდაფს წარ-
მოადგენდა, შეიკრიბა მისი ოთხი ახლო მეგობარი მხატვრის პერსონალური გამოფენის წარმატე-

ბის აღსანიშნავად: პაპუნა ბიჭიპურაშვილი, ზოსიმე ბებრიჭიპაძე, ქუჩუკა ჩიტაწკეპლაძე და ჭიჭიკო ხვარტიქლაძე. ყველანი თავიანთი მეუღლეებით მობრძანდნენ და ყველა ქალი ფეხმძიმედ იყო! ცოლგაცილებულმა მხატვარმა მოწონებით და სადღაც სინანულითაც კოლეგებს უთხრა:

- ვაჰ, ტყუილად გკითხავთ, როგორ ხართ, ვატყობ, კარგად მუშაობთ! ბიჭებო, თუ ასეთი მაგრები იყავით, ორმოც წლამდე რას ბერდებოდით, დროზე ვერ მოიყვანეთ ცოლები? ჩემს გოგოს უკვე მალე ჩვიდმეტი წელი შეუსრულდება, რამდენიმე წელიწადში იქნებ ბაბუაც გაგხდეს!

კიდევ ერთი სტუმარი, ბოჩიას მეგობარ მხატვრებზე ბევრად ახალგაზრდა კაცი, ალიო მალიაშვილი, ამ საზოგადოებაში შემთხვევით მოხვდა – სარდაფში, გაშლილ სუფრაზე. ალიო განათლებით თვითონაც მხატვარია, სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი რვა წლის წინათ დაამთავრა; ერთ დროს იფინებოდა კიდევ, მაგრამ დროულად მიხვდა, რომ ტყუილად აწვალვდა ფუნჯს; იფიქრა, წერა შედარებით უფრო მეხერხებაო და დაიწყო ხელოვნების შესახებ წერილებს მოთავსება ჟურნალ-გაზეთებში. ერთ-ერთი ასეთი მჭლე, ინფორმაციული ხასიათის სტატია ბოჩიას სურათების პერსონალური გამოფენის შესახებ სწორედ მას ეკუთვნოდა (ჯერჯერობით უკეთესს ვერ წერდა), მაგრამ ცენტრალურ გაზეთში იყო გამოქვეყნებული და მეგობრებმა ბოჩიას ურჩიეს: “მაგის ბიძა პარტიის ცეკაში კულტურის განყოფილებაში მუშაობს და დაპატიჟე, საჭირო ბიჭია, რა იცი, იქნებ რამეში დაგჭირდეს!”.

რატომღაც ალიოს სუფრაზე ამ თავისი გაგლენიანი ბიძის არსებობის შესახებ არ უხსენებია, სამაგიეროდ, ყველას თავი წააჭამა ტრაბახით:

- მე თბილისის მილიციის უფროსს ვიცნობ!

ალიომ უადვილოდ რამდენჯერმე ჩაჩხირა ეს თავისი სანაქებო ნაცნობობა და იმდენად მოაბეზრა ყველას თავი, რომ პაპუნა ბიჭიპურაშვილმა ვეღარ მოითმინა და უთხრა:

- მე კიდევ რემბრანდტს ვიცნობ ძალიან კარგად! იცი, ვინ არის რემბრანდტი? შენი მილიციის უფროსი მას ჩექმებს უწმენდს ყოველ დღით!

- რა დროს მილიციის უფროსია ან თუნდაც რემბრანდტი! – წამოიძახა ქუჩუკი ჩიტაწკეპლაშვილმა და ჭიქით ხელში ფეხზე წამოდგა: – მოდით, მეგობრებო, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ და უპირველესად ჩვენს ბოჩოს გაუმარჯოს! მაპატიე, დიდი ორატორი არასდროს ყვოფილვარ და უბრალოდ ვიტყვი: გადღეგრძელებ, ჩემო ბოჩო, კარგად იყავი, ჯანმრთელად იყავი, შენს საქმეს გაუმარჯოს, შენს საქმიანობას გაუმარჯოს! და შენი თამადლობით, ვინც რაღაც სილამაზეს ჰქმნის, – სხვების გასახარად და ბევრის გასახარად, – იმათაც ყველას გადღეგრძელებ! ასეთი არც ისე ბევრია... ბევრია ისეთი, რომელიც პირიქით, სხვას რა წაამწარონ, რა წაღლიტონ და რა იმამაძაღლონ, სულ იმაზე ფიქრობენ... შენი თამადლობით, ჩემო ბოჩო, ყველა შემოქმედს გაუმარჯოს, რომლებიც იღვწიან, რომ რაღაც დატოვონ ღირსეული – თვალისა და გულის გასახარო!

- გაგიმარჯოს, ბოჩო, ჩვენც გაგიმარჯოს!

- გაგიმარჯოს, კარგია!

- ნამდვილად!

ზოსიმე ბებრიჭიპაძეს ვაშლებით საესე ლანგარი ძალიან მოეწონა, მხატვრის თვალით შეაფასა:

- შეხედეთ: მრგვალები, ზაფრანისფერ-მოწითალოები – პატარა მზეები, ან რა სურნელი ასდით! შემოდგომის ბაღის საზეიმო განლაგება – გროვა, ერთიანობა, ვარიაციები ფერებისა... დაჯექ და დახატე, რას მიედ-მოედები ღობე-ყორეს, აბსტრაქტულ აჯაფსანდალს აცოდვილებ!

- ეგ ჯობს თუ ბოჩოს ეს ნატურმორტი? – ჭიჭიკო კედელთან მიყუდებულ სურათზე მიუთითებს, რომელზეც გამოსახულია მრგვალი მაგიდა, ზედ ხინკლებით საესე ლანგარი და რამდენიმე კათხა ლუდი.

- იფიფ, ძალიან კარგია, – ამბობს ზოსიმე, – შესანიშნავია! თან, თუ წინაკასაც მოაყრი, მთლად გადასარევი იქნება, ჰა-ჰა-ჰა!.. არა, სერიოზულად გეუბნები: უბრალო მოტივია აღებული, ყოველ სახინკლეში რომ ნახავ, მაგრამ რა კარგად, რა გემრიელად არის გაკეთებული! არადა, მხატვრების მეტი რა ყრია სალუდეში, სულ იქ არ ვაღამებთ და ვათნებთ?!

- ეტყობა, ბოჩოს ძალიან უყვარს იქ ყოფნა და ჩანახატებსაც გააკეთებდა! – იცინის ჭიჭიკო.

ბოჩია ჰყვება:

- ჩემს ქალიშვილს, ნათიას გეუბნები: “ყოველდღე უამრავი ჩანახატი უნდა გააკეთო ნატუროდან, დღეში თითო ალბომი უნდა გაავსო – გარშემო რასაც ხედავ და რაც ხდება, ყველაფერი უნდა შეამჩნიო, გაიხარო... მე არ მომწონს ხოლმე ხაზგასმულად უხეში ნახატი, პრეტენზია ზედმეტ გულახდილობაზე და ბავშვურ თამაშზე. რა თქმა უნდა, ხელოვნება ერთგვარად თამაშობაა, ამაზე მთელი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური გამოკვლევებია დაწერილი, მაგრამ ძალიან სერიოზული საქმეცაა, სერიოზული ამოცანები უნდა დაისახოს, რომელთაც თამაშ-თამაშ ვერ გადაწყვეტ... ბევრი ოფლი და ზოგჯერ ბევრი სისხლიც უნდა დაღვაროს, ტკივილი განიცადოს, რომ რაღაცას მიაღწიო... ნაძალადეობა, ტვინის ჭყლეტა სურათს არ უნდა ეტყობოდეს, კი არ უნდა ყვიროდეს, უნდა მღეროდეს! თუ ეს არ შეგიძლია, ფერწერას თავი უნდა დაანებო. ზოგს ნიჭი არ აკლია, მაგრამ ელის, თუ მუხა არ მეწვია, ვერაფერს შევქმნიო... მონადირე უცდის შთაგონების მობრძანებას? თუ თოფს აიღებს და მიდის სანადიროდ, დაწინწალებს, ეძებს თოფის საკბი-

ლოს? მხატვარიც იგივე მონადირეა, ფუნჯი უნდა აიღო, დაიწყო მუშაობა და შთაგონებაც მოვა. უნდა გსიამოვნებდეს თვით პროცესი შექმნისა, რაც მთავარია, დანახვა უნდა შეგეძლოს... აგერ ეზოში გახვალ, ხედავ: მოხუცი ქალი ნაღვლიანად იცქირება მეორე თუ მესამე სართულის აივნებიდან ეზოში – უყურებს შავ კატას, უძრავად რომ დაყუნცულა ყვავილებს შორის და ბელურებს უთვალთვალავს... მზა თემები სურათისთვის ყოველ ფენის ნაბიჯზე გვხვდება, ოღონდ, რა თქმა უნდა, მთავარია, როგორ გააკეთებ, რა დონეზე. თუ პეიზაჟი უფრო გიტაცებს, ნუ დაიზარებ, ჩაჯექი აგტობუსში, გადი ქალაქგარეთ... რა თქმა უნდა, მე არ უარყოფ წარმოსახვით, ფანტაზიით შექმნასაც სურათისა, მაგრამ ის ცარიელ ადგილზე ვერ აღმოცენდება, თუ დაკვირვების, ხედვის უნარი არ გაქვს.

– ახალგაზრდობა გაფუქსავატდა, იოლად, ოფლის დაუღვრელად უნდათ გახდნენ სახელიანები, დიდ-დიდი ფასები დააღონ საკუთარ ნაცოდვილარს და უცებ მოიხვეჭონ ცხოვრების ყველა სიკეთე – ბინაც, ავტომანქანაც, საკუთარი სახელოსნოც... სერგო ქობულაძე სულ გვეუბნებოდა: “თქვენ გინდათ უცებ გენერლები გახდეთ, ხელოვნებაში ვერც არ ხდება! ბევრი უნდა იშრომოს, ნაბიჯ-ნაბიჯ წაიწიოს წინ”...

– ჩვენი სკოლაც სცოდავს... პედაგოგმა შემოქმედი უნდა გაზარდოს და არა – მონა. ბევრ ჩვენს მეგობარ მხატვარს ჰყავს შვილები, ისინიც მხატვრები, და რამდენი ისე ემსგავსება მშობელს, ცუდ ასლს ჰგავს. საცოდაობაა!

– და კიდევ: პროფესიონალიზმის გარდა, რომელსაც მხოლოდ დიდი შრომის შედეგად თუ მიაღწევ, თუგინდ გენიოსი იყო, დღედაღამ შენს საქმეს უნდა ემსახურებოდეს, სიზმარშიც კი მასზე ფიქრობდე...

– ბოლიში, შეგაწყვეტინებ: აგერ შემთხვევით გაზეთში წერილი ვნახე პიკასოს შესახებ. ნიჭზე აღარაფერს ვამბობ, იცით, როგორი ნაყოფიერი იყო? მამიკო, მომაწოდე... აგერ წერია: “პაბლო რუის პიკასომ შემოქმედებითი შრომით სამოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში შექმნა: 1885 ფერწერული სურათი, 7089 ნახატი, 1228 ქანდაკება, 3222 კერამიკული ნაწარმოები, 30 000-ზე მეტი ჩანახატი, გრაფიურა და ოფორტი, რომლებიც ასტრონომიულ თანხად – 140 მილიონ დოლარად არის შეფასებული”. წარმოგიდგენიათ? ორმოც ათასზე მეტი ნამუშევარი შექმნა!

– ტყუილია ეგ შეფასება, ალბათ რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარი მაინც უნდა იყოს. ნამუშევრების რაოდენობაც, რომელიც მაგ პუბლიკაციაშია მოტანილი, არ არის ზუსტი – ბევრი ნამუშევარი, განსაკუთრებით ადრინდელი პერიოდისა, ალბათ ისე გაიფანტა, რომ ვერ მოხვდა ამ ჩამონათვალში. აქ არ არის, აგრეთვე, ნახსენები სპექტაკლების და ბალეტების დეკორაციების ესკიზები, კინომხატვრობა და რა ვიცი, კიდევ რა აღარა, ალბათ მიუზიკპოლებისა და ცირკის წარმოდგენებსაც აფორმებდა...

– მერე, კაცო, მხოლოდ ნიჭსა და შრომისმოყვარეობაზე ხომ არ არის საუბარი... განათლება და ცოდნა თუ არ გაქვს, შორს ვერ წახვალ. ჩვენს ახალგაზრდებს კი ცუდი სამსახური გაუწია ტელევიზიამ – წიგნის სიყვარული დაუკარგა, დამოუკიდებელი აზროვნებისა და შეფასების უნარი დაუდამბლაგა... ახალგაზრდა, რომელმაც იცის, რამდენი ჯიშის ნიანგები არსებობენ მსოფლიოში, როგორ მოგძებნოთ ღამის ცაზე აღდებარანი, სად მდებარეობს კუნძულები კურია მური-ა, რამდენს იწონის ჩიტი კოლიბრი, რას სწავლობს კინოლოგია, რომელი ჯიშის თუთიყუში რომელ ქვეყანაში ბინადრობს... მოკლედ, ყველაფერი იცის ვითომ და სინამდვილეში არაფერიც არ იცის, ტელევიზორში ყურმოკრული ათასგვარი ფუჭი “ინფორმაციით” აქვს ყურები გამოჭედილი და ტვინი დანაგვიანებული. სამაგიეროდ, რომ ჰკითხო, აი, ამ შენს ქუჩაზე რომ ხედავ ყოველდღე, თუ მეტყვი, ეს რა ხეაო, ვერ დაასახელებს, არ იცის. რომ ჰკითხო, დილით ფუნთუშას რომ მიირთმევ, აბა, მითხარ, რა ხეზე იზრდება? გეტყვის: “მე რა ვიცი, დედაჩემი პურის მაღაზიაში ყიდულობს”, – ჰგონია, რომ ფუნთუშა ხეზე იზრდება, მოწყვეტ და მეტი არაფერი... ოღონდ უნდა იცოდეს, რომელი ფუნთუშა დამწიფდა უკვე, რომელი ჯერ კიდევ უმია...

– თაგები აქვთ უმი, უმწიფარი...

– ძალიან აზვიადებ, ბოჩო ჩემო, მაგრამ ისიც მართალია, რომ ჩვენ მაგათ ასაკში მთელი საქართველო ფეხით გვქონდა მოვლილი, სვანეთი, ხევსურეთი და თუშეთი – რამდენჯერმე...

– არ არის აუცილებელი ძალიან შორს წახვიდე – სადღაც მივარდნილ კუთხეში, ჩაჯექი დილით თუნდაც საგარეუბნო მატარებელში... მიირწევა მატარებელი, ფანჯარაში რას არ დაინახავ: ერთმანეთსა ენაცვლება მთა და ბარი, მდინარე და მისი შენაკადები, ბოლოს – ქალაქის შემოგარენი – გაზინთლული, დამტვრეული სამშენებლო ნაწილები, ყავლგასული მანქანები, აქა-იქ დაყრილი ათასგვარი ნაგავი, ფირფიცრის, ლითონის ფურცლების და სხვა გადაყრილი მასალის გამოყენებით შემორაგული პატარა ეზოები უსახური ხუხულა სახლებით... მატარებელი გაჩერდება და უცებ თვალი ამჩნევს აყვავებულ ბაღნარს: პატარა, მაგრამ კონტა სახლი ჩაფლულა მწვანეში, ხშირი ფოთლებიდან იჭყიტება ყვითელი კომში... ან ნაყოფით დახუნძლული ვაშლი... მერე – მთა-გორები, ველები, მდინარე მიიკლაკნება; მის ნაპირებს ხან ფლატეები მიუყვება, ხან – მშვენიერი ჭალა... სახელდახელოდ გააკეთე პატარა-პატარა ჩანახატები, ასე უკეთ ჩაგებეჭდება მახსოვრობაში ნანახ-განცდილი; შეიძლება, სურათის ესკიზადაც გამოგადგეს. თუ ჩაიკეტე შენს სახელოსნოში და ქვეყნიერებას მოწყდი, გარემოს მაცოცხლებელ ფეხებს, თუნდაც მდიდარი წარმოსახვის უნარით იყო დაჯილდოებული, რა სურათს შექმნი? მეკვარს, უსიცოცხლოს...

– იცით, რას გეტყვით, ჩემო ძვირფასებო? – ამბობს ზოსიმე ბებრიჭიპაძე. – ეს ხილის ნატურმორტი ხომ ძალიან მომეწონა, უფრო სწორედ, ჩემს თვალს, ჩემს კუჭს კი იცით, რა ესია-მოვინებოდა? ერთი ლანგარზე გაშოტილი, კანშეპიწკინებული შემწვარი გოჭუნა რომ გვიკრეჭდეს კბილებს შიგ გარჯობილი წითელი ბოლოკით!

– რას ამბობ, კაცო, აქამდე ვინ გააჩერებდა, მისი ძვლებიც აღარ დარჩებოდა! – იცინის ჭიჭიკო ხვართქლაძე. – საკვირველია: ღორი ყველაზე ბინძური ცხოველია და ყველაზე გემრიელი ხორცი აქვს!

მერე ვიღაც მხატვარზე ლაპარაკობენ, ონოფრე უნიფხოშვილზე; აგინებენ – მართლა ღორია-ო... სამხატვრო კომბინატში მაგარი, სარფიანი შეკვეთების დათრევაში ყველს სჯაბნის; ის “ლიდერია”: იფორმებს და მერე ანაწილებს შესასრულებლად ძმაკაცებზე; თვითონ ონოფრე არაფერს აკეთებს, საქმის გაჩარხვის და ფულის აღების გარდა... უფრო საქმოსანია, ვიდრე მხატვარი – უნიჭო, ვერ შემდგარი, მაგრამ მარიფათიანი. “დიდ ხალხს” დაუძმაკაცდა, მაღალი თანმდებობების პირებს: რაიკომის მდივნებს, მილიციის რაიგანყოფილების უფროსებს, მინისტრებს, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს და მისთანებს... სამუშაოთა უშუალო შემსრულებლებს ატყუებს: ხან – “არ მომცეს, წამართვეს შეკვეთის ფული!”, ხან – “დამეხარჯა და ცოტა მაცადე, ხომ იცი, წილში ბევრი ზის, ჯერ ისინი უნდა გავისტუმრო...”, არ ელევა მიზეზი.

ბოჩია ამ საუბარში არ ჩარეულა, მხოლოდ როცა ჰკითხეს, შენ რას იტყვი შენს მეგობარზე-ო, ასე უპასუხა:

– კი, ერთ დროს მართლა ძმაკაცები ვიყავით. მაშინ ონოფრე იყო საგამოფენო კომისიის თავმჯდომარე, მაგან მიიღო საგაზაფხულო გამოფენაზე ჩემი პირველი ნამუშევარი ამ ოცი წლის წინათ – თბილ გამაში შესრულებული პეიზაჟი იყო, “ჩამავალი მზე”... მაშინ თოიძის სასწავლებელი ახალი დამთავრებული მქონდა. მერე დავმორდით, ცუდი ხმები მოვიდა ჩემამდე: მხატვრებს ართმევდა ფულს, ეუბნებოდა, ბინას მიგაღებინებინებოთ – სიაფანდზე, ვითომ რაიკომის მდივანს იცნობდა, ქალაქის აღმასკომის ვიღაც გავლენიან წევრს, კიდევ ვიღაცას; მეც გავები მაგის დაგებულ ხაფანგში... რა ვიცი, შესაძლოა, მართლაც იცნობდა, მერე რა? შენს თვალწინ დაეღაპრა-რაკებოდა სულ სხვა რამეზე, ვითომ საქმეს გიკეთებდა. ვერ წარმოვიდგენდი, მეც თუ ასე გამაცურებდა... მხატვართა კავშირის მდივანს ლიპარიტ ლიპარტიშვილს ვუთხარი, ონოფრე უნიფხოშვილი მაგარი მამაძაღლი გამოდგა, მაგ გაფუჭებულმა ფული გამომართვა ტყუილად-მეთქი... “მეც მომატყუაო, – მანუგეშა ვითომ ლიპარიტმა, – ათას ცხრაასი მანეთი ვისესხე და მივეცი, ბინის მიღებას დამპირდა; აღარც ფულს მიბრუნებს და აღარც დაპირებულის შესრულებას უჩანს კარგი პიროს”. “მერე, მე რა ვქნა?” – ვეკითხები. “დაწერე საჩივარი და მაგას მოგუგლითო, – მეუბნება, – გადგება გვინდა, მაგრამ ვერ ვახერხებთ, ვერაფრით მოვიცილებთ; ყველას გინდათ, კარგი კაცები გამოჩნდეთო”. “მერე, შე კაი კაცო, – ვეუბნები, – რაღა მე მომადექი, შენც ხომ მოგატყუა, ჩემზე დიდი თანამდებობა არ გიჭირავს? თუ ჩემზე ნაკლები გავლენა გაქვს, შენ თვითონ რატომ არ უჩივლე?”. საქმეა ეს? უკვე ათი წელიწადია, ვზივარ ამ სოროში და კაციშვილი არ გამოჩნდა, რომ ეთქვა: მხატვარ კაცს ნორმალური პირობები შეგუქმნათ სამუშაოდ...

– მერე ლიპარიტმა რა გიპასუხა? – დაინტერესდა ჭიჭიკო ხვართქლაძის მეუღლე, მაგნოლია.

– რა უნდა ეთქვა? ეგეც კარგი ჩიტია, მაბითურებდა, ვითომ ონოფრესთან “შეკრული” არ იყო. მაგას ბინა რაღათ უნდა, ორი ბინა აქვს და უზარმაზარი სახელოსნოც, მაგრამ რა მხატვარია ეგ? სურათი გამოფენაზე ბოლოს ათი წლის წინ გაიტანა, ისიც – არაფრით გამორჩეული...

– ვაჰ, როგორ გიყვართ მხატვრებს კოლეგების გაბიაბრუება! – ამბობს ალიო.

– შენ თუ გამოჩენილ მხატვართა ალბომებს ყიდულობ და გიყვარს მათი თვალიერება, ჩვენს პატივცემულ ონოფრეს სპეციალურად საკუთარი ხელით გაკეთებული ალბომი აქვს, რომელშიც ჩადებულა... აბა, მიხვდით, რა? – კითხულობს ჭიჭიკო.

– ფოტოები?

– არა!

– მარკები?

– არა!

– პეპლები?

– არა!

– ასანთის კოლოფის ეტიკეტები?

– არა!

– აბა რა?

– ფული! ხმარებიდან გამოსული კი არა, ბრუნვაში მყოფი ასმანეთიანები, ხუთთუმნიანები, ოცდახუთმანეთიანები, თუმნიანები... ყოველ საღამოს დაჯდება გემრიელად სავარძელში, დაიდებს მუხლებზე ალბომს და ნეტარებით ფურცლავს!..

– შენ საიდანღა იცი?

ზოსიმე ბებრიჭიპაშვილი ონოფრეს ცოტა სხვაგვარად აფასებს:

– კარგი რა, ჭიჭიკო, ძალიან ამლაშე! ონოფრე უდავოდ ნიჭიერია, მაგრამ სულგაყიდული, ფულს დახარბებული... ადრე გამოფენებშიც მონაწილეობდა, გახსოვთ? რაღაცას ფაფხურობს და თვითონაც არ იცის, საით წავიდეს... ვითომ რაღაცას ეძებს, მაგრამ თვითონაც ვერ გაურკვევია,

რას ეძებს და, ცხადია, ვერც ვერაფერს პოულობს. დეფორმაციასა და პირობითობას ეტანება, მაგრამ უღონოდ, შინაგანი წვის, განცდის, მოთხოვნილების გარეშე – უფრო მოდას მისდევს. ტრადიციონალისტია და ცალი ფეხით “მოდერნისტიც”, არ იცის, რომელს მისცეს უპირატესობა – ამიტომ მოიკოჭლებს ორიგინალობის მხრივ, არაა დამაჯერებელი. რა ხანია, ლიპარიტ ლიპარტიშვილის არ იყო, მაგის სურათი გამოფენებზე სანთლით საძებნელია, სამაგიეროდ, სამხატვრო კომბინატში ჩალიჩობს, სარფიან დაკვეთებს ითრევს... ბინაც აიშენა და ისეთი სახელოსნოც, დოღის ცხენი გაჭენდება. რათ უნდა? ბორო აგერ ერთ თვეში იმდენ ნაღდ სურათს აკეთებს, რამდენსაც ვერც ონოფრე და ვერც ლიპარიტი, ერთად აღებულნი, ხუთ, ათ წელიწადში ვერ მოა-ცოდვილებენ.

ჭიჭიკო ხვართქლაძე ფიცხლად შეეპასუხა:

– კარგი რა, ხან ასე ამბობ, ონოფრე ნიჭით არის სავსეო, ხან – ისე, ის სახელოსნო რად უნდა, ეგ სურათის გამკეთებელი არ არისო. მე რას მასწავლი, ონოფრეს ჩემზე კარგად არავინ იცნობს, მე და ეგ ერთად ვაბარებდით სამხატვრო აკადემიაში მისაღებ გამოცდებს, იმ დროიდან ვიცნობ. ჩემს გვერდით იჯდა ზუსტად, ფიგურას ვხატავდით. მთხვავა, მოდიო, დამიხატეო რა, ჩამოჯექი ჩემთანო. გადავჯექი მაგის ადგილზე, დაგხატე იმის ფიგურა, როგორც შემიძლო, ჩემსა-საც ვხატავდი – თავისთავად... მერე გამოაცხადეს ნიშნები: ონოფრემ ხუთი მიიღო და მე დამიწერეს სამი...

– მაგას მაყუთიანი მამა ჰყავდა, – ჩაურთო ბოჩიამ.

– დედას გეფიცებით, გულწრფელად გეუბნებით: ეგ ამბავი არ დამვიწყებია და სანამ ცოცხალი ვიქნები, არც არასდროს დამავიწყდება – იმ წელს ეგ ჩაირიცხა და მე დავრჩი აკადემიის გარეთ!

ბოჩიას სახელმწიფო შეკვეთებზე რა ხანია, აღარ უმუშავია, მეგობრების ეს ცხარე საუბარი სხვა მიმართულებაზე გადართო:

– ბევრთან კამათი მომსვლია: ნატურიდან ვინც მუშაობს, ის ბუნების მონა ხდებაო, ბუნებას მაინც ვერ აჯობებ, დაგიბრიყვებსო. დაჯექი მაშინ სახელოსნოში და თხიპნე, რაც თავში მოგივა... გინდაც მალევიჩივით “შავი კვადრატის” ან “წითელი სამკუთხედი” გააკეთე, ვინ გიშლის...

– რატომ, ბატონო ბოჩია, ასეთ ნამუშევრებსაც თავისი დამფასებლები ჰყავს, – მოულოდნელად შეეპასუხა ალიო მაღლიაშვილი. – თქვენ, მაგალითად, კაზიმირ მალევიჩის სურათს არ დაჰკიდებდით სიამოვნებით შინ?

– მალევიჩი რომ დიდი მხატვარი იყო, ამას კი არ გუარყოფ, – უპასუხა ბოჩიამ, – ძალიან ძლიერად გაკეთებული სურათებიც აქვს და მომწონს, მაგრამ, იცი, რას გეტყვი? ცოტა ზედმეტი მოუვიდა, დაუკრფავაში გადავიდა, როგორც კახელები იტყვიან ხოლმე. მისი ყველაზე ცნობილი სურათია “შავი კვადრატის” და ალბათ ყველაზე ძვირადღაც გაიყიდებოდა, აუქციონზე რომ გაეტანათ, მერე რა? მე რომ მკითხო, მისი ფასი ნულის ტოლია, ოინბაზობაა და მეტი არაფერი.

– როგორ, ოინბაზობა? – აღშფოთდა ალიო.

– ოინბაზობა კი არა, აბსოლუტური უაზრობაა! – ბეჭედი დაურტყა ბოჩიამ. – კი, დაკიდებ მას შენს ოთახში და მიიღებ ესთეტიკურ სიამოვნებას? თუ შენ მხოლოდ ის გესიამოვნება, რომ აი, ამ სახელგანთქმულ “შავ კვადრატში” სხვა კოლექციონერებთან ჭიდაობაში შენ გაიმარჯვე, სხვებს აჯობე! გესიამოვნება, რომ ყველა ჭორიკანა გაზეთი დაწერს, რომ აი, ალიო მაღლიაშვილი-მა შეიძინა შედევრი და ეს დაუჯდა ათი, ოცი თუ მეტი მილიონი დოლარიო! ამ სურათს ფასს აძლევს ავტორის სახელი, სკანდალურობა და მეტი არაფერი. ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულება მას არ გააჩნია. პარადოქსულია: მალევიჩის მართლაც ფასეულ სურათს ათჯერ და მეტჯერაც ნაკლებად შეაფასებდნენ. “შავი კვადრატის” ნებისმიერ მსურველს შეუძლია, გაიმეოროს, ათასობით და ასიათასობითაც მსურველს, არავითარი ნიჭი და ხელოვნება ამას არ დასჭირდება, დასჭირდება მხოლოდ სურვილი, მასალა, თავისუფალი დრო და მეტი არაფერი... ისინი სრულიად იდენტურნი იქნებიან მალევიჩის სურათისა, ვერავინ მიხვდება, იმ ასიათას ასლში რომ გაურთო, რომელია “ორიგინალი”... ტყუილს ვამბობ? აი, ამ მაგიდას რომ ვუზივართ, ოსტატის ხელი ნაღდად ატყვია და ყველა მსურველი, ძალიანაც რომ შეეცადოს, ვერ შეძლებს მისი მსგავსის შექმნას, ესე არ არის? შენ შეძლებდი ამგვარი მაგიდის გაკეთებას?

– აი, ხომ ხედავთ, წინააღმდეგობაში ვარდებით! – წამოიძახა ალიო მაღლიშვილმა. – ამ მაგიდას ბუნებასთან რა კავშირი აქვს? ის ხომ, თქვენი შეხედულებითაც, ხელოვნების ნაწარმოებად შეიძლება ჩავთვალოთ, მაგრამ მისი შექმნელი ხომ არის ნატურისგან სრულიად თავისუფალი?

– არ უნდა აურიო ფერწერა დეკორატიული-გამოყენებით ხელოვნებაში, – უპასუხა ბოჩიამ, – და მეორეც – ნატურისგან სრულიად თავისუფალი მხოლოდ გიჟია. ფერის, ფორმის, ჰარმონიის გრძნობას ბუნება გვაძლევს, ბუნების წყალობით ვწვდებით!

– აბა, ამ ლოგიკით, რამეს რომ ჰქმნი, ნებისმიერ შემთხვევაში, მაინც ბუნების მონა უნდა იყო?

– მე, იცით, რას ვფიქრობ? – ამბობს ბოჩია. – ბუნების მონა მხოლოდ სუსტი მხატვარი შეიძლება გახდეს... კი, ბატონო, სახელოსნოში იმუშავე, შენს ფანტაზიას მიენდე, მაგრამ ბუნებას ხელს ნუ ჰკრავ, დროდადრო ნატურიდანაც იმუშავე... პლენერზე გადი, იმდენ რამეს ნახავ, გრძნობით აივსები – ამას სახელოსნოს ოთხი კედელი და თუნდაც შენი მდიდარი წარმოსახვა

და გენოსური სული მოგცემს? ვერა!.. ბუნებაში ყველაფერი სრულყოფილია, ჩვენ ვიღებთ მისგან ჩვენსას, ვისაც რამდენი შეგვიძლია. მეორეს მხრივ, შენ შენი მეობა არ უნდა დაჰკარგო, არ უნდა დამორჩილდე ნატურას. ამავე დროს, ნამუშევარში უნდა გადმოსცე შენი აღმაფრენა, შენი გაფრენა, რაღაც საოცნებო, მიუწვდომელ სიმაღლეებში უნდა წახვიდე... უნდა იყო გულწრფელი, საკუთარ თავთან მართალი. სახელოსნოში გაკეთებული სურათი კომპოზიციურად უფრო გამართული გამოდის, ნატურიდან შესრულებული – ფერწერულად უფრო შთამბეჭდავი. ამას წინათ შიომღვიმეში ვიყავი, რამდენიმე ეტიუდი და ერთი სურათი გადაკეთე. ჯერ რა ლამაზი ყვავილებია მინდვრებში, მაისია, ყაყჩოები ბრიალებენ... შიომღვიმის ხედს რომ ვაკეთებდი, ძეძვის ძირში ვიჯექი. გვიან შევნიშნე: თურმე ბუჩქის სიღრმეში პატარა ბუდე ყოფილა, ერთი ციდა კვერცხებით. როცა შევიხედე, ჩიტი ქვასავით ჩავარდა ძირს, ძეძვის გაფოფრილ ტოტებს მიეფარა. მაშინვე გამოვიცვალე ადგილი და მუშაობა თავიდან დავიწყე... გადასარევი, ულამაზესი ადგილებია! მუქი კლდეების ფანტაზიური გამონაშვებები, ალაგ-ალაგ მათზე ჩარიგებული მუქი მწვანე ღვიის ბუჩქები... ასე წელი რომ იარო იქ, ერთიმეორეზე საინტერესო მოტივს ვერ ამოწურავ, ვერ გამოლევ... ეს ჩვენი “შთაგონების მაძიებელი” მხატვრები კი სხედან ლუდხანაში და მუზის მოფრენას ელიან. გინდაც ქუჩაში გადი, გაიხედ-გამოიხედე! იგივე ლუდხანაში – თუ მოინდომებ, ათას რაიმეს საინტერესოს იპოვი ფერწერის მხრივ, გინდაც – გრაფიკისა, კომპოზიციური აგებულების მხრივაც, ოღონდ განწყობილი და გაფაციცებული უნდა იყო ამის დასანახად, მარტო ლუდის კათხისა და შენი გამოთაყვანებული მეგობრების სახეების დასანახად კი არა... თუშეცა იმათ სიფათებსაც თუ დააკვირდები, არ იქნება ურიგო. მუდმივად თვალებად უნდა იყო გადაქცეული...

პაპუნა ბიჭიურაშვილმა შენიშნა:

– ზოგჯერ ჩვენ თვითონ არ ვიცით რა გვინდა... ბოჩო ბატონო, სულ ერთსა და იმავეს ქადაგებ, მაგრამ მაინც სწორს ამბობ, მაინც კარგი კაცი ხარ და კარგი მხატვარი, ჰოდა, სხვებს რომ მოძღვრავ, ამ არაყს რატომ ყლურწავ თითქმის ყოველდღე?

ბოჩია ამჯერად თითქმის არ სვამდა, მხოლოდ ოდნავ მოწრუპავდა ხოლმე პატარა ჭიქიდან, უპასუხა:

– მართალი ხარ, ეს ჩემი სისუსტეა, იქნებ მიუტკვებელიც... მხატვრის შრომა როგორი მძიმეა, როგორ დაძაბვას და სულიერი ენერჯის ხარჯვას მოითხოვს, ჩემგან არ გესწავლებათ, ამიტომ განტვირთვაც საჭიროა... ჩემს ცოლს ეს არ ესმოდა. ზოგი განტვირთვას ვარჯიშით ცდილობს, ზოგი – ქალებში დაძვრება, ზოგი თოფს აიდებს და სანადიროდ ან სათეგზაოდ მიდის... მე ჩემს მეგობრებთან საუბარი მსიამოვნებს, ერთ-ორ ჭიქას როგორ არ დააღვინებ სტუმრებს? კარგად მესმის, რომ მხატვარი, მწერალი, საერთოდ ხელოვნების ნებისმიერი სახეობის წარმომადგენელი, პატივს უნდა სცემდეს საკუთარ ხელობას და საკუთარ ნიჭს და უნდა ეცადოს, ყოველგვარად აიცილოს მისი პროფესიული საქმიანობისთვის მავნებელი მოვლენა თუ საქმე; მაგალითად, მე ვერ გამოვიბა, როგორ შეიძლება, მომღერალი სიგარეტს ეწეოდეს... მაგრამ ყველანი ადამის ძენი ვართ და სისუსტე გვახასიათებს... აი, შენ, იცი, რას გეტყვი, ჩემო კარგო პაპუნა? სულ მანქანაზე ზიხარ, ახლაც აქ მანქანით მოხვედი – უმანქანოდ ვერ გაძედი... ფეხით გაგლას პურის მოსატანადაც აღარ კადრულობ, ვგონებ, ფეხსალაგშიც მანქანით მიდიხარ, როდისღა დახატავ? აი, ასამდე სურათი ჩემს გამოფენაზეა გატანილი და ხუთი იმდენი და მეტიც კიდევ აკერ მიდევს სახელოსნოში, კი ხედავ შენი ბედნიერი თვალებით... ერთი ეს მიბრძანე, შენ რამდენი სურათი გაქვს სახელოსნოში? ათი წელიწადია, პერსონალური გამოფენა არ მოგიწყვიდა... – და უსიამოვნო კამათი რომ არ გაგრძელდეს, ალიოს მიუბრუნდა, ჭიქა მიუჭახუნა და გაიცინა: – პაპუნა ამ ერთი თვის წინათ კინოში წავიდა, რასაკვირველია, მანქანით, და როცა კინოდან გამოვიდა, კინო მერე დაიწყო – მანქანა მოპარეს!..

პაპუნამ ჩაიცინა:

– იმის გამოხსნა ერთი კარგი სურათის ფასად დამიჯდა... მანქანაზე გამახსენდა: ერთმა ინსპექტორმა გამაჩერა და ფულს რომ ვაძლევდი, მითხრა: “მხატვარი ხარ? მერე წვერი რატომ არ გაქვს? წვერებიანს რომ დავინახავ, იმის დედა, ფულს როგორ გამოვართმევ! იქითკენ გაგლანძლავს, ინტრიგანი!”. გაიგე? წვერიანის ეშინოდა: საერთოდ არ ვაჩერებო, ძალიან ამბიციურები არიანო.

– სწორია! – წამოიძახა ალიომ. – მოუშვი წვერი და აგტონისპექტორებისგან თავისუფალი იქნები! მე მგონია, რომ ვინც წვერს ატარებს, აქვს არასრულყოფილების განცდა და ირონიით გუყურებ... ვერ ვენდობი წვერმომშვებულებს: ან ძალიან ბრექია ხალხია, ამპარტავანი, ან ძალიან გულჩათხრობილი, საკუთარი თავის რწმენა რომ აკლიათ და არასრულფასოვნების გრძობის დაფარვას ასე ცდილობენ...

– ამ ჩვენს ბაბუკოზე რას იტყვი? – ალიოს ჰკითხა ზოსიმემ, ბოჩიაზე მიუთითა.

– მე რას მერჩით, პაპუნამაც ხომ იგივე თქვა... – თავის გამართლება სცადა ალიომ.

ქუჩუკი ალიოს დაეთანხმა:

– ვისაც არასრულფასოვნების განცდა აქვს, ყველა არა, მაგრამ უმეტესობა მართლაც უშვებს წვერს, იმოსება გამომწვევად, რაიმე უჩვეულობით სურს, ყურადღება მიიპყროს – უცნაური ყალიბით, ჰალსტუხით, ქუდით, შარფით ან ფეხსაცმელითაც კი... ცდილობს, სხვებისგან მხოლოდ განსხვავებული კი არა, უჩვეულოც იყოს...

– ქმედებას, გამორჩეულ ქმედებას კი ვერ ბედავს – მშიშარაა! – ამბობს პაპუნა.
 – შეძლება, მთლად მასე არც იყოს საქმე... – ამბობს ქუჩუკი. – მაგალითად, მხატვრობაში ამგვარი ტიპი მეტისმეტად “გაბედული” ხერხებით ცდილობს თავის დამკვიდრებას... რაც ხარ, რაც ბუნებრივად გახასიათებს, ის უნდა წარმოაჩინო და არა – გაჭინოვით, უღტრათანამედროვე სტილით... თავისთავადობა, თვითმყოფობა ბუნებრივი უნდა იყოს და არა თითქმის გამოწოვილი, ნაძაღადევი ან სხვათა მიგნებების თავხედური “სესხებით” მიღწეული.

ზოსიმემ ბოჩიას ღიმილით მიმართა:

– ბოჩო, შენ რას იტყვი? შენს ძალებსა და შესაძლებლობებში რომ დიდად დარწმუნებული ხარ, ამას წყალი არ გაუფა, ამას აგერ შენი ამდენი მაგარი სურათიც ამტკიცებს, მაგრამ მაინც იბადება კითხვა: რატომ გაბურძგენილხარ ასე, ბერობას ხომ არ აპირებ?

– არა, კაცო, ვერ იცლის, ხელში სულ ფუნჯი უჭირავს! – წამოიძხა პაპუნამ.

– ან ჭიქა! – დაამატა ქუჩუკამ

– ნიკოც სვამდა, მაგრამ ორი ათასი სურათი შექმნა, – ჩაერია ჭიჭიკო. – ნიკალას გაუმარჯოს, მის სახელს ვენაცვალე! ფიროსმანაშვილისთვის მხატვრობა იყო მისი ბედისწერა! ფიროსმანაშვილისთვის ფერწერა იყო არა მხოლოდ მშვენიერების, არამედ, აგრეთვე, თავისუფლების სამყაროც!.. შემოქმედი თავისუფალი უნდა იყოს! ნიკო არის ჩემი უპირველესი მასწავლებელი მხატვრობაშიც და ცხოვრებაშიც – მის სულს ვინმე მოისყიდოდა?... წმინდა კაცი იყო, სუფთა კაცი, ალალი კაცი!..

პაპუნამ შემოთავაზებული სადღეგრძელო შესვა ანუ ჭიქას ოდნავ შეეხო ტუჩებით – მანქანით იყო მოსული – და გააგრძელა:

– ახლა სუფრას ვუზივართ და მოუხდება სუფრასთან დაკავშირებული მხიარული ამბების მოყოლა. ყველამ ვიცით, ალიოსთვის ყვეები: თაზო ხუცურაულმა დაჰპატიჟა აკადემიის პროფესორი გრიგოლ ჯაშუაშვილი და კიდევ რამდენიმე პედაგოგი სახელგანთქმულ რესტორან “პეპელაში”. რა თქმა უნდა, მოიღვინეს გემრიელად, სუფრას არაფერი აკლდა. მოვიდა ანგარიშის გასწორების დრო. თაზო სუფრიდან ადგა, მონახა ოფიციალტი და ჰკითხა, რამდენი უნდა მოგართვათ. ოფიციალტი უკვე ნაანგარიშები ჰქონდა დანახარჯი: “ას სამოცდაათი მანეთი, ათი მანეთიც – მე, სულ ას ოთხმოცი მანეთი იქნებაო”. თაზომ უთხრა: “აი, აიღეთ ეს ას ორმოცდაათი მანეთი, მოდით სუფრასთან და როცა მე გკითხავთ დანახარჯს, მითხარით: სულ ოცდაათი მანეთია გადასახდელიო”. მართლაც, როცა ოფიციალტი დაუძახეს ანგარიშის გასასწორებლად, “ოცდაათი მანეთი უნდა მომართვათ, ბატონო”, თაზომ ოცდათხუთმეტი მანეთი გადაუთვალა და მადლობაც მოახსენა. გრიგოლმა ბურღუნნი დაიწყო: “ასე ვაფუჭებთ ხალხს, რატომ მიეცი ზედმეტი?”. ცოტა ხანში გრიშა ჯაშუაშვილმა დაიარა მეგობრები – ჩიკო ჯაფარაული და სხვები: ““პეპელაში” გეპატიჟებით, უჰ, კაცო, იცით, რა სუფრას შლიან? ათნაირი თევზი, სიხილადა, შემწვარ-მოხრაკული, მშვენიერი ღვინო!”... მოკლედ, გაიშალა სუფრა. “ეს მოიტანეთ, ის მოიტანეთ!” – უბრძანებდა გრიშა ბატონი. დადგა ანგარიშის გასწორების დრო. “რამდენი მოგართვათ?”, “სამას ოცი მანეთი!” – უთხრა ოფიციალტი. ვაი შენს გრიშას! ხუთ თუმანზე მეტი თურმე არ ჰქონდა ჯიბეში... ატყდა ერთი ამბავი. ჩაკეტეს ჩვენი გრიშა საკუჭნაოში: “სანამ ფულს არ მოიტანენ, აქ იქნები დამწყვდეულიო; მადლობელი იყავი, რომ პატივი გეცით, პროფესორი კაცი ყოფილხარ, თორემ მილიციას გამოფუძახებდითო”. “შე კაცო, ჩვენ არ ვიცოდით, თუ გრიშას საკმარისი ფული არ ჰქონდა, ჩვენ დაგეპატიჟა, არაფერი წამოგვიღიაო”, – ჩიოდა ჩიკო. სამი თუ ოთხი საათის შემდეგ მოვარდა ტაქსით გულგახეთქილი მარგალიტა, გრიშას ცოლი, და დაიხსნა დატყვევებული ბედოვლათი ქმარი...

ზოსიმე ბებრიჭიაძემ გაიხსენა:

– სიკვდილა ხომ გახსოვთ, უბედური გამხდარი იყო, ჭამა-სმის მოყვარული, მაგრამ მის მოფერიანებას არაფერი ეშველა, ჯიში ჰქონდა ისეთი. ჰოდა, ერთხელაც მხატვარ ძმაკაცებს უთხრა: “მოდით, მამაჩემთან საქეიფოდ მივიდეთ, გოგიტა გულაძე გავასადლოთ მოსკოვიდან ჩამოსულ ცნობილ მხატვრად, რომელიც მოიწვიეს საჩვენებელი გაკვეთილების ჩასატარებლად – ისედაც დედა რუსი ჰყავდა და რუსს ჰგავსო”. გოგიტა დაარბიეს: “ქართულად კრინტი არ დაძრა, თორემ ყველაფერი ჩაგვეშლებო”. სიკვდილას მამამ გაშალა პურ-ღვინო, თამადადაც თვითონ დადგა. ადღეგრძელა სტუმარი რუსულად და ქართულად დააყოლა: “უჰ, შენი ჯიში ასე და ისე, რას ჰგავს, ნაღდი ჩერჩეტია, ამან რა უნდა გასწავლოთო”. გოგიტა ილუქმებოდა, სვამდა და ღიმილით მადლობას უხდოდა. მერე თამადამ მისი მშობლები ადღეგრძელა, თან ქართულად დაუმატა: “იმათი ასე და ისე, უკეთესი ვერაფერი გააკეთესო?”. მერე მისი ცოლი ადღეგრძელა და დაუმატა ქართულად: “ნეტა ვინაა ის უბედური, შენისთანა ღოთს ღოგინში რომ ჩაუწვებაო”. უსმინა, უსმინა გოგიტამ და, ბოლოს, ვეღარ მითმინა, ქართულად დაიდრიალა: “თქვენცა და თქვენი პურმარილიცო!” და გაგარდა კარში...

ჭიჭიკო ხვართქლაძე ბოლომდე გადაჰკრავდა ხოლმე ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ ჭიქას და მაგრად მოეკიდა სასმელი; თვითონაც წამოიწყო სადღეგრძელო, მერე დაავიწყდა თავდაპირველი თემა, გაუხვია, გამოუხვია, სადღაც შუკა-ორდობების ლაბირინთში დაეკარგა მთავარი სათქმელი და, ბოლოს, დაბეჯითებით გამოაცხადა:

– უპირატესობას ვანიჭებ სიყვარულს! – და ჩაჰკიდა თავი.

– რის სიყვარულს, ჭიჭიკო, დააზუსტე: ღვინისა თუ არყის?
 – ორივე ჭირსაც წაუღია! – წამოიძახა ჭიჭიკოს ცოლმა, მაგნოლიამ, და გვერდით მჯდომ ქმარს საკმაოდ მტკივნეული ქიმუნჯიც უთავაზა. – გასკდა შენი მუცელი, გაიღვიძე!

– ბოჩია, შენ მხოლოდ ფერების პოეტი კი არ ხარ, ლექსებიც უნდა დაწერო! – ბორძიგ-ბორძიკით განაგრძო ჭიჭიკომ. – და შენი სურათების ხასიათიდან გამომდინარე, უნდა დაწერო ლირიკული პოემა “საიდან მოდის სევდა?”.

– საიდან მოგაფრინდა ეგ აზრი, შენ კარგათა ხარ? ანონიმურ შიზოფრენიკოსთა კლუბის წევრი ხომ არ გახდი? – ისე გაჰკრა ქიმუნჯი ცოლმა.

ალიოც მაგრად დათვრა – ჯერ შამპანურით დაიწყო, მერე არაყზე გადავიდა – და, ბოლოს, ახალ ასპარეზზე გაჯეჯილება და თავის გამოჩენა მოუნდა, კრიტიკოსის სადღერდელი აეშალა, ენად გაიკრიფა:

– გამოფენა? დიდი ამბავი! მე რომ მდომოდა, აქამდე ხუთ პერსონალურ გამოფენასაც მოვაწყობდი, მაგრამ სხვებივით თავსედი კი არ ვარ!.. დიხაც!.. აგერ შატბერ აჭრაჭუნაძემაც ახლა არ გახნა თავისი მეთხუთმეტე გამოფენა? თანაც ცისფერ გალერეაში, სხვაგან კი არა! მთელი ქალაქი გადაჭრელებულია მაგის ფერად-ფერადი აფიშებით, ნეტა რა დაუჯდა მაგის დაბეჭდვა და გაკვრა? მეც მომცა მოსაწვევი ბარათი, ოქროს ვარაყითაა შემკული, ფერად ილუსტრირებულ კატალოგსაც ორ-სამ დღეში მოგართმევო, დამპირდა... ყველაფერს ახერხებს და მაგის დაბეჭდვა როგორ დაუგვიანდა, საკვირველია! ჩემს თვალწინ დაურეკა რედაქციებს, კითხულობდა, ვინ დაწერს რეცენზიებს ჩემი გამოფენის შესახებო, ტელევიზიას უკვე შეთანხმებია, დღეს მთელი ბრიგადა მივიდა გამოფენის გახსნის გადასადგებად... სამწუხაროა, რომ ბოჩიას ტელევიზორი არ აქვს, სწორედ ახლა “მომბეში” ამცნობენ მთელ ქვეყნიერებას, რომ “ნიჭიერი მხატვრის ვერნი-საჟი არავის დატოვებს გულგრილად” და ერთი ათამდე მისი ნამუშევრის სლაიდების დემონსტრირებაც მოხდება. თქვენ გგონიათ, ამით ამოიწურა მისი შემოქმედებითი იდეები? ახლა უნდა გამომცემლობაში “ჩააწყოს საქმე” და მისი ნამუშევრების ალბომი დასტამბოს... ქაღალდსაც თვითონ იშოვის, ფულსაც გააჩალიჩებს, წინასიტყვაობის დასაწერად ავტორიც მოძებნა უკვე – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქრისტესია ბურბუშელაძე, ნაკლებს როგორ იკადრებდა!

– მერე ძალიან გეწვინა, რომ შატბერ აჭრაჭუნაძემ შენ არ შემოგთავაზა ალბომისთვის წერილის დაწერა? – არ დაახანა და უჩხვილიტა ჭიჭიკოს ცოლმა, მაგნოლიამ. – მერე, ცოტას წაუმატებდი, მიკიბ-მოკიბავდი და იქნებ მონოგრაფიაც გამოგეცხო – აჭრაჭუნაძეს ქართული მხატვრობის ახალ მესიად გამოაცხადებდი!

ზოსიმემ კი დაუმატა:

– მიკვირს, ხომ იცი, ბატონო ალიო, თქვენ წესით და რიგით ახლა აჭრაჭუნაძის ბანკეტზე უნდა ბრძანდებოდეთ – ეჭვი არავის გვეპარება, იქ სუფრა ბევრად მდიდრული იქნება! თუ არ დაგპატიჟათ?

– სუფრაზე რომ გაქებენ, ზურგს უკან რას ლაპარაკობენ შენზე, დემერტმა უწყის... – განაგრძობდა ალიო, თითქოს მაგნოლიას და ზოსიმეს სიტყვები არ გაუგონიარო. – მე ახლა მინდა, სავსებით გულწრფელი ვიყო, სიმართლეს არ ვუღალატო...

ალიო თავისას მიერეკებოდა, ისევ და ისევ შატბერ აჭრაჭუნაძის პიროვნებას და შემოქმედებას უტრიალებდა – ეტყობა, მართლა ძალიან განაწყვნიებული იყო, მერე კი მისი “შემკობით” არ დაკმაყოფილდა და დაიწყო იქ მყოფი მხატვრების განქიქება:

– თქვენ რა მხატვრები ხართ? არ გამაგიჟო! სხვას არ ვიცი და მე კი ნაღდად ვერაფერს გამომაპარებთ, ვინ ჭამს მაგას! ხან ვის და ხან ვის პარავთ სტილს, კოლორიტს, კომპოზიციურ სვლებსაც კი... შენ, – ქუჩუკი ჩიტაწიკაძეს მიმართა, – “რაფაელს” ტყუილად გიწოდებენ მეტსახელად – “ლეჟე” უფრო მოვიხდებოდა! პირწმინდად რომ ყველაფერი ერთი ერთზე გადმოგაქვს, შე კაცო, რაღაც შენიც შეიტანე, ცოტა მაინც, არ გბეზრდება ასლის მკეთებლის როლი? ანდა პაპუნა ჩემო, შენ ნაღდი “გოგენი” ხარ, რაღა დროს გოგენობაა? კარგი რა, ნამუსიც კარგი საქონელია! აქ ერთი კი არა, ორი “მატისი” გვიმშვენებს მხარს – ჭიჭიკო და ზოსიმე. ძალიან ძნელია მათ შორის განსხვავების აღმოჩენა, კარგი შეგირდები ხართ, მე და ჩემმა დემერტმა, ყოჩაღ!.. მაგრები ხართ!.. ვერ დაგმაღავ, ერთიც უნდა ვთქვა... ბოჩიას გამოფენის გახსნაზე რომ მავანნი აქებდნენ, ცაში ააფრინეს, მერე ისევ ისინი გარეთ ივინებოდნენ – ეს რაები გამოუტანია, მის მაგივრად ჩვენ გვრცხვინიაო...

ბოჩიამ ჩაიციხა, ალიოს მონოლოგი შეაწყვეტინა:

– შენ ამერიკა არ აღმოგიჩენია, ვიცი, რომ ეგრე იქნებოდა. მავანი – მართლაც დაბოღმილი პიროვნებაა, არავისი არაფერი მოსწონს, მეორეს, შესაძლოა, გულწრფელად, მართლა არ მოსწონდეს – უნდა მიხვდეთ, შეატყო, რომელი რას ამბობს და რა გულის... ყველას მოსაწონი მხატვარი ჯერ ქვეყნიერებაზე არ დაბადებულა, მე რა გამონაკლისი ვიქნებოდი? რაც შეეხება გავლენებს... მე რომ მკითხო, ჭიჭიკო და ზოსიმე იმდენად არ ჰგვანან ერთმანეთს, რამდენადაც განსხვავდებიან. შენ, ალიო, ჯერ ახალგაზრდა ხარ, გგონია, კირკიტა კრიტიკოსის ნაგარჯიშევი თვალი გაქვს და ადვილად აღმოაჩენ დიდი მხატვრების “გავლენებს”, მაგრამ რამდენად სამართლიანია შენი საყვედური? თუ გინდა ობიექტურად იმსჯელო, უპირველესად ყურადღება უნდა გაამახვილო მხატვრის საკუთარ მიღწევებზე, მისი ინდივიდუალობის განუმეორებელ ნიშნებზე

და თვისებებზე, რაც ფასეულს ხდის მხატვრის შემოქმედებას... უნდა გაარკვიო: “თავისი” ან “სხვისი” – ეს სტილიზაციაა თუ ლოგიკური შედეგი მხატვრის თავისთავადობის ბუნებრივი გამოვლენისა? მხოლოდ შემდეგ შეგიძლია, უსაყვედურო ან მაღლობა უთხრა.

ზოსიმე ჩაერია:

– არა, პირში თქმა არ შეიძლება, არ არის აუცილებელი. თუ არ მოგწონს, გაჩუმდი, ნურც კარგს იტყვი და ნურც ავს, რატომ უნდა მოუკლა გული? ან, ბოჩოს ნათქვამისა არ იყოს, იქნებ ცდები? აი, მაგალითად, ზოგი მთელი ცხოვრება პატარა სურათებს აკეთებს, ყვაილებს ხატავს, შენ რას გიშლის? თავისთვის ერთობა, რატომ უნდა ატკინო გული – ეგ არაფერი არ არისო? ხატოს ბოლომდე, რაც უნდა და როგორც უნდა, რას ერჩი?

– ჰო, ვისაც რა შეუძლია, იმას აკეთებს, არ არის განქიქების ღირსი, – ეთანხმება ზოსიმეს ქუჩუკა.

– შეიძლება, უთხრა, მაგრამ შეურაცხყოფელად კი არა... თუ ძალიან მოგწონს... – ამბობს პაპუნა. – ბოჩოს ვეთანხმები: სურათი სრულყოფილი უნდა იყოს და არა ახალი...

– ათასგზის გადამღერებული ვის რად უნდა? – შეეპასუხა ალიო.

– მე სათქმელი არ დამითავრებია, ცოტას თუ მაცდი, მოგახსენებ... – უთხრა ალიოს პაპუნამ. – სურათი სრულყოფილი უნდა იყოსო, რომ ვამბობ, ესე იგი, შენი გემოვნების შესატყვისად დასრულებული, მიხვდი? არ არის საჭირო და, მე თუ მკითხავ, მაგენაცა ბოლომდე დაყვანა – მშრალი ნამუშევარი გამოდის, უემოციო... არ არის აუცილებელი, ყველას მოეწონოს, ეს შეუძლებელიცაა. ჩვენი ნიკალაც ყველას არ მოსწონს, არც ბოტინელი, ჯოტო, კარავაჯო და უამრავი სხვა – და ეს ბუნებრივია; არ მოგწონს, ნუ მოგწონს – ეს შენი გემოვნების საკითხია, მაგრამ ნუ აძაგებ! ახლა რაც შეეხება სიხლეს... ძალათ რომ იჭინთები – გინდა თუ არა ნოვატორად გამოეჩნდე, არავის უნდა ვგავდეთ, ეს სისულელეა. თუ საკუთარი სათქმელი გაქვს და ამის გულწრფელად, ალაღად გადმოცემას შეეცდები, შესაბამის ფორმასაც ბუნებრივად მოძებნი და ის ნაღდად შენი მიგნებული იქნება, იქნები თავისთავადი. ამ დროს ათასი ვიღაც მხატვრის გაგლენაც შეიძლება განიცადო – ეს გარდუვალიც კი არის, გინდა თუ არ გინდა, მაგრამ მაინც საკუთარ სათქმელს თუ ამბობ, ორიგინალობა თავისთავად გამოგივა. მიხვდი?

– მივხვდი, მივხვდი, – ამბობს ალიო. – ბატონო ბოჩია, ერთი რამ მაინტერესებს: თქვენს გამოფენაზე ბევრი იყო ღამის პეიზაჟი, სხვა მხატვრები იშვიათად აკეთებენ ამგვარ სურათებს...

– ჰო, დაეთანხმა ბოჩია. – რამდენიმე ჩემი მეგობარი გამომყვა ღამით, მათაც უნდოდათ ეცადათ ამგვარი პეიზაჟის შექმნა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო. არ ვიცი, მოთმინება არ ეყოთ, ან იქნებ არ იყო ეს მათი საქმე...

– ჰოდა, თქვენი საქმე რატომ გახდა?

– რა ვიცი... ალბათ იმიტომ, რომ მიყვარს ღამე. მიყვარს მარტოობა და მარტონი ვართ მე და ღამე... არ გამოგვდივებით ღამით გაზაფხულზე? თქვენ თვითონაც არ იცით, რამ წამოგახტუნათ ლოგინიდან... რა შეუცნობელმა ძალამ გიბიძგათ და გამოდიხართ გარეთ, ღამეს მიაყურადებთ... ღამე კი ფშვინავს, სუნთქავს, თავისი გამოუცნობი გზებით მიედინება; გაიძულე გრძნეულად, რომ მას უცქირო, მასში ჩაიძირო, მას ეზიარო... დღე სულ სხვაა – ის იმდენად შფოთიანია, ქოთქოთა, ხმაურითა და ზრუნვით ავსილი, რომ იშვიათად გიტოვებს დროს – და სურვილსაც – რომ მას, დღეს, მიაჩერდე, მისით აღტაცებული დარჩე... პარადოქსია! მზით განახნახებული ან ცრიატ დღეს, პოეტურად დაბურუსებული, იგი იშვიათად გეუბნება: შემომხედე, რა ლამაზი ვარო, იქნებ გვეუბნება კიდევ, მაგრამ ჩვენ კი არ გვემის, ათასგვარი ყოველდღიური ზრუნვით ავსებულეებს – ვერაფერს ვხედავთ... მხოლოდ ზოგჯერ დაგვიჭერს და გვაიძულებს, დავაკვირდეთ და შევიცნოთ მისი სილამაზე, როცა არსად გვეჩქარება – მე, მაგალითად, ასე წვიმის დროს მემართება... თუ შეამჩნიეთ, ჩემს გამოფენაზე რამდენიმე წვიმიანი პეიზაჟიც არის. წვიმა შეგიტყუებს სადმე სადარბაზოში, რომ გადაიმყურრო, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ლაბადა ან ქოლგა შინ დაგრჩა და თითქოს გეუბნება: დამაკვირდი, უყურე, რა ლამაზად წვიმს, რა ლამაზია სველი ქუჩაო, რა გახელებით ვუშენ წყლის ჭავლებსო... სულ რომ სადღაც გეჩქარებათ, სულ რომ საკუთარ საქმეებზე გარბიხართ და გარშემო ერთს არ მიმოიხედავთ, ცოტა ხნით მაინც გაჩერდით და მიყურეთ... ღიახ, ლამაზია წვიმაში ქუჩაც, სოფელიც, მთაც და ყოველი მხარეც. ზოგი მეტყვის, მოცლილი ვიღაც ყოფილხარო. ნუ დაუჯერებ, განსაკუთრებით, თუ მხატვარი ხარ ან ასეთად მიგანჩია თავი; თუ ვინმე საწინააღმდეგოს იტყვის – მას თვალევი წესიერად არ გაუხეღია, არ გაჰკვირვებია საოცრება: გინდა – ღამე და გინდა – წვიმა! და ბევრი სხვა რამეც!

– მე კიდევ ქარიანი ამინდი მიყვარს! – წამოიძახა ქუჩუკამ. – მართალია, ქარში რომ დადგე, ვერ არის დიდად სასიამოვნო მუშაობა, მე უფრო სახელოსნოში ვხატავ, მაგრამ ქარით შეცვლილი გარემოს წარმოდგენაც მსიამოვნებს და მიუხედავად! ყველაფერი რომ იცვლება, თითქოს ხეობიც მოძრაობენ და სადღაც გარბიან...

– ჰო, შენ თავშიც ქარი ხშირად გიქრის! – იცინის მაისა.

ქუჩუკა კი ცოლის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევს და განაგრძობს:

– ზოგი იტყვის: “ბევრი უხეხულობა მოაქვს ძლიერ ქარს: მტვერსა და ნაგავს თვალეში გვაყრის, საგულდაგულოდ დავარცხნილ თმებს გვიწეწავს, ზოგი, გულდახეთქილი, ქარის მიერ მოტაცებულ ქულს მისდევს მიმქროლავი მანქანებით გაჭედილ ქუჩაში...”. მე კი, როცა ქარით აქ-

ნავებულ-აშრიანებულ ალვას თუ ტირიფს ვუყურებ, ან თუნდაც აფრიანებულ ფერად-ფერად სარეცხს, მუშაობის ისეთი ნდომით ვიმუხტები, ვნატრობ: ნეტავ ახლა მოლბერტის წინ ვიდგემეთქი და მაშინვე გამოვრბივარ სახელოსნოსკენ...

– მაისა მართალს ამბობს: თქვენ, მხატვრები, ცოტა შექანებულები ხართ! – ამბობს ჭიჭიკოს ცოლი მაგნოლია.

– ქარი ხანდახან მართლა კარგია, – ამბობს ალიო. – ყოველდღე მისი მობრძანებისგან დმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ზოგჯერ იგი ფრიად სასურველიცაა, მაგალითად ქალაქის საფუძვლიანი განიაგებისთვის...

– ჭკვიანი ბიჭი ხარ, ალიო, კეთილი, გამგები და, რაც მთავარია, სამართლიანი!.. – არაყიანი საგვე ჭიჭა მიაწოდა ალიოს ქუჩუკამ, თან მეგობრებს თვალი ჩაუკრა. – შენ გაგიმარჯოს!.. აბა ჰე, შენი სადღეგრძელოა, ბოლომდე უნდა გამოსცალო!

ალიომ მადლობა მოახსენა და არაყი გადაჰკრა.

– მე მგონია, ქარი მხოლოდ ქალაქის გასუფთავებისთვის კი არ არის საჭირო, საერთოდ მრავალფეროვნებისთვისაც უცილებელია, – ამბობს ზოსიმე. – მრავალფეროვნების გარეშე, მათ შორის – მხატვრობაშიც, სიცოცხლის სისავსე შეუძლებელია. ჩემთვის სიცოცხლის სისავსისთვის, აგრეთვე, აუცილებელია კიდევ უამრავი რამ: რომ ქალაქში გვხვდებოდნენ ძაღლები და კატები, მაგრამ არა მეტისმეტი რაოდენობით, რასაკვირველია, რათა ქალაქის ხმაურში ბავშვთა სიცოცხლეს და ქალიშვილების კისკისთან ერთად ზოგჯერ – მხოლოდ ზოგჯერ! – უნდა ჩაირთოს ძაღლის ყვავა და კატის კნავილიც... უტილიტარული პრაქტიციზმი ვერავითარ სარგებლობას ვერ დაინახავს ბელურაში, რომელიც თითქოს არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს... მე კი მგონია, რომ ცხოვრების სისავსისთვის საჭიროა, აუცილებელია, რომ მე ხანდახან დაინახო ბელურა, თამამად რომ დახტის ქვაფენილზე და რაღაცას კენკავს, მათი საქორწინო ჭყვიპინ-ქოთქოთი მოვისმინო გაზაფხულობით, ზამთარში კი დამშეულს დაგუყარო ნაფხვენები ფანჯრის რაფაზე და ვადვენო თვალყური მის სიხარულს, რომ კენკავს და თან მოუხმობს სხვებსაც, საჩქაროდ მოფრინდითო...

– ჰო, მრავალფეროვნება და ცვალებადობა – აუცილებელი პირობაა მხატვრობისთვის და, საერთოდ, სიცოცხლისთვისაც, მისი სისავსისთვის, ისევე, როგორც მუდმივობა და სტაბილურობაც – ცხოვრება დიალექტიკური წინააღმდეგობების ერთიანობაა.

– ბელურა კი არა, ბევრისთვის მხატვარიც სრულიად უსარგებლოა და ზედმეტი, – ამბობს ჭიჭიკოს, სასმელი მოეკიდა და ენად არის გაკრფილი. – მაგათ რომ ჰკითხო, ბუნება ბევრად მდიდარია ფერებითა და ფორმებით და ვერ შეეჯიბრები; მწერალიც სულ ტყუილად აწვალებს კალამს, ჯობს, ცხოვრებას დააკვირდე და მეტს ისწავლი... საერთოდ, ხელოვნება ფუჭი რამ არის, თუ მანვე არა, ხელოსანი ბევრად სასარგებლოა საზოგადოებისთვის... მე რომ პარკეტის დამგები ან სანტექნიკოსი ვყოფილიყავი, ან სხვა “ფულოსანი” ხელობისა, სიდედრ-სიმამრი ბევრად პატივისცემით მომეპყრობოდნენ, აღარას ვამბობ ჩემს ცოლზე... ჰო, კარგი... მაგნოლია არ მასვენებს, ხედავთ? არ მაღაპარაკებს, ჩემს ნათქვამს ადასტურებს, ჰი-ჰი-ჰი!.. ახლა რა მოგიყვით... ერთხელ ზაფხულში ჩავედი ბორჯომში – ცოლ-შვილი იქ მყავდა, ბავშვები პატარები არიან. სიმამრმა მითხრა: “ბინის ქირის ფული შენ გადაიხადე და საჭმელს მე ვიყიდო, გავინაწილოთ ხარჯებით”, “კარგი-მეთქი”, ვუთხარი... ეს როგორ დამავიწყდება... წამოვედი თბილისში. იფლისია, აქ ვმუშაობდი ხოლმე სახელოსნოში და შაბათ-კვირას ჩავდიოდი ბორჯომში. ფული არ მაქვს, ორმოცდაათი მანეთიც ვერ ვიშოვე, რომ რაღაც საჭმელი მაინც წავიღო, ხელცარიელი ხომ ვერ მივალ. მივედი ელიავას ქუჩაზე, ცხელა, ეს ჩემი მხატვარი ძმაცაცები ჩრდილში სხედან და მთელი დღე ბანქოს თამაშობენ – მილიციონერები, ხელოსნები, სხვა ვიღაცეებიც მოდიან... ერთი ორასი-სამასი მანეთია ბანკში ფული, მაგრამ მურტალია, ხომ იცი, კაცი რომ თამაშობს, ვერ ეტყვი, ფული მასესხეო... სადამოს მოვიდა ჩვენი პაპუნა, ბებრიჭიპაშვილი, – შენ ალბათ აღარ გახსოვს, – და მასესხა ორმოცდაათი მანეთი... ვიშოვე ეს ფული, როგორც იქნა, და გავვარდი დეზერტირის ბაზარში, ვიყიდე რაღაც-რაღაცა და მოვასწარი, წავედი სადამოს მატარებლით ბორჯომში... რომ ჩავედი, სიძეები რომ მიდიან ხოლმე, ხომ იცი, როგორც ხვდებიან: “აუჰ, ჩვენი საყვარელი სიძე-ბატონი მობრძანდა!”... არაფერი შეგეშალოს: ჩემი ცოლი მოქუფრულია, ჯაჯღანებს, სიდედრ-სიმამრიც შავ ღრუბელს ჰგვანან... დავდექი მურტალ ხასიათზე. რა ჩემი ბრალია, ჩავედი ჩვეულებრივად, ჩემი წვალების შესახებ სიტყვაც არ წამომცდენია. დავიბოღმე, გამოვედი გარეთ... გავიხედე: გვერდით ეზოში მუთაქასავით კაცი, გაზულუქებული, გადმოვიდა “ვოლგადან”, დახვდნენ, როგორც პროფესორს ან რაიკომის მდივანს – სულ ფეხის წვერებზე დადიან... სახლის მეპატრონე იყო, გივი ერქვა, ძალიან კარგი კაცი და ვუთხარი: “გივი, მე წავედი და უთხარი ჩვენებს, რომ ერთი თვე მე აქ აღარ მოვალ-თქო, კარგი?”. ჩამოვართვი ხელი და წამოვედი, არც არავის გამოვმშვიდობებოვარ... ვიფიქრე: “ჯობდა, თქვენი სიძე ერთი გაქნილი საქმოსანი ყოფილიყო და არა ჩემისთანა ჯიბეგახვრეტილი მხატვარი-მეთქი”... ჩამოვედი, შევეკრიბე რამდენიმე მხატვარი ბიჭი და წავედით თუშეთში...

შემდეგ – ხელოვნების სადღეგრძელო, კაი კაცების, ტურფა ქალების, სიყვარულის და კვლავ ალიოს სადღეგრძელო, – აუცილებლად ყველა ჭიჭა ბოლომდე უნდა დაილიოს! – კატეგორიული იყვნენ სუფრის წევრები. ალიო იმდენად დათვრა, რომ ვეღარ განსაზღვრა, მისი პერ-

სონალური სადღეგრძელო რომ მეორედ დააღვინეს, თვალები მოერდვა, თავი მაგიდაზე დადო (მართალი მოგახსენოთ, დიდად არ მესიამოვნა მისი ოფლიანი სახის შეხება), მაგრამ არ აცალეს დაძინება, თავი წამოუწიეს და დროგამოშვებით რამდენიმე ჭიქა არაყი თითქმის ძალით ჩაასხეს ხახაში...

გამოჩერებამდე კი არ დათვრა, საერთოდ გაითიშა ალიო; მერე იგი ოთხმა კაცმა ფრთხილად ასწიეს, ციმციმ გაასვენეს ქუჩაში და ხის ძირას დამჯდარი მიაყუდეს. უნდოდათ ამ მდგომარეობაში ალიოს იქ დატოვება, მაგრამ ბედად ამ დროს ნაგვის მანქანა გამოჩნდა; გააჩერეს, ნაგავში ფრთხილად ჩაასვენეს, შოფერს ფული მისცეს და სთხოვეს, ქალაქგარეთ სანაგავზე გადმოტვირთო...

სარდაფში დაბრუნებულებს მაგნოლიამ სერიოზულად განუცხადა:

– ჩემი ქმარიც მასთან ერთად უნდა გაგესვენებინათ, ახი იქნებოდა! როგორ უნდა წავიყვანო აქედან?

კარი XIII. ერთხელაც ბოჩიამ გამყიდა...

ბოჩია ბოჩალეიშვილის სარდაფ-სახელოსნოში ხშირად იკრიბებიან მისი განუყრელი კოლეგა-მეგობრები – ქურუკი ჩიტაწიკებაძე, ჭიჭიკო ხვართქლაძე, პაპუნა ბიჭაპურაშვილი და ზოსიმე ბებრიჭიპაძე; სვამენ არაყს, აყობენ შებოლილ თევზსა და შავ პურს, მსჯელობენ პროფესიულ საჭირობოროტო საკითხებზე, ჭორაობენ, წაიმღერებენ კიდევ, თუმცა სიმღერა ეგრერიგად არ ეხერხებათ...

საინტერესო ამბებსაც ჰყვებიან!

ამჯერად ჩვეულებრივად შეიკრიბნენ, განსაკუთრებული მიზეზის გარეშე – ერთმანეთს გადაურეკეს-გადმოურეკეს...

ერთმა ძეხვი მოიტანა, მეორემ – რამდენიმე ბოთლი ღვინო, მესამემ – ყველი და შოთის პური...

ბოჩია ბოჩალეიშვილი იწყებს:

– ერთი მხატვარია, აჩიკო ამირინდოშვილი, – თუ პირადად არ იცნობთ, მის შესახებ ყველას გაგიგიათ მაინც, – შეუთანხმდა მის მეგობარს, მეორე მხატვარს ბათუ ბუთულიაშვილს, ამასაც იცნობთ, შემდეგზე: აჩიკო ბათუს უთმობს ადგილს, მიწის ნაკვეთს, ადებულს ახალი სახელოსნოს ასაშენებლად, სამაგიეროდ, ბათუ აჩიკოს სანაცვლოდ აძლევს თავის სახელოსნოს მანსარდაში... დროებით, ახალი სახლ-სახელოსნოს აშენებამდე, ბათუ თავის ადრინდელ სახელოსნოში იმუშავებს – დილით, დღის მეორე ნახევარს გამოიყენებს აჩიკო, ასე შეთანხმდნენ. იცით, აჩიკო მაგარი საქმოსანია, ხალტურულ შეკვეთებს ეტანება, ამავე დროს, სადღაც სულის სიდრემში პრეტენზიაც აქვს, რომ ნამდვილი, დიდი მხატვარია – პოტენციურად მაინც. ბათუ ნამდვილი შემოქმედია, ამავე დროს, დროისა და გარემოებების კარნახით, იძულებულია, ოჯახის სარჩენად დროდადრო სხვადასხვაგვარი შეკვეთებიც შეასრულოს – იწაწალოს რუსეთში საგზაო პავილიონების გასაფორმებლად, იმუშაოს თოჯინური ფილმებისთვის პერსონაჟთა ესკიზებზე, ზოგჯერ შურნალ-გაზეთებისთვის კარიკატურებიც კი გააკეთოს და სხვა... ჩვენც ამ დღეში არ ვართ? მეტი წილი დროისა ამგვარ საქმეებზე გვეხარჯება, საკუთარი თავისთვის გეღარ ვიცლით... ბოჩო, შენ ჯიგარი ხარ, ფეხებზე იკიდებ ყველაფერს, რაც ხელს გიშლის შემოქმედებაში და იმიტომაც ხარ ასეთი ნაყოფიერი და წარმატებული. ჰოდა, ერთხელ, კარგა ხნის პაუზის შემდეგ, აჩიკო შუადღეზე მივიდა სახელოსნოში თავის ვაჟიშვილთან ერთად – სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად უნდა წაამეცადინოს – და გაშტერდა: კედლებზე გამწკრივებული იყო უამრავი პორტრეტი, რომლებმაც ის გააოგნა თავიანთი უჩვეულობით – სახეები მოეჩვენა საოცრად დამახინჯებული... როცა დაუკვირდა, ნელ-ნელა მიხვდა, რომ ამ დეფორმაციებში რაღაც სხვა აზრი იყო ჩადებული, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა; ეტყობა, მხატვარს სურდა, ეჩვენებინა სულისმიერი, ქვეცნობიერი, ის, რაც გარეგნულს მიღმა დგას და არა ზედაპირული, უბრალო დამახინჯება ნაკვეთებისა... დიდხანს უყურებდა და ისიც კი გაიფიქრა, რომ ბოლომდე ვერ ჩაწვდა ბათუს მხატვრობის სიდრემებს და ამან გააღიზიანა, საკუთარი არასრულყოფილების თუ არასრულფასოვნების კომპლექსმა შეაშფოთა. მოძებნა და იქვე იატაკზე კედელთან მიაყუდა საკუთარი ფუნჯით ადრე შექმნილი პორტრეტი, რომელიც არ გაყიდა, ვერ შეეღია: ძალიან მოსწონდა, საკუთარ შემოქმედებაში ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად მიანდა და, საკუთარ თავსაც კი არ უმაღავდა, რომ მისით აღფრთოვანებული იყო – შვილისთვის აპირებდა სასწავლო მიზნებისთვის ჩვენებას. შეხედა და ცხადად დაინახა, როგორ გაფერმკრთალდა მისი ნამუშევარი ბათუს ნებისმიერ პორტრეტთან შედარებით – რა უილაჯო, უღონო ჩანდა! რა ყალბი, და დატკბილული! ამან ნერვები კიდევ უფრო მოუშალა, შინაგანმა მშფოთვარებამ შეიპყრო... შვილთან საუბრის და რაიმეს სწავლების სურვილი სრულიად გაუქრა – ბათუს პორტრეტებზე ხომ არ დაუწყებდა საუბარს!.. მერე დამეც კი ვეღარ დაიძინა... ჰოდა, ერთ დღეს, როცა იფიქრა, ცოტა გამოვედი დაძაბული მდგომარეობიდანო, წაიყვანა შვილი სამეცადინოდ – გამოცდები აკადემიაში კარზე იყო მომდგარი. აჩიკო რაღაცეებს უსხნის თითქმის ერთი საათის განმავლობაში და ცხადად გრძნობს, რომ რაღაც ყალბი ხმით

ლაპარაკობს, ნაძალადეგად; ღიზინდება, ეჩვენება, შვილს მისი ნააზრევი ფუყედ მიაჩნია, გულ-თან ახლოს არ მიაქვს. ამ დროს მოვიდა ბათუ, რაღაც ჰქონდა წასაღები. დაინახა აჩიკოს გაჭირვება, გვერდით დაუდგა, ისიც ესაუბრება ბიჭს. ნელ-ნელა თითო-ორი რეპლიკიდან ბათუმ სადაგეები მთლიანად ხელში აიღო და ისიც ერთი საათის განმავლობაში ესაუბრებოდა ბიჭს. და ამ დროში იმდენი უთხრა, იმდენად დააინტერესა, გაათვითცნობიერა, რომ აჩიკოც კი განცვიფრებული დარჩა... თვითონაც ბევრი რამ გაიგო და იმასაც მიხვდა, – მთლად უნიჭოც არ ეთქმოდა, – რომ მხოლოდ მცირე ნაწილს ჩაწვდა ბათუს ნათქვამისა და ამანაც გააცოფა... გაბრაზდა იმაზეც, რატომ მიგეცი, რატომ დაგუთმე ნაკვეთი, ის იქ უზარმაზარ სახელოსნოს და საცხოვრებელ ბინასაც აიშენებს, მე კი ამ დახუთულ მანსარლაში უნდა ვიმუშაო... აშკარად ყოველმხრივ აჯობა ბათუმ! მას, “საქმის კაცს”, საქმის მოკვარახჭინებაშიც აჯობა, ჭკუით აჯობა! ის კი არ იცის, რომ ბათუ თავბედს იწყევლის, ეს რა ხათაბალაში გავები, რამდენი სარბენი და სადავიდარაბო ყოფილა მშენებლობის წამოწყებაო, შემოქმედებისთვის თითქმის ველარ იცლის... სახლი-სახელოსნო ჯერ მხოლოდ სახურავგეგმე მოაქცია, უამრავი რამ დარჩა კიდევ გასაკეთებელი: კედლების შეღესვა, კარ-ფანჯრები, სანტექნიკა, ელექტროგაყვანილობა, იატაკი და ათასი და ერთი პრობლემა კიდევ, ფული კი თითქმის შემოვიღია... თანაც აჩიკო ეუბნება ბათუს, გეყო, ძმაო, ერთი თვე ხომ იბაირამე აქ, აწი სხვაგან მოძებნე ადგილი, თუნდაც შენს დაუმთავრებელ სახელოსნოში იმუშავე – წყალი აღარ ჩამოგდის, გადაგიხურავს და მეტი რაღა გინდაო... ამით აჩიკო გულს იფხანს, წარმოგიდგენია? მევე ისიც კი უთხრა, ეს შენი ნამუშევრებიც სასწრაფოდ მოაშორე აქედანო – ნერვებს უშლიდა... სად აქვს ჭკუა, თორემ ეცქირა ამ პორტრეტებისთვის, ხომ გრძობდა მათ სიძლიერეს, ხომ ისწავლა რაღაცა, გაიაზრა ბევრი რამ თვითონაც; კიდევ უკეთესი იქნებოდა, ბათუს გვერდით ემუშავა, ერთმანეთს ბევრ რასმე მისცემდნენ... ჩვენ, მხატვრები, ერთმანეთს “გზრდით” – არანაკლებ და იქნებ მეტადაც, ვიდრე სამხატვრო აკადემიის პროფესორები...

– ერთი მაგის ჭკუაც ვატირე, მოდით, სიყვარულის სადღეგრძელო დავლიოთ! – ამბობს ჭიჭიკო ხვართქლაძე. – ხომ ყველამ კარგად იცით, რა არის სიყვარული? “უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ...”. ჰოდა, ახლა ერთი კაი ხნის ამბავი გამახსენდა... გაზაფხული ხომ სიყვარულის დროა და სწორედ მაისია, სადამოვდება. მაშინ დიდუბეში ვცხოვრობდი, ჰოდა, ვდგავარ აივანზე, მის მოაჯირს ვარ დაყრდნობილი და მე-სამე სართულიდან გაგცქერი: ხან – ცაში მოსრიალე მერცხლებს, ხან – ქუჩაზე გამგლელებს... ჩვენს ქუჩას ჯერჯერობით ტროტუარები არ აქვს, ერთი ბებერი, მაგრამ ჯერაც ხშირგარჯიანი თუთა თითქმის ქუჩის შუაში დგას. ჩვენი ახალაშენებული ოთხსართულიანი სახლი ყველაზე დიდია ამ არემარეში, გარშემო სოფლური ყაიდის ერთსართულიანი აგურის სახლებია – ფართო ეზოებით, ბაღა-ბაღებით... ერთ-ერთი ასეთი ეზო ჩვენი სახლის გვერდითაა; მისი ჭიშკარი ჭრიალით იღება და ქუჩაში გამოდის შავთმიანი კოხტა ქალიშვილი. თვალს არ ვაშორებ თეთრკოპლებიანი წითელი კაბის რიტმულ რხევას – კაბის ბოლო ისეთი ნატიფი რწევით მიმოდის, უნებურად ვფიქრობ, ასეთი ლამაზი სიარული ჯერ არ მინახავს-მეთქი... გაუსწორდა ჩემს აივანს ელიკო, – ვიცი, რომ ელიკო ჰქვია, – და ზევით ამოიხედა – ამონათა ფოფინა დიდმა, მუქმა თვალებმა... მონუსხულივით ჩავცქერი მობრდღვიალე თვალებს, ისე მიზიდვს, ლამის ჩახტე ქვევით, ელიკოც ამომცქერის... მერე მხერა ისევ ქვაფენილისკენ გადააქვს... კარგა ხანს ფოტოსურათზე ადბეჭდილივით თვალს ამ მცილდება მისი შავი თვალ-წარბი, სწორი ცხვირი და ალისფერი ტუჩები, თუმცა სინამდვილეში უკვე ზურგიდან ვხედავ, როგორ ნაზად, ამავე დროს კი ძლიერად, ჩქარ-ჩქარა ადგამს ჩამოქნილ ფეხებს, ცალი ხელით ოდნავ განზე რომ მიაქვს სიარულისას და კაბის ქვედა ბოლო კი გასაოცარი გრაციოზულობით ქანაობს, თითქოს წრეს უგლის მის მუხლისთაგებთან: ხან – უახლოვდება, ხან – შორდება... ბოლომდე ვაცილებ მხერით, სანამ წითელი ლაქა მოსახვევს არ მიეფარება... ყოველ სადამოს ამ დროს გამოდის შინიდან და მეზობელ ქუჩაზე მიდის სამედიცინო სასწავლებელში. ერთ სადამოს ჩამოვირბინე კიბეებზე და ჩუმად უკან გავეყვი, მაინტერესებდა, სად მიდიოდა. ოთხსართულიან შენობაში შევიდა; ადრე მეგონა, იმ შენობაში მხოლოდ საშუალო სკოლა იყო, თურმე სამედიცინო სასწავლებელიც მუშაობდა სადამოობით. ელიკო დღისით რამდენჯერმე ჩვენს ქუჩაზეც შემხვდა, შემომაცქერდა, გაიღიმა, თითქოს ელოდა, რამე ვეტყვი, თავდაპირველად – გამარჯობას მაინც, ისე, უბრალოდ, ნაცნობობის დასაწყისისთვის, მე კი მის ოდნავ, სულ ოდნავ ელამ თვალებს მხერას ვერ ვაცილებდი და სიტყვის თქმას კი ვერ ვახერხებდი... ახლა რომ ვიგონებ, ალბათ რა სასაცილო ვიყავი! ასე გადიოდა დღეები, კვირები და თვეები, მე კი ისევ ვყოყმანობდი, მეტისმეტად მორცხვი ვიყავი, მორიდებას ვერაფრით ვძლიე... ერთხელ გადავწყვიტე, შევხვდები და შევთავაზებ, შენს პორტრეტს დავხატავ-მეთქი, უპირველესად ეს მომივიდა აზრად, მაგრამ მერე გადავიფიქრე: მაშინ აკადემიაში პირველ კურსზე ვიყავი და შემეშინდა, ხომ იცი, ვაითუ ვერ შევძლო კარგი პორტრეტის გაკეთება-მეთქი. ამასობაში ზაფხულიც დადგა, წავედით პრაქტიკაზე ახალქალაქში, მერე იქიდან ერთმა წყება ბიჭებმა მათათუშეთში გაგწვიეთ. როცა შემოდგომაზე დავბრუნდი შინ, ელიკო აღარ გამოჩენილა... ყოველ სადამოს აივანზე ვიყავი დარტყობილი, მთელი დღეც ბევრჯერ “ვიმორიგევე”, მაგრამ უშედეგოდ. არ ვიცი, სასწავლებელი დაამთავრა, ან იქნებ ბინა გამოიცვალა... რამდენჯერ გამილანძღავს საკუთარი თავი ლაჩრობისთვის... ძალიან ხშირად მიფიქრია, რა იქნე-

ბოდა, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა რომ არ გამეჯანჯღლებინა და ელიკო ჩემი ცოლი გამხდარიყო?.. ვიქნებოდი ბედნიერი? რამდენიმე ათეულ მის პორტრეტს კი ნაღდად შექმნიდი! ერთი პორტრეტი მახსოვრობით მაინც გავაკეთე, მაგრამ არ გამომივიდა. ისე, ყველას მოსწონს, მე კი ვხედავ, რომ რაღაც აკლია; ბევრი ვიწვალე, მაგრამ ვერაფრით მივაღწიე, რომ ოდნავ მაინც ჩემში კმაყოფილება გამოეწვია. ეტყობა, იმ ცოცხალი ელიკოს სახე დიდად ჯაბნის ფუნჯით გაცოცხლებულს...

– ერთი მაგნოლია იჯდეს აქ, ნეტავ რას გეტყვოდა? – ეუბნება ჭიჭიკოს ზოსიმე.

ქუჩუცი ჭიჭიკოს მიმართავს:

– შენ, ძმაო, საკმაო დრო გქონდა და ვერ მოახერხე გამოყენება, მე კი... ცხოვრებაში ზოგჯერ ისეთი წუთი დგება, თუ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგი, მთელი შენი ბედ-იღბლის მდინარეება შეიცვლება. მეც შენსავით მსგავს სიტუაციაში მოვხვდი, ოღონდ ზაფხული იღვა, იენისი. სამხატვრო აკადემიაში მეოთხე კურსე გადავედი, მეც მინდოდა ბიჭებთან ერთად წავსულიყავი სადმე, მაგრამ ფული არ მქონდა, სულ ცოტა მაინც. ერთი ბიჭი მომიყვანეს, ფულიც წინაწარ მომცეს – ხატვაში წაამეცადინეო, აკადემიაში აპირებდა შესვლას... მოკლედ, გავეჩინირე ქალაქში. იმ წელს ადრე ჩამოცხა, უკვე მტვერია და უბედურება. ერთხელ შუადღეზე უცებ მოიდრუბლა, მოულოდნელად სეტყვამ წამოუშინა, ახმიანდა მიძინებული ქუჩა; ხოშკაკალას ძლიერი წვიმა მოჰყვა. მე მაღაზიაში ვიყავი გასული ყავის საყიდლად, შინ ვეღარ ვბრუნდები – ისე უცებ დასცხო სეტყვამ... რამდენიმე გამგელთან ერთად ვდგავარ დაკეტილი მაღაზიის კართან, – შესვენება დაღვა, – ყველანი კარის შუშას ვეკვრით, რომ ნაკლებ დაესველდეთ. ჩემს გვერდით გოგო კანკალეებს – შორიდან ვიცნობდი, ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა, მომწონდა... გვერდიდან ვუყურებდი მის სველ სახეს, თმებს, თხელ კაბას... ჩემს მზერას გრძნობს, დარცხვენილია; ერთი-ორჯერ იმანაც შემხედა, მაგრამ დალაპარაკებას მაინც ვერ ვხედავ... შევამჩნიე, რომ მის გვერდით ერთი კაცი მყრალად აბოლებს სიგარეტს – წვიმით განბანილ გრილ, სუფთა ჰაერში განსაკუთრებით არ სიამოვნებს ეს გოგოს და ცხვირს გვერდზე იბზუებს... თუ უნდა, ამ ხერხით მე შემხედოს?.. ის მაინც მოვისაზრე, რომ გოგოს ადგილების გაცვლა შევთავაზე... მერე თითქოს ჩემთვის ჩავილაპარაკე: “რა ღამაზად წვიმს, ქუჩას ჩვეულ სახეს უცვლის...”, გოგოც გამეპასუხა: “ღამაზი კია, მაგრამ ჯობს, ეს სიღამაზე მალე დამთავრდეს, დროზე გადაიდოს – ძალიან ცივა... ეს რა ზაფხულია!”. რაღაცამ ელვასავით დამკრა თავში, უცებ გადავწყვიტე: გავიხადე პიჯაკი, – კიდევ კარგი, პიჯაკი ჩავიცვი შინიდან გამოსვლისას, ბედიც ამას ჰქვია! – ჰოდა, მოულოდნელად მოვახურე ბეჭებზე, მისთვის თანხმობა არც მიკითხავს. ის თითქოს ჯერ უარზე იყო, პატარა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ მერე მაინც დაიტოვა მხრებზე და უფრო მჭიდროდაც კი შემოიტმანა... ათ წუთში გადაიდო, წავედით, მივაცილე სახლამდე, ხომ გითხარით, ჩემს ქუჩაზე ცხოვრობდა. გზაში ვილაპარაკეთ, როცა მივდიოდით, გზაჯვარედინებზე ყველგან “მწვანე” გვხვდებოდა. “გამბედაობაა მთავარი!” – გაგიფიქრე და პაემანზე მოსვლა ვთხოვე...

– მერე?

– რა მერე? ჩემს ცოლს, მაისას, ხომ იცნობ! უფრო ხშირად ხუმრობით იენისას ვეძახი ხოლმე!

ამჯერად ბონია ბონალეიშვილის სარდაფში – ბინა-სახელოსნოში – სხვებთან ერთად არის ცნობილი მხატვარი გიზო ზარნაშია, კათედრის გამგე სამხატვრო აკადემიაში; იგი მათზე უფრო ხნიერია, მაგრამ ამ ბიჭებთან მეგობრობს. გიზო ჩივის:

– გაუთავებელი სირბილი მაქვს გაჩაღებული აქეთ-იქით – მხატვრობაში მუშაობისთვის სად მცალია! მივვარდები შინ, იქიდან – ბაზარში, იქიდან – მამაჩემთან ქალაქის მეორე ბოლოში – მოხუცდა, ავადმყოფია, უნდა დავხედო უეჭველად... მერე აკადემიაში მივდივარ, ერთი სული მაქვს იქ როდის დავამთავრებ საქმეს, მერე – შვილზე ხლაფორთი: სამსახური დაჰკარგა და უკვე ნახევარი წელიწადია, უსაქმოდ დაბორილად; ცოლი სულ ეჩხუბება და მეც გართულებული ურთიერთობა მაქვს რძალთან, სიდედრთან... ვითომ საზრუნავი და თავის სატყეი მაკლდეს, ჩემი ცოლიც სულ მიჩინინებს, რა ჯანდაბა უნდა, ვერ გავიგე! შვილიშვილზეც მე უნდა ვიზრუნო – სხვებს არ სცალიათ, რა საქმე აქვთ ჩემზე მეტი ნეტავი... სანამ ამდენი ზევით-ქვევით სირბილი და უბედურება ბოლოს მომიღებდეს, გადავწყვიტე – მანქანა უნდა ვიყიდო!

– მერე კაპიტალი საიდან? – ეკითხება პაპუნა. – რაც თავი მახსოვს, სულ მაგ პიჯაკით დავიხარ...

– სხვა გამოსავალი არ ჩანს, მომკლა ამდენმა სირბილმა, უკვე არც იმდენად ახალგაზრდა ვარ! – გიზოს თითქოს არ გაუგონია პაპუნას სიტყვები, ისევ თავის ოცნების ბედაურს მიაგეღვებს: – ჯერ ვფიქრობდი ნახმარ “ზაპოროჟეცზე”, ლაყურებიანზე, მერე – ახალ “ზაპოროჟეცზე”, მერე – “მოსკვიჩზე”, მერე – “ვიტულიზე”...

– გიზო ბატონო, ახლა რომელზე ფიქრობ, “ვოლგაზე”? – ქირქილით ეკითხება ჭიჭიკო, ქუჩუცი კი აშკარად დასცინის:

– ბარემ “როლს როისი” იყიდე და კარდინალურად გადაწყვიტე პრობლემა – ამდენ საფეხურებს, ტვინის ჭყლეტასა და ნერვების წიწვას ერთიანად მოუღებ ბოლოს! ჰა, ხომ მეთანხმები? თანაც, აკადემიაში რომ მიბრძანდები შენი კრიალა ინგლისელით, მთელ იმ გაფუჭულ პროფესურას თვალები გადმოუცვივდება! ერთ-ორს ინფარქტიც დაარტყამს, ადგილები გამოთავისუფლდენ

ბა და მაშინ შენი ჩალიჩი დაგეჭირდება, ჩვენც სიცოცხლეში ერთხელ რამეში გამოგვადგები, პროფესორის თუ არა, დოცენტის ადგილს მაინც გვიშოვი – ცეკაში მისრიალდები შენი მანქანით და ვინ ოხერი გეტყვის უარს!

– ცეკამდე კი მივიდა ჩვენი სამშენებლო კოოპერატივის საქმე, მაგრამ მერე რა? არაფერი! – ხელი ჩაიქნია გიზომ. – კოოპერატივი ჩამოვყალიბე თხუთმეტი წლის წინათ... რაც მე მაგაზე სირბილი და ნერვების წყვეტა დამჭირდა! ესეთი ბედი მქონია, ყველას ჭირი მე უნდა ავიკიდო... შეგკრიბე რაღაც საბუთები – მიწაზე, ამაზე, იმაზე და ერთი დიდმა კანკალაძე გეყავს, დამსახურებული მხატვარი, უფრო ლოთბაზარას წოდება ეკუთვნის, იმას ვეუბნები: “წახვალ თავმჯდომარედ? მე მეყო წვალება”... “წავალ!” – დამთანხმდა. იმ დღეს ნასვამი იყო ცოტა, შევიყვანე მხატვართა კავშირის თავმჯდომარესთან, კაცია კვანჭიაშვილთან. ამას კიდევ წესით – კაცუნა უნდა ერქვას... მე ვუთხარი: “ბატონო კაცია, მხატვრებმა ჩამოვყალიბეთ ბინების სამშენებლო კოოპერატივი და ახლა ვიწყებთ ბრძოლას მიწის ნაკვეთის გამოსაყოფად, რამდენიმე ვარიანტია”. დიდიმც თავს მიკანტურებს დასტურის ნიშნად, ღვინის სუნი ასდის, კევი მივეცი ამ გამოთავყვანებულს დასადგეჭად, იქნებ ცოტა გამოუნელდეს. ისეთი ეშმაკი თვალები ჰქონდა იმ კვანჭიაშვილს, შეხედა დიდიმც თვალეში და ეკითხება: “წახვალ ამაზე?” – თვალეში ჩახედა. “კიო!” – იმან. რომ გამოვედით კაბინეტიდან, მე ვუთხარი დიდიმც: “შენ უკვე პიროვნება ხარ, იცოდე, კოოპერატივის თავში დაგვიცი! არ დაგავიწყდეს, ვინ იყო ამ საქმის მოთავე-მეთქი”. გავიდა ორი თუ სამი კვირა, ეს კოოპერატივი რომ ჩამოვყალიბეთ, მიწაზე ლაპარაკი და უცებ გამოჩნდა დათიკო დიდკაკალაძე – სამხატვრო აკადემიიდან; მაშინვე საქმეში ჩაერთო, სამხატვრო აკადემიას მეტი ძალა აქვს, ვიდრე მხატვართა კავშირს, მიხვდი? კოოპერატივის წევრები, დოცენტები, პროფესორები, აკადემიაშიც არიან და მხატვართა კავშირშიც. თან მხატვართა კავშირის კოოპერატივში დიდი ბინები შენდებოდა, ვთქვათ, სამი ოთახი პლუსით, შეგეძლო, ორასი კვადრატული მეტრი გაგეკეთებინა, რაც სხვას არ შეეძლო, არ გქონდა შეზღუდვა: სახელოსნო და რაღაცა. ჰოდა, ორი თუ სამი კვირა გასული და მოვიდა დიდი და ამბობს, მე აკადემიაში უნდა გადავიტანო საბუთებიო, ჩემი წილი დარჩესო, მე ფხეხეზე მიკიდისხართ ყველანი, მე ბინა მიწადო... ჩემი ძმაკაცია და ასეთ რამეს მეუბნება, უცბად გამოიცვალა. ამ დროს ეს კოოპერატივი ჩაიგდო ხელში – დილარ ბაშლიყაშვილია ერთი, აფერისტი, აკადემიკოსი გახდა, თუ გაგიგონიათ, არაფრის გამკეთებელი. ჰოდა, ახლა ამან დაიწყო ქაჩვა. მე გავანებე უკვე ყველაფერს თავი და ამათ დაიწყეს ჩალიჩი მიწის ნაკვეთზე – აიღეს ნუცუბიძის ქუჩაზე, ცუდი ადგილი არ არის. დაიწყეს მშენებლობა, მერე გაჭიანურდა – დილარა ვერ აკეთებს... მოვიდა ერთი ვახო ბახტურაშვილი – ამბობს, ეგ ვერ აბამს თავს, მე გავაკეთებო. მივედი დიდიმთან და ვუთხარი, მიეცი ეგ საქმე ვახოს-მეთქი, ვილაცხევიც ჩაერივნენ და დიდიმმა დათმო... ამ ბახტურაშვილმაც ვერ გაქაჩა. მე კი არ ვიღებ მონაწილეობას, მაგრამ ხანდახან მომაკითხავენ, მაინც მეტყვიან, რომ ასე და ასეა საქმეო. ეს ბახტურიშვილიც ვერაფერს გახდა და გავიგე, რომ ახლა გური თოფრაკაშვილია, ესეც აფერისტიების პრეზიდენტია რაღა, და იმან არ აიღო თავმჯდომარეობა? კრება ჩაუტარებია, მე ვიკისრებ ამ საქმესო... აიღო და აიღო, წავიდა და წავიდა... ატყდა ერთი ამბავი, ვილაცხევიც უჩივლეს – არაფერს არ აკეთებსო, შეჭამა ჩვენი ფულიო... მოვიდა ჩემთან იროდიონ ჩიტაფხალაძე, მოქანდაკეა, მითხრა: “გიზო, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ ეგ წურბელა გური უნდა მოვიშოროთო”. მივედით ცეკაში, ერთი ნაცნობი ჰყოლია, დიდი თანამედრობის პირი და იმან დაგვიპირდა, ყველაფერში დაგეხმარებითო. ახლა მიწა, რომ გურის წავართვათ თავმჯდომარეობა, არაფერი გამოგვდის, ნებით არ მიდის. კოოპერატივის წევრთა საერთო კრება ჩავატარეთ, კრებაზე გამოვედი და ვამბობ: “აი, ხომ მართალი ვარ, მე თუ გინდა, ბინა არ მივიღო, თუნდაც სულ წავალ კოოპერატივიდან-მეთქი”... გვერდზე ვილაც იღვა და: “ჯანდაბაში გზა გქონიაო”, – მეუბნება. გაიგე? ყველაფერი შენი დაწყებულია, რაღაცის გაკეთება გინდა უანგაროდ, ამ წურბელის მოშორება და ვილაც ნაბიჭვარი ესეთ რამეს გეუბნება... ღორები!.. მე ადამიანი მიყვარს, მაგრამ... ძალიან ძნელია ამის გაგონება... ჩავიკმინდე ხმა, გავჩერდი. მაგრამ ყველაზე მშრტალი რა მოხდა, იცი? გავარდნენ ტიპები და გური თოფრაკაშვილს უთხრეს, გიზო კრებას ატარებსო... ვინ გაიქცა გურისთან, იცი? ჩემი უახლოესი მეგობრები, – დიდიმ კანკალაძე და კოტე ჩიტაფაფაშვილი, – ასე მდაბლად მოიქცნენ. ამათ ვეუბნები: “ბიჭებო, მე ვარ გიზო, ის – გური თოფრაკაშვილია, ხომ იცნობთ, ტვინი სად დაკარგეთ?”. “იმან გზა გაგვიკეთა, ესა, ისა...” – ტიტყვინებენ რაღაცას. “თქვე გამოთავყვანებულეო, – ვეუბნები, – აზრზე მოდით!” – ვერ დავარწმუნე. დავანებე ყველაფერს თავი, ჯანდაბამდის გზაც გქონიათ-მეთქი... ახლაც შენდება ის სახლი, თხუთმეტი წელი გავიდა და დღესაც გახურებული ჩხუბი აქვთ, მხატვრების შეტანილი ფული შეიჭამა. მთელი რომანის დაწერა შეიძლებოდა: ხასიათები, სიტუაციები და ერთი ამბავი. დიდიმ და კოტე რომ შემხვდებიან, ხუმრობით ვეკითხები: “რა ქენით ბიჭო, ააშენეთ სახლი?”. “ერთი მაგის დედაც...” – შეიგინებინ. “გურისთან სად გარბოდით, ბიჭო-მეთქი, ჰა?” – და გაიცინებენ: “ჰი-ჰი-ჰი!... ამით მთავრდება ყველაფერი.

– გული არაფერზე გწყდება? – ეკითხება ქუჩუკი.

– რაზე, კაცო? კიდევ კარგი, დროზე დავანებე თავი, ველარაფერს გავაკეთებდი, მხატვრობას საერთოდ ჩამოვცილდებოდი!.. ახლა სხვა ამბავს მოგიყვებით... ერთიც დამისხი ეგ არაყი, კარგად მიდის, ენა გამიხსნა... ჰოდა, კარგა ხნის წინათ ერთი კაცი შემხვდა ქუჩაში, მომესალმა, გამაჩერ

რა და გამიბა საუბარი, მეუბნება: “მე თქვენი ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი ვარ, ოცნებად მაქვს გადაქცეული, თქვენი ნამუშევარი მქონდესო; ჩემი სოფელი საჩხერის რაიონშია და გთხოვთ, მოდინახეს ციხე დამიხატეთ და რაც ელირება, მოგართმევთ”. ხშირად მხვდებოდა რუსთაველზე, რომელიღაც ჟურნალის რედაქტორი უნდა ყოფილიყო. და ეს კაცი ხან გამხდარი იყო, ხან – მსუქანი, ხან – მოღუშული, ხან – პირმცინარე, მშვენიერ გუნებაზე... მიკვირდა: რაშია საქმე, ასე უცებ რა ახდუნებს, ან რა ასუქებს-მეთქი, ვერაფრით მოვისაზრე. დროდადრო შეხვედრისას მახსენებდა, როდის დამიხატავ დაპირებულ სურათსო. კარგა ხნის გაჭიანურების შემდეგ, – რამდენიმე წელი გავიდა, – მივუტანე რედაქციაში დაპირებული პეიზაჟი და მდივნის ხელით შევუბზაფნე, თათბირი ჰქონდა. ველოდი, გამოვა, მაღლობას მაინც მეტყვის-მეთქი, მაგრამ არაფერი... გავიდა რაღაც დრო, შემხვდა ეს კაცი ქუჩაში და მსაყვედურობს, ამდენ ხანს რატომ მალოდინებ, მიხატავ თუ არა სურათსო. “ხომ მოგართვით?” – ვეუბნები. “ოჰ, არა, როდის, კაცო?” – შეიცხადა. და უცებ მიხვდი, რომ ორ ადამიანს ვურევდი ერთმანეთში... მხატვარს ეს როგორ მომივიდა, საკვირველია. ბოდიში მოუხსადე და იძულებული გახვდი, მეორედ გამეკეთებინა იგივე პეიზაჟის ვარიანტი, კიდევ კარგი, ეტიუდი შენახული მქონდა და სწრაფად გაგაკეთე, არ გამჭირვებია. მართალი გითხრათ, მეორე სურათი უკეთესი გამოვიდა.

– ხომ გეტყობა, რომ პორტრეტისტი არ ხარ, მე მსგავსი შეცდომა არაფრით მომივიდოდა, – ამბობს ზოსიმე ბებრიჭიბაძე და გრძელ თმას ხელით უკან გადაივარცხნის.

– შეცდომა ვის არ მოსვლია, ოღონდ საბედისწერო არ უნდა გამოდგეს, შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე რომ სანანებლად გექნება, – ამბობს პაპუნა ბიჭიპურაშვილი. – ზოგი საკუთარ შეცდომას ან ცდუნებას სათაფისოდ იყენებს, არც სინდისს ქენჯნა აწუხებს... ერთი ოცი წელი იქნება გასული, თუ გახსოვთ, თავმოჭრილი კაცი რომ ნახეს დამწვარი – თავი ცალკე, ტანი ცალკე, ქალაქში დიდი ამბავი იყო ამტყდარი. მერე დაადგინეს: ეს კაცი ჯამიაშვილი იყო გვარად, თუ მენსიერება არ მღალატობს. ამ ჯამიაშვილს სულ კიტელი ეცვა ხოლმე, ხაკისფერი საჩხინანი ქუდი ეხურა, ვიწრო გაკრიალებული ჩექმებით იწონებდა თავს – სულ თავაწეული დადიოდა, გაბღენილი. გაჰყენენ კვალს... ხალხს აწყობდა სამხატვრო აკადემიაში, ფულით, რასაკვირველია, აბა, თავს რატომ მოაჭრიდნენ! გაჰყენენ კვალს და გავიდნენ ნოშრევან გველისკოვზაძეზე. თუ გახსოვთ, ლაბორანტად მუშაობდა აკადემიაში, თურმე ნოშრევანი ეხმარებოდა ამ საქმეში და რაღაც შუაში იყო... რომ გავიდნენ ნოშრევან გველისკოვზაძეზე, აყვანა უნდათ მისი; არა იმიტომ, რომ რაღაც კავშირი ჰქონდა მკვლევლობის საქმესთან, რაღაც სხვა მხრიდან აინტერესებო, სხვა ამბიდან უნდათ, რომ აიყვანონ... თუ გახსოვთ, რესტორანი “გემო” იყო იმ ადგილას, სადაც ახლა მეტრო “რუსთაველია”, ნახევრად სარდაფში. ჩემი მეგობარი ირაკლი მამამ-ღვდელაზე, მხატვარია ისიც, მიყვება ამ ამბავს. ჩავედით რესტორანში – მე, ეს ნოშრევანი და კიდევ ერთი ვიღაცა. ვსვამთო, უკვე ნასვამები ვართო და შემოვიდა ერთი ტიპი, აკადემიაში სწავლობდა ისიც და დაგვიჯდაო სუფრასთან – ნაცნობია. ჩვენ კარგ ხასიათზე ვართო, ესეც დაგვიჯდაო და დაგვალვინეთ ერთი-ორი ჭიქაო. მერე გოგო და ბიჭი შემოვიდაო და ქალები იშვიათია, რომ რესტორანში შემოყვანათო; შემოვიდნენო და დასხდნენ ცოტა მოშორებით. ვუყურებო: ეს ტიპი, ჩვენ რომ შემოგვიერთდა, აიღებს პურს, თითებით დაამრგვალებს, დააგორგოლავებს და ესერის იმათო, იმ გოგოს და ბიჭს. ნოშრევანი ჩამოძინებულია, თავი უღვეს მაგიდაზე. ამ დროს წამოვიდა ის ბიჭი, გოგოსთან ერთად რომ იჯდა და – ეს ხომ ისერისო, – შემოსწრებულს კი არა, ნოშრევანს აუწია თავი და დაარტყაო... ატყდა ერთი ამბავი, უცბად შემოვარდა მილიციასო, აბა! მე ვუთხარიო, ნოშრევანმა კი არა, აი, ამან ესროლაო. კარგიო, შენ დაწყნარდიო, ჩვენ ამას ყველაფერს გავარკვეთო და წაიყვანეს ეს ჩვენი ნოშრევანა, ვინც მართლა ისროდა, იმას ხმა არ გასცეს...

– სპეციალურად მოუწყვეს ეს ამბავი...

– ჰო, წაიყვანეს ნოშრევანა და ჩასვეს. იჯდა იქ და მთელი ამბავი... ეტყობა, მამამისმა დიდი ფული ჩაყარა, რომ გამოეშვათ. და იქიდან გამოვიდა ნოშრევანა უკვე პავონებიანი!

– “შეკერეს”!

– მოკლედ, ნოშრევანა უკვე “ჩამშვებია”! წავიდა და წავიდა ჩვენი ნოშრევანა! არ შემცდარან, ძალიან მაგარი გამოდგა: ისეთ ტიპებს “შეაბამდა”, გაგიჟდებოდი! მართლა ნიჭი გამოაჩნდა მაგისი. მოვიდა ერთ დღეს ჩემთან და, ვითომ ძმაკაცურად საქმეს მიკეთებს, მეუბნება: “წამოდიო, რომ დაიჭერენ ხულიგნებსო, შენ კარიკატურები კარგად გეხერხება და გააკეთეო”, – მეც დამიწყო “შეკერვა”... “დამანებე თავი, სხვა საქმე მაქვს”, – მე ვუთხარი. ამას წინათ ტელევიზორში ვნახე: წვერი მოუშვია, ზის კაი კაცივით, ფეხი ფეხზე აქვს გადადებული და დიდის ამბით რაღაცას ძალიან ჭკვიანურს ლაპარაკობს...

– ჯემალ შვიტაძეს, ცხონებულს, ჩემი მეგობარი იყო, – ამბობს ბოჩია, – სამხატვრო კომბინატში წაართვეს შეკვეთა და მისცეს ავთო ვარიკაშვილს – უბედურს წაართვეს და მეორეს, საქმეების “ჩამწყობს”, მისცეს... რომ გავიგე ეს ამბავი, ავედი კომბინატში გინებით, კინაღამ შემომელახნენ: “თქვე უნამუსოებო, თქვენი დედა ასე და ისე, რაებს აკეთებთ, თქვენი დედა...” არ მოვეში და დაუბრუნეს ის შეკვეთა ჯემალას, გაჭირვებულს. მას მერე გახვდი მათ თვალში “ინტრიგანი”, პირველი ამრევი და აღარც მხატვართა კავშირში მწყალობდნენ – ფერწერის სექციაში კომისიაში აღარ ამირჩიეს... მანამდეც, სანამ შეკვეთების განაწილების კომისიის წევრი ვიყა-

ვი, მაგრად აჩმახებდნენ, სულ ჭიჭყინი იყო, გაწვევ-გამოწვევა... როგორც შემეძლო, ვიცავდი სამართლიანობას, რამდენჯერ ცუდად გამიხდა გული... ერთხელ გავაკეთე რაღაც შეკვეთა, დავითრი, ფული მივეცი. აბესალომ ჯიმუტიძე არის ერთი: “ბოჩო, ბოშო, – მეუბნება, – მე გავაკეთებ, შენ ფული გადამიხადე!.. რაღაც პროცენტი!”. ლენინები დავხატეთ ათი ცალი: “ლენინი რაზლივიში”, “ლენინი ბავშვებთან”, “ლენინი წითელ მოედანზე”, “ლენინი შაბათობაზე”... ის მარტო ლენინის ფიგურებს აკეთებდა, მაგრად იყო ამ საქმეში გავარჯიშებული, მე – დანარჩენ ანტურაჟს. მივიტანეთ ჩასაბარებლად, კომისიამ მიიღო. თურმე ჯერ უნდა გაიაროს განაწილების კომისიამ და მერე ამ მეორე კომისიამ. ვინ აკეთებს ასე, ფეხებზე ჰკიდიათ. აბესალომი მეუბნება, მიიტანე პირდაპირ და განაწილების კომისიას ხელი მოაწერინეო. მივედი, იქ იუსტინე ქვეშევშევაძე შემხვდა, განაწილების კომისიის თავმჯდომარე: “ბოჩო, შენ გენაცვალე, ჩემი ძმა ხარ!”... ზიან იქა და მავახეს – “ჯერ აქტი უნდა მოგეტანაო და მერეო, ასე არ შეიძლებაო”... “კაი-მეთქი, არ ვიცოდი...” – წამოვედი... რომ წამოვედი, იუსტინეს ხომ უნდა ეთქვა: “ბიჭო, სად მიგაქვს, ბოლო-ბოლო ხომ მაინც აქ უნდა მოიტანო?”... ხომ ვითომ კარგი ბიჭებია, ჩემი მეგობრები... წამოვედი, ჩამოვდივარ კომბინატის კიბეზე და აბესალომი ამოდის ქვემოდან, ლომივით ფაფარი აქვს გაჩენილი. “რა იყო?” – მეკითხება. “თურმე უნდა წინდაწინ...”. “რაო? – დაარტყა მუშტი კიბის რკინის მოაჯირს აბესალომმა, – მაგათ ვუტირებ დედანსო!”. ავარდა ღრიალით, გინებთ... ჩამოვიდა, ჩამოიტანა ხელმოწერილი აქტი: “შენ არ გამოდგები კომბინატშიო!” – მითხრა... სხვის საქმეზე მეც შემეძლო ყვირილი და მუშტის ქნევა, საკუთარზე – ვერა... მას მერე კომბინატს აღარ გავკარებოვარ. აი, ასეთი ამბები ხდებოდა. გიტარაზე ვინც კარგად უკრავდა და კარგად მღეროდა, ვისაც საქმეების მოკვარახჭინება ეხერხებოდა, ის იყო მიღებული კაცი ყველგან, მას აძლევდნენ სარფიან შეკვეთებს, ირჩევდნენ მხატვართა კავშირის ხელმძღვანელობაში, ის მიჰყავდათ მხატვართა ყრილობაზე მოსკოვში, გაიგე?

– ბოჩო, იგივეა ახლაც, – ადასტურებს გიზო.

– აი, ახლა გამოფენა გავაკეთე, – აგრძელებს ბოჩია. – ყველა მეუბნება, ცუდი არ არისო, ძალიან მოგეწონსო... ტელევიზიიდან არავინ მოსულა, არავინ დაინტერესებულა... ამ ათი წლის წინ მქონდა პერსონალური გამოფენა და გაუშვეს ტელევიზორში ინფორმაცია ჩემი გამოფენის შესახებ. გამოვირდა. მერე გამახსენდა: რამდენიმე დღის წინათ ცეკაში კულტურის განყოფილების გამგეს ვაჩუქე პატარა სურათი... მიხვდი შენ? არ შეიძლება ასე!..

– თანამდებობა უნდა გქონდეს, პოსტი გეკავოს! – ამბობს გიზო. – პატარა კაცი ყოველთვის დაჩაგრულია!

– თქვენ მაგდა კენკეშაძე ხომ გახსოვთ, – იხსენებს ჭიჭიკო, – მხატვართა კავშირში მუშაობდა, მგონი, შიკრიკი იყო თუ რაღაცა – პატარა ტანის გოგო იყო, კარგი გოგო, ძალიან ყურადღებიანი. ერთი მხატვრისგან გააჩინა შვილი – ქეთინო. გაზარდა ეს შვილი, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ; ტორტებს აცხობდა შეკვეთით, გაჭირვებული იყო და ასე ჭაპანწყვევით მარტოხელამ გაზარდა... ერთ დილას მაგდა ნახეს აგლაბარში მკვდარი, მანქანიდან გადმოგდებული... მერე რა ხმები გამოვიდა, იცი? მაგდას გოგოს მიუყვანია შინ ვიღაც გაოხრებული კაცი, მაგდა ორჯერ გამოქცეულა სახლიდან, ვერ იტანდა, შვილსაც ეჩხუბებოდა. მერე ამბობდნენ, რომ ამ ტიპმა “გაასადა” და გადააგდო სადღაცო... მოიცილეს დედა, გაიგე შენა? ის ტიპი ნარკომანი იყო, დაიბრდა მერე. ეს გოგო მაგდასი, ქეთინო, ბინძური, არ ვიცი, სად არის ახლა; ამბობენ, ვიღაც უცხოელზე გათხოვდა და საზღვარგარეთ წავიდაო...

– ჩვენც რომ არ გვექანებოდეს ათასი რამე და არ გვაკავებდეს, საზღვარგარეთ წავიდოდით... – ამოიოხრა პაპუნა.

– არა, ძმაო, შიმშილით რომ ვკვდებოდე, არსად ფენის გამდგმელი არ ვარ! – ამბობს ბოჩია. – სამოგზაუროდ, გასაცნობად, დასათვალისწინებლად, სულიერად გასამდიდრებლად – კი, ბატონო, ვინ გიჟი იტყვის უარს, მაგრამ ერთ თვეზე მეტხანს ვერსად გავძლებ... ჩემი თბილისი მომენტარება სასწაულად, ჩემი ბედოვლათი ძმაკაცები! ვინც არ მიყვარს, ვისთანაც მიჩხუბია – ისინიც კი!

– შენი ცოლიც? – საკმაოდ უხერხულად ხუმრობს პაპუნა.

ბოჩიამ პაპუნას არაფერი უპასუხა. გიზო ზარნაშია დაიქოქა და გაუტია, ეტყობა, იშვიათად უწევდა დაღევა და შეთერა:

– გახელაფ-გამოხელაფ – გაბრაზდები, აბა რა იქნება: შენი ახლობელი ცოლს ფეხებზე ჰკიდია! თავს ვერ იკავებ: “შენი დედა...”. “რატომ იგინები?” – ცეცხლზე ნავთს ასხამს. “აბა, რა ვქნა, შენი დედა... გინებასაც მიშლი? შენ რომ ყოველდღე მეჩხუბები, შენი დედა...”.

– ფსიქოთერაპიაა, გულის მოსაფხანი: ქალებისთვის – წყველა, კაცებისთვის – გინება... – ამბობს პაპუნა.

– სატანა, ბიჭო! თან რომ ჭკუასაც მარიგებს... მაგის რა ჭკუა მაქვს სასწავლი, მითხარი... მე ვუთხარი: “ერთი სულელი მაშინ ვიყავი, როცა მოგიყვანე!.. თუ ბავშვმა გააფუჭა რამე – მე ვარ დამნაშავე, თუ რძალი აუშარდა – მე ვარ თურმე ამის მიზეზი, ბიჭი სამსახურიდან გამოაგდეს, უმცროსი კიდევ – ხულიგნობისთვის დაიჭირეს და მილიციიდან მისი გამოხსნა ორი ათასი მანეთი დამიჯდა, ისიც ხათრი გამიწიეს, “პატივი დაგდეთ, ცნობილი კაცი ხარო”, – ისევ მე ვყოფილვარ დამნაშავე... ყოველთვის და ყველაფერში მე ვარ დამნაშავე... იმიტომ, რომ თურმე უფ-

როსი ბიჭი – არ არის ბრძოლისუნარიანი, მეორეც ვერ გავზარდე წესიერად... რატომ ვარ დამნაშავე? “იმიტომ, რომ შენო რესტორანში დადიოდი და ქეიფობდიო”. მე ვუთხარი: “რესტორანში რომ დავდიოდი, რა, სადღეგრძელოს ვამბობდი, ჩემი შვილი ბედოვლათი უნდა იყოს-მეთქი ან ცუდი, თუ რა? შენ თვითონ სად იყავი?”. “სახლში ვიყავიო”. “მერე, სახლში თუ იყავი, რატომ არ გავზარდე, შენი დედა...”. თუ კაცი არ ვარგა, მის დედას აგინებს ყველა, ხომ ასეა? მამას ხომ არ აგინებს? ცოლის დედა ვატირე! თუ შვილი არ გამოვივიდა, შენ გაბრალებს, – თურმე შენ წახვედი საქეიფოდ... “ფული რომ მომქონდა და საჭმელ-სასმელს რომ გაწვდილით, მაშინ რას ვაკეთებდი-მეთქი?” და “ეგ არაფერი არ არისო”, თურმე შენ არაფერი გაგიკეთებია... მაგათი დედა... ისეთ რამეს გეტყვის, რომ გაგაგიჟებს, რა! “ჩვენ რომ ასე წაგვივიდა საქმე...”. “ზუსტად ამიტომ, მაგის ბრალია, მე რომ შენ არ მომეყვანე, ყველაფერი კარგად იქნებოდა-მეთქი!”. თუ რამეს დააშავებს შვილი, შენი ბრალია, თურმე დედა თვითონ – არაფერი, არაფერ შუაშია! აბა, რატომ ატარებდი მუცლით ცხრა თვეს – შენ უნდა გავზარდო, მორჩა!

– მაგარი ხარ, გიზო! – იცინის ზოსიმე და ბოჩიას ეკითხება: – შენ რომ შენს დედაშვილს, ჯამბაკურს დაურეკე, მოდიო, გამოფენის გახსნას აღენიშნავო, რატომ არ მოვიდა?

– ეგ რომელი ჯამბაკურია, მეოთხე ცოლი რომ ჰყავს? – კითხულობს ქურჯი.

– ოთხი, კაცო? – გაკვირვებულია გიზო.

ბოჩია იცინის:

– ჰო, ოთხი, მეხუთეც ჰყავდა, მაგრამ იმასთან ხელი არ ჰქონდა მოწერილი, ოთხი კი – ნაღია! იმიტომ არ მოვიდა, რომ დაბადების დღისთვის ვემზადებო, მეორე დღისთვის მასთან დამპატიჟა. მივედი, ისეთი კარგი სურა გაშალა მისმა ცოლმა...

– მეოთხემ? – აზუსტებს გიზო, ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ დაუჯერებია.

– ჰო, მეოთხემ თუ მეხუთემ... ამ დროს სუფრაზე პირველი ცოლის ბიჭი ზის იქა, – იმის მეზობელია, სახლ-კარი იმ ცოლს დაუტოვა. სადღეგრძელოები მიდი-მოდის, ფეხზე დგება აი, ის ბიჭი, ოცდათორმეტი წლისაა უკვე – ჯამბაკურ მასთან ასი წელი არ მისულა, არ უკითხავს: “შვილო, გშია, გწყურია, ფული გინდა, რა გიჭირს?...” – ასი წელიწადი არ უნახავს. რა სადღეგრძელო დალია მამამისის – პირი დავადე, რა! “მამაჩემო ყველაზე კარგი კაციაო და მამაჩემის ნაირი ხალხიო ღმერთის წყალობით ყველას გყავდეთო!”... აზრზე ხარ შენ? თან როგორ დალია, იცი? ბოლომდე დალია, მერე ფრჩხილზე დაისხა ბოლო წვეთი და ისიც დალია!

– ამას ჩემი შვილები ცხოვრებაში არ იზამენ! – წამოიძახა გიზომ.

– მეოთხე შვილის სახლში იყო...

– სულ რამდენი შვილი ჰყავს? ყველა ქალთან ჰყავდა შვილი? – დაინტერესებულია გიზო.

– თითო-თითო, ბევრს არ აკეთებდა, ეკონომიურად მუშაობდა. ყველა შვილი ამას ლაპარაკობს: “ჩვენი მამაო? ჯამბაკურ უსურვანადე ვინმემ რომ ცუდი თქვასო, დედას ვუტირებო!”. არადა, სულ არ კითხულობდა: “ჩემს შვილს შია, წყურია, მანეთი უნდა, ორი მანეთი უნდა...”, აპაპა!.. ორი ბიჭი ჰყავს და ორი გოგო, გოგოები საერთოდ დაიკარგნენ.

– რატომ სცილდებოდა ცოლებს? – კითხულობს გიზო.

– ალბათ გააბრაზა ცოლმა – არ გაუუთოვა შარვალი ან ხალათი კარგად და მაშინვე ჩააღაგა ჩემოდანი! – იცინის ქურჯი.

ბოჩია აგრძელებს:

– ცოლი ეუბნება: “რატომ დაგაგვიანდაო?” და კითხვა არ აქვს დამთავრებული, ჯამბაკურ ამბობს: “ა, ვერე?...” და უკვე მიდის! არაფერი მიაქვს, არც ჩემოდანი, არაფერი!

– ახლა სიდედრთან ცხოვრობს? – ახალ კითხვას უსვამს გიზო ბოჩიას.

– აბა, თავის საკუთარ სახლში კი არ ცხოვრობს! ახლა, ხომ გეუბნები, ეს ნათესავები დატრიალდნენ, საუკეთესო სუფრა გააწყვეს...

– თვითონ რა ხელობის კაცია? ინჟინერია, მშენებელია თუ...

– ინჟინერი კი არა, ჯანდაბა – არაფერია! ელექტრიკოსია. ცენზი არ აქვს, მაგრამ ყველაფერი იცის.

– ბავშვების კეთება ხომ იცის!

– აი, ესეთი კაცია, – ამბობს ბოჩია, – მოსიყვარულე, მოსიყვარულე კაცი არის და უბრალოდ, პატარა რამეზე, თუ არ უნდა, ძმაო – დამთავრებულია საქმე: “არ მინდა!” – დაიხურავს ქულს და წავა!.. ამ ცოლს ჩაგვიძვებით, ჯამბაკური რაზე გააბრაზე, რატომ გაიბუტა... ბოლომდე გაბუტული, იმის დედა ვატირე! არ დაბრუნდება! გინებას არ დაიწყებს, მაგრამ წავა და წავა...

– გინებას არაფერი მოაქვს საერთოდ, – ამბობს ქურჯი.

– როგორ არ მოაქვს, გულის მოფხანა... – არ ეთანხმება ბოჩია.

შემდგომ თანამეინახენი შეთვრნენ თუ რა იყო, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს და მე მიჭირდა გარჩევა, ვინ რა თქვა და ვინ ვის უპასუხა, ამიტომ ზოგჯერ აღარ დავაზუსტებ მათ ვინაობას...

– ხანდახან ვიფიქრებ, ეს როგორ მოვიყვანე ცოლად-მეთქი, გქონია, ბიჭო, შენ ესეთი განცდა?

– ერთი კაცი მანახა, თავისი ცოლით კმაყოფილი იყოს.

– არ არსებობს...

- ქუჩის აგერ არ გვყავს? მაგის პირველი სადღეგრძელო ეგაა. ჰა, ქუჩის, ეგრეა თუ არა?
- მერე რა, ცოლის სადღეგრძელოს მეც კი ვამბობ.
- ვაგინებთ ბიჭები ცოლებს, ვართ ერთ ამბავში, ბოლოს მაინც ცოლების სადღეგრძელოს ვსვამთ!
- შეჩვეული ჭირია!
- ისეთი რამეები გაუკეთებია ჩემს ცოლს, ისე გააუმწარებივარ, მაგრამ, მეორე მხრივ, რომ წარმოვიდგინო უცებ, ეგ რომ მოკვდეს, ეგ შებეღდალელი, რაღაც დამემართება...
- რა გეშველება, არა?
- სიკვდილი ყველასია, ყველანი ერთ უბედურ დღეს მოკვდებით, საერთოდ ასეა და ეგაა მთავარი, რომ არ მოკვდეს და თუ მოკვდება, კაცი უფრო მეტად განიცდის, ვიდრე ქალი.
- ქალი უფრო სუსტია.
- ჰო, ამაშია საქმე, - ამბობს გიზო. - ჩემი ძმა, კიტა, სულ ქალებში დაძვრებოდა, რა ვიცი, და ისე ატყუებდა და ისეთ რამეებს აკეთებდა, ისტორიები ჰქონდა... კიტაზე ვუყვებოდით და ეს ქალი, მისი ცოლი, კვდებოდა სიცილით და ვერ ხვდებოდა, რომ ქმარზე ვუყვებოდით - ჰა-ჰა-ჰა!.. გარდაეცვალა ჩემს ძმას მეუღლე და ვიფიქრე, იმას აქვს ახლა დრო, თავისუფალია, რაც გინდა, აკეთე! უცებ დაიბრინდა, ერთ წელიწადში ცოლს მიჰყვა და ვერც კი გავიგეთ, რითი მოკვდა, საწყალი... კაცი მოკვდა დარდით! თან როგორი ტიპი იყო, სულ ქალებში დაძვრებოდა, ფეხებზე ეკიდა ცოლი, მაგრამ ცოლი გარდაეცვალა თუ არა, მოკვდა კაცი...
- ცოლი მაინც ცოლია, - ამბობს ზოსიმე. - ქმარი რომ მოკვდება, მე იმას კი არ ვიძახი, ცოლი ცუდ რამეს გააკეთებს, მაგრამ ის იცხოვრებს კიდევ ას წელიწადს!
- ზოსიმე რომ მივა სახლში, - ამბობს პაპუნა, - ტოტო რომ არის იტალიურ ფილმში, მასავით ქურდად ზის რა! ცოლი ხატავსურებს უცხოებს, რას არ უკეთებს! ეგ კი რატომ არის ნაწყენი ცოლზე, იცი? მაგის მხატვრობა რომ არ აინტერესებს! გაიგე?
- რასაც ცხოვრებაში ვერ უგებს, ვერც მის მხატვრობას გაუგებს!
- კაცი რომ გარდაიცვლება, სიტყვაზე ვამბობ, ქალი რჩება, დედა რჩება. დედა იმდენად უშეღავათოდ, ლამაზად გადატანს ყველაფერს, როგორც არაფერი! ის ძალიან დიდხანს იცოცხლებს, სიბერემდე იცოცხლებს... მაგრამ კაცს რომ ცოლი მოუკვდება, აი, იმას ერხევა მერე, იმდენად მინდობილია ქალთან. საცოდავია კაცი - ცოლი მოუკვდება თუ არა, კაციც მკვდარია.
- გაჩერდი, კაცი! - აწყვეტინებს გიზო. - მამაჩემსა და დედაჩემს რომ ვუყურებდი, ისეთი თბილი კაცი იყო, მოქვიფე... ეს დედაჩემი გაუჩინებდა, ვუსმენდი, ვუსმენდი... ეტყოდა: “დარიკო, დამანებე თავი რა! მე მინდა, ასე გაგაკეთო!”. “არა, ეს ასე არ გააკეთო!” - აი, პატარა ბავშვს რომ საბავშვო ბაღში ეუბნებიან, ისე უჩინებებს... მთელი ცხოვრება!.. “ასე არ გადადგა ფეხი! შენ ამას არ დაურეკო! იმან არ დაგირეკოს! იმან ესა თქვა, იმასთან არ მიხვიდე!”... მაგათი დედა... მაგათ რომ აყვე, ძმო, ნათესავებსაც კი ისე გადაგამტვრებენ... კაციშვილი მეგობარი არ მოგივა სახლში!..
- ყველაზე ნაღდი ტრიფონაა, - ამბობს ჭიჭიკო. - აი, ტრიფომ, მოქანდაკეა, ჩემი ძმაცაა, იცნობთ ყველანი, დამარიგა: “როცა ცოლი უშნოდ დაიწყებს ჭიჭიკოს, მაგრა უნდა გაულაწუნო!.. თუ დააპირებს წასვლას, უნდა ჩემოდანი ჩაულაგო - “თუ გინდა, წადი!”... არც წავა და აღარც ხმას ამოიღებს!”. ტრიფონა ძაღლებსაც ესე ზრდიდა, სხვათა შორის. რეზიკია, მისი და ჩემი ძმა-კაცი, ეუბნებოდა, შეიღებები შენ უნდა გაგაზრდეინო. რეზოც მონადირეა, სხვათა შორის, ძაღლი ჰყავდა, ანებიერებდა, ლამის ლოგინში ეწვინა. სანადიროდ ვართ და გადაუგდო-გადმოუგდო რეზიკიამ რაღაცა; ჩემი ფეხები, ეს ძაღლი საერთოდ არ ინძრევა, არაფერს აკეთებს და დაბოღმილმა რეზიკიამ დაუგდო ჩანთა, თოფი: “შენი დედაც, წადი, შენ ინადირე!”. ტრიფონა თავის ძაღლს დაუსტვენს: “შვიტ” - მოვარდება, “შვიტ” - გავარდება, რასაც ტრიფონა უბრძანებს, წამში უსრულებს. არადა, ტრიფონას მანქანა მზეშია გაჩერებული და გალიაში ჰყავს ეს ძაღლი, - ჩიტა ერქვა, - ლამის შეიწვას, დახრუკულია; ტრიფონას კი სძინავს, ხვრინავს, ჩიტა სულ ფეხებზე ჰკიდიდა... აი, გააჩნია ადამიანებს, ბიჭო, იცოდეთ, ვინც აწუხებთ, ის უფრო უყვართ, კი არ უყვართ, მეტ ყურადღებას აქცევენ.
- ჰო, ზუსტად ეგრეა, - ეთანხმება პაპუნა. - ცოლი - ეს ისეთი თემაა, ყველასთვის ახლობელი, ყველასთვის გასაგები და ცხადი. ცუდი სახელი დაარქვენ - “ცოლი” ანუ “მოცილე”!
- “მეუღლე”?
- “მეუღლე” ქართული ტრადიციული სიტყვაა, უფრო კარგად ჟღერს, ვიდრე “ცოლი” - შენი უღლის და შენი ჭაპანის გამწვევი. “მეუღლე” - მართლა ნაღდია, სუფთა ნათქვამია.
- რას ამბობ, ოჯახში ომია, ლიდერობის ჩუმი ომი! ქალს უთმობენ, მერე შვილი წამოიზრდება და ახლა შვილს და მამას შორის მიდის ომი...
- შენ ფროიდიზმში გადაიჭერი...
- აი, ბიცოლობა... სიტყვა “ბიცოლა” არცერთ ქალს დიდად არ ეჭაშნიკება. ბიცოლას რომ დაუბახებენ, ბიძის ცოლია, ხომ, და იციან, რომ ბიძა ძლიერ უყვართ და ბიცოლა არ უყვართ. ახლა რატომ... ეს ისეთი რაღაცაა, ესე იგი ფენომენია, რომ ბიცოლას ნუ დამიძახებო და რაც გინდა, ის დამიძახეო, ყველა ჩაღიწობს მაგაზე. იმიტომ, რომ ბიძა, ბოლოს და ბოლოს, მაინც სხვაა, სიტბოს გინაწილებს... ბიძა რომ იტყვის, ეს უნდა გაგაკეთო, ბიცოლა მაინც შეეწინაღ-

მდეგება: “ხომ არ მიგვეცა?” ან “არ მიგვეცა?”. ბიცოლა არასდროს იტყვის, რომ აი, “მივცეთ!” – ბიძაზე აღრე. “ბიცოლა” ძალიან ცუდად ჟღერს. მე ყველა ბიცოლაზე კი არ ვამბობ – მრავლობითში ვგულისხმობ, გაიგე? “სიდედრი” რომ ჟღერს, ათვალწუნებით მაშინვე – “აჰ, სიდედრი! მაგის დედაც...”. არადა, სიდედრებია იმისთანა, რომ მთელ ცხოვრებას განაცვალებს... ქართველი კაცისთვის ბიცოლა მაინც ბიცოლაა. ის ჩალიჩობს თავის ნათესავებზე და შენიანები სულ ფუნებზე ჰკილია. დეიდა არ არის ეგეთი! დეიდა სხვა არის, დეიდა, ბიჭო, დედის და არის! ის არის თბილი! მამიდაც – არის საუკეთესო... ბიძაც... აი, ბიცოლა, ისეთი სიტყვაა, შემოგდებული სიტყვაა. ბიცოლამ თუ გაამართლა – გაამართლა, თუ არა და – მაინც ბიცოლაა!

– მინუსებში გადის...

– აბა რა, ქართველმა კაცმა იმიტომ დაარქვა ბიცოლა! ზოგი ამბობს, ბიცოლა არ დამიძახო. ბიჭო, თვითონაც იცინა, რომ არ მოგვეწონს ეს სიტყვა. ბიცოლა – ბიცოლაა, ის მაინც თავისას აჩმახებს, თავისი გააქვს... ეგრეა, ძამა, ყველაფერს უნდა დაარქვა თავისი სახელი.

– ქალი სუსტია – ფიზიკურადაც და გონებრივადაც, აზროვნებით – და ამ სისუსტის კომპენსირებას ახდენს მამაძაღლობით. შესაძლოა, ცოტა უხეშად ვთქვი...

– არა, ქალი ოჯახის დედაბოძია, მასზე არის ჩამოკიდებული ყველაფერი და ბუნებითაც უფრო ფრთხილია, უფრო მომჭირნე, უფრო წინდახედული... ამიტომ ვერ გაამტყუნებ.

– კარგი რა! ქალი უპირატესად მოკლე ჭკუისაა, წინ არ იყურება, რა მოხდება – მოკლე მანძილზე მორბენალია. საუცხოო მეუღლეები შეიძლება გვყავდეს, მაგრამ იმ საუცხოოებაში აქვთ რაღაც თავიანთი გაქანება, იმიტომ, რომ ის ქალია და იმ ქალს, თავისი რომ არ თქვას, უჭირს... და ალბათ სწორიც არის, მაგრამ ზოგჯერ ისეთ სისულელეს იტყვის, რომ ოღონდ შენ გაგამწაფროს... კაცი არასდროს იტყოდა ამას, კაცებს სხვანაირი აზროვნება გვაქვს: ჩვენ ძმაკაცობა ვიცით, მეგობრობა ვიცით, რაღაცის დათმობა ვიცით, მხარში ამოდგომა...

– ოღონდ გული მოიფხანოს და... იმას არ ფიქრობს, ამას რა მოჰყვება.

– ზოსიმე, ერთ შეკითხვას მოგცემ და “ჰო” თქვი ან – “არა”. დედა გიყვარს?

– რა თქმა უნდა, დედა ყველას უყვარს, როგორ გეკადრება...

– დედა ქალია თუ კაცი?

– ქალია.

– აბა, რა გინდა? რას ერჩი ქალებს?

– ბოჩო, შენ რა გინდა თქვა ახლა? ერთი მეორეს არ გამოორიციხავს. დედამ რაღამც შეილი გააჩინა, შენ გგონია, რაღაც ღვთაებრივია? დედამ, შეიძლება, იმდენი ცუდი რაღაც გააკეთოს, რომ სულ დაანგრიოს ყველაფერი.

– ზოსიმეს ვეუბნები: შენი დედა გიყვარს? თქვენ ახლა ძალიან აიწყვიტეთ, რაღაც სისულელეებს ბოღიალობთ!

– რატომ ვამბობთ სისულელეს? ზოგადად რასაც ვამბობთ, ეს ერთი ჭეშმარიტებაა და კონკრეტულ შემთხვევაში – ის უკვე სხვა ამბავია. ფაქტია, რომ ქალსა და კაცს შორის ყოველთვის არის ხოლმე გაუგებრობა, რბილად რომ ვთქვათ.

– იმიტომ, რომ სხვადასხვა სიბრტყეებში აზროვნებენ, ეგრე არ არის?

– თუ არა, მაშინ კაციც ქალი ვიქნებოდით. ქალს სხვა აზროვნება აქვს, სხვა ლოგიკა. არ ვამბობ, რომ რომ ეს უკეთესია ან უარესია – სხვანაირად აზროვნებს და და ჩვენ ვერ ვუგებთ. იქნებ სწორიცაა, ბუნებას უყვარს მრავალფეროვნება. ის პომადას ისვამს, ძმად, იპრანჭება, შენ, მაგალითად, ემზადები ყანწის დასალევეად – როგორ შეიძლება, ერთნაირი აზროვნების ვიყოთ... ერთი ეგაა, რომ ერთად ვცხოვრობთ.

– სად დაივიწყეთ სიყვარული, როგორ დაწვრილმანდით, როგორ აიქოთეთ პირი!

– ქუჩუკი, შენგან მიკვირს, ხომ იცი, რატომ ავაქოთეთ? რა ვთქვით ცუდი? რაც არის, იმას ვლაპარაკობთ.

– რას ლაპარაკობთ?! პირადად მე, რასაც ვაკეთებ, ვაკეთებ ქალის გულისთვის...

– ქალის გულისთვის წავალთ ჩვენც მერე სახლში, მაგაზე ხომ არ არის ლაპარაკი.

– გაანებეთ თავი, ვინც ყველაზე ძალიან გიყვართ, იმას აძაგებთ...

– აბა, როგორ გინდა?

– ტრიფონიკას ვარიანტი: ცოლზე ცუდს არასდროს ილაპარაკებდა, თავისი კუკურა ქვეყანას ერჩია, მაგრამ თვითონ გასცხებდა-გამოსცხებდა... წინდა თავისი ხელით არასდროს ჩაუცვამს, ცოლი აცემედა, გაიგე? შენ კი ასე ლაპარაკობ... ნამეტანი გაუტიეთ, ეგრე არ არის, ძმად!

– იცი რა, გენაცვალე? მეორე მომენტში, ქუჩუკი ბატონო, ქალებზე ჩვენზე უარესს ლაპარაკობ, ჰა-ჰა-ჰა! ეგრე არ არის?

– ჩვენ შეგვჩაჩერა.

– ობიექტურობა უნდა დაიცვა, ნამეტანი კი არ უნდა...

– ობიექტურობა არ არსებობს, ჩემო ქუჩუკი! ჩვენ ყველანი ჩვენს აზრს გამოვთქვამთ.

– ბიჭო, რო აიწყვიტეთ, ეგრე არ შეიძლება! ქალზე ლამაზი რა არის, ბიჭო, როგორ დაიქოქეთ! გადასარევი ცოლები გყავთ და...

– კაი, ბატონო, მე ხმას აღარ ამოვიღებ, ნურაფერს დამაბრალებ... შენ კარგი ცოლი გყავს, შინ რომ მიხვალ ნასვამი, დაგხვდება და გაკოცებს, მერე ფეხებს დაგათბილვინებს და...

- და “სად გასკდი ამ შუადამესო!”, უღრიალებს და გემრიელად თავში ცოცხს ჩასცხებს!
- ზოსიმე, ჯვარი ეწეროს შენს ცოლს და რამე რომ მოუვიდეს, არ გაგიჟები? ქუჩუკის მეს- მის... რაც მე ჩემმა ცოლმა გამამწარა, მაგრამ მე უნდა მოვკვდე პირველი... სახლში მივიდე – სი- ცივე, არავინ დამხვდეს, გამჩმახებელი თუნდაც!
- სწორია, გამჩმახებელი გეჭირდება ცხოვრებაში!.. აუცილებელია! ასეთია ცხოვრება. იცი, რას გეტყვი, ჩემო ქუჩუკი? ვინც გიყვარს, იმას აბაგებ... იმაზე იფხან გუფს.
- იმიტომ, რომ, ვისთანაც ახლოს ხარ, იმის სისუსტეებს კარგად ხედავ, კარგად იცნობ...
- რათ უნდა ბევრი ლაილაი, ქალი ოჯახის დედაბოძია; თუ ის წაიქცა ოჯახსაც დედა ეტი- რება.
- ეს ბოლო სადღეგრძელო ქალებისა იყოს, დროზე წავიდეთ და ჩამოვრიგდეთ სახლებში, თუ არ გვინდა, დადარაჯებული ცოლები დაგვხვდნენ ცოცხით ხელში... ალავერდს ქუჩუკისთან ვარ!..

* * *

ბოჩია ბოჩალეიშვილს ცუდი დროება დაუდგა: სურათები თითქმის სულ ვეღარ იყიდება, კერ- დო შეკვეთები საერთოდ მოისპო... ლამის პროფესია შეიცვალოს! მრავალმა მისმა კოლეგამ თა- ვის გადასარჩენად და ოჯახის სარჩენად ან საზღვარგარეთს მიაშურა, ან მართლაც ვეღარ იც- ლის მხატვრობისთვის – სულ სხვა საქმიანობით ცდილობს, გაჭირვების ადიდებულ მდინარეში როგორმე ფონს გავიდეს.

ბოლოს, ფინანსური კრიზისის მარწმუნებმა ისე მოუჭირა, რომ ბოჩია გაჭირვებამ იძულებული გახდა, შემლედოდა... თუ შექმნილ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, საკმაოდ სარფიანადაც კი გამყიდა (მიუხედავად იმისა, რომ საღებავებით პალიტრასავით ვიყავი აჭრელებული), რადგან “რეტრო” შემოვიდა მოდაში და ჩემნაირები დიდად ფასობდნენ. მანამდე ჯერ მოიყვანა გამოცდი- ლი ნაცნობი ოსტატი (მუზეუმში უმაღლესი კვალიფიკაციის რესტავრატორად მუშაობდა!), რო- მელმაც დიდად “გამაახალგაზრდავა”: მორყეული ფეხები გამიმაგრა, ლაქებისა და საღებავების- გან შეძლებიდაგვარად გამწმინდა, გამაახლა – ხელახლა ლაქის მშვენიერი “ფერუმარილიც” გა- დამისვა. აღარ ვჭრიჭინებდი, აღარც ციებიანივით გვაცხცახებდი, თუკი ვინმე დამეყრდნობოდა – ფიზიკური მდგრადობა და სულიერი სიმტკიცე შევიძინე!

სასაცილო ჩემი ბედის ცვლილებაში ის იყო, რომ... მოვხვდი ჩემს ძველ ოჯახში, ნარცეცხ- ლაძეებთან! “რატომ სასაცილო?” – იკითხავთ. რატომ და უკანვე დაგბრუნდი თუ დამბრუნეს ისეე მოდას აყოლილი რძლის, მაკას, გამოისობით! ბოჩია შორს აღარ წასულა და პირველად ნარცეცხლაძეებს შესთავაზა ჩემი შეძენა... ჩემს ძველ ანუ ამჟამად ახალ მფლობელებს გაუკვირ- დათ, როგორ კარგად შენახულა მაგიდა ბოჩიას ხელში, ეტყობა, ძალიან ფაქიზად ეპყრობოდა... ისევე ბოჩიას რა ვუთხარი!

აქ კი, ნარცეცხლაძეებთან, მე საკმაო ცვლილებები დამხვდა...

კარი XIV. აჰა, დადგა “დიადი გარდაქმნის” დროება: “მეტი საჯაროობა, მეტი დემოკრატია!”

შიოს მოთხოვნების წერა დაუწყია და ახალი “ძველი” მაგიდა ანუ მე არავის დაანება (არა- და, დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონდა ცოლთან, მაკასთან, ჩემი დაუფლებისთვის!), ხმამაღლა გა- ნაცხადა:

- რაც თავი მახსოვს, სულ ამ მაგიდის შემყურე ვარ! ჯერ მის ქვეშ დავფორთხავდი, შემდეგ ვთამაშობდი, სკოლაში წასვლის შემდეგ – გაკვეთილებს მასთან მჯდომი ვამზადებდი, სტუდენ- ტობისას – ლექციებს ვათეთრებდი, საკურსო დავალებებს ვხაზავდი... კარგად მაქვს დაცდილი, ახლა პირველი რომანის დაწერას უნდა შევუდგე და თუ არა ამ ჩემს საყვარელ მაგიდასთან მჯდომმა, სხვაგან სად ვიგრძნობ თავს ყველაზე მოხერხებულად? დიდი მაგიდა მჭირდება: უამ- რავი წიგნი, ჩანაწერებიანი ფურცლები და სხვა მასალა უნდა დაეტიოს, ერთ ადგილზე მქონ- დეს...

ასე დამისაკუთრა შიო ნარცეცხლაძემ, მწერლობის ჭია რომ აღარ ასვენებდა და მართლაც, უფრო – ღამდამობით, საათობით არ მტოვებდა...

აღბათ გაინტერესებთ, რას ეძღვნებოდა მისი რომანი? ჯერ მის სათაურს გეტყვით, რომ, თუ- კი იგი გასაყიდად გამოტანილი შეგხვდებოდა, იცნოთ: “მე და შენ”! როგორც ჩემი შემდგომი მო- ნათხრობიდან დაინახავთ, სამწუხაროდ, მე შიოს რომანის სრულად დაწერას ვერ მოვესწარი, და რომ მიხვდეთ, რას ეძღვნებოდა იგი, დაინტერესებულ მკითხველს იმ ნაწილს მაინც გავაცნობ, რომლის დაწერის მოწმეც თავად მე გახლდით... მე მგონია, შეთხზულ ამბებთან ერთად, აღბათ მისი მშობლების და ახლო ნაცნობების ცხოვრების რაღაც მონაცემები გამოიყენა შიომ წერი- სას, იქნებ სხვა მასალებიც – დარწმუნებით ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან, როგორც მოგახსენ-

ნეთ, სრული ტექსტი ჩემთვის უცნობი დარჩა... რომანის დასაწყისი კი ასეთი იყო (შემდგომ ალბათ გადაამუშავებდა და დახვეწდა ამ ჩემთვის ცნობილ ნაწილსაც):

ქუ ვ ფ ს უ გ
წ კ ი უ ლ ვ მ ვ რ კ გ ი უ ლ ფ შ ი თ ვ რ მ გ კ მ ვ ფ გ
კ წ ქ ფ გ მ

I.

ძლიერად გამოვიჯახუნე კარი და სირბილით დავეშვი კიბეზე. ბოლმა მასრჩობს, სისხლი ამიდულდა ძარღვებში... არა, ასეთ ქალთან ცხოვრება შეუძლებელია! რა კრეკინია, რა სულელი! აბსოლუტურად რომ არ ამროვნებს, აიჩემებს ერთ რამეს და მორჩა! როგორ უნდა გაძლო ასეთ ცოლთან? მცყუანია, თან არც გისმენს, ერთ სიგყვამე სუთს გაპასუხობს, განა ჩაუფიქრდება, რას ეუბნები... არა, მორჩა! რა-ღაც უნდა ვიღონო, თორემ ეს რა ცხოვრებაა? გაყრა, გაყრა და გაყრა!.. რამდენის მოთმენა შეიძლება...

მივაბიჯებ ქუჩაში გაცეცხლებული და ახლაც მესმის ყურებში მისი გამწვიანი, კაპასი ხმა, წარმომიდგება თვალწინ უშნოდ გაბურძგნული თმა, აწითლებულ სახეზე სიბრაზით გაფართოებული თვალები, რომლებიც პირდაპირ მე სიძულვილით მიცქერენ... ხელებს იქნევს და მესვრის გყვიასავით მძიმე სიგყვებს; ბრალდება, კიდეც და კიდეც ბრალდება... ჰმ, უსინდისო, გირანო, საზიზღარო – ვაი, მე უბედურს, რა ვქნა?.. ხან გირილს გამოურევს, ხან ყვირილით, დაქაღნებით, სიბრაზით აცახცახებულები, პირდაპირ ჩემს წინ ღვას და თითქოს უნდა, გამსრისოს, გამანადგუროს სიგყვებით... რა უღამამო ხდება ამ დროს!

ვცდილობ, დავაწყნარო, რაღაც ავეხსნა... დროდადრო ვჩუმდები, ვუცდი, იქნებ გაჩერდეს, გაჩუმდეს, მაგრამ ბოლო არ უჩანს მისი სიგყვების ნიაღვარს... მოთმინებას ვკარგავ, ვინთები და ისევ არ ვუსმენთ ერთმანეთს, ჩვენს ყვირილს უერთდება კუთხეში მიყუჩული პაგარა ბაკურის გირილი, ძალიან მგრძობიარე ბავშვია...

სახეზე ალმური ამღის, თითქმი მივრბივარ ქუჩაში, არ ვიცი კი – სად და საით... გაბრაზება არ მიცხრება, ჩვენი ჩხუბის წარმოდგენაზე ისევ მეკუშება მუშგები... თითქმის ვერაფერს ვამჩნევ გარშემო, რამდენჯერმე კარგა მაგრად გაგკარი ვიღაცეებს მხარი, მაგრამ არც მომიხედავს უკან. შორს, შორს სახლიდან, მე იქ მიმსვლელი აღარ ვარ!.. პირველი მაინც იყოს ეს ჩხუბი, არა, თითქმის ყოველ-ღდე, ხან რაღაც უმნიშვნელო მიზეზით და ხან უმიზეზოდაც, წავეიკლაველებით, ამ ბოლო დროს კი სულ გაუფუჭდა ხასიათი, სიგყვადვირი გახდა და რასაც იგყვის, ისე ღვარძლიანად, რომ ვნატრულობ, ნეტა სულ არ დავლაპარაკებოდი-მეთქი...

კი მაგრამ, ახლა სად წავიდე? ვინმესთან მისვლა სულ არ მეხასიათება, არავის დანახვა არ მინდა. ყველაფერს აჯობებს, აგერ პარკში შევალ...

ყველაზე უფრო მივარდნილ კუთხეში ჩამოვჯექი სკამზე. ცოგას დავწყნარდები და შემდეგ გადავწყვეტ, რა მოვიმოქმედო... ყველაფერს მოფიქრება, გააზრება უნდა. ეჰ, ნეტა რა დავაშავე ისეთი? დავცქერი წითელი აგურის ფხენილით დაფარულ ხეივანს. საშინლად უბედური ვარ, საკუთარი თავი მეცოდება; მეცოდება და თან საოცარ აღგყინებას ვგრძობ, მინდა, ავგირდე, ვინმემ გკბილად მომეფეროს, დამაწყნაროს... პირაღმა ვწვები გრძელ სკამზე. ვუყურებ ჭადრის ხშირი ფოთლების ზანტ გოკვას, ალაგ-ალაგ ღურჯი მოწმენდილი ცა მოჩანს; გოგებში ბედურები ხვან, გაუთავებლად ჭყიპინებენ რაღაცას თავისას.

ნელ-ნელა აღვზნებამ გადამიარა, საოცრად მსიამოვნებს ასე, პარკის გრილ სკამზე წოლა, ფოთლების ნელი შრიალის მოსმენა... სკამს გვერდზე ჩაუარა მილიციელმა, ერთი წამით შეჩერდა, თითქოს უნლოდა, რაღაც ეთქვა, შემდეგ უსიგყვოდ განაგრძო გზა. რა კარგია სიჩუმე! აღამიანის ლაპარაკი არ მის არსაიდან, მხოლოდ შორიდან ქუჩის ყრუ ხმაური აგანს.

თვალებს ვხუჭავ. თავში სულელური აზრები მეზადება: ნეტავი სულ აქ შემექლოს ცხოვრება, არავისი ხმა არ გავიგონო, არავის შევხვდე... ვიცი, ასეთი რამ განუხორციელებელია და წუთიერი განწყობითა გამოწვეული, მაგრამ მაინც ჯიუტად ვიმეორებ იგივე აზრს, რადგან სიამოვნებას მგვრის...

ფიქრები უკვე ძველ თემას უბრუნდება. რა ვქნა? სად ვნახო გამოსავალი? რა საზიზღარი კითხვებია... მაინც რაგომ მოგვდის ჩხუბი და უსიამოვნება? თითქოს გარემოება ასეთი გართულებებისთვის მეგად უმნიშვნელოა ხოლმე, მაგრამ განა მარგო ვფრილმან საბაბშია საქმე? არა, აქ სხვა მიზეზები უნდა იყოს, ბევრად უფრო ღრმად ჩამარხული, რომლებზეც არც მე დავფიქრებულვარ აქამდე და არც – ნელი. კაცმა რომ სთქვას, რა გვაქვს საჩხუბარი? გარეგნულად თითქოს არაფერი. ნელი არ არის ცუდი ცოლი, ხასიათით ყველა იცნობს, როგორც ჩუმი, წყნარს, თავაზიანს... არასდროს აწყენინებს ვინმეს უმიზეზოდ, არც კარჩაკეგია, მეზობლებიც და ჩემი ნათესავებიც დიდად ემაღლიერებიან – ყურადღებიანი, თბილი გოგოაო... ჰო, ყველაფერი ასეა. მე? ყოველგვარი მუდმივი მოკრძალების გარეშე, შემძობია, თამამად ვთქვა, რომ ვერც ჩემს შესახებ იგყვიან ძვარს; პირიქით, თუნდაც ჩემს მეგობრებს რომ ჰკითხოს ვინმემ, ყველა ერთხმად იგყვის: შესანიშნავი ახალგაზრდააო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, რომ ნამდვილად ასე იგყვიან. არავისთან უსიამოვნება არ მომსვლია, თუნდაც უმნიშვნელო,

მუშაობითაც არ ვმუშაობ ცუდად... რაც მთავარია, ვგრძნობ, როგორი თვალთ მიყურებენ: აშკარა სიმ-
პათიით. არც მე ვარ გულჩაკეცილი ან უკაცური (იქნებ აქ სხვა სიციყვა მოვძებნო?), ყველას რომ გაურ-
ბის, ადამიანს წესიერად არ დაეღაპარაკება; პირიქით, ჩემთან ყველა თავსუფლად გრძნობს თავს, მე-
გობრები მყავს, ხშირად ვსაუზმობ ამხანაგებთან შინაურულად.

მაშ, რაშია საქმე? რატომ ვერ ვუგებთ ერთმანეთს მე და ნელი? ვერც იმას ვიფიქრებ, რომ მე ის
არ მიყვარს... არა, ის პირვანდელი სიყვარული მაინც სხვა იყო, სხვანაირი, მაგრამ ვინმე სხვა ქალზე
მეფიქრა, ამრად არ მომსვლია... იქნებ მას აღარ ვუყვარვარ? ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა ხოლმე...
მაგრამ ნელი? არა და არა! ვერაფრით ამას ვერ დავიჯერებ! ჩემი გრძნობა უცებ შემატყობინებდა...
რომ ვგყუვდებოდე? რა, ცოცხალი შემთხვევა, როცა ცოლს სხვა უყვარს და ქმარი კი ბაიბურშიც
არ არის... ჯერ რამდენჯერ წამიკითხავს წიგნებში ამგვარი ამბები და ცხოვრებაში ხომ უთვალავი შემ-
თხვევაა. და მაინც ნელის სიყვარულში და ერთგულებაში ეჭვს ვერ შევიტან... მაშ, რა მიზეზია? ისევ და
ისევ ამ წყეულ კითხვას ვუბრუნდები. რატომ ავფეთქებით ხოლმე რაღაც წვრილმანის გამო? საჭმელ-
სასმელი, მართალია, თავზე არ გადაგვდის, მაგრამ, ღვთის წყალობით, არ გვშია და არ გვწყურია, ბი-
ნა ჯერჯერობით შესაფერისი გვაქვს, სხვები ბევრად უარეს პირობებში წლობით ცხოვრობენ, არც
გართობას ვიკლებთ... და მაინც ბოლო ხანს თითქმის ყოველი სრულიად უმნიშვნელო უთანხმოება
ჩვენს შორის შეტაკებაში გადაიზრდება ხოლმე... ალბათ ეს ჩემთვის უხელავი მიზეზი თუ მიზეზები, თა-
ვისი თავდაპირველი სიმცირის მიუხედავად, თანდათან ძლიერდებოდა, ნელ-ნელა სულ უფრო ცხადად
ვლინდებოდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში... მაგრამ ჩემშია ეს მიზეზი თუ ნელიში? ან იქნებ რაიმე
გარეშე, საერთოდ ცხოვრებისეული მიზეზი იწვევს? ღმერთმა უწყის!.. ძნელი გასარკვევეი გახდა ჩემ-
თვის, არადა გარკვევა საჭიროა... ახლა, ერთი შეხედვით, ნელის ხასიათის მეცვლას, შეიძლება, დააბ-
რალო ყველაფერი, მაგრამ ეს ხომ სუბიექტური შეფასება იქნება... იქნებ მე შევიცვალე?.. ნება თვითონ
ნელი თუ ფიქრობს, რატომ ხდება ურთიერთობის დაძაბვა ჩვენს შორის, რა არის ამის მიზეზი? იქნებ
ერთმანეთი დავღალეთ – ერთფეროვნებით, ყოველდღიურობის მომაბეზრებელი მონოტონურობით?
ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ერთად ცხოვრების ოთხი წელიწადი დიდ გავლენას მოახდენდა ორივე
ჩვენთაგანზე...

ოთხი წელი... სად, რომელ წელს, რომელი შემთხვევის შემდეგ დაიწყო ჩვენი შინაგანი დაშორება?
ნელ-ნელა, ნელ-ნელა უეჭველად ვშორდებოდით... და აი, ახლა კი, შესაძლოა, სულაც გაწყდეს ჩვენი
კავშირი... მერე? მერე – განქორწინება... ხალხი იცყვის: ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს ხასიათებით...
რომ გამახსენდება, როგორ ვცხოვრობდით ამ რამდენიმე წლის წინათ! მაშინაც ხდებოდა ხოლმე: შეე-
კამათებოდით, ზოგჯერ ვერც კი შევთანხმდებოდით, მაგრამ მაშინ როგორ წარმოგვედგინა გაან-
ჩხლება და ერთმანეთზე ყვირილი!

ასეილებლად უნდა მივაკვლიო იმ გარემოებებს, რომლებმაც აქ, ამ პარკში, მომიყვანა... მაგრამ
როგორ? მთელს ჩვენს ერთობლივ ცხოვრებაშიც უნდა ვეძიო...

თავი მიბრუნის უამრავი კითხვისგან და თითოეული მათგანი პასუხს მოითხოვს...

ჯობს, ნახევარ საათს აღარ ვიფიქრებ არაფერზე, შემდეგ კი მეთოდურად გავისხენებ ყოველივეს,
რამაც ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

მძიმე გვირთია...

II.

მაგონდება, როგორ დავინახე პირველად ნელი.

როდესაც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე მისაღები გამოცდები და იოლად მოვხვედი, მამაჩე-
მი სიხარულით ცას ეწია, თუმცა ვერც ქცევით, ვერც ლაპარაკში ამას ვერ შეატყობდი; მხოლოდ გაბ-
რწყინებულ თვალებს და ღმიღში დანათკებულ სახეს, როგორც იცყვიან, კომენტარი არ ესაჭიროებო-
და. საწყალი დედაჩემი კი სულ სიციყვებად იყო ქცეული, შინაურსაც და გარეულსაც ჩემს მიღწევებზე
ლაპარაკით თავს აბეზრებდა. მართალია, გამოცდებზე მხოლოდ ერთი “ოთხი” მივიღე, დანარჩენი –
“ფრიადი”, მაგრამ მაინც უხერხულობას ვგრძნობდი, როცა დედა ვინმესთან გრძობას მოჰყვებოდა. მხო-
ლოდ ჩემზე ორი წლით უმცროსი ძმა, მერაბი, ასე თუ ისე, ნორმალურად შეხვდა ყოველივეს; რა თქმა
უნდა, გაუხარდა, მაგრამ არც ისე, რომ აღტაცებისგან დაველური დაეველოს.

გავიდა სექტემბრამდე დარჩენილი ორი კვირაც და პირველად შევდგი ფეხი პოლიტექნიკური ინსტი-
ტუტის სამთო-გეოლოგიურ კორპუსში, როგორც პირველი კურსის სტუდენტმა. მღელვრებას განვიცდი-
დი, მორცხვად ვიყურებოდი აქეთ-იქით, ჯერ შეუჩვეველ დერეფნებში დავდიოდი, თან გმის აბნევისაც
მეშინოდა. საკვირველია, მაგრამ სწორედ ასე იყო; დაბეჯითებით ვაკვირდებოდი ყოველ მოსახვევს
დერეფნისა, ვიმახსოვრებდი ყოველ წვრილმანს. დეკანის კაბინეტის წინ რამდენიმე ბიჭი და გოგო იდ-
გა. მათ შორის შევამჩნიე შავებში გამოწყობილი საშუალო ტანის წაბლისფერთმიანი ქალიშვილი. არ
იყო ურიგო შესახედავად, მაგრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე-მეთქი, ვერ ვიცი-
ვი. ალბათ მთელი ჩემი განცდები ისე იყო დაძაბული სხვა მოვლენებით, რომ რომელიღაც ქალიშვი-
ლისთვის ყურადღება მიმექცია, სად მქონდა მაგის თავი (უფრო ლამაზებიც ბევრი იყო!). მე უფრო ის
მაინტერესებდა, როგორი ამხანაგები მარგუნა ბედმა, ვინ იქნებოდნენ ჩემს ჯგუფში? ვინ იქნებოდნენ
ჩემი ლექტორები? ბოლოს და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ამ დროს იყო, გადამიწერა

ლექციების ცხრილი, მეპოვნა აუდიტორია, რომელშიც პირველი ლექცია უნდა ჩატარებულიყო. დეკანის კაბინეტის კართან შავებში მდგარმა ქალიშვილმა კი მხოლოდ იმით მიიქცია ჩემი ყურადღება, რომ მკვეთრად განსხვავდებოდა დანარჩენებისგან არა მარტო ჩაცმულობით, არამედ სახის გამოთქმაც. ირგვლივ ახალგაზრდობა ხმაურობდა, ყველანი კარგ ხასიათზე იყვნენ, სიცილით ნახულობდნენ ერთმანეთს უფროსკურსელები, პირველკურსელები კი ხარბად აკვირდებოდნენ ყველაფერს... შავკაბიანი ქალიშვილი კი, კედელთან უხმოლ მიმდგარი, გაუნძრევლად თავდახრილი, ჩასცქეროდა პარკეტს და, საკუთარ განცდებში ჩაძირული, თითქოს გარემოსადმი სრული გულგრილობით იყო გამჭვალული. მე სულ არ დამიწყია ფიქრი იმაზე, თუ რატომ ეცვა შავები ან რაზე ფიქრობდა იმ დროს, ჩემთვის სულ სხვა შთაბეჭდილებებმა დაჰფარეს დეკანის კართან დაღვრემილად მდგომი შავკაბიანი ქალიშვილის სახე.

დაირეკა პირველი მარი, დაიწყო პირველი ლექცია; ახალგამომცხვარმა სტუდენტებმა ბეჯითად დაიწყეს სქელი საერთო რვეულების შევსება პირველი ლექციის ჩანაწერებით... პირველი დაკვირვებები ლექტორებზე, ახალი ამხანაგების გაცნობა, შესვენებაზე ერთად შექუჩული ბიჭები წრეზე ჩამორიგებული სიგარეტის კოლოფით და მეორე ადგილას – ჯგუფის ქალიშვილები, აგრეთვე – ერთად, და აქ უკვე გაცხარებული ლაპარაკი, როგორც ეს საერთოდ გოგოებს სჩვევიათ, როცა ყველანი ერთდროულად ჭიკჭიკებენ და ერთმანეთს არ აცლიან... მთელი დღე რაღაც ამაღლებულობას გრძნობ, სასიამოვნო მღელვარებას: ახალ ცხოვრებას ეზიარე – უკვე სტუდენტი ხარ, მოზრდილი ადამიანი და ცოლის თხოვაც კი შეგიძლია! დიდი ხანი არაა გასული, რაც გამოემშვიდობე და მაინც ძალიან შორეულად გეჩვენება ის დროება, როცა სკოლაში სწავლობდი, მამაჩემი ყოველი კვირის ბოლოს გულდასმით ათვალიერებდა დღიურს, და ვნატრულობდი, როდის იქნება, სტუდენტი რომ გავხდებო... ის კი არა, ბაფხულის ცხელი დღეები, როცა დილიდან დაღამებამდე წიგნებს ვუკაქე და ინსტიტუტში მისაღები გამოცდებისთვის ვემზადებოდი, საშინლად შორეული მგონია. უჩვეულო თავისუფლებას ვგრძნობ: არაა საჭირო დიდიან დღემდე სახელმძღვანელოებში კირკიტი, დაძაბული გამეორება ერთი და იგივე უკიდურესობამდე მობერებული მაგალითებისა – მათემატიკაში, კანონებისა – ფიზიკაში და ქიმიამში... ძალიან გადავიღალე გამოცდების ჩაბარების დროს და შემდეგ – როდესაც ვუცდიდი ინსტიტუტში მიღებულთა სიის გამოკვრას, სულ დაძაბული ვიყავი... და დღეს კი ყველაფერმა ამან ჩაიარა! თითქოს მიიმე გვირთი მომეხსნა მხრებიდან – ყველაფერს გაუშედი, ყოველგვარი სიძნელე გადავლახე და აი, უკვე პირველი კურსის სტუდენტი გახლავართ!

დედაჩემი დილდობობით ამაყად გადმოდგება ხოლმე აივანზე და მიყურებს, როგორ მივდივარ ინსტიტუტში; ასე მგონია, მთელი ქვეყანა მე მიცქერის. ინსტიტუტში ყოველ მისვლას სახლის განუმეორებელი განცდა მოაქვს... დრო სწრაფად გარბის და მიკვირს ხოლმე, როცა შინ უნდა წავიდე ლექციების შემდეგ – თითქოს ერთ წამში გაირბინა ამოდენა დრომ. შინ მისულს დედაჩემი მიწყობს სადილს და მოითხოვს, დაწვრილებით მოვუყვე ყველაფერი: რა ვნახე, რა განვიცადე, კარგი ამხანაგები თუ მყავს, ლექტორები როგორ კითხულობენ საგნებს... მე კი, საშინლად მოშივებული, უზარმაზარ ნატრებს ვიკენი პირში და ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ... დედა და მამა პირში მომჩერებიან, მერაბი კი ჩემს ახალ სახელმძღვანელოებს ფურცლავს, სქელ საერთო რვეულებში ლექციების ჩანაწერებს კითხულობს, თითქოს ბევრ რამეს გაიგებს. ნუ გშურს, მერაბ, თუ მოინდომებ, ცოტა ხანში შენც სტუდენტი გახდები...

ასეთ ციებ-ცხელებასი გავიდა ორი კვირა. ჯგუფში უკვე ერთმანეთი გავიცანით, ზოგიერთთან დაუმეგობრდი კიდეც. ბიჭები და ქალიშვილები უკვე დაუმორცხვებლად ელაპარაკებიან ერთმანეთს. ერთი ჩემი უბნელი ბიჭი, დიგო დისამურგაძე, დამიამხანაგდა, ერთად დავდივართ ინსტიტუტში. ისე, სახით დიდი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს, ერთ ჯგუფში მოხვედრამ კი დაგვაახლოვა კიდეც. ყველა ლექტორი გავიცანით, ზოგი მოგვწონს, ზოგი – ნაკლებად, დასწრებით კი ყველა ლექციაზე დავდივართ. განსაკუთრებით გვიყვარს დინამიკური გეოლოგიის ლექცია: დედამიწის და მზის სისტემის წარმოშობის თეორიები, მიწისძვრები, ვულკანები, მზის, ქარისა და წყლის “მუშაობა” დედამიწის რელიეფზე, ქანების დაშლა და ათასგვარი სხვა საინტერესო საკითხი – წინდაწინ გადავათვალიერე სახელმძღვანელო. ხანდაზმული პროფესორი, ბატონი პეტრე შუბიანიძეც, ჩვენი ლექტორი, გატაცებით გვიყვება ხოლმე, ათასგვარი მაგალითები მოჰყავს, გვიჩვენებს ტაბულებს და დიდ სურათებს, დედამიწის სხვადასხვა კუთხის პეიზაჟებს, – ეტყობა, მცოდნე და ამ საგნის მოყვარული ადამიანია.

ერთხელ, სწორედ დინამიკური გეოლოგიის ლექციაზე, როცა ბატონი პეტრე დედამიწის წარმოშობის კანტ-ლაპლასის თეორიას გვიხსნიდა, გაიღო აუდიტორიის კარი და შემოვიდნენ ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟი.

– შეიძლება? – იკითხა მაღალმა, შავთმიანმა სტუდენტმა.

ბატონმა პეტრემ დაუშვა ისინი ლექციაზე და დაინტერესდა, აქამდე რატომ არ დადიოდნენ. აღმოჩნდა, რომ ისინი სხვა ჯგუფიდან, მათივე თხოვნით, გადმოუყვანია დეკანს ჩვენთან, გეოლოგიურ ჯგუფში.

ქალიშვილი ნელი იყო. მაშინვე ვიცანი, თუ ვერ ვიცანი – ძნელი სათქმელია. ის კი გამახსენდა, რომ ეს ქალიშვილი სადღაც მენახა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვიგონე, სად და როდის... მთელი დღე ამ აკვირებულმა კითხვამ არ მომასვენა. მხოლოდ შინ, როცა სადილს ვამთავრებდი, უცებ გამახსენდა დეკანის კაბინეტის კართან მდგარი შავკაბიანი ქალიშვილი, ჩაფიქრებული რომ გარშემო ვერაფერს

ამჩნევდა... ახლა კი ღია ცისფერი, წვრილყვავილებიანი კაბა ეცვა და სახის გამომეტყველება თუმცა ისევ გაუღიმარი ჰქონდა, მაგრამ არც დამწუხრებული ჩანდა. შესვენების დროს მინდოდა, მეკითხა, მაშინ რად გეცვია შავი კაბა-მეთქი, მაგრამ მეუხერხულა და თავი შევიკავე.

პირველი სემესტრის ბოლოსთვის კარგად შევისწავლეთ ერთმანეთი ჯგუფში, თითოეულის ხასიათი, გარეგნობა, მისწრაფებები; ყოველ შემთხვევაში, ასე გვეჩვენებოდა, თორემ შემდგომში არაერთხელ მომიხდა თავდაპირველი შეხედულების შეცვლა. გაგვიჩნდა სიმპათია-ანტიპათიები, იმისდა მიხედვით, თუ როგორი თვალთ ვუყურებდით ამა თუ იმ სტუდენტს. პირველსავე დღეებში ერთი სოფლიდან ჩამოსული ბიჭი, ილო კუხალაძე, რატომღაც არ მომივიდა თვალში. არ ვიცი, რისი ბრალი იყო ეს, თითქოს სრულიად უმიზეზოდ ავითვალწუნე. არ მომწონდა მისი უღამამო სახე, დიდი ცხვირი, გაბურძღნული შავი თმა, თვით მისი ხმის ტემბრი და სიცილის მანერაც კი მაღიზიანებდა – ტუჩები რაღაცნაირად მარცხნივ მოედრიცებოდა ხოლმე და იქ ღრმა ნაოჭი უჩნდებოდა... მიკვირდა, როგორ დაუახლოვდა მას ბახვა გულუხვაშვილი – მაღალი, ღამაში ვაჟკაცი; მუდამ მხიარული, კეთილი გულის ბიჭი. მწყინდა კიდეც, რომ ბახვა ილოსთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე ჩემთან. სულ ერთად იყვნენ და ვერ გამეგო, რა საერთო ნახეს ერთმანეთში... მაგრამ იყვნენ ისეთი ბიჭებიც, რომელთა მიმართაც ვერ ვიტყვოდი ვერაფერს გარკვეულს, ისინი არც მომწონდნენ და არც მძაგდნენ, უბრალოდ, ისინი ყოველი მხრივ უინტერესოდ მიმანდნენ. ნელისაც თითქმის ვერ ვამჩნევდი. ცოტა ხანში გაკვირვებით შევატყვე, რომ ჩვენი ჯგუფის გოგოებიდან ყველაზე მეტად ნელის უთმობდნენ ყურადღებას ბიჭები. სულ ჩვენს ჯგუფში რვა გოგო იყო, ერთიმეორეზე უკეთესები. რამდენიმე მათგანი ძალიან მომწონდა კიდეც, განსაკუთრებით კი – ჯულიეტა კასრიძე. უნდა გითხრა, რომ საოცარი თვალი მაქვს – ღამაზ გოგოს მაშინვე შევამჩნევ ხოლმე, თუ ყველა ბიჭს ასე ჰგონია? თავდაპირველად ჯულიეტა საოცრად ღამაზი და მიმზიდველი მეჩვენებოდა, შემდეგ კი ჩემი აღფრთოვანება შესამჩნევად განეღდა. არ მომწონდა მისი გადამეტებული მრუნვა ჩაცმა-დახურვაზე, განუწყვეტელი სწორება განსაცმლისა, მოკლედ შეჭრილი თმისა, წამლაუწუმ ჯიბის პატარა სარკეში ცქერა და პომადის წასმა, რომელიც სრულებით არ სჭირდებოდა მის ამობურცულ, მარწყვის ტუჩებს. მეორე მშვენიერი გოგო, რომელიც მომწონდა, ღამაზა ხატაური, მთის მიყრუებული სოფლიდან იყო წარმოშობით. დაბალი გოგო იყო, განსრული, მაგრამ საოცრად კოხტა, ცქრიალა, სიცოცხლით სავსე, კისკისა. ისეთი ხავერდოვანი თვალები, შავი წარბები და წითელი ტუჩები ჰქონდა, რომ ცქერა არ მოგწყინდებოდა. შავი მსხვილი ნაწნავი, რომელიც მკვეთრად გამოარჩევდა სხვა ქალიშვილებისგან, ორი თვის შემდეგ შეიჭრა, მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენი ჯგუფის სხვა ქალიშვილების მიბაძვით, უუმაღლეს და უუწვრილეს ქუსლებიან ფეხსაცმელებზე შედგა, რომელიც მაშინ ყველაზე მოღურად ითვლებოდა, – განგებ არ ვამბობ, ჩაიცვა-მეთქი. გავიდა კიდეც რამდენიმე თვე და ჯულიეტასაც კი აჯობა კაბის სივიწროვითა და სიმოკლით. ბიჭები პირდაღებულნი შევცქეროდით ღამაზისასეთ მეტამორფოზას. ადრე ჩვენი ჯგუფის ბიჭებთანაც კი, როცა საუბარს დაუწყებდნენ, თვალებს დახრიდა და გაწითლდებოდა, ახლა უშიშრად აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით... ბამთრის არდადეგების დროს კი უცებ გაგვიტხოვდა კიდეც – ვიღაც სტუდენტმა მცხოვრებ სტუდენტს გაჰყვა – ყველას მოასწრო ჩვენი ჯგუფის გოგოები!..

ამის დაწერა მოასწრო ჯერჯერობით შიო ნარცეცხლაძემ, თუ არ ჩავთვლით უამრავ სხვადასხვა ზომის ფურცელს ნაირგვარი ჩანაწერებით, რომლებიც ალბათ რომანისთვის მოსამზადებელ მასალებს ან ცალკეული ნაწილების შავს წარმოადგენდა. მეც მაინტერესებს, როგორ დაუახლოვდა რომანის მთავარი გმირი ორბელ დიდბრუნელაძე მერე ნელის, რა მოხდა მათ შორის და კიდეც ალბათ უამრავი სხვა ამბავიც... თუ მე ვერ მოვახერხე შიოს რომანის გაგრძელების თხრობა, ნუ დადონდებით: ავტორის სახელი თქვენთვის ცნობილია და რომანის სათაურიც მოგახსენეთ, ასე რომ, წიგნის მაღაზიებში მოიძიეთ, თუკი, რასაკვირველია, შიომ თავი მოაბა მის დაწერას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დაბეჭდვას. წიგნის გამოცემა ძალზე გაძნელდა ამ ბოლო დროს...

* * *

ერთ მშვენიერ დღეს ეზოს შესასვლელ შავად შეღებილ ჭიშკარს მოადგა ტაქსი, იქიდან გაჭირვებით გადმოვიდა ძალზე გამხდარი, ძალიან მოხუცი კაცი – დაბალი, მხრებში შესამჩნევად მოხრილი. ეზოში შემოსული მოხუცი სუსტი თვალებით აკვირდებოდა ირგვლივ ყველაფერს, შემდეგ მარჯვენა ხელის მოკაუჭებული საჩვენებელი თითის მოუხეშავი მოძრაობით მოიხმო თავისთან ფეხბურთის თამაშით გართულ ონავართაგან ერთ-ერთი, დაიხარა მისკენ და მოუთმენლობითა და მოლოდინით აღსავსე ხრინწიანი ხმით ჰკითხა:

– სტივენ, სტივენ?... – და როცა ბიჭს გაოცება შეატყო, იგივე საჩვენებელი თითი მეორე სართულზე ნარცეცხლაძეების ბინისკენ გაიშვირა: – ბაბო? ბაბო?..

ამ დროს უცნობს მიუახლოვდა პანტიკო და ბიჭის მაგივრად უპასუხა:

– ბაბო კარგა ხნის წინ გარდაიცვალა, ჭირიმე, ახლა იქ მისი შვილი სტეფანე ცხოვრობს თავისი ცოლით, შვილებითა და შვილიშვილებით!

მოხუცმა ვერაფერი გაიგო და პანტიკოს რაღაც ჰკითხა; პანტიკო მხოლოდ იმას მიხვდა, რომ მოხუცი ინგლისურად ეკითხებოდა რაღაცას, ალბათ – ინგლისურად თუ ლაპარაკობო, და მეზო-

ბელს, ლაშა ინოხემცევეს, მოუხმო: ლაშა ერთ დროს კალათბურთელი იყო, საზღვარგარეთ ხშირად უხდებოდა შეჯიბრებებზე გამგზავრება და საყველამო ინგლისური იცოდა.

ადმოჩნდა, რომ ეს კაცი სირ დევიდ კრაუნის იყო, სიცოცხლის მიწურულს საგანგებოდ ჩამოსული სამოცი წლის უნახავი ვაჟიშვილისა და ყოფილი ცოლის ამბის გასაგებად და მათ სანახავად...

სირ დევიდი ბებრულად აცრემლდა, როდესაც საკუთარ ვაჟიშვილს, თმაგაცვენილსა და სრულიად გაჭაღარაგებულს, სტეფანე ნარცეცხლაძეს, მოეხვია, რომელიც სამოცი წლის შემდეგ პირველად ნახა... დევიდსაც გასჭაღარაგებია თმები, მაგრამ შვილივით არ გამელოტებულა...

მეზობლებში ხმა გავარდა – სტეფანეს ამდენი ხნის დაკარგულმა ინგლისელმა მამამ მოაკითხაო; ბევრმა არც იცოდა დევიდ კრაუნის ამბავი და ფრიადაც გაუკვირდათ... მალე ჩემს ზურგზე მეზობლებისგან იმდენი მოსაკითხი დახვავდა, რომ ჩემი გაშლა გახდა საჭირო. ამასობაში შიოს კათედრაზე დაურეკეს, სასწრაფოდ მოდი, შენი ინგლისელი პაპა ჩამოვიდაო, მოგვიანებით სტეფანეს ქალიშვილი და უმცროსი ვაჟიშვილიც მოვიდნენ.

სირ დევიდ კრაუნი სევდიანი ღიმილით უყურებდა სულ მთლად გაჭაღარაგებულ შვილს – თამადად, რასაკვირველია, სტეფანე დადგა... ფანო დინჯად ამბობდა სადღეგრძელოებს, რომ ლაშა ინოხემცევეს მოესწრო ინგლისელისთვის ნათქვამის გადათარგმნა.

სადღეგრძელოები ბევრი შეისვა, – პანტიკოს ამ მხრივ არაფერი შეეშლებოდა, – მაგრამ სირ დევიდ კრაუნს შუა სუფრაზე ტკბილად ბაძინა და ლაშას ისინი არ უთარგმნია. სირ დევიდ კრაუნი დივანზე ფრთხილად გადაასვენეს...

როცა სერობა დასრულდა, სირ დევიდ კრაუნი გააღვიძეს; იგი შვილიშვილებს და შვილთაშვილებს მოეფერა, ყოველ მათგანს ასგირვანქიანი ფულის კუპიურა აჩუქა და, ბოლოს, “სტივენს” ანუ სტეფანეს თხოვა, ერთ-ერთი შვილიშვილი მისთვის გაეტანებინა ინგლისში... იქ ჩემს გვარს მივცემ, პრესტიჟულ კოლეჯში მოვაწყო, დიდძალ ქონებასაც დაგუმტკიცებ, როგორც ჩემს მემკვიდრესო...

სტეფანეს ცოცხალი თავით ვერავინ “გააჩუქებინებდა” სამუდამოდ რომელიმე შვილიშვილს, მაგრამ იშვიათი ღიმილიანი ნიჭი გამოამჟღავნა: სირ დევიდს პირდაპირ არ უთხრა უარი; მის წინადადებას დათანხმდა, მაგრამ მთელი რიგი აუცილებელი პროცედურების გავლის აუცილებლობის გამო, ეს საქმე ასე სწრაფად ვერ მოგვარდებოდა... შემდგომ კი, რამდენიმე ხანში, ჯერ დროებით გაუშვებდა ინგლისში რომელიმე შვილიშვილს – სახელდობრ რომელს, ეს ოჯახში მოთათბირების შემდეგ გადაწყდებოდა...

* * *

და აი, ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა: მრავალმილიონიანმა საბჭოთა ხალხმა უდიდესი დანაკლისი განიცადა – “უკედავმა” და “შეუცვლელმა”, საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისთვის თავდაზოგავმა მებრძოლმა, მსოფლიო დონის უდიდესმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ლეონიდე გმირთა გმირმა ვერ გაუძლო ათეულობით ორდენ-მედელების სიმძიმის ტარებას და სამუდამოდ წავიდა ჩვენგან...

საოცარი ის იყო, რომ ლეონიდ ბრეჟნევეს საჩქაროდ უკან მიჰყვნენ მისი მომდევნო შემცვლელი, ასევე უდიდესი, მსოფლიო დონის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები და ასე შემდეგ (ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ, მაგალითი იხილე ზევით): ჯერ – ჩერნენკო და შემდეგ – ანდროპოვი...

და აჰა, ამობრწყინდა ახალი ვარსკვლავი – “გარდაქმნისა და საჯაროობის” ეპოქის სულისჩამდგმელი და ფუძემდებელი მიხაილ გორბაჩოვი!.. აწი რაღა გვიჭირს: ყოველი უსამართლობა აღმოიფხვრება, შეცდომები – გამოსწორდება, ქვეყანა არნახული ძალით იწყებს გაფურჩქვნას საჯაროობისა და ყველა სფეროში ძირეული გარდაქმნის მეოხებით!.. მეტი საჯაროობა, მეტი დემოკრატია!.. ახალი ენერჯით დაამუხტულებმა, ვიართ სულ წინ და წინ, განვითარებული სოციალიზმის ეპოქიდან – კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე!

მრავალი სიახლეა ქვეყნის ცხოვრებაში, ტელევიზორში ერთმანეთს ენაცვლებიან ახალი კურსის მხარდამჭერი ყრილობები, კონფერენციები, მშრომელთა კოლექტივების კრებები და მიტინგები...

ჩემს ყურადღებას, აგრეთვე, იპყრობს ტელეეკრანზე გახშირებული მრავალი სხვა ახალი თემაც, რომლებზედაც, სამწუხაროდ, ახლა არ მაქვს დრო სასაუბროდ, ზოგიერთს მხოლოდ ჩამოეთვლი:

1. სილამაზის კონკურსები;
2. უამრავი სხვა კონკურსი (სიმღერის, მოდების და ასე შემდეგ);
3. ინტელექტუალთა შეჯიბრებები;
4. მფრინავი თეფშები; გამოუცნობი მფრინავი ობიექტები;
5. ოკულტიზმი, ქადაგნი, მარჩიელნი, ასტროლოგები...

რაღა გვიჭირს, ყოველმხრივ ბედნიერები გავხდით, სხვა აღარაფერი გვაწუხებს!

დღე – თავდაუზოგავად იმუშავე ან ისწავლე, საღამოს – ტელევიზორს მიუჯექი და ხან – განათლდი, ხან – გაერთე!

ვათვალთვინებ ჩემს ოთახს და ვაფასებ იქ მდგომ სხვა საოჯახო ნივთებს, უპირველესად, რაღა თქმა უნდა, სხვა მაგიდებს!

ოთახში კიდევ ორი, ჩემზე მომცრო მაგიდაა.

ერთი მათგანი კუთხეშია, მასზე ტელევიზორი დგას და ამიტომ სულ იბრიქება, ყველა მზერა ჩემკენ არის მოპყრობილი! ის კი არ იცის, რომ მას კი არა, ტელევიზორის ეკრანს მისჩერებიან, ეგ ტილიანი მაგიდა – ვითომ-მაგიდა, სინამდვილეში კი, საცოდავი მაგიდუკაა, ვის რაში აღარდებს! შედარებით დაბალია, ვერც გარეგნობით დაიკვივნის: მართალია, ყავისფერი ლაქისგან ბრწყინავს, მაგრამ იმდენად პატარაა, რომ მასზე მხოლოდ ტელევიზორი ეტევა, ისიც – გაჭირვებით! საცოდავს, ხომ არ ჰგონია, ტელევიზორში რომ ჭკვიან აზრებს აფრქვევენ, ცეკვა-ბუქნაა გაჩაღებული ან სიმღერა ისმის, მისი დამსახურება?

* * *

1989 წლის 13 თებერვალს საკავშირო ტელევიზიის I არხით, საღამოს, ყველაზე “ყურებად” დროს, მრავალმილიონიანი აუდიტორიის წინაშე გამოდის ცნობილი ექიმი ანატოლი მიხეილის ძე კაშიროვსკი.

სცენაზე ათამდე კაცი და ქალი ზის სკამებზე; გამოვიდა შავგვრემანი, ელეგანტური ახალგაზრდა. სასიამოვნო ხმით გულითადად მიესალმა ტელემყურებლებს და დაიწყო სენსი:

“დაბრძანდით მოხერხებულად, ლამაზად! ფეხებს ნუ გაშლით, ახლოს მოიწიეთ. ხელები ნუ გაქვთ მომუჭული, გაშალეთ, თავისუფლად, ფაქიზად... მეგობრებო, თქვენთან პატარა პრეტენზია მაქვს: დროზე ამოიყვანეთ სცენაზე, როგორც კი შეამჩნევთ, რომ მეზობელი ტრანსშია ჩავარდნილი. თქვენ ნუ გეშინიათ, მე ვიცი, რასაც ვაკეთებ! მომუჭეთ თითები, მომუჭეთ, მომუჭეთ – ტკივილის შეგრძნებამდე! ტრანსში ვინც არის, სახეზე და თითებზე ეტყობა, დროზე გამოიყვანეთ, სწრაფად! ობიექტი დაიხარა, წამოიყვანეთ... არავინ ეცემა, სრული წონასწორობაა... აღამიანები იწყებენ გაშლას, თქვენ ტრანსში ვარდებით... თითები იშლება, ფაქიზად, რომ რამე არ დააშავოთ... ყოველ წუთში მატულობს თქვენზე შთაგონების ხარისხი წყნარად... ქვევით დახარეთ ხელები, სწრაფად! მე შევარჩიე აღამიანები საქმისთვის! თავებრუნებვა, შეშფოთება, ტკივილი და სხვა – ყველაფერი იფანტება, სადღაც იკარგება... მინდორში ხართ, ყვავილებში; გრძნობთ ყვავილების სურნელს, ადგილიდან არ იძვრით მილიმეტრითაც! იხრებით, მარჯვენა ხელით კრფთ ყვავილებს, გადაგაქვთ მარცხენაში, სწრაფად! ყოველთან მივდივარ! (ერთი, შარვლიანი, იატაკზე წაწვა, მეორე ჩაჯდა, გარინდებული, მესამე ჩქარ-ჩქარა “კრეფს ყვავილებს”... კაშიროვსკის სათითაოდ მიჰყავს ისინი სკამებთან, სხამს; ხალხი იცინის); კიდევ უფრო ჩქარა მოკრიფეთ, კიდევ უფრო სწრაფად, კიდევ! აუჩქარეთ რამდენჯერმე! ფესვებიანად ამოიღე! მოეშვი, ადექი! ტრანსში არიან, მაგრამ ჰალუცინაციები ჯერ არ დაწყებიათ; გამოვარჩიოთ ისეთები, რომლებსაც ჰალუცინაციები წარმოეშვა! ზოგს ძილი მოერია – ასეთები არ გვჭირდება, გაიყვანეთ...

თქვენ ხელები დაგვეგარათ, თქვენს ფეხებთან წყალია, დაიბანეთ ხელები! იდაყვებამდე! ენერგიულად, ენერგიულად! დაუჩქარეთ! შეუჩერებლად! დაიბანეთ სახე, კისერი! სდექ! დაივარცხნეთ თმა! დასხედით ლამაზად, სწორად, არტისტულად! მარცხენა ხელში სარკეა, მარჯვენაში – სავარცხელი! აწიეთ თავი მაღლა, აღამიანს უნდა ჰქონდეს მეექვსე გრძნობა, რომ იჯდეს ლამაზად, კონტად! (გამოარჩია მაღალი ბიჭი) ნიჭიერი პაციენტი, მე კი არა ვარ ნიჭიერი, ესაა, რომელსაც შეუძლია, ბევრი რამ გააკეთოს.

თქვენ კინოში ხართ, სასაცილო კინოფილმს უყურებთ, გეცინებათ!.. სიცილი მატულობს!.. სიცილი უხმო ხდება!.. ხელები მუხლებზე დაილაგეთ, სწორად დასხედით... თქვენ მდინარის ნაპირზე ხართ, თქვენ დაგესიათ ათასობით კოლო!.. თქვენ თავს იცავთ მათგან!.. (იქნევენ ხელებს, იტყაპუნებენ ხელისგულებს კისრებზე, ერთმა პულოვერი გაიხადა და იქნევს, “კოლოებს” იგერიებს, მერე თავზე შემოიხვია)... სდექ! ახლა გაახილეთ თვალები! ადექით! ახლა მოაგროვეთ ხის ნაფოტები, ქაღალდები, აგროვებთ ნაგავს, ყველაფერს აგროვებთ ცენტრში კოცონის გასაჩაღებლად; დასხედით მის გარშემო, ხელებს ითობთ, ითობთ!.. თვალები გაახილეთ, წვავთ კარტოფილს, იღებთ იქიდან შემწვარს – ხელით, ფეხით!.. სდექ! ვინც ყველაზე აქტიურია, ცენტრში დასხედით! ჩემი მიზანია, ამ მდგომარეობაში მივიყვანო პაციენტები, დანარჩენი – ყვავილების კრეფა და სხვა, არ მიყვარს, მაგრამ ისე თქვენ, მაყურებლებს, მოგწყინდებოდათ... (გოგო მიიყვანა მიკროფონთან) იმდერე შენი საყვარელი სიმღერა! ერთი მღერის, დანარჩენები უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე – ყველა!.. ჩქარა!.. (მერე ბიჭიც მღერის; კაშიროვსკის გამოჰყავს სცენაზე ახალი პარტია ტრანსში მყოფთა). თქვენ გრძნობთ, როგორ იბაბება ზემოქმედების, შთაგონების ატმოსფერო!.. მოიყვანეთ სცენაზე, ისტერიკის გარეშე!.. ნუ ყვირით, რომ ვიღაცა ცუდადაა! ის იდეალურ მდგომარეობაშია, მშვენივრად გრძნობს თავს!.. ნუ გეშინიათ, თუ ვინმეს სძინავს, ნუ უბიძგებთ! მისთვის არაფერი არსებობს – ყველაფერი ან არაფერი! – როგორც იოგები ამბობენ. რატომ დეღავთ? ახლა თქვენ ბაღში ხართ, თქვენს თავზე ხილია, მოკრიფეთ!.. დაარჩი-

ეთ ხეები! მოკრიფეთ კალთაში! დააჩქარეთ!.. მას ხელში ბევრი ვაშლი აქვს, თვალებს ახელს! აი, იქ მე გამაბრახეს, ის ჩემს მომხივანს ესვრის ვაშლებს... კაცებმა – სამი ნაბიჯი წინ, დასხედით, ქვევით დასხედით, სწორად დასხედით; თავს მხარზე ნუ იდებთ, თავი ასწიეთ! ახლა კი თევზს იჭერთ! ისროლეთ ანკესი!.. ღია თვალებით თევზაობთ, იჭერთ თევზს – ერთს, მეორეს... ახლა თქვენს ჩვეულებრივ საქმიანობას ეწვეით, საოჯახოს ან სოციალურს – სამსახურს. ერთი ბეჭ-დაგს, მეორე წერს, ეს დაზგასთან საქმიანობს... ახლა ორი კაცი ერთიმეორეზე ინადირებს: ერთი მებრძოლი ინდიელია, დაიმალება, შეინიღებება ამ მეორისგან, ორივენი – სწრაფები, აკრობატულ-ლები, მოქნილები!.. არსად წახვიდეთ შორს, ჩემი მზერის არეში იყავით! (ერთი ფორთხვით ეპა-რება მეორეს, მეორე გადაკოტრიალდება, მიეპარებიან ერთმანეთს). სდექ! ახლა შერიგდით! (გა-დაეხვევიან ერთმანეთს). თქვენს ფეხქვეშ ვირთაგვა დარბის! (ფეხებს წვევენ მაღლა). ახლა იცეკ-ვებთ ყველანი! პაციენტები ხშირად გარბიან ტრანსში მყოფნი, საშიშია – მერე მანქანას უვარდუ-ბიან ქვეშ... დასხედით, მჯდომარენი ვიწყებთ ცეკვას, სწრაფად! ხელი, ფეხი, სახე, წარბები – ყველაფერი ცეკვავს! ადგილზე, ადგილზე... ახლა ადექით! დაეწყვით ერთ რიგად, სწრაფად!.. ვე-ლურთა ცეკვაა – წვიმა არ ყოფილა 100 წელიწადია, უნდა მოვიყვანოთ თქვენი ცეკვით!.. მერე მენია და წვიმა მოდის, გიხარიათ! ღია თვალებით! ნუ სხდებით სკამებზე, ადექით!.. ამ კაცს შე-მოერტყით გარშემო, ახლა დასხედით მის გარშემო!.. ნელ-ნელა, ქვევით-ქვევით, გვერდზე გადაწე-ქით, ბოლომდე!.. ერთმანეთს მიეხმარეთ, ერთმანეთის გასწვრივ!.. ბოლომდე!.. სწრაფად, სწრაფად! ახლა ისინი ადგებიან, მოვლენ ნორმაში! ჩემს გვერდზე გაივლიან მუსიკის თანხლებით და ხელს მომიკიდებენ!.. მიეხმარეთ ერთმანეთს!.. საღი თავით, ღია თვალებით!.. ხელს ჩამომართმევთ და წახვალთ!..

ისეთ ხალხს ვეძებდი, რომლებთაც ჰალუცინაციები წარმოეშვება, აწუხებს ზედმეტი წონა, უძილობა, თავის ტკივილი... რას ვკურონავ? ნევროზებს, ნევრასთენიას, ისტერიას, შიშს; ახლა გა-დაგვლი სომატურ ავადობებზე. ნაწიბურებს ვაქრობ, ვკურონავ ვენების ვარიკოზულ გაფართოე-ბას, ზედმეტ წონას, საშვილოსნოს ფიბრომიომებს, ენაბლუობას, ქარებს სახსრებში... 26 წელიწა-დია ფსიქოთერაპევტად ვმუშაობ, ათასზე მეტი საჯარო გამოსვლა მაქვს ჩატარებული... ამ საქმე-ში მთავარია მახვილი თვალი, ინტუიცია, ურთიერკავშირის დამყარების უნარი...

* * *

მაგარი რყევები მიდის მთელს საბჭოთა კავშირში; მთელი ქვეყანა აღუღებულ ქვაბს დაემ-სგავსა.

ოჯახებში საუბრები უმეტესწილად პოლიტიკურ საკითხებს დასტრიალებს, მხოლოდ ტელე-ვიზორის ყურების დროს კი არა, სუფრაზე მოლხენისასაც...

– ლუკიანოვი და გორბაჩოვი ამუნათებენ თურმე ლიტვას: “გასვლა გინდათ? აი, წესები, დაე-მორჩილეთ!”.

– ლიტველები რაღას პასუხობენ?

– ეგ წესები თქვენთვის შეინახეთო, ჩვენ ადრე გავედითო, აბა!

– ხანდახან ერთი წამი წყვეტს ყველაფერს, ჩვენ კი კარგა ხნით ადრე გაგასწართო, ჰი-ჰი-ჰი!

– რუსები რაღას პასუხობენ?

– ისევე მუშტებზე იყურებიან...

– აქამდე იყო ნაზუქისა და მათრახის პოლიტიკა, ახლა მხოლოდ მათრახი შერჩათ...

– რა ბრძანა, ხომ იცი, მიხაილ სერგეევინმა: საპრეზიდენტო საბჭო შეიქმნა და აწი საქმეს მიხვდავთო, ოღონდ აჩქარება არ გვარგებსო, ნელ-ნელა, დინჯად ვიმოქმედოთო, “Что неalomatъ дров!” გაიგე შენ?

– რა კარგია! პრეზიდენტად დაჯდომა – ჩქარა, საქმის კეთება – ნელა!

– “მე საპრეზიდენტო საბჭო შევადგინე ერთი პრინციპით – აქ ყველანი თანამოაზრეები ვარ-თო”. არ გვეყო ამდენ ხანს ტაშის დამკვრელები და ერთსულოვნება? გვჭირდება კი ასეთი ადა-მიანები ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად?

– სწორედ ამგვარმა ტრადიციამ მიიყვანა უზარმაზარი ქვეყანა ჭაობში ჩაფლობამდე!

– მივწეროთ ჩვენი საერთო აზრი: საპრეზიდენტო საბჭოში შეყვანილ იქნას რაიკა! ცოლზე უკეთ ვინ მიხვდება მიხაილ სერგეევინის სურვილებს!

– სწორია: აქამდე რაიკამ კარგად გამოაგვლინა თავისი შესაძლებლობები, დანაშაულია მისი ასეთი დიდი პოტენციალის არასაკმარისად გამოყენება!

– ახლა, როცა “ქვეყანას უჭირს”, უნდა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა რესურსი, მათ შორის, ინტელექტუალურიც. რაიკა ნამდვილად ღირსია, დაამშვენოს საპრეზიდენტო საბჭო! მარ-თალია, აქამდეც დიდი ღვაწლი მიუძღვის, მაგრამ ახლა “შტატგარეშე მრჩეველიდან” უფრო აქტი-ურ პოზიციას დაიკავებს და ეს წაადგება ქვეყანას! განა დრო არ დადგა, რომ ერთი ქალი მაინც გახდეს სრულფუნქციონირ ოფიციალური წევრი საპრეზიდენტო გუნდისა?

– ეჰ, როცა სახელმწიფო მოღვაწე ანეკდოტების გმირი ხდება, მისი საქმე ვერ არის კარგად და დროა, დროზე დაიხუროს ქუდი და წავიდეს!

* * *

ოქტომბრის ერთ თბილ, მზიან დღეს, უფრო სწორედ – საღამოს, სტუმრები შეიკრიბნენ გამორჩეულ სუფრასთან ამ სტუმართმოყვარე ოჯახში – ფანო ბატონი სამოცდაათი წლისა გახდა!

ვინ იყო თამადა? რასაკვირველია, პანტიკო ბატონი! ის არ აურჩევიათ – წარმოუდგენელი იყო, ოჯახში ამ თარიღის აღსანიშნავი სუფრა გაშლილიყო და თამადად ვინმე სხვა დამდგარიყო! პანტიკო რამდენიმე თვით ადრე, ზაფხულში გახდა სამოცდაათი წლისა და მის ოჯახში გაშლილ სუფრაზე რომ ფანო იქნებოდა თამადა, ამაზეც ზედმეტია ლაპარაკი!

პანტიკომ პირველივე ჭიქით პირდაპირ იუბილარი აღღებრძელა:

– გაუმარჯოს ჩემს საყვარელ მეგობარს, სამოცდაათი წლის ჭაბუკს, ფანო ნარცეცხლაძეს! ჩემო ფანო, ჩვენი ძმობა თითქმის იმდენივე წელს ითვლის, რამდენისაც შენ დღეს გახდი და მეც და შენც გავგიჭირდება, დავთვალთ, რამდენჯერ ერთად ვმსხდარვართ ამ მაგიდასთან სუფრაზე და, რასაკვირველია, სხვაგანაც, რამდენჯერ ამიწვევია ჭიქა, მიღებულებიხარ, რამდენჯერ დამილოცია შენი ტკბილი ოჯახი... დღეს კი მაინც განსაკუთრებული დღეა – სამოცდაათისა მოიყარე! მე რამდენიმე თვით დაგასწარი და უნდა გითხრათ, მეგობრებო, რომ ეს დიდებული ასაკია! წინათ მიკვირდა ხოლმე, როცა მავანი მტყვოდა – “ამ ხნისა ვარ და ჯერაც ჯეგლად ვგრძნობ თავსო!” მართალი ყოფილა ბრძნული ნათქვამი – გული არ ბერდება! მე და შენ გავგიმარჯოს, ჩემო ფანო, რამ გაგყო ერთმანეთისგან – ერთი რომ მოკვდეს, მეორე მარტო ერთ კვირასაც ვერ გასძლებს! ასეა ეს! ჩვენს ურთიერთ ძმობას გაუმარჯოს, ურთიერთ სიყვარულს. სიყვარული გვახვედრებს ხოლმე ერთმანეთს ხშირ-ხშირად, ახლაც ამიტომ ვართ აქ ყველანი თავშეყრილნი... გვიყვარდეს ერთმანეთი, ჩვენი ოჯახები, გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა და ამ გრძნობით მიგვეღწიოს ორივეს ას ოც წლამდე და მაინც არ დაგბერებულყავით მაგრად! რაც კი კეთილი ოცნება და სურვილი გაქვს, აგსრულდებოდეს! ისარე და იდღებრძელე, ჩემო ფანო, შენს საყვარელ ცოლთან, გულნაზისთან, შვილებთან და შვილიშვილებთან, შენს მეგობრებთან, შენს კეთილის მსურველ ყოველ ადამიანთან ერთად!

შემდგომ პანტიკომ რიგრიგობით აღღებრძელა, ვინც კი წესისამებრ სადღებრძელელებელი იყო: პანტიკოს მეუღლე – გულნაზი, შვილები, შვილიშვილები, მშობლებიც მოიხსენია, წინაპრების სადღებრძელეც არ დავიწყებია, ქართველებისა და ჩვენი ქვეყნის, სიკეთისა და კაიკაცობის, შრომის მადლისა და გამრჯე მარჯვენის და სხვა... პანტიკომ მორიგი სადღებრძელე კი ასე წარმართა:

– აქ, ბატონებო, ამ გემრიელ სუფრაზე, ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ, ჰოდა, ტკბილ ჭუპჭუპსა და კეთილ ურთიერთობას რა ჯობს, მაგრამ, ყველანი დამეთანხმებით, თუ მშვიდობა არ იქნა, ჩვენ ხომ აქ არ ვისხდებოდით! ვერც ღვინოს დავწურავდით, ვერც მწვადებს ავაშიშხინებდით, ვერც ამ სუფრაზე შევიკრიბებოდით! მშვიდობას გაუმარჯოს! ქვეყანაში უნდა იყოს მშვიდობა, უპირველესად კი – ჩვენს სულებშიც მშვიდობა უნდა სუფევდეს, გული დამშვიდებული უნდა ჰქონდეს თითოეულ ადამიანს, თითოეულ ოჯახშიც სიამტკბილობა უნდა სუფევდეს... მშვიდობას დაველოცავ!

“მეტი დემოკრატია და საჯაროობა!” – ეს უკვე მოძველებული ლოზუნგი ინერციით თუ ირონიულად ისმის ამ სუფრაზეც! მიზეზი? ფანოს ერთ-ერთი სტუმრის თხოვნა:

– შადიმან, მეტი აღარ დალიო! კი მივასვენებთ სახლამდე, მაგრამ მეთე სართულზე რა აგათრევს – ლიფტი არ მუშაობს!

– მაგრად აბრაზუნებ, აი! ამ სუფრაზე საჯაროობა და დემოკრატიაა, რამდენსაც მინდა, იმდენს დავლევე! მაგის დარდი ნუ გაქვს: ცოლს დავუძახებ ქვევიდან, ბალიში გადმომიგდოს! ჩემს მანქანაში შევაგდებ და გემრიელად დავიძინებ, ცოლის ჯიჯღინსაც გადავურჩები!

– ძმებო, ჩვენი არნახული დემოკრატის ტალღა აგორდა, ყველანი თავისუფლები ვართ, რასაც გვინდა იმას ვაკეთებთ! ჩემი ბინის ზუსტად თავზე ერთი მედოლე ცხოვრობს, ახალგაზრდა, ჯანიანი ბიჭია, უცოლო. მოიყვანს ხოლმე ძმაკაცებს, გაახურებენ ქეიფს; ეს მედოლე შუადამემდე და ხშირად უფრო მის იქითაც გაუთავებლად უბრაზუნებს, უხათქუნებს ამ საბრალო დოლს – რა ერჩის ან მას, ან ჩვენს! ნამდვილი ვირტუოზია დაკერის, უნდა, ყველას ასიამოვნოს, თუმცა ასეთი დიდი დოზით... მაგრამ – დემოკრატიაა – ვერავინ აუკრძალავს! სად გადავსახლდე აღარ ვიცი!

– მაგაზე ადვილი რა არის: თხოვე კაშიროვსკის და მისთვის ეგ არაფერია – სულ დაავიწყებს დოლის დაკერას!

– სამაგიეროდ, სტვირზე დააწყებინებს სტვენას და გაგიხვრეტს ყურებს!

ჯადო ამბობს:

– ერთი მაგ კაშიროვსკის უნარი მომცა, ფულიან ხალხს ჰიპნოზით გაეთიშავდი და თავისი ხელით მომცემდნენ ყველაფერს! თან მადლობასაც ვათქმევინებდი!

საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგად შედგა “მრგვალი მაგიდის” მთავრობა, რომელმაც, საყოველთაო რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ამ უდიდესი მოვლენის აღსანიშნავად მრავალ ოჯახში გაიშალა საზეიმო სუფრა, მათ შორის – სტეფანე ნარცეცხლაძის ოჯახშიც.

* * *

დიდი იწილო-ბიწილოს შემდეგ, ბევრი სისხლისა და ცრემლის ფასად, ქვეყნის პრეზიდენტი გახდა გიგუშა გაგარდნაძე – ერთ ნაწილს ვაი-პოლიტიკოსებისა მიაჩნდა, რომ ამ არეულ-დარეულ ქვეყანას მხოლოდ ეს გამოცდილი, “მსოფლიო დონის გამოჩენილი პოლიტიკოსი” თუ დააღებოსო...

ქვეყანაში გამეფდა უკიდურესი გაჭირვება; მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის უმთავრესი საკითხი გახდა: როგორ გადავირჩინოთ თავი შიმშილისა და სიცივისგან?

ნარცეცხლაძეთა ოჯახმა ყველაფერი გაყიდა, რის გასაღებაც კი შეიძლებოდა და, ბოლოს, ჩემი ჯერიც დადგა – მეც გასაყიდად გამამზადეს, მაგრამ აღარავის ვუნდივარ! სრული ქაოსი და განუკითხაობაა, ყაჩაღობა და კაცის კვლა ჩვეულებრივი ამბავია, მაგიდისთვის ვის სცხელა!

ჩვეულებრივი ამბავია, აგრეთვე, ამგვარი საუბრები (აღბათ სხვა მაგიდებთანაც):

– გაიყიდა ყველაფერი, გაიძარცვა საქართველო, აწი რა გვეშველება, რაღა ვქნათ?

– პრეზიდენტის დაპირებები გავედოთ, კაცო, გაივსო ამ დაპირებებით ყველაფერი, აღარ ვიცით, სად წავიდეთ, ულვევი გვაქვს, მუდმივი შემოსავალი გვექნება!.. მხოლოდ დაპირებული მილიონი სამუშაო ადგილი თითო ერთ დოლარად რომ გავასაღოთ, ერთი მილიონი ხომ გვექნება, ხუმრობაა?

– დიდი მადლობა ჩვენს მამასა და მარჩენალს: მეათე სართულზე ფეხით ჩამოსვლა-ასვლამ გვარიანად გაგვავარჯიშა; მუდმივი დიეტის შედეგად ყველანი ტანწირწეტები გავხდით, აღარც დახრა გვიჭირს; უღებობის გამო აღრიანად მივაშურებთ ხოლმე ლოგინებს და ამით ექიმთა საყოველთაოდ ცნობილ რჩევას კეთილსინდისიერად ვასრულებთ; ასევე, სიცივემ ჩვენს ბინებში ისე გაგვაკაჟა, დილ-დილაობით შიშველ ტანზე ცივი წყლის გადავლება სრულებით ზედმეტია... თუმცა, ხშირად აღარც წყალი გვაქვს!

– აბა, თუ გამოიცნობთ, ჩვენს პრეზიდენტს რამდენი თავი აბია?

– რა ვიცი... თავისთვის თუ სხვებისთვის?

– ათასჯერ მოიჭრა თავი და მაინც მშვენივრად გრძნობს თავს!

– ახალი ამბავი თუ გაიგე?

– რომელი, დღეში მილიონი ახალი ამბავი ხდება.

– თეთრ მელას ბეიკერი ჩამოჰყავს!

– ჩემთვის სულერთია, თეთრი მელა ჩამოიყვანს თუ მურა დათვი, მთავარია, ფული იყოს!

– ჰოდა, იტყვის თეთრი მელა: “აი, მე ჩამოვიყვანე თუ არაო”; მერე დაივლის სხვა რესპუბლიკებსაც ბეიკერი, თითო-ოროლა მილიონ დოლარს გადაუგდებს, ჩვენ კი, თეთრი მელას ხათრით, – მილიარდს, მაშინაც იტყვი, გიგუშა გაგარდნაძემ რა გაგვიკეთა ქართველებსო?

– გაგიჟდები, აბა, რა იქნება, – გამოდის, რომ ერთ კაცს მეტი შესძლებია, ვიდრე მთელ ხალხს!

– ასეა, ჭირიმე, რეჟისურა არის ჩაწყობილი უმაღლეს დონეზე, მიმიქარავს რობერტ სტურუა და ელდარ შენგელაია! დასცხეთ ერთმანეთს, ჟუჟეთო და მერე მესიად მოგვევლინა, მე შეგარიგებთ ყველას, უჩემოდ საქართველო დაიღუპებაო...

– მერე, შე კაცო, თუ ბატონი გიგუშა გაგარდნაძე მასეთი მაგარი და ნიჭიერი იყო, აერჩია რეჟისორობა პროფესიად, გადაეღო ერთი ათამდე გენიოსური ფილმი და ხელოვნების ისტორიაში შევიდოდა! რაღა პოლიტიკურ ისტორიაში შესვლა ამჯობინა ტალახინი და სისხლიანი ხელებით!

– უდიდესი ხელოვანია, რად გინდა ლაპარაკი, ოღონდ ეს არის საკითხავი: რისი? ძალაუფლების წვეროკინაზე ნებისმიერი ხერხით აბობლებისა და მისი შეანარჩუნებისა!

– ყველამ იცით, რა უბედური უმუშევრობაა – უმრავლესობა წარმოება-დაწესებულებებისა საერთოდ აღარ მუშაობს, დარჩენილებშიც მომუშავეთა დიდი შემცირება მიდის... ამას წინათ ერთი ანეკდოტი მიაშბეს, უფრო სატირალია, ვიდრე სასაცილო: ერთი კაცი დანიშნეს დაწესებულების დირექტორად. დაიბარა კადრების განყოფილების უფროსი და ეუბნება: “პერსონალის შემცირების ბრძანება მოგვივიდა, ათი კაცი უნდა გაეუშვათ სამსახურიდან. აიღე ათი ჩვენი თანამშრომლის პირადი საქმეები, რაც კი პირველად ხელში მოგხვდება და მომიტანე”. რას იზამდა, მიუტანა. დირექტორმა ბრძანება დაწერა ამ ათი კაცის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. ჰკითხეს: “რატომ მაინცდამაინც ეს ათი კაცი?”. პასუხი: “არ მიყვარს უიღბლო ხალხი!”.

– იღბალს კიდევ გამოყენება უნდა! – ამბობს შალვა ტარიჭაშვილი. – ოდესას რომ ვტოვებდით, მე დამავალეს ბანკის ევაკუაცია. ფული ტომრებით გამოჰქონდათ ბანკის შენობიდან, ოქრო-

უღობა-ძვირფასეულობაც, მერე გემზე გადაგვქონდა. ფულს წიხლებით ტენიდნენ, როცა აღარ ეტეოდა. ჭკუა სად მქონდა, ერთი ტომარა რომ წამომეღო, კაციშვილი არ მოიკითხავდა და ახლა კაცი ვიქნებოდი, ჩემს ხუთ შვილს ორ მოცუტქნულ ოთახში კი არ გავზრდიდი...

ფანო სიცილით ამბობს:

– მეც უიღბლო ვარ, არ გამიმართლა, თავის დროზე ინგლისში არ წამიყვანეს!.. ახლა ბარონეტი ვიქნებოდი!.. ხუმრობით ვამბობ, რასაკვირველია, ჰოდა, ცხონებული დედაჩემი იცით, რატომ არ წამიყვანა მამაჩემმა ინგლისში? ახლავე გეტყვით. ამას წინათ სტეფანე, ჩემი შვილიშვილი, მე უბნება: “ცოლი მინდა, მოვიყვანო, შენ რას მირჩევ, ვითხოვო?”. “ჰო, რას ამბობ, ცოლი კარგია! – ვეუბნები, – მიხვალ შინ, გაჭმევს, გასმევს, მოგეფერება... მერე – ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ლაპარაკობს... ლაპარაკობს, ლაპარაკობს... არა, არ გირჩევ!”, ჰა-ჰა-ჰა!.. ლაპარაკს ვინ ჩივის, დედაჩემის დაუკითხავად თავი ვერ გაფაჩნდებოდა, ჩვენს ყოველ ფეხის ნაბიჯს ერთპიროვნულად წყვეტდა...

– კაცები კი ნაკლები მოლაყბენი ხართ? – ეწყინა სტეფანეს მეუღლეს, გულნაზის.

– მართალი ხარ, ჩემო გულნაზ, – დაეთანხმა სტეფანე. – მე რომ სამსახურში შემამცირეს, წამიყვანა ჩემმა ძმაცაა შალიკომ ერთ საქმეზე – ჩემს სამსახურში მოგაწყობო, დამპირდა. ვის რად უნდა საპენსიოდ გამზადებული კაცი, ჯან-ღონით საესე ახალგაზრდებს, ჩვენზე უფრო განათლებულებს, სამუშაო ვერ უპოვიათ, საზღვარგარეთ გარბიან, მაგრამ მაინც გავყვევი. მივედით მის ტრესტში, ჰოდა, დერეფანში ერთმა გააჩერა შალიკო, ნახევარ საათს ელაპარაკა... მერე მეორე თვითონ შალიკომ გააჩერა, იმასაც ექაქანა... ვდგავარ კედელთან ატუზული, ვუცდი, აბა, რა ვქნა. როგორც იქნა წავიდით... “ერთი წამით, რაღაც საქმე მაქვსო”, შალიკო მეუბნება და შევიდა რომელიღაც ოთახში, მერე, იქიდან რომ გამოვიდა, ახლა – მეორე ოთახში შეძვრა... ისევ ვდგავარ, ვუცდი ეს დროული კაცი, სხვა რა გზა მაქვს. გამოვიდა და დერეფანში ისევ ვიდაც ნაცნობი შეხვდა, იმასთან გააბა საუბარი... ვერაფრით მივალწიეთ იმ კაცამდე, ვისთანაც მივდიოდით. მოვბრუნდი და წამოვედი, შალიკოს არც გამოვემშობებ; ჩემი წამოსვლა არც გაუგია, ისე იყო გართული ქაქანით...

სადღეგრძელოები ლამის დაავიწყდათ – სიდუხჭირის გამო, რა ხანია, ერთად არ შეკრებილან ფანოს მეზობელ-მეგობრები და ახლა სულ იმაზე ლაპარაკობენ, რა ეშველება გაჭირვებულ ხალხს, როდის გაიმართება წელში დანგრეული და დაჩანჩანაკებული ქვეყანა...

ფანომ წარსული წლები გაიხსენა:

– ამ ძველ დროებს სულ ვაგინებთ და ალბათ საგინებელიცაა... თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ კი, ციხეში ვისხედით ყველანი, ხმას ვერაგინ ამოიღებდა, რომ საკუთარი აზრი გამოეთქვა, მაგრამ შიმშილით მაინც არაგინ კვდებოდა, შიგადაშიგ პატარა სუფრაც იშლებოდა... მართალია, ზოგიერთები ისე იყვნენ გაბღენძილები, როცა მეტის ჭამა აღარ შეეძლოთ, შემწვარ გოჭებს ჰყრიდნენ ნაგავში, გაჭირვებული მეზობლებისთვის მაინც ეწილადებინათ... ერთი ამბავი მახსენდება, საკმაოდ სასაცილო... მაშინ სახელგანთქმული გეოლოგი, აკადემიკოსი გილგამეშა ძიძიკაური იყო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. ჰოდა, მოზებრდა კაცს სულ კაბინეტში და გაუთავებელ სხდომებზე ჯდომა და წავიდა თურმე ორ ძველ მეგობარ გეოლოგთან ერთად აჭარაში რომელიღაც საბადოს სანახავად; ერთ-ერთი მათგანი იყო ჩემი ძმაცა, მიხა კანდელაშვილი, იმან მომიყვა მთელი ეს ამბავი. რასაკვირველია, გზადაგზა მრავალი გეოლოგიურად საინტერესო ადგილიც უნდა მოენახულებინათ და გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის თავიანთი აზრები და შთაბეჭდილებები. პირველად მივიდნენ თურმე ბორჯომში დათიკო ამაყაშვილთან გეოლოგიურ პარტიაში; დათიკო ცნობილი იყო თავისი უსაზღვრო სტუმართმოყვარეობით და ხელგაშლილობით. გილგამეშა შეეხვეწა – ნუ შეატყობინებ რაიკომს ჩემს ჩამოსვლასო. კეთილი და პატიოსანი, იმ საღამოს მოაღწინეს სტუმრები და მოასვენეს. მეორე დღეს დათიკომ რამდენჯერმე სთხოვა გილგამეშას: “მოდ, რაიკომის მდივანს დაგურეკავო, თქვენ წახვალთ და მე კი მაგის ხელში ვარ და ამას როგორ მაპატიებს, რომ დაგუმალო თქვენი აქ ყოფნაო”. ბოლოს, როგორც იქნა, გილგამეშა დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ამბავი შეეტყობინებინათ მათი წასვლის დროს. ასეც მოიქცნენ... “გილგამეშა ძიძიკაური აქ არისო!” – და ამ ცნობაზე მოვარდნენ რაიკომის მდივანი, რაიკომის თავმჯდომარე, მილიციის უფროსი... დიდი საყვედური უთხრეს დათიკოს და მიიპატივეს ძვირფასი სტუმარი საჩქაროდ გაწყობილ სუფრაზე. გილგამეშამ შორს დაიჭირა, არ გეცალია, შორი გზა გვიდევს წინო, მაგრამ ისე შეუჩნდა რაიონის ხელმძღვანელობა, რომ იძულებული გახდა, დათანხმებულიყო. სუფრა იყო, მაგრამ რა სუფრა! ზღაპრული! შემწვარ-მოსრაკული, მოხარშული, შეკმაზული თუ სხვა და სხვა, თან ემატება და ემატება... მარტო თევზი იყო თურმე ხუთნაირი, საიდან გააჩინეს ასე უცებ... რამდენიმე საათის შემდეგ სტუმრებმა განაგრძეს გზა. აწყურში, ახალციხის რაიონის საზღვარზე, უკვე დიდი დელეგაცია შეეგება საპატიო სტუმრებს – რაიონის ნაღები; ჩამწკრივებულია ჯარის საპატიო ყარაული... როცა მანქანებიდან გადმოვიდნენ, ყარაულის უფროსი გამოეჭიმა მიხა კანდელაშვილს და, რა თქმა უნდა, რუსულად უპატაკა: “ამხანაგო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე...”, მიხამ თურმე უხმოდ, ცურა თითით ანიშნა – შეცდი, ძმობილო, ძიძიკაური აი, ის არისო... ოფიცერი შეცბა და ახლა გილგამეშას გამოეჭიმა. შემდეგ, რასაკვირველია, – სუფრა გრძელი, ხორაგით დამძიმებული და აყვავებული – არ აკლდა შვლის მწვადი, ცოცხალი და სხვა და სხვა... როგორც იქნა, დაიხსენეს

აქედან თავი და ახლა ადიგენის რაიონში წააწყდნენ ჩასაფრებულებს, აქაც – სუფრა და ლხინი... როცა გოდერძის უღელტეხილზე ავიდნენ, იქიდან კისრისტეხით დაეშვა ხულოსკენ მსუბუქი მანქანა, რაც ნიშნავდა, რომ ტელეფონით შეტყობინების ძეწკვი გამართულად მუშაობდა და უღელტეხილზე დადარაჯებული მორიგე მანქანა ახლა ცდილობდა, რაც შეიძლება ადრე შეეტყობინებინა რაიონის ხელმძღვანელობისთვის: “გამოჩნდნენ, გამოჩნდნენ!”. რაღა ექვიფებოდათ, მაგრამ აქაც იძულებულნი გახდნენ, სუფრის ტყვეები გამხდარიყვნენ. მაგრამ ყველაზე დიდი განსაცდელი სტუმრებს შემდეგ რაიონში, ქედაში ელოდათ – აქ მათ შეეგებათ საოლქო კომიტეტის მდივანი, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, აქაც – საპატიო ყარაული პატაკით, ორკესტრით და ერთი ამბით... მოკლედ, საწყალი სტუმრები ისევ სუფრას მიუჯინეს, ჰოდა, როგორი დახუნძილი იქნებოდა ეს სუფრა, ძნელი წარმოსადგენი არ არის... აქ უკვე არაქათამოცლილმა გილგამეშამ შეჰდადა მასპინძლებს: “თქვენი ჭირიმე, არაფერი თქვენი არ მინდა, ოღონდ ერთი ჭიქა ჩაი დამალეინეთ!”...

* * *

უკიდურესი გაჭირვებაა სოფელშიც. კოლმეურნეობა დაიშალა, მწირი შემოსავალიც კი გაქრა. ქალი თუ კაცი, ბებერი თუ ახალგაზრდა მოაწყდნენ ქალაქს, დაწოწილობენ ბაზრებში – მატარებლით ჩამოაქვთ ხილი, პომიდორი, კიტრი, ლობიო, ხახვი, სიმინდი, მზესუმზირა... უკან ბრუნდებიან გამომცხვარი პურით გაძევილი ტომრებით. ავტობუსები თითო-ორიოდა თუ დადის, გადატვირთულია მატარებლები, ერთმანეთს თავებზე ასხედან...

სამ წალიკაშვილის შვილიშვილი, ისიც სამში, ოღონდ გვარად ბუზანკალაშვილი, სოფლიდან ჩამოვიდა ქალაქს და დროებით ციხეკებილაძეებთან დაბინავდა; წალიკანთკარში ბინის გაყიდვა უნდოდა – ჩალის ფასადაც არავინ ინდომა...

* * *

“ფინანსური პირამიდის” ეპოქა: თითქოს ჯადოსნური კვერთხის დაქვეით, სოკოებივით მომრავლდა ბანკები – უცებ რამდენიმე ათეული! – რომლებიც გაჭირვებულ მოსახლეობას ანაბრების განთავსების არნახულად მომგებიან პირობებს სთავაზობენ.

ფანო ნარცეცხლაძე მაგიდას უზის და, თუმცა საამისო თანხა არ გააჩნია, სათვალე გაიკეთა, გულნაზი გვერდით მოისვა და დიდის გულმოდგინებით ჩამოწერა ახალგამოჩენილი ბანკების დასახელება და ვინ რა მოგებას ჰპირდება მენაბრეს:

“ქამელეონი”: სამ თვეში – 24%!

“ვიქტორია”: თვეში – 22%, სამ თვეში – 80%!

“გრანდი”: თვეში – 18%, წლიური – 360%!

“არგო”: 1 თვით – 22%, 3 თვით – 75%!

“ოქროს თევზი”: 1 თვით – 22%, 3 თვით – 24%, 6 თვით – 30%!

“ანდამატი”: 1 თვით – 20%, 3 თვით – 70%“!

“ბუმერანგი”: 1 თვით – 22%, 3 თვით – 25%, 6 თვით – 30%!

“სანდო”: 1 თვით – 20%, 3 თვით – 70%!

“მონარქი”: 1 თვით 22%, 3 თვით – 90%!!! მართლა მეფური ხელგაშლილობაა!

“ოქროს თასი”: 1 თვით – 22%, 3 თვით – 24%, 6 თვის ბოლოს – 90%!!!

აჰ, კიდევ რამდენი ბანკია, ბანკირების ქვეყანა გავხდით, აწი რაღა გვიჭირს!

ფანოს საბუღალტრო ვარჯიშობები, გულნაზის გარდა, ოჯახის სხვა წევრთა ყურადღებასაც იპყრობს და მაგიდის გარშემო მსხდომნი ბჭობენ, არჩევენ, კამათობენ, რომელ ბანკში ჯობს ფულის შეტანა...

დაობენ: ქვეყანაში პოლიტიკური პარტიები მეტია თუ ბანკები?

დასკვნა: არც ერთი უქნია დმერთს, ყველანი ჭირსაც წაულია!

მაგრამ, დიდი ჭოჭმანის შემდეგ, ფანომ სასწრაფოდ გაყიდა ავტომანქანა და მთელი აღებული თანხა – 600 დოლარი – მაინც შეიტანეს ერთ-ერთ ბანკში...

სხვებიც სასწრაფოდ ჰყიდიან აგარაკებს, ავტომანქანებს, ბინებსაც კი და ფული ახალგამომცხვარ ბანკებში შეაქვთ; ზოგიერთები თადარიგს იჭერენ და თანხას რამდენიმე ნაწილად ჰყოფენ, სხვადასხვა ბანკში შეაქვთ – ცნობილია, ყველა კვერცხი ერთ კალათაში არ უნდა ჩაალაგო.

და ფაფუ-უ! სწრაფად და უშრომლად გამდიდრების მსურველნი სწრაფადვე – ერთ თვეზე ნაკლებ დროში! – გამოემშვიდობნენ წილობით ნაგროვებ დანაზოგებს – კარგად გათვლილი აფერისტული ფინანსური პირამიდის ჩამოშლის მსხვერპლნი გახდნენ! უკლებლივ ყველანი! რა თქმა უნდა სტეფანე ნარცეცხლაძეც...

როცა მიხვდნენ, რომ სულ მთლად მშრალზე დარჩნენ, შიოს ცოლმა, მაკამ, სასწრაფოდ გააშანშალა განცხადება ანუ თხოვნა:

“საქართველოს საინვესტიციო კორპორაცია “სოცკოს” გამგეობის თავმჯდომარეს, ღრმად პატივცემულ გიგოლიკო გლეჯიაშვილს
 ამავე კორპორაციის მენაბრის
 მაკა ნარცეცხლაძის,
 მცხ. თბილისი, ვარკეთილი-13,
 XIII მიკრორაიონი, კორპ. 13, ბინა 13

განცხადება

მყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი – სკოლის მოწაფეები, ახლა სჭირდებათ მათ ნორმალური კვება და სწორ გზაზე დაყენება. მეუღლე მუშაობს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დოცენტად და შეთავსებით – სამეცნიერო-კვლევით ინტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად, მე – ფიზიკის ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად. არსებობის არავითარი საშუალება არ გაგვანია. გაფყიდეთ ატომანქანა ზუსტად 600 დოლარად და კაპიკობით შემოვიტანეთ თქვენთან “სოცკოში”, იმ იმედით, რომ ერთი თვეც გავძლებდით და პროცენტების წყალობით შიმშილით არ დავიხოცებოდით. აქამდე ვუძლებთ, მაგრამ ვაი ამ გაძლებას – გოგონებს უკვე ფილტვები უსუსტდებათ. ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება დააჩქაროთ ჩვენი თანხის დაბრუნება, ცოცხლებს გვიშველეთ, სანამ დავიხოცებთ; იმ ქვეყნიდან მოსული ჯერ, მე მგონი, არავის უნახავს და ახალგაზრდებს მაინც ნულარ გაეწირავთ.

წინასწარ გიხდით მადლობას,
 მაკა ნარცეცხლაძე,
 1994 წლის 28 თებერვალი”.

როდესაც მაკამ მიიტანა განცხადება კორპორაციაში, შენობის კარი დაკეტილი დახვდა; გაიკითხე-გამოიკითხე იქვე შეგროვილ ხალხში – ყველა ფულის დასაბრუნებლად მოსულა და კაციშვილმა ვერ დაადგინა, ასე უცებ სად გაუჩინარდნენ კორპორაციის თანამშრომლები? საოცრება!

* * *

ამ ბოლო დროს უფრო გაცხარებული ლაპარაკი და, არცთუ იშვიათად, ლამის ლანძღვა-გინებაც ისმის: არჩევნების დღე მოახლოვდა! დიდიდან სადამომდე დეპუტატობის კანდიდატთა ლაქლაქისგან ყველას გული გვაქვს შეწუხებული! ორმოცდაათზე მეტი პარტიისა და პარტიათა ბლოკის პირაქაფებული წარმომადგენელი დაპირებების ფერადოვან ფოიერვერკს აფრქვევენ დაფრენილი პირებიდან – არ მეგონა, თუ ამდენი თავგადაკლული, უბრალო ხალხზე მზრუნველი და მოამაგე გვყავდა! ვაშა თქვენ და დიდება! რამდენი ღიმილით განათებული სახეა, როგორ საქმის ცოდნითა და თავდადებით გვიხსნიან, რომ მხოლოდ და მხოლოდ მათი პარტია ან ბლოკი შეძლებს ქვეყნის ყოველმხრივი უმძიმესი კრიზისიდან გამოყვანას, ხალხის კეთილდღეობის ამადლებას და არამც და არამც, მათი თადლითი და მატყუარა კონკურენტებისგან განსხვავებით, არ ამოდრავებთ მხოლოდ საკუთარი კერძო ინტერესებისთვის ზრუნვა...

ჰო-ჰო, საარჩევნო დოღში ჩაბმულთა რა მრავალფეროვნებაა, მგონი, ამდენი სახეობის ცხოველი ზოოპარკშიც არ მოიძებნება!

“ქალთა და ბავშვთა დაცვის საყოველთაო კავშირი”!

“თავისუფლების, მშვიდობისა და კეთილდღეობის პარტია”!

“ქვეყნის განახლებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის მებრძოლი პარტია”!

“ეკონომიკური აღორძინებისა და რეფორმების პარტია”!

“ეროვნული თანხმობისა და ძმური ურთიერთგაგების ლიგა”!

ბლოკი “სიცოცხლე და გამარჯვება”!

ბლოკი “თანადგომა და ეროვნული ერთიანობა”!

ბლოკი “დემოკრატია და პროგრესი”!

ბლოკი “დემოკრატია – ახალი ჰორიზონტები”!

“სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის კავშირი”!

დავიდალე ამდენი ჩამოთვლით და აღარ გაგაგრძელებ.

არჩევნებიც ახლებურად ტარდება, ახალი სულისკვეთებით, ახალი მყვირალა ღოზუნგებით, ახალი უზომო დაპირებებითა და ახალი მოქმედი გმირებით...

– გაიგე, სულ ტრესტების მმართველები და საწარმოთა დირექტორები იყრიან კენჭს დეპუტატის სავარძელზე, მათ შორის – ღლაგაძეც!

– ღლაგაძეს მაგისტრის სად სცალია, ფულს ითვლის! მეგლიკა არ დაასახელებს თავის კანდიდატურას?

– ბევრი ოჯახია, ორი დეპუტატობის კანდიდატიც არის დასახელებული: მამა და შვილი, ძმები, ცოლ-ქმარი...

- ეგ რა არის: რამდენიმე ოჯახიდან მისი სამი წევრია წამოყენებული!
- ეტყობა, ოჯახში მეტი აღარაფერია ჰყავდათ!
- და თითქმის ყოველი დეპუტატობის კანდიდატის მთავარი კოზირი წინასაარჩევნო კამპანიაში უახლესი წასულის ლანძღვა და გინებაა!
- ყველაზე მაგარი მაგინებელი კომუნისტური წყობისა ახლა ყოფილი მამალი კომუნისტები გახდნენ, დაახლოებით 60 წელს მიღწეულნი – უეცრად “აეხილათ თვალი”! სუნთქვის შეუცვლელად არია ერთ ოპერიდან მსწრაფლ შეცვალეს მეორე ოპერაზე... გადაბარგდნენ სხვა პოზიციაზე, გაიტრუნენ – ქამელეონები არიან!
- ამათ ფული ალბათ მხოლოდ ბანკ “ქამელეონში” შეაქვთ!
- კარგ ჩიტსაც დაიჭერენ!

* * *

შიო ჰყვება:

- ჩემმა მეგობარმა, ტელეოპერატორმა გიგილო რთველაძემ მიაბო: ჯუანშერ შერეკილაძემ, - ძველმა ქურდმა, რამდენიმე ათეული წელი რომ ციხეებში ჰქონდა გატარებული, ამჟამად კი ერთ-ერთ გაფლენიან ნახევრად კრიმინალურ პოლიტიკურ დაჯგუფებას ხელმძღვანელობს, მთავრობაშიც დიდი წონა აქვს და პარლამენტის წევრიც არის, - მიიწვია პარლამენტში გიგილო მისთვის ინტერვიუს ჩამოსართმევად. შესვენებისას ჯუანშერ გიგილო დაჰპატიჟა ბუფეტში სოსისებზე და ლუღზე (შიმშილია ქვეყანაში!). მებუფეტეს უთხრა თურმე: “არ გაბედო, პარლამენტარებს სოსისი ამერიკულ დოლარებზე ან რუსულ რუბლზე მისცე, მხოლოდ კუპონებზე! მე პირადად შევამოწმებ და ვაი შენი ბრალი, თუ ჩემს სიტყვას გადახვალ!”, გიგილოს კი ეუბნება: “ეს სოსისი ჩემი შემოტანილია. დედას ვუტირებ ამ პარლამენტარებს, შიმშილით დაგნოცავ – არცერთს ჯიბეში კუპონი არ უდევს, ყველას დოლარები აქვს”. შემდეგ ქალაქში გიგილოს რამდენიმე კაცმა უთხრა, ჯუანშერ შერეკილაძემ პარლამენტარებს ასეთი ოინი მოუწყოო. საწყალ გიგილოს გული კინაღამ შეუღონდა, ჯუანშერ არ იფიქროს, რომ მისი ნათქვამი მე გავიტანე პარლამენტის შენობიდანო; არ იცოდა, რა ექნა, სულ ელოდა, ახლა კი ყოფას მიტირებენ, სასწაული თუ გადამარჩენსო. მალე გაირკვა, რომ ჯუანშერს ეს ამბავი პარლამენტის ტრიბუნიდანაც უთქვამს და გიგილოს გულს მოეშვა, დაწყნარდა...

* * *

ნანუხა უნდა დააქორწილონ, - პანტიკოს ქალიშვილი, დალილა, მალე ნარცეცხლაძეების რძალი გახდება. და გადაწყვიტეს ერთი ოთახის უბრალოდ მაინც შეკეთება - ძველი, გაუბედურებული შპალერის მოხსნა, ალაგ გაჯით შედღესვა, ჭერის შეეთეთრება, ახალი შპალერის გაკერვა... პანტიკოს და დალაღმანო იხვეწებოდნენ: ჩვენთან იცხოვრეთ, შვილებო, აქ მარტოდ ნუ დაგვყრით, თანაც მანდ ისედაც ვიწროთ ხართო, მაგრამ ნანუხამ არაფრით ქნა: ”ზედსიძედ ვერ შევალ, თუნდაც ჩემი საყვარელი პანტიკოს ბიძიას სახელშიო”...

ფანო მივიდა “ელიავას ბაზრობაზე”, სადაც ხელოსნების “ბირჟა” და წამოიყვანა ერთი ხელოსანი, რომელიც ყველაზე იაფად შეჰპირდა ყველაფრის გაკეთებას და შესახედავადაც რატომღაც სხვებზე მეტად მოეწონა - ინტელიგენტური შეხედულება ჰქონდა: მრავალთაგან განსხვავებით, წვერგაპარსულიც იყო, ჰალსტუხიც კი ეკეთა და სიწყნარითაც გამოირჩეოდა - სხვებივით გიჟივით არ მივარდა ხელოსნის დასაქირავებლად მისულს...

ამ კაცმა დაინტერესა, ვინ არისო, დაელაპარაკა; თურმე, საწყალი, კარგა ხნის უმუშევარია, კარგი სპეციალისტი კი არის - ფიზიკოსია, მეცნიერებათა კანდიდატი! მაგრამ, როგორც შემდგომ გამოირკვა, მშენებლობაში თუ ბინის შეკეთებაში ინჰიბინჩი არ გაეგებოდა... არც ხელსაწყო-იარაღი ჰქონდა, მაგით მაინც ვერ მიხვდა ფანო, ვისთან ჰქონდა საქმე?

შინ რომ მოიყვანა, გულნაზი ფანოს ეუბნება:

- ეგ ჩვენთან მუშაობდა, შორიდან ვიცნობ კიდევ; კარგი სპეციალისტია და კარგი ადამიანიც... ცოლოა, ნუ გააგღებ...

“ხელოსანსაც” შერცხვა, იმანაც იცნო ქალი...

ერთი კვირა ყოველდღე დადის ეს ვაი-ხელოსანი, მორიდებულად ჭამს, სვამს, ცოტ-ცოტა ვითომ წაიშუშავებს... ფანომ, როგორც მოგახსენეთ, მაშინვე შეატყო, რა ჩიტიც იყო; თვითონ მასზე მეტი იცის და რაღაც-რაღაცეებს ასწავლის, მითითებებს აძლევს, რამდენიმე ამ საქმისთვის საჭირო წიგნიც კი მიუტანა, მეზობელ-ნაცნობებისგან რჩევა-დარიგებებს იღებს; ხშირად თვითონაც ხელსაც წაახმარს ხოლმე - რა ჰქნას, ეცოდება, როცა მის ჭაპანწყვეტას უყურებს...

ორივემ, როგორც იქნა, გაჭირვებით მოაცოდვილეს ახალდაქორწინებულთათვის განკუთვნილი იმ ერთი ოთახის შეკეთება, უკვე ერთგვარად გამოცდილებაც შეიძინეს. ფანო ეუბნება ვაი-ხელოსანს:

- მე კი არ უნდა გაძღვედე ფულს, შენ უნდა გადამიხადო - სპეციალისტი გაგხადე, გაგწერთენი!

პასუხად ის ეუბნება:

– როგორც ვატყობ, შენც უმუშევარი ყოფილხარ, არც შენ ხარ დალხინებული; შენც ხომ გაიწვრთენი, ჰოდა, ორივემ შევექმნათ “ბრიგადა” და ერთად ავიღოთ შეკვეთები, რაღაც ხომ ვიცით უკვე!..

* * *

დიახ, მაღე უმცროსი ბიჭი, ნანუნა, დაქორწილდა – 18 წლისა! ცოლად მასაგით ცხვირმოუხოცველი გოგო მოიყვანა – პანტიკოსა და დალაღმანოს ქალიშვილი, დალილა. ფანო ამაზეც აპირებდა ერთი ვაიუშველებელის ატეხვას, მაგრამ გულნაზიმ დაამუნათა:

– კაცო, რა ყველაფერზე ფინთიხივით აფეთქდები, დაბერდი და ვეღარ მოიცილე ვე სიფიცხე? არ გეყო, რაც ერთხელ უკვე ქალიშვილის გათხოვების გამო ნერვები მოიშალე და სხვებსაც აუწეწე? რაც მოხდა – მოხდა, ჭკვიანი კაცი შეეგუება... მით უმეტეს, შენი ძმაკაცის ქალიშვილია, კარგად იცნობ, შეიძლება ითქვას, შენს ხელში გაიზარდა...

მერე სადღერდელი აეშალათ და დიდი ქორწილიც გადაიხადეს!

რატომღაც სტუმრების უმრავლესობა ოჯახის უფროსის ყოფილი სამსახურის მამაკაცი თანამშრომლები აღმოჩნდნენ და არა ახალგაზრდები. გაიფურჩქნა “უცხოთათვის” გულის გამაწვრივლებელი პროფესიული საუბარი სამსახურის ამბების შესახებ, თითქოს გაშლილ სუფრასთან კი არ იხდნენ, ფრიად საინტერესო გეოლოგიური ანგარიშის დაცვას ესწრებოდნენ.

გახსენეს “გურული შუშუნა”, რომელიც ფანოსავით ფიცხი ნირისა აღმოჩნდა: იფეთქა, იჭექა, იხუვლა, იქაფა, კინაღამ ჭადი იმსხვერპლა და შესანიშნავად მოხატა ოთახის ჭერი და კედლები, ასევე, შეამკო საპატიო სტუმრის – დაწესებულების დირექტორის, ტრიფონ ტარიელოვიჩის – ძვირფასი კოსტიუმიც...

დირექტორიც ფხუკიანი აღმოჩნდა, განაწყენდა – თავი ვერ შეიკავა და იყვირა, ძალათ მომიწევთ ეს ოინიო, გაგულისებული წამოხტა და წავიდა.

მისი სადღერდელო დალიეს ირონიულად, თან ფანო მოყვა მის შესახებ:

– თამადად რომ არ დაენიშნეთ, ხომ არ ეწყინა? გაერთიანების გენერალური დირექტორია და მიკვირს, ხომ იცი, როგორ გვიკადრა და ამ სუფრაზე ჩვენს გვერდით აღმოჩნდა! ტრიფონიკა სულ სხვა გაფრენის ჩიტია და სხვა დონის სუფრას არის მიჩვეული... ამას წინათ ველოდით მის მოსკოვიდან ჩამოსვლას, ამის გამო, გახსოვთ, ანგარიშის დაცვის თარიღი რამდენჯერმე გადაიდო – დაუბარებია, უსიკვდილოდ უნდა დაეგწრო, უჩემოთ სხდომას ნუ ჩაატარებთო. მისი ჩამოსვლის ღოდინში გავიდა ერთი კვირა, ათი დღე, ორი კვირა... როგორც იქნა, ბატონი გენერალური დირექტორი ჩამობრძანდა, დაინიშნა ანგარიშის დაცვის დღეც. ბატონმა გენერალურმა დირექტორმა რაღაც მოიმიზეზა და ანგარიშის დაცვას არ დაეწყო. ისე, კაცმა რომ სთქვას, რა ფასი ექნებოდა მის მოსვლას? განსახილველი საკითხისა სრულიად არაფერი გაეგებოდა, კუნძოვით უნდა მჯდარიყო. კარგი ვიღაცა – არც არაფერს აკეთებს და არც არასდროს სცალია!..

– უსაქმური ნუ გგონია, ერთთავად ტელეფონის ყურმილი უჭირავს მარცხენა ხელში...

– რატომ მარცხენაში?

– მარჯვენას სად სცალია – ლამაზი პირადი მდივანი ქალის ბარძაყს ეალერსება! ურეკავს მთავარ ინჟინერს: “სამსონიჩ, კვარტალი თავდება... ბურღვაში გაყვანის გეგმა ხომ შესრულდება?.. გადაჭარბებით, ხომ?.. კარგი, აბა, შენ იცი, შენი იმედი მაქვს! ერთხელ კიდევ დააზუსტე და მომახსენე!.. მთავარი ინჟინერი ურეკავს ბურღვითი სამუშაოების სამმართველოს უფროსს: “ერასტინ, მოგესალმები, როგორაა თქვენთან ბურღვის საქმე? ყველა ჭაბურღილი ნორმალურად იბურღება? ხომ იცი, კვარტალის ბოლოა, პრემია ხომ გინდა?.. სამმართველოს უფროსი ურეკავს უბნის უფროსს: “გალაქტიონიჩ, ხომ მაგრად ხართ? ნომერ ხუთზე ისევ ავარიაა? რა უბედურებაა, შე კაცო, ორი თვეა უტრიალებთ მაგ ჭაბურღილს და ვერაფერი მოუხერხეთ? მერე რა, რომ ძალიან რთული ავარიაა და მოგიწევთ მეორე ლულით ბურღვის გაგრძელება, დანარჩენ სამზე ხომ მშვიდობაა? ჰოდა, წაუმატე ყველას ცოტ-ცოტა, ვინ ოხერი მოვა და მეტრასუს გაგიზომავს, ჭაბურღილში ჩაძვრება თუ რა! გეგმა გადაჭარბებით უნდა შესრულდეს! პრემია ხომ არ გაწვენს?.. უბნის უფროსი სამმართველოს უფროსს ჰპირდება, რომ ყველაფერი კეთილად იქნება; სამმართველოს უფროსი მთავარ ინჟინერს ურეკავს, რომ საქმე ძალიან კარგად მიდის და შეიძლება ჩაითვალოს, რომ კვარტალური პრემია ჯიბეში უდევთ; მთავარი ინჟინერი პირადად კაბინეტში უპატაკებს გაერთიანების გენერალურ დირექტორს, რომ ამ უკანასკნელის ბრძნულ ხელმძღვანელობას უკვალოდ არ ჩაუვლია და ბურღვის კვარტალური გეგმა უეჭველად დიდი გადაჭარბებით იქნება შესრულებული!.. ტრიფონ ტარიელოვიჩი მაშინვე “ხვეით” ატყობინებს, რომ პარტიისა და მთავრობის დავალება პირნათლად და დიდი გადაჭარბებით სრულდება, ვაშა!

– რამ გააგოჟა ასე ტრიფონიკა, დიდი ამბავი – რამდენიმე წინწკალი შეეხსა. სუფრაზე ზოგჯერ ბოთლითაც ერთმანეთს თავზე ასხამენ ხოლმე ღვინოს!

– ალბათ მოხსნას უპირებენ და იმიტომ არის აღრენილი. ჰგონია, ვიღაცა განაწყენებული “ინტრიგანი” ძირს უთხრის...

– წავიდეს, ძმაო, თავი დაგვანებოს, ეყო, რაც ჭამა...

– რა ვიცი, მე კი სულ გაჭირვებული ვარ – ავანსი და ხელფასი ერთმანეთს ვერაფრით შევახვედრე და!

– რაც მაგასთან ფული მიდის, მის შვილიშვილებსაც ეყოფა, შვილთაშვილებსაც, წავიდეს და შეირგოს, არ ეყოფა?

– როგორ წავიდეს, სამსახური რომ გაავსო დეიდაშვილ-მამიდაშვილებით, იმათ რაღა ეშველებათ?

– კი, ფული კარგად მისდის, მაგრამ რაც მას “ზევით” მიჰქონდა, აქაც და მოსკოვშიც, იმის მეთაფი მომცა, კაცი ვიქნებოდი.

– რას ამბობ, კაცო, იქ სხვა მასშტაბები იყო: მიტანილ ქრთამს კი არ ითვლიდნენ, ფულის დასტას ზევიდან ცალ ხელს დააჭერდნენ და მეორე ხელის თითებით ზომავდნენ სისქეს: ერთი თითის სისქე, ორის, სამის და ასე შემდეგ. არსებობდა ნიხრი, ვინ რამდენი უნდა მიეტანა და რა სამსახურისთვის... ისე ვერც კუთვნილ მატერიალურ-ტექნიკურ ფონდებს მიიღებდი, სახელფასო ფონდსაც შეგიმცირებდნენ...

– სტალინის დროს ამას ვინ გაბედავდა. კი, მაშინაც იყვნენ მამაძაღლები, მაგრამ შიში ჰქონდათ, დაიჭერდნენ... მარტო მაგიტომ არ მოვხსნიდი სტალინის მონუმენტებს, დიდ ქალაქებში მაინც – დანაშაული ნაკლები იქნებოდა.

– კაი, კაცო, და, ბავშვივით ლაპარაკობ, – არ დაეთანხმა ფანო, – ლენინის ძეგლებიც ხომ არ დაგვეტოვებინა? რას აშაგებდნენ, მდგარიყვენ, ჭამას არ ითხოვდნენ და სმას. ძველი ქუთაისური ანეკდოტი გამახსენდა. ერთ ქუთაისელს დაეშვა ავტომანქანის საბურავი და დგას შუა გზაზე, მშველელს ელის – სამარქაფო საბურავი არ აქვს. გამოიარა მანქანით მეორემ, გააჩერა: “რა გაგჭირვებიაო”, – ეკითხება. “ასეა და ასე ჩემი საქმე და იქნებ რამენაირად დამეხმარო”. “კი, ჭირიმე, როგორ არა, აგერ ბორბალი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო”. ქუთაისელი ეუბნება: “შენ ისეთი სიკეთე მიყავი, არასდროს დამავიწყდება! ქუთაისში თუ იქნები, აუცილებლად მეწვიე ოჯახში; ცენტრალურ მოედანზე რომ ლენინის ძეგლი დგას, ხელი სწორედ ჩემი სახლისკენ აქვს გამოშვერილი, არ გაგიჭირდება მოგნებაო”. ცოტა ხანში ამ მეორეს, მშველელს, მართლა მოუწია ქუთაისში გავლა და არ გაუფუჭდა მანქანა? რა ქნას? იფიქრა, მივაკითხავ იმ კაცს, ჩემი ბორბალი რომ მივეცი, უჭკველად მიშველისო. გავიდა მოედანზე და რას ხედავს: ლენინის ქანდაკება კი დგას, მაგრამ ხელები ჯიბეებში აქვს ჩაწყობილი!

– რა უბედურება გეჭირდა, ვერ გამოიგია! საბჭოთა ხელისუფლება – ეს არის აღრიცხვა და კონტროლი... კი, ბატონო, შემოწმება საჭიროა, ვინ დაგობს, მაგრამ ასეთი? გამოაგზავნეს კომისია კომბინატში შესამოწმებლად – გეგმას 10%-ით გადააჭარბეს თუ დააკლეს, ამას არ აქვს მნიშვნელობა, ხუმრობაა? ყოველდღე რესტორანი, მერე, რა თქმა უნდა, სხვა პატივიც უნდა სცე, ესეთი წესია... გავიხედეთ, ჯერ ეს კომისია არ გავგისტუმრებია და მისი შემოწმებელი მეორე კომისიაც მობრძანდა, უნდა გაარკვიოს, პირველი კომისიის წევრები ხომ არ იმამაძაღლებენ? ახალი თავის ტკივილი და ახალი ხარჯი... ცოტა ხანში დაადვენეს მესამე კომისია ამ მეორე კომისიის მუშაობის შესამოწმებლად – ხომ არ იცუღლუტებენ რაღაცას? გახურებული ქეიფია ყველასი და ესენიც შემოგვიერთდნენ! ტყუილია, კომისიებით და დაჭერებით მამაძაღლობას, მიწერებს, ქრთამს ვერ მოსპობ – თუ მათხოვრულ ხელფასს აძლევ ადამიანს, მის პატიოსნებას გაჭირვება აჯობებს, ულაპარაკოდ!

– სწორია, მაგრამ ქრთამს სწორედ ის იღებს, ვისაც სხვებზე ნაკლებ უჭირს, რაღაც თანამდებობა უკავია, გაელენა აქვს... აბა, მე ქრთამს ვინ მომცემდა? – ამბობს ფანო. – თუ ნამუსზე ხელი აიღე, ფულის შოვნის უამრავ ხერხს იპოვი... ერთ ნამდვილ ამბავს გეტყვით. შეისწავლეს ერთი და იგივე გეოლოგიური სტრუქტურა ორი სხვადასხვა მეთოდით: ერთი სეისმურია და მეორე – გრავიმეტრიული. სეისმური პარტიის ანგარიში და გრავიმეტრიული პარტიის ანგარიშები ურთიერთსაწინააღმდეგო აღმოჩნდა: თუ სეისმიკოსები ამტკიცებდნენ, ამ ადგილას გეოლოგიური ამოწვევააო ანუ ანტიკლინიაო, გრავიმეტრისტების აზრით, იმავე ადგილას აქ სინკლინიაო ანუ გეოლოგიურად ჩაწვევა, ჩადრმაგებააო – მინდა, ცოტა სხვებისთვისაც გასაგები გავხადო სიტუაცია. ასეთი რამ ხდება, შეიძლება რაღაცნაირად ახსნა, შემდგომი დამატებითი სამუშაოები დაადგენს მტყუან-მართალს, მაგრამ ის რაღა იყო, რომ პროფესორმა დანიელ ბუღბუღაშვილმა ერთ ანგარიშსაც და მეორესაც თავის რეცეხიებში ფრიადები დაუწერა!.. ეს აბსურდი არავის ადარდებს, არავინ იღებს ხმას... ორივე პარტია პრემიასაც დებულობს წარმატებით ჩატარებული სამუშაოსთვის! ანდა წლიური ანგარიშის მიხედვით ტრენსს გამოყოფილი სახსრების ათვისება, ბიუჯეტი, შესრულებული აქვს 98%-ით, ხოლო სამუშაოთა შესრულება – 92%-ით; ფული დახარჯეს, რაღაც სამუშაოები შეასრულეს, მაგრამ დრმა ბუღვისთვის ერთი სტრუქტურაც ვერ მოამზადეს! სამაგიეროდ, წლიურ ანგარიშში რიხით წერენ, რომ ერთ-ერთ სტრუქტურაზე, ჩემი შეხედულებით, სრულიად უპერსპექტივოზე, სეისმური სამუშაოები წარმოებდა ფრანგულ ფირმასთან ერთად და მასალები მუშავდება... თუ იცით, სად?... პარიზში!..

შიო ერთვება საუბარში:

– ყველა “მაყუთს ღუნავდა”, ვისაც როგორ შეეძლო... რა იმედი გექონდა, გიგუშა გავარდნადის ქვეყნის სათავეში მოსვლასთან დაკავშირებით! წესრიგი დამყარდებაო, პატიოსნება დაფასდებაო... ჭკვიანი ხალხის წინასწარმეტყველება ახლა: არაფერი გვეშველა, პირიქით – წინანდელზე

ბევრად გაიფურჩქნა მექრთამეობაც და დანარჩენი სიმახინჯენიც... გუშინ რედაქციაში ვიყავი, ჩემი მოთხრობის ბედი მაინტერესებდა, უკვე ნახევარი წელიწადია სულ მპირდებიან, დაგებულადავ და საშველი არ დააყენეს: ხან ვილატის იუბილეა, ხან პარტიისა და მთავრობის მორიგი ისტორიული დადგენილებისადმი მიძღვნილი ნომერი უნდა გამოუშვან, ხან რედაქტორია ავად ან განყოფილების გამგე ცვაკას საგანებო დავალებით რაიონშია წასული პრობლემური ნარკვევის დასაწერად... სხედან ეს რედაქციის უსაქმური თანამშრომლები, – მათი უმრავლესობა ქალებია, – მთელი დღე ჭორაობენ, ქსოვენ, ყავას სვამენ და სიგარეტს აბოლებენ, კაცები კი ჭადრაკის თამაშს და ფეხბურთის ამბების მოყოლას არიან გადაყოლილნი... ამჯერად ერთი ამბავიც გავიგე, ალბათ ხვალ-ზეგ გაზეთებშიც იქნება... მოუსხნიათ რესპუბლიკური გაზეთის “ადმოსავლეთის განთიადის” მთავარი რედაქტორი. ეს ამბავი მოყვა, ვინ, იცით? ერთმა ფოტოკორესპონდენტმა, ვალიკო კვალაძემ – ისეთი კაცია, მთელ ქალაქში სად რა ხდება, არაფერი გამოეპარება. ავლაბარში მისულან მაღაზიაში რედაქციიდან – წერილების განყოფილებიდან – და რაღაც დარღვევა უნახიათ. დაყაჭეთ ორიათას ხუთასი მანეთი, თორემ... გამგე ქალი ყოფილა, შეხვეწება: შენი ჭირიმე, ათასი იკმარე, მეტს ვერ მოგცემო. იმათ იუარეს – “ხვალვე მოიტან რედაქციაში შენი ხელითო” და მოიჯახუნეს კარი. მაღაზიაში დაფაცურდნენ, რა უნდა ექნათ – ფულის შეგროვება დაუწყიათ. ბედად ამ დროს გამოიარა დატაცებასა და სპეკულაციასთან ბრძოლის სამმართველოს მუშაკმა, რომელიც “წველიდა” ამ მაღაზიას. ქალმა შესჩივლა: “ხომ გაძღვეთ, ძმაო, ფულს, დაგვიცავით; ეს რედაქციის ხალხი მთლად უნამუსო გამხდარა, ორი ათას ხუთასი მანეთი მომთხოვეს, ათასზე უარს არიან; მე შინ ფულის საბუღალტრო მანქანა კი არ მიდგასო”. სამმართველოს მუშაკი დაინტერესდა კონკურენტის გამორჩენამ, თანაც ასეთმა მაღიანმა – თვითონ ორას-სამას მანეთს იღებდა ამათგან თვეში, გამგეს თხოვა: “აბა, მომიყვივ ერთი, როგორი იყო საქმეო, – მერე უთხრა, – დაჯექი და დამიწერე ამ წუთში ყველაფერიო”. ჯერ ქალი უარს იყო, ვერ გავებმები ხათაბალაშიო, მისმა მოსაუბრემ დაამშვიდა, თან დაჰპირდა: “მაგ წერილს გაზეთის რედაქციაში წავიდებ, შენ ორი ათას ხუთასი მანეთის გადახდას გადარჩები და მე, პირიქით, გამოვცინცლავ იმ სინდისგარეცხილებს ფულსო, აქეთ გავატყავებ და თანხა ორივემ გავიყოთ”. ქალი დახარბდა, ხელდახელ იქვე აღწერა ქაღალდზე ყველაფერი, შემდგომ ამისა საბუთი-ჩვენება მილიციელს გადასცა. ამ უკანასკნელმა, როგორც კი ჩაიგლო ხელში ეს საბუთი, ჩაიღო ჯიბეში და ქალს უთხრა: “ახლა კი გიტირებ დედას, გამოჭერილი მყავხარ და დედიშენის შვილი ხარ და ისე არ მოიქცევი, როგორც მე გეტყვი; მოგაროვე ფული და ხვალვე წაიღე რედაქციაში! მე ახლავე მინისტრთან მივდივარ და მოგახსენებ ყველაფერსო”. მეორე დღეს მაღაზიის გამგე შევიდა რედაქციის შენობაში და უკან მიჰყვა ხუთი გადაცემული აგენტი. სამნი წერილების განყოფილების წინ გაჩერდნენ, ორნი რედაქტორის მოადგილესთან შევიდნენ და აცნობეს: “თქვენს რედაქციაში ოპერაციას ვიწყებთო”. ქალი შევიდა წერილების განყოფილების გამგესთან და მოკლე ხანში უკან დაბრუნდა. კაბინეტში მაშინვე შევარდნენ სამნი და გაკვირვებულ გამგეს აუწყეს: “ქრთამის ადების ფაქტზე ჩხრეკას ვიწყებთო”. გამგის აღშფოთებისა და პროტესტის მიუხედავად, აგენტები შეუდგნენ საქმეს. სულ ააფორიაქეს იქაურობა, გაჩხრიკეს ყველა უჯრა, მაგრამ ფულს ვერ მიაგნეს. დაბნეულები და შერცხვენილები გავარდნენ ოპერაციის ხელმძღვანელთან, მაიორთან, რომელიც რედაქტორის მოადგილის კაბინეტში ელოდა ოპერაციის დასრულებას, და მოახსენეს: “ვერაფერი ვნახეთო”. მაიორი შეშინდა: ოპერაციის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში ცუდად წაუვიდოდა საქმე – თავს წააცლიდნენ! გამოვარდა დერეფანში და ჩხრეკის ადგილს მიაშურა. “ვერაფერი ნახეთო?” – იკითხა. “არაფერიაო...” – უპასუხეს ხელების გაშლით. მაიორმა ამოიღო ფარანი ულტრაიისფერი სხივებით და იქაურობას მიაანათა. განყოფილების გამგის ტანსაცმელზე რამდენიმე პატარა ლაქა აკიაფდა. გახარებულმა მაიორმა გამგეს უყვირა: “ხელები ამოიღე ჯიბიდან!”. ხელებმაც გამოანათა – გადასაცემი ფული თურმე წინასწარ ფლუორესცენციული საღებავით დაფარეს. “არიქა, ბიჭებო, დაკეტეთ კარი, ფული აქ არისო”. მართლაც, მაგიდაზე დახვავებულ გაზეთებში შეეცურებინა განყოფილების გამგეს მთელი დასტა, როცა კარებში მოულოდნელი სტუმრები დაინახა... გაზეთის რედაქტორი სამოგზაუროდ იყო წასული, გემიდან საჩქაროდ გამოიძახეს და მაშინვე მოხსნეს თანამდებობიდან... თურმე რედაქციაში თითქმის ყველა გახარებული იყო – როგორც იქნა, მოგვაცილესო ეს ყიამყრალიო.

– მერე რა, უკეთესს დანიშნავდნენ თუ რა? – ამბობს ფანო. – ბევრს ახარებს, თუკი სხვა, მისი ნაცნობი, თუნდაც მეგობარი, ცხვირს წაიტეხს. ერთხელ სამსახურში მივედი და ვინც კი დერეფანში შემომხვდა, თვალგებარე წყინებულმა “მახარა”: “გაიგე? საწყალ ბიძინას მანქანა მოპარეს!”. მეორე მეტყვის, მესამე... მეათე! ვინც კი შემხვდება, უნდა, განმანათლოს, თითქოს სიამოვნებს ცუდი ამბის შეტყობინება... თვალები უბრწყინავს სიამით, ხელებს გემრიელად იფშენებს, ზოგი კმაყოფილ ღიმილს ვერ ფარავს, რომ აი, ის, გადარჩა, საწყალ ბიძინას კი არ უდიმა ბედმა... რა მურტალი თვისებაა ადამიანისა – სხვისი ცოდვით გაიხაროს, გული მოიფხანოს: “ახია ბიძინაზე, ისეირნოს აწი ფეხით, თავადობას კი არ ჩამოართმევენ!”, “ჩემთვის კი არ მოუპარავთ, არ მაქვს და რა ჩემ ფეხებს წაიღებდნენ!” – თურმე კარგი ყოფილა ისიც, რომ მანქანის შეძენის სახსარი არ გაქვს! არა, მაინც საზიზღარი თვისებაა, ზოგიერთს რომ ახასიათებს – სხვისი ცუდი როგორ უნდა გახარებდეს? ფიქრობ ასე და შენი ოთახის კარს რომ გამოაღებ,

ძალაუნებურად ამბობ: "ახალი ამბავი გაიგეთ? საწყალ ბიძინას მანქანა მოპარეს!". ფუი!.. შენი თავი შეგზიზღებდა...

* * *

ყჩაღობა ქუჩაში ჩვეულებრივი ამბავია.
 – მეტროში ქურდმა ჯიბეში ხელი ჩამიყო, – ჰყვება ფანოს შვილი, შიო, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, – და პურის ნატენი ამოიღო!
 – კიდევ გამხმარი თევზი ხომ არა? – ატრიზაგებს ცოლი, მაკა. – გეტყობა, ლოთი რომ ხარ!
 – რის ლოთი, ქალო, სადმე შიმშილით გული არ შემიღონდეს-მეთქი, დილით ჩავიდე, სალოთაოდ სად მიჭყავის ჯიბეში ფული! ყველის ნაჭერიც ვერ ვნახე. ორი კაპიკის გასაკეთებლად სად არ დავწოწიალობ... დილით ერთი პატარა ბუტერბროდი რომ გამიკეთო წასაღებად, ღმერთი კი არ გიწყენს!

შიო მივლინებით დადის ქუთაისში, ჭიათურაში, ბათუმში, ფოთში – იქ ინსტიტუტის ფილიალებში ლექციებს კითხულობს; მაინც დავწინააღმდეგებო და ბარემ სამეცადინოდ სტუდენტებსაც ავიყვანო.

იანვარში ქუთაისში ჩავიდა ერთ კოლეგასთან ერთად, სემესტრის ბოლოს ჩათვლები უნდა მიიღონ. დახვდნენ ყაჩაღები ქუჩაში, ორივეს დაადეს ყელზე დანა, აბა, დაყაჭეთ, რაც კი ფული გაქეთო. ჩათრევას ჩაყოლა არ სჯობს? არ ჩაყვები და პიჯაკს თუ სულ არ გაგზიდინ, ჩამოგახევენ მაინც და ცხვირ-პირსაც დაგილილავენ... გამოუფხიკეს ორივეს ჯიბეები, გახსნეს მათი ჩანთებიც. ჩანთაში წიგნები უწყვიათ, ლექციების კონსპექტები, ამ შიოს მეგობარს კიდევ – ძველი ფეხსაცმელი გამოსაცვლელად. “წიგნების მეტი სხვა ვერაფერი ჩადეთ შიო, თქვე უბედურებო?!”; “ბედოვლათო, ეს შენზე ჭკვიანი ყოფილა, – შიოს ეუბნება ერთ-ერთი მძარცველი, – ფეხზე მაინც გამოიცვლიდა! – მერე დაამატა: – ამ ყინვაში დამე წანწალი არც ჩვენ მოგვწონს, მაგრამ აბა, რა ვქნათ... თქვენ კომუნისტებს ჰგავხართ და როგორც კომუნისტებმა გვასწავლეს, ისე გექცევი! აგერ ას მანეთს მოგცემთ გზის ფულად და სხვა დროს ასე ქესატად აქ გავლილი აღარ დაგინახოთ!”.

ცოლმა, მაკამ, შიო მასხრად აიგდო:

– შენი სტუდენტები ხომ არ იყვნენ? ალბათ ნიშნის დაწერაში ქრთამს იღებდი და ახლა სამაგიერო გადაგიხადეს!..

ერთ კვირაში მგავსი ამბავი გადახდა თავს შიოს ახალდაქორწინებულ ძმას, ნანუჩას, და მაკას მახლის მისამართით უკვე აღარ უხუმრია; გულნაზიმ კი თქვა: “კიდევ კარგი, დანა არ დაგარტყეს, შვილო”... ნანუჩა იმ სისხამ დილით წავიდა პურის საყიდლად – დიდი რიგები იყო ძალიან და ადრე თუ არ დაიკავებდი რიგს, ტყუილად შეგრჩებოდა ყინვაში ყურყურტი, პური ნაღდად არ შეგხვდებოდა. ჯერ კარგად არც იყო გათენებული და ნანუჩას ბინდბუნდში ქუჩაში დანით დახვდნენ მასზე ორი-სამი წლით პატარა ასაკის ბიჭები და გახადეს ახალთახალი ფეხსაცმელები – სწორედ ის, ქორწილში რომ ეცვა! სანაცვლოდ კი ჩააცვეს უბედური ჯღანები. უბედურება კიდევ ისიც იყო, რომ მისი სხვა ფეხსაცმელები სუყველა იმდენად გაცვეთილი იყო, თოფლში და ჭყაპში ვერ ჩაიცვამდა, სწორედ ამიტომ ეცვა საქორწილო ფეხსაცმელები. დაბრუნდა შინ გულგასიებული, არაფერი უთქვამს... მისცა 40 გრადუსი სიცხე – მოიყვანეს ექიმი, იმანაც ვერაფერი გაუგო, რა იყო მიზეზი. შეწუხდნენ დედ-მამა, ახალშერთული ცოლი – დალილა, ძმა – შიო... იმათაც ხმას არ სცემს. მოვიდა სანახავად ძმაკაცი, ხელისმომკიდე, შეხედა ჯღან ფეხსაცმელებს, იკითხა: “ჩემი ნაჩუქარი ფეხსაცმელები რა უყავი?”. რაღა ექნა, გამოტყდა ნანუჩა – “ქუჩაში დამხვდნენ ვიღაც ლაწირაკები და გამხადესო”... ხელისმომკიდე გაეხუმრა: “მიხარია, რომ მოეწონათ, შენ კი რატომღაც იწუნებდი, უკეთესი მეკუთვნოდაო”...

* * *

კიდევ ერთი შვილიშვილი შეემატა ფანოსა და გულნაზის ოჯახს: ნანუჩას და დალილას ვაჟი შეძინათ; ახალშობილს პაპის საპატივცემულოდ სტეფანე დაარქვეს...

ამ თითქოსდა გაუსაძლისი გაჭირვების ჟამს – საჩუქრები, უხვი სუფრა და სადღეგრძელოები...

გულნაზიმ ჯერ წარბები მოჭმუნა:

– კაცო, რა დროს ქეიფი და დროსტარებაა, ხვალ პურის ფულიც აღარ დაგრჩება... ვინ ჭკუა-დამჯდარი გამართავს ახლა ლხინს!

ფანო არ დაეთანხმა:

– სახლში კი არა, რესტორნებში გადადიან ყირას, ერთი ნახე, თუ ამ მომრავლებულ რესტორნებში თავისუფალი ადგილი ნახო! მისეულია ამ რესტორნებს სულ ძვირფასი მსუბუქი ატომობილები, როგორც მეტეორული გოჭები დედადორს, ქუჩაში გავლა გაგიჭირდება!

ნანუჩა მოყვა:

– როცა “სამთო ქიმიის” შენობასთან თერთმეტის ნახევარზე მივდივარ, – ინგლისურის კურსები ამ დროს იწყება, – ზუსტად ამ დროს მოგრიადლება ხოლმე ავტომანქანა, კრიალა ”მერსედესი” – სულ მთლად ახალი. ჯერ გადმოხტება პირადი მცველი: მსუქანი, შავსათვალიანი, ტყავის შემოტკეცილი ქურთუკით, რომლის ქვეშიდანაც მოჩანს რევოლვერის ბუდე; მოწიწებით მოიხრება წელში, გაადებს უკანა კარს და მანქანიდან დინჯად გადმოვა დაახლოებით 60 წლის “შეფი” თუ “ბოსი” – გრძელი, კოჭებამდე შავი პალტოთი, შავი, გაკრიალებული ფეხსაცმელები ძლივს უჩანს... მცველს ცალ ხელში მობილური ტელეფონი უჭირავს, მეორეში – დისტანციური “დარაჯის” გასადები; დაატკაცუნებს, დაკეტავს “მერსედესის” კარებს; შემდეგ წინ ის მიდის, აქეთ-იქით თვალებს დაძაბული აცეცებს, უკან “შეფი” მიჰყვება დინჯად... კინოში გეგონება თავი – თითქოს ამერიკულ განგსტერულ ფილმს უყურებ!

თურმე ეს ერთ-ერთი უკანასკნელი სუფრა იყო, რომელსაც მე მოვემსახურე...

რა თქმა უნდა, ამ საზეიმო დღეს მხოლოდ ორ კაცს, პატარა ფანოს ორ პაპას, შეეძლო, სუფრას გაძლოლოდა – ოჯახის უფროსს, სტეფანე, იგივე – ფანო, ნარცეცხლაძეს ან რძლის მამას, პანტიკო ორჯამაძეს! თამადად ფანო დადგა და, რასაკვირველია, არაჩვეულებრივად გაუძღვა სუფრას; სასაყვედურო ვის უნდა ჰქონოდა, მაგრამ ფანომ მაინც თქვა:

– უზომოდ ბედნიერი ვარ, ძალიან ბევრი ვილაპარაკე, კიდევ ბევრის თქმა შემიძლია, მაგრამ ალბათ გვარნიანად მოგაბეზრეთ თავი ამდენი ლაქლაქით...

რამდენიმე უფროსი თაობის პატივსაცემი წარმომადგენლის შემდეგ, სიტყვა ითხოვა პატარა ფანოს მამამ, ნანუჩა ნარცეცხლაძემ.

– პატივცემლო სუფრის წევრებო, ჩემო ძვირფასებო, დღეს ჩემთვის განსაკუთრებული დღეა, ჩვენი პირმშოს შექმნა მართლაც დიდი მოვლენაა ჩვენი ოჯახის ყველა წევრისთვის... ჩვენი პატარას სადღეგრძელო რომ არ დავლიო, არ შეიძლება, ალბათ მოვკვდები! შენი შვილია, შენი სისხლი და ხორცი... ნათქვამია, ძაღლს რომ გაზრდი, ისიც შენიაო... ერთ ჩემს მეგობარს ძაღლი ჰყავდა შინ და დაჭამაო სუყველანი, მაგის დედაო... წაიყვანეთ, წაათრიეთ აქედან, მოაცილეთ აქაურობასო, მურა ერქვა, მეცხვარის ნაგაზი იყო. მოვიდნენ, შეკრეს თუ შეკოჭეს და მიათრევდნენ წასაყვანადო, ეს ამხანაგი მიყვება, და შემომხედაო საყვედურითო – რას მიშვრები შენს ერთგულ მეგობარსო... და ვიყვირო, დატოვეთ, მაგის დედაო... ვერ გაიმეტა!

– უცხოც რომ გაზარდო, შენი თესლი არ იყოს, უკვე შენია, შენი შვილია! – ამბობს პანტიკო. – მიჩვევაა ყველაფერი, ამაგი...

ნანუჩამ განაგრძო:

– ჰოდა, შვილი – შვილია მაინც! ჩვენი მხრივ არაფერს დაგაკლებთ და დანარჩენი მასზე იქნება დამოკიდებული, როგორი გზით წავა, რა გზას აირჩევს...

– ოღონდ არ უნდა გაანებიერო! – შეაწყვეტინა შვილს ფანომ. – არ უნდა შეუსრულო ყველაფერი: ეს სათამაშოებით, ბურთებით, ეს ველოსიპედით, ცოტა წამოყვინჩილდება და – ახლა ავტომანქანა მინდაო...

– კეთილი იყოს პატარა ფანოს შემობრძანება ამქვეყნად! დიდი ვნებათაღელვა გადავიტანე მაგის დაბადებამდეც... სამშობიაროს მოსაცდელში ვწრიალებ, ცოლის ამბავს ველი... ბოლოს მახარეს – ბიჭი შეგეძინაო... პირველად თითქოს ჩვეულებრივ აღვიქვი ეს მოვლენა, რომ მამა გაფხდი და სადღაც გამიკვირდა კიდევ საკუთარი გულგრილობა. მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი ამბავი იყო – უცებ რაღაცამ დამკრა თავში, ტირილი მომერია და თვალებზე ცრემლების დასაფარავად – ყველანი იქვე ვტრიალებდით – გარეთ გავეარდი, ეზოში, მოლოცვებს არ დავუცადე. იქ ძველი თუთის ტანს მივეყრდენი: “მამა გაფხდი!.. დალილა! გმადლობ, რომ შვილი მაჩუქე!”. აპრილია და, როგორც იტყვიან, ჰაერში გაზაფხულის სუნით თუ სურნელი ტრიალებდა. მზიანი და ქარიანი დღე იყო, მოყურებულ ადგილებში ბუხები დაბზუოდნენ... მე არ ვტიროდი, მაგრამ ცრემლები კი მაინც მოცურავდა ლოყებზე... ეს სიხარულის ცრემლები იყო; პატარა ფანომ უამრავი ადამიანი გაახარა მისი დაბადებით და ღმერთმა ჰქნას, კიდევ მეტი გაახაროს შემდგომში თავისი სიკეთის თესვის ნიჭით, კაიკაცობით, ვაჟკაცობით! მადლობა მომიხსენებია მისი დღეგრძელობისთვის და ვისურვებდი, ერთი ოცი წლის შემდეგ თვითონ ფანომ გადაგიხადოთ მადლობა, როცა მას ადღეგრძელებთ!

განსაკუთრებით დამამახსოვრდა თამადის ერთი სადღეგრძელო:

– მეგობრებო, მე ვერაგინ დამძრახავს, თუკი ნებისმიერ აქ ჩემს მიერ შემოთავაზებულ სადღეგრძელოს ნებისთ თუ უნებლიეთ ჩვენი ოჯახის ახალმოვლენილი წევრის, პატარა ფანოს სახელს დაუკავშირებ... იგი სავსებით უციდგელია, მხოლოდ სიხარული მოუტანა ჯერჯერობით ჩვენს ოჯახს და ჩვენი სიკეთის მოსურნეებს... მისი ტირილი და სხვა ბავშვური სიცვლქე – წამდაუწყებელ გარეთ გასვლა და სხვა მისთანები, რა ანგარიში ჩასაგდება, ზღვა სიხარულთან შედარებით... იმედია, იგი ნამდვილად ადამიანად გაიზრდება, ჩვენ ყველანი ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ მას მხოლოდ კარგი განათლება კი არ მივცეთ, ასევე, და, მე მგონი, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ყველასთვის სიკეთის მომტანი, სიყვარულისა და სითბოს მთესველი პიროვნება აღვზარდოთ... მე მინდა, კაცობის, ადამიანობის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, კაიკაცობისა, ბოროტება რომ ვერასდროს და ვერაფერში აცდუნებს, მხოლოდ სიმართლეს და სამართლიანობას ემსახურება და მხოლოდ თავისი ბედნიერებისთვის ბრძოლითა თუ შრომით არ შემოიფარგლე

ბა... მოგესხენებათ, ქვეყანა ჭრელია, ათასგვარი ადამიანი ამძიმებს ამ დედამიწის ზურგს: ზოგი – ღირსეული, ზოგიც – არც იმდენად. კარგი და ცუდი ამქვეყნად ზოგადად არსებობს, არც ადამიანი არის გამონაკლისი და ამ გარემოებას ვერსად გაექცევი, მაგრამ... მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ, ჩემი შეხედულებით, არ არსებობს სავსებით ცუდი, მთლად წყალწაღებული ადამიანი და, ასევე, იშვიათია ყოველმხრივ კარგი ადამიანი – უფრო ანგელოზი; საკუთარ სულში ჩახედეთ და დამეთანხმებით: ყველა ჩვენთაგანში მეტ-ნაკლებად არის კარგიცა და ცუდიც. ჰოდა, ადამიანში, პიროვნებაში, სანამ მის ქებას ან ძაგებას დაიწყებდე, უპირველესად კარგი უნდა მოჩხრიკო, დადებითი მხარე დაინახო, გამოამზეურო, როგორც ჩვენც ვაკეთებთ აქ, როცა მაგანს ვადღეგრძელებთ; რომ არ გაგიტყდეს შეხედულება საერთოდ ადამიანებზე, არ შეგიპყრას უიმედობამ, რომ აი, მთელი ქვეყანა გადაგვარდა და რა გვეშველებაო. ქუჩაში რომ მიდიან, ერთი აკვირდება შენობებს, ტკეპბა მათი ხუროთმოძღვრებით, ფერით, განათების ეფექტებით, მის თვალს იტაცებს მიმავალი ხალხი: ლამაზი გოგო, მშვენიერი მანდილოსანი, ცქრიალა ბავშვი, თუნდაც – მოხუცი ქალი ან კაცი; მათაც ხომ თავისებური სილამაზე აქვთ, დროის მდინარებით დასმული ნაოჭები, მოხრილი ფიგურა... მათი სიცილი თუ საქმიანი ჩაფიქრება, ზოგის – უდარდელობა და ზოგის – დამწუხრებული სახეც... ვიტრინები თვალს იტაცებს გაფორმების უჩვეულებით, ყოველმხრივ ცდილობენ, ჩვენი ყურადღება მიიპყრონ მყვირალა ფერებით და დახვეწილი ან საგანგებოდ უხეში გამომსახველობითი ფორმებით... მოკლედ, ათასსა და ერთ რამეს შეუძლია, დაატკბოს ჩვენი თვალს და ყურიც ქუჩის სიმფონიამ... მაგრამ მაგანი ამას ყველაფერს ყურადღებას არ აქცევს: ის მიდის და აკვირდება – ბოლიში! – მხოლოდ იმას, გზად რამდენი ნაფურთხი შეხვდება... ასეთი ადამიანისაც კი სულის ნაფურთხებს კი არ უნდა ჩაუკირკიტდე, მისი სულის სილამაზე უნდა აღმოაჩინო: კეთილშობილება, ნიჭი, სიკეთე, სიღარბისლე, შეუპოვრობა, კეთილი საქმის კეთებაში და რა ვიცი, კიდევ რამდენი კეთილი თვისება შეიძლება იმალებოდეს თუნდაც ერთი შეხედვით უჩინარ ადამიანში... სადღეგრძელოს თემას გადავუსხვევ და იმასაც აღვნიშნავ, რომ არ იქნება ურიგო, თუ დროებასაც ასევე მოექცევი ანუ ჩვენს ყოველდღიურობაში, შესაძლოა, ბევრი რამ ცუდი გთრგუნავდეს, მაგრამ უნდა გაიხედ-გამოიხედო, ყურადღებით დააკვირდე და შეძლო, დაინახო: რაღაც სულის საღებუნიც არსებობს, რაღაც ნათელი ზოლიც... თუ არადა, მართლა გაუსაძლისი გახდება შენი არსებობა!... ყველას დაგლოცავთ! სიყვარულისთვის ღირს ცხოვრება, თორემ სიძულვილით ვინც ცხოვრობს, ის უბედური კაცია; აზრი არ აქვს სიძულვილით ცხოვრებას საერთოდ. სიყვარულის ნაყოფი ვართ, სიყვარულის შედეგად მოვდივართ ამ ქვეყნად და სიყვარულით უნდა ვიაროთ ამ ქვეყანაზე სამარის კარამდე... ადამიანურობას გაუმარჯოს, სიტბოს მომტან ადამიანებს გაუმარჯოს, კეთილი ხალხის სადღეგრძელო იყოს! პანტიკო, შენთან ვარ ალავერდს!

პანტიკო მაშინვე ფეხზე წამოდგა:

– პატივცემულო თამადა! ერთი დეიდაშვილი მყავს, ბერდია, ობლად გაიზარდა. მართლა კეთილი ხალხი რომ არა, რა გზას დაადგებოდა, ვინ იცის, იქნებ სულაც დაღუპულიყო. მაშინ ჯარიდან ჩამოტანილი შინელი აჩუქეს, ქვევით ჰქონდა გადაჭრლი, ზამთარში სხვა ტანსაცმელი სად ჰქონოდა. კიდევ ტომრებით რომ ჩამოდიოდა ამერიკის სასურსათო დახმარება, – ფქვილი იყო თუ რაღაცა, – ზედ დიდი, ფრთაგაშლილი არწივი ეხატა. ბებიაჩემი ამ ტომრიდან გამოუჭრიდა და შეუკერავდა ჩასაცმელს და ჩვენს ბერდიას ზურგზე ჰქონდა ეს დიდი არწივი... ასეთი გაჭირვება იყო. მაინც ბედნიერები ვიყავით ყველანი, ახალგაზრდობა თავისთავად დიდი ბედნიერებაა... პაპაჩემთან და დიდედანთან იზრდებოდა ეს ბერდია და მართლა კარგ კაცად გაზარდეს. აგვიანდებოდა ხოლმე შინ მისვლა, უყვარდა ქალებში სიარული... და ერთხელ ბებიაჩემი ამაზე ეჩხუბა. ბერდია გაბრაზდა და ისკუპა აივნიდან – გაებუტა და გაიქცა... ასეთი დაბალი აივანი ჰქონდათ პირველ სართულზე. “ბიჭო, ბერდია, – უყვარის პაპაჩემი, – ნუ იბღუხები, დაბრუნდი! – შეეცოდა, ხომ იცი, პაპა მაინც, – არ წახვიდე, მოდი, მოდი!”. ბერდია გაჯიუტდა, წავიდა და წავიდა – ეწყინა. პაპაჩემმა მიაძახა: “ვანშამი შეგვარეგებს, ვანშამი!”. “ვერ მისვლიო, რას ნიშნავდა ეს სიტყვებიო, გაბრაზებულმაო, – ბერდია ჰყვება მერე. – ვიწრიალე, ვიტრიალეო და სადამოს ისევ მივუცოცდი პაპაჩემსო”. “აი, ვანშამი შეგვარეგებს – ეგ არიო!” – პაპაჩემმა აუხსნა; საჭმელი ვეღარ ნახა ვერსად და მოშივებული მივიდა ისევ პაპასთან... კაცი წავა, წამოვა და ისევ უბრუნდება თავის ოჯახს, თავის ძირითად სიტბოსა და სიკეთის წყაროს... ოჯახი გვასწავლის ჩვენ, რა არის სიკეთე, სამართლიანობა, გამტანობა, ჭირთა ვაჟკაცურად თმენა და სხვა და სხვა – გაუმარჯოს სიკეთეს, კეთილ ადამიანებს ვადღეგრძელებ!

ფანო ჰყვება:

– კარგა ხნის წინათ რუსთავეში ვარ რაღაც საქმეზე და შუადღე უკვე გადასული იყო, როცა მე, ჩემი ძველი თანამშრომელი და ძმაკაცი, იმჟამად ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი, ჭიაბერა თავგასიებული, და მისი მეგობარი თანამშრომელი შევედით რესტორან “მტკვარში”. “რა მოგართვათ, ბატონო?” – იმ წამს გამოგვეჭიმა ნაცნობი ოფიციანტი. ჭიაბერას ეწყინა, ხომ იცი: “ბიჭო, ვეღარ მიცანი თუ რაგაა შენი საქმე? პირველად მხედავ, არ იცი, რაც უნდა მოიტანო?”. “ბოლიში, დიდი ბოლიში, ამ წუთას, ბატონო!” – გავარდა ოფიციანტი და ხუთ წუთში სუფრა გაწყობილი იყო – რა გინდა, სულს და გულს! ციკნის ხორცი, მწვადი, ოთხნაირი ძვირფასი თევზეული, ხინილალა, შამპანური... სხვას აღარ ჩამოვთვლი. თხუთმეტ წუთში შემობრძანდნენ სამნი – ნაპატი-

გები სახეები, დინჯი მიხრა-მოხრა; მიესალმნენ ჭიაბერს, რასაკვირველია, და ცალკე კაბინეტს მიაშურეს. “ესენი ჩვენი პროკურატურის ხალხია, ძალიან კარგი, ძვირფასი ხალხი”, – განმანათლავა ჭიაბერამ. კიდევ ათ-თხუთმეტ წუთში შემოგოგმანდა კიდევ სამი კაცი – დიდ-დიდმა პაგონებმა გამოანათა, ორ და სამგარსკვლავიანებმა. ესენიც მიესალმნენ ჭიაბერას და ცალკე კაბინეტში გაუჩინარდნენ. “ესენი ჩვენი მილიციის თანამშრომლები არიან, ძალიან კარგი ბიჭები. შესვენებზე სასაუბროდ შემოვიდნენ ესენიც, თორემ საღამოს აქ ტევა არ არის!”. კაი “საუბრე”, მე და ჩემმა ღმერთმა, თითო კაცზე ოცდაათი-ორმოცდაათი მანეთი თუ არ აქვთ, ფეხსაც ვერ შემოდგამენ აქ. “სამი ათას მანეთზე მეტს ვერ “ვღუნავ” თვეში, – მოისაწყლა თავი ჭიაბერამ, – მაგრამ ბედს არ ვუჩივი, პურის ფულს ვშოულობ...”. ჭიაბერამ ჩემთან ერთად გეოლოგიური დაამთავრა; კარგად სწავლობდა, მისგან კარგი გეოლოგი დადგებოდა, მაგრამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გეოლოგად ერთი დღეც კი არ უმუშავია, კომკავშირული ხაზით წავიდა. ჯერ ხომ ინსტიტუტში იყო კომკავშირის კომიტეტის მდივანი, შემდეგ რაიონულ კომიტეტში იყო მდივანად, მერე – პარტიული ხაზით გაიკეთა კარიერა... როცა მისი მფარველი ცეკას მდივანი გადააყენეს, ჭიაბერას წინსვლის საშუალება მოესპო, მაგრამ მაღალი თანამდებობის პარტიული ფუნქციონერი ბოლომდე არ გასწირეს და ერთ-ერთი საწარმოს დირექტორი გახდა... ისწავლა და მერე რა? ის ცოდნა არაფერი გამოუყენებია. ახლა, როგორც ვატყობ, უარესადაა საქმე.

ფანოს ვაჟი, შიო, ჩაერთო:

– ჩვენს ინსტიტუტში სწავლისთვის ვის სცხელა! მის სარდაფში ჯერ თურქული რესტორანი გახსნეს; არ გაამართლა და მალე კაფედ გადააკეთეს. არც იმან ახეირათ; იქ ყოველდღე აყალმყალს ბოლო არ უჩანდა, ორჯერ მკვლელობაც მოხდა და დაკეტეს, მაინც აღარავინ შედიოდა. ბოლოს, ფანჯრები ამოქოლეს და კაზინო მოაწყვეს – გაჭირვების ტალკევის!. რას ერჩი? წინანდელი ჩხუბისა და ღრიანცელის მაგივრად – სიწყნარე, უშფოთველობა, წესრიგი... ხანდახან თუ ვინმე ტყვიას იკრავს შუბლში, ეგ არაფერი – თუ ნერვები არ გაქვს მაგარი, კაზინოში რას შეღისარ?

– სტუდენტები თუ შედიან იმ კაზინოში გასანათლებლად? – სიცილით ეკითხება პანტიკო.

შიო პასუხობს:

– ალბათ თითო-ორი სტუდენტიც დადის. არ ვიცი, როგორი მომავალი თაობა გვეზრდება, ვის ვუტოვებთ ქვეყანას... ეს თაობა ვერ იქნება ძლიერი: ადრე კომუნისტების დროს, ავად თუ კარგად, მაინც იყო შესაძლებლობა, ნიჭიერს გზა გაეკვალა ცხოვრებაში, ნიჭი არ დაიკარგებოდა, ახლა? თუ ჯიბეში ფული არ გიჭყვივს, შენს შვილს სრულფასოვან განათლებას ვერ მისცემ. ჩვენთან აუდიტორიები არ თბება, ლექტორებს მათხოვრული ხელფასი აქვთ და თუკი ვინმეს შესაძლებლობა მიეცემა, გარბის, სხვა საქმეს კიდებს ხელს. ყველას ხომ არ აქვს საშუალება, ინგლისში და ამერიკაში გააგზავნოს შვილები პრესტიჟულ კოლეჯებში სასწავლებლად...

– შენ თუ ისწავლე, რა მოიგე? ან შენს ნიჭს რა გასაქანი აქვს? – შიოს ეკითხება ფანო. – ინტუნავე, რამდენიც გინდა! მეცნიერებათა კანდიდატი კაცი ხარ, დოქტორობასაც ადვილად მიადწევდი, მწერლობას რომ არ გამოკიდებოდი... რა დაგიბეჭდეს? არაფერი! მწერლობა ახლა ლამის წარსულის გადმონაშთად გამოაცხადონ...

შიო აგრძელებს:

– კარგა ხანია, ჩემთვის რაღაც-რაღაცებს ვწერ... რამდენი რედაქცია მოვიარე – სულ ტყუილად: გპირდებიან, ერთ კვირაში დაგბეჭდავთ, ორ კვირაში გამოიარე, რედაქტორი შეგეშლებასში გავიდაო... ერთი ასჯერ მიგიყვანენ და, ბოლოს, გბეზრდება ამდენი ტყუილი დაპირების მოსმენა. ახლა საერთოდ გააუქმეს თითქმის ყველა გამომცემლობა – ბარაკალა! მერე წიგნის მაღაზიებს დაერივნენ, ერთიმეორის მიყოლებით ჰყიდიან და იხსნება რესტორანი, სახინკლე, საპარფომერიო მაღაზია და ასე შემდეგ – დიდად ზრუნავენ სწავლა-განათლებლასა და კულტურაზე! სახელგანთქმული მწერლები შიმშილით კვდებიან – ყველას ხომ არ შეუძლია, ქუჩაში დადგეს და ხილ-ბოსტნეულის ან ნახმარი ნივთების გადაყიდვით ირჩინოს თავი და არჩინოს ოჯახი... შენ კი მე მსაყვედურობ, რატომ არაფერი დაგიბეჭდესო. მე მაინც ვაწვალე კალამს, ვგვანცალე, არ ვეპუები... როგორც იქნა, ერთ დილის გაზეთში მოთხრობა გამოვაქვეყნე – სიფთა! განარებულმა, ძმაკაცებს წავაკითხე. “ვაჰ, აქამდე სად იყავი, არ ვიცოდით, თუ ასეთი გენიოსი იყავი! – ყველამ შემაქო და თან დაატანეს: – პურ-მარილს როდის კისრულობ?”. “როცა ჰონორარს ავიღებ!” – უკან აღარ დავიხიე. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს სამ ჩემსავით მშვიერ მეგობართან ერთად დავიარაზმეთ ჰონორარის ასაღებად, ლექციები გვექონდა წასაკითხი და ბოლო ლექცია გავაცდინეთ... როცა ფული გამომიწერეს და მოლარემ გადამითვალა ცამეტი მანეთი და კიდევ რაღაც კაბიკები, ბიჭებმა პირი დაადეს... “მილიონერი გახდი, აწი აღარაფერი გიჭირს და ალბათ არც ჩვენისთანა გაჭირვებულებს დაივიწყებ, უნიფხვოებს ახლოს აღარ გაგვიკარებ!” – ხითხითებენ. “ესენიც დამცინიან თუ რა არის, თუმანი მარტო გადაბეჭდვაში მივეცი! – დავიჩივლე, – ან ეს ცამეტი თარსი რიცხვი რაღაა?”. მაინც აღერდილნი ვიყავით სალხინოდ, ყველამ ჯიბეები მოიქეპა და შევაკოწიწეთ კიდევ ცოტა ფული, ძლივსძლივობით რომ გასწვდებოდა მეტად თავშეკავებულ “ქეფს”... თითო კათხა ლუდი და ორ-ორი სოსისი გვევრო.

თამადა ფანო ფეხზე წამოდგა:

– ჩემი ექვსი-შვიდი წლის შვილიშვილების დილის რეპერტუარი, როგორც მახსოვს, ასეთი იყო... მაგიდის ქვეშ შემპვრალნი, მღეროდნენ: “ჩემი კარგი ლობიო (ორივეს ძალიან უყვარს, ხომ იცი!), ჩემი კარგი მამიკო, ჩემი კარგი ქეთინო (ქეთინო მათი დედოფალაა!)... ზანგი შოფერი შავი მანქანით წაიყვანს მამიკოს სამსახურში... ჩვენი მეზობელი მარტორქა ვაჟიკოს ამოსცხებს ტაკოში...” – მარტორქა ტელევიზორში ნახეს და მერე ზოპარკში წავიყვანე, ძალიან მოუნდათ მისი ცოცხლად ნახვა; ვაჟიკო ჩვენი მეზობელია, პატარა ბიჭი, ეტყობა, ჩემს შვილიშვილებს რაღაც აწყენინა. მერე ერთი გამოძვრა მაგიდის ქვეშედან და მეკითხება: “სპილო კეთილია?.. როდის შევაჯდები, ტირილს დაიწყებს?”, “არა, – ვეუბნები, – პირქით, გაუნხარდება, რომ ესეთი კეთილი და ლამაზი გოგო იმით გაისეირნებს”. “ათი კაცი რომ შეაჯდეს? მაშინაც გაუნხარდება?..”. მერე მეორეც გამოძვრა, მეკითხება: “ტახი როგორია, ბაბუ, დამინატე!.. ღორია ტახი? მერე რქები რატომ არ აქვს?..” – დამაყარა კითხვები... “მზე რატომ ჩადის და ამოდის? მზე ქართულად და რუსულად ლაპარაკობს?”, “არა, არ ლაპარაკობს”, – ვეუბნები. “რატომ, პირი არ აქვს? მზე მართლა მკვლარია? მაშინ როგორ ამოდის და ჩადის? ნელა რატომ ამოდის და ჩადის?” – ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გამოუღეველად ჰქონდათ კითხვები... მეგობრებო, მე ბოდიშს ვიხდი დამსწრე საზოგადოების წინაშე; დღეს ჩვენი ოჯახის ახალი წევრის ამქვეყნად მოვლენის აღსანიშნავ ღვინის სუფრას ვუსხედვართ და მე მინდა, მართალია, დაგვიანებით, ერთი თბილი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ... პატარა ფანოს თამაღობით ვადღეგრძელებ ყველა ბავშვს, ყოველ ოჯახში სიხარულისა და სიხალისის, იმედისა და ხშირად – ზრუნვა-დარდის წყაროს... ჩემს სენიას, პატარა ფანოს გაუმარჯოს, მშობლებისა და ყველა აქ მსხდომისთვის სასახელო, ვაჟაკი ბიჭი გაზრდილიყოს, ყოველგვარ სიკეთეს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებ!.. გულნაზი კი მეუბნება, დაბერდიო, მაგრამ დღეს უფრო ახალგაზრდად ვგრძნობ თავს – ჩემი გვარის გამგრძელებელი პირველი ბიჭი დაიბადა! ეს სადღეგრძელო ბოლომდე უნდა შეისვას!..

რამდენადაც მახსოვს, ბოლო თუ ბოლოსწინა სადღეგრძელო ბატონმა თამადამ ამგვარი წარმთქვა:

– ამ ჭიქით... არა, ყანწი მომეცით, ყანწი მომაწოდეთ!.. დიახ, ამ ყანწით გაუმარჯოს... არა გაუმარჯოს კი არა... ისევ შემეშალა, ხომ არ დაეთვერი? დიახ, ამ ყანწით ხსოვნა იყოს, განათლდეს, საცა არიან, იმათი სულები, ვინც კი ამ მაგიდასთან მჯდარა, ჭიქა აუწვევია, თანამეინახეთათვის გულწრფელად კეთილი სიტყვა უთქვამს, ყოველივე კარგი უსურვებია! ბევრი მსხდარანი ამ მაგიდაზე გაშლილი სუფრის გარშემო, ძალიან ბევრი – ყველას ჩამოთვლა გაჭირდება! ზოგი ბედნიერი ამ სუფრას წლების მანძილზე ამშვენებდა, თამადაც იყო, თუ, რასაკვირველია, პანტიკო დაუთმობდა, ლამაზად მოქარგული სიტყვებით დაუმშვენებია სუფრა და დაუტკბია დამსწრეთა გულები, სიხარული და სილაღე უხვად დაუფრქვევია და სხვათა სულებშიც აუქვრებია სიმები უსურველი სიკეთისა, თანაზიარობისა, სიმართლისა და სამართლიანობის წყურვილისა...

რასაკვირველია, ბატონმა თამადამ, სტეფანე, იგივე – ფანო ნარცეცხლაძემ ვერ შეძლო ყველა იმ პიროვნების ჩამოთვლა, ვინც კი ოდესმე ჩემს ირგვლივ ამ ოჯახში საღვინოდ შეკრებილა: ზოგი დაავიწყდა და გამორჩა... მე ხომ არ ჩამოვთვალა ისინი, რომ სურათი სრული იყოს? მით უმეტეს, მინდა, დავამატო ჩემი სხვაგან, მაგალითად, მხატვარ ბონია ბონალეიშვილთან, ყოფნისას ჩემს ირგვლივ შემოკრებილი სტუმრების სახელებიც, რომელთაც ფანო არ იცნობდა და მათთან ერთად არ გაუტეხია პური, არ აუწვევია ჭიქა... შესაძლოა, რომ მეც ამჟამინდელ თამადასავით დამემართოს და ყველა ვერ გავიხსენო, რისთვისაც შენდობას ვითხოვ – არიან უჩინარი, ჩრდილში ყოფნის მსურველი შესანიშნავი ადამიანებიც, რომლებიც სუფრაზე, ღვინით შეხურებულნიც კი, გრძელ სადღეგრძელოებს გაურბიან და არც ენამზეობით ან სახალისო ამბების მოყოლით გამახსოვრებენ თავს... თუმცა, არა, ჩამოთვლა ალბათ არ ღირს: მრავალი მჯდარა, უამრავი და, როგორც ვთქვი, ყველას გახსენებას ვერ მოვახერხებ; ის კი აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ისინი ყველანი ყოველთვის ამ ოჯახის სასურველი სტუმრები იყვნენ და შემთხვევითი სტუმარი ამ ოჯახში გაშლილ სუფრაზე იშვიათად თუ გამოეჩინებოდა. ჰოდა, რა იყო ის მიზიდულობის ძალა, რომელსაც ისინი აქ მოჰყავდა? ოჯახი! ფანო და გულნაზი! გულნაზი და ფანო! თბილი ხალხი, ტკბილი ოჯახი! კეთილშობილი ხალხი, სტუმართმოყვარე და ზოგადად – კაცთმოყვარე, ჭირშიც და ღვინშიც ხალისიანნი, გაუტეხელნი, იმედით აღსავსენი!..

ერთმა დაგვიანებულმა სტუმარმა – უკვე სუფრიდან ყველა აიშალა – მოიტანა საჩუქრად თოჯინა-ძაღვი თუ ძაღლი-თოჯინა: უზარმაზარი – ლამის ხბოს ხელა! რუხ-ტალახისფერი – საზიზღარი ფერის... განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავი – სიმახინჯის განსახიერება: რაღაც გულური გამომეტყველების, უცნობი ჯიშის – მასთან შედარებით ბუღლოგი სიტუფისა და დახვეწილობის ნიმუშად გამოჩნდებოდა.

როცა ოთახში შემოიტანეს, – კარში ძლივს შემოეცია! – ყველას ელდა ეცა, იმდენად საზარელი სანახავე იყო... საჩუქრის მომტანი ამაყად იჯგიმებოდა და მის პირისახეს კმაყოფილების დიმილი არ შორდებოდა – რომ მოელოდა, იმაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე!

ფანომ დაუწყო ქება:

– უი, რა მშვენიერია, ვაჰ, რა ძვირფასია! სად იშოვეთ? – ზღვარგადასული შესხმა-ხოტბით სურდა უხერხულობის მდგომარეობის განმუხტვა; თან ფიქრობდა: “დავიღუპე, რაღა უნდა ვქნა,

ეს საშინელება სად უნდა დავდო? ბინაში რომ ურჩხული შემოსახლებულიყო, სწორედ იმ მდგომარეობაში ჩავვარდი!”.

რას იზამ, გემოვნება ყველას განსხვავებული გვაქვს და ისიც ცნობილია: ნებისმიერს მიაჩნია, რომ პირადად მას უზადო გემოვნება გააჩნია!

ალარ იცოდნენ, სად წაეღოთ ძაღლის უზარმაზარი კარიკატურა თუ რაღაც უბედურება; კიდევ კარგი, ჩემს ზურგზე ადგილი არ მიუჩინეს – ყველას თვალში ჩაეჩხირებოდა და თავზარს დასცემდა! დიდი ხნის ექსპერიმენტების შემდეგ, – სადღა არ სინჯეს მისი დაბინაგება, ყველაზე მოფარებულ კუნჭულებში და კარადის თავზეც კი; ბოლოს, აივანზე გაიტანეს და, როგორც ამბობდნენ, იმ დღიდან იქ შემოფრენილი ერთი ბედურაც აღარავის უნახავს, არადა, მანამდე ბედურებს აკლებული ჰქონდათ ის აივანი!

* * *

სირ დევიდ კრაუნის მიერ დატოვებული ფული, ბოლოს და ბოლოს, შემოეხარჯათ... ძალიან გაუჭირდათ.

რამდენიმე მეზობელმა გაჭირვებისგან ხსნა, თუნდაც დროებით, უკეთესი დღეების მოლოდინით, იმაში ნახა, რომ ბინა გაყიდა, აღებული ფულით უფრო იაფად გარეუბანში ახალი ბინა იყიდა...

ნარცეცხლაძეების მრავალრიცხოვანი ოჯახიც ამ გზას დაადგა, ოღონდ მხოლოდ ორი ოთახი გაყიდა, თავის აბაზან-საპირფარეშოთი, ერთ ოთახში კი შიშო დარჩა თავისი ცოლ-შვილით. ნანუჩა თავისი ცოლ-შვილით სიმამრ-სიდედერთან, პანტიკოსა და დალაღმანოსთან, გადაბარგდა; დანარჩენები – ფანო და გულნაზი – ვარკეთილის დასახლებაში ნაყიდ ერთოთახიან ბინაში შეიყუვნენ...

რა თქმა უნდა, ნანუჩას ოჯახის წასვლამ, თუმცა სულ ახლოს, – იმავე ეზოში, პანტიკოსთან, – ძალიან დამწვევია გული და რაღა უნდა ვთქვა ფანოსა და გულნაზის ცხრა მთას იქით გადახვეწაზე? ფანოს სამოცდაათ წელზე მეტ ხანს ვიცნობდი, – ჯერ კიდევ იმ დროიდან, სიარულიც რომ არ შეეძლო, ბაბოს კალთაში იჯდა ხოლმე და პატარა ხელიგულეებს მიტყაპუნებდა... ძალიან მეწყინა, ფანო დააკლდა ჩემს გულსაც და თვალსაც; დარწმუნებული ვარ, მეზობლებისთვისაც ეს დიდი დანაკლისი იყო.

შიომ ეზოს მხარეს არსებული ღია აივნის ერთ კუთხეში იატაკზე ფოლადის ფურცელი დააფინა, ზედ ბაზარში ნაყიდი თუნუქის ღუმელი დადგა და ბედნიერ კაცად იგრძნო თავი – ჩაის აღუღებისა და სადილ-გახშამის გაკეთების პრობლემა შექლებისდაგვარად გადაჭრა. ახლა ახალი პრობლემა წამოიჭრა – შეშა ძალიან გაძვირდა...

კარი XVI. სიცივისგან შეწუხებულმა შიომ ნაჯახი დამცხო...

ვატყობ, ჩემი გაჭიანურებული საუბარი მკითხველთან დასასრულს უახლოვდება: როგორც ადრეც აღვნიშნე, ფანოს შვილიშვილის, პატარა ფანოს, დაბადების გამო გაშლილი სუფრა ჩემს ცხოვრებაში უკანასკნელი გამოდგა... არა, ბოდიში, კიდევ ერთი, ფრიად მოკრძალებული სუფრა მაგონდება...

ერთ დღეს ეზოში შემოვიდა და პირველ სართულზე პირდაპირ პანტიკოს ოჯახს მიადგა ფანო. ცალ ხელში სამლიტრიანი მოწნული ბოცა ეჭირა, მეორეში – ცელოფანის პარკი პატარა შვილიშვილისთვის, ფანოსთვის, განკუთვნილი სათამაშოებით.

დალაღმანოს უნდოდა, მძახალისთვის სუფრა ოჯახში გაეშალა, მაგრამ ფანომ უთხრა:

– ნუ შეწუხდები, ჩემო დალაღმანო! არ გეწყინოთ შენ და პანტიკოს, ახირებად ნუ ჩამითვლით, მაგრამ მე სხვაგვარად მინდა... – მერე პანტიკოს მიმართა: – სამოცდაათ წელიწადზე მეტი ერთმანეთის გვერდიგვერდ გაგვიტარებია და ახლა კი ბედმა დაგვაშორა... ჩემმა მეგობარმა კახეთიდან ეს ღვინო ჩამომიტანა და მინდა, ჩვენ, ორმა ბებერმა ქოფაკმა, გემრიელად ვიჭუჭუკოთ... მოდი, ჩვენ, – მხოლოდ მე და შენ, ჩემი პანტიკო, – მაღლა ავიდეთ და ჩემს ძველ, ჩვეულ აივანზე გავშალოთ სუფრა.

– აკი აღარ დავლევ, ვეღარ ვსვამო? მართლა ბებერი ქოფაკი ხარ! – უთხრა პანტიკომ.

მე, – უკვე საკმაოდ მორყეულ, ჭრიჭინა მაგიდას, – მომაკითხეს, ორი კიდევ უფრო ჭრიჭინა სკამი შემომიდგეს; სამლიტრიან ბოცას დაემატა დალაღმანოს მიერ გამოტანებული პური, ყველი და მწვანე პომიდორის მწნილი; შიოს ცოლმა მაკამ ორი მათლაფა ცხელ-ცხელი ლობიო გამოიტანა; შემდეგ შემწვარი კარტოფილიც დაემატა ღარიბულ, მაგრამ ტკბილ სუფრას...

როგორც ფანომ პირველი სადღეგრძელოს შემდეგ თქვა, როცა ბოლომდე გამოცდილი თლილი ჭიქა ხმაურით დადგა მაგიდაზე, დალოცვილი ღვინო იყო – ორი წლის ნამდვილი კახური რქაწითელი!

როცა, საკმაოდ შეჭიკჭიკებულგებმა, ბოლო ჭიქა შეავსეს, ფანოს არც მაშინ დაუკლია ქება ქარვისფერი რქაწითელისთვის:

– ჩემო პანტიუმა, კახურ ღვინოს ერთი თვისება კიდევ ეგ აქვს – ბოლოში უფრო გატკბება ხოლმე! ეს ერთიცა ვთქვათ და ამით დავამთავროთ, მაგრამ რომელი გემრიელი სადღეგრძელო ვთქვათ საბოლოოდ? გალაკტიონის არ იყოს, ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღეველი! უჰ, რა სწორი ყოფილა მრავალჯერ ნათქვამი: “კარგია, როცა – სავსეა ბოცა!”, ამის მომყვან-დამწურავს ვენაცვალე! ჩემმა კახელმა ძმაკაცმა, იესემ, – როცა იქით გვიხდებოდა მუშაობა, გეოლოგიურ პარტიას ბაზა სულ მის ოჯახში გეგონდა, – ამ იესემ, რომელთანაც ნათელ-მირონობაც მაკავშირებს და ჩემს ოჯახში შენც ბევრჯერ შეხვედრიხარ... ეს ოხერი, ვეღარ მოგაბი თავი სათქმელს, მაგარი ღვინოა... ჰოდა, დამპატიჟა და მითხრა: “ფანო, აბა ერთი, ეს ღვინო გასინჯე, როგორია... ახალი ვენახი გაგაშენე, ჩემი ხელით არის მოკრეფილი, დაწურული და ყველაფერიც, გასინჯე, მაინტერესებს შენი აზრი”. გაგსინჯე და ვუთხარი: “ქვიან ადგილზე გაგიშენებია ვენახი, ურწყავზე-მეთქი”. “ბიჭო, როგორ მიხვდიო, – მეუბნება, – ქარიანი ადგილია, ურწყავიო. რახან მოგეწონა, ერთ ბოცას გაგატან კიდევცო”... ჩვენ ასეთი დიდებული ღვინის ქვეყანაში მოგვიწია ჯერ დაბადება, მერე – ცხოვრება, ჰოდა, აწი, ადრე თუ გვიან, ქუდიც უნდა დავიხსროთ და “ნახვამდისო”, ვთქვათ... ძალიან გაგვიჭირდება ამის გაკეთება, ძალიან გაგვიძნელებდა, ძალიან... ჩვენ სუფრაზე ერთად გვერდიგვერდ ალბათ ათასჯერ მაინც ვმსხდარვართ და ათასჯერ მაინც დავგილევია სადღეგრძელო, რომელიც ახლა მინდა, შემოგთავაზო... საქართველოში სასწაული ხალხი ცხოვრობს, საქართველო – სასწაული ქვეყანაა, საქართველოს გაუმარჯოს! ჩვენ მშრომელი ხალხს გაუმარჯოს, რომელიც ეს ღვინო გვაჩუქა, ეს პური გვაჩუქა, ეს ღობიო და კარტოფილი გვაჩუქა, ეს თბილი სადამო გვაჩუქა... რა არის მიმზიდველი საქართველოში? ერთად ყოფნა, მეგობრობა – ურთიერთობის დღესასწაული! ქართული სუფრა – ურთიერთობის დღესასწაული! ბევრი სიმწარე გვახსოვს, ჩემო პანტიკო, ბევრი გაჭირვება; რომ უყურებ, ყოველდღიურობაში ბევრი ჭუჭყი და ნაგავია ხოლმე, რას იზამ... მაგრამ მაინც ბედნიერები ვართ! ამან გადაგვარჩინა: სიტომი, მხიარულებამ, ხუმრობა-სიცილმა... ჩვენ ხალხისიანი, შემოქმედი ხალხი ვართ, თეატრია მთელი ჩვენი ცხოვრება! ჩვენ თეატრს გაუმარჯოს, ჩვენს კინოს გაუმარჯოს, ჩვენს მწერლობას, ჩვენს პოეზიას გაუმარჯოს! გახსოვს, დალაღმანოზე შეყვარებული რომ იყავი, დათვრებოდი, ხეზე აძვრებოდი და იქიდან ლექსებს უკითხავდი! კი მოიყვანე მერე, ტკბილად შეაბერდი ერთმანეთს; ჩემი დაა, გადასარევი ქალია და თქვენმა დალილამაც ძალიან გაამართლა, მაგას ვენაცვალე, ოქროს ბიჭი გვაჩუქა!..

– გულნაზიც დიდებული ქალია, ორივეს ბედმა გაგვიღიმა, ჩემო ფანო!

– ცოლზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო, თუ გარდაცვლილზეა ეს ნათქვამი? გულნაზის სასაყვედურო რა მეთქმის, მაგრამ შენც კარგად იცი, ჩემო პანტიკო, ცოტა ბრექია ქალი კია! “იცი, რამდენ გოგოს ჩაგუშალე ქორწილი? წავეყვებოდი, და მე რომ მნახავდნენ...” – თურმე რამდენჯერმე მოტაცებასაც უპირებდნენ: ხან – რთველში, ხან – ალავერდობაში, ხან – ნათესავის ქორწილში... ვეუბნები: “ზეპირად ვიცი, ათასჯერ მაინც მაქვს ეს მოსმენილი, შემობრალე!”. ჰგონია, რომ ქვეყანა მაგაზეა გადარეული – ის არის ამქვეყნად ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი... სულ გული სწყდება, რომ ისე ვერ ვაცხოვრე, როგორც მისი გვარიშვილობის, გარეგნობის და სხვა ძვირფასი თვისებების ქალს ეკადრებოდა... შენ კი იცი, როგორ მიყვარს ჩემი საქმე – გეოლოგია, ჩემი ოჯახი, ნათესავ-მეგობრები; ყველაფერი მივატოვე და საზღვარგარეთ წავედი ორი კაპიკის საშოვნელად. რა ჯანდაბა მინდოდა ალჟირში? რომ ჩამოვედი, ისეთი უბედური რაღაც ავადობა დამყვა, ორი წელი წელგამართული ვერ დავდიოდი და ერთი ჭიქა ღვინო არ დამიღვებია, კი გახსოვს, ძლივს გადავრჩი. მანქანა რომ ვიყიდე, ახლა იმაზე ატეხა ერთი ვაიუშველებელი, არადა, რაც ახლა უბედური დრო დავგიდგა ყველას, იმით შოულობდა პურის ფულს ნანუჩა – ტაქსაობდა და ჩვენც და შიოსაც შეძლებისდაგვარად გვეხმარებოდა... ნანუჩასაც სულ ეჯიჯღინებდა... დაბერდა და ისევ ძველებურად გაიძახის: “მე რომ მდომოდა, ახლა ასეთ დღეში კი არ ვიქნებოდი!”. “ჰო, პროფესორი გახდებოდი ან მინისტრის ცოლი!” – ზოგჯერ თავს ვეღარ შევიკავებ. ის კი ვერ ხვდება, რამდენი ირონიაა ჩემს სიტყვებში... ამ ბოლო დროს კი სულ მთლად აურია, ლამის გავგიჟე კაცი...

– რას მეუბნები, კაცი! გულნაზი გვრიტივით წყნარი ქალია.

– ჰო, ასეა, ჩემო ძმაო, გარედან მაცქერლისთვის ყველაფერი სხვაგვარად ჩანს, სხვისი ცოლი უნაკლო გგონია, სხვისი ბავშვები – ჩვენსაზე უკეთესები... ადრე, სულ მეჩხუბებოდა, მღალატობო, მერე – ჩემი თავიდან მოშორება გინდა და სხვა ქალის მოყვანა... გახსოვს ალბათ, მეზობლის ქალებს ხან უმიზეზოდ აუშარდებოდა, მერე – დაუტკბებოდა, ვერ გაუგებდი, რასთან იყო ამგვარი ქცევა დაკავშირებული. ახლა დაუჩემებია, შიოს ნაჯახი უყიდა ჩემს მოსაკლავად... უნდა მოვიდესო და... ყველა შეიკლა ხელში ჩივილით, მიშველეთ, ჩემი დაღუპვა უნდაო. წარმოგიდგენია? შიოს ეშინია, საკუთარი დედის სანახავად მოვიდეს! ყველა გაურბის გულნაზისთან ურთიერთობას, რომ დაინახავენ, ემალებიან, მე სადღა გაგიქცე? შიზოფრენიული ხილვები აქვს, გაგწამდი კაცი, ამ სიბერეში ეგ მინდოდა?... არ უნდა მეთქვა, შენ რას გერჩი, ჩემო პანტიკო, რომ დაგადონე... ჰო, მოდი, ყველა კარგ ხალხს გაუმარჯოს!.. ჩვენს პოლიტიკოსებს არ გაუმარჯოს, მაგათი დედაც გატირე!.. საკუთარი ჯიბის გარდა, ყველაფერი ფეხებზე დაიკიდეს!.. ბოლიში, ჩემო პანტიკო... ჩვენ გაგვიმარჯოს, ჩვენს ძმობას გაუმარჯოს! კიდევ ერთხელ – მე და შენ გაგვიმარჯოს! იცოდე, ყველაზე კარგი სადღეგრძელო ეგ არი – მსოფლიო იწყება შენიდან! შენი

თვალებიდან, შენი ხედვიდან, შენი აზროვნებიდან!.. შენი მოქმედებიდან!.. შენი შემოქმედებიდან!.. შენი ოჯახიდან და შენი მეგობრებიდან!.. გაუმარჯოს ორ დიდებულ კაცს, ორ მეგობარს! ეს ბოლო ჭიქა და დაგვრჩა და იმ ყველა კეთილ სადღეგრძელოსაც გაუმარჯოს, რაც კი დაგვრჩა და უღვევლი!.. რა ცუდია, როცა – დაიცლება ბოცა! ჩვენი ცხოვრების ბოცაც მალე დაიცლება, ეჰ!..

– მე და შენ, ჩემო ფანო, გვიკვირდა, ჩვენს ყმაწვილკაცობაში რომ ჩიოდნენ ჩვენი სახლის მოხუცები: “ეჰ, სადღა არის ის ძველი დრო, ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, ის თბილი ურთიერთობები!”. მამაჩემი, შაქრო, – იმის სულს ვენაცვალე, ნათელში ამყოფოს, საცა არის, უკვე მეორედ მოვიგონე, – ამბობდა: “კაცო, რაც ეს ავტო შემოვიდა და მამაპაპური ცხენი გააძევა, თითქოს იმ ძველ ეტლებს თან გაჰყვნენ: ნათელ-მირონობა, უფროს-უმცროსობა, მოყვასის სიყვარული, ზრდილობა... ოჯახიც გადაგვარდა; მთელი დღე რომ ქალი სამსახურში იქნება, ის რა ოჯახია?”. ჩვენ ეს არ გვესმოდა, უფროსების ბუზღუნს ყურადღების ღირსად არ ვთვლიდით. დაგრბოდით კინოში, ფეხბურთზე ვგიჟდებოდით... ახლა უკვე ჩვენ აღარ მოგვწონს ბევრი რამ, ეტყობა, დავბერდით...

– ჰო, დავბერდით, ვერაფერს გააწყობ, დავბერდით... პანტიკო, ხომ კარგად გახსოვს, სულ იმას გაგიძახოდით: “ოღონდ ეს მახინჯი კომუნისტური წყობა დაინგრეს და...”; ახლა ისეთ უბედურ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ისევ უკმაყოფილოები ვართ: “რა ქვეყანა დაანგრის?”.

– გაგიმარჯოს, ჩემო ფანო, შენს ნათქვამ სადღეგრძელოს გაუმარჯოს, ჩვენს საქართველოს, ჩვენს ხალხს, ჩვენ გაგიმარჯოს! ასე მტერი დაგეცალოს!..

* * *

ჰო, ეს ნამდვილად ბოლო სუფრა იყო, რომელსაც მე მოვემსახურე და ახლა მსიამოვნებს, ხომ იცი, შეძლებისდაგვარად, გავიხსენო, ვინც კი ჩემს ირგვლივ მჯდარა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით – ლხინის სუფრაზე და მიულოცავთ ადამიანებისთვის დაბადების დღე, ნიშნობა, ქორწილი, ბავშვის შექმნა, ჯარიდან მშვიდობით დაბრუნება და სხვა სასიხარულო თარიღები თუ მოვლენები: სკოლის თუ ინსტიტუტის კურსის დამთავრება, დისერტაციის დაცვა, სამსახურში დაწინაურება და ასე შემდეგ.

მეც მინდა, ჩემებური სადღეგრძელო ვთქვა! მე ხომ არასდროს სადღეგრძელო არ მითქვამს – ერთი ხის მაგიდა ვარ, მართალია, კაკლისა – და, ცხადია, ამას ვერ შევძლებდი... ჰოდა, ახლა კი, როგორც მოგახსენეთ, მინდა, ჩემებური სადღეგრძელო მაინც ვთქვა – მოვიგონო და დავლოცო ყველა ის კეთილი ხალხი, ვინც კი ჩემს ზურგზე გაშლილ სუფრაზე მჯდარა, ჭიქა აუწევია, კეთილი სიტყვა უთქვამს, სიმღერა დაუზღუნებია, წარსული გაუხსნებია, საუკუნოდ წასულთა ხსოვნისთვის პატივი მიუგია, აწმყოს ჭირ-ვარამისთვის ქედი არ მოუდრეკია და გაჭირვებას მაინც უკეთესი მომავლის რწმენით აღსავსე სიტყვებით და ღიმილით შეხვედრია, ვისაც მამა-პაპათა ღვაწლი პატივით მოუხსენებია, დედ-მამა, დედმამიშვილები, შვილები, შვილიშვილები, ნათესავები, მეგობარ-ამხანაგები უდღეგრძელებია, მომავალი თაობისთვის თბილი, იმედიანი სიტყვა, კეთილი სურვილები უძღვნია, სუფრასთან მსხდომი თუ სუფრის გარეთ მყოფი ყველა ნაცნობ-მეგობარი საუკეთესო სურვილებით დაულოცია...

შეიძლება მისაყვედუროთ: “აღარ მოკვირჭდა ამდენი სუფრის ამბების გახსენება? თან ამ სახელგანთქმულ ქართულ სუფრაზე, რომლის ქება-დიდებაც ბევრჯერ გვსმენია, თითქმის სულ ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ... მართლაც მოსაბეზრებელია!”. მე საპასუხოდ შემიძლია გითხრა: მორწმუნე ხალხი რომ დადის ეკლესიაში, სინაგოგაში, მეჩეთში თუ სხვა ტაძარში და ერთსა და იმავეს ლოცულობს? ქართული სუფრა ჩვენთვის იგივე ლოცვაა!

მახსენდება შიო ნარცეცხლაძის ერთი ნაამბობი: “ერთი პოეტი, კარგი პოეტი – ელიბო კერძიაშვილი, სმა უყვარს. სადაც კი ჩავარდება სუფრაზე, ყველგან აუცილებლად თამადა უნდა იყოს – მაღალი კაცია, გამხდარი, ძალიან სიმპათიური. ერთი დამწვები პოეტი მივიდა და ეუბნება: “გამარჯობა, ბატონო ელიბო!” – მოწიწებით ჩამოართვა ხელი. “გაგიმარჯოს!”. “მე თქვენ გიცნობთ?”. “საიდან? მე კი არ გიცნობთ!” – ელიბო ეუბნება. “აი, ყრილობაზე, მერე – აიმ შეხვედრაზე მკითხველებთან, კიდევ – ლიტერატურულ სადამოზე...”, – ესე ჩამოთვალა. “ბიჭო, ჩვენ ერთი ჭიქა ღვინო თუ დაგვიღვევია ერთად?”, “არა, არ დაგვიღვევიაო”... “აბა, საიდან მიცნობო?” – გაეცინა ელიბოს. ეგრეა, კაცი თუ გინდა, გაიცნო, სუფრაზე უნდა გაიცნო, ქართულ სუფრაზე წყდება ყველაფერი!

ვინც კი გამახსენდა, ვინც ჩემს ხსოვნაში თავისი კვალი დატოვა, დიდის კმაყოფილებითა და დიდი სევდითაც, ამდენი ხნის გავლის შემდეგ, მინდა, წრფელი გულით გავიხსენო...

მაშ ასე, ვიწყებ თავიდან, ჩემი გაკეთების დროიდან და მიყვები დღევანდლამდე...

ჩემი პირველი პატრონი, მიხუა ნემსიყუნწაძე, ისე შემეღია, რომ მართალია, მე დღეში რამდენჯერმე მომისხდებოდნენ ხოლმე და სუფრაც გაიშლებოდა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი სადილ-გახშამი იყო, ასე რომ, მაშინდელ ჩემს ირგვლივ მსხდომთა დასახელება არც ღირს და არც ნამდვილ ქართულ ლხინად ჩაითვლებოდა მათი ოჯახური თავშეყრა: იმის მიუხედავად, რომ მიხუა ცნობილი სირაჯი გახლდათ, ჩემთან ერთი ჭიქა ღვინოც კი არ დალეულა და, ცხადია, ერთი სადღეგრძელოც კი არ წარმოთქმულა. ადრეც მოგახსენეთ და ახლა გაგიმეორებ, რომ მიხუამ

მაკრინე ისე გაატანა ცოლად სოსო, იგივე სიმონ, კაკაბაძეს, რომ ქალიშვილისთვის ქორწილი არ გადაუხდია და არც მზითვის მიცემისთვის შეუწუხებია თავი; მხოლოდ მეორე მაგიდა, ჩემი ტყუპისცალი, გაატანა სოფელში.

პირველი ღვინის სუფრა ჩემს ზურგზე ჩემი ნანუხა ნარცეცხლაძის მფლობელობაში გადასვლის შემდეგ გაიშალა, როცა ის მიხუა ნემსიყუნწაძისგან ნაყიდ ბინაში შესახლდა (მიხუას ვაჟიშვილმა სოფელში წასვლისას რატომ დამტოვა, არ ვიცი, აღარ მახსოვს – იქნებ მეც ბინასთან ერთად მიმაციდა, იქნებ ჩემი შორ გზაზე წაღება დაეზარა, ან იქნებ მაშინდელ ორომტრიალში სულაც დაგავიწყდი...). ნანუხას დის, ბაბოსა და სირ დევიდ კრაუნის ქორწილში ვინ იყვნენ სუფრაზე? სიძე-პატარძლის გარდა: ნანუხა, მისი დედა – იტიტინე, ცოლი – თითია, სიმამრი – დიომიდე დიდმელაური მეუღლესთან ერთად, რომლის სახელსაც ახლა ვეღარ ვიხსენებ... დევიდ კრაუნის მეგობრები – სამი ინგლისელი ოფიცერი, ნანუხას მეგობარი ოთხი ქართველი ოფიცერი... იქნებ კიდევ იყო რამდენიმე ადამიანი, აღარ მახსოვს.

მას შემდეგ უამრავი სუფრის მომსწრე ვარ, ყველას რა ჩამოთვლის და რამდენი ადამიანი – მასპინძელიცა და სტუმარიც – დაუმშვენებია, მათი ჩამოთვლა ნამდვილად გამიჭირდება! ახლა მხოლოდ იმ ბოლო სუფრის წევრებს ერთხელ კიდევ გავიხსენებ, პატარა ფანოს ამქვეყნად მოფლენის აღსანიშნავ საღვინო სუფრას რომ სძენდნენ ლაზარს... თუმცა, არა, ამის გაკეთება ალბათ ზედმეტია – სულ ახლახან არ მოვიყვებით ამის შესახებ?..

ჰ, რამდენი ღირსეული ადამიანი, კეთილი მომღვინე მჯდარა ჩემს ირგვლივ! რამდენი კიდევ ჩემს ოცნებაში წარმომიდგენია, რომ დაამშვენებდა ჩვენს სუფრას! “როგორ, ალბათ გაკვირვებით იკითხავთ, – შენც, ესოდენ მძიმე და ამისთვის სრულიად მოუხერხებელი, ოცნებების ფრთებით დანავარდობდი ცაში?”. დიახ! რამდენჯერ, განსაკუთრებით მაშინ, როცა დამე დადგებოდა და მღუმარებას მხოლოდ ძველებური კედლის ქანქარიანი საათის ტიკტიკი არღვევდა, ავუშვებდი ოცნების იაღქანს... რაზე ვოცნებობდი? რომ ვინმე საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება მეხილა ჩემს სუფრაზე? ვინ? ნუღარ ჩამომათვლევინებთ, საკმაოდ გრძელი სია გამოვიდოდა... თუმცა, თავს ვერ ვიკავებ, რომ რამდენიმე უდიდესი, მრავალთათვის სათაყვანებელი პიროვნება რომ მჯდარიყო ჩემთან, დიდად ბედნიერი ვიქნებოდი – ჩემს ახალგაზრდობაში: ილიას რომ ესაუბრა, აკაკის ეთამაშა ბანქო, ვაჟა-ფშაველას აეწია ჭიქა... გადმოცემით ისიც ვიცი, რომ, სანამ მე გამაკეთებდნენ, იმ ჩემს წინაპარ კაკლის მორზე სირაჯ მიხუას ღვინის სარდაფში მრავალჯერ მჯდარა ჩემი ნიკალა... და ეს ამბავი მარად საამაყოდ დამრჩება!.. შემდეგაც იყვნენ დიდი მამულიშვილები, რომელთა ხილვაც მე გამახარებდა, მაგრამ ვაგლახ, ბედმა ერთხელაც არ გამილიმა!.. შესაძლოა, შიო ნარცეცხლაძე სახელგანთქმული მწერალი გახდეს ან კიდევ – ვინმე სხვა, ამჟამად დიდად რომ არაფრით გამოირჩევა... მაშინ კი ალბათ ცნობილი პიროვნებებიც მომრავლდებიან საღვინო სუფრასთან... აბა, ჰე, შიო ნარცეცხლაძე! მე ყოველმხრივ მზადა ვარ, გემსახურო და შენც ნუ დაზარდები, კალამი დაუღალავად აწრიპინე, თუკი ამის სურვილი და შესაძლებლობა გექნება, ვინძლო გაითქვა სახელი და სახელგანთქმული სტუმრებიც მოიწვიო მორიგი წიგნის დაბეჭდვის აღსანიშნავად!..

დიახ, ვატყობ, აქამდე ჯერ შორსაა: წიგნები თითქმის აღარ იბეჭდება, წიგნის მღვინეებიც ერთიმეორის მიყოლებით უქმდება – საკითხავად გაჭირვებულ ხალხს სად სცალია, დღედაღამ ლუკმაპურის შოვნას არის გადაყოლილი... და მაინც – ბედს არ ვემდური! მრავალი და მრავალი ხალხი მჯდარა ჩემთან – კეთილი, მშრომელი ადამიანები და ეს ნამდვილად მეამაყება! ერთმანეთი და მრავალი სხვაც უდღევრძელებიათ, სამშობლოს, მისი წარსულის, ჩემი ღირსეული წინაპრების სადიდებელი უთქვამთ, ახალგაზრდა თაობაც არ დავიწყებიათ და უკეთესი მომავლის იმედით გამოუთქვამთ... მიუხედავად იმისა, რომ ათასი საზრუნავია ამქვეყნად და მათ ახალ-ახალიც ემატება...

დიახ, გზის მიწოდება შეწყდა, თანაც ზამთარი გვიახლოვდება! დენს ისე ხშირად თიშავენ, ჩანისთვის წყლის აღუღებას ვეღარ ასწრებ, სადილის გაკეთებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მთელ ქალაქში ფანჯრებიდან თუნუქის მიღებმა გამოყვეს თავი: საჭმელს მასზე ამზადებენ, სიცვიის დადგომისას მისით გათბებიან... შეშასა და ნავთს ფასი დაედო. “მერე, შენ რა გადარდებულს, – იკითხავთ, – ხის მაგიდა ხარ, სითბოა თუ სიცივე, შენთვის სულერთი არ არის?”. ჰ, სულერთი რომ ყოფილიყო, სულ ცოტა ერთი ამდენს კიდევ მოვეყვებოდი, მაგრამ ვაგლახ!..

მეზობლებმა ჯერ ეზოს შუაში მდგარი ნახევარსაუკუნოვანი თუთა მოჭრეს, მალევე კუთხეში ამყად ამართული ალვის ხეც მიაყოლეს, ორივე დახერხეს და შეშად დაინაწილეს. ერთი ალვის ხის მორის გადანახერხი, თითქმის ერთმეტრიანი სიგრძისა, პანტიკომ დაიტოვა, საღუმელედ აღარ გაიმეტა – ეზოში დადო: “მე ხომ მეკუთვნის მორის ეს ნაჭერი? შეშად არ დავაპობ, აქ მინდა სკამად გამოვიყენო და ხელი არავინ ახლოს! რამდენი წელია, ეს ალვა ჩვენს ეზოს ამშვენებდა, მის სახსოვრად ეს მისი ნაწილი მაინც დარჩეს აქ!”.

ნოემბერი კი იღვა, მაგრამ საოცრად თბილი, მზიანი ამინდები ერთმანეთს წაეწყო. პანტიკოს მორის გადანახერხმა გვერდიდან მწვანე ყლორტი გამოუშვა – სუსტი, უღონო, სინათლისკენ მალა მლტოლველი! ამარ იყო მისი მცდელობა – უფესვოს რამდენ ხანს ეყოფოდა საზრდო და წყლის მარაგი? თუმცა ამ ყლორტის დაღუპვას ვეღარ მოვეწვართ – დეკემბრის ერთ დღილას ჩვეულ ადგილზე აღარ იყო, ვიღაცამ ღამით მოიპარა... ამბობდნენ, ამ “საუკუნის ქურდობაში”,

როგორც ირონიულად მოიხსენიებდნენ მეზობლები, ჯადოს ხელი ურევიაო, მაგრამ რით დაამტკიცებდი? მორი მორს ჰგავს, სამხილის – იმ ყლორტის – მოცილება კი ერთი წამის საქმე იყო...

მაღე ჩემი ბედიც შავად წარიმართა.

მაკამ შიოს უთხრა:

– ეს მაგიდა ჩვენს ერთი ბეწო ოთახში ვერ ეტყება, აივანზეც ტყუილად დგას, ჯობს, ეზოში ჩაიტანო და დაჩეხო... ერთ-ორ დღეს სიცივით აღარ მოგკვდებით... რა კარგად გამომშრალი მაგიდაა! ძალიან მაგარი ხეც ჩანს, ძლიერი სიმხურვალე ექნება!..

ჯერ შიო სასტიკ უარზე იყო, მაგრამ ცოლი შეუჩნდა, სულ ეჯიჯდინებოდა, აღარ მოასვენა და ერთ მშვენიერ დღეს, როცა არც ფული ჰქონდათ, აღარც შეშა და განსაკუთრებით აცივდა, შიო იძულებული გახდა, ეზოში ჩაეგტანე... ჩატანაში მაკაც ესმარებოდა.

ჩამიტანა ქვევით და ნაჯახი გამეტებით დამცხო...

ეჰ, რამდენჯერ მჯდარა ჩემთან, ულაპარაკია, მოუღხენია, ბევრიც უწერია და – ვაგლახ! – ახლა ნაჯახს რა უმოწყალოდ მირტყამს, მირტყამს, მირტყამს...

ვაჰ, უმადურობაჲ!.. შიო ბატონო, გაზაფხულიც მოვა, შენ წერის იშტახეც მოხვალ და ხელში კალამს დაიჭერ... კიდევ ერთგულად მოგესახურებოდი და რატომ გამწირე?..

მეტს ვეღარაფერს მოგიყვებით...

2008 წლის 1 ივლისი – 2009 წლის 14 მარტი,
თბილისი.